ნიკოლოზ ხიზანაშვილი ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც კურსი დაასრულა 1870 წელს. მცირე მომზადების შემდეგ დაიჭირა კაზანში ძველ ენებში (ლათინ. და ბერძნ.) და 1871 წელს შევიდა ოდესის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც სწავლა დაამთავრა 1876 წელს.

განუთქილება

II

რეფერატები და გამოკვლევანი.

ჭელიშის ვარიანტი „ქართლის მოქცევისა“.

(წაკითხულ იყო საზოგადო კრებაზე დეკემბრის 28, 1907 წ.)

ამ მოხსენებით ჩვენ გვინდა ისტორიის მცოდნეთა და მოყვარულთა უურადლება მივაჭტოთ ერთ ჩვენგან აღმოჩენილ ქართლის მოქცევის ვარიანტს. ჩვენ, როგორც არა სპეციალიტს ისტორიულ კითხვებში, არ შეგვიძლია სავსებით დაფაფასოთ ამ ვარიანტის მნიშვნელობა ისტორიისათვის. ამის გამოკვლევას მოველით საქართველოს ისტორიის მცოდნეთაგან, ჩვენ კი, ჩვენის მხრით, გვცდებით შემოკლებით აღვნიშნოთ ზოგიერთი თვალსაჩინო განსხვავებანი იმ ერთადერთ დედანთან, რომელიდანაც 1890 და 1891 წლებში გამოიტა ორივე ნაწილი ქართლის მოქცევისა¹⁾. ჩვენ, რასაკვირველია, იმითაც კი ვიქნებით კმაყოფილი, თუ ზეტიფცემული საზოგადოება ამ მოხსენების წაკითხვისათვის დახარჯულს დროს უნაყოფოდ დაკარგულად არ ჩანსთვლის.

1902 და 1903 წლების ზათხელის თვეები სამსახურისა გამო ჩვენ წილად გვერგო გაგვეტარებია რაჭაში და ეს დრო გვინდოდა არ უოფილიყო უნაყოფოდ დაკარგული. ამისთვის განვიძრახეთ შემოგვედო რაჭა-ლენხუმი და შეძლებისა დაგვარად აგვეწერა ის საისტორიო ნაშაები, რომელნიც გადურჩნენ დროთა ვითარებას და ჩვენს შეუგნებლობა-დაუდევრობას. შირველად, რასაკვირველია, უნდა მიგვეჭტია უურადლება იმ სიძველეთათვის, რომელნიც ინახებოდნენ თვით ჭელიშის უდაბნოში, რომლის გამოკეთაც იმ დროს ჩვენ ვითვლებოდით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს მონასტერი მდებარეობს სამი ვერსის მანძილზე შესანიშნავ ნიკოლოზმინდის ტაძრის

¹⁾ იხილეთ: სამი ისტორიული ქრონიკა და ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ.

დან, რომელიც დაუთვალეობით და აღუწერიათ ბროსეს (1848 წ.), ბაქრაძეს და კონდაკოს (1889 წ.) და ბოლოს კრათინია უვაროვისას, მაგრამ არც ერთ ამ მკვლევარ—არხეოლოგთაგანს სემწახაროთ არ მოუსურვებია ასეთი ახლო მდებარე ჯვლის შუაბნის დათვალეობა და არქეოლოგიურად გამოკვლევა.

ამ უდაბნოში, სხვა სიძველეთა შორის, მისვლისათანავე ჩვენი უურადღობა მიიპურეს ხელ-ნაწერებმა, რომელთა შორის აღმოჩნდა ეს, ჩვენის აზრით, უურადღობის დიკსი ვარიანტი ქართლის მოქტევისა.

ხელთნაწერი ზომით 24×17 სანტიმეტრია, დაწერილია სქელ ქალღღზე ნუსხა ხუცურის ხელით. შესდგება ორის ნაწილისაგან. პირველი ნაწილის შინაარსს შეადგენს „მოქტევაჲ ქართლისა“ და წმ. ნინოს ცხოვრება. ამ ნაწილს ბოლოს დართული აქვს თხრობა იესო ქრისტეს შობაზე. მეორე ნაწილის შინაარსია: საგალობლები და ცხოვრება წმიდისა მთავარ-მოწამის გიორგისა.

პირველ ნაწილში ჰაგინაფია მიუძღვის თითოეულ რვა ფურცელს ასე მთავრულით. ჰაგინაფიის მიხედვით ქართლის მოქტევა უნდა შესდგებოდეს 44 ფურცლისაგან, მაგრამ ნამდვილად კი დარჩენილია 41 ფურცელი, რადგან თავში ორი ფურცელია აკლია და ერთიც შუაში. ქრისტეს შობის მოთხრობას შიგა და შიგ ფურცლებია აკლია, ბოლოც არა აქვს და დარჩენილია მხოლოდ შვიდი და ფურცელი.

ხელთნაწერის მეორე ნაწილში ორი სხვა და სხვა დროს დაწერილი წმ. გიორგის ცხოვრება-საგალობლებია შეერთებული. პირველი შეიცავს 17 ფურცელს, მაგრამ ჰაგინაფიის მიხედვით უნდა უოთუდიოეო ასამდის ფურცელი, ამ ნაწილში ჰაგინაფია უზის თითო რვეულს 16 ფურცლისაგან შემდგარს; თავში აკლია 64 ფურცელი. ხელი და მელანი ამ ნაწილის განიჩხევა ქართლის მოქტევის ხელის და მელნისაგან.

მეორე ამავე მოწამის ცხოვრება შესდგება 55 ფურცლისაგან, ფურცლებს ჰაგინაფია არა აქვს. შიგა და შიგ ჩაკერებულია ახალი ფურცლები, რომლებზედაც დაკარგული ფურცლების შინაარსი ადგენილია სხვა მელნით და ხელით. ძველი ფურცლების ხელი კი უახლოვდება ქართლის მოქტევის ხელს. ბოლოს აქვს მინაწერი ტექსტის ხელით: „წმიდაჲ გიორგი, მთავარ-მოწამეო, შეიწუდე (შე)სუდითა

ფრიად (ფ^დ) ცოდვილი, კლასკი მონაზონი, უოველთა ცოდვილთა უცოდვილესი სახელით ოქროპირ, უოფილ იოანე (ი^ე):

ხელთხაწერს ხის უდა აქვს ტუავ გადაკრული. შიგა და შიგ ფურცლები დაშლილათ აწვეია უდაში.

ჩვენის ხელთხაწერის პირველი ნაწილი ე. ი. ქართლის მოქცევა ჰალოკრაფიულის ნიშნებით უნდა ეკუთვნოდეს მე XIII—XIV სს. უკუნეს. ჩვენ შესაძლებელად ვსთვლით ამ ხელთხაწერის დედნის გადაწერა დავსდოთ არა უკვიანეს მე XI საუკუნისა და თუ ეს უკვიანესი დედა აზრი მივიღეთ, მაშინ უთუოდ იმაშიაღ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენი ვარიანტი ქართლის მოქცევისა უძველესი დედნიდან უცვლელად არის გადაწერილი.

ქართლის მოქცევის პირველი ნაწილი ანუ ხრონიკა თავდება შემდეგი სიტყვებით: „ხოლო ჟამილად ეგნოსისითგან მოდმართ იუგნეს კათალიკოზნი შ^ე, ხოლო ამისა შემდეგ ვინცა შეიცვლებოდის კათალიკოზთაგანი იწერებოდის“ (ფურც. 7). ეს შენიშვნა დაახლოებით გვიჩვენებს ჩვენი ხელთხაწერის დედნის გადაწერის დროს. კათალიკოზი ეგნონი მიიღვალა 663 წელს ¹⁾. თუ მივიღებთ თითოეული კათალიკოზისაგან საქართველოს ეკლესიის გამგეთ უოფნას ორთა-შუა რიცხვით ცხრა წელიწადს, მაშინ ეგნონისითგან მე 45 კათალიკოზის საკათალიკოზო ტანტზე ასდგის დროთ უნდა მივიღოთ 1059 წელიწადი. და რომ ეს მისაღებია, მტკიცდება შემდეგის მოსაზრებით: პატივცემული ექ. თაუიშვილის გამოანგარიშებით, „ცხრა კათალიკოზს (თაფთაზ II, ევლალე, იოველ II, სამოველ VII, გიორგი I, კვირიონ, იზიდ-ბოზიდ, თ^ე და პეტრე III-ს), რომელნიც ეგნონ და იოანე IV შუა არიან მოსსენებულნი, უცხოვრიათ 663—757 წლებში, ასე რომ ორთა-შუა რიცხვით თითოეული მათგანი თითქმის ცხრა წელიწადი უოფილა კათალიკოსად“. ამ სიტყვების შემდეგ პატივცემული ავტორი შენიშნავს, რომ „ეს იმ დროსთვის ცოტა არ არის. უფრო ხანგრძლივი

¹⁾ იხ. ექ. თაუიშვილი. ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა გვ. 21, სხოლიო. და თ. უორდანი. ქრონ. I, გვ. 75, სხოლიო 149. მ. კ. კარბელაშვილის ანგარიშით ეგნონის სიკვდილი დადებულია 663 წ. იხ. იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 41.

კათალიკოსობა სხვა დროსაც იშვიათია. მაგალითად, არჩილ I დროს (410—434) 24 წლის განმავლობაში ოთხი მთავარ-ეპისკოპოსი გამოცვალა, ბაკურ III-ის დროს (557—570) 13 წლის განმავლობაში სამი კათალიკოსი იყო, ადარნასეს დროს (619—639) ოცი წლის განმავლობაში სამს კათალიკოსს ვუბრუნდობთ“ (1).

თუ პატივცემულ მღ. ბ. კარბელაშვილის კათალიკოსთა სიას მივმართავთ, აქაც თითოეულს კათალიკოსზე მოდის ორთა-შუა რიცხვით არა უმეტეს ცხრა წლისა. ევზონისიტგან მეორემოდანხუთე კათალიკოსი ამ სიით იქნება იოანე V, რომელიც გაქათალიკოსდა 1090 წ. ²⁾ და მამასადამე ევზონის სიკვდილიდან ამ კათალიკოსის დრომდე გასულა 427 წ. (1090—663), ანუ, თუ ევზონის სიკვდილის დროთ მივიღებთ 655 წელს, როგორც მ. კარბელაშვილი ქუთაის-როსს, 435 (1090—655) წ., მაგრამ აქ ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ეს ზემოხსენებული კათალიკოსთა სია სრული არ არის და შიგა და შიგ, უეჭველია, გამოჩენილნი არიან ისტორიისათვის ჭკრეთ უცნობი კათალიკოსები. მაგალითად, მიქელ I და იოანე II-ს შუა თვრამეტე იან ცხრამეტე წლის განმავლობაში ამ სიით კათალიკოსი არა სწახს და თვით ამ იოანეს კათალიკოსობა დადებულია 720—752 წლებს შუა, ე. ი. 32 წლის განმავლობაში ³⁾, რაც ძნელი დასაჭკრებულია. ამნიანი ხასკრძლივი კათალიკოსობა სჩვევების სხვა პირებისათვისაც ⁴⁾. უველა ეს მოსაზრება გვაფიქრებინებს, რომ ორთა-შუა რიცხვით თითოეული კათალიკოსი უოფილა საქართველოს ეკლესიის მმართველათ ცხრა წელიწადზე თუ არ ნაკლები, მეტი მინც არა. ეს კი ამართლებს იმ ზემოხსენებულ ჩვენს მოსაზრებას, რომლითაც ჩვენის ვარიანტის დედნის გადაწერა მივაწკრეთ მე-XI ს. უკუნს.

1) ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა, გვ. LI-LIII. ბ. თ. კორდანიას აზრით „სიგრძე კათალიკოსთა ცხოვრებისა (კათალიკოსობაში) თითქმის უდრის ათს წელს ცოტაოდენ მეტ-ნაკლებობით“ (ქრონ. 1, გვ. 75, სხოლიო 149).

2) ივარაქია საქ. ეკლესიისა გვ. 67.

3) იქვე გვ. 42 და 46.

4) იქვე გვ. 57, 61, 63 და სხ.

ქართლის მოქცევის მეორე ნაწილი თავდება შემდეგის მინაწერით: «ბასილსა (ბსლსა) შეუნდგნენ (შნ) ღმერთმან (ღნ). დაუსრულა ცხოვრება ნეტარისა და ბეგრ წილ სანატრელისა, ღირსისა ჩვენისა დედისა და განმანათლებელისა, უბოწოს, წმიდისა ნინოსი: წმიდაო ნინო, უშველე (უშლე) ბასილისა თვალთა (თლთა)» (ფურც. 35).

წმ. ნინოს სჯნაქსარულ ცხოვრების ბოლოს ტექსტის ხელით მაწერილია: «ბასილსა და მისთა გარდასრულთა შეუნდგნენ (შნ) ღმერთმან (ღნ) ამინ.» (ფურც 41).

ეს ბასილი უნდა იყოს გადაწერი ქართლის მოქცევისა, ე. ი. ჩვენი ხელთნაწერის პირველის ნაწილისა.

არშეიბზე მე XVII საუკუნის ხელით მინაწერებიდან სჩანს, რომ წიგნი დაუკაზმავს ვინმე თევდოსიას. ერთი ამ მინაწერთაგანი იკითხება: «ამ წიგნისა შემაკაზმველსა თევდოსიას და მისთა მშობელს: ვარძელს (ვრძელს): — შერაის: შეუნდგნენ (შნ) ღმერთმან (ღნ), თითო თითო: ფურცელ შემიურია».

ოცდა მეოთხე და ოცდა მეხუთე ფურცლებების არშეიბზე არის მინაწერი მე-XVI—XVII საუკუნის ხელთ: «სულსა მონაზონსა გერმანეს ეზღაგედიძესა და მისსა მეუღლესა და დედა მამათა, ძმათა და დათა, შვილთა და ძმისწულთა შეუნდოს (შნს) ღმერთმან (ღნ) ამან (ან): —».

ქართლის მოქცევა შინაარსით განიყოფება ორ ნაწილად. პირველს ნაწილს შეადგენს ხრონიკა, სადაც მოთხრობილია ქართველთაგან ქრისტიანობის მიღება, რისთვისაც, ბ. ექ. თაყაიშვილის სამართლიანის აზრით, ამ ქრონიკას შეეფერება სახელი «მოქცევაჲ ქართლისაჲ». მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა წარმოადგენს წმ. ნინოს ცხოვრებას¹⁾.

რადგანაც პირველი ორი ფურცელი, როგორც მოგონებნიეთ, დაკარგულია, ჩვენი ვარიანტი იწეება შემდეგი სიტყვებით: «(აღე)გზნა²⁾ გულსა მისსა³⁾ სიყვარული ქრისტესი და წარაგდინა მთა-

¹⁾ სამი ისტ. ქრონიკა, გვ. LXXIX—LXXX.

²⁾ ეს ფრჩხილებში ჩასმული სიტყვის ნაწილი აკლია, რადგან დაკარგულ ფურცელში ყოფილა.

³⁾ იგულისხმება კონსტანტინე მეფე.

განი ერთი მოყვანებად ეპისკოპოსთა იმრუსალიმისთა, და ანტიოქისთა, და რომისთა და ალექსანდრისთა...“ ე. ი. იწეება იმ ადგილიდან, სადაც მოთხრობილია იმპერატორის კონსტანტინეს და დედა მისის ელენეს მოქცევა ¹⁾).

მირიანისაგან მოციქულის გაგზავნა მეფე კონსტანტინესთან და იქიდან ეპისკოპოს-მღვდლების გამოგზავნა ჩვენს ვარაიანტში უფრო გრძელად არის მოთხრობილი, ვინემ შატბერდის კრებულებიდან გამოცემულ ქართლის მოქცევის ვარაიანტში ²⁾).

ამ მოთხრობას მოსდევს შინაარსი იმ ფურცლისა, რომელიც შატბერდის კრებულში დაკარგულია. ამის შესახებ ბ. თაყაიშვილი ბრძანებს: „სამწუხაროთ ჩვენდა ხრახნიკას ერთი ფურცელი აკლია, კიდევ კარგი, რომ დაკარგული ფურცელი მეფეების ჩამოთვლას და ისტორიას არ შეეხება, არამედ ხალხის მოქცევის დაწვრილებით მოთხრობას, ანუ, როგორც ჩვენ ვთვითქობთ, უფრო პატრიოსანის ჯგარის აღმართების ამბავს“ ³⁾).

რასაკვირველია, ეს დაკარგული ფურცლის შინაარსი არც ბ. თ. ჟორდანიასაგან დაბეჭდილ ქრონიკაში ⁴⁾ შეიძლებაოდა უოთილი-უო, რადგანაც ორივე გამოცემილები სარგებლობდნენ ერთად ერთის ქართლის მოქცევის ვარაიანტით, ვინაიდან სხვა ვარაიანტი მაშინ ცნობილი არ იყო. მართლაც, დიდად სამწუხარო იქნებოდა, რომ ეს ადგილი დაკარგოდა მეცნიერებას, რადგანაც აქ არის ერთი, ჩვენის აზრით, ძვირფასი ცნობა, რომელიც ნათლად ამტკიცებს, რომ არსებობდა უფრო ძველი წერილობითი შრომა, ანუ, როგორც თვით ვარაიანტი ამბობს, წიგნი ქართლის მოქცევისა, რომლითაც სარგებლობდა ჩვენის ვარაიანტის ავტორი.

მოფიქვანთ ამ ადგილს შეუმოკლებლად.

„ითხროვეს ხე ეპისკოპოსზმან და ნინო, რათა შექმნან ჯგარა და

¹⁾ შუალ. სამი ისტ. ქრონიკა, გვ. 13 და თ. ჟორდ. ქრონ. 1, გვ. 27.

²⁾ შუალ. სამი ისტ. ქრონიკა გვ. 16 და ჩვენი ვარაიანტის 1 და 2 ფურცელი.

³⁾ სამი ისტ. ქრონიკა, გვ. LXXIX.

⁴⁾ ქრონიკები... 1, გვ. 31.

ძიება ეგეს ხურათა ¹⁾, და ჰოვეს ხე ერთი მდგომარე ბორცსა ზედა კლდისას, რომელსა ფურცელი მისი არასოდეს დასცუოდა, და სულ აჭმოჲ იყო ხე იგი და შუშნიერი ფრად (ფ^დ), ვითარცა მადლით ქრისტე შემოსილი, და ადგილი იგი ბორცუი შეუვალი იყო კლდისაგან, და უთხრეს მეფესა და ეპისკოპოსსა. ხოლო მეფემან წარგზავნა ძე თვისი (თ^{სი}) რეჟ და მთავარდაკონი. იხილეს შუშნიერად დგომამ ხისა მის ფორცლუჲ და ჟამთა არისთა და იტყოდა მთავარდაკონი იგი მუხლსა და ვითისსა, ვითარმედ (ვ^დ) ესე ხე არს დანერგული თანა წარსავალსა კლდისსა ზეკარდამთა ცურითა მორწყული, და ფურცლენი მისნი არა დასცუვენ უკუნისამდე. და უბრძანა ხურათა მოკუჭთა ხისა მის და შექმნეს სახე ჰატიოსნისა ჯვარისა, ვითარცა ასწავა მთავარდაკონმან, სამგუამად შექმნეს ხისა მის ტანისგან სამნი ჯვარნი, და აღმართნეს მცხეთას, ვითარცა სწერია მცირესა შას მოკლედ აღწერილსა მას წიგნსა ქართლისა მოქცევისსა, გრიგოლ დიაკონისა მიერ აღწერილსა. და ერთი ჯვარი აღმართა მირიან მეფემან მთასა ზედა მადნარისსა, რომელსა ჰქვიან თხოთიისა, და ერთი იგი მახლობლად ჰატიოსნისა ჯვარისვე. და წარავლინა მირიან მეფემან და ითხოვა საბერძნეთით ქვისა მთელენი და კირით ხურონი, და მოსცა მეფემან, და წარმოვიდეს, ერუშეთს დადგეს საძირკუჭელი ეკლესიისა და დაუტევეს ფერხთა ფიცარნი მავხოვრისნი, უფლისა (ო^{ის}) ჩვენისა იესო ქრისტესნი. და წარმოვიდეს მანგლისს და დადგეს საძირკუჭელი ეკლესიისა, და დაუტევნეს სამსჭუალები და ესრეთ მოვიდეს მცხეთად. და იწყო მეფემან შენებად ქვითა ეკლესიასა გარეუბნისსა. და ვითარცა ცნა მეფემან, რამეთუ დადგეს საძირკუჭელი ჰირველ (ჰ^ლ) ერუშეთს და მანგლისის და დაუტევნეს მუნ სასურველები, იგი ფიცარნა და სამსჭუალები, აღივსო ურვითა და დააყენა საქმე მოსწრაფებისა, ვიდრე არა ისწავა მთავარეპისკოპოსისაგან, ვითარმედ შენთანა არს ამას ქალაქსა შინა სამოსელი ქრისტესი უოვლად ზეკარდმოქსოილი, რომელი ჯვარის მცომლთა მათ განიუვეს და კუართი იგი ამათ ისუჭდრეს, ჩრდილსა ამას ქალაქსა შინა დათარეს, და აწ შეიღწი მათნი არიან, ვინ უწყის, თუ ადგილიცა იცოდენ, ხოლო ჟამი მისი მერმე არს, ოდეს

¹⁾ უ—ნის მაგიერ აქ და მრავალ სხვა სიტყვებშიც იხმარება ო—ნი.

გამოჩნდეს დიდებით ქვეყანას ზედა. ეგრეთვე ხალხი ელიასი აქავე დამარხულ არს. და აღივსო სიხარულითა მეფე, და მუის მახად უფელთა ქურიათა და ქკითხა, თუ ნამდუილვე, და მათ აუარეს მართალი და არა უარევეს, და თქვეს, ვითარმედ აქეთ წაგოდეს ელიოზ ცხეთელი, და ღონგინოზ კანისელი, და თაღენავ და მისაელ და კუართისა მის თქვეს წილით ხუჭდრებაჲ ამითი, ხოლო ადგილი იგი უარევეს. მაშინ განმხიარულდა მირიან მეფე, რაჟამს ეუწვა, ვითარმედ პირველ მოწვეულ იყო ¹⁾ კუართი იგი ქრისტესი იჭრუსალიმით მცხეთად, მადლობდა ღმერთისა და იტყოდა: კურთხეულ ხარ შენ უფალო (ო[~]) ისეო (ი[~]ჯ) ქრისტე (~ქე), ძეო ღვთისა ცხოველისაო, რამეთუ შენ პირველვე გენება ხსნაჲ ჩვენი ეშმაკისაგან...“ (ფურც. 2 და 3).

მოფიქვანთ კიდევ რამდენსამე ადგილს განსხვავებათა ჩვენებით შატბერდის ქართლის მოქცევის ვარიანტთან.

ჩვენი ვარიანტი:

შატბერდის ვარიანტი:

ა) ხოლო ამით ჟამითგან მეთესა წელსა წარვიდა ელენე დედოფალი იჭრუსალიმად მოძიებად ჟვართა და მე იესუსა წელსა ივლტოდა დედაკაცი ვინმე შეუეთაგანი ავადგი ²⁾ რომლისა სახელი რითუსიმე... (ფურც. 1).

მით ჟამითგან მეთესა წელსა წარვიდა ელენე იჭრუსალიმად ძიებად პატოისნისა ჟვართისა, და მეთათხმეტესა წელსა ივლტოდა დედაკაცი ვინმე შეუეთა ევადაკი³⁾ სახელით რითუსიმე (სამი ისტ, ქრან. გვ. 13 და 14).

ბ) მაშინ სანატრელმან მან დედოფალმან ნანა თქვა: „კურთხეულ არს ღმერთი...“ (ფ. 3).

მაშინ ნეტარმან მან დედაკაცი მან ნინო თქვა: „კურთხეულ არს ღმერთი...“ (გვ. 17).

გ) და ნინო კვალად წარვიდა კახეთად, დაღვა კწარეთს და მონათლნა კახნი და სუჟნი არითურთ მათით, და კვალად (კ[~]დ) გა-

1) აქ ო — ნის მაგიერ დედანში უ — ნია ხვარებული; ამნაირი ხმარება უ — ნისა ო — ნის მაგიერ ჩვენის ვარიანტის სხვა ადგილებშიაც არის

2) ეს სიტყვა ჩვენის ვარიანტის ნინოს ცხოვრებაშიაც აგრევე იკითხება (იხ. ფ. 16), შატბერდისით — კი — „ევადაკი“ (იხ. ახალი ვარ. წმ. ნინოს ცხოვრებისა გვ. 13). მნიშვნელობა ამ სიტყვისა იხ. Источники грузинских летописей Е. Такайшвили, გვ. 18, სხოლ. 2.

რდვიდა დიდად კახეთად, დადგა სანატრელი იგი ჭველ დაბას, და მოიუყანს კახნი მთავარნი ამთვე მეფეთა ნათესავნი, და ნათელსცა, და განიშორა ნათლვამ მათი. ხოლო მას ვამსა ვინადგან დასნუჯდა... (ფ. 4). ეს ადგილი შატბერდის კრებულისა დადამოებულ დიდ სრახნიკაში შეტრდომით გამოტოვებულია ¹⁾, რუსულ თარგმანში კი არის ²⁾, მაგრამ უფრო მოკლეთ, ვინემ ჩვენს ვარიანტშია.

დ) მოთხრობა წმ. ნინოს მიტვალება და დასაფლავებაზე ჭელიშის ვარიანტში უფრო ვრცელია. მაგალითად, შატბერდის ვარიანტში არ არის შემდეგი ადგილი;... დაჰკრძალეს ძლეუთ შემოსილი გუმი მისი ადგილსავე თვისსა (თსსა) ბოდს, სოფელსა კახეთისსა და ვითარ შესაძლებელ არს თქომად, თუ რაუდენტა ცრემლთა ანუ რაუდენტა გოდებათა საღმობიელთა აღმოიტოვდეს მეფე და დედოფალი. ხოლო მე (მეფე?) არა განეშორა საფლავსა მისსა წმიდასა (წა) ვიდრე (?) ბანაკითურთ მისით ვიდრე შუიღლემდ და რყო კრებად დიდძალი, რამეთუ კურნებანი მრავალნი აღესრულებოდეს მადლითა ქრისტესითა და ნეტარ არიან, რომელნი აღსრულებდენ ხსენებას მისსა, რამეთუ დიდს მადლსა დიკს იქნებოან, ხოლო მეშუდესა დღესა შეწირეს ესა მი საფლავსა ზედა მის წმიდისასა და წარვიდა მეფე მირიან და უფელი კრი (ფ. 4 და 5).

ე) იქმოდეს ეკლესიასა ზემოსა, და განასრულეს მეოცესა წელსა, და მეოცდა ერთესა წელსა მოკდა მირიან მეფე, დაუმარხა საშუალსა ეკლესიისსა სულტიისა კერძოსა მის სამხრითისსა (ფ. 5).

ვ) ამან ბაკურ მეფემან, ძემან რვეისმან, დაიწყო წილკნისა ეკლესია და განასრულა უცდა (ოცდა) მეთაერთმეტესა წელსა (ფ. 5).

იქმოდეს ზემოსა ეკლესიასა ჭვითა და განიშორეს მეოთხესა წელსა, და მოკუდა მირიან მეფე და დაეფლა საშუალსა სუეტისა სამხრითისა ჩრდილოეთ კერძო (გვ. 21).

მუათესა წელსა ამან ბაკურ დაიწყო წილკნისა ეკლესია და განიშორა ოცდამეთათმეტესა წელსა (გვ. 22 და 23).

¹⁾ სამი ისტორ. ქრონიკა, გვ. 19

²⁾ Источники груз. летописей Е. Такайшвили, გვ. 24.

ზ) მაშინ (მშნ) მთავარ-ეპისკოპოსი იუო ნერსე (ფ. 5).

თ) და შეოთხედ მისს ვარაზ-ბაკურ, და მისზე სპარსნი შემოვიდეს, და მეუე ხიდრად უკუჯდა. მაშინ მოვიდა ხუარ სპარსთა მეუისა ჰატიახები ტფილის და კ'დ (კვლად თუ კალად?) ტინედ, და ქართლი მისს ხარკსა შედგა, და სომხითი, და სივნიეთი, და გუარასპორაგანი, ხოლო ამისზე აღაშენებს აზნაურთა ეკლესია გიორგი წმიდისა მცხეთას და მიათვალეს დიდსა მას ეკლესიას სოფლებითურთ (ფ. 5).

თ) მთავარ-ეპისკოპოსი იუო მიქაელ. ამან მიაშთხუა ფერკი გორგოსალსა რომლისათუხ (რ-ისათ-ს) მიზეზისათვის და განაძო ეკლესიას. მაშინ მეუე აღიფსო გულისწერამითა მრავლითა, და ექტა ფერი ჰიჩისა მისისა, და განიზრახვიდა მრავალთა ბოროტთა დამხობად ქრისტიანობისა, არამედ დმერთმან, რომელსა არაფისი ქნებაეს წარწემედაჲ, მოუუღინა გულსა მისსა კეთილი გან-

მთავარ-ეპისკოპოსი იუო ნერსე სომეხთა კათალიკოზის დიაკონი იობ (გვ. 23).

და შემდგომად მისა დადგა ვარაზ-ბაკურ მეუედ და მისს-ზევე სპარსთა მეუისა მარზა ჰარნი შემოვიდეს სივნიეთა და იგი ხიდრთ უკუჯდა, და მთავარ ეპისკოპოსი იუო იგივე იობ. და მაშინ მოვიდა ქრამ ხუარ-ბორ-ზარდ, სპარსთა მეუისა ჰატიახები, ტფილისად ქალაქად ციხედ, და ქართლი მისსა ხარკსა შედგა, და სომხითი, და სივნიეთი, და გუასპურაგანი. და მისსზე აღაშეხეს აზნაურთა წმიდაჲ იგი ეკლესიაჲ მცხეთას და მოთაუდეს დიდსა მას ეკლესიას სოფლებითა ქარდაგებითა ქართლს შინა (გვ. 23, 24 და 25).

მთავარ-ეპისკოპოსი იუო მიქაელ, და მან მიაშთხუა ფერკი ჰიჩისა მეუისასა ვახტანგს. ხოლო მეუემან წარავღინა მოციქულნი საბერძნეთა და ითხოვა მეუისაგან და ჰატრკარქისაგან კათალიკოზი (გვ. 28 და 29).

ზრახვამ. ადღა და განიპურნა ხელნი თვისნი ღვთისა მიერ (ღისა მ^რ) და თქუა: „დიდება შენ- და ქრისტე ღმერთო, რამე არს საქმე ესე, და ვაება მისცა მტერსა, და მსწრაფელ წაკავლინნა მოციქულნი საბურსეთად და ითხოვა შეთვისკან და ჰატრიაჟის კათალიკოზი (ფ. 5 და 6).

ი) და მე: ია. მეფობდა დანი, და კათალიკოზი იყო სამოელ. ამისსაზე ქაღაქს თფილის კანნი დასხდეს და მარიამ (მ^რმ) წმიდისა (წ^რსა) ეკლესია ალაშენეს (ფ. 6)

კ) მე: იღ სხვამ ფარსმან და კათალიკოზი იყო საბა, მკუი- დრი მცხეთისა, აქადგან ერთა სხუთა დაიპურეს ქათალიკოზობამ მეუიღრთა მცხეთისთა (ფ. 6)

ღ) მაშინ მოვიდა იოანე (ი^ე) ზედაზადენელი (ზედა- დნელი) შუა მდინარით იგი და თორმეტნი მონაფენი მისნი ქართლის მოქცევიტგან მეორასესა (მეურასესა) წელსა (ფ. 6).

მ) ამის ბაკურისზე დაესრულა მეფობა ქართლისა და ვითარცა მეფობამ დაესრულა ქართლს ში-

და ამის შემდგომად მეფობდა დანი უჭარმოელი და კათალიკოზი იყო სამოველ და მისაზე ტფილისს დასხდებოდეს, (და მათ) წმიდამ ეკლესიამ ადა- შენეს, და კათალიკოზი იყო ჰეტრულ (გვ. 30 და 31).

და მისა შემდგომად მეფობდა ფარსმან სხვამ, და კათალიკოზი იყო დასაბოა, მკვდრი მცხეთელი; და იქითგან ერთა სხლთა აღიდეს კათალიკოზობამ მცხეთელთა მკვდრთა, და მისვე მეუი- სსზე კათალიკოზი იყო ევთათლ (გვ. 31 და 32).

მაშინ მოვიდა ნეტარი იოვანე ზედაზადენელი მდინარით ასურეთისამთ იგი, და ათორმეტნი მონაფენი მისთანა მოვიდეს (გვ. 32).

ამის ბაკურისზევე დაესრულა მეფობამ ქართლისამ. მაშინ მცხეთამ ათხელდებოდა და თფილისი

ნა, სპარსნი განძლიერდეს და ერეთი, და სომხითი დაიპურეს, ხოლო ქართლი უმეტესად დაიპურეს, და კავკასიანთა შევიდეს და კარნი უფსეთისნი აიგნეს და ერთი დიდი კარი უვსეთსვე (უფს თვე), და ორნი დვალეთს, და ერთი პარჭუანს ღორძოკეთისსა და იგი მთიულნი (მთ. ო. ღნი) გამარდად დადგინეს, და სხუა (სხ. ა) ვინმე კაცი დაიდგინეს მთავრად წანარეთისა ხევისა და მორჩილება დასდევს მისი. და ოდეს (უდეს) ერეკლე მეფე მოვიდა, მაშინ დაიპხონეს სპარსნი, და სპარსთა ხაზარეთისა კარნი შექმნეს და ხაზარნი მეოტუვნეს. ესე აღწერილი გამოკრებულად არს. მაშინ სპარსნი უფლებდეს ქართლსა, და სომხითსა, და სიფნეთსა, და გუას ჰორაკანსა. და კათალიკოზი იყო სამუჭლ მე. იბ. და ნელიადრე შეკრბა ქართლი და ერისთავ განჩინეს გუარამ დიდი. ესე იყო შირველი ერისთავი, და შერმე კურაშაღატადცა იყო. ამან ერისთავმან დადგა საძირკუჭლი პატრიოსნისა ჯვარისა (ჯ. ისა) და თფილისისა დიდის ეკლესიისა; ნახევარსა იქმოდეს ერისთავნი და ნახევარსა უოველი (შ. ი) ერი და კათალიკოზი იყო ი. ბ. ბართლომე (ფ. 6).

ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალაჲ განდიდებოდა. სპარსნი უფლებდეს ქართლს, და სომხითს, და სიფნეთს და გუასპარაკანს, და კათალიკოზი იყო სამოველი, და ნელიად [რჭ] შეკრბა ქართლი, და გან [ა] ჩ [ი] ნეს ერის[თავ]ად გუარა (მ) [და შერმე კურაშაღატადცა]. ამან და(ღ)ვა ს (ა) ფუ. ძველი ზატი (ოსნისა) ჯვარისაჲ, და ამასზევე იყო კათ (ალიკოზი) (სა)მოველი სხუაჲ (სხ. ა) და ტფილ (ისისა) მკვიდრთა დიდსა ეკლესიას დაწვეს. ნახევარსა იქმოდეს უოველი ერი და ნახევარსა ერისთავნი, და კათალიკოზი იყო ბართლომე (გგ. 33 და 34)

ამ ამოწერილ ადგილების შესახებ მოგვყავს რამდენიმე ჩვენს მოსაზრებანი, რომელნიც, ჩვენის ფიქრით, ისტორიისათვის არ უნდა იქმნენ ინტერესს მოკლებულნი.

1) ჰატივცემული ქართლის მოქცევის ჰირველი ნაწილის გამოცემული მიაქცევს უკრადლებას ერთ მინაწერს, რომელიც მოიპოება შატბერდის ქართლის მოქცევის ვარიანტის ბოლოში. ეს მინაწერი მოგვითხრობს შემდეგს: „წიგნი ქართლისა მოქცევისაჲ, რომლითა დასკრთმან ნათელი გამოაბრწუნა, დასაბამი წმიდათა ეგლეისათა გამობრწუნებისაჲ... ვითარცა ტალანტი წინამძღვართაგან დაფარული, შემდგომად მრავალთა ჟამთა და წელთა ვაპოეთ“¹⁾. ამ მინაწერიდან მას სამართლიანად გამოყავს ის დასკვნა, რომ სხვა და სხვა თქმულებანი, შედგენადის ახანამედროვე ჰირთაგან, „უცნობი და გაბნეული უოფილა“ და შემდეგ დროებში შეუკრებიანთ ერთად და მიუცნიათ ის სხე, რომელიც ახლა ქართლის მოქცევას აქვს²⁾. — მაგრამ როდის უნდა მომხდარიყო ამ თქმულებათა შეკრება, როდის მიიღო ქართლის მოქცევამ ახლანდელი მისა სხე? ჩვენს სავსებით ვეთანხმებით იმ აზრს, რომელიც ქართლის მოქცევის შედგენას მიაწერს მე-VII საუკუნეს. თუმცა ქართლის მოქცევის ხრონიკა მოუგანილია მეცხრე საუკუნემდის³⁾ და ეს უგველას აფიქრებინებს, რომ ის შედგენილი უნდა იყოს ამ საუკუნეში, მაგრამ ამის წინააღმდეგია ხრონიკების ხასიათი სტეფანოზ II-დი (639—663) და მის შემდეგ. სტეფანოზის დროელი ქართლის მოქცევა იძლევა ზოგიერთ ცნობებს და უმთავრეს ისტორიულ ფაქტებს თითოეულ მეფე-ერისთავის დროს და აგრეთვე ცნობებს იმაზე, თუ რომელი კათალიკოზი რომელ ერისთავის ან მეფის დროს განაკებდა საქართველოს ეპისკოპოსს. სტეფანოზის შემდეგ კი ხრონიკის ხასიათი იცვლება და გზდავთ მხოლოდ ერისთავ-კათალიკოზების მშრალ ჩამოთვლას. ეს და ზოგი-

1) სამი ისტ. ქრონიკა, გვ. XCII და ახალი ვარ. წმ. ნინოს ცხოვრებისა, გვ. 74.

2) სამი ისტ. ქრონ., გვ. XCII-XCIII.

3) ჩვენის ვარიანტით აშოტის ძმის გურგენამდის, შატბერდის ვარიანტით-კი აშოტ კურაპალატის ძმის გვარამამდის (ჩვენი ვარიანტი ფ. 7. და სამი ისტ. ქრ. XCIII და 87.)

ერთი სხვა მოსაზრებებიც ქართლის მოქცევის გამოცემელს აძლევს საბუთს იფიქროს, რომ ამ ხრონიის ავტორი ცხოვრებულა არა უკვიანეს სტეფანოზ II-ის დროისა ¹⁾ და რომ შემდეგ დროებში ქრონიკა თან და თან შეივსებოდა ახალ შეუუკათალიკოზების მიმატებით.

ჩვენს ვარიანტში შეუუკათალიკოზთა ქრონიკას აქვს აშინარივე ხასიათი, მაგრამ არის ცოტადენი განსხვავებაც კათალიკოზების დასახელებასამოთვლაში. ცხრა ცოდოსან კათალიკოზთა შემდეგ არ არიან მოსხვებულნი ის 18 კათალიკოზი, რომელნიც ჩამოთვლილნი არიან შატბერდის ვარიანტში და ამის მაგიერად აქვს ის მინაწერი, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ... „ხოლო ჯომლოდ ევნოსისითვან მოღმართ იყვენეს კათალიკოზნი—მ'ე, ხოლო ამისა შემდგომად, ვინც შეიცვლებოდის კათალიკოზთავანი იწერებოდის“. ეს მინაწერი თავის მხრით ამტკიცებს, რომ შეუეთა და კათალიკოზთა ქრონიკა შერმე თავ-თავის დროს შეივსებოდა, ე. ი. როგორც თვით მინაწერი მოკვითხრობს, „ვინც შეიცვლებოდის კათალიკოზთავანი, იწერებოდის“.

2) ჩვენი ვარიანტი იხსენიებს ქართლის მოქცევის წიგნს, რომელიც მოკლედ აღწერია გრიგოლ დიაკონს. „შექმნეს სამნი ჭვარანი და აღმართნეს მცხეთას, ვითარცა სწერია მცირესა მას მოკლედ აღწერილსა მას წიგნსა ქართლისა მოქცევისსა, გრიგოლ დიაკონისა მიერ აღწერილსა“.

ჩვენ არ ვიცით, ვინ არის ეს გრიგოლ დიაკონი და ან როდის სტხოვრობდა იგი, მაგრამ, თუ ჩვენის ქართლის მოქცევის შედგენა მიეწერა მეშვიდე საუკუნეს, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, მაშინ უკუგვლია ეს გრიგოლი ცხოვრებულა მეშვიდე საუკუნეზე ადრე. აქიდან ისიც მტკიცდება, რომ მეშვიდე საუკუნემდე არსებობდნენ სხვა და სხვა ისტორიულნი წერილობითნი თქმულებანი, რომელთაცან მეშვიდე საუკუნეში უნდა შემდგარიუო ის ქართლის მოქცევა, რომლის ვარიანტები ახლა ხელთა გვაქვს. ამასვე, ჩვენის აზრით, ამტკიცებს ჭელიშის ვარიანტის ის შენიშვნა, რომელიც იმპერატორ ერეკლეს

¹⁾ იგივე, გვ. XCIII-XCIV.

მოსდგაზე, სპარსთაგან ხაზარეთის კარის შექმნა და ხაზართა განდევნაზე მოთხრობის შემდეგ არის ჩამატებული: „ესე აღწერილი გამოკრებულად არს*ო¹⁾. უველა ეს თავის მხრივ დამამტვიცებელია იმისი, რომ სხვა და სხვა ღირს შესანიშნავი ისტორიული მოთხრობანი და ქრონიკა მეფეთა და ქათალიკოზთა იწერებოდნენ თანამედროვეთაგან, როგორც ამას მოწმობს ცხოვრება წმ. აბისი²⁾ და ქართლის ცხოვრება³⁾.

შესაძლებელია, რომ დიაკონი გრიგოლი ქართლის მოქცევის თანამედროვე თუ არა, ერთი იმ პირთაგანი მაინც იყოს, რომელნიც აღწერდნენ დიდმნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენათა იმ დროს, როდესაც თანამედროვეთ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დაუწერებელი ნახულები, როდესაც შეეძლოთ ამთავან მოთხრობილი წერილობით გარდაცვათ შთამომავლობისათვის.

3) აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩვენი ვარიანტი ვარაზბაკურის დროს (379—393) მოიხსენიებს აზნაურთაგან წმ გიორგის ეკლესიის აღშენებას. ეს ფაქტი მოწმობს, რომ საქართველოში წმ. გიორგის კულტი ძალიან ადრე შემოსულა. მართლდება ის აზრი რომელიც ამტკიცებს, რომ ეს კულტი საქართველოში პირველად გაჩნდა და აქედან გავრცელდა სხვა საქრისტიანო ქვეყნებში⁴⁾. მართლაც და არც ერთ სხვა ქრისტიან ერში წმ. გიორგი არ არის იმდენათ პატივცემული, როგორც ქართველ ერში, არც ერთ საქრისტიანო ქვეყანაში არ არის იმდენი ტაძრები ამ წმიდის სახელზე, რამდენიც საქართველოშია, არც ერთი წმიდანი არ არის თვით საქართველოში ისე შაღლა დაუენებული, როგორც წმ. გიორგი. რით აიხსნება ამნაირი პატივისცემა და უველა წმიდანებზე უფრო შაღლა დაუენება წმ. გიორგისა საქართველოში?

წმ. ნინოს და წმ. გიორგის ნათესაობა ერთმანეთში და ის გარემოება, რომ ორივე შთამომავლობით იუვენენ ქართველთა ტომი-

1) იხ. ფურცელი 6.

2) საქართველოს სამოთხე, გამ. საბინინისა, გვ. 333.

3) ქართლ. ცხ. 1, 181 და 184.

4) П. Иоселиани. Различныя наименованія грузиновъ, გვ. 27.

სა, რაც ჩვენ სხვებთან ერთად ¹⁾ უკვე აღ მიგვაჩნია, იყო წმ. გიორგის კულტის აშინი ადრე მიღების მიზეზი ჩვენში. მისადგობა ის აზრიც, რომ წმ. ნინო ეტლებოდა გაურცელებია მისგან მოქცეულ ერში პატრიარქმა იმ ხანებში წამებულს, მისი ახლობელი ხათესავის წმ. გიორგისა, დაესხა იგი ქართველთა ერის მფარველ-პატრონად და აუშენებია მის პატრიარქებად და მოსახსენებლად ტაძრები ²⁾. ამასვე ხელს უწყობდა ისტორიული კარმოკობაც, რადგან გამუდმებული მტრებთან ბრძოლა ქართველებს ხლდა ახიან-მეომარ ხალხს და საქართველოს — სამარ ბანაკად. აშინარ ხალხს არ შეეძლო განსაკუთრებული ყურადღება არ მიექცია იმ წმიდანისათვის, (რომელიც ქართველთა მონათესავე ხალხის შვილი იყო და მასთან სხედ-განთქმული და ძლევა მისილი მეომარიც. ეგელა ეს ხელს უწყობდა იმას, რომ ქართველ ერს გაესხა მთავარმწამე გიორგი ნაციონალურ წმიდანთ და დაესხა მთელი ერის მფარველ-პატრონად.

პატრიარქ. მ. ჯანაშვილის სიტყვით: „წმ. გიორგი (+ 305) ³⁾ წმიდა ნინოს რჩევითვე გამოცხადებულ იქნა საქართველოს მფარვე-

¹⁾ ჩუბინაშვილი. ქართველთა მოსახლობის კვალი მცირე აზიაში ისტ. ნარკვევები ანუ ქრისტომატია გამ. კუნიასი, გვ. 52 და 53). როფ. ხახანაშვილი. Древнѣйшіе предѣлы разсел. грузинъ по Малой Азии, გვ. 30 და Очерки по исторіи груз. скотоводства, вып. 1, 248; ვახუშტი. საქარ. ისტ. ბაქარის გამოცემა, გვ. 23. და Descrip. géogr. de la G., 52 и 53; ი. კავკაზადე—Армянскіе ученые и во. піюшіе камни, გვ. 105; მ. ჯანაშვილი. ვახუშტის გეოგრაფია გამ. 1904 წ. წინასიტყვაობა, გვ. მგ. და Исторія Груз. II, 1, стр. 16 და სხ.

²⁾ ბოდბის ძველი ტაძარი, სადაც დასაფლავებულია წმ. ნინო, აშენებულია წმ. გიორგის სახელზე. ამ ტაძრის აღშენებას ვახუშტი მიაწერს ბაქარს (342—364), მირიან მეფის ძეს (Descrip. géogr. de la G. 309) და თუ ეს მისაღებია, თუ თავიდანვე ეს ტაძარი წმ. გიორგის სახელზე არის აგებული, მაშინ უნდა ვიგულისხმოდ, რომ ის ეკლესია, სადაც მირიან მეფემ დაასაფლავა წმ. ნინო და მეშვიდე დღეს, როგორც ჩვენი ვარიანტი ამბობს, უამის წირვა გადაახდევინა და რომლის ადგილზე ბაქარმა აღაშენა ახლანდელი ქვის ტაძარი, წმ. ნინოსგანვე უნდა ყოფილიყო აღშენებული წმ. გიორგის სახელზე.

³⁾ წმ. გიორგის წამება მოხდა 303 წ. (იხ. Полный мѣсяцесловъ Востока. Архіеп. Сергія, т. II, 119).

დად. იმთავითვე ქართველები მას სახეგდნენ სამეფო ნიშნებზე, აღამებსა და მეომართა ჩათხუტებზე.“ ძველადვე წესად შემოვიდა ამ წმიდანის ხსოვნის დღესასწაულობა 10 ნოემბერს და 23 აპრილს და თვით ნოემბრის თვეს ქართველ ხალხმა ამ წმიდის პატივსაცემლად უწოდა მისივე სახელი გიორგობისთვე ¹⁾).

ეს აზრი სხვათა შორის მტკიცდება არა ქართულ წყაროების მოწმობითაც. წმ. ნინო წმ. გიორგის წამების შემდეგ აშენებდა ტაძრებს²⁾ მის სახელზე და ამ დროიდან საქართველომ აღიწია იგი თავის მფარველად და სახელმწიფოში მიიღო მისი სახე სამეფო ღერბშიც. ეს პატივისცემა წმ. გიორგისა საქართველოდგან მალე გვხვდება აღმოსავლეთში და დასავლეთშიც ³⁾. ეს ადგილი ჰლ. იოსელიანის მოჭყაყს ნებანდერის თხზულებიდან ⁴⁾. მასვე მოჭყაყს სხვა მწერლის ამნაირივე აზრი და თვით დასძენს: „მართლაც სათქმელად, რომ ქართველებს უგელაზე ადრე აღიწიოთ წმ. გიორგი თავიანთ მფარველად“ ⁵⁾).

არსენ კათალიკოსის მიერ ქართლის მოქცევიდან შედგენილ საკითხავებში სწერია, რომ შირიან მეფემ „უბრძანა აღშენებდა ეკლე სიათა მთასა ზედა თხოთისასა სახელსა ზედა დიდებულისა მოწამისა გიორგისა, რამეთუ მუნ მიიღო ნათელი თვალთა“ ⁶⁾).

ჩუენი ქართლის მოქცევის გარიანტიც ამ არსენ კათალიკოსის

¹⁾ საქართ. ისტ. მეორე გამოც. 1, გვ. 150.

²⁾ პლატ. იოსელიანი: Описание гор. Душета, გვ. 20 სხოლ. 10. და Браткая ист. Груз. ц., გვ. 15.

³⁾ ამ თხზულების სათაურია Allgemein Geschichte der christlichen Religion u. Kirche vom Neander 1, Hambourg. 1829.

⁴⁾ პლ. იოსელიანი. Различные наименования грузиновъ, გვ. 27.

⁵⁾ ცხოვრება წმ. ნინოსი გამოც. საეკ. მუზეუმისა. გვ. 39. როგორც სჩანს მინაწერიდან არსენ კათალიკოსი ამ საკითხავების შედგენის დროს სარგებლობდა ქართლის მოქცევიით და, უეჭველია, ზემო ამოწერილი ადგილი იქნებოდა ქართლის მოქცევის იმ გარიანტში, რომლითაც კათალ. არსენი სარგებლობდა. ამაში თითონ გვარწმუნებს, როდესაც ამბობს, რომ, რაც დედანში ეწერა, იმისთვის „არცა შემიმატებია, არცა დამიკლია, არამედ ძალი სიტყვსა და გამოცხადებაჲ საქმისაჲ მოკლედ და მარტივად წარმომითქუამსო“ (იქვე, გვ. 51 და 52).

საკითხებიდან ამოღებულ სიტყვებთან ერთად ამოწმებს აქ გამოთქმულ მოსაზრებას. თუ ვარაზ-ბაკურის და თვით შირიანის დროს ქართველები უკვე აშენებენ ტაძრებს წმ. გიორგის სახელობაზე, რომელიც იმავე საუკუნის დასასრულში იწამა, ეს ნათლად ამტკიცებს, რომ კულტი ამ წმიდანის შემოსულა საქართველოში ძალიან ადრე და, მართლაც შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ სხვა ხალხებზე უწინ დაუწიათ წმ. გიორგის ზატივისცემა. ამის დასაბუთება არ არის უმნიშვნელო საზოგადოთ ისტორიისათვის და კერძოთ და განსაკუთრებით კი საეკლესიო ისტორიისათვის.

4) ვახტანგ გორგასალის ძის დანის დროს (499—514) ჭელიშის ხრონიკა მოიხსენიებს მარიამ წმიდის ეკლესიის აღშენებას. ეს მარიამ წმიდის ეკლესია სიონის ტაძარი არ უნდა იყოს, რადგანაც ამ უკანასკნელ ტაძრის საძირკველი ჩაიუარა გვარამ დიდი კურატ-ზალატის დროს (575—600), როგორც ამას მოწმობენ ქართლის მოქტევის ფარიანტები ¹⁾ და ქართლის ცხოვრებაც ²⁾.

5) ატცამეტ ასურელ მამათა მოსლვა საქართველოში ჩვენს ფარიანტში მოხსენებულია ამ ნაირად: „მაშინ მოვიდა იოანე (ი.ე) ზედაზადენელი შუა მდინარით იგი და თორმეტნი ნაწაფენი მისნი ქართლის მოქტევით მეორასესა წელსა“ (ფ. 6). შატბერდის ფარიანტში სიტყვები: „ქართლის მოქტევით მეორასესა წელსა“ გამოტოვებულია ³⁾. ქართლის ცხოვრებით ამ წმ. მამების მოსლვამდის „მირიანიოთგან გარდახდა წელნი ორასნი და მეფენი იბ“⁴⁾. თუ ქართლის მოქტევის დროთ მივიღებთ 332—333 წ., როგორც ნინოს ცხოვრება მოიხსენიებს ⁵⁾, ასურელ მამათა მოსლვა საქართველოში ჩვენის ფარიანტით მოხდებოდა 532 ანუ 533 წ. შირიანის შემდეგ მეთორმეტე მეფე იქნება ფარსმან V ⁶⁾, რომელიც მეფობ-

¹⁾ იხ. ჩვენი ვარიანტი, ფ. 6 და სამი ისტ. ქრონიკა, გვ. 34.

²⁾ ქართლ. ცხოვრება 1, 161.

³⁾ სამი ისტ. ქრონ., გვ. 32.

⁴⁾ ქარ. ცხოვრ., გვ. 151, სხოლიო 6.

⁵⁾ ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა, გვ. XXV.

⁶⁾ აქ ფარსმან V ჩათვლილი არ უნდა იყოს, თუმცა, თუ ამ ანგარიშს მივიღებთ, ასურელ მამათა მოსლვა მოხდებოდა ფარსმან V მეფობის მეოთხე ან მეხუთე წელს.

და 528 და 542 წლებ შუა 1) და მაშასადამე ეს ცნობა ეთანხმება ქართლის მოქცევის ჩვენი ვარიანტის ცნობას. აქედან შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართლის ცხოვრება ორას წელიწადს ანგარიშობს მირიანის მეფობის იმ წლიდან, რომელშიაც მოხდა ქართველთაგან ქრისტიანობის მიღება. შესაძლებელია, რომ შატბერდის ქართლის მოქცევის ვარიანტში გადაწყვეტილებას შებენიან იუფს გამოტოვებულ იქნა დასახელებული ჩვენი ვარიანტის სიტყვები. ქართველთა ერისაგან ქრისტიანობის მიღება დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს ისტორიაში და ამისთვის საფიქრებელია, რომ ქართველთა მოქცევის შემატანე ამ ფაქტს უფრო მიაქცევდა ყურადღებას, ვინემ მირიან მეფის სიკვდილს. რომ ეს მისაღებია, ამას მოწმობს ის გარემოება, რომ კათალიკოზობის დაწესების დროს აღნიშნვა ორივე ქართლის მოქცევის ვარიანტით ნახვარიშევა ქართლის მოქცევიტგან და არა მირიანითგან 2).

ქართლის ცხოვრებით კი თუ ორას წელიწადს ვიანგარიშებთ მეფე მირიანის სიკვდილითგან (542 3), ასურელ მამათა საქართველოში მოსვლა იქნებოდა — 542 წელს. როგორც ქართლის ცხოვრება 4), ეგრეთვე ვახუშტის ისტორიაც 5) ამ წმ. მამათა მოსვლას მიაწერენ ფარსმან VI დროს და ეს ეთანხმება კიდევაც ამ უკანასკნელ ანგარიშს, მაგრამ ეს მაინც იმას არ ნიშნავს, რომ აქ ეჭვის შემოტანა არ შეიძლებაოდეს. გადაწყვეტით კი მიღებულ ქრონოლოგიის წინააღმდეგ რამეს თქმა არ შეიძლება მით უმეტეს, რომ თვით ქართლის მოქცევის ვარიანტებიც წმ. ასურელ მამათა მოსვლას დასდებენ „ფარსმან სხუამს“ ან ფარსმან VI დროს, როდესაც კათა-

1) ვახუშტის ისტორია ბაქრაძის გამოც., გვ. 103 და 314.

2) სამი ისტ. ქრონ., გვ. 29 და ჩვენი ვარიანტი, ფ. 6. თუ მივიღებთ, რომ ორასი წელი ნაანგარიშევა ქართლის მოქცევიტგან, მაშინ იმაშიაც უნდა დავრწმუნდეთ, რომ ქარ. ცხოვრებაში მოხსენებულ თორმეტ გარდაცვალებულ მეფეებში უნდა უსათუოდ იგულისხმებოდეს მირიანიც.

3) იხ. ვახუშტის ისტორია, გამ. ბაქრაძისა, გვ. 312; ქართლის მოქცევიტ კი მირიან მეფე მიიცვალა 343 ანუ 344 წ. (ახალი ვარ. წმ. ნინოს ცხოვრ. XXV).

4) ქართ. ცხ. გვ. 151.

5) ვახუშტ. ისტორია, გვ. 104 და 314.

ლიკოსობდა ევლალე. მართალია, ქართლის ცხოვრების მეორე შენიშვნა გვეუბნება, რომ „მეფობითგან მიკიან მეფისათა, ვიდრე მეორისა ფარსმანისა გარდახდეს წელნი ორასნი და მეფენი გარდაცვალებულთა მეთმეტნი“ (ა¹), მაგრამ აქ ფარსმან VI გამეფების წლის აღნიშვნაა შეატრიანესკან და ასურელ წმ. მამათა მისეელის დროს არ შეეხება.

6) ჭელიშის ვარიანტიში სწერია, რომ თრდატ მეფის დროს „მთაფრეებისკობისი იყო ნერსე“ (ა, მაგრამ ცხადია აქ გადაშწერისკან შეცთომით გამოტოვებულია სიტყვები: „სომეხთა კათალიკოზის დიაკონი იობ“, რასაც აზრი შეუცვლია²). ამის გარდა უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ვარიანტიში არ არიან მოხსენებული შემდეგნი კათალიკოზნი: სუმონ ფარსმან მეფის დროს³), ბაკურის დროს — სიმოველ⁴), ფარსმან V დროს — თაფაჩაგ და ჩიმაგა⁵), ბაკურ III დროს — სიმოველ და სიმონ-პეტრ⁶) და ფარსმან VI დროს — ევთათ⁷) ანუ ევლალე⁷).

7) აღარანსე ერისთავს შატბერდის ვარიანტით ჭყავდა შეილება: სტეფანოზ, აშოტ კურატპალატი და გურამ⁸). ჭელიშის ვარიანტიში-კი სტეფანოზ არ არის მოხსენებული და გურამის მაგიერ დასახელებულია გურგენ, ეს ცნობა გურგენზე სახსებით ეთანხმება სუმბატის ისტორიის და ქართლის ცხოვრების ცნობას⁹). გურამ, ძე აღარანსისი, არც ჩვენის ვარიანტით და არც ამ უკანასკნელი წყაროებით არ არის ცნობილი.

ამით ვათავებთ ქართლის მოქცევის პირველ ნაწილზე საუბარს

¹) ქართ. ცხ., გვ. 159).

²) შეად. ჩვენი ვარიანტი, ფ. 5 და სამი ისტ., ქრონ. გვ. 23.

³) ჩვენი ვარ. ფ. 6. და სამი ისტ. ქრ., გვ. 26.

⁴) ჩვენი ვარ. ფ. 6. და სამი. ისტ. ქრ., 31.

⁵) იქვე.

⁶) იქვე.

⁷) იქვე. ფურ., 6. და სამი ისტ. ქრ., გვ. 82.

⁸) სამი ისტ. ქრონ. გვ. 31 და 82.

⁹) ქართ. ცხ. 1, 186. Источники грузинских летописей еп. таყაიშვილისა, გვ. 47, სხლიო 5 და ქრონ. 1, 71 თ. ჟორდანიასი.

და არ შეეუდგებოთ სხვა განსხვავებათა ჩვენებას. არ შევაწუხებთ მატრიცემულ საზოგადოებას არც ჩვენის ვარიანტის მეორე ნაწილის განსხვავებებზე საუბართ. მოვიხსენებთ მხოლოდ ორიოდ.

ეს მეორე ნაწილი ქართლის მოქცევის ჩვენის ვარიანტისა თავებათ არის დაუყოფილი, მაგრამ ცოტა განსხვავებით შატბერდის ვარიანტისაგან. წმ. ნინოს ცხოვრებას მიუძღვის შესავალი, რომელიც ორ თავად არის გაყოფილი და რომელიც შინაარსით განსხვავებულია და მასთან გაცილებით ვრცელია¹⁾. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას მეორე თავზე, რომელიც არ მოიპოვება შატბერდის ვარიანტში²⁾. მოვიუყანთ ამ ადგილიდან იმ ნაწილს, რომელიც, ჩვენის აზრით, უფრო მნიშვნელოვანია.

... ადომარა³⁾ შერითა სადმერთათა (სდ^რთათა) და სურვილითა წმიდისა სიონისა, კათალიკე ეკლესიისათა, რომელი იგი წმ. ნინოს მიერ მოენიჭა სოფელსა ცნობად ნათელი ჭეშმარიტი. მაშინ დედოფალი იგი სუჯი წარმოქმნათა ხილვად და თავგანისცემად წმიდისა სიონისა და წმიდისა მახარებელისა, მოციქულთა სწორისა ნინოსი, და სლვასა მას მისსა შინა იტყოდა მოწოდებდ, ვითარმედ მამათა ჩუწნთა (ჩ^წნთა) ვერ გულის ხმა უკეს ცხაჲესე ჭეშმარიტი, რომელი იგი გვითხროიან ვაჭართა ჰრომთა და ბერძენთა, ვითარმედ ჩვენნი მეუენი ესრეთ მეუობენ და ესრეთ არიან ეკლესიანი და ჟვარსა (ჟ^ვარსა) ქრისტესსა (ქ^რსტესსა) თავგანისცემენ, და ვითარცა მესმის, მარადის (მ^რდს) შევისვარი ცრემლითა ცხელითა, ვითარცა სისხლითა, ხოლო აწ თუალითა (თ^ლლითა) ჩემითა ვიხილე ნათელი

¹⁾ შეადარე ახალი ვარ. წმ. ნინოს ცხოვრებისა. გვ. 1 და 2. და ჩვენი ვარიანტი, ფ. 8—12.

²⁾ თუმცა ზოგიერთი რამ ამ ადგილიდან მოთავსებულია წმ. ნინოს ცხოვრების ვარიანტებში: იოანე ნათლის მცემლის და შიომღვიმისაში (ახალი ვარ. წმ. ნინოს ცხოვრებისა, გვ. 1, სხ. 2) და აგრეთვე საბინინის და საეკლესიო მუზეუმისაგან გამოცემულ წმ. ნინოს ცხოვრებაში (საქ. სამოთხე, გვ. 149—150, ცხ. წმ. ნინოსი, არსენ კათალიკოზის მიერ შედგენილი, გამ. მუზეუმისა 1903 წ., გვ. 36 და *Источники груз. християнств.*, გვ. 51, სხ. 1), მაგრამ ისიც არა სრულად და დიდის განსხვავებით ჩვენს ვარიანტთან.

³⁾ იგულისხმება დედოფალი სუჯი.

გამობრწყინებად წარმართთა ზედა. ხოლო აწ რაჟმე შევსწირთ შენ-
და, სიონ წმიდაჲ, გარნა თუ ესე: ჰირველად (ჰ'დ) შევსწირთ თა-
ვი ჩემი შვილითურთ და ნათესავით სარწმუნოებით ჩემით; და მე-
რედ: ქალაქნი კინი ბარათიანი ¹⁾ და დაბაჲ დიდი ბოდისი
შენდა შევსწირნე, და არღარა აღხდა ეტლსა ზედა, არამედ ფერხნი
მისნი შიშულნი მიწასა და ქვათა ზედა მოვიდოდეს და მოიწია
მდინარესა არაკოსა²⁾...“

ამის შემდეგ მოთხრობილია დედ. სუჯის არაკვზე გასვლა და
დიდის პატრიოთ მიღება მისი მუფე და მთავარ-ეპისკოპოსისაგან.
აკრეთვე მოყვანილია შინაარსი იმ წერილისა, რომელიც მისწერა წმ.
ნინომ მუფე შირაანს. უველა ამ განსხვავებების დასახელებას აქ
ჩვენ არ შეუდგებით. მოფიქვანთ მხოლოდ ამ წერილის შემდეგ მო-
თხრობილს, — აბათარ მღვდლისაგან ნაამბობს.

... მოუწოდა აბათარს ასტირონ მთავარმან გუასპარაკნელმან
ფარულად და ჭრქვა: „მუწევე სავგარელო, შენ არა ჭურიათა მღვდე-
ლი იყავ, წილით ხუჭდრებული, მკუიდრი, რამეთუ არიან წელნი
ვინათგან მამანი ჩვენნი აქა მოვიდეს — ფგ, და ბაკენისნი იუ-
გენით. არა სადა ვისა სმია მათგანსა ქებაჲ ქრისტიანეთა, ხოლო აწ
ესერა შენ გხუდავ და ასულსა შენსა, რამეთუ უოველივე დაგიტევე-
ბიეს, და უოველი კრი შენი (შ'ი) სიტკუთა შენითა განკიბნევა, და ხე
იგი მუჭნი დაგიტემა და ბაკინი დაგიმხობია და უფროს უოველთასა
ხარ შენ მოსწრაფე ქრისტეს მსახურებისა ჭდაგ, აწუჭეგ და ასწავებ
და მნებაგს სმენად ძალი სიტყვათა შენთა“. აბათარმა ვრცლად მოუთხრა
ისტორია თვისის მოქცევისა და შემდეგ დაუმატა: „დღეისითგან

¹⁾ საკვ. მუზეუმისაგან წმ. ნინოს ცხოვრებიდან შედგენილ საკითხა-
ვებში და საბინინისაგან გამოცემულ წმ. ნინოს ცხოვრებაში მოხსენებუ-
ლია: „ქალაქი ბართიანი“ (მუზეუმის გამოცემა—გვ 44 და საქართვე-
ლოს სამოთხე გვ. 150), ხოლო, პატ. ექვ. თაყაიშვილის თქმით, წმ.
ნინოს ცხოვრების სხვა ვარიანტებში (იოანე ნათლისმცემლისა გვ. 586 —
587 და შიომღვიმისა—358—359)—ქალაქი ბართიანი (Источ. грѹж.
лѣтописей—გვ. 51, სხ. 1).

²⁾ სიტყვებში: „შურითა“, „სურვილითა“, „სუჯი“, „თუ“ და
„არაგოსა“ „უ—ნის მაგიერ „ო“—ნია ხმარებული. (ფ. 8).

ქრისტესამდე არიან წელნი სამას ოც და ათოთხმეტი ო და ამ ხნის განმავლობაში დმურთმან არ მახვდინა მქადაგებელი, „ვიდრე დღესამდე, ოდეს (უდეს) მოხედნა დმურთმან ქვეყანასა ამას ქართლისასა, მოუვდინა დედაკაცი ერთი უბიწოჲ, მუუდროჲ მოშიშებიანა, დმურთ-შემოსილი წმ. ნინო, რომელისკან მიიღო ქრისტიანობა თვით აბათა-რმან და ნათესავმან მისმან ¹⁾.

ამ შესავალის შემდეგ იწეება თვით წმ. ნინოს ცხოვრების აღწერა, მაგრამ ჩვენს ვარიანტში მას არა აქვს სათაური და განუყოფელად მისდევს შესავალს ²⁾. შატერდის ვარიანტში კი სათაურად აქვს შემდეგი სიტყვები: „ცხოვრება წმიდისა ნინოსი“ ³⁾. ამ თავს ჩვენს ვარიანტში არა აქვს ბოლო, რადგან ერთი ფურცელი დაკარგულია. დაკარგულ ფურცელზე უნდა იწეობდეს ის, რაც შატერდის ვარიანტში შეათხე თავათ არის აღნიშნული ამ სათაურით: „თავი დ, აღწერილი მისივე სალომე უჯარმელისაჲ“ ⁴⁾, მხოლოდ არ ვიცით, ჩვენს ვარიანტში ეს ცალკე თავათ არის გამოყოფილი, თუ არა. მეექვსე თავი: „მოწვენაჲ წმ. ნინოსი მცხეთად, აღწერილი მისივე სალომე უჯარმელისაჲ“ ⁵⁾ ჩვენს ვარიანტში, როგორც სხვა ვარიანტებშიც ⁶⁾, ცალკე თავათ არ არის შეტანილი ⁷⁾. ამნაირი და სხვა განსხვავებებიც ბევრია ჩვენს ვარიანტში, მაგრამ ამ ხანად ამაზე სიტუგას არ გავაგრძელებთ.

შატერდის ვარიანტში მეფე კონსტანტინე და დედა მისი ელენეს მოქცევა დადებულია დასაბამითგან წელთა 5444-სა, ქრისტეს ამდღებითგან კი — 311 წელს, ნიკეას მსოფლიო კრება კონსტანტინე მეფის მოქცევიდან მეშვიდე წელს მომხდარა და მერვე წელს რიფსიმე, გაიანე, ნინო და სხვანი გამოქცეულან საბერძნეთიდან

¹⁾ იხილეთ ფურც. 11 და 12.

²⁾ იხ. ფურც. 12.

³⁾ ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა, გვ. 4.

⁴⁾ იქვე, გვ. 10.

⁵⁾ იქვე, გვ. 20.

⁶⁾ იქვე — სხ. 1 და *Источники груз. летописей. Три хроники*, გვ. 66, სხ. 3.

⁷⁾ ჩვენი ვარიანტი ფ. 18, გვ. 1.

და მოსულან „არეთა სომხითისათა“¹⁾. ჩვენს ვარიანტიში კი სწორია შემდეგი: „მაშინ მოხედნა დემეტრის საბერძნეთსა, და რწმუნა მეფესა კოსტანტინეს და ელენეს, დედასა მისსა, და ქრისტე დემეტრით სინარულით აღიარეს უოგედმან ერმან და ზალატ-ბანაკმან მათმან დასაბამითგანთა წელთა ხუთი ათას რვაას ორმოც და ერთსა, და ქრისტეს ამაღლებითგან სამას ათვრამეტსა წელსა, და წარემართა უოგელი საბერძნეთი ქრისტეანობასა ზედა. მეშუიღესა წელსა კრება იყო ნიკიას, და მერვესა წელსა იყო სივლტოღა ჩვენი საბერძნეთით“²⁾.

დასაბამითგან ქრისტეს შობადმდე გასულა: ქართულის ანგარიშით—5604 წ., ბერძნულით—5508 და აღექსანდრიულით—5500³⁾. თუ შატბერდის ვარიანტის ანგარიშს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ დასაბამითგან ქრისტეს დაბადებამდის გამოვა 5100 (5444—(311+33) წელი⁴⁾.

ჩვენი ვარიანტით დასაბამითგან ქრისტეს შობამდის ნანგარიშევა—5523 (5841—318) წ. და თუ მივიღებთ იმასაც მხედველობაში, რომ შესაძლებელია 318 წ. იუოს ნანგარიშევი ქრისტეს ამაღლებითგან, მაშინ გამოვა—5490 (5523—333) წ. კოსტანტინე მეფის მოქცევა კი დადებულია—318 წ.⁵⁾ და, თუ დასჯერებულია ორივე ვარიანტის რწმუნება, რომ ამ მეფის მოქცევის მეშვიდე წელს იყო ჰირველი მსოფლიო კრება, მაშინ ჩვენი ვარიანტის ანგარიში უფრო მისაღებია, რადგანაც ნიკეას მსოფლიო კრება მოხდა

¹⁾ ახალი ვარ. წმ. ნინოს ცხოვრებისა, გვ. 13 და 14.

²⁾ იხ. ჩვენი ვარიანტი, ფ. 16.

³⁾ ახალი ვარ. წმ. ნინოს ცხ. XXII, სხ. 3.

⁴⁾ იქვე XXIV, სხოლიო 2.

⁵⁾ ქართ. მოქცევით კოსტანტინე მეფისაგან ქრისტიანობის მიღების მათე წელს მომხდარა დედ. ელენესაგან პატ. ჯვარის აღმოჩენა. თუ მივიღებთ კოსტანტინე მეფის მოქცევის წლათ 310 ან 311 წ., მაშინ ჯვარის აღმოჩენა მოხდებოდა 320 ან 321 წ. ჩვენი ვარიანტით კი ეს მოხდებოდა 328 წ., რაც უფრო უახლოვდება ლებოს, ფლერის (Источники груз. летописей, გვ. 17, სხ. 2) და სხვათა გამოანგარიშებას (Исторія христіанскої церкви, Робертсона, ивд. 1890 г. т. 1, 175)·

325 წელს. ამ ანგარიშით წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლა მომხდარა 326 (318+7+1) წ.

მეორე ადგილს ჩვენს გარიანტსაც შემოაქვს სხვა ქრონოლოგია: დასაბამით გან ქრისტეს მოსვლამდე—5500 წელი ¹⁾, ამაღლებით გან კონსტანტინე მეფის მოქცევამდე—311 წ. და 14 წლის შემდეგ წმ. ნინოს მოსვლა საქართველოში ²⁾. ეს წინააღმდეგობა შეიძლება აიხსნებოდეს შეცდომით. ჩვენის აზრით, ქართლის მოქცევა ანგარიშობს ალექსანდრიული წელთა აღრიცხვით, რომელიც, ბ. ეჭვთაუაიშვილის თქმით, ჯერ ბერძნულის და მერმე ქართული წელთა აღრიცხვის შემოღებამდის იხმარებოდა საქართველოში ³⁾. ეს სხვათა შორის მტკიცდება იმითაც, რომ ჩვენი გარიანტი წმ. ნინოს მიცვალების დასაბამად გან—5838 წ. და ქრისტეს ამაღლებიდან (უნდა იგულისხმებოდეს ქრისტეს შობა)—338 წ. ე. ი. ქრისტეს შობამდის დასაბამით გან ანგარიშობს—5500 (5838—338 (წელს ⁴⁾). ამისთვის საფიქრებელია, რომ რიცხვი 5841 შეცდომით იუკს დასმული 5851 ან 5818 მაგიერ, ე. ი. „ორმოცდაათერთმეტის“ ან „ათურამეტის“ მაგიერ გადაწერს დაესვას „ორმოცდაერთი“. მაშინ კი, რასაკვირველია, არ იქნებოდა წინააღმდეგობა, ვინაიდან 5851—(318+33) და 5818 - 318 იქნება 5500 წ.

რაც შეეხება კონსტანტინე მეფის მოქცევის წლის აღნიშვნას, მაში შესაძლებელია სხვა და სხვაობა, რადგან ისტორიკოსებს მისი ნამდვილად სარწმუნოების გამოცდლა 312 წლიდან 320 წლამდის გამორკვეულად არ მიაჩნიათ. მის ქრისტიანობისადმი სიმპატიას და ამის მიხედვით ასეთ თუ ისეთ საქციელს მიაწერენ ჰოლიტიკურ მოსაზრებებს ⁵⁾. ამისთვის შესაძლებელია ამ ფაქტის აღნიშვნა სხვა და სხვა ჰიროტაგან სხვა და სხვა დროს და ეს დამოკიდებულია თი-

¹⁾ ეს სათვალავი სხვა ხელთნაწერებშიაც არის მიღებული (ახალი ეარ. წმ. ნინოს ცხ. გვ. XXIV, სხ. 2).

²⁾ იხ. ფ. 22.

³⁾ Источники груз. летописей... გვ. 74, სხ. 2.

⁴⁾ იხ. ფურც. 4.

⁵⁾ История христ. Церкви Дж. С. Робертсона, т. 1, 33.

თაყულის ჰინად შეხედულობაზე. მხოლოდ ეს კია, რომ 311 წლით არ შეიძლება მისი მოქტევა აღინიშნოს, რადგან ეს მოხდა 312 წლის მაქსენტიანთან ომის შემდეგ ¹⁾. უოველ შემთხვევაში ამ უკანასკნელ ანგარიშითაც, ჩვენის აზრით, ნინოს საქართველოში მოსვლის დროთ უნდა მივიღოთ 326 (311 + 14 + 1) წელი ²⁾. აქ ჩვენ 14 წელს გუმატებთ კიდევ ერთს, რადგან ვარაიანტიში ნათქვამია, რომ ნინო მოვიდა 14 წლის შემდეგაო.

აბათარი ამბობს, რომ «დღეისითგან», ე. ი. იმ დროდან, როდესაც დედ. სეკიმ და ასპირონ გუასპარაკანელმა ნათელი-დეს და მოვიდნენ მცხეთაში მოსალოცად, ქრისტესამდე არიან წლები 334»ო. ამ დროდან ასპირონის თქმით 503 წლის წინეთ მომხდარა ებრაელების დასახლება მცხეთაში. ეს 503 წ. უდრის 169 წელს ქრისტეს შობამდე. ამ ხანებში აღმოსავლეთს ფლობდა ანტიოქია ეპიტაზენე (170—164 ³⁾), რომელმაც 170 წ. გაილაშქრა ეგვიპტის წინააღმდეგ. მის იქ უოფნაში მოხდა ებრაელების აჯანყება, რამაც საშინლათ გაარისხა ანტიოქია და მანაც სასტიკად დასაჯა მუამობენი. შემდეგ წლებშიაც არ შეწვეტილა დევნულობა ებრაელების და მათი საწმუნოების წინააღმდეგ. მათ უკრძალავდნენ ღმთის-მისახურებას და უწვალოდ სტანჯავდნენ ვეკლას, ვინც არ დასტოვებდა მამა-პაპათა საწმუნოებას და არ მიიღებდა წარმართობას. მაკაბელთაგან ატეხილ ამბოხის შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა საქმე. ანტიოქია გამოსცა ბრძანება ამოწვევით ებრაელები და დაცარიელებული ადგილები დაესახლებიათ სხვა ტომის ხალხით ⁴⁾. უეტველია, ამ დროს ბევრი ებრაელთაგანი ნებით თუ უნებლიეთ მიაშურებდა სხვა ქვეყნებს და, როგორც მოწმობს ჩვენი ქართლის მოქტევის ვარაიანტიც, მცხეთაშიაც მასინ გადმოსულან. ჩვენის აზრით, ეს არ ეწინააღმდეგება ქართლის ცხოვრების თქმულებას ებრაელების ნაბუქდრონოსორის დროს

¹⁾ იქვე.

²⁾ ჩვენი ვარიანტის ერთი ადგილი გვიჩვენებს, რომ ნინოს და სხვათა სივლტოლვა საბერძნეთით მოხდა „მე იე—სა წელსა“ (იხ ჩვენი ვარიანტის პირველი ფურცელი).

³⁾ Библейская история. В. Завѣтъ. Лопухина, т. II, 1042.

⁴⁾ იქვე, გვ. 910—917.

გადმოსახლებაზე საქართველოში¹⁾, რადგან, უპირველესად, ჩვენი ვარიანტი მოკვითხრობის მხოლოდ იმ ებრაელებზე, რომელნიც შემდეგში გადმოსახლებულან და მიმატებიან უწინდელ დროებში შემოხიზნულ ებრაელებს.

მატბერდის ვარიანტის ამ ნაწილს ჭკლებია სამი ფურცელი²⁾. პირველი დაკარგული ფურცლის შინაარსი ჩვენს ვარიანტში დაცულია და მასში მოთხრობილია წმ. ნინოს მოგზაურობა საქართველოსკენ. როდესაც ნინო მოვიდა „თრაკიანის“ ტბასთან, — ამბობს დაბეჭდილ ნინოს ცხოვრებაში შეტანილი ადგილი, — ნახა მწყემსები, მათ ვითომ სომხურ ენაზე ესუბრა, გამკვითხა მათი გინაობა და სთხოვა ეჩვენებიათ მცხეთისკენ მიმავალი გზა. ეს ადგილი ქართლის მოქცევის გამომცემელს ჩურთავს შიო მღვიმის და იოანე ნათლის მცემლის ვარიანტებიდან³⁾. ჩვენს ვარიანტში არ არის მოხსენიებული, ვითომ წმ. ნინოს ესუბრას მწყემსებთან სომხურათ⁴⁾. შესაძლებელია, რომ არც მატბერდის ვარიანტის დაკარგულ ფურცელში ყოფილიყო ამნაირი ცნობა⁵⁾. საფიქრებელია, რომ ეს სიტყვები ჩამატებულია შემდეგში იმათგან ან იმათ გავლენით, ვისთვისაც ამნაირი ჩამატება ინტერესს არ იქნებოდა მოკლებული. რომ ეს სიტყვები შემდეგში

1) ქართ. ცხოვრება 1, 25.

2) ახალი. ვარ. წმ. ნინოს ცხოვრებისა, გვ. II, სხოლიო; 15—18; 24; 40—42.

3) იქვე. გვ. 15—17.

4) იხ. ფურც. 16, გვ. 2.

5) ამას რამდენათმე გვაფიქრებინებს შემდეგი: არსენი ქათალიკოზისაგან ეკლესიაში საკითხავად შედგენილ ნინოს ცხოვრებაშიაც არ არის ნათქვამი ნინოს მწყემსებთან სომხურად საუბარზე (მუზეუმის გამ. გვ. 15 და 16). არსენი კი ამ საკითხავის შედგენის დროს სარგებლობდა ქართლის მოქცევის ვარიანტებით, ან უკეთ ვსთქვათ ამ ქართლის მოქცევიდან ამოიღო პირდაპირ ის, რაც მისის მიზნისათვის საჭირო იყო. თუ არსენმა საჭიროთ ნახა ამოეღა ქარ. მოქცევიდან ცნობა ნინოს საუბარზე მწყემსებთან, უეჭველია მოიხსენებდა იმასაც, რომელ ენაზე საუბრობდა, რომ ამნაირი ცნობა ყოფილიყოს დედანში. მით უმეტეს, რომ, როგორც თვითონ ამბობს, მას იმისთვის, რაც დედანში იყო, არა დაუკლია რა (იხ. ზემოთ, გვ. 19, სხ. 5). ამისთვის საფიქრებელია, ქართლის მოქცევის უძველეს ვარიანტებში არ ყოფილა ეს ცნობა და შემდეგ დროების ვარიანტებში შეუტანიათ.

ჩაუმატებიათ, ჩვენის აზრით, ამას ამტკიცებს მოთხრობის მიმდინარეობა.

წმ. ნინო შენიშნავს, რომ მწვემსნი „ხაღოდეს ღმერთთა მათა, დაწყუულთა არმაზს და ზადენს, და უთქამდეს შესაწირავთა, რაჟამს მოვიდეთო, დიღასა ადრე მივედ და გვითხე ერთსა მათგანსა; თუ რომლისა სოფლისანი ხართ თქვენ, ხაღო მან მომიგო მე: ზოგნი დაბით, ზოგნი საფორცლათ, და ზოგნი ქინჯარელნი და რაბატელნი დიღასა ქაღაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეუფენი მეუფობენ“¹⁾. აქიდან ნათლად სჩანს, რომ მწვემსები უოფილან ქართველნი მცხეთიდან, რომელთაც საეჭვოა სტოდნოდათ სომხური ენა.

ჩვენის აზრით, წმ. ნინოს ქართული ენა უნდა სტოდნოდა, რადგან თვითონ, როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, ქართველი ხალხის მონათესავე უნდა უოფილიყო. შესაძლებელია, ამ ენის ცოდნამ და მონათესავე ერის მოქცევის სურვილმა მისცა სუსტ დედაკაცს გაბედულობა ეტვირთა აზნაირი მძიმე საქმე. აღბათ ესევე იყო მიზეზი, რომ მისმა მოციქულებრივმა მოღვაწეობამ ისეთი დიადი ნაყოფი გამოიღო, როგორც არის მოქცევა და გაქრისტიანება მთელის ერისა.

მეორე დაკარგული ფურცლის შინაარსი დაბუჭდილ ქართლის მოქცევის მეორე ნაწილში ჩამატებულია წმ. ნინოს ცხოვრების ზემოქსენებულ ვარიანტებიდანვე²⁾. ჰატიგნიმული გამომცემელი სხოლიოში შენიშნავს, რომ ეს ჩამატებული ადგილი არ ეწეობა დედნის გაგრძელებას და შინაარსითაც მოკლეა, ვინაითგან დაკარგულ ფურცელზე ორჯერ მეტიც დაეტეოდა, ვინემ ეს ჩამატებული ადგილია³⁾. ჩვენის ვარიანტით ამ ადგილში არაფერი არ აკლია და ჩამატებასაც არ სჭირდება და კიდევაც იოანე ნათლის-მცემლის და შოა-მღვინის ვარიანტებიდან ჩამატებული მოთხრობა მართლაც მეტი გამოდის, რადგან აზრის მიმდინარეობას უშლის⁴⁾.

მესამე დაკარგულ ფურცლის შინაარსი ჩვენს ვარიანტში დანუ-

1) იხ. ჩვენი ვარიანტი, ფ. 16 და 17.

2) ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხ. გვ. 24.

3) იქვე, სხოლიო.

4) შეადარე: იქვე—24, ჩვენი ხელნაწერის მეოცე ფურცლის მეორე გვერდი და Источники груз. летописей, стр. 69, სხოლიო.

ლია და შიომღვიმის და იოანე-ნათლის-მცემლის ვარიანტებიდან ჩამატებულ ადგილს საზოგადო შინაარსით ეთანხმება, თუმცა განსხვავებად წერილმანებაში ბევრია ¹⁾).

საქართველოს სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიისათვის არ უნდა იყოს უმნიშვნელო ჩვენის ვარიანტის ის ადგილიც, სადაც დედ. სუჯი მოკვითხრობს, რომ წმ. ნინოზე დიდად ადრე ბერძენ-რომაელებს ქრისტიანთა ქართველებთან ვაჭრული კავშირი და რომ ეს ვაჭრები მისსიონერობასაც კი ეწეოდნენ ჩვენს ქვეყანაში, თუმცა, როგორც სუჯი აღსძენს, ამამათა ჩვენთა გერ გულის-ხმა უვს გზაჲ ესე ჭეშმარიტი“. მაშასადამე წმ. ნინოს მოსვლის წინა დროებში არა მარტო ებრაელთა საშუალებით შემოდოდნენ საქართველოში ქრისტიანობაზე ცნობები და ნინოს დროს ქართველები რამდენათმე უოფილან მომზადებულხი ქრისტეს მოძღვრების მოსასმენათ და მისადებათ.

გათავებთ ჩვენს მოხსენებას იმითვე, რითაც დაგიწყეთ: ჩვენ, როგორც არა სპეციალისტის ისტორიულ კითხვებში, არ შეგვეძლო უფრო საბუთიანათ შეგვედინა ეს ჩვენი მოხსენება და ამისთვის შეიძლება გერ დაგვაყოფილეთ ჰატ. საზოგადოების ცნობის მოუყარება. მაგრამ, თუნდაც ამ მოხსენებამ გერ დაგვაყოფილოს ისტორიის მცოდნენი, თუნდაც ჩვენი ვარიანტიდან მოუყანილი ადგილები და მათზე ჩვენი მოსაზრებანი არ გამოდგნენ უურადლების დიკსად, მაინც, ჩვენის აზრით, ისიც საკმაოდ უნდა ჩაითვალოს, რომ ამის შემდეგ გვეცოდინება არსებობა კიდევ ერთის ქართლის მოქტევის ვარიანტისა, რომელსაც სახელ ედება — „ჭელიშის ვარიანტი“. მარტო ამ უკანასკნელი მოსახრებითაც უნდა გვეპატიოს კადნიერება.

შენიშვნა. 23 გვერდზე მოხსენებული ვითომ დაკარგული ფურცელი აღმოჩნდა ჭელიშში ჩემგან ცალკე ნაპოვნ და შენახულ ფურცლებში. ამ ახლად ნაპოვნ ფურცელზე მართლაც იწყება ის, რაც შატბერდის ვარიანტში მეოთხე თავად არის აღნიშნული ამ სათაურით: „თავი დ, აღწერილი მისივე სალომე უჯარმელისა“, მაგრამ ჭელიშის ვარიანტში ეს ცალკე თავად არ ყოფილა შეტანილი.

არხიმანდრიტი ამბროსი.

1907. დეკ. 23.

¹⁾ შეადარე: ახალი ვარ. წმ. ნინოს ცხოვ., გვ. 40—42 და ჩვენი ხელნაწერი, ფურ. 25 და 26.

დავით კუროპალატის კენეალოგია.

(წაკითხული იყო საზოგადო კრებაზე 20 ნოემბერს 1907 წელს).

ვასტანგის რედაქციის „ქართლის-ცხოვრებაში“ დავით კუროპალატის კენეალოგიის შესახებ შემდეგი ცნობები მოიხვეჭება:

1. „გარდაიცვალა სუმბატ მეფე კურატპალატი, ძე ადარნასე მეფისა და ძმა დავით მეფისა, ქორონიკონს რომ (ე. ი. 958 წ.) და დაუტევნა ძენი ორნი: ბაგრატ (ანუ დავით) რეგენი, რომელი შემდგომად მამისა თვისისა მეფე იქმნა, და ადარნასე კურატპალატი. გარდაიცვალა ესე ადარნასე კურატპალატი ქორონიკონს სჯ (ე. ი. 983 წ.). გარდაიცვალა ძე ამის ადარნასესი დავით დიდი, კურატპალატი, აღსავეს სიკეთითა, რომლისა ამბავი ქვემოთ სიტყვამან ცხად ჰყოს, ქორონიკონს სკა (1001 წ.)“ (იხ. ქ. ც. ჭიჭინაძის გამცემა, გვ. 291).

2. „ხოლო ესე დავით კურატპალატი იგი არის, რომლისა სიკვდილი ზემოთ აღვეწერია სკა ქორონიკონსა ზე, რომელი იყო ძე ადარნასე კურატპალატისა, ძისა სუმბატ მეფე-კურატპალატისა.“ (იხ. ქ. ც. ჭიჭინაძის, გვ. 296).

3. „ხოლო ამას დავით კურატპალატსა არა ესვა შვილი და ესე ბაგრატ, ძე გურგენ მეფეთ-მეფისა, რომელი ეყოდა მამის ძმის-წულის წულად, გაეზარდა შვილად თვისად, და განდიდნა ესე დავით კურატპალატი უმეტეს ყოველთა მეფეთა ტაოსათა.“ (იხ. იქვე, გვ. 298).

ამ ამონაწერებთგან ჩანს, რომ ვასტანგ მეფის რედაქციის „ქართლის ცხოვრება“ დავით კუროპალატს სთვლის შვილად ადარნასე კუროპალატისა და შვილის-შვილად სუმბატ მეფე-კუროპალატისა. ამიტომ მეფე ბაგრატ რეგენი გამოდის მის ბიძად.

ვასტანგის ბატონიშვილიც თავის ისტორიაში ამასვე იმეორებს და

სწერს: „...და მივიდა წინაშე დავით კურაპალატისა. ხოლო ესე დავით მეფე იყო ძე ადარნასესი და ადარნასე იყო ძე სუმბატ მეფისა კურაპალატისა.“ (იხ. ბაქრაძის რედაქციით გამოცემული საქართველოს ისტორია ვახუშტისა, გვ. 132).

ბრასეცა და ბაქრაძე „ქართლის ცხოვრების“ და ვახუშტის მისუდვით დავით კურაპალატს სთვლიან სუმბატ კურაპალატის შვილისადარნასე კურაპალატის შვილად. ბრასე თავის საქართველოს იტორიაში ამბობს: „თვედლორემ ძლივს მოასწრო ქართლში გაქცევა და იქიდან დავით დიდთან კურაპალატთან, მეფე ბაგრატ რეგენის ძმის წულთან“ (იხ. ბრასეს საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 126). ხოლო «ქართლის ცხოვრების» დამატებას დანართებაში (Additions et Éclaircissements à l'histoire de la Géorgie) სწერს: Le fait est que ce David, qui fut à la fin du X-e siècle l' arbitre de la Géorgie était petit-fils de Soumbat“ (იხ. გვ. 176).

დ. ბაქრაძე თავის საქართველოს ისტორიაში სწერს: „დავითმა თავის შვილობილის ბაგრატ მესამისათვის—თვითონ იყო უშვილო—შეაერთა ერთ სამეფოდ ტაო, აფხაზეთი და ქართლი და თვით იმის სიცოცხლეშივე ბაგრატი (ეს ბაგრატ იყო დავითის ბიძაშვილის შვილი, ძე გურგენისა) დაჯდა მეფედ აფხაზეთში და შემდეგ ქართლში“ (იხ. გვ. 240).

დანარჩენი ქართველი ისტორიკოსები არაფერს ამბობენ დავით კურაპალატის გენეალოგიაზე და თავის სიჩუმიით თითქმის ეთანხმებან ბრასეს და ბაქრაძეს. ესეთი თანხმობა უკედა ისტორიკოსებისა და ბრძედ დაჯერება ვახტანგის ქართლის ცხოვრების ცნობებისა იმიტომ არის გასაკვირველი, რომ იმავე ბრასეს გამოცემულს „ქართლის ცხოვრებაში“ ჩართულია თეიმურაზის ვინაინტიტგან მომატება—ჩამომავლობა ბაგრატიონთა, სადაც დავით კურაპალატის გენეალოგიის შესახებ სულ სხვანაირს ცნობას ვპოულობთ.

იქ ერთს ადგილს სწერია: „გარდაიცვალა ძე ბაგრატ მაგისტროსისა (იგულისხმება ადარნასე კურაპალატი) ქორონიკონსა რვა (ე. ი. 961 წ.), რომელი ესე ძეთა შეიპყრეს და მონაზონ ქმნეს. მოკვდა უნებლიეთ ფიჩვითა მოსილი და დაუტყვნა

ძენი ბაგრატ და დავით ერისთავთ-ერისთავი. ესე ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი, ძე ადარნასე კურატპალატისა, გარდაიცვალა ქრონიკონს რპვ (იხ 966 წ.), ხოლო ძმა მისი დავით კურატპალტი იქმნა დიდად“ (იხ. ჭკ. ცხ. ზ. ჭინჭინაძის გამოცემა, გვ. 289—290).

მეორე ადგილს სწევრია: „გარდაიცვალა ადარნასე, ძე სუმბატ კურატპალატისა, ძმა ბაგრატ რეგვენისა, ქრონიკონს სზ ე. ი. 983 წ.“ და ძე მცირე დავით დაუტევა“ (იქვე, გვ. 290).

ამ ამონაწერთან ჩანს, რომ უფიქროსი რამე ადარნასე კურამბლადი, ერთი შეილი ბაგრატ მაგისტროსისა, მეორეა შეილი სუმბატ კურამბლადისა. პირველსაგ უფლა შეილი დავითი, მეორესაგ, მაგრამ მათ შორის ის განსხვავებაა, რომ პირველი დავითი წოდებულია დავით კურამბლად დიდად, ხოლო მეორე დავითი მხსენებულია მცირედ, ე. ი. ჯერ პატარად, მამის სიკვდილის დროს, 983 წ. ამ ერთ დავითთან ცხადია ჩვენს დავით კურამბლადის არის პირველი დავითი, შეილის-შეილი ბაგრატ მაგისტროსისა და არა სუმბატ კურამბლადისა, რადგან ამ უკანასკნელის შეილის-შეილი არც კურამბლად არის მხსენებული და არც სრულწოდვანად არის ცნობილი 983 წ.

ამინარად ბრძენს გამოცემულს „ქართლის ცხოვრებაშივე“ იყო მოთავსებული ისეთი წართ, რომელიც დავით კურამბლადის გენგლოგიის შესახებ სრულებით სხვა ცნობებს იძლეოდა, ვიდრე თვით „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი. ამისთანა განსხვავებულის ცნობების მიუხედავად არც ბრძენს და არც ბაქრაძემ სჯიროდ არ დაინახეს კრიტიკულად გაერჩიათ ეს ცნობები და ან ერთი უარ-უფით ან მეორე. ისინი თანხვე იმეორებდნენ მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ ცნობას და „დამატების“ ცნობას არაფითარს ანგარიშს არ უწევდნენ. ეს იმიტომ არის უფრო გასკვირვებული, რომ ქართლის ცხოვრების ცნობები დავით კურამბლადის შესახებ იწვევდნენ ბევრს გაუკებრობას. დ. ბაქრაძე იძულებული იყო გადაჭრით ეთქვა, რომ ქართლის ცხოვრების ცნობა, ვითომ დავით კურამბლადი გამოეუბლიუგეს ტომში 983 წ. მის მამის ადარნასე კურამბლადის შემდეგ, ტუვილი უნდა იყოს, რადგან დავით კურამბლადი უფრო ადრე ჩანს შეფლობულად

და შეუფლავ. ბაქრაძეს რომ მეტი უურადლება მიეჭრია „დამატების“ ცნობისთვის, ის იპოვიდა არა მარტო თავის ეჭვის დამამტკიცებელს და გამამართლებელს საბუთს, არამედ ბუერს სხვა გაუგებრობასაც მოს-
პობდა და სრულებით უარს ჰყოფდა მისგან სარწმუნოდ მიღებულს გენეალოგიას.

ბრასემ თუ არ მიაჭრია უურადლება „დამატებას“ და ბრმად დაუ-
ჭერა ვახტანგის „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს, ეს იმის ბრალია, რომ მან ჯერ კიდევ არ იცოდა დინსუბან-ნაკლუდეგანებანი ვახტანგის რედაქციის „ქართლის ცხოვრების“ და არ იცნობდა უძველესს ვარიანტს „ქართლის ცხოვრებისას“, რომელსაც ეწოდება მარიამ დედოფლის ვარიანტი. ხოლო ბაქრაძის შესახებ ეს არ შეიძლება ითქვას, რად-
გან იმას ხელთა ჰქონდა მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრება“, რომლის საფუძველით იმას შეეძლო გადაეწვიტა, თუ რომელი ცნო-
ბა უფრო მართალი იყო. საქმე ის არის, რომ მარიამ დედოფლის ვარიანტში. რომელიც არის უძველესი, არც ერთს ადგილს არ არის ნათქვამი, რომ დავით კურაშვილი უფთვლიუვს სუმბატის შვილის-
შვილი. ჩვენგან ზევით ამოწერილი ბრასეს გამოცემითგან პირველი ციტატა მაში სრულებით არ არის, აკრეფვე არ მოიპოვება მთლად მეორე ციტატა, ხოლო მესამე ციტატიტგან არ მოიპოვება სიტყვე-
ბი—რომელი ეყოლა მამის ძმის წულის წულად. ცხადია, უგელა ეს ადგილები, რომლებშიც მოხსენებულია დავით კურაშვილის გენეალოგია, შეტანილია ვახტანგის რედაქციისგან შეთვრამეტე საუკუნეში.

მეორე მხრით თეიმურაზის ვარიანტიტგან ბრასეს გამოცემაში ჩართული დამატება, როგორც ახლა აღმოჩნდა, ადებუღია სიტყვა-
სიტყვით სუმბატის ქრონიკიტგან, რომელიც მთლად მოთავსებულია იმავე მარიამ დედოფლის ვარიანტში.

ამანიად ჩვენ გვაქვს დავით კურაშვილის გენეალოგიაზე ორ-
ნაარი ცნობა. ერთს იძლევა „ქართლის ცხოვრების“ მეთვრამეტე საუ-
კუნის შემავსებელი, მეორეს მეთერთმეტე საუკუნის მექრონიკე სუმბატი. ამ ორის წუაროტგან, თქმა არ უნდა, უპირატესობა ეკუთ-
ნის სუმბატის ქრონიკას და ჩვენც დღეიდგან უნდა უარეუოტ ვახტან-
გის რედაქციის „ქართლის ცხოვრებაზე“ დაფუძნებული და ჩვენისის-

ტორიკოსებისაგან საჩუქრად მიღებული გენეალოგია და შვიდობთ რეგორდ ნამდვილი სუმბატის ქრთიკაზე დაფუძნებული გენეალოგია.

ახლა გამოდის, რომ დავით კურთხაღატი უფთლა შვილი აღარ-ნასე კურთხაღატისა და შვილის-შვილი ბაკრატ მაგისტრისისა. იმას ჭეულთა ძმა ბაკრატ ერისთავთ-ერისთავი. ამ ოს ძმას თავიანთ მამა შეუ-პყრათ და მონაზონად გაუხდიათ, ხლლ მისი სამეულბელო დაუ-ჭერია უფრის ძმას ბაკრატს ერისთავთ-ერისთავის წოდებით, რადგა უნდა მომხდარიყო 961 წელზე აღრე, რადგან ამ წელს მომკვდარა აღარნასე. უფრის ძმა ბაკრატი მომკვდარა 966 წ. და მის აღვი ღი დაუჭერია უმღრის ძმას დავითს, მასც ერისთავთ-ერისთავის წოდებით. შემდეგ მას მიუღია კურთხაღატობა, არა უგვიანეს 978 წლისა, რადესაც მან ამოუჩინა შემწეობა ბიზანტიას.

რადგა შეეხება სუმბატ კურთხაღატის შვილის-შვილს დავითს, იგი, სუმბატის ქრთიკის ცნობით, მამის აღარნასე კურთხაღატის სიკვდილის შემდეგ 983 წ. დარჩენილა მღირე, ე. ი. ჰატარა და, რეგორდა ჩანს, არაფრით არ გამოუჩინია შემდეგში თავი, რადგან სუმბატი მას აღარ იხსენიებს.

ცხლთა, ის სუმბატის ქრთიკა, რამელიც „ქართლის ცხოყრე ბის“ მეთრამეტე სუყუნის რელაქტორს ხელთა ქქინია და რამელით-განც შეუტანია მატინეში ცნობები ბაკრატინთა შესახებ, გარყენი-ღი და ნაკულფიანი უფთლთა, რის გამოც აურეგია ერთმანერთში დავით აღარნასეს შვილი, ბაკრატის შვილის-შვილი, და დავით აღარ-ნასეს შვილი, სუმბატის შვილის-შვილი.

რამ ვახტანგის რელაქციისგან ცნობილი სუმბატის ქრთიკა ნაკულფიანი უფთლთა სწორედ იმ აღვილს, სლაც დავით კურთხა-ღატა მოხსენებელი, ამას ცხლთა დავინახავთ, თუ მოკვებნით ვახ-ტანგის „ქართლის ცხოყრებაში“ სუმბატის ქრთიკის იმ აღვილს, სლაც მოხსენებულთა დავით დიდი. „ქართლის ცხოყრებაში“ ვკითხუ-ღობთ: გარდაიყვალა ძე ამის ბაგრატისა აღარნასე კურატპა-ლატი ქორონიკონს რპა. გარდაიყვალა ბაგრატ, ძე ამის აღარნასე კურატპალატისა, ქორონიკონს რპთ. გარდაიყვალა დავით მაგისტერი, ერისთავთ-ერისთავი, ძმა ამის ბაგრატისა, ქორონიკონს რპე“ (იხ. ქართ. ცხ., გამოც. ზ. ჭინიასისა,

285—286 გვ.). ეს ადგილი უდრის სუმბატის ქრანიკის იმ ადგილს, სადაც ვკითხულობთ: „გარდაიკვალა ძე ბაგრატ მაგისტროსისა ქორონიკონსა რპა... და დაუტევნა ძენი: ბაგრატ და დავით ერისთავთ ერისთავი. გარდაიკვალა ესე ბაგრატ ერისთავთა ერისთავი, ძე აღარნასე კურატპალატისა, ქორონიკონსა რპვ, ხოლო ძმა მისი დავით კურატპალატი იქმნა დიდათ“ (იხ. სამი ისტორ. ხრონიკა, გვ. 63). ამ ორის ადგილის შედარება გვიჩვენებს, რომ ფახტანგის რედაქციის ხელთ მოკფის სუმბატის ქრანიკაში, რაღაც შეცდომით, უკუწველია, გადამწერის უკულისურობით, დავითი მოხსენებულთა მაგისტროსად და გარდაცვალებულად 966 წ., იმ წელს, რომელშიაც მიიღვა მისი ძმა ბაგრატი, ხოლო ბაგრატის მიცვალების წლად მოხსენებულთა 969 წ. რაკი ასეთი შეცდომა შეეპარა „ქართლის ცხოვრების“ რედაქციას და ნამდვილი დავით დიდი კუროპალატი გარდაცვალებულად მოიხსენია 966 წ., მან დავით კუროპალატად აღიარა დავით მცირე სუმბატის შვილისშვილი, რადგან მისი მამაც აღარნასე იყო.

დ. კარიჭაშვილი.



ვინ უნდა იყოს „სუმბატის ქრონიკის“ ავტორი?

(წაკითხული იყო საზოგადო კრებაზე 20 ნოემბერს 1907 წელს).

დღეს სუმბატის ქრონიკად წოდებულს მატინეს აქვს შემდეგი გრძელი სათაური: „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, ჩვენ ქართველთა მეფეთასა, თუ სადათ მოიწივნეს ამას ქვეყანასა იგინი, ანუ რომლით ეამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა, რომელი აღწერა სუმბატ, ძემან დავითისამან“. ამხანად თვით ქრონიკა გვაუწყებს, რომ მის დამწერს რქმევია სუმბატი, ხელი მის მამას დავითი. სხვა ცნობას მის შესახებ ქრონიკაში ვერაფერს ვპოულობთ.

დ. ბაქრაძე სწერს: „სუმბატის ვინაობაზე ცნობა არა გვაქვს. ჩვენის ფიქრით ის უნდა იყოს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთაგანი, რადგანაც ამ ბაგრატიონთ ისტორია ქართლის ცხოვრებაში ეკუთვნის სუმბატსა. ამასთანავე მხოლოდ იმ ბაგრატიონთა შორის ვპოულობთ რამდენსამე სუმბატს დავითის ძეთა. იქნება იგია უკანასკნელი სუმბატ, რომლის სიკვდილსაც ქართლის ცხოვრება უჩვენებს 988 წ. და თუმცა სუმბატის ხრონიკა იმის სიკვდილსაც გადასცილდება, მაგრამ შესაძლებელია, რომ ეს შემდეგი სხვამ განაგრძო“. (იხ. საქ. ისტ. 55 გვ.).

თ. ჟორჯანიას სწერს: „რადგან სუმბატის ისტორია მოულოდნელად შეწყვეტილია სწორედ იქ, სადაც მოთხრობილია ბაგრატის დედის მარიამის საბერძნეთს გამგზავრება მშვიდობიანობის დამყარებისათვის, ამით საბუთი გვეძლევა ვიფიქროთ, რომ ამ ამბების დამწერი საბერძნეთში სცხოვრობს. ათონის აღაპებში მოხსენებული (MNL 56, 96, 121)

სუმბატ კუროპალატი (იხ. ზემო გ. 135), სუმბატ ერისთავი (იხ. ზემო გვ. 121) და მისი შვილი გურგენ, როგორც ვიცით, საუკუნოდ დარჩენილა საბერძნეთში, დედ-მამანი გურგენისა ბერად შესულან (ათონის აღაპი № 121), იქვე მომკვდარან და დამარხულან ივერთ მონასტერში (ibid. № 121) და მისი ცოლიც, ბერძნის ქალი, იქ დარჩენილა (ibid. № 56).

ეს ცნობები საბუთს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ სუმბატის ისტორიის დამწერნი უნდა იყვნენ ათონის აღაპებში და „კლემაქსში“ მოხსენებულნი სუმბატ კუროპალატი და ძე მისი გურგენ, რომელთაც საბერძნეთში გაატარეს უკანასკნელი დრო თვისის ცხოვრებისა. რადგან სუმბატი მოკვდა 992 წელს, ამის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ მისგან შედგენილი ისტორია მოყვანილი ყოფილა მხოლოდ ამ დრომდე (იხ. ქ. ცხ. გვ. 200), ხოლო ამის შემდეგ გაუგრძელებია მისს შვილს გურგენს, რომელიც მომკვდარა 1032 წლის ახლო ხანს, რადგან სწორედ ამ წელზე მოულოდნელად შეუწყვეტია თვისი მოთხრობა* (იხ. ქრონიკები, ტ. 1, 149 გვ.).

ქვ. თაყაიშვილი სწერს: „ჩვენის აზრით ავტორი ბაგრატიონების ისტორიისა მართლა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს უნდა ეკუთვნოდეს, როგორც სამართლიანად შენიშნავს დ. ბაქრაძე. მაგრამ შეუძლებელია ის იმ სუმბატ არტანუჯელად აღვიაროთ, რომელიც 988 წელს გარდაიცვალა“ (იხ. სამი ისტ. ქრ. CVIII გვ.). ბოლოს თაყაიშვილი დასკვნის: „ამიტომაც უნდა აღვიაროთ, რომ სუმბატს, ჩვენის ქრონიკის ავტორს, ჩვენ სრულებით არ ვიცნობთ, მაგრამ საქეშმარიტოდ მიგვაჩნია, რომ ის ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთაგან იყო და მეთერთმეტე საუკუნეში ცხოვრებდა“ (იქვე, CIX გვ.).

როგორც ვხედავთ, სამივე შეკვლეარი თანხმანი არიან ერთში — რომ სუმბატ დაფითის ძე უნდა იევეს ბაგრატიონთაგანი. საფუძველი ასეთის მოსაზრებისა არის ის, რომ სუმბატს, როგორც სამეფო გვარის წევრს, შეეძლო ქმნოდა ის საგვარეულო წყაროები, რომლებზედაც დაფუძნებულია მის ქრონიკის ცნობები. მართალია, შეიძლება, რომ რომლისამე ბაგრატიონთა გვარის წევრის თხოვნით

ან შეკვეთით შეედგინა გარეშე ზიკსაც ასეთი ქრახიკა, მაგრამ ეს შეკვეთით დაწერილი ქრახიკა სულ სხვა ხასიათისა იქნებოდა. სუმბატის ქრახიკას არ ემჩნევა სურვილი ვისიმე სიამოვნებისა. ის არის მხოლოდ კრებული უბრალო ცნობებისა, რომლებიც ანუსხულია ჯერ მეტად მშრალად და მოკლედ, შემდეგ ცოტა უფრო დაწვრილებით, მაგრამ მაინც ისევე მშრალად. ასეთი ცნობები უნდა იყოს დაწერილი არა წინად მიღებული რამე აზრით და განძრახვით, არამედ თანდათანობით და თითქმის შემთხვევით. ამისთანა შრომას სრულებით არა აქვს ხასიათი სხვის მინდობილობით შედგენილის ქრახიკისა. ამ საფუძვლით ჩვენც დარწმუნებული ვართ, რომ ქრახიკა უნდა იყოს შედგენილი ბაკრატიონთა გყარის წევრისგან, რომელსაც უნდა ხელთ ჰქონოდა საკვარეულო წყაროები, მომეტებულად წიგნების წარწერასი.

რაცა შეეხება სახელდობრ თვით ვინაობას სუმბატისას, სხვა და სხვა აზრისანი ჩრახ ბაქრადე და შორდანიას) თაუაშვილი კი ჰიკრად-ჰიკრ შუას ამბობს მის გამოცნობაზე. ბაქრადის აზრით, სუმბატ დავითის ძე, ავტორი ქრახიკისა, უნდა იყოს ის სუმბატ არტანუჯელი, ძე დავით მამფლისა, რომელიც იმავე ქრახიკის ცნობით გადაიცვალა 988 წ. ამ მოსაზრების წინამდებე ექ. თაუაშვილი საფუძვლიანად შენიშნავს: „თუ სუმბატის ცნობას მარტო 988 წლამდის ვიცნობთ და დანარჩენს მერმე მიმატებულად ჩავთვლით, გამოვა, რომ თითქმის ნახევარი მისი, რაც ეხლა სუმბატის ისტორიას შეადგენს, სუმბატს არ ჰკუთვნიება. ამას გარდა რიგი და წესი ხრონიკისა თავიდან დაწყებული ბოლომდის ერთგვარია, და არა ვგონებ, რომ ორი სხვა და სხვა ავტორის შრომას სრულებით ერთგვარი ხასიათი ჰქონდეს. სუმბატის ისტორია არა თუ გაგრძელებული არ არის, არამედ პირიქით ისე მოულოდნელად არის შეწყვეტილი ბაგრატ IV დედის მარამ დედოფლის გამგზავრებაზე საბერძნეთში, რომ თითქო რაღაც აკლიაო, თითქო ჩვენამდის სრულიათ არ მოღწეულა. ექვი არ არის რომ სუმბატი თავის დრომდის მოიყვანდა ბაკრატიონების ისტორიას და რეთიც უფრო თავის დროს დაუახლოვდებოდა, მით მეტი ცნობები ექნებოდა ხელში, როგორც თანამედროვეს. მართლაც და სუმბატი უფრო და-

წვრილებით მოგვითხრობს თავის ისტორიის ბოლოში გიორგი მეფის და ბასილი მეფის ომებს. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ავტორი თანამედროვე იყო ამ ფაქტებისა“ (იხ. საში ისტ. ქრონიკა, CVIII გვ.).

ექვ, თუაიშვილის კრიტიკას ჩვენ დაუმტკობო შემდეგს. ქრონიკის შემდგენელი რომ უოფილიყვეს სუმბატ არტანუჯელი, ეს შეიძინეფოდა იქითგან, რომ თავის დროის ამბებს იგი უფრო მეტს და უფრო დაწვრილებით მოიხსენიებდა, ვიდრე უფრო დაშორებულის დროისას. რადგან სუმბატი მოკვდა 988 წ., უკანასკნელის ორმოცის-ოცდაათის წლის ამბები, ე. ი. 948—958 წლებითგან 988 წლამდე უფრო დაწვრილებით იქნებოდენ დაწერილნი. ნამდვილად კი ატრე არ არის. ამ ხნის გამაფლობაშიც, როგორც წინ და შემდეგც მეთერთმეტე საუკუნის დამდეგამდე, სულ ერთნაირი ცნობებია აღნიშნული ბაგრატიონთა წევრებს—მეფეების და ერისთავების გამეფების თუ გაერისთავების, სიკვდილის და შვილთა რაოდენობის შესახებ. სხვა გვარი არაფითარი ცნობა არ არის მოხსენებული ამ ხნის გამაფლობაში.

სამაგიეროდ ქრონიკაში მეთერთმეტე საუკუნის დამდეგითგან მწკრადი უფრო მეტს ამბებს ასწკრს და მით უფრო დაწვრილებით გადმოგვცემს, რაც უფრო უახლოვდება 1032 წ., როდესაც თავდება ქრონიკა. ეს უველაფერი იმათ აიხსნება, რომ ქრონიკა დაწერილია ერთის კაცისკან, რომელსაც უცხოფრია მეთერთმეტე საუკუნის ჰირველს შესამედში.

თ. ფორდანიაც ქრონიკის დამწკრებად სთვლის ორს ჰირს—სუმბატ კუროპალატს, გარდაცვალებულს 992 წ. და მის შვილს გურგენს. იმის გარდა რაც ითქვა ბაქრანის აზრის წინამდეგ ორის დამწკრის შესახებ, ფორდანიას აზრი არის უსაფუძვლო იმით, რომ სუმბატ კუროპალატი, ძე დავითისა და მამა გურგენისა, გარდაცვალებული 992 წ. თვით ქრონიკაში არ არის ცნობილი. ქრონიკაში არის მოხსენებული სუმბატ, გადაცვალებული 992 წ., მაგრამ ის არც კუროპალატი ყოფილა და არც დავითის შვილი, არამედ ბაგრატი რეკვენისა. ამის გარდა მის შესახებ ქრონიკა ჰირდაჰირ ამბობს: „არა ესვა შვილი,“ მაშასადამე არც გურგენი ეუოლებოდა შვილად.

ამნაირად უოველსავე საფუძველს მოკლებულია მოსაზრებანი

როგორც ბაქრაძის, ისე ყორღანის სუმბატის ქრთნიკის ავტორის ვინაობის შესახებ.

ახლა ჩვენის მხრით გვინდა ამავე საკითხის შესახებ გავუზიაროთ საზოგადოებას ერთი მოსაზრება, რომელიც, ჩვენის აზრით, უფრო ჭკავს სიმართლეს და, როგორც ჭიბოთუზა, უფრო გაუძლებს კრიტიკას ვიდრე ზემოდ მოყვანილი მოსაზრებანა. ცხადია, რომ ქრთნიკას დამწერი სუმბატ დავითის ძე, როგორც იგი წოდებულია სათაურში, იყო თანამედროვე პირი ბაგრატი მესამისა, გიორგი პირველისა და ბაგრატი მეოთხისა, რომ იმას შეუწევია წერა მოულოდნელად, შემთხვევით, რაღაც გარეშე მიზეზის გამო, ჩვენის აზრით, სიკვდილის გამო. ეს პირი უნდა უოთღილიყო ძალიან ახლო განცობილი ბაგრატიონთა საგვარეულო დოკუმენტებთან, საითგანაც უნდა ამოეკრიფოს ცნობები იმ მოვლენათა და შემთხვევათა შესახებ, რომელნიც თავის თვალთ არ უნახავს და არ გაუგონია. ამისთანა პირი უნდა უოთღილიყო ბაგრატიონთაგანი. ახლა საკითხავია — რომელი ბაგრატიონი უნდა უოთღილიყო? ცნობილია, რომ ბაგრატი მეფემ კლარჯეთის ბაგრატიონთა წევრნი ზოგნი საპეროობილეში ჩამწვევლია, ზოგნი განდევნა საზღვარს იქით, ასე რომ მათგანი საქართველოში გიორგი მეოთხის დროს აღარავინ უნდა უოთღილიყო. ტაოს ბაგრატიონების ჩამომავლობაც აღარავინ იყო, რადგან დავით კურაპალატი სრულებით უმემკვიდრო დარჩა და მის სამთლობელო დაიჭირა ბაგრატი მესამემ. თუ რომელიმე ბაგრატიონი გადარჩებოდა დევნას და საქართველოში დარჩებოდა მეფეებთან დახლოებულად, ეს უნდა უოთღილიყო თვით მეფის მახლობელი ნათესავი, რომელიც მის შიშს და ეჭვს არ აძლევდა. რომ სუმბატ დავითის ძე, ქრთნიკის ავტორი, უნდა უოთღილიყო მახლობელი და შინაური კაცი სამეფო სახლისა, ეს იქიდან ჩანს, რომ მას ხელთ ჭქონია ბაგრატიონთა საგვარეულო დოკუმენტები. ეს დოკუმენტები კი მხოლოდ სამეფო სახლზე იქნებოდა მოკრთვილი, რადგან ბაგრატი მეფემ შიითვისა როგორც ტაოს ბაგრატიონთა, ისე კლარჯეთის ბაგრატიონთა უოთღილე ქონება. ტაოს ბაგრატიონებისა მას დარჩა მემკვიდრეობით დავით კურაპალატისაგან, ხოლო კლარჯეთის ბაგრატიონებისა უნდა მას ძალით ჩაეგდო ხელთ, როდესაც შეიპურა მათი უკანასკნელი წარმომადგენელი

და დააწვევია. ამ რიგად ბაკრატი მესამეს უნდა თავი მოეყარა ერთად ბაკრატიონების ნაქონის ძველის დოკუმენტებისა და წიგნებისათვის, რომელთა გაცნობა ადვილათ შეეძლო სუმბატ დავითის ძეს.

ნათქვამითგან გამოდის, რომ სუმბატ დავითის ძე უნდა უოფილიყო ბაკრატი მესამის მახლობელი ნათესავი და მის კართან თავისუფალის მისვლა-მოსვლის მქონებული. ვინ უნდა უოფილიყო მამი იგი? ისტორიაში არსად არის მოხსენიებული ბაკრატის მახლობელი ნათესავი სუმბატი, გარდა მის ბიძისა, რომელიც გარდაიცვალა 992 წ. და რომელიც ზევით მოუყვანილის სათუთველით შეუძლებელია ცნობილ იქნას ქრონიკის ავტორად. მაგრამ თუ სუმბატს არ ვიცნობთ ბაკრატის თანამედროვეს, ჩვენ ვიცნობთ დავითს, მის მახლობელს ნათესავს, რომელსაც შეეძლო ჰყოლოდა შვილი სუმბატი. ეს შვილი დავითისა იქნებოდა თანამედროვე როგორც ბაკრატისა, ისე მის შვილის გიორგისა და მის შვილისშვილის ბაკრატი მეოთხისა. ეს დავითი არის ბაკრატი მესამის შვილი (ბაკრატი რეგვენის) ძმის (ადარნასე კურაპალატის) შვილი დავით, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორმა უსათუძელათ დავით კურაპალატად აღნიშნა. თვით სუმბატის ქრონიკაში ეს დავითი წოდებულია დავით მცირედ, ცნობია, იმიტომ, რომ მამის ადარნასე კურაპალატის სიკვდილის შემდეგ (983 წ.) ის დარჩენილა შატრა. დაახლოებით რომ ვიანგარიშოთ დავით მცირე 1—10 წლისა მამის გადაცვალების წელს, იგი ქრონიკის ავტორის სუმბატის სიკვდილის წელს (1032 წ.) შეიძლებოდა უოფილიყო 50—60 წლისა და კიდევ უოფლებოდა 30—40 წლის შვილი.

ამნაირად ჩვენ ვხედავთ ანის შემდეგი: სუმბატი უნდა უოფილიყო შვილი დავითისა, რომელიც იყო ძე ადარნასე კურაპალატისა, ბაკრატი მესამის შვილი ძმისა. სუმბატი თავის ქრონიკაში სწერს: „გარდაიცვალა ადარნასე, ძე სუმბატ კურაპალატისა, ძმა ბაკრატი რეგვენისა, ქრონიკონსა სკ, და დაუტოვა ძე—დავით მცირე“ (63—64 გვ.). შესამჩნევი არის, რომ სუმბატი, რომელიც უჩვენებს უფლა ბაკრატიონის სიკვდილის წელს, არ იხსენიებს ამ დავით მცირის სიკვდილის წელს. ამას ჩვენ იმით ვხსნით, რომ დავითი სუმბატის სიტყვებში არ გადაცვლილა და 1032 წ. ის კიდევ ცნობილი უოფილა. აქედან ჩანს, რომ სუმბატი გადაცვლილა მამაზე

ადრე, ჭიელობაში, როგორც ჩვენ წინადაც ვიანგარიშეთ, ანა უხნეს 30—40 წლისა. დაფით აღარნასე კურთხაღატის შვილი, მამის სიკუდილის შემდეგ 98მ წ. დარჩენილი ჰატარად, უეჭველად, უნდა გაზდილიყო ბაგრატი მესამის ან მის მამის გურგენის ოჯახში და დახლოებული უნდა ყოფილიყო სამეფო ოჯახთან, რადგან ის იყო უმახლობელი ნათესავი ბაგრატისა. აგრეთვე მახლობელი უნდა ყოფილიყო ბაგრატიან და მის მიმყოფ მეფეებთან დაფითის შვილი სუმბატიც.

დ. კარიჭაშვილი.



ნაწილი მეორე.

I.

მეფე ადერკი და, ეგრეთ წოდებული, ორ-მეფობა
ძველ ივერიაში.

(წაკითხულია საზოგადო კრებაზე 8 ნოემბერს 1907 წ.)

ორი წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც „მოამბეში“ ჩვენი „წერილების“ პირველი ნაწილი გამოაქვეყნეთ¹⁾. მიზანი, რომელიც აღნიშნულ წერილებში დავისახეთ, იყო შემდეგი: მასალების კრიტიკულ-შეღარებითი შესწავლათ გვსურდა გვეჩვენებია ის გზა, რომლითაც შესაძლო ხდება ქართლის-ცხოვრებისა და ქართლის-მოქცევის თქმულებათა შეთანხმება ერთმანეთთან, უცხოეთის შწკრალთა ცნობებთან ჩვენს შესახებ და მსოფლიო ისტორიის ფაქტებთან, — რადგან უგულაურის უმაღ ჩვენს ისტორიოგრაფიას სწორეთ აშგვარი შეთანხმება სჭირდება: სადაც აშგვარი შეთანხმება არ ხერხდება, იქ ჩვენი პირველ-წუარობის ცნობანი თრად საეჭვო მასალად უნდა ჩაითვალონ და, როგორც ასეთნი, კრიტიკულის შეთოდით დაწერილი ისტორიიდან ჟურ-ჟურობით მაინც უსათუოთ უნდა გამოირიცხონ. მსოფლოდ მას შემდეგ, როდესაც აშგვარი შეთანხმება უგულასათვის ცხადი შეიქნება, ჩვენ შეძლება მოგვეცემა — ჩვენი წუარობის ერთმანეთთან და მსოფლიო ისტორიის ფაქტებთან შეთანხმებულ თქმუ-

¹⁾ იხილეთ „მოამბე“ 1905 წლის №№ IX, X, XI—XII: „წერილები საქართველოს ისტორიიდან“, თავები I, II, III და IV, შეიცავს საქართველოს ისტორიას 330 წლიდან 1-ელ წლამდე ქრისტეს წინ. ეს პირველი ნაწილი შემდეგ რამდენსამე ცალად ცალკე წიგნადაც გამოვიდა.

ღებთან ნამდვილ ისტორიულ ღირსებაზე ვიჭრებით მსჯელობა და მათში აღნუსხული ამბები დასტოვებით მაინც ისტორიულ ფაქტებად აღვიარათ. არ უნდა დავივიწყეთ, რომ ჩვენს საისტორიო პირველ-წარმოებში, განსაკუთრებით მათს უძველეს ნაწილში, მრავალ ნამდვილ ისტორიულ მარგალიტთან ერთად, არა მცირედი მწიგნობრული და ზეპირსიტყვიანობით, ანაქრონიზმებით აღსავსე, ნაკვიანევით მინაღვენი, შლამ-ტალახიც მოიპოვება. საჭიროა ისტორიკოსისა და ტაქტურულმა ხელმა ამ მარგალიტებს დროთა-მსვლელობით ზედ-შიგრილი შლამ-ტალახი მოაშოროს, თვით მარგალიტები კი გარეცხოს, გაასუფთაფოს და ეგუდას დასახსავად მზის შუქზე გამოიტანოს²⁾.

უმთავრესი დასკვნანი, რომელთაც ჩვენი „წერილების“ პირველ ნაწილში მივაღწიეთ, არიან შემდეგნი:

ა) მეოთხე საუკუნის დამლევს ქრ. წინ მცხეთის მხარეში დაარსდა საკმაოდ ძლიერი სამონარქიო ცენტრი „ქართუ-ელი“ მამასახლისის ძის აზოს თაოსნობით³⁾. ამ ცენტრმა შეაერთა მანამდე გა-

¹⁾ შეადარეთ „მოამბე“ 1905 წ. № IX, გვ. 59 და 29.

²⁾ ჩვენი „წერილების“ პირველ ნაწილში სრულიად საქართველოს სამეფოს დაარსების წლად და პირველი მეფის აზოს გამეფების თარიღად 312 წელი დავსდეთ. მაშინ ამ ფაქტს სელევკიდების გაძლიერებას ვუკავშირებდით (იხ. „მოამბე“ 1905 წ. № IX, გვ. 46—49). მაგრამ, როგორც ახლა ვაკვირდებით, სელევკიდებს ამ საქმეში არავითარი წილი არ უნდა სდებოდეთ. მაშინაც ვსცნობდით და ახლაც ვიმეორებთ, რომ 330 წელს, როცა ალექსანდრე მაკედონელმა სპარსეთის მონარქია დაამხო, ქართველი თემები, რომელნიც მანამდე სპარსეთს ემორჩილებოდნენ, ფაქტიურად თავისუფალნი შეიქნენ. აი ამ მომენტით უნდა ესარგებლნა „ქართუ“-ს თემის მამასახლისის ძეს აზოს³⁾ და, მომავალში გარეშე მტერთა ბატონობის ასაცილებლად, განცალკევებულ თემთა შეერთებით

³⁾ როგორც ჩვენი „წერილების“ პირველ ნაწილშიაც გვაქვს აღნიშნული („მოამბე“ 1905 წ. № IX, გვ. 47 და 48), აზოს პირვანდელი სამამასახლისო „ქარდუ-ნი“, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის სალაშქრო გზის მახლობლად მდებარეობდა (ვანის ტბისა და ტიგროსის შუა), უკვე

ფანტული ქართველი თემები შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე და კავკასიონის ქედიდან მდინარე არეზამდე. მაგრამ ეს ერთობა დიდხანს

უნდა დაეარსებია ძლიერი სახელმწიფო. აქ სრულიად საჭირო არ იყო არც ალექსანდრე მაკედონელის პირდაპირი შემოსევა საქართველოში და არც მისი მხედართ-მთავრების ჩამორევა. ჩვენი ერის ისტორიული ცხოვრების პირობები იმ დროს ისე მოეწყო, რომ ქართველი ტომის უმთავრეს თემთა ერთ სახელმწიფოდ შეკავშირება უსათუოთ უნდა მომხდარიყო და კიდევაც მოხდა. ეს ფაქტი მთელი ჩვენი ხალხის მაშინდელი საერთაშორისო მდგომარეობის ლოდიკურ დასკვნას წარმოადგენს. და ამ შეერთებისათვის საუკეთესო ისტორიულ მომენტს შეადგენდა არა სელევკიდების გაძლიერების ხანა, როგორც ამას წინათ ვფიქროდით, არამედ ის პერიოდი, რომელიც მათს გაძლიერებას წინაუბოდა. ჩვენის აზრით, სამეფოს დაარსება მცხეთის მხარეში უნდა მომხდარიყო 330 წლის მახლობლათ და არა 312 წელს, როგორც წინათ გვეგონა.—ამ შესწორების შემდეგ, ქრისტეს დაბადებამდე ქართველ მეფეთა სია შემდეგი სახით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:

აზო	330 წლიდან	272 წლამდე.
ფარნაეზ I	272 "	206 "
საურმაგ I.	206 "	162 "
მირვან I.	162 "	120 "
ფარნაჯომ	120 "	88 "*)
არსოკ (არშაკ I)	88 "	66 "
არტაგ.	66 "	64 "
ბრატმან (ფარნაეზ II)	64 "	32 "
მირვან II.	32 "	22 "
არიკ (არშაკ II).	22 "	1 "

330 წელს მაკედონელთა მფლობელობაში უნდა გადასულიყო. ალბათ ამ გარემოებას უნდა იძულებულიყო აზო თავისი სამფლობელო თემის თვრამეტი „სახლით“ მცხეთის პროვინციაში ეძებნა თავშესაფარი, რასაც ძარტილის-მოდცევა გადმოგვცემს.—

*) ფარნაჯომის დროიდან (120 – 88 წ.) საქართველოს სამეფოს უკვე ორი უმთავრესი ნაწილი ჩამოშორებული ჰქონდა: კოლხიდა და ალვანია; ფარნაჯომის მომდევნო მეფეები საკუთრივ ივერიის მეფეები არიან.

არ გაგრძელებულა: „აზის მიერ დაარსებული სრულიად საქართველოს სამეფო შემდეგში სამ სამეფოდ გაიყო: კოლხიდად, ივერიად და ალვანთად, რომელთაც პირველ საუკუნეში ქრ. წინ უკვე თავ-თავიანთი საკუთარი მეფე-მმართველები ჰქავდათ, სახელდობრ: ივერია და ალვანთა დამოუკიდებელ სამეფოებს წარმოადგენდნენ, ხოლო კოლხიდას ჯერ ჰონტის მეფის მიტრიდატის მიერ დანიშნული მოხელე, შემდეგ რომის სენატის წარმომადგენელი და ბოლოს, როგორც სტრაბონი მოწმობს, ბოსფორის დედოფალი ჰითადრონიდა განაგებდა.

ბ) სოციალური წყობილების მხრით მაშინდელი ქართველობა წარმოადგენდა მთლობელობისა და წარმოების საერთო-გვაროვნულ წესზე დამყარებულს საზოგადოებას. წარმოების უმთავრესი დარგი ივერიაში იყო მიწის მუშაობა, ალვანთაში—მეჭოგობა და კოლხიდაში, მიწის მუშაობასთან ერთად, მრეწველობა და ადუბ-მიტყობა. გვაროვნულ წესზე იყო დამყარებული სამეფო ტახტის შემკვიდრობაც: მეფის საგვარეულო წარმოადგენდა უპირველეს წოდებრივ ჯგუფს, რომელიდანაც მეფეები ირჩეოდნენ; ჩვეულებრივ, კარდაცვალებული მეფის შემდეგ ტახტს იჭერდა მისი საგვარეულოს «უხუცესი წევრი» მეფის «უახლესი ნათესავთაგან». მეორე წოდებას წარმოადგენდა სამღვდელთობა; მესამეს—თავისუფალი გვარები, რომელნიც მშვიდობიანობის დროს ჩვეულებრივს მუშაობას ეწეოდნენ, ხოლო ომიანობის დროს იარაღს ისხამდნენ და ბრძოლის ველზე კადიოდნენ; და მეოთხეს—«მეფის მოხელე» ანუ «უბრალო ხალხი», რომელიც მეფის საგვარეულოს ემსახურებოდა.

გ) კულტურულად კოლხიდასა და ივერიას პირველი ადგილი ეჭირა; ალვანთა კი ძლიერ ჩამორჩენილი იყო. პირველებში უკვე ზოროასტრის სარწმუნოებას ჰქონდა ფეხი მოკიდებული; ხოლო ალვანელებში კაცის მსხვერპლად შეწირვასაც არ ერიდებოდნენ. უკანასკნელები რომ ას ზემოთ თვლას ვერ ახერხებდნენ, იმავე დროს ივერია-კოლხიდაში საკმაოდ განვითარებული სამოქალაქო ცხოვრება სდებოდა. ამას გარდა, გვაქვს საფუძველი ვითუქვამთ, რომ აღნიშნულ ხანაში ივერია-კოლხიდის მოწინავე თემებს უკვე მწვერლოდ უნდა ჰქონებოდათ; სამწვერლო სისტემა ანბანური უნდა უფთილიყო, სახელდობრ

„ასო-მთავრული“, რომელიც ქართველებს მეფობის დასრულებამდე უნდა გადმოეღოთ არამეული ანბანიდან.

ამგვარს პოლიტიკურსა და სოციალ-კულტურულ მდგომარეობაში უსწრო ქართველ ტომს საქრისტიანო წელთ-აღრიცხვის პირველმა წლებმა.

სწორეთ იმ წელს, როდესაც ურიანტანში მაცხოვარი დაიბადა, ივერიის ტახტი დაიჭირა ადერკიმ, რომელსაც შატბერდისეული ქრონიკა ეძახის (როკ-ს ⁴), ხოლო ეგრეთ წოდებული „სომხური ქრონიკა“—ანდრიკ-ს ⁵). მატანის თქმით, ეს მოხდა იმ წელს, როდესაც «იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბეთლემს ურიანტანისასა» ⁶). შაშასდამე ადერკის მეფობის დასაწყისი უნდა ეკუთვნოდეს ქრისტეს დაბადების წინა წელს, ე. ი. პირველ წელს ქრ. დაბადებამდე და არა მე-2 წელს, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი თქვამდა ⁷).

ამ მეფის ჩამომავლობის შესახებ ჩვენი მატანე მეტათ აჭრეულეულ ცნობას იძლევა. სახელდობრ, მარიამ დედოფლის ვარიანტი ადერკის სთვლის „ფარნავაზიანად“, ეგრისის ერისთავის ქუჯის შვილიშვილის—ქართამის ძედ ⁸); ხოლო ვახტანგ-მეფის კომიისის მიერ შესწორებული და ბროსე-ჟიგინაძისაგან გამოცემული რედაქცია, თუმცა ტექსტში ამავე ცნობას იმეორებს, მაგრამ იმ თავის სთაურში, სადაც პირდაპირ ადერკიზუა ლაშარაკი, ამ მეფეს „არშაკუნიანად“ უწოდებს—⁹). მარიამის ვარიანტს ეთანხმება ეგრეთ წოდებული „სომხური ქრონიკაც“ ¹⁰); შატბერდისეული ქრონიკა კი ამ საგნის შესახებ არაფერს ამბობს და მით სთუქმევდს გვაძლეგს დავასკვნათ,

⁴) იხ. ექვ. თაყაიშვილი—სამი ისტორ. ქრონიკა, გვ. 8.

⁵) Brosset—Additions et éclairciss... p. 12—13.

⁶) იხ. „ქართლის ცხოვრება“, მარიამ დედოფლის ვარიანტი, 1906 წ. გვ. 29—30.

⁷) ვახუშტი—საქ. ისტორია. ბაქრაძის რედაქციით. გვ. 44.

⁸) მარიამის ვარიანტი „ქ.—ცხ.“, გვ. 27.

⁹) „ქ.—ცხოვრ.“ ჰიგინაძის გამოცემა, გვ. 49, ბოლ. სტრიქ. 7.

¹⁰) Brosset—Add. et. éclairciss... p. 12.

რომ უოგელოვე, რასაც ჩვენი მატინე ადერკის ჩამომავლობაზე მოგვითხრობს, ნაკვიანვეი ნაწარმოებია და სრული სინამდვილის გამომხატველად ვერ ჩაითვლება. მართლაც, ქართლის-ცხოვრებას სურს დაგვარწმუნოს, ვითომც სომხის არშაკუნიანთა ერთი შტო ჩვენში ქრისტეს დაბადებამდე გამოეყოფიყოს ¹¹⁾, რასაც, როგორც სჩანს, შეცდომაში შეუყვანია ვახტანგ-მეფის კომისია. მაგრამ დღეს, კლასიკურ მწერალთა მწიგნობის თანახმად ¹²⁾, თვით სომხის მეცნიერთა შორის მტკიცეთ დადგენილია ის აზრი, რომ არშაკუნიანთა დინასტია სასომხეთში გამოედა არა უადრეს ვაჟილის ქრისტეს შემდეგ ¹³⁾. ცხადია, მაშასადამე, ამ წელზე ადრე იგი ვერც ჩვენში გამოეყოფიდა. ამგვართ, ცხადზედ უცხადესია, რომ ადერკი მეფე ჩამომავლობით არშაკუნიანი არ უოფილა. პირიქით ფრიად სარწმუნოა ის ცნობა, რომ ეს მეფე ჩამომავლობით უნდა უოფილიყო „ქართლასიანი“, იმავე სამეფო საგვარეულოდან, რომელსაც აზო და თარნავაზი ეკუთვნოდნენ, და ივერიის ტახტიც იმავე წესით უნდა ქტონებოდა დაქერილი, რომელიც მაშინ, სტრაბონის მწიგნობით (სტრაბონი ადერკის თანამედროვე იყო), ჩვენს ქვეყანაში უოფილა მიღებული, და არა თავის წინამოადგილესთან ბრძოლით, როგორც ამას მატინე კადმობგმომს ¹⁴⁾.

აჭრელებზე ცნობებს იძლევა ქართლის-ცხოვრების სხვა და სხვა ვარიანტები ადერკის მეფობის ხანგრძლივობის შესახებაც. მარიამის ვარიანტი და ვახტანგის რედაქცია ამ საკანს ასე განმარტებს:

¹¹⁾ იხ. მარიამ დედოფელ. ვარიანტი, გვ. 25, სადაც პირველ არშაკუნიანად საქართველოს ტახტზე წოდებულია ლომხეთის მეფის „ძე“ „არშაკ“ (=არშაკ I).

¹²⁾ *Страбонъ*—Географія, перев. Мищенко. Москва, 1879 г., стр. 539 и 542 (кн. XI, гл. 14, § § 5 и 15).—*Дионъ Кассій*, см. у Латышева—Извѣстія древн. писателей греч. и римск. о Скифін и Кавказѣ. Спб. 1893—1899 г., т. I, стр. 621.

¹³⁾ Г. Халатьянцъ—Армянскіе аршакиды... Москва, 1903 г., стр. 5.

¹⁴⁾ იხ. მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 28—29.

„ოცდა ათის წლისა მეფე იქმნა (ადერკი) და ორმეოც და ჩვიდმეტ წელს მეფობდაო“¹⁵⁾; ხოლო იმავე მატინის უძველესი ვარიანტი („სომხური ქრონიკა“) ადერკის მეფობის ხანგრძლივობას 45 წლით აღნიშნავს¹⁶⁾. შირველ ცნობას უკრიტიკოთ დამუარებია ვახუშტი ბატონიშვილი და ადერკის გარდაცვალების წლად დაუდგია 55 წელი ქრ. შემდეგ¹⁷⁾. ხოლო თეიმურაზ ბატონიშვილს, როგორც სჩანს, ხელთ ჰქონია მეორე ცნობის მსგავსი საქრონოლოგიო მასალა და იმავე მეფის გარდაცვალების თარიღად აღუნიშნავს 43 წელი ქრ. დაბადებიდან¹⁸⁾. შატბერდისეული ქრონიკა კი („ქართლის მოქცევა“) ამ საგნის შესახებ სდუმს, რაც, უოველსავე ზემოთქმულთან ერთათს საბუთს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ადერკის მეფობის ხანგრძლივობი, შესახებო საქრონოლოგიო ცნობა ჩვენი მატინისა ნაკვიანვე და ნახვერათ მიანიც საუჭვო მასლად უნდა ჩითვალს და სხვა, უფრო სარწმუნო, ცნობას უნდა დაუთმოს ადგილი.

როგორც ჰვემთ უფრო ვრცლათ დავინახვთ, ტაციტისა და დიონ კასიუსის მოწმობით, 35 წელს ქრ. შემდეგ, რომის იმპერატორის ტიბერიუსის დროს (14—37 წ.), ივერიის ტახტზე მჯდარა მიტრიდატი, რომელსაც ამ წელს სამეფო ტახტი დაუტოებია თავისი შვილის თარასმანისათვის*) ანუ ჩვენი წყაროების თარსმან [-ქლისათვის. ამ უკანასკნელის მშობელს ჩვენი წყაროები ქართამს ეძახის¹⁹⁾, რაც ალბათ ადგილობრივი სახელი უნდა უოთვილიყო ზემო აღნიშნული მიტრიდატისა. ეს ქარათმი (ანუ მიტრიდატი), ჩვენის წყაროებით, იყო შვილი და მემკვიდრე ადერკი მეფისა. ცხადია, მამასლამე, რომ ადერკი მეფე 35 წელს ივერიის მეფედ ვა-

15) „ქ.—ცხოვრება.“ მარიამის ვარიანტი, გვ. 29. კიპინაძის გამოცემა, გვ. 50.

16) Brosset—Addit. et éclairciss... p. 13.

17) ვახუშტი—საქ. ისტორია, გვ. 45.

18) „ისტორია დაწყებითგან ივერიისა“... პეტერბ. 1848 წ. გვ. 148.

*) იხ. ჰვემთ შენიშვნები მე—33 და 38.

19) „ქ.—ცხ.“ მარი ზო ის ვარიანტი, გვ. 31.—სამი ისტორ. ქრონიკა, გვ. 9.

ღარ იქნებოდა, რადგან თითქმის თანამედროვე უცხოეთის მწერლები ამ წლიდან ივერიის მეფედ აღიარებენ მის შვილი-შვილს ფარსმანს, ხოლო ამავე წლის წინ—უკანასკნელის მამას მიტრიდატს, ე. ი. ადერკის შვილს ქართაძს. ამგვართ ვნ წლის წინ ივერიის ტახტზე მსხდარან: ჯერ ადერკი და შემდეგ მისი შვილი ქართაძი ანუ მიტრიდატი, რომელიც კლასიკურ მწერალთა მოწმობით რომის იმპერატორის ტიბერიუსის თანამედროვე უოფილა. ტიბერიუსი კეისრობდა 14 წლიდან 37 წლამდე ქრ. შემდეგ, ე. ი. თითქმის სრულს 24 წელს. უკეთუ ამ პერიოდის ქართაძ-მიტრიდატს ტიბერიუსის მეფობის უკანასკნელ მესამედს მაინც დაუთმობთ (24 : 3 = 8 წ.), იძულებული ვიქნებით ადერკის მეფობის დასასრული ვიანგარიშით არა უკვიანეს 30 წლისა ქრ. შემდეგ.

ამგვართ ადერკის მეფობას ჩვენ დავსდებთ დასლოცებით 1—30 წელს ქრ. შემდეგ და არა 2 ქრ. წინ და 5 წელს ქრ. შემდეგ, როგორც ეს დღემდე იყო მიღებული.

ადერკის შესახებ მარიამ დედოფლის ქართლის-ცხოვრება გადმოგვცემს: «და მან ადერკი დაიპყრა უოველი ქართლი და ეგრი-სიო»²⁰), ე. ი. კლასიკურ მწერალთა ივერია და კოლხიდაც. მაგრამ უკანასკნელის შესახებ ადერკის თანამედროვე გეოგრაფი სტრაბონი გადაჭრით ამბობს, რომ მის დროს (= „до сихъ поръ“) კოლხიდა და შავი ზღვის პირის ზოგიერთი ქვეყნები ბოსფორის დედოფლის შითადარიდის ხელში უოფილა²¹). სტრაბონის სიკვდილს ანგარიშობენ 23—24 წელს ქრ. შემდეგ, ხოლო მისი „გეოგრაფიის“ დაწერას არა უკვიანეს 18 წლისა ქრ. შემდეგ²²). მაშასადამე ამ უკანასკნელ წელზე ადრე მაინც ძნელი დასაჯერებელია კოლხიდა ადერკის ხელში გადმოსუდიუოს; თუმცა, ჩვენის აზრით, უმჯობესი იქნება ქართლის-ცხოვრების აღნიშნული თქმულება გერისის შესახებ ნაკვიანევად ჩავთვალოთ, მით უმეტეს რომ იმავე მატანის

²⁰) მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 29.—ტიპინაძის გამ., გვ. 49.

²¹) Страбонъ—Географія, пер. Мищенко. Кн. XI, гл. 2, § 18; Кн. XII, гл. 3, § 29.

²²) იხ. Латышевъ. Извѣстія... т. I.

უძველესმა გარნიანტმა (= „სომხურმა ქრანიკამ“) ამ თქმულებისა არა იცის რა²⁰).

ამგვარათ, ადერკის სამეფობელოდ ჩვენ მიგვაჩნია არა „ყოფელი ქართლი და ეგრისი“, არამედ მხოლოდ „ყოფელი ქართლი“ ან, უკეთ რომ ვთქვათ, კლასიკურ მწერალთა ივერია, რომლის საზღვრებსაც იმ დროს შეადგენდა: ჩდილოეთით კავკასიონის მთაგერბილი; აღმოსავლეთით აღაზნის გასწვრივ აღაზნისა; სამხრეთით აღაზნის შესართავიდან დებუდამდე მტკვარი, შემდეგ მტკვრისა და არაქსის აუზთა წყალთა-მიჯნა; ხოლო დასავლეთით—ლიხისა და ახალციხის მთები, შემდეგ შავშეთის მთა ჭრახამდე, ჭრახხის შუა წელი და, დასასრულ, მთა განმყოფელი ტაოს-კარისა და კლარჯეთისა. სხვანაირათ რომ ვთქვათ, ადერკის სამეფოს შეადგენდა: კახეთი აღაზნის დასავლეთით, შიდა ქართლი, ჭავჭავთი, სამცხე, შავშეთი, ერუშეთი, ტაოსკარი, არტანი, ფოსო და კოლა²¹).

„ქართლის-ცხოვრება“ მოწმობს, ვითომც ადერკის დროს „სომეხნი და ქართველნი“ ყოფილიყვნ „მორჩილ აქიან სპარსთა მე-

²⁰) Add. et éclairciss. p. 13.

²¹) იხ. ჩვენი „წერილები საქ. ისტორიიდან“ პირველი ნაწილი, „მოამბე“ 1905 წ. № XI—XII, შენიშვნები 278, 279, 281—282.—აქ ჩამოთვლილ მხარეთა შორის ჩვენ არ ვიხსენიებთ კლარჯეთს, რადგან, როგორც სტრაბონის მოწმობიდან სჩანს, ივერიის უკანასკნელ პუნქტს ამ მხრისაკენ წარმოადგენდა ქალაქი იდესსა (=იდა); ხოლო, როგორც ქართიდან სჩანს, კლარჯეთი იდესის დასავლეთით მდებარეობდა; სტრაბონისავე მოწმობით ქ. იდესსა მდებარეობდა ივერიისა და კოლხიდის საზღვარზე (География КН. XI, гл 2, § 18); ცხადია, მაშასადამე, რომ ამ ქალაქის დასავლეთით მდებარე კლარჯეთი იმ დროს კოლხიდის ნაწილი ყოფილა და არა ივერიისა; ამ დასკვნას საესებით ეთანხმება იმავე სტრაბონის მოწმობა, რომ მესხების ქვეყნის ერთი ნაწილი ივერიას ეკუთვნის, მეორე ნაწილი კოლხიდასა და მესამე სომხეთსაო. როგორც ვიცით, კლარჯეთი უძველესი დროიდან მესხებით იყო დასახლებული (Страных—ibid.).—შეადარეთ ჩვენი „წერილების“ პირველი ნაწილი, შენიშვნა 240 („მოამბე“ 1905 წ. № XI—XII, გვ. 51).

ფისა“²⁵). მაგრამ, მსოფლიო ისტორიის იმდროინდელ გაკეთებათა მიხედვით, უფრო სარწმუნოდ უნდა ჩათვალოს თეიმურაზ ბატონიშვილის აზრი, რომელიც ამბობს, რომ აღერკის დროს ივერი, რომელიც მთავრეკლამის ქვეშ იმყოფებოდა: „აქვინდა უკვე შეუსა აღერკის რაზმელთა თანა ფრიადი შეკრულება; და ამით უამთა შორის იყო უკვე შუთით მრავალთა ძლით აღერეულათა მართიანელთა (=სპარსელთა) და სომეხთა შორის; ხოლო ივერიელნი სარგებლობდნენ ამით უმეტეს წარმატებასა შინა“²⁶).

ჩვენი მატიახის უველა ვარიანტი ერთხმით მოგვითხრობენ, ვითომც აღერკის დროს კოლხიდასა და აფხაზეთში ექადაგნათ ანდრია-მონიქელსა და სვიმონ-კანახელს²⁷). მაგრამ, როგორც ვიცით, უცხო ქვეყნებში მონიქელებმა ქადაგება მხოლოდ ქრისტეს გარდაცვალების შემდეგ დაიწეს. ქრისტეს გარდაცვალებას ჩვეულებრივ მიაწერენ 33 წელს მისი დაბადებიდან; აღერკი შეუეს კი, ჩვენ მიერ დადგენილი ქრონოლოგიით, მხოლოდ 30 წლამდე უნდა ეცხოვროს. ცხადია, ანდრია მონიქელი აღერკის შეუებაში ვერ ექადაგებდა ჩვენი ქვეყნის საზღვართა შორის. ჩვენ გვჯერა, რომ ქრისტეს მონიქელებს შეეძლოთ კოლხიდაში ექადაგნათ, მაგრამ არა აღერკის დროს, არამედ გაცდლებით უფრო გვიან, რაზედაც სხვა დროს გვამბობს საუბარი. საუბარადეობა, რომ აღერკის (=როკის) დროს ქართლის-მოქცევა ანდრია-მონიქელიწოდებულის ქადაგებაზე ერთ სიტყვაც არ ამბობს, თუმცა, როგორც საეკლესიო ქრონიკას, მას უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცია ამ ამბისათვის: ცხადია, აღნიშნული თქმულება ჩვენს შემატიახეს მხოლოდ შემდეგში მიუწერია აღერკის შეუებისათვის.

დასასრულ, როგორც მატიახის უველა ვარიანტი, ისე შატბერ-

²⁵) მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 31. — „სომხური ქრონიკა“ კი ქართველებისა და სპარსელების ურთიერთობის შესახებ არას ამბობს (Addit... p. 13).

²⁶) ისტორია..., გვ. 146.

²⁷) მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 30; კიტიანძის გამოცემა, გვ. 53—60; „სომხური ქრონიკა“ (Additions et éclairciss... p. 13).

დისკული ქრონიკა ერთხმით გვარწმუნებს, ვითომც ადერკის (=როკის) დროიდან ჩვენი ქვეყანა ორ-სამეფოდ გაუფილიოეს. «და მეფობდა როკ, — ამბობს ქრონიკა, — რომელმან რაღთურთით მცხეთაჲ გაიშორა, და მეფობაჲ ორად გაიყო, ორნი მეფენი დასხდეს იმიერ და ამიერ: და მეფობდა ქარამ არმაზს და მცხეთას ბრატჳან» და სხვანი²⁸). ქართლის-ცხოვრება კი ამ ამბავს თვით ადერკის მიაწერს: „და ვიდრე ადრეკისამდე ერთი დაჯდის ქართუელთაგანი მეფეთანი; და მას ადერკის ესხნეს ორ ძე, რომელთა განუყო ქალაქი მცხეთა და ქვეყანა მტკუარსა შიგა ქართლი: მცხეთა მუხრანით კერძი და უოკელი ქართლი მტკუარსა ჩრდილოთ ჭერიდგან (=ჭერთიდგან) ვიდრე თავადმდე მტკურისა და ეგრისისა—ესე მისცა ბარტოს, ძესა თვისსა; ხოლო არმაზით კერძი ქალაქი მტკუარსა სამხრით, ქართლი ხუნანიდგან ვიდრე თავადმდე მტკურისა და კლარჯეთი მისცა ქართამს, ძესა თვისსა²⁹).

სანამ ამ თქმულებათა ისტორიული დირსების დაფასებას შევუდგებოდეთ, საჭიროთ მიგვაჩნია გამოვარკვიოთ, თუ სახელდობრ საქართველოს ტერიტორიის რომელი ნაწილის გაუფილაჲა აქ ლაშარაკი: სრულიად საქართველოს (ე. ი. ივერიისა, ალვანიისა და კოლხიდის) ტერიტორიის გაუფილაჲე, თუ მარტო მისი ერთი რომლისაჲე ნაწილის გაუფილაჲე? თუ შექრონიკესა და მემატიანეს სურთ გვითხრან: ადერკის შემდეგ მთელი საქართველოს ტერიტორია ორ სამეფოდ გაიყო, — ამით ახალს ვერაფერს გვეტყვიან, რადგან, როგორც კლასიკურ მწერალთა მოწმობიდან ვიცით, ქართველი ტომის მიწა-წყალი უკვე ადერკის მეფობამდე სამ სამეფოდ იყო გაუფილაჲა: ალვანიად, ივერიად და კოლხიდად, რომელთაგან უკანასკნელი ბოსფორის სამეფოს ემორჩილებოდა. მაშ საქართველოს ტერიტორიის რომელ ნაწილზე გვესუბრებიან მექრონიკე და მემატიანე?

როგორც შატბერდისეული ქრონიკის სიტყვებიდან სჩანს, აქ ლაშარაკი უნდა იყოს მხოლოდ ქართლის-ივერიის სამეფო უფ-

²⁸) სამი ისტორ. ქრონიკა, გვ. 8—9.

²⁹) მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 31; კიკინაძის გამოცემა,

ლების გაყოფაზე („მეთობაჲ ორად გაიყო“, „ორნი მეფენი დასხდეს იმიერ და ამიერ“, ე. ი. შტკვრის კალმა და გამოღმაჲ). არსებითად ამასვე იმეორებს მატიახის უძველესი ვარიანტიც („სომხური ქრონიკა“), რაგა ამბობს: „ანდრიკმა გვირგვინი თავის ორ შვილს გადასცა და თავისი ქვეუანა შუა გაუყო: ბარტოს მისცა ქართლი მისი საზღვრებით, და ქართამს ქვეყანა ხუნანიდან კლარჯეთამდეო“⁸⁰); ე. ი., კლასიკურ მწერალთა ნომენკლატურა რომ გიხმაროთ, ადრეკის მიეწერება მარტო ივერიის გაყოფა (უკლარჯეთოდ, უაღვანიოდ და უკოლხიდოდ). რაგორც ზემოთ დავინახეთ, მართლაც ადრეკის სემეფოს შეადგენდა ივერიის აღმნიდან სურამ-ლიხის შთამდე და კლარჯეთამდე; და თუ მას მართლა თავის სემეფობულში რაიმე განუყოფილება მოუხდენია, უეჭველია ეს მისი განკარგულება მაშინდელი ივერიის ტერიტორიას გერ გადასცდილებოდა. ამ აზრს დიდათ არ ეწინააღმდეგება არც მარიამ დედოფლის ვარიანტის ის ადგილი, რომელიც ზემოთ ამოწერთ: სახელდობრ, აქ ნათქვამია, რომ ადრეკიმ გაჰყო თავისი ქვეუანა „ვერეთიდან—შტკვრისა და ეგრისის თავამდეო“. ქართული წყაროების ჭერეთი (მოგვიანითურთ) უდრის კლასიკურ მწერალთა აღვანის, ხოლო ეგრიო—კოლხიდას; მაშასადამე ადრეკის მულობულობაში, მატიახის ამ ადგილის ტექსტის შირდაშინი აზრით, უფოილა ქვეუანა აღვანის დასაფლეთით კოლხიდის საზღვრებამდე (რეგრისის თავამდე“), ე. ი. ივერია. მაგრამ, რაგორც სხ.ნს, ჩვენი მატიახის ეს ადგილი მერმინდელ ისტორიკოსებს იმ ადგილთან დაუკავშირებიათ, სადაც ადრეკის მეფობის დასაწუისში ნათქვამია, „ადრეკიმ დაიპურ: ყოველი ქართლი და ეგრისიო“, — და ამ კონტრასტის მიხედვით დაუსკვნიათ: ადრეკის თავის განუყოფილებაში ეგრისიც (=კოლხიდა) უნდა შეეტანოს. სწორეთ ასე იქნევა, მაკალითად, ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII საუკ.), რომელიც ამ საგნის შესახებ ამბობს: „ადრეკის ესხნეს ჰრნი ძენი:—ბარტომ და ქართამ; ამთ განუყო სემეფო: ბარტომს მისცა მღხეთა და ჩრდილო-კერძი ჭერეთით ვიდრე ეგრისით ზღვამდე; ხოლო ქართანს—არმაზი და სამხრით კერძი ბერდუჯიდან ვიდრე

⁸⁰) Add. et éclairciss... p. 13.

ზღვამდე ჰონტოისა“³¹). მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ არც ალფანია და არც კოლხიდა (ეგრისი) მაშინ ივერიის სამეფოს ადარ კუთხოვნენ. კოლხიდის ხელში იყო აგრეთვე მესხების ჭკეუბის ერთი ნაწილიც ქალაქ იდესის (=იდა) დასავლეთით, სახელდობრ კლარჯეთი (იხ. ზემოთ შენიშვნა 24). მაშასადამე შემდგარი არიან როგორც ვახუშტი ბატონიშვილი, ისი ის ისტორიკოსები, რომელნიც მასთან ერთათ ჭიჭირობენ, ვითომცდ აღერკის მიერ განუყოფი ტერიტორია სრულიად საქართველოს ტერიტორია უოფიდა იყოს. როგორც უოგელოცე ზემოთ თქმულიდან გამოიკვება, თუ კი ამ თქმულებაში რაიმე ისტორიული სიმართლე მოიპოვება, აღერკის რეთორმა შესაძლო იყო შეხებოდა მხოლოდ ძველი ივერიის ტერიტორიას და არა სრულიად საქართველოს—ჭერეთიდან შავ ზღვამდე.

ამ გვართ, როცა აღერკის „რეთორმაზე“ ვლაპარაკობთ, ჩვენ შეგვიძლია მსჯელობა ვიჭრნიოთ მხოლოდ საკუთრივ ივერიაზე და არა საქართველოს სხვა ნაწილებზე.

ახლა ვიკოთხოთ: რაკვარი ხასითის რეთორმაზე, სახელდობრ რის გაუოთაზე მოგვითხრობენ ჩვენი წყაროები: ტერიტორიისა, თუ მხოლოდ სამეფო უფლებების გაუოთაზე? „ქართლის-მოქცევის“ ქრონიკა, როგორც ვნახეთ, მხოლოდ სამეფო უფლებების განაწილებას აღნიშნავს, როცა ამბობს: „მეთობაჲ (და არა „სამეთოჲ“) ორად გაიყოჲ“; მატიანის უკვლა ვარიანტები კი, ამასთან ერთათ, ტერიტორიის გაუოთასაც მიაწერენ აღერკი მეფეს. მაგრამ როგორც ვიცით, მატიანის ვარიანტები შედარებით უფრო გვიან არიან შედგენილი, ვინემ შატბერდისეული ქრონიკა, რომელიც მარტო სამეთო უფლების განაწილებაზე მოგვითხრობს. ცხადია, მაშასადამე, რომ იმ პირველ წყაროში, რომლითაც ამ ქრონიკის შემდგენელს უსარგებლნია, ტერიტორიის გაუოთაზე არათური უოთილა ნათქვამი. მაშასადამე, საფუძველი გვაჭებს დავასკვნათ, რომ მატიანის თქმულება ამავე საგნის შესახებ ნაკვიანეუ ნაწარმოებად უნდა ჩათვალას.

შატბერდისეული ქრონიკა მოგვითხრობს მხოლოდ „მეთობისა“ (=სამეთო უფლებისა) და სატახტო ქალაქის გაუოთაზე, როცა

³¹) ვახუშტი—ისტორია... გვ. 45.

ამბობს: როკმა (==ადერკიმ) «რამეთურით მცხეთაჲ გაიშორაჲ» და იქვე დასძენს: „ორნი მეფენი დასხდეს იმიერ და ამიერ:... ქარამ არმაზს და მცხეთას ბარატმანიო.“ ჩვენი წერილების პირველი ნაწილიდან უკვე ვიცით, რომ ბრატმან—ფარნაყაზ II-ის დროიდან (64—32 წ. ქრ. წინ) მტკვრის მარცხენა ნაპირას არმაზ-ქალაქის პირდაპირ, იქ სადაც დღევანდელი მცხეთაა, მართლაც უნდა მდგარიყო ციხე-სიმაგრე; მაგრამ როგორც სტრაბონის გეოგრაფიიდან სჩანს, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის დასაწყისს, ე. ი. ადერკის მეუღბაში (18 წლამდე მინც) აქ არავითარი ქალაქი არ უფიქრობდა⁸²).

ამგვართ, ჩვენი პირველ-წყაროების ის დეტალური ცნობაც, ვითომც ადერკს სატახტო ქალაქი ორად გაეყოს („მცხეთად“ და არმაზად), ძლიერ საეჭვო ცნობად უნდა ჩაითვალოს.

დარჩა მათსადაჲ მხოლოდ „მეუღბის“, ე. ი. სამეფო პრე-როგატიათა განაწილება ორ მეფეთა შორის. მაგრამ, სწამს საკუთრივ ამ ცნობას სინამდვილისა და ხასიათის გამოარკვევას შეუუღებოდეთ, —სჭირია დასტოვებით მინც გაფითვალისწინოთ, თუ რამდენი ხნის ხანგრძლივობას მიაწერენ ჩვენი წყაროები ეგრეთ წოდებულს „ორ-

⁸² სტრაბონს მოხსენებული აქვს ქალაქები: არმაზიკა (==არმაზი) და სევსამორა (წიწამურა); მცხეთის ქალაქზე კი ერთ სიტყვასაც არ ამბობს. ამ ქალაქს არც სხვა კლასიკური მწერლები იცნობენ. მხოლოდ მე-II საუკუნის მეორე ნახევარში ქრ. შემდეგ პტოლომეი (130—170 წ.) იხსენიებს თავის ქარტაზე არმაზიკისა და სევსამორის მოშორებით ქალაქს „მესტლიტა“-ს, რომელშიაც შეიძლება თავს იფარავდეს ადგილობრივი სახელწოდება „მცხეთა“ (Латышевъ—Извѣстiя... I, 241—242 და ბოლოში ქარტა); მაგრამ იმავე პტოლომეის გეოგრაფიის მეორე ვარიანტი, რომელიც ჩვენი წერილების პირველი ნაწილის შედგენის დროს ხელთ გვქონდა (Ганъ, Извѣстiя... I, стр. 169), თუმცა არმაკტიკასა და სევსამორას აღნიშნავს, „მესტლიტის“ (==„მცხეთის“) შესახებ ერთ სიტყვასაც არ ამბობს. უკანასკნელი გარემოება რომ მხედველობაშიაც არ მივიღოთ, მინც იძულებული ვიქნებით დავასკვნათ, რომ მე-II საუკუნის მეორე ნახევარამდე მცხეთაში ქალაქის (როგორც სააღმშენებლო და საადმინისტრაციო პუნქტის) არსებობა საეჭვოდ უნდა ჩაითვალოს.

მეფობის* პერიოდს? სამწუხაროთ ჩვენი ადგილობრივი წერაობები ამ საგნის შესახებ არაფერს თარიღს არ იძლევა; მაგრამ იგინი გვაწვდიან ისეთ სინქრონიულ ცნობებს, რომელთა მიხედვით მასახერხებელი ხდება ამ პერიოდის ხანგრძლივობის დაახლოებითი განსაზღვრა. სახელდობრ „ორ-მეფობის“ პერიოდის მიუყვანა შორის ჩვენი წერაობები ასახელებენ, სხვათა შორის, ორ მეფეს: ფარსმან I-ელს და ფარსმან მე-II-ს, რომელნიც ცნობილინი არიან კლასიკურ მწერალთა თხზულებებშიაც. ფარსმან I-ელს იხსენიებს თითქმის მისი თანამედროვე რომაელი ისტორიკოსი ტაციტი (56—117 წ.) ჩვენი წელთაღრიცხვის 35 წლიდან ვიდრე 60 წლამდე³³); ხოლო ფარსმან მე-II-ეს დიონ კასიუსი 109-ის ადრიანე-იმპერატორის თანამედროვედ და აღნიშნავს, რომ 138 წელს ეს მეფე ცოცხალი იყო და რომში უფინის დროს იმპერატორი ცხენზე ვარჯიშობით განცვიფრებაში მოიუფანა³⁴). ეს ფარსმან მე-II ჩვენს მატრიანეში „ორ-მეფობის“ პერიოდის უკანასკნელ მეფედ ითვლება; მაშასადამე ეს პერიოდი უნდა გაგრძელდებოდეს დაახლოებით 30 წლიდან 138 წლამდე, ან ცოტა გვიან, ე. ი. ადრეკის გარდაცვალებიდან ფარსმან მე-II-ის მეფობის უკანასკნელ წლებამდე. უკეთუ ამ უკანასკნელის თარიღს არი წლით გვიან ვინაგარიშებთ (140 წლის მახლობლათ), აღმოჩნდება, რომ იმ პერიოდის ხანგრძლივობა, რომელსაც ჩვენი წერაობები „ორ-მეფობის ხანას“ ეძახიან, უნდა უდრიდეს სულ 108 თუ 110 წელიწადს.

ამ წინასწარ განმარტებათა შემდეგ ჩვენ გვძლევა საშუალება „ორ-მეფობის“ შესახებ საკითხი შემდეგის სახით დავაყენოთ:

30 წლიდან 140 წლამდე ქრისტეს შემდეგ არსებობდა თუ არა ძველს ივერიისში რაიმე სახის ორ-მეფობა?

თითქმის უგელა ჩვენი ისტორიკოსები ამ კითხვაზე დადებითს პასუხს იძლევიან; თითქმის უგელასა სჯუკა, რომ აღნიშნულ პერიოდში ივერია ორ-სამეფოს წარმოადგენდა. მხოლოდ თეიმურაზ ბა-

³³) იხ. ქვემოთ სხოლიო მე-38. შეუდარე Латышевъ—Извѣстія... I, стр. 622, стр. 1—4.

³⁴) იხ. ქვემოთ სხოლიო მე-40.

ტონიშვილი სცდილობს საქმე ისე წარმოგვიდგინოს, ვითომც ეს ორ-მეუთხა პირველ ხანათ მაინც მარტო უფლებრივი უოფილიუოს და არა ტერიტორიალური, ე. ი. ივერიაში უოფილიუოს ორი მეფე და არა ორი სამეფო³⁵⁾. მაგრამ როგორც თეიმურაზ ბატონიშვილი, ისე სხვა ისტორიკოსებიც (ვახუშტი, სულხ. ბარათაშვილი და დიმიტრი ბაქრაძე) მხოლოდ უკრიტიკოთ და დოქტრინულად იმეორებენ ჩვენი პირველ-წყარების სიტუაციას. დიმიტრი ბაქრაძის გარდა არც ერთი მათგანი არა სცდილობს, ამ თქმულებას თვით ადგილობრივ პირველ-წყარებს გარდა სხვაგან სადმე მოუძებნოს უფრო სარწმუნო და ეჭვ-დაუდებელი საფუძველი. მხოლოდ დიმიტრი ბაქრაძე, როცა ამავე თქმულებას იმეორებს, საჭიროდ სთვლის დასძინოს, ვითომც ივერიაში ორ-მეუთხის დამამტკიცებელ საბუთს სტრაბონიც იძლეოდეს. სახელდობრ იგი სწერს: „სტრაბონი ამბობს: ივერია დასახლებულია ოთხის განფითარებულის წოდებით; პირველს ეკუთვნის მეფენი; ამათში უმთავრესობს ისა, რომელსაც შემკვიდრეობა და წლოვანება უპირატესობას აძლევს; მეორე მხოლოდ მსახურებს და სხვათა წინამძღოლებს“³⁶⁾. მაგრამ სცდება დიმიტრი ბაქრაძე, როცა სცდილობს „ორ-მეუთხას“ სტრაბონის გეოგრაფიაში მოუძებნოს საფუძველი. აი როგორ იკითხება ეს ადგილი თვით სტრაბონის გეოგრაფიაში: „Четыре рода людей населяет страну (Иверію); одинъ и первый изъ нихъ, изъ котораго ставятъ царей, по близости и возрасту самаго старшаго послѣ умершаго царя, — второе же лицо послѣ царя отправляетъ правосудіе и предводительствуетъ войскомъ“³⁷⁾. როგორც ვხედავთ, აქ სრულებითაც არაა დაპირაკი

³⁵⁾ თეიმურაზ ბატონ.—ისტორია... გვ. 147—148.

³⁶⁾ ბაქრაძე—ისტორია საქართველოსი. ტფ. 1889 წ., გვ. 124.

³⁷⁾ მოგვეყვას ივ. ჯავახიშვილის რუსული თარგმანი მისი თხზულებიდან: „Государств. строй древн. Грузіи и др. Арменіи“ т. I, стр. 8. შიდაღრეთ ლათიშევი—Извѣстія... I, стр. 14; Ганъ—Извѣстія... I, 68; перев. Мищенко, стр. 511 (Географія, кн. XI, гл. 8, § 6).—

პირველსა და მეორე მეფეზე; შირ-იქით, სტრაბონი გადაჭრით გვეუბნება, რომ ის შირი, რომელიც „მსაჯულობა და ჭაქს წინამძღოლობდა“, მეფე კი არ იყო, არამედ „მეორე პირი მეფის შემდეგ“, ანუ უპირველესი კარის-კაცი იყო; საკულისხმია აგრეთვე სიტყვები: „самаго старшаго“ და „მეფის შემდეგ“ (და არა „самыхъ старшихъ“, არც „მეფეების შემდეგ“), რაც ცხადათ გვიჩვენებს, რომ სტრაბონის დროს ივერიაში ერთსა და იმავე დროს ჰქონდათ თერთო და არა ორ-ორი მეფე, როგორც ბაქრადე ჰფიქრობდა.

ამგვარათ, სტრაბონის მოწმობა კი არ ამტკიცებს ჩვენი წყაროების თქმულებას ორ-მეფობის შესახებ, არამედ შირდაპირ უარ-ჰქოფებს მას. ამას გარდა, დიმიტრი ბაქრაძეს დავიწყებია, რომ სტრაბონი კარდაცვალა არა უგვიანეს 24 წლისა ქრ. შემდეგ, ხოლო თავისი „გეოგრაფია“, საიდანაც ზემოთ მოყვანილი სიტყვებია ამოღებული, დასწერა არა უგვიანეს 18 წლისა ქრ. შემდეგ; მაშასადამე სტრაბონის ფიზიკურათადაც კი არ შეეძლო თავის გეოგრაფიაში აღენიშნა ივერიის „ორ-მეფობა“, რომელიც, ვგეგმა ჩვენი პირველ-წყაროების თქმულებით, ვითომც უნდა დაწყებულიყო ალექსის კარდაცვალალების შემდეგ, ე. ი. 30 წელს ჩვენი ანტიკრონიკით, ანუ 55 წელს თვით ბაქრაძისა და ვახუშტის თარიღით. — ამრიგათ, სტრაბონი არც მოწმობს და არც შეეძლო დაემოწმებია ივერიაში „ორ-მეფობა“, რომელიც მისი გეოგრაფიის დაწერის შემდეგ, სულ მცირე, 12 წლით გვიან ვითომც უნდა დაწყებულიყო.

ამიტომ, თუ გვსურს აღნიშნული საკითხის შესახებ რაიმე სიმართლედ შევიტყუოთ, ისეთს ვწერლებს უნდა მივმართოთ, რომელნიც სტრაბონის შემდეგ ცხოვრობდნენ და ჩვენი ისტორიიდან 30—140 წლებ შორს მომხდარ ამბებს მოგვიმოხრობენ. ამგვარ ვწერადათა და მასდასა რიცხვს ეკუთვნის: ტატიტი (ცხოვრობდა 56—117 წ. ქრ. შემდეგ), დიონ კასიუს კოკეიანი (დაიბადა 150 წლის მასლობლათ ქრ. შემდეგ) და მცხეთაში ნაპოვნი ქვის 75 წლის ბერძნული წარწერა. მაგრამ არც ერთი მათგანი ერთ სიტყვასაც არ ამბობს ივერიაში ორ-მეფობის შესახებ: შირიქით, სწორეთ იმ დროს, როდესაც ჩვენში ვითომც ორ-ორი მეფე უნდა მჯდარიყო, იგინი აქ იცნობენ მხოლოდ თერთო მეფეს. საკუთრივ ტატიტი მოიხსენიებს

ივერიის მეფეს ფარსმანს (=ფარსმან I-ელს), აღნიშნავს მის მეგობრულ განწყობილებას რომის იმპერატორებთან და გრძელათ მოგვითხრობს, თუ ამ ფარსმანმა როგორ გააშეფა სომხეთში ჯერ თავისი ძმა მიტრიდატი და შემდეგ თავისი შვილი რადამისტი³⁸). მცხეთის ქვის წარწერიდან ვტყობილობთ, რომ ამ ფარსმანის შემდეგ ივერიის ტახტზე გამეფებულა მისი შორეული მიტრიდატი, რომელსაც, თავისი ძამის მსგავსათ, მეტათ კარგი და მეგობრული განწყობილება ჰქონია რომის სამს იმპერატორთან: ვესპასიანუსს, ტიტუსს და დომიციანესთან³⁹). დასასრულს, დიონ კასიუს კოკეიანი ფრიად საინტერესო ცნობას იძლევა ივერიის მეფის ფარსმან მე-II-ის შესახებ, რომელზედაც იგი მოგვითხრობს, რომ ადრიან-იმპერატორის დროს (117—138 წ.) ამ მეფემ სასტიკი რაი აუტყვა მასაკტებს, სომხებს, მიდიელებსა (სპარსებსა) და კანადოკიელებსაც, რისთვისაც იმპერატორმა მას დიდი პატივი მიაგო⁴⁰). ერთი სიტყვით, სწორედ ამ დროს, როდესაც ჩვენში ვითარებამ ორ-მეფობა უნდა უფილიყო, უცხოეთის თანამედროვე მწერლები და მცხეთის ქვის 75 წლის წარწერა აქ იცნობენ მხოლოდ თითო მეფეს და მათაც ისეთს ძდიერს, რომ უფლად დაუჭერებოდა მათ ხელში ივერია პოლიტიკურის მხრით ორ სამეფოდ უფილიყო კაცლები. როგორც ტატი და დიონ კასიუსი მოწმობენ, ივერიის მეფენი: ფარსმან I და ფარსმან II მთელს ამიერ კავკასიას, სომხეთსა და მცირე აზიასაც დიდის გაუღებით სარგებლობდნენ, კერძოთ ფარსმან I-ელი სასომხეთის შემოერთებზედაც კი ოცნებობდა, — და აბა რა დასაჭერებოდა მათ თავის საკუთარ სამთავროებში მეფობის პატივი სხვასთან ჰქონებოდათ განაწილებული.

ამასხით, ჩვენ თანდათან მივდივართ იმ დასკვნაზე, რომ 30 წლიდან 140 წლამდე ივერიაში ორ-მეფობა არ უფილია.

მაგრამ აქ უნებლიეთ იბადება კითხვა: მამ საიდან და როგორ

³⁸) Ганъ—Извѣстія... I, стр. 115—123.

³⁹) ibidem, стр. 114. ეს ქვა ნაკონია 1867 წ. მაისის თვეში.

⁴⁰) ibidem, стр. 173—174.—Латышевъ—Извѣстія... I, стр.

უნდა განვიხილო ჩვენს საისტორიო პირველ-წყაროებში („ქართლის ცხოვრებასა“ და „ქართლის-მოქცევაში“) ის თქმულება, ვითამც ადერკის შემდეგ ივერიაში ორ-მეფობა დამყარებულიყოს? ნუ თუ ჩვენი მატრიანისა და ქრონიკის შემდგენელთ პირდაპირ საკუთარს ფანტაზიით და სრულიად უსაბუთოთ უნდა შეეთხზათ მთელი ეს თქმულება? ნუ თუ მათ რაიმე უძველესი საისტორიო მასალა არ უნდა სჭეროდათ ხელში?

რომ ამ თქმულებაში ეველათფერი მემატრიანისა და მექრონიკის ფანტაზიით არაა შეთხზული, რომ უკანასკნელთ ხელში ქტონებით რაღაც ძველი კარგი საისტორიო მასალა,— ეს, სხვათა-შორის, იმიტად მტკიცდება, რომ ჩვენი წყაროების სიაში აღნიშნულ ორ მეფეს: ფარსმან I-ელსა და ფარსმან მე-II-ეს მათი თანამედროვე უცხოეთის მწერლები (ტაციტი, დიონ კასიუსი) და მცხეთის ქვის 75 წლის წარწერაც იხსენიებენ. ცხადია, ჩვენს მექრონიკესა და მემატრიანეს ხელთ ქტონიათ რაღაც ძველი კარგი საისტორიო წყარო. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ძველ წყაროში ივერიის მეფეთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ დაახლოებით ისეთივე ცნობა იქნებოდა მოთავსებული, როგორც ამ საკანზე ადერკის თანამედროვე სტრაბონი იძლევა, სახელადობრ ცნობა მეფის მეორე პირზე, რომელიც მშვიდობიანობის დროს უზენაეს მართლმსაჯულებას აწარმოებდა, ხოლო ომიანობისას ჯარს წინამძღოლობდა⁴¹). შესაძლოა იმ წყაროში, ადერკის შემდეგ, მეფეების გვერდით „მეფის მეორე პირთა“ რამდენიმე სახელიც უოფილიყოს აღნიშნული. მაგრამ, როგორც სჩანს, ქრონიკისა და მატრიანის ნაკვიანევს შემდგენელებს იმ ძველ წყაროში მოთავსებული მასალა სისწორით ვერ შეუგნიათ, თავისებურათ განუმარტავთ და „მეფის მეორე პირნი“ მეორე მეფეებად მიუღიათ. ამ უკანასკნელის მიზეზსაც ახლავს დავინახავთ.

უკვე რამოდენჯერმე გამოითქვა აზრი, რომ ჩვენი საისტორიო

⁴¹) ივერიის მეფის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევა: „Государств. строй др. Грузии и др. Армении“, т. I. СПб. 1905 г. განსაკუთრებით გვ. 8—19; ხოლო „მეფის მეორე პირზე“ გვ. 67—69.

წარების და, განსაკუთრებით, „ქართლის-ცხოვრების“ შემდგენელი სომხის ისტორიკოსთა და, კერძოდ, მისე ქორენელის „სომხეთის ისტორიის“ გავლენის ქვეშ უოფილან. უეჭველია, ამ გავლენით აღსნება ის კარეშეება, რომ ჩვენი მატიახე სასომხეთის არმკუნიანთა დინასტიას ქართლში ქრ. წინ ზირველ საუკუნეში ამეფებს, თითქმის 120 წლით აღრე, ვინემ იგივე დინასტია სომხეთში ნამდვილათ გამეფდებოდა (იხ. ზემოთ შენიშვნა მე-13). მაგრამ უკვლახე უფრო მეტათ ამ გავლენის კვლი აღრეკი-მეფის ცხოვრების აღწერასა და საზოგადოთ ეგრეთ წოდებულის „ორ-მეფობის“ ისტორიას ატევა:

1. მისე ქორენელის მოწმობით ქრისტეს თანამედროვე მეფე სომხეთისა იუო აბკარი (5 წ. ქრ. წინ და 32 წ. ქრ. შემდეგ); სწორეთ ისე, როგორც ჩვენში იმავე დროს მეფობდა აღრეკი. ქორენელის თქმით, აბკარის დროს „იშვა მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე, ძე ღვთისა“⁴²); სწორეთ ისე, როგორც აღრეკის მეფობის დასაწეისში, ჩვენი მემატიახის კარდამოცემით, „იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბეთლემს ურისტახისასა“.

2. მისე ქორენელით, აბკარის მოციქულები „მიდიან იერუსალიმს მაცხოვრის სასახავად, რადგან ბეჭი რამ გაცონილი ქონდათ მისი სასწავლების შესახებ“⁴³); სწორეთ ისე, როგორც ეელიოზ მცხეთელი და ღონგინოზ კარსხელი, ჩვენი მატიახის სიტყვით, ქრისტეს ჟვარცმის წინ იერუსალიმს მიემგზავრებიან და თვით ჟვარცმასაც ესწრებიან⁴⁴).

3. ქორენელის „ისტორიით“ აბკარის დროს სომხეთში შემოდის ორი მოციქული: თადეოზ და ბართლომე⁴⁵); ჩვენი მატიახით, აღრეკის დროს დასავლეთ საქართველოში ქადაგობს ორი მოციქული: ანდრია და სვიმონ კანანელი.

⁴²) Исторія Арменіи Моисея Хоренскаго. Москва 1893 г., стр. 76.

⁴³) ibidem, стр. 80.

⁴⁴) ქ.-ცხოვრ. ჰიკონაძის გამოცემა, გვ. 51—51. მარიამ დედოფლ. ვარიანტი, გვ. 30.

⁴⁵) Исторія Арменіи... стр. 83 и 86.

4. „სომხეთის ისტორიით“, აბგარი აშენებს ქალაქ ედესას⁴⁶); ხოლო „ქართლის-ცხოვრებით“ აღეკვი „უმეტებს სიმაგრეთა ქართლისათა, ქალაქთა და ციხეთა, და უმეტეს მამტიკიტებს ზღუდეთა ქაჯაქისა მცხეთისათა, წუასსა იმიერ და ამიერ“⁴⁷).

5. დასასრულ, მოსე ქორენელის თქმულებით, „აბგარის გარდაცვალების შემდეგ სომხეთის სამეფო იყოთა ორ ნაწილად: მისი ძე ანანუნი იღვამს გვირგვინს და მეფობს ედესაში; ხოლო მისი დისწული სანათრუკი — სომხეთში“⁴⁸). სწორეთ აზნაირათეუკ, ჩვენი წყაროების მოწმობით, აღეკვის შემდეგ ივერიის „მეფობაჲ ორად გაიყო, ორნი მეფენი დასხდეს იმიერ და ამიერ: ქარამი (ქართამ) აკმაზს და მცხეთას ბრატმან“⁴⁹).

გვგონებთ, ამ ჰარაღეფური ადგილების ჩამოთვლაც საკმაოდ ავასკვანათ, თუ რა ძლიერი უნდა უოფილიყო სომხის ისტორიკოსთა გავლენა ჩვენს შემართანესა და შექრონიკეზე. მაგრამ განვადგოსთ ჰარაღეფური ადგილების ამოწერა:

6. როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, კლასიკურ მწერადთა მოწმობით, 35 წლის მახლობლათ ქრ. შემდეგ ივერიაში გამოუდა თარსმან I-ელი, რომელიც იმდენათ ძლიერი და ზურგ-გამაგრებული იყო რომის იმპერატორთა შეგობრული კავშირით, რომ სომხეთში თავისი ძმა და შვილი გაამეფა (იხ. ზემოთ შენიშვნა 38). ამ მეფეს ჩვენი წყაროებიც იხსენიებს; მხოლოდ ჩვენი მართანე მის თანამედროვე მეფედ სომხეთში სთვლის „იარენდს“ — „იარვანდს“ (ანუ მოსე ქორენელის ერუანდს) და თან დასძენს, ვითომც როგორც მისი წინამოადგილენი, ისე თვით თარსმანიც უოფილიყონ „მორჩილებასა შინა სომეხთა მეფეთასა“ და შესწოლდენ „სომეხთა უოველთა

⁴⁶) ibidem, стр. 77.

⁴⁷) „ქართ.-ცხოვრ.“ მა⁴ იამ დედოფლ. ვარ. 30; ჭიკინაძის გამოცემა გვ. 53.

⁴⁸) Исторія Арменіи, стр. 85.

⁴⁹) სამი ისტ. ქრონიკა, გვ. 8—9. მართამ დედოფლ. ვარიანტი, გვ. 31.

მტერთა მათთა ზედა“⁵⁰). ერუანდ-მეფის დროს „ივერიის მეფეს ფარსმანს“ იხსენიებს მოსუ ქორეხელიც და დასძენს, რომ ეს მეფე თავისი ჯარით ხშირათ შეეწეოდა ხოლმე ერუანდ-მეფეს სპარსებთან ომის დროსაჲ⁵¹). მაგრამ, როგორც მოსუ ქორეხელის სახელით ცნობილი „ისტორიის“ ტექსტის კრიტიკამ დაამტკიცა, სომხეთის მეფეს ერუანდს, რომელსაც ქორეხელი და ჩვენი მატანე ფარსმან I-ელის თანამედროვედ სთვლიან, სრულიადაც იმ დროს არ უმეფენია სომხეთში, რა დროსაც ქორეხელი უჩვენებს⁵²). და ეს ასეც უნდა უფთხიყო, რადგან, როგორც თანამედროვე ტაციტი მოწმობს, ფარსმან I-ელის დროს სომხეთში მეფობდა მის და რომაელების მიერ დადგენილი მისივე ძმა მიტრიდატი და არა ერუანდი, გინა „იარვანდი“, როგორც ქორეხელი და ჩვენი შემატანე გვარწმუნებენ. ცხადია, თუ საიდანაც უნდა ამოვღოს ჩვენს შემატანეს ეს უაღბო თქმულება ფარსმან ჰიკელის საერთაშორისო დამოკიდებულებათა შესახებ. მაგრამ აი კიდევ მაგალითები:

7. ფარსმან I-ელის შემდეგ, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, მცხეთის ქვის წარწერა იხსენიებს მის ძეს ივერიის მეფეს მიტრიდატს. ჩვენი ადგილობრივი წყაროები კი ფარსმანის შემკვიდრედ სთვლიან „აზოაკს“ (= „არძუე“, „აზუე“, „არსოე“), რომლის შესახებაც „ქართლის-მოქცევა“ არავითარ დეტალურ ცნობას არ იძლევა, „ქართლის ცხოვრება“ კი ბევრს ამბობს და მთელი მისი მოთხრობა თითქმის არაფრით არ განსხვავდება მოსუ ქორეხელის თქმულებისაგან. სახელდობრ, ჩვენი მატანე ამბობს: აზოაკის დროს სომხეთში სუმბატ ბიერიტიანმა მოჰკლა იარვანდი და მის ნაფლად გაამეფა არტაშინი⁵³); სწორეთ ისე, როგორც, მოსუ ქორეხელით, არტაშეს მეფე იჭერს სომხეთის ტახტს სუმბატ ბიურატის ძის ბაკრატუნის

⁵⁰) „ქართლის-ცხოვრება“, მარიამის ვარიანტი, გვ. 31.—ტიკინაძის გამოცემა 62.

⁵¹) *Исторія Арменіи*, стр. 93 и 94.

⁵²) Г. Халатьянц—*Армянские аршакиды*, стр. 27 и 29.

⁵³) ტიკინაძის გამოცემა „ქ.-ცხ.“, გვ. 62.—მარიამ დედოფლ. ვარ. გვ. 32.

დახმარებით, რომელთან ბრძოლის დროსაც მოიკვდის ერუანდ მეფე⁵⁴⁾.

8. „ქართლის-ცხოვრებით“ არტაშანის მეფობაში ქართველები შეუერთდებიან ოსებს, ჯიქებს, ჰაზანიკებს, ძურძუკებსა და ლეკებს, შეესევინან სომხეთს, დაარბივეს მის ჩრდილო პროვინციებს, გამობრუნდებიან უკან და დაიბანაკებენ მტკვრის მარცხენა ნაპირას, სადაც წამოეწევათ სომხის ლაშქარი, აუტეხსთ სასტიკს ბრძოლას, დამარცხდებიან და გაფანტავს⁵⁵⁾. — მისე ქორენელითაც, არტაშესის მეფობაში აღახებმა შეიერთეს ნახევარი ივერია და მთიულეთი, გადაიარეს მტკვარი და შეესივნენ სომხეთს; არტაშესმაც შეეკრიბა დიდადი ლაშქარი და აღახები მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადაერკა, სადაც მოხდა დიდი ბრძოლა, რომელშიაც აღახები დამარცხდნენ და იძულებული გახდნენ ზავი ეთხოვათ⁵⁶⁾.

9. ჩვენი მატეანის თქმულებით, რამდენისამე ხნის შემდეგ სომხებსა და ქართველებს კიდევ აუტედათ ბრძოლა; სომხეთის მეფე არტაშანი შეჭრებს ლაშქარს და წარმოგზავნის ქართლისაკენ თავისი შვილის ზარენის წინამძღოლობით; ქართველები მიიშველიებენ ოსებს, დამარცხებენ ზარენს, ტუვედ წამოიფანჯნენ და დარაჯის ციხეში დამწყვდევდნენ⁵⁷⁾. მისე ქორენელით: რამდენისამე ხნის შემდეგ არტაშესმა ჩრდილო პროვინციათა ლაშქრის უფროსად დანიშნა თავისი შვილი ზარეხი, რომლის წინააღმდეგაც გაილაშქრა ივერიის მეფემ ქარწამმა, შეიპყრო ზარეხი და კავკასიის მთის ციხეში ჩასვა⁵⁸⁾.

10. მაგრამ, „ქართლის-ცხოვრებით“, ქართველების წინააღმდეგ გამოემართენ სუმბატ ბივრიტიანი და არტაშანის ორი ძე: არტაგაზი და ტიგრანი (ყოფილთა სპითა სომხითიანითა), რის შემდეგაც ქართველები იძულებული გახდნენ ზავი ეთხოვათ და ზარენი

⁵⁴⁾ История Армении... стр. 94—95 и 89.

⁵⁵⁾ „ქ.-ცხ.“ მარიაშის ვარიანტი, გვ. 32—34.

⁵⁶⁾ История Армении... стр. 98.

⁵⁷⁾ მარია დედოფლის ვარიანტი, გვ. 35—36.

⁵⁸⁾ История Армении... стр. 102.

ტუგობიდან გათავისუფლებინათ ⁵⁹). — მოსე ქარენელით: ზარესს მიეშველენ მისი ძმები: არტავაზდი და ტირანი, სუმბატ ბიურატითურთ, დაეცნენ ქარწამს და თავისი ძმა ტუგობიდან გათავისუფლეს ⁶⁰).

აღარ განგაგრძობთ ჰარაღელური ადგილების ამოწერას, რადგან ვგონებთ ზემორე აღნუსხული ადგილებითაც საკმაოთ ირკვევა, თუ რამდენათ ძლიერი გავლენა ჰქონიათ სომხის ისტორიკოსებს ჩვენი საისტორიო პირველ-წყაროების შემდგენელებზე. კერძოთ უკანასკნელი ოთხი ჰარაღელური ადგილის შესახებ უნდა შევნიშნათ, რომ აქ მოსე ქარენელის მოთხრობაში მხოლოდ ქართული მეუთის სახელია შემკული (ქარწამი აზორკის ნაფულათ); დანარჩენი მხრით კი ქართული მოთხრობა არსებითათ მოსე ქარენელის მოთხრობის განმეორებას წარმოადგენს. მაგრამ, როგორც თვით სომხის მეცნიერები ამტკიცებენ, მთელი ის 24 თავი მოსე ქარენელის „ისტორიის“ მეორე წიგნისა (თავები 37—61), სდაც მეფე ერუანდსა, არტაშესსა და არტავაზდსა ღამაჰაკი, სომეხთა ხალხური ეპოსის ნაწარმოებია და არა ისტორიული მოთხრობა ⁶¹). მაშასადამე, ამგვარსავე მასაღად უნდა ჩათვალოს ჩვენი წყაროების ის ადგილებიც, რომლებიც იმავე მოსე ქარენელის „ისტორიის“ აღნიშნული თავებიდანაა ამოღებული, და კრიტიკულათ დაწერილი ისტორიიდან საშუალოთ უნდა გამოირიცხოს.

ამ შენიშვნების შემდეგ ჩვენი აზრი ეგრეთ წოდებული «ორ-მეუთის» შესახებ მოკლეთ ასე შეგვიძლია გამოვხატოთ:

1. მთელი ის პერიოდი, რომელსაც დღემდე ჩვენი მატრიანის ბრმა მიმუღლნი „ორ-მეუთის“ სახელით იცნობდენ, ნამდვილათ ივერიის ცხოვრებაში არავითარს ორ-მეუთასს არ წარმოადგენდა; 30—140 წლებ შორის, ისე როგორ მათ უწინ და მათ შემდეგაც, ივერიაში ერთსა და იმავე დროს მეუთობდა მხოლოდ თითო მეფე, რომელ-

⁵⁹) მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 36.

⁶⁰) История Армении, стр. 102.

⁶¹) Г. Халатьянц—Армянск. эпосъ въ Исторіи Моисея Хоренскаго. Москва 1896 г., стр. 209—314.

საღ, სტრაბონის მოწმობის თანახმად, გვერდთ უღა მისივე საგვარეულოდან არჩეული მეორე პირი; ეს პირი მეფეს ეხმარებოდა ჯარის წინამძღოლობას და უზენაესი მართლმსაჯულების წარმოებაში. ერთი სიტუებით, იმ დროს ივერიაში არ არსებობდა ახსლურტური მონარქია, მაგრამ იქ არც ღუარქია უოფილა. საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტაში ივერიის მეფეს, იმავე სტრაბონის მოწმობით, სამღვდლოება უწევდა დახმარებას⁶²); მაგრამ, როგორც ტატიის მოწმობიდან სჩანს, როცა მეფე მოისურვებდა, მონაწილეობას იღებდა როგორც ჯარის წინამძღოლობაში⁶³), ისე საერთაშორისო საქმეების გადაწყვეტაშიც⁶⁴).

2. ჩვენი ქრონიკისა და მატაინის შემდგენელთ ხელში უნდა ქქონებოდათ კარგი ძველი წყარო, სადაც ივერიის მეფეებთან ერთად, აღერკის შემდეგ ფარსმან მე-III-მდე, „მეფის მეორე პირთა“ სახელებიც უნდა უოფილიყო მოხსენებული; მაგრამ, მოსე ქორენელისა და მისი მზგავსი მწერლების ზედაგულენით და მწიგნობრული წამბაძველობის წყალობით, მათ იმ კარგ წყაროში აღნუსხული ფაქტები და პირები ერთმანეთში აურევიან და ამგვარად ფაქტურის ერთმეფობის ნაცვლათ წარმომდგარა მწიგნობრული «ორ-მეფობა».

3. კლასიკურ მწერალთა მიერ დაცული ძვირთასი საისტორიო ცნობები ივერიის შესახებ საშალებას კაძლევეს კამოვარკვიოთ, თუ ჩვენი პირველ-წყაროების მიერ წარმოდგენილს მეფეთა ორ სიაში («არმაზის მეფენი» და «მცხეთის მეფენი») რომელი სია უნდა ჩითვალოს საკუთრივ ივერიის მეფეების ნუსხად და რომელი—„მეფის მეორე პირთა“ სიად. ფარსმან I-ელი და ფარსმან II-ე ჩვენი პირველ-წყაროების უველა ვარიატში „არმაზის მეფეთა“ შორის

⁶²) Страбонъ—Географія, кн. XI, гл. 3, § 46: „Второй классъ составляютъ жрецы, которые вѣдаютъ также тяжбы съ сосѣдними народами“ (пер. Мищенко, стр. 511).

⁶³) ასე მოიქცა ფარსმან I პართელებთან ბრძოლაში (Ганъ—Извѣстія... I, 115—117).

⁶⁴) ასე მოიქცა ფარსმან I-ელის შვილი რადამისტი, როცა თავის ბიძა მიტრიდატთან გამართა მოლაპარაკება (ibidem, стр. 120—121).

არიან მოხსენებულნი; როგორც ვიცი, ამ ორ მეუფეს მათი თანამედროვე კლასიკური მწერლებიც ნამდვილ ივერიის მეუფეებად სთვლიან. მაშასადამე ივერიის მეუფეებად უნდა ჩაითვალოს ის პირნი, რომელნიც ჩვენს წყაროებში ეგრეთ წოდებულ „არმაზის მეუფეებად“ არიან მოხსენებულნი; მეორე რიგის („მცხეთის მეუფეთა“ სია) სახელები კი — „მეფის მეორე პირთა“, ე. ი. მთავარ-სარდალ-მსაჯულთ-უხუცესთა სახელებს უნდა წარმოადგენდეს.

ამით ვათავებთ ჩვენს შენიშვნებს ეგრეთ წოდებული «ორ-მეუფობის» შესახებ ძველ ივერიაში და ადერკის მომდევნო მეუფეთა ისტორიის სისტემატიურ შესწავლას შემდგომისათვის გადავდებთ.

ს. გორგაძე.



მე-XII საუკუნის ქართული მწერლობის ხასიათი და რუს- თველის „ვეფხის-ტყაოსანი“.

(წაკითხულია საზოგადო კრებაზე 1908 წ. 21 თებერვალს.)

„ესე ამბავნი უცხონი,
უცხოთა ხელმწიფეთანი,
პირველ ზნენი და საქმენი,
ქებანი მათ მეფეთანი
ვპოვე და ლექსად გარდავსტკვენ,
ამითა ვილაყბეთანი“...

„აქამდის ამბად ნათქვამი
აწ მარგალიტი წყობილი“.
რუსთაველი.

შ ი ნ ა ა რ ს ი :

I. „ვეფხის-ტყაოსნის“ შესწავლის გამო.

II. „ვეფხის-ტყაოსანი“ თამარის კარის მწერლობის ქეშმარიტი გამოსახულებდა; თამარის პიროვნებამ ხელი შეუწყო ჩვენში სპარსული ხასიათის კარის მწერლობის გაჩენას; სპარსული მწერლობის ის ხანა, რომელიც გახდა თამარის დროის კარის მწერლობის წინამორბედი; ბუმბერაზების შესახები სადევ-გმირო ამბების მოწონება მე-XII საუკუნეში; ამ ამბების აღმზრდელობითი მნიშვნელობა; სპარსული კარის მწერლობა ყველაზე უფრო შეესაბამებოდა თამარის დროის საქართველოს მდგომარეობას; რუსთაველი, როგორც თავისი წრისა და ეპოქის ნამდვილი შვილი, უნდა დაინტერესებულიყო „უცხოთა ხელმწიფეთა“ ამბებით; „პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი“ შეიქმნა კანვად, რომელშიაც გამოიქარგა დროის მიმართულება და პოეტის ღრმა სულის მოძრაობა: პოეტის დროს „ამბად ნათქვამი“ გარდაიქმნა „წყობილ მარგალიტად“.

III. „ვეფხის-ტყაოსანი“ შინაარსისა და გარეგანი ფორმის მხრით.

IV. „ვეფხის-ტყაოსნის“ შედარება „ბარამიანთან“ და „ვის-რამიანთან“.

V. პოეტის ფანტაზიით სადევ-გმირო მოთხრობის შეცვლა; ქაჯების შესახები თქმულება; თანამედროვე ფილოსოფიური მიმართულების გავლენა „ვეფხის-ტყაოსნის“ დამწერზე.

დასკვნა.

I

ანტერტი ლიტერატურული ნაწარმოები ისე პატივცემული არ უფიქრია ჩვენი, როგორც რუსთველის „გეფსის-ტეაოსანი“. ქართულ მწერლობას იგი მიაჩნდა ქართული კულტურის უძვირფასეს სამკაულად. ლიტერატურის აღორძინების ხანიდან დღემდე განისმის ამ წიგნისა და მისი ავტორის ქება-დიდება, და, რა თქმა უნდა, ლიტერატურის თეორიის განვითარებასთან ერთად, უნდა აღძრულიყო მისი შესწავლის ინტერესი, უნდა აწონ-დაწონილიყო და დაფასებულიყო ეს ქართველი ერის სიამაუეც.

მართლაც, იგი შეიქმნა ერთ ფრიად საინტერესო მსჯელობის საგნად, როგორც ჩვენში, ისე სხვაგან; მაგრამ, გამოიკვია თუ არა ამით ჭეშმარიტება, გვაქვს თუ არა ჭერჭერობით, მისის მკვლევარების წყალობით, სწორი და უტუუარი აზრი ამ ნაწარმოებსა და მის ავტორზე? სრულიადც არა. პირიქით, რუსთველისა და მისი „გეფსის-ტეაოსანი“ შესახებ კითხვა ჭერ ისევე ნორჩია, ავტორის ვინაობა ისევე ბურუსშია გახუვული, მისი და მისის შრომის შესახებ კითხვები დღემდე წევდაღაღში განისვენებს. რა არის ამის მიზეზი?

ერთი, — ეს კერძოდ ქართველობაზე უნდა ითქვას, ჩვენის აზრით, — უნდა იყოს გაზვიადებული და ცრუ-პატრიოტიზმი; მეორე ჭეროვანი ერუდიციის უქონლობა, რომელიც უნდა ითქვას საზოგადოდ, თუ სახეში მივიღებთ, როგორც ქართველ, ისე უცხოელ მის მკვლევარებს.

ქართველი მკვლევარები იმ აზრისა იყვნენ¹⁾, რომ ავტორის პოემა ორიგინალია, პოემის ქება-დიდებას საგანი თამარ-მეფეა, მაშასადამე ქართულის ცხოვრების უტუუარი ფაქტებია მოთხრობილი ამ პოემაში და საკუთარი, როგორც გმირებისა, ისე ქვეყნების სახელები აღლეგორიულია და მათი გაკება და ახსნა შესაძლებელია მხოლოდ თამარის დროის ისტორიის შესწავლა-განხილვით, რადგან იმ დროის ისტორიის ამბები აქვს ამ ნაწარმოებს სარჩულად დადებული.

1) ვანტანგ VI, დავ. ჩუბინაშვილი, აკაკი და გ. წერეთელი, დიმ. ყიფიანი, სვიმონ ქვარიაძე, მ. ჯანაშვილი და სხვანი.

აქედან ის დასკვნა გამოჰყავდათ, რომ ზოგაში არც სპარსული, არც სხვა უცხო ქვეყნისა არაფერია, ვეველაფერს ქართული აზრი და მნიშვნელობა უნდა მიეცეს¹⁾.

ამგვარი აზრი, ვიმეორებ, დაბადა ცრუმ და გაზვიადებულმა მამულის სიუვარულმა და ჯეროვანი ერუდიციის უქონლობამ. მართლ სამშობლოს სიუვარული და ქართული ლაზარაკის ცოდნა გერ მისცემს საკმაო ძალას აღმინანს, გადასწევიტოს ისეთი საკითხი, რომელიც შეეხება ერთი ლიტერატურის მეორეზე გავლენას. ჩემის აზრით, არაფერი ამ შემთხვევაში ისეთი საჭირო არ არის, როგორც იმ ერის ენისა და ლიტერატურის შესწავლა, რომელსაც თამარის დროს ლიტერატურის ზრდა-განვითარებაზე დიდი გავლენა უნდა ჰქონებოდა.

ზირველ მეცნიერად, რომელმაც დაუღვა საფუძველი „გეფხის-ტეაოსანის“ სერიოზულს მეცნიერულ კრიტიკას, უნდა ჩათვალოს ჰროფ. ნ. მარო, რომელიც წინააღუდეგა მის დროში გაბატონებულ შემდგარ აზრებს ამ ნაწარმოების შესახებ; მაკრამ ჯერ სტუდენტად მეოფი და ზომასზე მეტად გატაცებული სპარსული გავლენით მე-XX საუკუნის ქართულს სერო მწერლობაში, ბ. მარო აჩქარდა, გამოუთქვა თავისი აზრი ამ ზოგის წარმოშობის შესახებ, რის გამოც იგი ჩავარდა მეორე უკიდურესობაში.

კამათის დროს იმ ზირებთან, რომლებიც უცქეროდენ ამ საკითხს მართლად ქართულის ნაციონალური თვალსზრისით, საღ-კაზდა მეცნიერმა დაიწყო თავ-გამოდებით „გეფხის-ტეაოსანის“ სპარსეთიდან წარმოშობის აზრის მტკიცება და კიდევ დასახელა მისი ორიგინალის ადგილ-სამეოფელო. იგი თუქრობდა, რომ ამ ნაწარმოების ორიგინალი ბრიტანიის მუზეუმში არსებობს და რომ რუსთველს კუთვნიის მის დროში ჰროზით ნაწერი სპარსული რომანის ლექსად გადაკეთების სახელით; მხოლოდ ამ ბოლო დროს ბ. მარომა შეასწორა თავისი შეგდომა და თავის ერთ შრომაში („Тексты и разысканія по арм.-груз. филологіи, в. IV. С.-Петербург. 1902 г.) იგი ამბობს

1) ამ მხრით ყველაზე უფრო ტიპიური ხასიათი აქვს ბ-ნის სიმონ ჭვარიანის შრომას: „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“, რომელიც მოთავსებულია 1903 წ. „მოამბის“ მე-7 და მე-8 ნომრებში.

შემდეგ: „ადგილი შესძლებულია „ვეფხის-ტყაოსნის“ ეურადლებით შესწავლამ აღმოაჩინოს ამ ლექსად გადაკეთებულს სპარსულ რომანში შეგნებული დასურათხატება ქართველი ავტორის ნაცნობი ტიპებისა და მთაწმინდებისა ჰოეტური იგავ-გაკვრით, რომელიც განსაკუთრებით აშკარა იქნებოდა თანამედროვეთათვის. ეს იგავ-გაკვრითი ჰოეზია დღესაც წამდენამდე გამოსჭვირის“¹⁾).

ეს ორი უკიდურესობა შედეგია იმისი, რომ არც ერთს რუსთველის შესახებ დამწერს ჯერ არ შეესწავლა ამ ავტორის ენა იმდენად, რომ შესძლებოდა ტექსტის წაკითხვა და პირუთუნელი მსჯელობის გამოთქმა²⁾; პირიქით, თითოეული მათგანი სტდილობდა გაეგვნა თავისი

1) იხ. *Тексты и разыскания по арм.-груз. филологии*, вып. IV. Н. Марр, 55—56 С.-Петербург. 1902 г. შარშან წინ გამოცემულს პატარა წიგნაკში „История Грузии“ ბ. მარრი აღიარებს: „სიუჟეტი ნასესხებია აწ დაკარგულის სპარსული ორიგინალიდან“ (стр. 33. С.-Петербург. 1906 г.).

2) პატივსაცემია ბ-ნის ა. სარაჯიშვილის შრომა: „ვეფხის-ტყაოსნის ყალბი ადგილები“ (იხ. „მომამბე“ 1895, 96, 97, 98 და 99 წლებისა). ვეფხის-ტყაოსანი მეცნიერულად გამოსცა დ. ჩუბინაშვილმა ორჯერ 1846 და 1860 წ. წ. სანკტ-პეტერბურლს. ზოგიერთი შეცდომების მიუხედავად, ეს გამოცემა დღემდის საუკეთესო სახელმძღვანელოა პოემის შესასწავლად. დ. ჩუბინაშვილის გამოცემის შემდეგ, „ვეფხის ტყაოსნის“ მეცნიერული გამოცემა და კომენტატორობა იკისრა ბ. დ. კარიჭაშვილმა „წერა კითხვის გამ. საზ-ის საბჭოს მინდობილობით“ [ტფ. 1903 წ.]. სამწუხაროდ, ხსენებული გამოცემა მჭევრმეტყველურად მოწმობს, თუ რა ნაკლებად ესმის რუსთველის ენა ისეთ პირებსაც კი, რომლებიც ცნობილი არიან ქართული ენისა და მწერლობის მკოდნეებად. ბ. კარიჭაშვილმა ბევრი, ჩვეულებრივის მკითხველისათვის ადვილი გასაგები ადგილი თავისი კომენტარიებით სრულებით დააბნელა: მაგალითისთვის საჭიროდ ვთვლით, დავასახელოთ ხანანი: 38, 133, 136, რომელთა აზრი კომენტატორის მიერ სრულიად წარყვნილია. გარდა ამისა კომენტატორი ხშირად მარტავს ისეთ ადგილებს, რომლებიც თავის თავად ცხადია, მაშინ როდესაც უყურადღებოდ სტოვებს ბევრს გაუგებარ და საცილობელ ადგილს; ნაპეტურ შესანიშნავია ავტორის სურვილი, გამოჰყოს პრელიკატივებს „ა“=„არს“ (შემწეობითი ზმნა).

ერთხელვე დაჟინებული აზრი, გაეტანა ერთხელვე გულში ამოჭრილი სურვილი; ბევრს მათგანს, თუმცა-კი ესმოდა ალაგ-ალაგ ჰომეის სიტყვები, მაგრამ ან ხსნიდენ ალეგორიულად და სტდილობდენ მათი სურვილისა დაგვარად აესხნათ ჰომეის ადგილები, ან და ზოგიც, მათი მოწინააღმდეგე, სტდილობდა ეთქვა, უველაფერი სპანსულია და ერთი სიტყვა არც თამარის, არც ქართველების შესახებ ამ ნაწარმოებში არ მოიპოვება.

ამნიარად ერთი-მეორის შუღლი და მტრობა იმდენად აბრმაგებდათ, რომ ისედაც ნორჩ კითხვას კიდევ უფრო ახნელებდენ, მაშინ როდესაც ჰომეის შინაარსის კეთილსინიდიისიერსა და პირუთვნელ განხილვას შეეძლო მიეყვანა ადამიანი სწორსა და ნათელ დასკვნამდე.

მაგრამ, სამწუხაროდ, არცერთი რუსთველის შესახებ დამწერი ერთი სიტყვითაც არ შეხება ჰომეის შინაარსს, უფველი მისი მკვლევარი ათავებდა თავის მუშაობას წინასიტუვაობის განხილვით. თუმცა არც წინასიტუვაობაა დღემდე საკმაოდ შესწავლილი და განხილული.

მიუხედავად მთელის ლიტერატურისა ამ საგნის შესახებ, „გეტუხის-ტყაოსნის“ მოვლინება მე-XII საუკუნეში დღემდის გამოცანად რჩება. გამეფებული აზრი, ვითომც „გეტუხის-ტყაოსნის“ ამავი წარმოადგენდეს მე-XII საუკუნის ისტორიულ შემთხვევათა ალეგორიულ გამოსატყულებს, ჩვენ მიგვაჩნია უფველ საფუძველს მოკლებულად; ერთი რამ არის ჭეშმარიტად სარწმუნო, სახელდობრ ის, რომ ჰომეის საკარო მწერლობის მიმართულების ჭეშმარიტი გამოსატყუებაა.

ამ წერილით ჩვენ გვსურს აღვნიშნოთ და, შეძლებისა და-გვარად, გამოვარკვიოთ ტიპი იმ სადეე-გმირი¹⁾ მოთხრობისა, რომელიც დაედგა საფუძვლად რუსთველის „გეტუხის-ტყაოსანს“. ამ საკითხის გამოსარკვევად ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნდა ერთი მხრით მე-XII საუკ. მწერლობაში გახატონებულად მიმართულების გათვალისწინება, მეორეს მხრით იმ წყაროს გაცნობა, საიდანაც იკრებს ძალ-ღონეს და მასაღას იმ დროინდელი ქართული კარის მწერლობა. იმ უცხო ლიტერატურ-

1) „სადევ-გმიროს“ ჩვენ ვუწოდებთ აღმოსავლეთურ საეპიკო ამბებს, სადაც მოქმედ პირებად ადამიანებთან ერთად გამოყვანილი არიან სხვა და სხვა მანე სულეები, დევები და ქაჯები.

რული მიმართულების განცობა, რომელსაც თვალსაჩინო გავლენა ქქონ-
ნდა მე-XII საუკუნის ქართულის საერო ლიტერატურის აღორძინება-
ზე, ავტორის ნაწარმოების შინაარსისა და მის დამახასიათებელ თვი-
სებათა შესწავლასთან ერთად, გახლავთ ის ერთად-ერთი გზა, რა-
მელიც ჩვენ ავირჩიეთ ამ საგნის კვლევის დროს.

II

თამარის ციურმა სახემ, მისმა საოცნებო მშვენიერებამ და სამე-
ფო ჭკუამ მეტის-მეტად აამაღლა მეფის უზენაესი უფლება და შეუწ-
ყო ხელი მისი პიროვნების გაღმერთებას. მისმა ჭკუროვნებამ და სან-
დომიანმა სახემ ზემოთაგონს თანამედროვე მელექსეთა მუზა, რამაც
გამოიწვია კარის ლიტერატურის განვითარება.

ამ გარემოების უნდა გამოიწვია ლიტერატურული მოძრაობა
სპარსეთის ურთიერთობის ნიადაგზე აღზრდილსა და დავით აღმაშე-
ნებელის მიერ პოლიტიკურად გაძლიერებულსა და სწავლა-ცოდნით აუ-
ფავებულს სპარტოელოში.

თამარის დროის ქართული ლიტერატურის საუცხოო აფა-
ვებას, რასაკვირველია, ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ იმ დრო-
ინდელ ქართველს აღარ შეეძლო დარჩენილიყო მარტოოდენ სასულიერო
მწერლობის ქრისტიანული ასპექტიზმის ვიწრო ფარგალში, რასაც
აშკარად ვამჩნევთ მეზობელ სომხურს სასულიერო ხასიათის მწერ-
ლობაში. იმ დროინდელის ქართული აზროვნების ინტერესები თხო-
ულობდნენ უფრო მეტს: ხანგრძლივმა რაინდულმა ბრძოლამ სახელ-
მწიფოებრივობის შესაქმნელად მომამზადებელ ხანაში და საბერძნეთის
და აღმოსავლეთის ცივილიზაციის დაახლოვებით განცობამ, ადრე
გათავისუფლდა ქართველობა სარწმუნოებრივო ასპექტიზმის გავლენისა
გან; ამიტომაც ქართველები მწერურგაღვივით დაეწაფენ სპარსულ ლი-
ტერატურას და იწევენ სპარსული ეპოსის ნიმუშებით სარგებლობა.

მაშინდელი სპარსული ლიტერატურა, რომლის გამომხატველია
ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ და გაზნის სულთნის მანუშუდის კარზე კარის
ლიტერატურის უმაღლეს წერტილადის განვითარება, უგელაზე უფ-

რომ შეუფერებოდა თავისი შინაარსით თავისი ბრწეინგაღე ეპოქის სულს და მიმართულებას.

მაგრამ, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად ბუნებრივი იყო იმ დროინდელ მწერალთა სმარსულის ლიტერატურის მიმუშებით გატაცება, საჭიროა გადავფიქროთ თვალი სმარსული მწერლობის სახელდობრ იმ ხანას, რომელმაც დიდი და განსაკუთრებული გავლენა იქონია ჩვენს იმ დროინდელ მწერლობაზე.

სმარსული ლიტერატურის აუვავებასა და განვითარებას მე-XII საუკუნის პირველ ხახვარში ხელი შეუწყო გახნის სულთნის მამულის კარზე საკარო ლიტერატურის განვითარებამ და მასთან ისეთი კლასიკური ნაწარმოების გაჩენამ, როგორც არის უკვდავი ფირდოუსის „მამ-ხამე“. ამ ნაწარმოებმა შეტად ძლიერი გავლენა იქონია შთელს სმარსულ ლიტერატურაზე; ეს გავლენა უმთავრესად იმაში გამოხატა, რომ ფირდოუსის შემდეგი შკოსნები სიუჟეტად ლებულბებს ხალხურ თქმულებებს, რომლებიც დარჩნობდა ფირდოუსის. ამ გვარი მიმბამელები უოველთვის შკგვითნრობებს რომელსამე როსტომის საგვარეულადან გამოსულ გმირზე: ზოგი მათგანი აქებს როსტომის შვილის გმირობას, ზოგიც ვისმე მის ჩამომავალს.

ამხანად იწინა თავი მიმბამელები შკოსნების შთელმა დასმა, — რომელმაც შექქმნა ეპოს-რანდული ლიტერატურა, რისთვისაც ბოლელეულ იქმნა შთელის ირანის ლეკებდარულ-ისტორული მასალა; ეს მასალაც რომ შექმელათ, ვოეტებმა მიმართეს ნამდვილ ისტორიულ ამბებს და იქიდან საკებლბდებს ისეთი შემთხვევებით, რომელთაც ლეკებდარული ხასიათი ქქობდათ, თუშცა რომ უფრო გასართობი უოფილიყო მათი ნაწარმოებნი, ისინი მათში ვრცელ ადგილს უთმობდებს თავის საკუთარ ფანტაზიას, ასე, ამხანად, ეპოსი თანდათან იფხლებს: ჭერ საეპიკო — საღეგ-გმირო ამბებად, შემდეგ კი ზღაპრად. შემდეგში შკოსნებმა აირჩიეს ორი გზა: ერთი წეება თავისი ნაწარმოების სიუჟეტად იღებს არაბულ ზეპირ-გარღმცემებს, შოორე კი, უშეტეის ნაწილი, არჩევს ისტორიული ვირების საგმირო საქმეებს.

მაგრამ ფირდოუსის გავლენა სმარსულ ლიტერატურაზე როდი განისაზღვრება მხოლოდ საეპიკო ლიტერატურის ფარგლებში; იგი

იხენს თავს აგრეთვე რომანულ პოეზიაშიც. მისი „იუსუფ-ფუ-ზუ-ლეისა“ („იოსებ-ზილიხანისი“) თუმცა მოკლებული იყო მაღალ პოეტურ ღირსებებს, მაგრამ ამ ნაწარმოებშიც მას გამოუჩნდა მრავალი მიმბაძველი (სპარსულის ნაციონალური ეპოსისა და ფირდოუსის შესახებ იხ. Nöldeke das iranisch. national Epos, 5 ibid. 14 folg. ფირდოუსის მიმბაძველების შესახებ იხ. წინასიტყვაობა: livre des rois Jules Mohl).

ფირდოუსის „იუსუფ-ფუ-ზუ-ლეისა“-სთან საჭიროა დავასახელოთ რიგ სხვა რომანული შანაარსის ნაწარმოებებიც: ერთი ეკუთვნის ფირდოუსის თანამედროვე უნსურის კალამს; ეს უნსურიც ფირდოუსთან ერთად სტოფორობდა გაზნის სულთნის შავშუდის კარზე, იყო მფარველი ფირდოუსისა და უველა კარის მწერლისა, და დასწერა რომანი „ვაშე-ფუ-აზრა“, რამდენიმე გაცნობა შეიძლება დღეს მხოლოდ თურქულ ენაზედ გადმოღებული, იმავე საუბრის, ნაწარმოებით; ამ ნაწარმოების ავტორს უსარგებლებია სპარსული ვერსიით.

მეორე ამ ნაწარმოებთაგანია, რომელიც ჩვენთვის ფრად სანტიტრესია — რომანი „ვის-უ-რამინი“ გადმოკეთებულია ახალ სპარსულად ფალაური ორიგინალიდან, რომელიც შემთხვევით გადაჩენია არაბების შემოსევას, შეეხება იგი უძველეს დროს. ¹⁾

¹⁾ ჩვენი „ვის-რამინი“, როგორც თარგმანის წინასიტყვეობაც გვიჩვენებს, არის ამ სპარსულის ორიგინალის თარგმანი; ქართულ თარგმანში ბევრი ადგილი თითქმის სიტყვა-სიტყვით ეთანხმება ორიგინალს, მაგრამ ზოგიერთი მისი ადგილი უფრო ვრცლად არის გადმოცემული, ზოგი შემოკლებულია, ან სრულიად გამოტოვებული, ან განზრახ შეცვლილი. (მაგალითად ადგილი: „დიგერდერ ზაქ ნეჭიზონედ იჩოჰარ“ (სპარსული ტექსტი, 116), მთარგმნელს გადაუსხვაფერებია ასე: „მარგალიტი ღორსა წინა აღარა დაყარა“ (ვისრამ. 125. შეუღარეთ სახარება მათესი, თავი 7, მუხლი 6), მაშინ როდესაც აქ ნათქვამია: „მას არცერთი მარგალიტის თვალი აღარ დაუგდია მიწაზე“. შეუღარეთ აგრეთვე სპარს. ტექ. 394, 5=ქარ. ტ. 451, 10: „რომლისა მიწისაგან დაბადა (ღმერთმან კაცი), ბოლოსა ჟამსა მუნვე მიიყვანს“. სპარსულში მიწის მაგიერ არის: چاه-ნიფთი, მარგალიტი. განზრახ შეცვლილია აგრეთვე ორიგინა-

ამხანიად ჩვენთვის საინტერესო სპარსული ლიტერატურის პერიოდში ჩვენ ვხვდებით ორნაირს ნაწარმოებს: ეპოსს ანუ სადეგ-გმიროს

ლის შემდეგი ადგილი (იხ. სპარს. ტექსტი, გვ. 113, სტრიქ. 18):
 مصلحتی است که از آنجا که می‌خواهد، سادაც ნათქვამია: მასწავლებელი რომ საამო გალობას იწყებს, მოწაფე იმ წამსვე ცეკვას გააბამსო. ამ ადგილს მთარგმნელი ასე თავის გემოზე სცვლის: „რა ხუცესი ორ-ძალთა უკრევდეს, დიაკონმან შუშპარისა კიდე რამცა ქნას?“ (იხ. გვ. 121, 23—24. Н. Марр. Ж. М. Н. Пр., стр. 202 1896 г. стр. 228, пр. 3.) ზოგი ადგილი სრულიად დამახინჯებულია, რაც უმეტეს ნაწილად მოწმობს გადამწერელთა უვიცობას; მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ ორიგინალის შემდეგი ადგილი (გვ. 280. სტრ. 18), „ვეერ ხანენდ არაშრა კემან გირ, კი ეზ სარი ბე მერვ ანდოხტ იეკ ტირ,“ რომელიც ნიშნავს: „არაშს იმიტომ უხმობენ მესარედ, რომ მან სარიდან მერვამდი გასტყორცა ისარიო“; სიტყვა „სარი“-ს (ქალაქის სახელია) ნაცვლად ქართულში ვკითხულობთ სიტყვას „სიარულით“, რაც შეუწყნარებელია (იხ. ქართ. ტ. გვ. 303, სტრ. 17—18). ეს ადგილი აღნიშნული აქვს პრ. მარსაც. (Ж. М. Н. Пр. 1895. стр. 234. ibid. пр. 1., სადაც აღნიშნულია კურიოზები, რომლებსაც ვხვდებით ქართულ გამოცემაში.)

დამახინჯებულია აგრეთვე ქართული ტექსტის (იხ. გვ. 445) ადგილი: „საწუთრო ძველია და ჩვენ შიგან სიზმართა ვგავთ“ (ხელნაწ. „ვღამთ(?)“). იხ. ხელნაწერები №№ 96 და 1728, შაჰი მოაბადის სიკვდილი ტახისაგან). სპარსულ ორიგინალში მას უდრის შემდეგი ადგილი: „ჯაჰან ხაბ ესტ ვე მა დერ ვეი ხაილიმ“ (იხ. გვ. 387, 12), რომელიც ნიშნავს: „ეს სოფელი ძილია, და ჩვენ კი მასში სიზმარნი ვართ“, რაც სრულიად ნათელია. ამგვარსავე შეცდომას იღენს გადამწერელი მეორე ალაგას, ფრაზაში: „არ მებრალეების უთმინობა და უძალობა“, სადაც სიტყვა „უძალობა“, სპარსულის ტექსტის მიხედვით, უნდა შეიკვალოს „უძილობად“ (იხ. ქართ. ტექსტი 254—სპარ. 237, 4). ძალიან ხშირად მთარგმნელი სცდილობს შეამოკლოს აზრი, რის გამოც ორიგინალის ენის სურათიანობა სრულიად იკარგება. მაგ. სპარსულ ორიგინალში ვკითხულობთ (გვ. 116 სტრ. 2): همی گفت این سخن و بیرو بخوهر همی باریددیس از چشم کوفر

პოემებს, რომლებიც ბოლოს და ბოლოს დებულობენ ზღაპრის ხასიათს, და რომელსე პოემას, რომლის ნიმუშად შეგვიძლია დავასახელოთ ქართულ ენაზე ცნობილი „ვის-რამიანიც“. კარის მწერლებს შორას საშატიო ადგილი ეჭირათ აგრეთვე მესობეებს, რომელთა მიზანი იყო შეფუთა შეგობა, შექება.

რაც ნიშნავს: „ეს სიტყვა უთხრა ვირომ თავის დასა და ვისმან თვალიდან მარგალიტი გადაოსწვიმა“-ო.

მთარგმნელს ეს შევნიერი ადგილი შეუცვლია ასე:

„ვირო ვითაცა ეუბნებოდა, ვისი საბრალოდ ტიროდა“, და ამგვარადვე ამოკლებს და სცვლის მთარგმნელი ადგილს, სადაც რამინი ოცნებობს ვისის დარბაზისკენ გატყორცნილის ისრის ზეედრზე. სპარსელ პოეტს ეს ადგილი მეტად პოეტურად აქვს გადმოცემული, იგი ამბობს: „რამინმა რომ ისარი გაუშვა, დევის ფიქრთა ლაშქარი შეჰყარა“-ო. ეს ადგილი მთარგმნელს ასე შეუცვლია:

„რა რამინ ისარი გასტყორცა, მერმე საგონებელსა ჩაიკრა“-ო. ამგვარადვე ამოკლებს, ან და სრულიად სტოვებს მთარგმნელი ისეთ ადგილებს, როგორც არის, მაგალითად, „გუმბათზე ნიგოზის დაყრა“-სი და ძიძისაგან ვისის დარიგების“ შევნიერი შედარება. „ძიძას თითქო ნიგოზი დაეპაროს გუმბათზე“-ო, ამბობს სპარ. ტექსტი (იხ. სპარს. ტექსტი, გვ. 62, სტრ. 19—ქართ. გვ. 59, სტრ. 10-15). ქართულ ტექსტში ამ სიტყვებს ვხვდებით სხვა ადგილას, სადაც სპარსულის შესაფერი ადგილი მას არ ეთანხმება (იხ. ქართ. ტექსტი, გვ. 243, სტრ. 9—10). ამნაირად თარგმანი მოკლებულია ორიგინალის პოეტურ ღირსებებს, მაგრამ ზოგან სავსებით არის დაცული ორიგინალის ენის სურათიანობა. ეტყობა, ავტორს მეტად თავისუფლად უთარგმნია, რის გამო არსებული ქართული თარგმანი ბევრით განსხვავდება ორიგინალისაგან. სპარსული „ვის-რამიანი“ ლექსად სთარგმნა გრაფმა გერმანულად (ეუნალში „Zeitschrift der morgenlaudischen Gesellschaft“, 1869). თარგმანის უმეტესი ნაწილი საოცარი სინამდვილით გადმოგვცემს ორიგინალს; შრომას დართული აქვს აგრეთვე ამ ნაწარმოების შინაარსის ვრცელი მოთხრობა. ქართული თარგმანი სპარსულ ორიგინალს ჩვენზე ადრე შეუდარა პროფ. ნ. მარმა (Ж. М. Н. Пp. 1896 г., стр. 223—228).

ახლა ვიკითხოთ: რას წარმოადგენს მე-XII საუკუნის ქართული მწერლობა?

აქაც, როგორც სპარსულ ლიტერატურაში, ჩვენ ვხედავთ იმიგვარსავე სადევ-გმირთ მითხრობებს, როგორც „ამირან-დარეჯანიანი“, რომანტიული შინაარსის ნაწარმოებს, როგორც „ვის-რამიანი“ და ხოტბებს ანუ შესხმითს ქებას, მიმართულს თამარისა და მისი მეუღლის დავით სოსლანისადმი.

ჩვენის ისტორიის მთელი წარსული წმინდა რაინდული გახლდათ; ბუმბერაზობა და გოლიათობა, როგორც ამას მოწმობს ჩვენის მატანიის მითხრობები ისტორიული გმირების შესახებ, ძალიან მოწონებული უნდა ყოფილიყოს იმ დროინდელ საქართველოში.

ამიტომ სრულად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს ისეთი ამბებით გატაცება, როგორთაც მოკვითხრობს ფირდოუსის „შაჰნამე“, რომლისგან გადმოდებულ ცალკე წიგნებს დიდი მოწონება ჰქონია ჩვენში, როგორც ამას მოწმობს ქართული „როსტომიანი“-ს, „ბუჟანანი“-სა და სხვების თარგმანები¹⁾. ამგვარი გატაცებით აიხსნება ჩვენს მწერლობაში ისეთი საგმირო ღელაზრის არსებობაც, როგორც არის „ბარამიანი“, რომელიც ძლიერ გავრცელებული ყოფილა ჩვენში, რასაც მოწმობს მრავალი ხელნაწერები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში (იხ. „ქართული მწერლობა მე XIII—XIV საუკ.“ ზ. ჭინაძე. თფილისი, 1885 წ.). ამგვარივე გატაცებით აიხსნება ისეთი სადევ-გმირთ მითხრობის არსებობაც მე-XII საუკუნეში, როგორც არის „ამირან-დარეჯანიანი“, ამოღებული. პროფ. მარის გაუმოკვლევით, სპარსული რომანებისა და მითხრობების კრებულიდან „უისა-ჰამზა“ (Жур. Мин. Нар. Пр. СПб., 1895 г. № 10.

1) პროფ. მარის გამოკვლევით, „შაჰ-ნამეს“ ანუ მეფეთა წიგნს მშვენიერად იცნობდნენ ქართველები ჯერ კიდევ მე-XI და მე-XII საუკ. (იხ. მისი წერილი: „ორიოდე სიტყვა შაჰ-ნამეს ქართული თარგმანის შესახებ“ გაზ. «ივერია» №№ 132, 133, 135, 1891 წ.). როსტომიანის და ბუჟანიანის რედაქციების შესახებ ვრცელი ბიბლიოგრაფიული ცნობები მოყვანილი აქვს ბ. ექვთ. თაყაიშვილს თავის *Описание рукописей общ. распр грам среди груз. населенія. т. I, вып. II, стр. 375.*

стр. 328. Н. Марръ—Изъ книги Царевича Баграта. Изв. Академіи Наукъ, томъ X, № 2245).

სადეგ-გმირო მოთხრობების არსებობა მე-ХП საუკ. მწერლობაში შეკვივრულია გავამართლოთ იმ მოსაზრებითაც, რომ საკარო ლიტერატურის შინაარსად შეფუძების ხოტბებს გარდა უნდა გამხდარიყო აგრეთვე ხელმწიფეების შესახები საგმირო ამბები, რადგან ეს უკანასკნელები წარმოადგენდნენ თავისი შინაარსით სამეფოდ მოწოდებული ზირების საგმირო საქმიანობებს.

ამ სამეფოდ მოწოდებული ზირების საგმირო საქმიანობებს, გარდა იმისა, რომ სსსამოყვანო საკითხავი იყო მეფეთა და დიდებულთათვის, ქვეყნად აგრეთვე დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც. სახელდობრ, ამ გვარი ამბების მიზანი იყო აღეზარდათ იმ დროინდელი ქართველის გულში მეფის უზენაესი უფლებებისადმი ერთგულებისა და პატივისცემის გრძობა. მართლაც, ამ ამბებში უმთავრესი გმირი განსაკუთრებული პატივისცემით უცქერის და ეპურება მეფეს. მოვიყვანოთ მაგალითები „ვეფხისტყაოსნი“-დან და „ვის-რამიანი“-დან.

როდესაც როსტოვან მეფემ მოისურვა წყლის ზირს მჭადრის მტირალი მოემის ამის გაგება, ჯერ მონები გაგზავნა მის მოსაუვანად, მაგრამ ვეფხისტყაოსანმა უურადღების დირსიც კი არ გახადა ისინი: შეჯდა ცხენზე და გაუდგა თავის გზას; მონებმა დააპირეს მისი შეპურება, მაგრამ მან ისინი ისე მოაქცია, რომ მტრისაც კი შეებრალებოდა: ვისაც კი გადაჰქრა მათრახი, უველა მკერდამდი გააპო. „რაზომნიცა მიეწიგნეს, უფლნი მკვდართა დასახნა; კაცი კაცსა შემოსტეორცნა“... როსტოვანი ძლიერ შესწუხდა და ავთანდილთან ერთად გამოემთო იგი ცხენით ტარიელს მისაწევად. როგორ იქცევა ამის შემხედვარე ტარიელი?

„რა სცნა შეფე მოვიდაო, ჰქრა მათრახი მისსა ცხენსა;

„მასვე წამსა დაიკარკა“...

აი როგორ უხსნიან ტარიელი შემდეგში ამ თავის საქციელს ავთანდილს თავის თავგადასავადის ნობის დროს ქვაბში:

„მოვიხედე, მომეწია, რა პატრონი შენი ვნახე,

„ხელმწიფობით შემებრალნეს, ამაღ ხელი არ შევახე,

„თვალთა წინა გამოგვექცე, მეტი არა შეუზრახე“.

(„გეფხ.-ტე.“, ხანა 425, წ. კ. ს.ზ. გამოც. 1903 წ.).

ამას გარდა ეს ამბები უოველთვის იდეალურად ხატავენ მეფეს: როსტეპან არაბთა მეფე იყო „ღვთისაგან სვიანი, მალაღი, უხვი, მდაბალი, მოსამართლე, მოწყაღე, შეუდარებელი მეომარი და მოუბარი წელანი“ (გეფხ.-ტე., ხანა 32).

გახელმწიფებული რამინი ამგვარ აღთქმას სდებს ღვთის წინაშე: „ვირე ცოცხალ ვიყო, შენს ბრძანებასა არა გარდავადე, მოსამართლე, მდაბალი, ღმრთის მოშიში, მართლის მეტყველი, სიმართლის მძებნელი, გლახკათა დაუჭირველი და მოწყაღე, შენთა დაბადებულთა და მოხნათა მეშველი ვიყო“ (იხ. ვისრ., გვ. 448, სტრ. 11).

ოღონდაც რომ მეფის იდეალთა განხორციელებანი გასლავან: არაბთა მეფე როსტეპანი, ფრიდონ მალაღი, სვე-სრული, მეფეთ-მეფე, რომელსაც ჰოეტი ამკობს ეპითეტებით: „მზე შუჭ-მოიფე“, „მტერთა სისხლისა მჩქეფე, მოვლენილი, მორჯული“ და სხვ.

ეს ამბები ასწავლიდენ აგრეთვე მეფისათვის თავდადებას: ცბიერის რამაც მეფის სამომრად გამზადებული ტარიელი, სხვათა შორის, ეუბნება თავის ჭარს:

„გინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან“-ო. (ჩუბ. 436, ტაუბ. 3. წ. კ. = 425.)

რა თქმა უნდა, ამ გვარის ხასიათის ამბები დიდ ჰატივს მოიპოვებდენ მეფეთა თვალში და მათი გამლექსავნი განდებოდენ მეფეთა მფარველობის საგნად.

ამსაირად, ერთის მხრით, გაზნის სულთნის მამულის კარზე სმარსულის საკარო მწერლობის განგითარებას (ეს მწერლობა წარმოადგენდა ხოტბებს, ქებათა-ქებას, მიმართულს მეფის უზენაესის ზიროვნებისადმი), მეორეს მხრით, სადეგ-გმირო მოთხრობებს, როგორც აჩიან ირანისა და, საზოგადოდ, აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ხელმწიფეების შესახები თქმულებები, უნდა შეეწყო ხელი იმდროინდელის ქართული მწერლობის სმარსული ლიტერატურის გემასზე გამწეობისათვის; ამას-გი, თავისი მხრით, ხელს უწყობდა საქართველოს ზოლიტიკურად გაძლიერება და კულტურულის ცხოვრების აუვაგება, თამარის მეფობის დროს.

ამასდაჟე, რუსთაველი, როგორც თავისი წრისა და ეპოქის ნამ-

დელი შიდა, უნდა დაინტერესებულყო უცხოთა ხელმწიფეთა აზრებით. თვითონ ჰოტიც ხომ გულახდილად აღიარებს ჰოტიმის დასასრულში მოთავსებული ტაბით (ჩუბ. 1591):

„ესე აზრები უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი,

„პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ შეფეთანი

ვპოვე და ლექსად გარდავსთქვენ, ამითა ვილაყებთანი“¹⁾

ეს ადგილი საკმაოდ გვეხმარება ავხსნათ ის ძნელი გამოცანა, რომელსაც წარმოადგენს რუსთველის ქნარი: ამ ადგილიდან აშკარად სჩანს, რომ რუსთველს ეს უცხო ხელმწიფეების შესახები აზრები უნახავს და ლექსად გარდაუთქვამს.

მართლა და რა გასაკვირველია, ყოფილიყო გაგრძელებული „ვეფხისტ-ტყარის“-ებური ზღაპრული აზრები იმდროინდელს საქართველოში, სადაც სპარსელების გაფლანას იყო მაგრად ეკიდა ფეხი, და სადაც, როგორც სუფოველკან, აღმოსავლეთის ხალხებიდან შემოდიოდა და ვრცელდებოდა უძველესი ზღაპრები და მოთხრობები ინდოეთისა და არაბეთის შესახებ, თან ზეპირ-გარდმოცემით, თან ლიტერატურის საშუალებით? იმ დროინდელი სპარსული ლიტერატურა იყო მთელის აღმოსავლეთის ფანტაზიის და ოცნების ნამდვილი საღარო: უამრავი მოთხრობები, ზღაპრული ანუ რომანული შინაარსისა, ტარიელისა და ავთანდილისებური საგმირო საქმეები, რომლებიც მოწონებული იყო მთელს აღმოსავლეთში და ნამეტურ დიდ ირანში, და რომლებიც დიდის სისწრაფით ვრცელდებოდა მთელს მსოფლიო ლიტერატურაში, რა თქმა უნდა, გაგრძელებოდა და ჩამოყენებოდა ისეთს გშირულსა, საოცნებო და საზღაპრო ქვეყანაში, როგორც უნდა ყოფილიყო თამარის დროის საქართველო, რომლის კულტურული კხოვრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული სპარსეთთან?! ამას გარდა მაშინდელ ისტორიულს და სასახლის სტენების დროს,

1) „ვილაყებთანი“ — ლექსისთვის არის ნათქვამი, საკიროა მხოლოდ ორი უკანასკნელი მარცვალი ერთი მეორის ადგილზე დავსვათ, რომ მივიღოთ ფორმა: „ვილაყებთანი“. შედარებთ ამას წინასიტყვაობის ხანა: „ესე აზრები სპარსული ქართულად ნათარგმნები, ვით მარგალიტი ობოლი ხელისხელ საგოგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავსთქვენ“ (ჩუბ. ხანა 16).

რომელიც ხასიათდებოდა იმ გვარის რაინდული საქმეებით, როგორ-
თაც იღენდა ვეკლა წარჩინებული და რუსთველივით თამართან და-
ხლოვებული და მოტრფიალე პირი, რა გასაკვირველია, მოწონე-
ბული უოფილიყო ისეთი ზღაპრული გმირობაც, როგორსაც წარმა-
დგენდა მთელის „ვეფხისტყაოსნის“ ცხოვრება.

ამიტომ ეს უცხო ხელმწიფეების შესახები ამბები, ანუ ჰოკტის
თქმისა არ იყო, ეს «პირველ-ზენი და საქმენი, ქებანი მათ შეფე-
თანნი» შეიქნებოდა საუკეთესო კანფა, რომელშიაც უნდა გამოქარვე-
ლიყო უღრმესად გრძობიერისა და ხელქმნილი ჰოკტის სულისა და
გულის მოძრაობის სურათები.

მამასადაშე, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ამბავი, იქამდის
„ამბად ნათქვამი“, იმ დროიდან უნდა გამხდარიყო, „წუობილი მარ-
გალიტი.“ ეს ის დრო იყო, როდესაც ჰოკტის „თვალთა მისგან
(თამარისაკან) უნათლოთა ენატრამცა ახლად ჩენა“, როდესაც მგოს-
ნის გამოიჭნურებულ გულს მოელოდა იგივე, რაც უოფელს გულის
ბრმად მიმყოფის აღმოსაფლეთის მიჭნურის გულსა, და ტარიელიც
ხომ ამგვარის მიჭნურის ნამდვილი ტიპი იყო? ცხადია, ჰოკტის
ფანტაზიას ვეკლაზედ უფრო ვრცელ ადგილს უთმობდა «ვეფხისტ-
ყაოსნის» მოთხრობა.

მაგრამ, იმის გამოსაკვლევეად, თუ როგორი უნდა უოფილიყო
ამბავი, რომელიც დაედვა საფუძვლად მის დიდებულ ნაწარმოებს, სა-
ჭიროა გავიხსნოთ იგი შინაარსისა და გარეგანის ფორმის მხრით.

XXX

შინაარსის მხრით, ეს ნაწარმოები არათურს განსხვავებულს არ
წარმოადგენს, სხვა იმ დროინდელ სალიტერატურო ნიმუშებთან შე-
დარებით; როგორც მათი, ისე «ვეფხისტყაოსნის» შინაარსი ერთი
სიტუაციითაც არ ეხება ქართველებს: ავთანდილი არაბია, არაბეთის შე-
ფის როსტევის კარზე გაზრდილი; საშიშარ გზას სანამ გაუდგე-
ბოდეს (ტარიელის საქობრად), მიგზითან შედის და იქ ლოცულობს;
ლოცვა მისი ნამდვილის მკვამლიანის ლოცვაა; ეპიტეტები, რომლები-
თაც ის მიმართავს ღმერთს, ჩვეულებრივი საღვთის-მეტყველო ეპი-

ტატობა მუსულმანების სჯულში: «მადლო ღმერთო», «ხმელთა და ცათა, უფალო უფლებათა [შეადრეთ სპარსული: „ხუდოგენდო, ხუდოგენდი ჭაჭან, ხუდოგენდი ზემინუ ოსემან“¹⁾]=„უფალო უფლებათა, უფალო ხმელთა და ცათა (ცისა და ქვეებისა)], მოვლენილო, მორტმულო, მუღობელო გულის თქმათა“ და სხვ. ხშირად იხმარება მაჭმადიანისკან ღოცვაში და, საზოგადოდ, ღვთის მიმართ წარმთქმულ სიტყვაში.

აუთანდილის ანდერძი ნამდვილის არაბის ანდერძია, ნამეტურ ეურადლების დიხსია ამ მხრით ეს ტაეპი:

- „მაჭეს საქონელი ურიცხვი, ვერვისკან ანაწონები,
- „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,
- „შენ დაამდიდრე უოველი ობოლი, არას მქონები,
- „მიღვიწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები.“

მაჭმადის სწავლის უმთავრესი პრინციპებია გლახაკებზე ქონების გატემით სულის გაწმენდა და მონების დათავისუფლება; უამისოდ შეუძლებელია, მაჭმადიანის წარმადგენით, სამოთხეში შესვლა. მაჭმადის სჯულის ამგვარმა პრინციპებმა ისე ძლიერი გავლენა იქონია, რომ მისი მოძღვრება განსაცგიფრებულის სისწრაფით მოედო მთელს აღმოსავლეთს, სადაც მონები მეტად შევიწროებულნი იუვნენ; ამიტომაც აუთანდილი, როგორც არაბი, იბარებს: „ვინიცობა, მოგვედი და ცოცხალი ვეად დავბრუნდი, ჩემის სულისთვის ეს სამადლო საქმე ქებით: ჩემი საჭურჭლე გლახაკებს მიეცით და ჩემი მონები დაათავისუფლეთ“²⁾. ეს გლახაკების დამდიდრებ: გვხვდება აკრეთვე „ვისრამიანში“, რომელიც ცეცხლის მსახურების დროის გამომსატველი ფაქტაური მოთხრობაა: „წავალ, უოვლისა ცოდვისკან

¹⁾ იხ. Сказки Попугая изд. В. Жуковского, С.-П.-Б. 1904 г. Персидск. текстъ (стр. 7). „ვისორამინის“ წინასიტყვაობა, სპარს. ტექსტი, გვ. 1—2.

²⁾ იხ. კურანი, თავი II, 40, 76, 77, 79, 104, 147, 172, 255, 277; თავი III, 15, 180; თავი IV, 79, 160; V, 15, 60; VIII, 5; IX, 18, 72, 104, 105; XIV, 32; XIX, 32, 56; XXI, 73; XXII, 42, 78; XXIII, 4, 62; XXIV, 37, 56 და სხვ.

გავიბანები, ღმერთსა შევეხვეწები, ცლახთაზედა საქონელსა გავსცემ, ნუ თუ ღმერთმა შემინჯალას¹⁾... და ეს კი არღვევს იმათ მოსაზრებას, ვინც ფიქრობს, ვითომც ცლახაკებზე ქონების გაცემა, როგორც ცოდვასაგან განმათავისუფლებულად საშვალება, მიღებულა მხოლოდ ქრისტეს მოძღვრებაში.

ტარიელიც აგრეთვე უცხო ქვეყნის, ინდოეთის მეფის შვილია, ნესტან-დარეჯანიც ინდოეთის მეფის ქალია, ფრიდონ, ფატმან, უსენ და სხვები—სუვეკლა აღმოსავლეთის ხალხებს ეკუთვნიან. მნათობების სახელები: ოტარიდი, მუშთარი, ასპირაზ, მარინი, ზუალი, უკელა ის შვიდი ვარსკვლავი, რომლებიც მოწმად ჭეულებიან აუთანდილს, მისის სულიერის ტანჯვების დრას, ჩეულებრივია სპარსულ ნაწერებში; მოთხრობის სული და ძირითადი თვისებები, თვით ამბავი, მოქმედების ასპარეზები—არაბეთი, ინდოეთი, ჩინეთი, მულდაზარი²⁾, ზღვათა სამეფო, გულანშარო, ხვარაზმა და სხვ. სუვეკლა უძველესი აღმოსავლეთის ქვეყნებია, ეგვიპტური, მაშასადამე, მათ შესახებ უძველეს ამბებს წარმოადგენს. მაშასადამე, კითხვა მხოლოდ იმაშია, თუ საიდან არის შემოსული ჩვენში „გეფხის-ტყაოსანი“?

ეჭვს გარეშეა, რომ მოთხრობა ოდესმე ზეპირს არაბულ თქმულებას წარმოადგენდა, მაგრამ ცხადია ისიც, რომ იგი, რუსთველის „გეფხის-ტყაოსანის“ სიუჟეტად გახლამაზდი, ეგვიპტურის, სანქლდობრ, სპარსული ლიტერატურის, სამეგიდრებულს შუადგენდა. ეს მია უფრო სარწმუნოა, რომ რუსთველის დრას სპარსეთი იყო, როგორც საკუთრივ ირანულ, ისე, საერთოდ, აღმოსავლეთის შესახებ თქმულებათა მტვირთველი. ამას აშკარად გვიჩვენებს ის მასალა, რომლითაც სარკებლობს, როგორც რუსთველის წინა დროის, ისე მისი თანამედროვე სპარსული მწერლობა.

1) იხ. „ვისრ“. სპარს. ტექ. გვ. 253, სტრ. 15—16. ქართ. ტ. გვ. 12—14. სიტყვა-სიტყვით სპარსული ასეა: „უნდა გავიბანო ყოველი ცოდვისგან, ჩემთვის ღვთისაგან საშვალება ვითხოვო, დერვიშებს მივსცე, რაც მაბაღია“...

2) ამ სიტყვის შესახებ იხ. ქვემოთ.

როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, სპარსული ლიტერატურის ბრწყინვალე განვითარება დაიწყო ტახნის სულთნის მამულის კარზე „შაჰ-ნამეს“ დამწერის თირღოუსის მოვლინებით. ამ გენიოსმა პოეტმა თავისი პოეტური მიზნის განსახორციელებლად აიღო უძველესი სპარსეთის მეფეთა შესახები თქმულებები, მაგრამ, ვინ იტყვის, რომ ირანის საეპიკო ამბები და თირღოუსის უკვდავი პოეზია ერთი არის?!

პოეტმა ერთი ძაფით, ერთი იდეით შეაერთა მთელი სპარსეთის ეპოსი, მთელ ნაწარმოებში ერთი იდეა, ბოროტის კეთილთან, სინათლის სინთელესთან ბრძოლა გაიოიფუნა და, თავისი გენიოსობისა და ჯადოსნური ლექსების ძალით, შექქმნა მსოფლიო ლიტერატურის უძვირფასესა საუნჯე.

აგრევე მოიქცა ზვის-ო-რამინ“-ის გამლექსავი, ჯორჯანელი პოეტი ფახრ-უდდინი, რომელმაც თავისი ნაწარმოების შინაარსად გამოიყენა უძველესის დროის შესახები ფაქტური მოთხრობა, რომელიც მან მზა-მზარეული აიღო და, ცოტა რამ ცვლილების შეტანით, გალექსა.

აგრევე მოიქცა პოეტმა მეფე უნსურიც, რომელმაც შექქმნა პირველი რომანტიული შინაარსის ნაწარმოები „ვამიუ და აზრა“, რომელსაც ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა¹⁾; უნსურმაც თავისი ნაწარმოების სიუჟეტად აირჩია ერთი ძველად გალექსილი ამბავი²⁾.

შემდეგის დროის და რუსთველის თანამედროვე სპარსული მწერლებიც აგრევე იქცევან: ისინიც, წინაპრებივით, სარკებლობენ უკვე შეკრებილი მასლით, რომელიც ორგვარი იყო: ან საეპიკო, სადეგ-კმირა, ან და რომანტიკული. ეს თუ ის პოეტი თავისი ნაწარმოების სიუჟეტად იღებდა ისეთ მოთხრობას, რომელიც უფრო შეეფერებოდა მის სურვილსა და მიზანს.

რუსთველის თანამედროვემ, გამოჩენილმა რომანტიკოსმა ნიზამმა

¹⁾ უნსურის ნაწარმოები გამოიყენა სიუჟეტად 6-მა სახელოვანმა პოეტმა, რომელთა სახელებია: 1) ფაზიხი ჯურჯანი, 2) ჯამალ-უდდინ ჰუსაინ დამირი, 3) შუაიბ ჯურშანელი, 4) მულანა მუჰამედ ალი ას-ტარაბადელი, 5) მირზა მუჰამედ სადიყ ნაჰი ალმურავი და 6) ხაჯი მუჰამედ ჰუსაინ შირაზი.

²⁾ H. Ethè, Neupersische Litteratur, 240.

თავისი ნაწარმოების „ისკანდერ-ნამე“-ს შინაარსად გამოიყენა ვეველა აღექსანდრე მაკედონელის შესახები თქმულება, რომელიც მის დროში ვრცელდებოდა აღმოსავლეთში. ამავე ნიშანში თავისი დიდებული რომანის „ხოსრაუ-შირინ“-ის [خرسروشیرین] შინაარსად აიღო ძველი ლეგენდა, რომელიც შეეხება სასანიდის დინასტიის მთავრის „შაჰ-ხოსრაუ“-ს სომეხთა თავადის ასულის შირინისთვის გამიჯნურებას (ხსენებული ლეგენდა მხოლოდ ჩონჩხია ნიშანის ხოსრაუ-შირინთან შედარებით, რომელიც უშესანიშნავესი ქმნილებაა რომანტიკული ჰოეხის ფარგლებში, მოქმედ პირთა მსიხარლეოური დასურათებობით და ორი შეეგარებულის მწუხარება-სიხარულის მხატვრული აღწერით).

მანვე თავისი ჰოემის „ლეილა და მეჯნუნი“-ს სიუჟეტად აიღო არაბული ლეგენდა ბედუინების ცხოვრებიდან, რომელიც წარმოადგენდა ლეილა და კაისის მიჯნურობის ამბავს (კაისი ჰოეტმა მონათლა „მეჯნუნი“-ს ანუ „შმაგი“-ს სახელით). აგრეთვე თავისი უკანასკნელი ნაწარმოების „ჰათ-ფაიქარ“-ისთვის ნიშანში ისარგებლა ძველი სპარსული ლექსებით სასანიდის დინასტიის მეფის ბაჰრამ გურის¹⁾ შესახებ.

ამაირად ჩვენ დავინახეთ, რამ სპარსული ჰოეტები თავიანთი ნაწერების სიუჟეტად იღებდენ ან ირანულ სადეუ-გმირო ამბებსა, სასანიდის დროის მეფეთა შესახებ მოთხრობებს, ან აღმოსავლეთში გავრცელებულს საეპიკო ამბებს, ან და კიდევ არაბულ თქმულებებს.

ესლა ვიკითხოთ, რას წარმოადგენს რუსთველის „გეფხის-ტყაოსანი“?

იგი, ჩვენის აზრით, არის ერთი სპარსეთში შემუშავებული არაბულ თქმულებათგანი აღმოსავლეთის ხელმწიფეთა შესახებ.

ამისი უტყუარი საბუთია უპირველესად ყოფლისა თვით შინაარსი,

1) ეს ბაჰრამ გური ცნობილია ისტორიაში თავისი სამიჯნურო თავგადასავალით. ნიშანის „ჰათ-ფაიქარ“-ში გამოყვანილია ეს ბაჰრამ გური, რომელმაც დაინახა 7 მხეთუნახავის (ბერძნის, თათრის, რუსის, სომხის, ინდოეთის, ჩინეთის და სხვა) სურათები, შეიყვარა ყველა ერთბაშად და მიადწია მათთან შეერთებას (ساز).

რომელშიც უველაზე სპატიო ადგილი უჭირავს არაბთა მეფეს რას-ტყვანსა და მისი ასულის თინათინისა და გაზრდილი ავთანდილის მიჯნურობის რამანს.

შინაარსი, როგორც ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, ერთი სიტყვითაც არ ეხება ქართველებს, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. აქ ნათლად იხედება წმინდა მუსულმანურ-არაბული ტენდენცია. ავთანდილი ხომ არაბია და არაბი, თვით ტარიელიც კი თავისი გულის სატრფოს ერთგულობის დასამტკიცებლად შეჭმუცნებს მუსაფს [არა-მუსაფ-უარანი; იხ. ვეფ.ტ. ხ. 514]. ამას გარდა უველა, ვინც კი არის ჰომეში მოქმედი ზირი, გარდა ბნელ ძალთა და მანე სულთა, და, საზოგადოდ, ჰოეტის საუვარელი ვირების მოპირდაპირეთა, სარწმუნოებით მუსულმანი არაბია. მუერნი და მუელიმნი, რომელიც გარს უვლიან გულ-წასულ მიჯნურს ტარიელს, მუსაფის ძალით სცდილობენ მის სიკვდილისაკან დახსნას (იხ. ხ. 339). ერთს ფრიად საგულისხმიერო შემთხვევაში ერთად გვხვდება „მუსაფი“ და „მაქა“ (არა-მაჭმადიანთა წმიდა ქალაქი).

როგორც ვიცით, ფატმანმა ჩამოართვა ფიცი უსენს, რომ მას არ გატდა მისი საიდუმლო მეფის სასახლეში, მზეთუნახავის ნესტანის მისას უოფნის შესახებ. მაგრამ უსენმა გასტეხა ფიცი („სიმტიცე სჭულისა“): ღვინით დამოფრადმა და მეფის მასპინძლობით მოხიბლულმა უამბო მეფეს „ზოგნა ქალისა, მჭვრეტთაკან მზედ სახულისა“.

აი რა სიტყვებით ასწერს ჰოეტი უსენის მხრით ფიცის გატეხას:

„რა მეფემან უსენს წინა ჭსვა მრავალი დოსტაქანი,
კვლავ შესვეს და კვლავ აივსეს სხვა ფარჩნი და სხვა ტიქანი,
დაავიწულა იგი ფიცნი, რა მუსაფნი, რა მაქანი!“.

(იხ. ხ. 1144).

ამანიკად ჰოეტი აღნიშნავს მაჭმადიანის მხრით შეუძლობელ ცოდვას, ე. ი. მიკვითითებს უსენზე, რომელიც, როგორც მაჭმადიანი, ფიცის გატეხით, არღვევს უორანსა და მაქას¹⁾, უარჭუოფს რჭულისა და მცნებას.

¹⁾ აქ საკიროდ ვრაცხ აღვნიშნო, რომ სიტყვა „მაქა“-ს ნაცვლად

პოემის გარეგან მხარეს რომ ჩაუგვირდეთ, კიდევ უფრო დაგრწმუნდებით, რომ პოეტს ხელთ ქქონია მის დრომდო სხარსულიდან ქართულად თარგმნილი საღვეკმირო აზავი.

აქ, რასაკვირველია, არ არის სახეში მისაღები უცხო სიტყვათა სიმრავლე, რაც შეიძლება ახსნილ-იქმნას საუკუნეთა განმავლობაში არსებულის მეზობელი სახელმწიფოების კულტურული გავლენითაც. ამას მსურველი დანახავს იმ ლექსიკონიდანაც, რომელიც დართული აქვს ამ შრომას, სადაც მოთავსებულია მრავალი სხარსული, აზავი და სხვა უცხო ენიდან ნასესხები სიტყვა, რომელთაც გაუმდიდრებიათ ქართული სალიტერატურო ენა მე-XII საუკუნეზე ბევრად ადრე.

აქ ჩვენს უზრადლებას იზურებს ის გარემოება, რომ უცხო სიტყვათა უმეტესობა ან წმინდა სხარსული, ან და გასხარსულეული არაბულია.

სხარსული ტექსტის მამხილებელია, ჩვენის აზრით, ქართული ფონეტიკის მოთხოვნილებისამებრ შეცვლილი სხარსული სიტყვა „ჩაშნაგირი“ = სხარს. چشنگیر (წაკ. „ჩაშნაგირი“), რომელიც ნიშნავს მეჭაშნიკეს, გამშინჯველს, დამფასებელს. ეს სიტყვა იმდენად შეუფერებელია ქართული ტექსტისთვის, რომ დღემდის სრულიად უსაფუძვლოდ ითვლებოდა საკუთარ სახელად¹⁾, რადგან მისი მნიშვნელობა ტექსტში არ ესმოდათ (იხ. ხანა 1183: «ი.ი. კაცი ჩაშნაგირი დარბაზს იყო შეტად ხასი“).

სხარსული ტექსტის მამხილებელია აგრეთვე ისეთი იშვიათი სიტყვები, როგორიცაა: «ღაღარი» (არაბ ااد) = დაუნდობელი, ცბიერი, მოღალატე; ეს სიტყვა რომ უჩვეულოა ქართული ენისთვის, ამას მოწმობს ის გარემოება, რომ იგი „ვისრამიან“-ის მოთარგმნელს გადმოუცია ქართული სიტყვით (იხ. სხარს. ტექსტი, გვ. 60, სტრ. 11 = ქართული ტექსტი, გვ. 56, სტრ. 16).

ბ. კარიჭაშვილს შეცდომით აქვს ნაჩვენები „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვების განმარტებაში ამ სიტყვის მრავლობითი რიცხვი „მაქანი“, რომელიც პოეტს ლექსისთვის აქვს ნახმარი (იხ. გვ. 320, ვეფხ. ტყ. წ. კ. გ.).

¹⁾ განსვენებული პროფესორის ჩუბინაშვილის ლექსიკონშიაც სამართლიანად არის ეს სიტყვა ნაჩვენები საზოგადო სახელად.

„ლაზო“ (140) = „ლაზი“ („ლაზო“ ღაზის მავიკრად შეგვიძლია აგხსნათ რითმის სავირკობით). სიტუვა ღაზი წარმადგენს არაბულ-სავარსულს **ض**, რომელიც ნიშნავს მიბნელას, მიჯნურობისავან დაუძღურებას, თავლებში შემოდამებას (იხ. H. Mapp. TP. IV. CTp. 93, прим. 1). ეს სიტუვა „ვეფხის-ტუასანში“ უფროადგილი სავნობია, ვიდრე ჩანკრუხადის ხოტბაში, სადაც ძნელია მისი სხეულ არაბულ-სავარსულ **ض**-ად მიღება.

„სადუმი“ (465. 1167. 1170.) = არაბ.-სავარს. **طاح** — მსახური, სავტურისი, მთახლე.

„სარანგი“ (1157. 1437) = სავარს. **طارس** = ჭარის უფროსი, წესრიგის დამცველი, თავზარდამცემი გმირი.

შნათობების სავსელები:

ოტარიდი (არაბ. **طار**), მარინი (არაბ. **طاري**), ზუადი (არაბ. **طاج** = vulg. **طاج**), მუშთარი (არაბ. **طاش**) = „ვისრამიანი“, სავარს. ტექსტი, გვ. 161, სტრ. 9 = ჭართ. ტექსტი, გვ. 173, სტრ. 26 = *ibid.* სავარს. ტ. ვვ. 66, სტრ. 12, ჭართ. ტექსტში არ არის.

მანგი (არაბ. **طمان**).

არაბ.-სავარს. **طاري** — ჭარიტი — არითი = ვისრ. სავარს. ტექ. გვ. 115, სტრ. 16 = ჭართ. ტ. გვ. 124, სტრ. 7.

სხ.-არაბ. **طمان** — მუქარარახ — მუქარახი (იხ. ჭვემთ ლექსიკონში). სავთვლავში მისადები არ არის ისეთი სიტუვები, რომორინდა კულაოზი = უულაოზი, რადგან ამგვარა ტექნიკური სიტუვები გავრცელებული იქნებოდა ჩვენში ძველადვე, რასაც მოწმობს სხვათა შორის ის გარემოება, რომ სადაც „ვისრამიანი“ ჭართ. ტექსტში უულაოზია, არსად სავარსულში არ არის **طمان** — კულაოზ, არამედ ვეღვან: **طمان** — „ჩაჭბურ“, რაც სინონიშია სიტუვის უულაოზი (იხ. ვისრ. სავარს. ტექსტში, გვ. 256, სტრ. 18 = ჭართ. გვ. 275 სტრ. 20 და სხვაგანაც).

ამგვარსავ სიტუვებს ეკუთნის სავარს. **طمان** — დარმან, **طمان** — ლავი, **طمان** — ჭარამ და სხვ. (იხ. ჩვენი ლექსიკონი ამ შრომის ბოლოში).

არა ნაკლები ურადლების დირსია სავარსების სავსელები, რომ-

ლებსაც შემოუნახავთ სპარსული ფორმები:

სპარს. كوس = (ქოს) — ქოსი; بباد (დაბდაჭ) — დაბდაბი.

სპარს. كنج = (ჩანკ) — ჩანკი. پ (დაფ) = არაბ. ف (დაქ)
 ى — ნა, resp. ნაფ.

სპარს. قو (= ბუკ) = ბუკი. სპარს. ك-ك (ტაბლაკ) = ტაბლაკი.

იგივე ითქმის ძვირფასი ქვების შესახებაც.

ბევრად მეტი ურადლების ღირსია საკუთარი სახელები, როგორც
 ზირთა, ისე გეოგრაფიული. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, არ
 შეგვიძლია გამოვიყენოთ მაგალითისთვის ისეთი სახელები, როგორ-
 ცილა: ტარიელ, თინათინ და სხვ., რომლებსაც უკვე ვიხსენიებდით
 მკაში დაუკარგავთ თავისი ზირფანდელი სახე; საკითხი მათ შესახებ
 ჯერ ისევ საცილობელია.

ურადლებას იქვეც ისეთი საკუთარი სახელები, როგორცაა:
 ნესტან დარეჯანი = სპარს. نست اندرجهان = ნესტ ანდარ ჟაჰან
 [იხ. Н. Марръ — Персидск. тенденция въ груз. романѣ
 Амиранъ-Дарежан., 1895, стр. 365. Ж. М. Н. Пр.].

ნურადინ ფრიდონ ¹⁾ = نورالدين فريدون „ნურ ადინ ფე-
 რიდონ“); დულადუსტ — دلاادوست (დილადრუსტ), რომლის მეორე
 ნაწილი دخت — „დუსტ“ არის ბოლო მოკვეცილი დخت — „დო-
 სტერ“ — ასული და ხშირად დაერთვის სპარსულში ქალის სახელს.

ასმათი — اسمت (= ასმათ) — ჰატიოსნება (არაბულია).

მელიქ სურხავი, ხანა 1043 (სპ. — არაბ. ملك سوري); ფატმან ხა-
 თუნ (فاطمه خاتون).

უსენ = უსეინ ²⁾ = (عسین), რამაზ (رمز), ჩინი (چين), გულან-
 შირო — گلشن — გულან შაჰრო, რომლის მეორე ნაწილი წარ-
 მოადგენს სპარსულ گل (შაჰრ)-ს, რაც ნიშნავს ქალაქს.

უსამ კასამ — قسام — მასხილი, არის სახელიც (ტიტულიც).

ფარსადან (فارسادان = فارساد).

¹⁾ ნურადინ ფრიდონ სახელ მქვს — მეფე ვარ მუნა მჯდომელი, იხ.
 ხანა 583, ტ. 2.

²⁾ ძველს მე-17 საუკ. ხელნაწერებში გვხვდება „უსეინ“ უსენის
 ნაცვლად.

თითქო „ავთანდილ“ (სპ. *Αβαντιλ* — წიკ. ხაჭტანდილ) შესდგებოდეს სიტყვებისაგან *Αβαντιλ* — ხაჭტან — ჯამბანი ვეფხის ტყავისაგან, რომელსაც ატარებს რუსტეში შაჰ-ნამეში, და *Α* (= „დილ“) — გული; ასე რომ *Αβαντιლ* („ხაჭტან-დილ“) შეტაფორულად აღნიშნავს გმიანს, რაინდს, რაც სრულიად შესაფუკია ავთანდილის პიროვნებისათვის.

ეურადღებას იტყვის აგრეთვე საკუთარი სახელი „მულღა-ზანზარი“. ეს სიტყვა წმინდა სპარსულია და წარმოადგენს, ჩვენის აზრით, გადაძინებული *از-გრ* — „მურღ-ზანს“-ს, რომელიც ნიშნავს ფრინველით მდიდარ ადგილს, ბაღს, წაღკოტს. მართლაც, თუ ეურადღებას მივაქცევთ, ეს სიტყვა იმ ფორმით, რა ფორმითაც მას მოუღწევია ჩვენამდე, ვეგლებს ზიანს აუენებს ლექსს, ზოგჯერ აზრსაც, რაც ამტკიცებს იმას, რომ ვეგლებს, სადაც „მულღა-ზანზარი“, უნდა უოფელიყო „მულღაზარი“. იხ. ხანა 973. ტ. 3:

ავთანდილ ჭკითხავს წინ შემთხვეულ კაცს ფრიდონის ღაშქრის ამბავს: *ევისია ხმა ზათქისა და ზარისა?*

„მან უთხრა: „ფრიდონ ხელმწიფე, მეფე მულღაზანზარისა“-ო; აქ თითქო შემსამენელი არ არისო, რაც, ჩვენის აზრით, აიხსნება მით, რომ „მულღაზანზარისა“-ს ძაგეირად უსდა უოფელიყო მულღაზარისა და სიტყვა „მეფე“-ს უნდა მიეპატოს „ა—აკს“ — შემსამენელად. მასხადამე, ეს ტყეში, ჩვენის აზრით, უნდა წავიკითხოთ ასე:

„მან უთხრა: ფრიდონ ხელმწიფე, მეფეა მულღაზარისა“, რაც აჯობებს, როგორც რითმის, ისე აზრისთვისაც ¹⁾.

ამგვარადვე უნდა შესწორდეს, ჩვენის აზრით, 583 ხანის პირ-

1) ეს ადგილი სტამბაში უკვე აწყობილი იყო, როცა ჩვენ შემთხვევით წავაწყდით ერთს ძველ მე-XVII საუკუნის ხელნაწერში ამ ადგილს იმ სახით, რა სახითაც ჩვენ იგი შესწორებული გვქონდა; თუმცა ხსენებული ხელნაწერის დანარჩენ ადგილებში ყველგან ხმარებულია „მულღაზანზარი“ მულღაზარის მაგიერად, მაგრამ ის გარემოება, რომ ერთი და იგივე საკუთარი სახელი შეუძლებელია სხვადასხვა ნაირად იქმნას ხმარებული და რომ მულღაზანზარი მულღაზარის ნაცვლად მტკნარი უაზრობაა, ჩვენ კიდევ უფრო გვარწმუნებს ჩვენის შესწორების სიმართლეში.

გელი ტაუბი, სადაც ფრაზის: „მულღაზანზარის ქალაქი ახლან მუ მატქესი რამელი“-ს მაგიერად, უნდა წაიკითხოთ: „მულღაზანისა ქალაქი...“

აგრევე უნდა გასწორდეს 956 ხანის პირველი ტაუბი, სადაც „მულღაზანზარს მიუახლა“-ს მაგიერად უნდა წაიკითხოთ: „მულღაზანსა მიუახლა“.

აგრევე 1436 ხანის პირველი ტაუბი:

„მივიდეს, სადა ქალაქი დიდი მულღაზანზარია“, უნდა შეიცვალას:

„მივიდეს, სადა ქალაქი იგი დიდი მულღაზარია“.

ვევლებს, ჩვენის აზრით, გადაშწერულთა უვიცობის გამო წაირუნა წმინდა სპარსული სიტყვა „მურღაზარი“. როგორც ეტყობა, უკვე პირველად რუსთველის პოემაში ამ სიტყვის სპარსულმა ეტიმოლოგიამ დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა, რამაც საბუთი მისცა უვიც გადაშწერლებს თავიანი, კერძოზე შეეცვალათ ჭეშმარიტი სპარსული სიტყვა.

მოუყვანილი ფაქტებიც, ჩვენის აზრით, საკმაოდ ცხადყოფს, რომ „გეტუხის-ტუახისის“ ტექსტს შემოუნახავს ჩვენთვის ისეთი სიტყვები, რომლებიც ამხილებს პოეტს, რომელსაც უსარგებლებია „ქართულად ნათარგმანები“ სპარსული აზრით.

ამხიარად „გეტუხის-ტუახისის“ როგორც შინაარსი, ისე მისი გარეგანი მხარე, გვაძლევს უტყუარ საბუთს ადვიაროთ ამ ნაწარმოების სიუიექტი მატქმადიანურის, სახელდობრ სპარსული მოთხრობის ნათად. ბერი იშვიათი არაბულ-სპარსული სიტყვა და საკუთარი სახელები (ჩაშნაგირი, მუსაფი, მატა, მულღაზარი, დულარდუხტ), რომელთა უშეცესობა შეიძლება ახსნიდ იქმნას მხოლოდ სპარსული ენის ცოდნით და რომელნიც სრულიად ეუცხოება ქართულ ტექსტს, აშკარად მოწმობს ქართული ტექსტის დამოკიდებულებას სპარსულ დედანზე ¹⁾.

1) ყველა ხემორე თქმულის შემდეგ თამამად შეგვიძლია აღვიაროთ უსაფუძვლობა იმ აზრისა, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად გამოხატვა ბ. ხანანაშვილმა, რომლითაც „არაკი ტარიელასა საქართველოში,

დასასრულ, კარდა იმისა, რომ მოთხრობის შინაარსი ერთი სიტყვითაც არ ეხება ქართველებს და მათს ჩვეულებას (პირიქით, წმინდა მუსულმანურ-არაბულ-სპარსული ტუნდენტით არის გაუღენთილი), იგი წარმოადგენს სპარსულის სადეგ-გმირთა ამბის ნიმუშს. აქაც, როგორც ფინდოუსის უკვდავ ქმნილებაში, პირისპირ სდგანან: ერთის მხრით, წმიდა საღმრთო იდეისთვის მებრძოლნი: ტარიელ, ავთანდილ, ფრიდონ, ხოლო მეორეს მხრით, მათნი მოპირდაპირენი: ცბიერი რამაზ მეფე და სხვა და სხვა მანუ სულები, როგორც მუკობრენი, ქაჯნი (გრძნეულნი, ჯადონი) და დეკნი; უკანასკნელების დამარცხება, მოსპობა პირველთა მიერ მოასწავებს კეთილის ბოროტზე გამარჯვებას; აკი ავთანდილის პირით გვამცნებს პოეტი: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“-ო (იხ. ხანა 1337. გ. ტვ. წ. ბ. ბ.).

IV

რომ „ვეფხისტყაოსნის“ და ღანარჩენს სპარსულიდან ნათარგმნს ქართული ლიტერატურის ნიმუშებს შორის, შინაარსის მხრით, არ არსებობს არავითარი თვალსაჩინო განსხვავება, ამას ჩვენ კიდევ უფრო აშკარად დავინახავთ, თუ მას შევედარებთ ორს უმთავრესს

უნდა ეკუთვნოდეს იმ ციკლთა ნაწარმოებს, რომლებიც აშენებულნი არიან ესრედ წოდებულს მოსიარულე სიუჟეტზედ, ვითომც ზეპირად მოთხრობილი, ტარიელის ამბავი, უფროსია ხელოვნურად შექმნილს პოემაზედ, ვითომც პოემის შინაარსი ქართველი ხალხის გულიდან იყოს ამოდებული და სხვა (იხ. ა. ხახანაშვილი. ქარ. სიტყვ. ისტორია 372—373, *ibid* 374).

რაც შეეხება ხალხურ „ვეფხისტყაოსანს“, რომლის პოემის სიუჟეტთან შედარებითს შესწავლაზე ამყარებს თავის აზრს პრ. ხახანაშვილი, იგი, ჩვენი აზრით, საინტერესოა იმ მხრით, თუ რამდენად რუსთველის გალექსილმა პოემამ ჰპოვა თავისი ამოძახილი ხალხის ფანტაზიაში; ეს ლექსები ხალხის ფანტაზიით გადამახინჯებული რუსთველის ლექსების უაზრო გადმოცემა, სხვა არაფერი.

ნიმუხს: „ვისრამიანსა“ და „ბარამიანს“. ორივე დასახელებული ნიმუში სპარსული ენიდან არის თარგმნილი, და, მაშასადამე, მათი შედარება „გეუხის-ტყაოსანთან“ რაღაცნაირად ნათელს მოჭუტუნს იმ კითხვას, თუ რა მსგავსება აჩვენებს რუსთველის უკვდავ ჰომეოსა და ქართულ ენაზე გავრცელებულ სპარსულ ნიმუშებს შორის. მას დაეწყოთ „ბარამიანთან“ შედარებით¹⁾.

„ბარამიანი“ და „გეუხის-ტყაოსანი“ ორივე ერთის ტიპის ზღაპრული მოთხრობაა: იგივე ნადირობა და უცნაური შემთხვევა: „ბარამიან“-ში ბარამის ქურციკზე ნადირობა, ქურციკის დაკოფვა, ბარამის მიერ გაქცეულის ქურციკის დადგენება და დაკარგვა მისი, „გეუხის-ტყაოსან“-ში როსტევის ნადირობა, უცხო უმის შეხვედრა, მისთან ომი და გეუხის-ტყაოსნის „კვალ-წმინდად წარხლამა“; ბარამისაგან „გულანდამის“ სურათის ნახვა და მისი გულანდამისთვის გამიჯნურობა, მისი გულანდამის გულისთვის ქვეყნიდან

¹⁾ ბარამიანის შესახებ დაწერილებითი ბიბლიოგრაფიული ცნობები და მოთხრობის ვრცელი შინაარსი იხ. ექვთ. თაყაიშვილის შრომაში: Описание рукописей „Общ. распространения грам. среди грузин. населения“, томъ I, вып. III. Тифл. 1903, стр. 521—542—547—562. ბ. თაყაიშვილი სრულიად სამართლიანად აღიარებს (ibid, 558): „ონანა მდივანს იმ დროს არსებული და უკვე გამოცემული პროზითი თარგმანი კი არ გაულექსია, არამედ სხვა ჯერ ჩვენთვის უცნობი“-ო. ჩვენის აზრით, ეს უცნობი ბარამიანი უნდა იყოს იგივე პროზითი, ონანას საკუთარ გემოზე გადაკეთებული და გალექსილი ბარამიანი, რასაც მოწმობს ის გარემოება, რომ სპარსული ბარამიანი უდრის პროზაიკულ რედაქციებს და არა გალექსილს. ონანას პროზითი ბარამიანის გულანდამი [(=გულანდამი-სპარ. گولاندام: გულ—ვარდი, ანდამ—სურათი) (გულანდამი, როგორც ეპიტეტი გვხვდება აგრეთვე სპარსულს „ვისორამინ“-ში, იხ. სპარსულის ტექსტის გვერდი 261, სტრიქონი 16)] გადაუკეთებია გულიჯანად (შეად. დარე+ჯანი); ამას გარდა, ჩინეთის მეფე ჯონშერი, გულიჯანის მამა, ძალიან გვაგონებს როსტევან მეფეს. მასაც, როსტევანსავით, სხვა ძე არა ჰყავს, გარდა ერთადერთის ასულისა, რომელიც სოფლის მნათი მნათობია; ჯონშერსაც (იხე როგორც როსტევანს ავთანდილი) გაუზრდია, „ვითა ყმა და

ქვეყნად სიარული და ომი ქაჯებთან, დევებთან და სხვ.; ავთანდილის და ტარიელის სამიჯნურო თავგადასავალი, ქვეყნიდან ქვეყნად მათი ხეტიალი, ომი ქაჯებსა და დევებთან; დასასრულ, წადილის მიღწევა ბარამისაგან, მისი გახელმწიფება და გამორკმულება; ტარიელის და ავთანდილის სწადელის გასრულება და მათი გახელმწიფება და გამორკმულება—უველათურა, მოწმობს, რომ ერთის ტიპის სადეგმირო ზღაპარი ორივე ეს მოთხრობა. ამას გარდა, როგორც ავთანდილი, ისე ბარამი, დღე და ღამე დაუფიქრებელი მოგზაურობენ თავიანთის მიზნის მისაღწევად; როცა მოხვდებიან, ისრით ნადირს მოკლავენ, ცეცხლს დაანთებენ და ნანადირევისაგან მწვადს სწვავენ; ბარამისაგან სიმდიდრით სავსე ჯურღმულში აფრა-დევის მოკვლა და მიულის მისი ხაზინის სიფორისათვის ჩუქება, ტარიელისაგან დევების დახრცვა და საჭურჭლით სავსე გამოქვაბულის ხელში ჩატყება ერთნაირი ინტერესის ამბებს წარმოადგენს; ბარამისაგან ჩინეთის საზღვარზე მოქარავენე ვაჭრების შეხვედრა, მათი გაძლელა და ნიანგის ისრით მოკვლა—გვაგონებს მსგავსსავე შემთხვევას „ვეფხისტყაოსან“-ში, სახელდობრ: ავთანდილის მიერ შემინებული მოქარავენე ვაჭრების გაძლელას ზღვაში და მეკობრეების დახრცვას. მოქმედის პირობების ბუმბურაობა და უველან და უოველთვის უძლეველობა—უველა სპარსელის სადეგ-გმირო ამბის განსაკუთრებული თვისება ცხადად სჩანს ამ ორ ნაწარმოებში.

მაგრამ „ვეფხისტყაოსანსა“ და ბარამიანს შორის განსხვავებაც დიდა:

„შვილი“, ჩინეთისავე სავარეულოდან გამოსული ბარამი, რომელიც აღტურვილია გამოიჯნურებული რაინდის საუკეთესო თვისებებით; მისთვის მეფეს უბოძებია სპასალარობა (ავთანდილიც ხომ სპასპეტია), ეპიზოდები და საგმირო საქმეები ბაქარამის ცხოვრებაში „ვეფხისტყაოსან“-ს გმირთა ცხოვრებისა და ეპიზოდების თითქმის განმეორებაა. ეტყობა, ამ ორი ნაწარმოების საოცარმა მსგავსებამ გამოიწვია ონანა მდივანში სურვილი დაეწერა „ვეფხისტყაოსანი“-სებური პოეტური ნაწარმოები და გაეხადა უმნიშვნელო ზღაპარი „ვეფხისტყაოსანი“-სებურ „წყობილ მარგალიტად“, მაგრამ მწარედ მოხტყუდა.

ზირგულში თითქმის შეერთებულია რომანულისა და დევ-გმირულის ნაწარმოების თვისებები; იგი, ერთის მხრით, წარმოადგენს სამიჯნურ-რო წიგნს, სადაც გაღმერთებულია უმაღლეს წერტილამდე განვითარებული ქალ-ვაჟის სიუვარული, მეორეს მხრით—გმირულ ბრძოლას დეკლამაციას და ქაჯებთან; თუ, როგორც ზღაპრული სადევ-გმირი ამბავი, ის ჩვენ შეგუდარეთ „ბარამიანს“, — როგორც სამიჯნურო წიგნი, უნდა შეგუდარეთ „ვის-რამიანს“, რომ უფრო ნათლად გამოფარკვათ რუსთველის ქნარის ორიგინალობა და სიძლიერე.

„ვის-რამიანში“ ისე, როგორც „ვეფხისტყაოსანში“, გაღმერთებულია ქალ-ვაჟის სიუვარული, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ რომანი ძლიერ აჩსებითად განიჩქევს „ვის-რამიანის“ რომანისაკან, და ეს გარემოება ძლიერ ამხილებს „ვეფხისტყაოსნის“ დამწერის მიზანს.

„ვეფხისტყაოსნის“ დამწერს წინდაწინვე ქონია განსახორციელებული თავისი საკუთარი მიზანი. მას თითქმის ჰქონია გადაწყვეტილი დაწერა ისეთი თხზულება, რომელშიაც შეიძლებოდა წრფელის რანდული სიუვარულის დახატვა: ავტორი შეგნიერად იტნობს „ვის-რამიანს“-ს, რომელსაც ხშირად იტონებს თავის წიგნში; მას არ მისწონს „ვის-რამიანში“ დახატული სიუვარული, რომელიც გამოიხატება მხოლოდ სულიერ ტანჯვაში, უნაყოფო სისხლის ცრემლების ღვრაში და თავდება კი ცბიერი დაღატოთ: ზირ-უმტკიცობა, სიცრუე და გუტანლობა სიუვარულში საკრთო თვისება „ვის-რამიანის“ უველა მოქმედ ზირთა.

რუსთველი თითქმის სცდილობს დაჭხატოს „ვის-რამიანში“ გამოფარნიდის სიუვარულისაკან განსხვავებული სიუვარული.

„ბედითი ბნელა, სიკვდილი, რა მიჯნურობა გკონია? სჯობს საუვარულსა უჩვენო საქმენი საგმირონია“-ო, სწერს ხესტან-დარეჯანი თავის საუვარულს. „ნუ იტანჯები ცუდად, ნუ იტრი გულს უბრალოდ, ნუ მოკვდები, შენი ფარ, მაგრამ ცუდი ბნელა შეზარებაო; საგმირო საქმეები დამანახვე და დამიმტკიცე ამით, რომ წრფელი, მძლავრი სიუვარულის გრძნობა გაქვსო“. აი როგორი სიუვარული მიანხნდა რუსთველს ნამდვილ მიჯნურობად: ცუდი ბნელა და სიკვდილი რა მიჯნურობა? საქმეები, გმირობა—აი რა არის ნამდვილი მიჯნურობის დამამტკიცებელიო.

ავთანდილისადმი ფატმანის სიუვარულს კი სულ სხვანაირის თვალთ უნქერის ავტორი; ის ამგვარ სიუვარულს ამსგავსებს ვისის სიუვარულს. ერთხელ, როდესაც ავთანდილმა გაიზიარა ფატმანის ცხელადრი და ამით უდალათა ნამდვილი მიჯნურის იდეალს („კარგი მიჯნური იგია, ვინც იქს სოფლისა თმობასა“), რუსთველი ამბობს:

„ფატმანს ჰკლავდა უმისობა (უავთანდილობა),

„რამინისა ვითა ვისსა“-ო.

ცხადია, აქ რუსთველს სახეში აქვს ის დალატი, რომელიც ჩინდინა რამინმა ვისის მიმართ, როდესაც იგი მოხიბლა გულის სილამაზით და, გატაცებულმა მისი სიუვარულით, სრულად დაივიწყა თავისი პირველი სატრუო გისი. ტახტზე ასული თინათინი და ავთანდილი კი, ავტორის აზრით,

„უნახავსა და ნახულსა სჯობს უოვლს სახახავისსა,

„ნუ ეჭვ მიჯნურად მათებრსა, ნუმცა თუ რამინს და ვისსა“-ო.

ართუ რამინისა და ვისისაგან, ნურავისაგან ნუ ელი ამგვარ სიუვარულსო.

ერთის სიტყვით, რუსთველი თითქმის გასჯობრებოდეს სპარსულ მწერალს სიუვარულის დახატვაში, თითქმის სურდეს გვითხრას: ეს რა სიუვარულია, რომელიც იმან დახატა? აი მესმის სიუვარული, ჩემ გვირებს რომ ამოჭმელებს, ერთს მეორეს უმონებსო, და კიდევ კბარის წრთელი და მძლავრი სიუვარული, რომელსაც საჩუქლად გვირობა და ვაჟ-კაცობა უდევსო.

ჩვენს ურთადლებას აძურობს აგრეთვე ამ ორის ნაწარმოების საოცარი მსგავსება კარკანის თეორმის მხრით. ხშირად ვისრამიანისა და „გეთხის-ტუასნის“ აფორიზმებს შორის ძლიერი მსგავსება აჩვენობს. აი მაგალითებიც:

1) „გეთხის-ტუ“. ხ. 208: „კაცსა მიჭხედეს საწადელი,

„რას ეძებდეს უნდა პოვნა,

„მაშინ მისგან აღარა ჰხამს

„გარდასრულთა ჭირთა ხსოვნა“.

„ვისრ“. 232: „ასეთია გული აღამის ტომთა, რომე კარდასრულისა ჭირისა ღხინსა შიგან დამვიწყებულა“.

2) „გეთხის-ტუ“. „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა,

ცხადია დადრეჟილობა“...

ibid. ხ. 776: „აქას გარგებს სიმძიმელი
„უსარგებლო ცრემლთა ღენა“.

„ვისრ“. 217: „უსარგებლო ცრემლი დადრეჟა“.

3) „ვეფხ.-ტე“. ხ. 50: „სმა-ჭაშა დიდათ შესარკვი,

„დებო რა საფარგულია:

„რასადა გასცემ — შენია,

„რაც არა — დაკარგულია“.

„ვისრამ“. 55: „შეგონება: გაიხარენ, სვი და ჭაშვი, გავერ,
რომელ სახელი დაგრჩეს“.

4) „ვეფხ.-ტე“. 857: „ვის არ უნახავს ჰატიუნი,

„ვისთვის ვინ არა ბნდუბიან...
„არ იცი, ვარდი უკვლად
„არავის მოჰყრებთან?“

ibid. 858: „ვარდსა ჰკითხეს, ეგზომ ტურთა

„რამან შეტქმნა ტანად, პირად?

„მიკვირს, რად ხარ ეკლიანი,

„პოვნა შენი რად არს ჭირად?“

ibid. 859: „რადგან ვარდი ამას იტუვის

„უსულად და უსაკო,

„მაშა ღებინსა ვინ მოიმივის

„პირველ ჭირთა უმუშაკო?“

„ვისრ“. 238: „ვინცა ვარდსა დასთესავს და მოჰყრებს, ხელ-
სა ეკალიცა დაესობის“.

ibid. 299.: „შენ გულად, მეწაღკოტესა არა უარეხარ, არცა
იგი შენი საგონებელი ვარდისა ხესა უარეა; მას ხელად, თუ რა დარ-
გოს, რაზომისა ჭირსა ნახავს მოკრეჟამდინ?“

ibid. 441: „საწუთროსა რადონჯერცა გამოსცდი მიწით ასრეა,
რომელ ღებინი მისი უჭიროდ არ იქნების, ვარდა მისი ეკლიანი და
ღებინი ჭირიანი, მიჯნურობა თათურაკია და სარგებელი მისი ზიანია“.

რამდენადმე წაგავს ერთმანეთს შემდგევი ადგილებიც:

5) „ვისრ“. 293 „სადაცა ვარდსა გპოგებ, მოკვოცნი, დაწვთა
შენთა სახებისთვის, რა ნიავმან იისა და ვარდის სული მომართვის,

ამით მოვიღებენ, რომელ ეგრე ვიტყვი: ნუ თუ ჩემი საყვარელი მოვა, და მისი სული მეცემის“. *ibid.* გვ. 68. სტრ. 11—12.

„ვეფხვ.-ტე“.: „ვარდთა აკოცა ბაგითა,
 „მითვე ვარდისა დარითა,
 „უბრძანა: გიჭვრეტ თვალითა,
 „გულტკბილად შემხედვარითა,
 „მისად სხაცვლად მოვიღებენ,
 „თქვენთანა სუბარითა“.

6) „ვისრ“. 49: „რა გაუნათლდეს მობადს თვალნი გისის წყევანითა, გზა-გზა მიმავალი მობად მხიარულადა და უოველი ჭირი, რაცა ენახა, დაავიწოდა“.

„ვეფხვ.-ტე“., 1555: „ტარიელს და ცოლსა მისსა
 „მიხვდა მისი სწადელი....
 „მთ ზეტიჟთა დაავიწოებს
 „ღვინი ესე აწინდელი“.

7) „ვისრ“. 451: „ეზომი ჩქრო და საქონელი გასცა (რამინმან), რომე ძვირთა სახელი ამოჭნოცა, უოველსა ქვეყანასა დაავიწოდა ჰირველი ჭირი და უსამართლობა, უოველნი გაღვინიანდეს, მთხოველნი გამდიდრდეს, ცხვარნი მგელთა თანა ძოვდეს“.

ibid. 255.: „ეგრე უშიშრად გახდა გურგანი, ცხვარნი და მგელნი ერთად იყვინან და ცხვართა მგელნი უზობნობდიან“ (სხ „ზობან“ = მწუქესი).

„ვეფხვ.-ტე“., 1570: „უოვლთა სწორად წაღობასა,
 „ვითა თოვლსა მათოვდეს,
 „ობოლ-ქვრივნი დამდიდრეს,
 „და გლახაკნი არ ითხოვდეს,
 „აუთა მქნელნი დააწინეს,
 „კრავნი ცხვართა ვერა სწოვდეს,
 „შიგან მათთა საბრძანისთა
 „თხა და მგელი ერთგან სძოვდეს“.

აკრეთვე ძლიერ გვაგონებს ერთი მეორეს რამინის, რასტე-ვანის და ტუღლურ-ბეკ სულთნის ეპიტეტები:

8) „ვისრ“. 1: „იუო დიდი და მადლი სულტანი ტუღლურბეკ

ჭვეუნასა ხვარასნისასა და ადრაბადანისა, ლაშქარმრავალი, მოფლენილი, მორკმული და აღსრულებული უოველსა სხარსეთსა ზედა“.

ibid., 418: განხელმწიფებული რამინი აძლევს ღმერთს ადთქმას, რომ იგი იქნება „მოსამართლე, მდაბალი, ღმერთის მოშიში, მართლის მეტყველი, სიმატლის მქებნელი, ცლახკათა დაუჭირველი და მოწყალე“.

„ვეფხ.-ტყაოსანი“. ხ. 32: „იუო არაბეთს როსტევან,

„მეფე ღვთისაგან სვიანი,
„მაღალი, უხვი, მდაბალი,
„ლაშქარმრავალი, უმიანი,
„მოსამართლე და მოწყალე,
„მორკმული, განკებიანი,
„თვით მეომარი უებრო,
„კვლავ მოუბარი წელიანი“.

ძლიან ჭკავს ერთმანეთს შეძლევი ფრაზებიც:

9) „ვეფხ.-ტ.“, 73: „ზეიმი და ზარი იუო, სხანი გელთა დაფარვიდეს“.

„ვისრ.“, 199: „სინხრულითა ერთობ ცათა განწყლებოდა მისი ზარი და ზეიმი, მიწა მისთა ლაშქართა სიმრავლესა ვერ იტევდა“.

10) „ვისრ.“ 59, სტრ. 10—11: „მეტონება: ღმრთისა განკებასა ნუ ვინ ემკლავების, ამით რომელ მოწყვნადსა ვერვინ შეაქცევს“.

„ვეფხ.-ტყ.“ ხ. 189, ტ. 4: „განკებასა ვერვინ შესცვლის, არ საქმნელი არ იქმნების“.

11) „ვისრ.“ გვ. 93, სტრ. 4: „მიჯნურსა ტირილი გამოაცხადებს და ავად მოუხდების: ცხადსა მიჯნურსა დია ფათერაკი სდევს“.

„ვეფხ.-ტყ.“ ხ. 895, ტ. 1: „სდევს მიჯნურსა ფათერაკი სწუთროსა დანადვლებს“.

12) „ვისრ.“ გვ. 80, სტრ. 1: „(ღონითა) კურელითაგან გუელსა გამოიფანებენ, შელოცვითა დაამშვიდებენ“.

„ვეფხ.-ტყ.“ ხ. 881, ტ. 4: „ბველსა ხურელით აღმოიფანენა ტებილად მოუბარი“.

13) „ვისრ“ . ქ. ტ. გვ. 80, სტრ. 11=სპ. ტ. გვ. 279, სტრ. 5: „დიჭლისა ოდენი წული პერეცა კარდმფილის შენთა თვალთაგან“.

„ვეფხ-ტე“ . ხ. 830, ტ. 3: „დიჭლადცა კმარის მას რომე თვალთაგან ცრემლი სდენია“ . *ibid.* ხ. 813, ტ. 2.

14) ამას გარდა ძალიან ჭკავს რუსთულის შედარებას „ვისრამიანის“ ორიგინალის შემდეგი ადგილები (ერთი მათგანი სრულიად გადაუსწავთერებია მთარგმნელს. იხ. შენიშვნა „ვისრამიანის“ ტექსტის შესახებ): სპარს. ტექ. გვ. 116, სტრ. 2.=ქართ. გვ. 124, სტრ. 18.:

„ეს სიტყვა უთხრა გირომ დასა. ვისმა თვლიდან მარგალიტი სწვიმა“ . *ibid.* სპარს. ტ. გვ. 350, სტრ. 1=ქართ. გვ. 392. სტრ. 2: „მოფიდა რამინის წინა, თვალთაგან მარგალიტსა ჭერიდა, ვითა ცა თოვლსა“ .

„ვეფხ-ტე“ . ხანანი: 159, ტ. 2; 140. ტ. 2; 1154, ტ. 1. შეუდ. ამთ ვისრ. სპარს. ტექ. გვ. 54, სტრ. 14=ქართ. გვ. 48, სტრ. 14. *ibid.* ქართ. ტ. გვ. 190 სტრ. 10=სპარს. ტ. გვ. 176, სტრ. 2.

დასასრულ, პოეტური ფიგურები და სიმეოდიკა სრულიად ერთი და იგივეა ორივე შწერლის ენაში.

ეს მსგავსება კარეკანის ფორმის მხრით ¹⁾ უტყუარი ფაქტია „ვისრამიან“-ის ძლიერი გავლენისა „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორის პო-

¹⁾ აქვე საჭიროდ ვრაცხ შევნიშნო, რომ ეს საოცარი მსგავსება, გარეგანი ფორმის მხრით, შეიძლება ახსნილ იქნას გადამწერელთა სურვილითაც, დაეახლოვებინათ, როგორც გარეგანი ფორმის, ისე ზოგიერთი ადგილებისა და ხშირად მთელი ეპიზოდების მხრითაც, ეს თუ ის ნაწარმოები, ვისაც რომელი მოსწონდა, რუსთულის „ვეფხის-ტყაოსნის“-თვის. ამას მოწმობს ისიც, რომ „ვისრამიანი“-ს სწორედ ის ადგილები, რომლებიც ორიგინალს არ ეთანხმება, წარმოადგენენ „ვეფხის-ტყაოსნის“ ადგილების განმეორებას. ამგვარადვე, რასაკვირველია, შეიძლება ახსნილ იქნას ის საოცარი მსგავსებაც, რომელიც არსებობს „ვეფხის-ტყაოსნისა“ და სხვა მე-XII საუკ. ავტორთა ამა თუ იმ ადგილს შორის.

ეზიაზე: აღბად, რუსთველი ძლიერ გაცნობილი უოფილა ამ ნაწარმობებთან, რასაც, სხვათა შორის, ამტკიცებს მის მიერ ამ ნაწარმობების მოქმედ შიერთა ხშირი მოკონება.

აშინაკად „ვეფხისტყაოსნის“ შედარება „ვის-რამიანთან“ და „ბარამიანთან“ გვაძლევს საბუთს ვითქვით, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ხელმწიფეების შესახებ ირანის ცლამრულმა ამბებმა, ერთის მხრით, და „ვისრამიანის“ რამინით გატაცებამ, მეორეს მხრით, გამომწვია ჩვენს რუსთველში „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის აზრი.

ამ ორის ნიმუშის გაცნობა და მათი შედარება „ვეფხისტყაოსანთან“ რადენადმე ნათელს ჭფენს რუსთველის შემოქმედების ნიჭსა. ამ შედარებადან ჩვენ დაინახეთ, რომ, ერთის მხრით, „ვეფხისტყაოსანი“, თავისი სიუჟეტით, ძლიერ წაკავს „ბარამიანს“, კარკანის ფორმით-კი უახლოვდება „ვის-რამიანს“. მაგრამ „ვეფხისტყაოსანს“ და დასახელებულ ნიმუშებს შორის მანც დიდი განსხვავებაა.

V

აქ, „ვეფხისტყაოსანში“, თქვენი უკრადლებას იხურებს განსაცდითრებული სიმეტრია, რომელიც დცულაა შინაარსის ინტერესთა თანდათანობითს ზრდაში: უცნაურის გმირის „კვალ-წმინდად წარხდომა (კარისა ვითა დევისა)“, ავთანდილისა და თინათინის რამანი, რაკორც ტარიელისა და ავთანდილის საუკუნო მეგობრულის კავშირის ნამდვილი მიზეზი, დასასაწულ—კერძოდ ვეფხისტყაოსნის შესახები ამბავი, უველადური ისე ხელაგნურად არის მოთხრობილი და ისეთის ინტერესის გამომწვევი სიმეტრიით შეწყობილი, რომ საკმაოა ზოეტის აღმაფრენასთან და მის უმადლეს წერტილამდი განვითარებულს მხატვრულ რითმასთან ერთად, რომ გაფანტოს უოველი ეჭვი ამ ნაწარმობის რიგინალობის შესახებ. „ვეფხისტყაოსანი“ რომ გამოვალათ უმადლეს წერტილამდი განვითარებული რამანული სიუჟარული, ზოეტური აღფრთოვანება, მხატვრული რითმა, მოქმედი ზიკების ზისინალოკიურად დასურათება, მაშინ ჩვენ იგი გვეჩვენება „ბარამიანის“ მსკავს სადეგ-გმირო მოთხრობად. ბარამიან-

ში ჩვენ ვხედავთ უსიცოცხლო და უფერულს აღმოსავლეთის ზღაპრულ გმირებს, „ვეფხისტყაოსან“-ში კი ეს გმირები ხორცშესხმულია, სცენაზეა გამოსული სამოქმედოდ; ამიტომაც, ერთი შესხედვით, „ვეფხისტყაოსანი“ სრულიად ქვარტავს ზღაპრის ელფერს, მაგრამ, თუ ღრმად ჩაფიქვრიდებით მის შინაარსს, ჩვენ დავინახავთ, რომ ამ ნაწარმოებში იპარება ბევრი რამ, რაც ამხილებს ავტორის მიზანს, შესცვალოს თავის გემოზე ზღაპრული მოთხრობა, გადააკეთოს და გადმოაქართულოს, სურვილისამებრ, თაბულა. ავიღოთ, მაგალითისათვის, ქაჯების შესახები თქმულება.

ქართულში ხმარებული სიტყვა „ქაჯი“ ნიშნავს ავს, მანვე სულს, რომელიც თავისი სილამაზით ხიბლავს და აცთუნებს ადამიანს. როგორ არის დახასიათებული სიტყვა „ქაჯი“ „ვეფხისტყაოსან“-ში? ამას აშკარად დავინახავთ ავთანდილისა და ფატმანის ერთის საუბრიდან ამ საგნის შესახებ.

ფატმანი რომ დასრულებს ნესტან-დარეჯანის ქაჯთაგან მოტაცების ამბავს, ქაჯების ვინაობით დაინტერესებულ ავთანდილსა და ფატმანს შორის გაიმართება შემდეგი დიალოგი:

ავთანდილი: „საუფარელო, კმახარ ჩემთვის სასურველად,
„მე ამბავი სახატრელი მომსმინე არ ჰიარბენულად,
„მაგრა საქმე ქაჯეთისა გამაგონე უფრო მრთელად;
„ქაჯი ეველა უხორცოა, რამან შექმნა ხორციელად?“

ფატმან უთხრა: „მომსმინე, მართლად გხედავ მანდა შერთაღსა,
„არ ქაჯნია, კაცნიაო, მინდობიან კლდესა საღსა.
„ქაჯნი სახელად მით ქუჭიან, არიან ერთად კრებულნი,
„კანნი გრძნებისა მტოდნენი, ზედან გახელოვნებულნი,
„უოველთა კაცთა მანებნი, იგი ვერვისკან ვნებულნი.
„მათნი შემბმელნი წამოგელენ დაშრმაღნი, დაწბილებულნი.
„იქმენ რასმე საკვირველსა, მტერსა თვალსა დაუბრძობენ,
„ქართა აღძრვენ საშინელთა, ნაფსა ზღვა-ზღვა. დამხო-

[ბენ,

„ვითა ხმელსა გაირბენენ, წვალსა წმინდად დაშრობენ.
„ქსწადღესთ, დღესა ბნელად იქმენ, ქსწადღესთ, ბნელსა

[ანათოუნ“.

„ამისთვის ქაჯად უხმობენ გარკეშემონი უგელანი,
 „თვარა იგიცა კაცნია ჩვენებრვე ხორციელანი“.

ამ ადგილიდან ცხადია, რომ ქაჯი, ჰოკეტის წარმოდგენით, არ არის ფანტასტიური, იგი თვითონვე გვარწმუნებს, რომ ისინი ქაჯები კი არ არიან, კაცებია“-ო.

აქ აშკარად სჩანს, ჰოკეტს შეუგვლია მოთხრობის ხასიათი: აღმოსავლეთის გმირების საქმეები ყოველთვის წარმოდგენენ დეკებთან, ავსულებთან ბრძოლას; მაგრამ ეგ ხომ ზღაპრული და სრულსა და ცხოველს ინტერესს მოკლებული ამბავი იქნებოდა; ამიტომ, ავტორი თვითონვე გვაფრთხილებს, ქაჯები როდია ისინი, კაცებიაო, ქაჯებს რომ ეძახიან, იმიტომ ეძახიან, რომ სავიწროველი არიან მათის მოხერხებითა და გამჭრიახობით, გრძნეულებითა და ომის ცეცხლის ცოდნითაო ¹⁾.

ამგვარი გაფრთხილება ავტორის მხრით და სურვილი მისი მისცეს ამ ზღაპრულს მოთხრობას უფრო სარწმუნო და არა-ფანტასტიური ხასიათი მით უფრო საუურადღებოა, რომ მას უუურადღებოდ დაუტოვებია ისეთი ადგილები, რომლებიც ამხილებს ავტორის სრულად ზღაპრულ წარმოდგენას ქაჯების შესახებ. მას, თითქო მისდუნებურად, გამოპაროდეს ისეთი ზღაპრული ადგილი, სადაც ფატმანის გრძნეული მონა „გადაფრანდება“ ქაჯეთს თვალმუტანებლად; აგრეთვე ზღაპრულია ადგილი, სადაც ფრიდონისკენ მიმავალის ავთანდილის სიმღერაზე მულაზარში ქვეყნის ყოველი სულდგმულნი: „ზღვით ნიანგნი, ტუით ნადირნი, ცით ფრინველნი“ იურიან თავს და სმენად იქცევიან; არაბეთიდან, საბერძნეთიდან, საფრანგეთიდან, ერთის სიტყვით – ქვეყნის ყოველი კუთხიდან იწეეს დენა აღამიანებმა და ავთანდილის გალობას მოისმენდნენ. აგრეთვე ზღაპრულია ადგი-

¹⁾ ჩვენს ხალხურ ზღაპრებს თითქმის უმეტესობას ეტყობა აღმოსავლეთური ზღაპრების გავლენა, რის გამო ხშირად ზღდება მათში კაცს ღივებისა და ქაჯების შესახებ მოთხრობები; აღმოსავლეთში ქაჯს წარმოიდგენენ, როგორც მზეთუნახავს მომჯადოებელ არსებას; ჩვენში ამ აზრით ხმარობენ სიტყვას „ალქაჯი“, რომელიც თავისი სილამაზით ხიბლავს და აცთუნებს ადამიანს. რუსულ ზღაპრებში „волшебница“, ანუ „чародѣйка“ ნამდვილს ქაჯების როლს თამაშობს“.

ლი, სადაც ტარიელი დახოცავს დევთა დასებს¹⁾ და წაართმევს მათ გამოქვაბულს, რომელიც საგსკა უოგელგვარი სიმიდრით:

„ჭმოგეს საჭურჭლე უსაბო კვლავ უნახავი თვალისა,
 „მუნ იღვა რიუე თვალისა, ხელწმინდად განათაღისა,
 „ჩნდის მარგალიტი ოღენი ბურთისა საბურთაღისა;
 „გინმტა ჭქმნა რიცხვი ოქროსა, ვერვისგან დანათვალისა.“

ორმოცი სახლი გატენილი იყო ქაჩებით, ახჯარი უოგელგვარი „ასრე იღვა, ვითა მწნილი“; აქვე იყო ერთი კიდობანი, რომელზედაც ეწერა:

„აქა ჭქეს ახჯარი სავეირველიო,
 „ჯაჭე-მუზარადი, ახჯარი, ხმალი ბასრისა მჭრელიო,
 „თუ ქაჭნი დევთა შუებმუნ, იუოს დღე იგი ძნელიო,
 „უმის ჟამისოდ ვინც გახნის, არის მუთუთა მკვლეელიო“.

ამ წარწერაში ჩვენს უურადლებას იბერობს ის გარემოება, რომ ქაჭები აქ დევების მოზირდაპირეებად არიან გამოყვანილნი. მაგრამ ქაჭები თუ ხორციელი არიან, რატომ დევებიც ხორციელად არ გაგვანო ავტორმა?! იმისი გმირები ხომ დევებსაც ხშირად ებრძვიან, ხოცავენ და სიმიდრით საგსკა გამოქვაბულსაც კი ართმევენ?! ცხადია, ავტორმა ამ ადგილას ფაქტის პირით ქაჭები კაცებად გაგვანო, იმიტომ რომ მას სურდა დაეინტერესებია მკითხველი, მხოლოდ ისეთის ამბით, როგორც ნესტან-დარეჯანის ქაჯთაგან მოტაცება; დანარჩენი ადგილი ქაჭების შესახებ თქმულებიდან ისევე ზღაპრად დარჩა: თუმცა ავტორი სცდილობს დაგვარწმუნოს ქაჭების ნამდვილ არსებობაში, მათი ვინაობა მაინც რაღაც საიდუმლოებით არის მოცული; უოგელი ამბავი მათ შესახებ ზღაპრულია: საოცრის სისწრაფით ხდება ნესტან-დარეჯანის მოტაცება, ანუ ფაქტის გრძელული მონის თვალის დახამხამებაზე ქაჯეთის ციხეში გადაღვრება;

¹⁾ დევთა დასები—სპარს. სიფოჰი დივ, სიფოჰი ჯადუღონ (შეადარე „ვისრამიანის“ სპარსული ტექ. გვ. 75, სტრ. 4) დევთა გრძელულთა ლაშქარნი. მოიგონეთ ამირან დარეჯანის ძე და ყმანი მისნი, რომლებიც ქაჯებს დახოცავენ და ზღვათა მეფის ასულს ქაჯთა ტყვეობიდან დაიხსნიან (იხ. „ამირან-დარეჯანი“. ტფილისი 1897 წ. გვ. 5.)

ქაჯეთის ციხეში შესვლისათვისაც ხომ განსაკუთრებული გრძნეულების ცოდნა იყო საჭირო? ¹⁾ (იხ. ხანანი: 1254, 1255).

სხვა დანარჩენ შემთხვევაში თვითონ რუსთველი ქაჯს ხმარობს ამ სიტუაციის ნამდვილი მნიშვნელობით (იხ. წ. კ. გ. საზოგად. გამ. „გეფხის-ტყაოსანი“ ტკეპ. 290, 282, 92). აგრეთვე „ვისრამან“-ში ქაჯი და „დევი“ ხმარებული არიან როგორც მანე სულნი, უსხეულად არსებანი, ჯადონი (იხ. ვისრ. გვ. 44, 65, 75, 73, 85, 97). ორიგინალში ქაჯის მაგიერად ვხვდებით სიტუაციებს: „დივი“ (დევი), „ჯადუ“ (ჯადო), „ფერარუი“ (ქაჯის ტურთა პირი), „ფერიზოდ“ (დევად ანუ ქაჯად შობილი) ²⁾.

ყურადღების ღირსია აგრეთვე შემდეგი ადგილები, რომლებიც მოწმობს, რომ ავტორს შეუძლებია საკუთარი მიზნისთვის მოთხრობა.

ავთანდილი, გაზარვის დრას, სანამ მიგზითას ილოცებოდეს, ანდერძს სწერს როსტევანს მეფის მიმართ, და ეს მაჰმადიანი არაბი გვაოცებს თავისის ანდერძის შინაარსით; მართლაც, რასა ჰტავს ეს ანდერძი?

ის არაბი, რომელიც თავისი რჯულის წესისამებრ იბარებს, რომ „მისცენ გლახაკებს საჭურჭლე და თავისუფლობის მონები“, რომელიც ასე გულ-მხურვალედ ღოცულობს მაჰმადის საკურთხეველში (მიგზითას), — ქადაგობს წმიდა მოციქულების სწავლას სიუვარულის შესახებ: „სიუვარული აგვამადლებს, მოციქულების სიტყვითაჲ; თუ შენ არ გეწამება მათი სწავლა, უსწავლეო კაცები როგორღა უნდა დავაჯეროვო“, სწერს ავთანდილი როსტევანს თავის ანდერძში (იხ. ხანა 772). მას მოჰყავს ციტატები ჰლატობის სწავლიდანაც „სიდრუე და არზირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“ (იხ. ხანა 770 — 771).

¹⁾ სწორედ ამ სახითვე არიან დახატული ქაჯები „ბაჰრამიანი“-შიც, სადაც ყოველი მათი ბიჯი, მოქმედება და გამირობა ზღაპრულია: მოიგონეთ შამსა და მისი ჯადონსური ბალანი, რომელსაც ბაჰრამი დასწვავს თუ არა, იმ წამსვე შამსა ქაჯთა უძლეველი ლაშქარით მის წინაშე გაჩნდება და უზრუნველყოფს მის გამარჯვებას მოპირდაპირეზე.

²⁾ ამგვარადვე იხმარება ქაჯი და დევი ყველა მე-XII საუკუნის საერო ლიტერატურის ნიმუშებში.

ავთანდილის აზრით, საჭიროა ისე მოიქცეს ადამიანი, როგორც ფილასოფოსები ასწავლიან: „ისე რომ არ მოვიქცეთ, როგორც ფილასოფოსები გვასწავლიან, მაშინ მათი სიბრძნის სწავლა რაღა საჭიროა ჩვენთვის?!“

ავთანდილი ანდერძში და, საზოგადოდ, „ვეფხისტყაოსანში“, ნამდვილი მეცნიერი და ფილასოფოსია; ის ფრიად სწავლული კაცია: იცის პლატონის ფილასოფია, მონტიქელების სწავლა, ღვთის-მეტყველები, მაგრამ მასთანავე არაბია, მაჰმადიანთა თავისი სულის კვეთებით და მისწრაფებით.

რით იხსნება ამგვარი დილოგია ავთანდილის ხასიათში, ამ ფილასოფოს-რანდის მუსულმანურ-ქრისტიანული ფილასოფოსობა?

ცხადია, აქ ჩვენ გვაქვს საქმე პლატონის მოძღვრებასთან, რომელმაც თავისებური ელფერი მიიღო და გავრცელდა მთელს აღმოსავლეთში ნეოპლატონიზმის¹⁾ სახელით. ეს ნეოპლატონიზმი, რომელიც, ჰეგელის თქმით, ხშირად აერთებდა თავისი მოძღვრებით სხვა და სხვა ერთი მეორის წინააღმდეგ რწმენასა და შეხედულებას და ათან ხმებდა ერთი მეორის მოპირდაპირე მუსულმანურ და ქრისტიანულ სწავლათა იდეალისტურ შეხედულებათა, წარმოადგენდა პლატონის ფილასოფიის განუკუბულ იდეათა სიმართლისა, ღვთაებრივის მშვენიერებისა და სიუფარულის შესახებ უმაღლეს წერტილამდე განფითარებას; მან, მუსიანიზმისა, ბუდიზმისა, ბრამიზმისა და ჰარსიზმის შერევით, წარმოშობა იდეალისტური მოძღვრება, რომელმაც სამუდამოდ დაამარცხა ბერძნული ფილასოფიის ანტროპომორფიზმი და განდევნა ანტიკური ფილასოფიიდან ღვთაებობის ატრიბუტების შესახები სწავლა. ნეოპლატონიზმის დრმა აზროვნება გამოიხატა სემარტლის იდეის განფითარებაში.

ამ ნეოპლატონიზმს უნდა ქონოდა ეგვიპტე უფრო მდიდარი ნიადაგი საქართველოში, რომელიც, როგორც ვიცით, ცარდაიქვა ნამ-

¹⁾ ნეოპლატონიზმის შემქნელი იყო ალექსანდრიელი საკასი. რომელიც გარდაიცვალა 242 წელს, მის საუკეთესო მოწაფედ ითვლება პლოტინი.

დგილ ბრძოლის ველად კულტურულის ბატონობისათვის ორს მეტოქეს—მუსულმანურ სპარსეთ-არაბეთსა და ქრისტიანულ ბიზანტიას შორის; ამ მეტის-მეტად სანტიკრესო მოძღვრებამ, რომელმაც ასალი სული ჩუდგა სოკრატისა და პლატონის ანტიკურ ფილოსოფიას, ფრიად დიდი გავლენა იქონია მთელს ქრისტიანულ ფილოსოფიაზე და მისთანან ერთად საქართველოს ფილოსოფიაზე, იმ საქართველოსი, რომელსაც ისეთი მჭიდრო კულტურული ურთიერთობა ქონდა ბიზანტიასთან, ამ ფილოსოფიის სამშობლოსთან, და უგულა განათლებული სახელმწიფოს კულტურათა მესვეურ არაბეთთან. კულტურულ მიზნებში ბიზანტიასა და აღმოსავლეთთან მეტოქეობამ და განათლების საქმის ჩინებულად მოწეობამ მე-XII საუკუნეში საქართველოსთვის ოქროს ეპოქის შემქნელების დავით აღმაშენებლისა და თამარის მეფობაში, — უგულა ამან ის ნაყოფი გამოიღო, რომ საქართველო გარდაიქცა მთელის იმდროინდელი ფილოსოფიის ნამდვილ საფაროდ და, მამასადაჲ, საუკეთესოდ შეითვისა ნეოპლატონიკური სწავლა-მოძღვრებაც.

მართლაც, ჩვენ ვამჩნევთ ამ ქართულის სწავლა-განათლების აუვაგების ხანაში ნეოპლატონიზმის მიმდევართა მთელ წებებს.

ჩვენს წარსულს აშკარად და ამშვენებს ისეთი სახელები, როგორცა იოანე პეტრიწი¹⁾, თამარის თანამედროვე ფილოსოფოსი და სწავლული, რომელმაც დიდი ღება აიტანა ბერძენთა და ქართველთაგან ნეოპლატონიზმის მიმდევარობისათვის²⁾, იოანეს მოწაფე, ეფრემ მცირე, რომელსაც მიაწერენ დიონისო არეოპაგიტის თარგმანს, გიორგი ჭეიხიდიელი, არსენ იუალთოელი და სხვები.

ამ სკოლას ეკუთვნის პეტრი ფილოსოფოსი, „გეფხის-ტუასანის“ შემქნელი, ჩვენი შოთა რუსთველიც.

მაგრამ არც ერთს იმ დროის ფილოსოფოსს არ დაუტოვებია ჩვენთვის ისეთი ძეგლი, როგორც არის შ. რუსთველის „გეფხის-

1) იოანე მოქალაქობდა პეტრიწონს, ბოლგარიაში, რის გამო ეწოდა მას ეპიტეტი „პეტრიწონელი“.

2) Н. Марр. Изъ кн. цар. Баграта, 1899, 234.

ტუასანი“, ეს წიგნი იმდროინდელი საქართველოს ნეოპლატონისტურ შეხედულებათა საუკეთესო გამოსახულებაა.

იმ საუცხოო აფორიზმებსა და ჰოეტურ ფიგურებს გარდა, რომლებიც გვაგონებს ანალოგიურ ადგილებს „ვისრამიანი“-დან, ჩვენ არა ერთგზის ვხვდებით მის უკვდავ ქმნილებაში ჰლატონისა, დიონისი არეოპაგიტისა¹⁾ და სხვა ფილოსოფოსების ბრძნულ აზრებს. ნეოპლატონიკური იდეებით გაუღვნილია ამ ნაწარმოების უველა საუკეთესო ადგილი. საკმაოა, აღვნიშნოთ ავთანდილის ანდროძი, რომელშიაც ავტორი ნეოპლატონიკურად აფილოსოფოსებს თავის გმირს ავთანდილს (იხილე ხანა: 770—774 და 778—779). ხოლო თვით გამოყვანალი სიუვარული, ამ დიდებული ნაწარმოების მთელი ჭახკაის ამამოძრავებელი, განმაცოცხლებელ ჭეველად მიმდინარი მთელს ჰოემის შინაარსში, უველაზე მჭერმეტყველური საბუთი არ არის იმისა, რომ ჩვენი ჰოეტი ეკუთვნის ნეოპლატონიკურ სკოლას? მაშასადამე, ეს ფაქტიც, სხვათა შორის, გვიჩვენებს, რომ „გეფთხის-ტუასანი“-ს ფაბულაში უნდა მამხდარიყო ძირითადი ცვლილებები, ჰოეტის მსოფლ-მხედველობის გაუღვნით, და ჰირვანდედელი მისი ფაბულა—უფერული მოთხრობა ირანის ზღაპრულ გმირთა შესახებ უნდა გადაქცეულიყო დიდი გენიის ქმნილებად რომელიც შეიცავდა თანამედროვე კულტურულ მიმდინარეობათა მთელ ნაყოფს; ამ აზრით, შოთა რუსთაველი უნდა ჩაითვალდეს თავისი დროის საუკეთესო გამამხტველად, რომლის მიმართულება ხასიათდება საქართველოს ისტორიის ოქროს ეპოქის ძველის რაინდული სულის იდეალისტური სწავლა-მოდღერების სულთან შეერთებით.

ამხიარად ჰოემის სიუჟეტის განხილვა ცხად-ჭეოფს შემდეგს: იმ მიზნით, რომ დაესტა წრეული რაინდული სიუვარული, რომელ-

1) დიონისი არეოპაგიტი ძლიერ მოწონებული ყოფილა ქრისტიან ნეოპლატონიკთა შორის; მას ზშირად ანსენებენ მე-XII საუკუნის ქართველი მწერლები ერთის მე-V საუკუნის ცნობილის საეკლესიო მწერლის ენოსის გვერდით; ეს ენოსი იყო ნეოპლატონიკური სკოლიდან: იგი იყო ალექსანდრიელი ნეოპლატონიკის ჰიეროკლესის მოწაფე (იხ. Н. Марр Т. P., IV, стр. 41, стр. 1).

საც სარჩულად გმირობა და ვაჟკაცობა ედგა, რუსთველს აუღია რა-
ღაც უძველესი, „ხაჭრამიანის“ ტიპის, აღმოსავლეთის ქვეყნებისა და
ხელმწიფოების შესახები სპარსული სადგე-გმირო ზღაპარი, რომელიც
ფართო ადგილს აძლევდა ჰოეტის შემოქმედებითს ნიჭსა და განუ-
საზღვრელ კრძობას, და აღუუყვანია, თავისი საკუთარი გენიის წყა-
ლობით, მხატვრობის უმაღლეს ხარისხამდე. მან სავსებით მიადწია
თავის მიზანს, და ეს უბრალო ზღაპარი, რომლის თავკადასავალი
წარმადგენდა ღვეებსა და ავსულებთან ბრძოლას, აქცია უკვდავ ნა-
წარმოებად, ხამღვილ ეპოპეიად, რომელსაც საუკუნეების განმავლობა-
ში ასე მწეურვადივით ეწათებოდა ქართველი ერი.



ამით ვათავებთ ამ ჩვენს წერილს, რომლის შინაარსის რეზიუ-
მე ასე შეგვიძლია გამოვსთქვათ:

ჩვენი მე-XII საუკუნის საერო მწერლობა სპარსულის ლიტე-
რატურის ზირმშო შეიღია; იგი სპარსულის სკარო ლიტერატურის
გავლენით იყო გამოწვეული; სპარსული სკარო ლიტერატურა სრუ-
ლიად შეესაბამებოდა თამარის საქართველოს ბრწყინვალე პოლიტიკურ
მდგომარეობას და ძველი ქართველის რაინდულ მიმართულებას; ამ
ლიტერატურის მიმართულების უძლიერესი გამომხატველია რუსთვე-
ლის „გეფხის-ტყალსანი“. თუმცა ამბავი უცხო ქვეყნებს და ხელმწი-
ფოებს ესებოდა, ავტორმა იმდენად შესცვალა და გადმოაქართულა
ეს ზღაპრული მოთხრობა, რომ დღეს, თვალწინაც რომ გვედგას
ის უცხო ხელმწიფოების შესახები ამბები, რომლებიც მან ღვეებს
კარდასთქვა, ჩვენ მსგავსებასაც ვერ ვპოვებდით მასში ისეთ დიდ-
ბულ ნაწარმოებთან, როგორიც არის „გეფხის-ტყალსანი“: ის იყო
„ამბად ნათქვამი“, ეს კი—„წეობილი მარგალიტა“, ის იყო ჩონ-
ჩხა, ეს კი—გენიის უმაღლესი და უმშვენიერესი ნაწარმოებია.

მასხადამე, კითხვას რომ ვიძლევი იმის შესახებ, ორიგინა-

და თუ არა „გუფის ტუოსინი“, სრულიდ უსაფუძვლოდ ვაუკებთ ამ ცეარს კითხვას; წიკნის აზრით, უმჯობესი იქმნება და უფრო კუ-შპაინტ გზაზე დაგვაუენებს კითხვა, თუ რამდენად შეიძლო რუს-თკედზე შეესწავლა და გადმოკქართულება ის უცხო ფაბულა, რომე-ლიც წარმოადგენდა უმნიშვნელო ზღაპარს, მის უკვდავ პოემასთან შედარებით.

იუსტინე აბულაძე.

30 დეკემბერი.

1905 წელი.

ქ. თფილისი.



„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი.

(შემატება სტატიისა: „მე-XII საუკუნის ქართულის მწერლობის იასიათი
და რუსთულის ვეფხისტყაოსანი“)

1. უცხო და ძველი გასაკები სიტყვება.

- ა(—ად) — შიმართლების მიჩურებელი თავსართი, ანუ შრეფიქსი, აღნიშნავს მოქმედების შიმართლებას ქვედან ზეკითკან.
- ა—აჩხის ნაგვადის ხმოვანი ჯღმენტი, შემოკლებული შემწეობითი ზმნი აჩხ—აჩი, რომელიც მიეიამის ბოლოში შემსშენელს.
- აზატებს, ხ. 1047, ტ. 4; ის აზატი, მაზატე, ხ. 247 ტ. 3.
- აბანო, ხ. 329, ტ. 3. (ბერძნ. Βαλανειον, lat. balineum) ტანის დასაბანი სახლი. მოსახდენი წყალი (საბანებელი).
- აბჯარი, ხ. 84, ტ. 3; 91 ტ. 3; 220, ტ. 3 — ჟაჭვ-ჭური, ჟაჭ-შანი, საჭურველი, T. P. IV, რმ.
- ადლი (არაბ. كادادل — სამართალი) — სიკრძის საზომი: აკშინი. სამართალი.
- აეზა, ხ. 459, ტ. 1 (სპარს. ايز, სომხ. յալազ, რფფ. յալազ) — კტის ჭიშის სანადირო ცხოველი, საბაობკლთანის ლექსიკონში ეს სიტყვა ასეა ახსნილი: „აეზა გეფხსა ჭკავს, მცირეა (ამირან დარეჯანინი)“. ამირან დარეჯანინში ეს სიტყვა, მართლაც, ხმაგბულია სანადირო ცხოველის აზრით, ის. ამირან დარეჯანინი, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, ტფილისი, 1898., გვ. 3, სტრ. 3. გვ. 12, სტრ. 13 გვ. 122, სტრ. 8., გვ. 126 სტრ. 15; გვ. 136, სტრ. 12, 22, გვ. 261, სტრ. 32. ეს სიტყვა გვხვდება აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ ში, ის. ჭკრთ. ტექსტი, გვ. 56, სტრ.

15, სადაც ამ სიტყვით გადმოცემულია სპარსულის ორ-
გინადის **سپهر** მტკელი, იხ. სპარს. ტექსტი, გვ. 60,
სტრ. 10., რაც ამტკიცებს, რომ შთარგმნელს შეუც-
ვლია ეს ადგილი; სხვა ალგას ამ სიტყვას სწორად
გადმოცემის ქართული ტექსტი, იხ. გვ. 75, სტრ.
20—სპარს. ტექსტი, გვ. 75, სტრ. 12. ჰროფ. შარრი
სთვლის მას ბანთეად, იხ. Н. Марр. Т. Р, V,
Физиологъ, გვ. 93. მოშინაურებული და სანადიროდ
დაკეშალი ვეფხი-ავაზა მშვიდი და უვნებელია. ავა-
ზა წარმოადგენს სანადირო ლეოპარდს, იცის აფრი-
კაში, სირიაში და სპარსეთ—ინდოეთში, იხ. ვეფხ.
ტუ. ხ. 1137, ტ. 2 იხ. ამის შესახებ. Д-ръ Виль-
гельмъ Гааке, Происхож. животн. міра, стр.
590, С.-П. Бургъ, 1903 годъ.

აული, ხ. 777, ტ. 2; 912, ტ. 3.—ფერფლი, იხ. თეიმურაზი-
სა და ორბ. ახსნა.

აზაგერი—აზაგირი, ხ. 449, ტ. 3—გახედნილი მოზგერი, უღლის
ხარი, იხ. ორბ. ლექს. და Н. Марр. Т. Р. IV, გვ.
105, სტრ. 15.

აზატი, (სომხ. *ազատ*, სპარს *آزاد*)—თავისუფალი.

ათქს, ხ. 1495, ტ. 2.—ადგას, ადგია, შეადარე უთქს, ხ. 465,
ტ. 2; ამირან-დარეჯან. გვ. 122, სტრ. 7.

აღამი, ხ. 390, ტ. 1; ხ. 923, ტ. 3; ხ. 1285, ტ. 2 (არაბ.
لم)—ნიშანი, დროში; (Т. Р. IV, 66).

აღამნეს, ხ. 923, ტ. 3.: იხ. აღამი; ხ. 923, ტ. 2; ხ. 1552,
ტ. 2, იხ. ღამი; ხ. 923, ტ. 4, იხ. გღამი, ხ.
1465, ტ. 1.

აღაფი, ხ. 440, ტ. 1—ნატარები, ნადარცვი, ნატუენავი, დუ-
ლა, ნაშოგარი, ნადაფლი, ხარკი.

აღყა, ხ. 223, ტ. 3. ხ. 319, ტ. 1. ხ. 1286. ტ. 4. (სპარ. *آقا* არაბ.
آقا)—აღლი, იონე, 19, 40. საკმეველის ხე. აღყას

სხვანაირად სამოთხის ხეს უწოდებენ; ალვამ იცის მაგარი და მსუქანი ხე, რომელიც, წვეის დროს, ავრცელებს საამო სუნნელებას, აღმოსავლეთში ძალიან მოწონებულია, როგორც მოსაკმევი ნივთიერება.

- ალვა, ხ. 12, ტ. 3; ხ. 77, ტ. 4; ხ. 1400, ტ. 1; ხ. 1488, ტ. 4. და სხვ.—ალვის ხე, იხ. T. P. IV, რმა; ალვის-ხიანი—ალვის ხის მსგავსის ტანის მეჭონი.
- ალი, ხ. 1135, ტ. 2; 1265, ტ. 2; 1498, ტ. 3; ხ. 1567, ტ. 2. (სპარს. آلی) — ცეცხლის ნაქშენი; ალამა= ალმა.
- ალმულაბა, ხ. 1459, ტ. 3, იხ. სიტყები: ალი და მური, იხ. ხანა 294, ტ. 4.
- ალქატი, ხ. 1441, ტ. 1 (სომხ. աղբատ)— ღარიბი, არას მეჭონი, გლახა.
- ალმასი, ხ. 316. ტ. 4; 330, ტ. 4 (სპარს. الماس)— იგივე მნიშვნელობა; ანდამატი.
- ალმასნა, ხ. 742, ტ. 2, იხ. ალმასი.
- ალუა, ხ. 73, ტ. 2; ხ. 956, ტ. 3; 960, ტ. 2; 6. 962, ტ. 2, (არაბ. الملاء=ჭალა)— წრე, საღრე, ირგვლივ შემორტემა.
- ამაზრზენი, ხ. 983, ტ. 4; ხ. 1248, ტ. 2; 1469, ტ. 2; 1525, ტ. 3.—ამაზრზელი, ამატოკებელი, შემადრწუნებელი.
- ამარი, ხ. 1031, ტ. 2. (სომხ. համար,) — რიცხვი, ზომა; უამარი— ურიცხვი.
- ამარტა, ხ. 260, ტ. 1.— ქარვა, მძივია (საბა ორბ.)
- ამბავი (სომხ. համբավ), იგივე მნიშვნელობა.
- ამილახარი, 6. 54, ტ. 2 (სპარ. امیلاخار)— მეჯინიბეთ-უხუცესი, ობერშტაღმეისტერი.
- ამირბარი, ხ. 306, ტ. 1; 369, ტ. 4; 397, ტ. 4 (სპარს. امیربار) — მხედართმთავარი, დიდი სარდალი; ამირ-სპასადარი.

- ამირ-სხასლარი, ხ. 40, ტ. 1; 306, ტ. 2 (სპარს. امیرسلا — სარდალი; ჯართა წინამძღოლი. იხ. ამირბარი.
- ამაჟი, ხ. 976, ტ. 2; ხ. 1211, ტ. 3—უიფი, შედიღური, დიდგული, თავმომწონე, ამხარტავანი.
- ამო (სომხ. համ-გემო), სასურველი, გემრიელი, გემოვანი; აქედან საამური, საამო, სასიამოვნო.
- ამხანაგი, ხ. 421, ტ. 3; 614, ტ. 4; 650, ტ. 4 (სპარ. امخان) — იგივე მნიშვნელობა; შინაური, მეგობარი.
- ანაზღა (სომხ. անազղ) — ჩქარი, უეტარი. მოულოდნელი, უტეპი, მევირცხლი, ტყაფი.
- ანაკები, ხ. 915, ტ. 3; 949, ტ. 1. — ტანადობა, მოყვანილობა, თვალადობა, აკებულობა, იხ. კება.
- ანგარიში, (სპარ. انگریزی) — იგივე მნიშვნელობა.
- ანდამატი, ხ. 1318, ტ. 3 (ბერძნ. ἀνδραμας) — აღმასი.
- ანდერძი, ხ. 768, ტ. 1; 679, ტ. 1; 789, ტ. 1. (სპარს. اندرز) — უკანასკნელი აღთქმა.
- არაკი, ხ. 1487, ტ. 3. (სომხ. արակ) იგავი, საგულისხმიერო ამბავი, მაგალითი, ზღაპარი.
- არაში, ხ. 685, ტ. 4 (სპარს. ارشد) — უკანონო, ცუდი, აქედან სიტყვა არამზადა, რომლის მეორე ნაწილი „ზადა“ — ც. სპარსულია ارشد — ჰარამზადა — ცუდად, უკანონოდ შობილი (შეადარეთ თ. ჟორდანიასი კურიოზული ახსნა, ქართული გრამატიკა, გვ. 86, ი) სტრ. 9.
- არე, ხ. 177, ტ. 2; ხ. 353, ტ. 4; ხ. 435, ტ. 3. ხ. 303, ტ. 2. მხარე, არე მარე, ადგილი; იარე, ხ. 71, ტ. 2; ხ. 1191, ტ. 3. ატარე; ხ. 1191, ტ. 4. არიარ.
- არიფი, ხ. 1143, ტ. 2 (არაბ. اریف) — მეგობარი, თანამზრახველი, მონაწილე წევრი, დაახლოებული პირი; იხ. ვისრამ. ქართ. ტექსტი, გვ. 124, სტრ. 7. — სპარს. ტექსტი; გვ. 110, სტრ. 160.
- არმადანი, ხ. 1211, ტ. 2 (სპარს. ارمان) — ძღვენი, ძვირფასი საჩუქარი.

- არღვანი, ხ. 923, ტ. 3 (სპარ. ارغوانه არაბ. ارغوان) ზალესტინის ხე, ასამანი, ასამანის ფერი, წითელი, წითელი ღვინო, ერთგვარი წითელი ქვა. მოჭირებული წითელი ფერი, საზოგადოდ.
- ასადაგეს, ხ. 136, ტ. 1, 2 3, 4, ის. სადაგი.
- ასაქმარი, ხ. 132, ტ. 4—ცომოქნელი, მომჭრელი; —ან „ასაქმე“ — ს ნაცვლად, ლექსისთვის.
- ასპარეზი, ხ. 100, ტ. 2 (სომხ. սասարկ), მოედანი, სარბიელი, მოჭიდავეთა გამოსაცდელი ადგილი.
- ასპირი, ხ. 941, ტ. 1 (ბერძ. ἄσπις) ცთომილი ვარსკვლავი, საღამოს ვარსკვლავი.
- ასპიტი, ხ. 1209, ტ. 4. (ბერძ. ἄσπις), გველი.
- ასული, ხ. 33, ტ. 4—ას+ული, ასჯერ აღებული, ბევრად ასული: ბევრი ნიშნავს 10,000; ბევრად ასული—ბევრი ასჯერ აღებული, ე. ი. მილიონი ენა უნდა მის ქებასო.
- ასული, ხ. 33, ტ. 1.—ქალიშვილი. opp. ძე, ვაჟიშვილი.
- ასუბარნა. ხ. 241, ტ. 2: არ ენანი აუბარნა—სიტყვები გერ მოქერხებინა სათქმელად, აუბარნა, resp. აუბნა.
- ატლასი, ხ. 992, ტ. 2 ნ. 1414, ტ. 1. (არაბ. Atlas)—ოგივე მნიშვნელობა.
- აუგი, ხ. 359, ტ. 4; ხ. 1071, ტ. 2; ხ. 1211, ტ. 4.—სირცხვილი.
- აფოლხგება, ხ. 378, ტ. 4. შელავათის მოცემა, აშვება, შესხნა რისამე.
- აქიმი, ხ. 644, ტ. 1. (არაბ. كيم) — მკურნალი.
- აღვსება, ხ. 536, ტ. 2. აღდგომის დღე (არაბ.)
- აღლუმი, ხ. 389, ტ. 2 (თ.-ოსმ. اهل) ჯარის ნახვა, გასინჯვა.
- აჟიუი, ხ. 1124, ტ. 4. (არაბ. اتيق مراهق) — ერთგვარი მებრუნის ქვა, წითელი ფერის, წითელი მარჯანი, წითელი ფარდული, გინა უოველგვარი წითელი სამკაული.
- აშოგი, ხ. 25, ტ. 2; ხ. 348. ტ. 4; გ. 360, ტ. 4 ხ. 1067, ტ. 3; (არაბ. عشق ძირი عشق) ტრფილი, გულის საყვარელი, მიჯნური, მოტრფილად საყვარელი.

- აწამწამე, ხ. 133, ტ. 1.— წამწამად აქციე.— გიხადე, შედარეთ,
ხ. 1517, ტ. 4.: „ბროლ-ბადანში გააღაწვეს და გი-
შერი აწამწამეს“.
- ახავს, ხ. 639, ტ. 3.— ჭკვიჩის, ოხრავს, ახს იძახის, სწუხს.
აჯა, ხ. 17, ტ. 3; ხ. 270, ტ. 1.— თხოვნა, გედრება, შედარა.
აჯილა, ხ. 1154. ტ. 4.: თეთრი თავსაფარი, ქალების მოსაბურა-
ვი, თეთრი ბაღდადის თავსაფარი.
აჯიღოსანი, ხ. 474, ტ. 2— აჯილაში შეოფი; ქალი.

ბ.

- ბაგე, ხ. 5, ტ. 2; — ტუჩი; ხ. 598, ტ. 1.— ჰირი, კიდე.
ბადახში, ხ. 3, ტ. 2; ხ. 5, ტ. 3; ხ. 137, ტ. 2. (სპარს.
بدخشی) — ლალი.
ბადახშანი ხ. 1528, ტ. 2. (სპარს. بدخشان) — საუკეთესო ხარის-
ხის ლალი ბადახშანის მხარედან.
ბადრაგა, ხ. 1016, ტ. 2. (სპარს. بادراغ) — გამძღლო, გზის მაჩ-
ვენებელი, თანამგზავი.
ბაგთი, ხ. 1486, ტ. 4. (სომხ. բագ) — სამწუხარო ამბავი, ავი
გასვკონი.
ბაზარი, ხ. 967, ტ. 4; 1436, ტ. 4 (სპარს. بازار) — იგივე
მნიშვნელობა.
ბაზიერი (ძირი სპარ. بازی სომხ. բազար) ბაზთა დამგეშავი, შე-
მინოვე, შეშავარდნე.
ბაზმა—ბაზმი, ხ. 1495, ტ. 2 (სომხ. բազմ, բაզმակ) — სანა-
თი, ლამპარი, საკმევი.
ბალიში, ხ. 1238, ტ. 3. (სპარს. باليش) — იგივე მნიშვნელობა.
ბაკმული, ხ. 226, ტ. 4; ბაკმიანი, ბაკმის მეჭონი; ბაკმი, ს.
ორბულიანის განმარტებით ნიშნავს მომრგვალებულს,
გინა ბაკს: სინთლის რკალი, მნათობების სომრგვლე.
ბანის ბანი, ხ. 1090, ტ. 3; ხ. 1253, ტ. 4; ბანს ზეგით

ადგილი, ცის ტატნობი, სახლის სახურავი, ცის გუმბათი; ბანის შესახებ იხ. T. P. IV, რმა; ჭერი, ცის თალი.

ბარბათი, ხ. 178, ტ. 4; 472, ტ. 2. (ბერძნ. βαρβατον, სპარს. بار بار) — სიმებიანი საკრავი, გიტარა, ჩანგური.

ბარგი, ხ. 171, ტ. 4; ხ. 1409, ტ. 1: წერაკითხვ. საზ. გამოც. შენდომით „ტვირთად ვარგად“, უნდა იყოს-ტვირთად-ბარგად, ხ. 1553, ტ. 1 (სპ. بار) — ტვირთი, სიმძიმე, მწუხარება, საზრუნავი.

ბარი, ხ. 275, ტ. 2. ხ. 397, ტ. 2 (არაბ. بار) — დაბლობი, ვაკე, ცის ქვეშეთი.

ბარი, ხ. 1094, ტ. 4; მიწის სამუშაო იარაღი; მიწის სათხრელი, ნადაგის გადასაბრუნებელი რკინის ნიჩაფი.

ბასრი, ხ. 424, ტ. 3 (სომხ. սուր — მახვილი, მჭრელი); — იგივე მნიშვნელობა. მჭრელი, პირმოლეხილი, მოპირული სამაგალითად.

ბასრობა = გაბასრება (სომხ. բասրել) — შერცხვენა, სახელის გატეხა, გაკიცხვა, T. P. IV, словарь, რნდ. აქედან გაბასრული, გაბასრულა და სხვ.

ბაღი, (სპარს. باغ) — იგივე მნიშვნელობა, აქედან შემცირებით ბაღჩა (სპარს. باغچه — ბაგჩა) — იგივე მნიშვნელობა.

ბატი, ხ. 1441, ტ. 2 (არაბ.-სპარს. بات) — იხვი; ბატი.

ბეღითი, ხ. 23, ტ. 3; ხ. 364, ტ. 1; (სპარს. باد) — ცუდი, ავი;

ბეღი — ხვედრი, იღბალი, მოსავალი, წერა.

ბეჭრი, ხ. 419. ტ. (სომხ. բեჭր) — 10,000; ბეჭრად ასული, ხ. 33, ტ. 4 მილიონი; ბეჭრის ბეჭრი, ხ. 266, ტ. 1; ხ. 1039, ტ. 3, ასი მილიონი; იხ. ხ. 1200, ტ. 4.

ბერი, ჰროფ. მარკის აზრით, არის სპარსული بار — იხ. T. P. IV, გვ. რნდ, ibid. გვერდი 106, სტრ. 30; — მოხუცი, ხ. 546, 3; კიტრი-დამწიფებელი, დაკაკლებული, ხ. 767, ტ. 1.

- ბილწი, ხ. 10, ტ. ხ. 130, ტ. 2. (სომხ. *պիղծ*)—საძაგელი, არაწმიდა, vulg. ჰილწი,-ცუდი, არამი.
- ბინდი, ტ. ხ. 762, ტ. 3. P.—ცოტა სიბნელე; სადამორეღე.
- ბისონი, ხ. 701, ტ. 4 (=ფისონი) ედემის მდინარე,
- ბოზი, ხ. 561, ტ. 4; ხ. 562, ტ. 1 (სომხ. *բոզ*) როსკიპი.
- ბნელა, ხ. 12, ტ. 3; ხ. 363, ტ. 3; ხ. 364, ტ. 1; - მწუსარებისათვის თავის მიცემა. მწუსარებისგან გრძნობის დაკარგვა. უზომო დანადგლიანება. ძაღლის დაკარგვა.
- ბორიო, (ბერძნ. Βορεας), 1432, ტ. 4. ჩრდილოეთის ქარი.
- ბორტო (სომხ. *բորտ*)— ავი, ცბიერი, მადვალაკი, გულბილწი, ავი სული, მავრე.
- ბრლი (სპარს. *برلی*), ხ.ხ. 404.386. იგივე მნიშვნელობა.
- ბუკი, ხ. 46, ტ. 3; ხ. 405, ტ. 1; (სპარს. *بوك*) — სამხედრო საუფირო;
- ბულბული, ხ. 1231, ტ. 4; ხ. 1232, ტ. 4; (სპარს. *بلبل*) იგივე მნიშვნელობა.
- ბუნება-ზიარი, ხ. 1087, ტ. 1—ღუთაებრივი.
- ბურვა, ხ. 123, ტ. 2; 597, ტ. 1.—დაფარება რისამე, ხურვა.
- ბურთი, ხ. 67, ტ. 4 (სომხ. *բուրդ-მატული*)—სათამაშო, მრგვალი სხეული, იხ. Н. Марръ. Т. Р, V, физиол. стр. 88. აქედან, ჩვენის აზრით, წარმოსდგება სიტყვა ბურტული.
- ბუჭი, ხ. 712, ტ. 4, ხ. 1121, ტ. 4 (სომხ. *բուլք*)— ქარიანი თოვლი (საბა რბ.).
- ბჭე, ხ. 1371, ტ. 2 1518, ტ. 2;—კარი; სასახლის კარი, სამეუფო დარბაზი.
- ბუ, ხ. 946, ტ. 4 (სპარს. *ب*)— იგივე მნიშვნელობა.
- ბურჯი, ხ. 1371, ტ. 2. (სპარს. *بجر*) — სვეტი, დედა-ბოძი ციხე.

გ.

- გ—არსის ნაცვალის (ნაცვალ სახელის) თანხმომავანი ელემენტი.
- გა—მიმართულების მიხედვით: აღნიშნავს მოქმედების მიმართულებას შიგნიდან გარეთ; გარ.გა, ხ. 1056, ტ. 4.: გარეთ გავიდა.
- გააზვარა, ხ. 435, ტ. 4—აამაღლა, გააღიდა, გააძლიერა. შეად. ბუნება—ზეარი, ხ. 1087, ტ. 1;—დიდბუნებოვანი, ღუთაებრივი, იხ. ამის შესახებ დ. კარიჭაშვილის განმარტება, გვ. 297.
- გააგარა—, ხ. 224, ტ. 2.—გარეთ აშუოფა (თავი თვისი)
- გაბასრულა, გაბასრულად, ხ. 615, ტ. 2 ხ. 842, ტ. 4; ხ. 1053, ტ. 4; იხ. ბასრობა=გაბასრება.
- გაგვა, ხ. 1289, ტ. 3; გენადვლება; გვაგვა, ხ. 492, ტ. 4. გენადვლება.
- გაგრიდა, ხ. 894. ტ. 3.—მოგირიდა ჭირმან; არ გაგრიდა ე. ი. ჭირმან არ მოგირიდა, დაგიხელა, ხ. 889, ტ. 3. გამოტყუა, გამოუხია, გამოუფატრა, ხ. 743, ტ. 1.—დარცხვინილი გაიპარა.
- გაგვიდა ხ. 171 ტ. 1, 2, 3, 4. პირველი გაგვიდა განშორდა, გაკიდებდა, მეორე—გაჭებდა უკან გაკიდება, დაღვება, მესამე—გაღარიბდა, თავის იმედად დარჩა (მკლავი), მეოთხე—ზურგზე აკიდებული ქონდა კაქშის ტვირთი, ე. ი. მისი საზრუნავი გამხდარიყო იგულისხმება საუფარდოსთვის (თინათინი) ფიქრი, კაქშანი.
- გავაზი, ხ. 211, ტ. 2. (სპარ. *جاذب*), მიმინო, შავარდენი.
- გამიწამე, ხ. 133. ტ. 3.—სიცოცხლის სურვილი განმიცხოველე, რწმენა განმიასლე, ისევ მანატრე სიცოცხლეო (შუადრე ბ. კარიჭაშვილის განმარტება, იხ. გვ. 269, *1)
- გაის, ხ. 743. ტ. 3.—მერე გასვლისას, გამოთხოვებისას.
- გაოდეს—ეტიუბოდეს, ენადვლებოდეს, აწნდეს წელულად.
- გარგა, ხ. 1056. ტ. 4. შემოკლებით განმეორებული გარეთ გავიდა.

გასკანნა, ხ. 355, ტ. 4. გარამული.

გვირაბი, ხ. 1220. ტ. 4. 1221. ტ. 1. (სომხ *պիրაყ*); ხერკელი, თხრილი. T. P. V, § 17, XLV.

გზეთსა, ხ. 511, ტ. 2—გზასა, გზად.

გიშერი, ამ სიტყვას ბ. მარტი ათავსებს ნასესხებ სიტყვებში, თუმცა კი არ აღნიშნავს, საიდან არის ნასესხები, T. P. IV, რნდ—შავი ქარვა.

გლახ, ხ. 94. ტ. 2, 188 ტ. 2, 194. ტ. 4. სწყალი, საბრალო. იხ. ვაგლახ.

გოლიათი, ხ. 1511. ტ. 2.,—ფილისტიმელთა ფაღაფანი; ბუმბურაზი (დაბადება.).

გონება, ხ. 58. ტ. 1, 125 ტ. 3, 473. ტ. 4, 504. ტ. 1, 882. ტ. 1, 1004 ტ. 2. ფიქრი, შოგონება.

გორლი, ხ. 252. ტ. 4.—სათივე თოკი, თივის შესაკრავი საბელი (ორბ.), ღვლეჭი.

გულის გული, ხ. 795 ტ. 4.—უსაყვარლესი, ვეელაზე სასურველი.

გულსადაგი, ხ. 650, ტ. 1. ორი სიტყვაა გული და სადაგი და აღნიშნავს გულწრთელს, იხ. სადაგი.

გუნდი, (სომხ. *ყուღ*)—იგივე მნიშვნელობა; ჭარი, მხედრობა.

გუშაგი, ხ. 1367, ტ. 4 (სომხ. ძირი *ყուღაკ*) მეთვალყურე, დარაჯი, მცველი, ყარაული. სომხურად ნიშნავს წინასწარმცნობს, გულთმისნს.

ღ.

ღ-მიმართულების მაჩვენებელი თანხმობისანი ელემენტი.

და განუსაზღვრელის მიმართულების მაჩვენებელი პრეფიქსი.

დააღებული, ხ. 295, ტ. 1—აღმოდებული, ცეცხლ-მოკიდებული. ალად ქცეული.

დავლა—(დოვლათი). P. ხ. 777. ტ. 4, 1043. ტ. 4, 1416 ტ. (არაბ. სპარს. *داوا*)—ბედნიერება, სიმდიდრე, ქონება.

ღარაკი, ხ. 1077 ტ. 3. (არაბ. *دارا*)—ფარი.

- დარჯა, ხ. 434. ტ. 1. (სპარ. *دارجا*)—მცველი, უარაული, მე-
თვალეურე.
- დარჯაგი, ხ. 1194. ტ. 2.—საყარაული; იხ. დარჯა.
- დარბაზი. ხ. 459 ტ. 2 (სომხ. *դարբազ*, სპარ. *داربا*)—იგივე
მნიშვნელობა; საკრებულო, სსსხლე, კარი.
- დარგი, ხ. 19. ტ. 1—ნაწილი. განუოფილება, შტო.
წმინდა და ღირსი მეფე საქართველოჲს და აფხაზთა დავით აღმაშენებელი ბაგრატიონი. ესე სიერმიათჳე აღიზარდა ღვთის სიუვატულისა სწავლასა და სდრმთოთა და სათიფლოსოთოთა სწავლასა შინა; ჟამთა წინაპართა ამა მეფესათა მოვიდნენ საქართველოჲს შინა აგარიანნი, სხლეულითურთ თჳსით ვიდრე სამი ათასი მოსახლე კაცი და დაიპურეს საქართველო და დაეშენენ სამთა მდინარეთა სანაპირეთა ზედა, ესე იგი მტკვარსა, აღაზანსა და იორსა ზედა. სხითა ამით მათ ელისა მთავართა განიუვეს ამ სხეთ ადგილნი ესე: ერთი მთავართაგანი ასი ათასისა კომლისა კაცითა დაესახლა მტკვარისა კიდესა ზედა ამიერ და იმიერ, სურამითაგან ვიდრე კანკამდის; მეორე მთავარი დაესახლა ასი ათასისა კაცითა იორის მდინარის კიდესა ზედა, მთიანეთითაგან (სიცი) ვიდრე აღაზანისა შესართავამდე, რომელიცა ერთვის მახლობელ სამუხისა; ზოლო მესამე მთავარი დაესახლა ასი ათასისა კომლისა კაცითა ზანკისიდაჲმ აღაზანის სანაპიროსა ზედა—ვიდრე აგრისა შესართა-

¹⁾ ეს წერილი იბ. ჰდეა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნთ საცავის კრებულიდან № 3677, რომელიც წინეთ ეკუთვნოდა პროფესორი დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკას. ცნობეჲი ქართველთ მწერალთა შესახებ აქ იწყება მეფე დავით აღმაშენებლით და თავდეა აღექსანდრე ჰავტავაძით. ეს ნაწილი კრებულისა შეიცავს სულ 35 ფურცელს in 4^o ნუსხა მხედრულის ხელით ნაწერს და ეკუთვნის მეცხრამეტე საუკუნის ნახევარს. მართლ-წერა ტექსტისა ერთგვარი არ არის და არც ჩვენ ვიცავთ. სათაურები ზოგ მწერალთა გვერდზე უწერია და ზოგს სრულებით არა აქვს. ჩვენ ყველას უკრებთ სათაურს. აგრ თვე ციფირების დასმა გვეკუთვნის ჩვენვე, ორიგინალში ციფირები სათაურებს არა აქვს

მხირი უწყება ქართველთა მწერალთათჳს ¹⁾.

1.

მეფე დავით აღმაშენებლისათჳს.

წმინდა და დიხსი მეფე საქართველოჲს და აფხაზთა დავით აღმაშენებელი ბაგრატიონი. ესე სიერმითჳე აღიზარდა ღვთის სიუერულისა სწავლასა და სდრმითთა და სთიღოსოფოსთა სწავლათას შინა; ჟამთა წინაზართა ამა მეფესთა მოვიდნენ საქართველოს შინა აგარიანნი, სხლეულითურთ თჳსით ვიდრე სამი ათასი მოსახლე კაცნი და დაიპურეს საქართველო და დაეშენენ სამთა მდინარეთა სანაპირეთა ზედა, ესე იგი მტკვარსა, აღაზანსა და იორსა ზედა. სხითა ამით მათ ელისა მთავართა განიუგეს ამ სხეთ ადგილნი ესე: ერთი მთავართაგანი ასი ათასისა კომლისა კაცითა დაესხლა მტკვრისა კიდესა ზედა ამიერ და იმიერ, სურამითგან ვიდრე განჯამდის; მეორე მთავარი დაესხლა ასი ათასისა კაცითა იორის მდინარის კიდესა ზედა, მთიანეთითგან (სიცი) ვიდრე აღაზანისა შესართავამდე, რომელიცა ერთეის მახლობელ სამუხისა; ზოლო მესამე მთავარი დაესხლა ასი ათასისა კაცითა ზანკისიდამ აღაზნის სანაპიროსა ზედა—ვიდრე ივრისა შესართა-

¹⁾ ეს წერილი იბ. კდეზა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნთ საცავის კრებულიდან № 3677, რომელიც წინეთ ეკუთვნოდა პროფესორი დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკას. ცნობები ქართველთა მწერალთა შესახებ აქ იწყება მეფე დავით აღმაშენებლით და თავდება ალექსანდრე ჭავჭავაძით. ეს ნაწილი კრებულისა შეიცავს სულ მან ფურცელს in 4^o ნუსხა მხედრულის ხელით ნაწერს და ეკუთვნის მეცხრამეტე საუკუნის ნახევარს. მართლ-წერა ტექსტისა ერთგვარი არ არის და არც ჩვენ ვიცავთ. სათაურები ზოგ მწერალთა გვერდზე უწერია და ზოგს სრულებით არა აქვს. ჩვენ ყველას უკლებთ სათაურს. აგრ თვე ციფრების დასმა გვეკუთვნის ჩვენვე, ორიგინალში ციფრები სათაურებს არა აქვს

ე. თ.

ვადმდე მხლობელ სამუხისა და დაიპურეს სახითა ამით ქართლი და კახეთი და დაუწვეს დევნა, ტყვეობა და ახსრება ქართლსა და კახეთსა შინა მცხოვრებთა, და ესე ცარიელ ჭევეს ადგილნი ესე, რომელ თუ არა მათათა და სიმაგრეთა შინა არღარა იპოებოდნენ მცხოვრებნი ერნი ქართველთანი; მხოლო განგებითა ღვთისათა არა მიედო ტახტი წინაპართა თჳსთა დავითმან და იქმნა მეფედ აფხაზთა და იმერთა. შემოკრებნა იდუმალ მხედრობანი და დანაშთი ქართველთანი დროსა ზამთარისასა და გარდახვეტეს მთაჲ საფიჩხისა და დაესხნენ იდუმალ სურამსა მდგომთა თათართა და შეწვევითა ღვთისათა ამოსწვიტნეს მრავალნი და ტყვეთა ჭევეს სულნი რაოდენნიმე ათასნი და აღივსნეს ალაფითა მათითა; და უკუნიტვნენ მძღველნი, კვალად რაოდენისამე ხნისა შემდგომად უმეტეს განიმრავლა მხედრობანი დავით და დაესხნა კვალად თათართა და ასწვეტნა იგინი და სახითა ამითა სრულიად შემუსვრნა მოსახლენი იგი ელნი და დანაშთნი განილტვენ ქვეყანასავე თჳსსა; შემდგომად კახეთსა შინა მოსახლენიცა თათარნი შეიყვანა პირველისებრ ხვედრსა შინა და დაატყვებინა ადგილი ესე და მერე იწყო შენობად დაქცეულთა ქალაქთა და დაბნებთა საქართველოსათა და რაოდენისამე წლისა მოიყვანა პირველსავე მდგომარეობაჲსა შინა და აღაშენნა კეთილად და განაწყო მხედრობანი და ყოველთვის მზად ჭეჳა რომელით სამეოცი ათასი მხედარი; ამან აღაშენა გელათის ეკლესია; აღიღო ტრაპიზონი და აღაშენა მუნ მონასტერი და ეკლესია და დაიპურა არზრუმი და კარემონი მისნი, აიღო ციხე დარუბანდისა და კარნი რკინისანი მთაღო მის ციხისანი და ქმნა კარებად გელათისა ეკლესიისა და მრავალნი ძღვეანი შეიმოსნა თურქთა ზედა. ჟამსა თფილისის აღებისასა აღიღო ყაზანი და სძლო ხაზართა; და მრავალთა განსაცდელთაგან ჭეჳარვიდა ღმერთი; და ოდეს მოიცალეს სამეფო საქმისაგან, იყო განკრძალულ ღოცვასა და ვედრებასა შინა ღვთისასა, და იკითხვიდა სამღრთოთა წერილთა, და მეტადრე სამოციქულთა და გრიგოლი ღვთისმეტყველისა წიგნსა; ხოლო ერთა მეფობისა ამისა იქმნა კრება ადგილობითი სომეხთა და ქართველთა შორის და იყო მუნ მეფეცა, და აქუნდათ სამღვდელთა ჰსჯულთა ზედა ბასი ურთიერთისა შორის, გარნა ვერვინ ძალიდგა დაუთფად პირისა

სომეხთა და მაშინ მეფემან მიიღო ნება მღვდელთა-მთავართაგან, და უწყო ბასი სომეხთა, რომელმანც დაუყო პირი უოველთა და სირცხვილეულ იქმნენ, და მრავალთა სომეხთა მიიღესთ საწმენოება მართმადიდებელთა და ესრედ კეთილად განვლო ცხოვრება თვისი, და შეირაცხა წმიდათა შორის, ვითარცა უფრცვლეს ჰსწერია ცხოვრება და საქმენი მეუფის ამისი საკუთარსა მეტაფრასსა შინა ამა მეუფისასა და ამისთვის მიიღო ტიტლოჲ აღმაშენებლობისა ერთგან საქართველოსათა, ვინაჲთგან ამან აღაშენა თათართაგან დაქცეული ქუჩენები და ამასთანავე ღერბსა ამა მეუფისასა შესძინეს ცხენი რქოსანი, რომელიც მოიპოა თვით მეფემან მიმავალმან მარტომ ტფილისიდან ქუთაის საშენებელად; ესრეთ რომელ იხილა მცხეთის იწროთა ადგილთა შინა ცხენი ესე რქოსანი, დაუძახა მეფემან, და მოვიდა მეუფისთანა, და შეიპყრა მეფემან და მაშინ მოვიდნენ მონანიცა მეუფისანი და ბრძანა მეფემან შეკაზმა ცხენისა ამის და აღუდგა ლაკამი წმინდის გიორგის ცხენისა, რომელიც აწ არს გელათსა შინა მიზეზითა ამით, რომელ სული არა იყოს რა ცხენი იგი, გარნა განგებითა ღთისათა მოეცა ცხენი იგი, რომელ დღე უოველ ვლიდა უშენთა ადგილთა შორის, და აგულსმოდგინებდა მუშაკთა, რომელ ცხენი იგი ესრეთი იყო მკვირცხლ და მალი, რომელ ერთს დღეს ადრე მივიდის ტფილისითგან ქუთაის და მუნითგან ქართლს, და ქართლითგან კახეთს და ესე ცხენი არცა კახდის და არცა მოილდის და მაშინ სცნა წმინდამან, რომელ ცხენი ესე მოეცა განგებითა, რათა მალაად მოვლიდეს თვისთა ქუჩენათა და განამხნობდეს მუშაკთა და ესრეთ განვლო ცხოვრება თვისი სიწმინდით, და მერე უფლისადმი მიიცვალა, და აწ ვდღესსწაულობთ იანვრის თვის ოცდაექუსსა.

2.

იოანე კათალიკოზისათვის.

იოანე კათალიკოზი ქართველი იყო ძველთა არისტოტელის და სხვათა ფილოსოფოსთა სწავლათა შინა გამოცდილი მოძღვარი, კეთილ მასწავლებელი და მშენიერი მსიტუველი, რომლისა გამო მიიღო მეფისა და პროკან სუღწოდება ოქროპირად.

3.

შამა არსენი კათოლიკოზისათვის.

შამა არსენი კათალიკოზი ქართველი. ესე იყო ფილოსოფოს ღთისმეტყველი, და მოქადაგე, ამან შეაწყო საგალობელნი რამდენიმე ქართველთა წმინდათა, და განმართა ხმაზედა ქართულსა ეგრეთუჭ იყო მწერლობაშიაც გამოცდილი, მალაღსა ფრანკსა ზედა შემთხუზუჭლი.

4.

ნიკოლოზ კათალიკოზისათვის.

ღირსი ნიკოლოზ კათალიკოზი, ქართუჭლი მეცნიერი, სწავლასა და სამღრთოთა წერილთა შინა გამოცდილი, ამან მოილოცა იერუსალიმი, და დაესწრა კრებასა შინა და სიბრძნითა თვისითა ამხილა მწუალებელთა, და შერე კუაღად მოწოდებითა მოვიდა საუდარსა ზედა თვისისა და მრავალნი სწავლანი შესძინა, და კეთილად განვლო ცხოვრებაჲ თვისი.

5.

იოანნე კათალიკოზისათვის.

შამა იოანნე შერე, აღზრდილი მონასტერსა შინა წის შიო მღვიმელისასა, საფილოსოფოსოთა და სამღრთოთა წერილთა შინა გამოცდილი, აგრეთუჭ მონაზონთა მის წესთა აღმასრულებელი, და მარტოებით ცხოვრებისა მოყვარე, იძულებით დადგინებულ იქმნა მწუემსთ-მთავრად კათალიკოზობისა ხარისხითა. ამან განამრავლნა სწავლანი და კეთილად მწესიდა სამწესოთა თვისთა, რამელთაც ქართველნი შერე ვასილად ხმობდენ, და ესრეთ სიწმინდით განვლო ცხოვრება თვისი.

6.

შერე არსენი კათალიკოზისათვის, რომელი იყო ბულამისძე¹).

ესე ნეტარი არსენი კათალიკოზი ბულამისძე ქართველი იყო, მონაზონებით სრული და ღთისმეტყველი, ფილოსოფოსი. ამან შეაწყო

¹, ენ ვა იყოს ბულამისისძე.

მეტაფრასნი შაირად მშვენიერსა ენასა ზედა, და სხვანიცა სწავლანი და პირი მღვთისა, ანუ მღთაების ხატის საგალობელი, მშვენიერ ენასა ზედა რიტორულეუბ დათხზული, რომელიც წარეფლინა გელაათი ვარდანის აბუსარის მთავარსა და მშვენიერ თხზულებითა ათნო მას, და სხვანიცა მრავალნი მიიფინა ამერ-იმერთა მიმართ.

7.

შეორე ნიკოლოზ კათოლიკოსისათვის.

ნიკოლოზ მამათ-მთავარი კათალიკოზი ქართველი. ესე იყო სწავლათა შინა გამოცდილი, გალობათა შინა სრული და მშვენიერი ქესტიხე, რომელმანც შეაწყო სხვა და სხვა გალობანი სტახებისა გჳართა ზედა და კეთილად დამწესო სამწესო თვისი და ესრეთ მშვიდობით განვლო ცხოვრებაჲ თვისი.

8.

ქესამე ნიკოლოზ კათოლიკოსისა, ლეონ მეფის ძმის ბაკრატონისათვის.

ესე ნიკოლოზ კათალიკოზი მეფის ლეონის ძმა ბაკრატონი. მანოზონობით სრული და წმინდა ღირსი კაცი, სწავლათა შინა გამოცდილი, და ღთას მეტყველებასა შინაცა მიწეგნილი, რომელიც ძნელთა სწავლათა და კითხვათა მისდაში ადვილად და ნათლად იყო განმარტებული, ამან კეთილად დამწესო ეკლესია თვისი და უგანასკნელ უფლისად მშვიდობით დაიძინა.

9.

ბესარიონის კათოლიკოსისათვის, მეფის ლეონის ძის ბაკრატონისა.

ღირსი მწეემსთ მთავარი, მეფის ლეონის ძე, კათალიკოზი ბესარიონ ბაკრატონი, მონოზონობით სრული და მოღვაწე ეკლესიეთა. სიბრძნის მოუვარებასა შინა სრული, და მქადაგებელი შზგა-

ვსად ჰაველე მოციქულისა. ამან შეთხზა ქართველთა წმინდათა ცხოვრება და ისტორია, ამან დასწერა ლათინთა სარწმუნოებისა ზირის დასაყოფელი წიგნი გურდემლად წოდებული და კეთილისა ცხოვრებითა დაიძინა უფლისად.

10.

მამა დომენტი კათალიკოზისათვის.

მამა დომენტი კათალიკოზი მეფის ნაიბის ლეონის ძე ბაგრატიანი და ძმა ვანთანგ მეფისა. ესე იყო მონოზონებით სრული, მეცნიერი და საღმრთოთა წერილთა შინა გამოცდილი, ამასთან მუჟდრო, მშვიდი და მდაბალი და ფრიად მლოცავი, ჰოლეთიკასა შინაცა კარგი, ესრეთ რამელ მტერნიცა მისნი უვარობდენ, და მრავალ გზის დაშვრა ესე ქართუჭლათავის უაენთან იუ ხონთქორთან გაგზავნით, და ესრეთ კეთილად დაასრულა ცხოვრება თვისი.

11.

მამა არსენი ეპისკოპოზისათვის.

ესე მამა არსენი ეპისკოპოზი ნინოწმიდის იყო ქართუჭლი, ფილოსოფოსი და ღთის მეტეჟელი, წმინდათა წერილთა კეთილად მთარგმნელი და ძნელთა და ღრმათა წერილთა ადვილად აღმხსნელი; მონოზონებით სრული და მობაძავი ანგელოზთა. ამან კეთილად დაშწერა ეკლესია თვისი და ესრეთ დაიძინა.

12.

იოანე ბოლნელისათვის.

ესე ღირსი მამა იოანე ბოლნელი იყო გამოცდილი საფილოსოფოსთა სწავლათა შინა და აღძრცვილი ღთის მეტეჟელი, და წერილთა მადლთა ზედა დამთხუზუელი. ამან მრავალნი სწავლანი გამოსცა და მრავალნიცა განახალია მოძღვრებითა თვისითა და კეთილისა მონოზონებითა განვლო ცხოვრება თვისი.

13.

ანტონი ჭეოინდლისათვის გარესჯელისა.

ესე ანტონი ჭეოინდელი მიტროპოლიტი ოდიშთა და ლეჩხუმთა, იყო თფილთსოფოს ღმრთის მუტუველი და სამღრთოთა წერილთა შინა გამოცდილი, მქადაგებელი მზგავსი ძველთა მეცნიერთა, ჰაქრობასა შინა გამოცდილი, რომელ ჟამსა მეუფობისა ბაკრატისა აქვნდა ბასილათინთა ჰატრთადმი, რომელმანცა დაუყო პირი, და კეთილად და-მწესო სამწესო თვისი და შესძინა მონასტერთა მრავალს, და შეეწია ბრძოლათა ზედა სპარსთასა მეფეთა ჩუჭნთა და ძლევა შეიმოსა მუნ და მერე დაუტევა მართებულთა საუდრისა თვისისა და მოღუწეებით განგლო ცხოვრება თვისი.

14.

იაკობ შემოქმედელის გურიელისათვის.

მამა იაკობ შემოქმედელი გურიელი. ესე იყო თფილთსოფოსი, და კეთილი მოძიარე, ღრმად მწერალი, და ძნელთა ადვილად ამხსნელი, და მწესოდა სამწესოსა თვისისა კეთილად, და მერე წარვიდა იერუსალიმად, და მუნიდამც წარმოსცნა წერილნი, და გარდაიცვალა მუნ, და დაეფლა ქართუჭლთა მონასტერსა შინა.

15.

აოსებ თბილელისა სააკასძისთვის.

იოსებ ტფილელი არხიერი სააკასძე. ესე იყო საფილთსოფოსთა და წერილთა შინა გამოცდილი, საუფარული მეფეთა და ერთაგან, ამან შეთხზა სხვა და სხვა პიტიკანი, ანუ შიარნი სასმუნელად საამონი, და ესრედ განგლო ცხოვრება თვისი კეთილად.

16.

მამა ნიკოლაოზ კპისკოპოზისათვის.

მამა ნიკოლაოზ ჩერქეზისშვილი, რუსთველ კპისკოპოზი, კაცი სწავლული საფილთსოფოსოთა ხელოვნებასა შინა და სამღრთოთა წე-

რილთა, მქადაგებელი უოკუქს გვარსა ზედა, და მალალ მოუბარი, მანა შეთხზა სხვა და სხვა აკალთთანი მშეენიერ ენასა ზედა, რომელსა აქუნდა წყრათა შინა კარგი სისტემა, და მერე უფლისად დაიძინა.

17.

ნიკოლაოზ ორბელიანის მროველ მიტროპოლი- ტისათვის.

მამა და მწუემით მთავარი ნიკოლაოზი ორბელიანი საფილოსო-
ფოსოთა ხელაფნებათა შინა მიწეენილი და სამღრთოთა წერილთა ში-
ნა გამოცდილი, ამან მრავალნი იამბიკონი შეაწყო ქართულთა წმი-
დათათვის და სხვანცა კიდურ წერილნი, თრიად მშეენიერნი, რომელ-
ნიცა აწცა თრიად საქებ არიან, და კეთილადცა დამწესო სამწესონი
თვისნი, და მერე უფლისად დაიძინა.

18.

წმინდა იოანე მანგლელისათვის.

წმინდა იოანე მანგლელი, სამღვდელოთა წერილთა შინა გამო-
ცდილი, და აღძრცვილი ღთის მეტუველი. ესე წმინდათა შინა არს
შეკაცხილ, რომელმანცა იღვაწა მზგავსად ქველთა დირსთა მამათა,
და გურნებასცა უოფდა და ესრეთ სიწმინდით შევედრა სული თვისი
ხელთა შინა ღთისათა, და აწ საფლავი მისი არს სიონის ეკკლესია-
სა შინა, წინაშე ღთისმშობლის ხატისა და ჭყოფს აწცა სასწაულთა.

19.

მამისა ილარიონი კახისათვის.

წმინდისა ამის ილარიონის კახისა ცხოვრება ზეითაც მოგახსენეთ,
გარნა ესე იყო ღთის მეტუველი ფილოსოფოსი და საქართველოსა
შინა ჰირველი მთარკმნელი ელიზურის ენისაგან ქართულათ, რომელ
ამისა ჯერეთ არვის ეთარკმნა საღრმითა წერილნი, და ამან მრავალი

შრომა მიიღო და მრავალნი კეთილნი თესლნი დაეყენა ქართველთა შორის და მერმე ჟამს მახუცებულებიასს სული თვისი შევედრა ხელთა ანგელოზთას თესლონიკეს.

20.

მამისა იოანესათვის.

ცხოვრება ღირსისა ამის მამისა იოანესი ზემორეცა მოგახსენეთ, და ღირსი მამა ესე იყო ზედ მიწვენილი საფილოსოფოსოთა სწავლათა შინა, გამოცდილი და დიდი ღთის-მეტყველი. მუსიკათა შინა მეცნიერი და მშვენიერი მუსიკოსი. ამან თარგმნა მრავალნი სამღთო წერილნი, და განამრავლა მეცნიერება ქართულთა შორის, და კეთილად თხზვიდა ჰიტიკათა, და მერე სიწმინდითა ათინას მათსა შინა სული თვისი შევედრა უფალსა.

21.

მამა თორნიკიოზისათვის.

ღირსი მამა თორნიკიოზ იყო ძირითა ქართველი და მსახურა ბერძენთა კეისარსა, და განითქვა სიმხნე ამისი საბერძენეთსა შინა, და უკანასკნელ იქმნა თავისუფალ მსახურებისგან, რომელმანცა მრავალნი ძლევენი შეიმოსნა თურქთა ზედა და მერე მივიდა მათსა ათონისას და იქმნა მონაზონ, და აღწერა სულიერნი წერილნი, და დიდითა ღვაწლითა და შრომითა განვლო ცხოვრება თვისი.

22.

ევთვიმე ათონელისათვის.

ღირსი მამა ევთვიმე ათონელი, ზემორეც მოგახსენეთ, აუ ვი-
თარ იქმნა მეცნიერ, და ესე იქმნა მღვდელ-მონაზონ, და მერე დაი-
დგინა ათანასი ათონელისგან მონასტრისა მათა წინამძღვრად. და
ესე ევთვიმი იყო ფრიად სიბრძნის მოყვარე, და დიდი ღთის-მე-

ტუქსელი, ელინურთა ენათა მეცნიერი, რომელმანც მრავალნი სამღრთო წერილნი გარდმოიღო ქართულსა ენათა ზედა, და განგვიმრავლნა წერილნი, და მერე უფლისად მიიტყვალა.

23.

მამისა იოანე ხახუღელისათვის.

ესე ღირსი მამა იოანე ხახუღელი იყო იმერეთით, დიდი ღთის-მეტუქსელ-ფილოსოფოსი, და მშვენიერ ფრასზედან მწერალი და მქადაგებელი, რომელმან განანათლნა აფხაზ-გურიელები, ოდიშ-ლეჩხუმნი და სვანნი, იმერნი, ქართველები და კახნი სიბრძნითა თვისისითა და მრავალნი კეთილნი სწავლანი გამოსცა, რომელსა ქართუქსელნი უწოდენ თათელის მოლად მშვენიერებნობისათვის (SIC) მისისა და ესრეთუქს მესხნიცა მონათლნა, და მერე სიწმინდით და მუუდროებით განვლო ცხოვრება თვისი.

24.

მამა ზაქარიასათვის.

მამა ზაქარია, ძე მირდატ ჩინებულისა, იყო ღთის-მეტუქსელ ფილოსოფოსი და დიდი რიტორი, ბერძენთა ენათა ზედ მიწვენილი და ქართულისაცა, რომელმანც სთარკმნა წერილი და თვითცა დათხზნა სხვა და სხვანი სწავლანი, რომელსა ქართუქსელნი სახელს დებდენ ქართველთა მზედ, მეცნიერებისა გამო თვისისა, და ესრეთ კეთილად განვლო წელიწადნი თვისნი.

25.

ღირსი მამა გრიგორისათვის.

ღირსი მამა გრიგორი, ახალ აბრამად წოდებული, იყო ქართუქსელი, სიბრძნისა მოუფარებასა შინა და ღთის-მეტუქსელეობასა გამოცდილი. ამან სიურმითგანვე თვისით მოიგო სიწმინდე, და იქმნა მონაზონი, და შეიკრიბნა მრავალნი მოწაფენი, რომელ მამა აბრამად სა-

ხელდევს, და განანათლნს ერნი სწავლითა თვისითა, და ესრეთ სიწმინდით განვლო ცხოვრება თვისი.

26.

გიორგი ათონელისათვის.

მამა ღირსი გიორგი ათონელი იყო ხელდვითა და საქმითა ხელფრებათა შინა სრული, დიდი ღთის-მეტეუჭლელი და დოღმატიკოსი, მშვენიერი რიტორი, საეკლესიოთა წერილთა კეთილად შემწეობი და მოქადაგე კეთილი, და ჰიიტიკოსი, მოღვაწებითა სრული, ობოლთა და ქვრივთა გამოძხრდელი, რომელმან ჟამსა სიუმილისასა მრავალნი სულნი გამოზარდნა და დაურდომილთა შეკწია და ესრეთ განვლო ცხოვრება თვისი.

27.

ძამასა ილარიონ თუალელისათვის.

მამა ილარიონ თუალელი, მოძღვარი გიორგი ათონელისა, სიბრძნის მოუვარებასა შინა სრული, სათნოებისა სარკე, სარკე და მმარხველთა კანონი, ამან მრავალნი მოწაფენი განსწავლნა, და გამოიღო ნაყოფი კეთილნი, და სიწმინდითა განვლო ცხოვრება თვისი.

27.

ძამასა არსენისა ივის.

ესე მამა ღირსი არსენი იყო ქართუჭლელი, ისწავა ბერძული ენა და იქმნა ფილოსოფოსი, და თარგმნა ღთის-მეტეუჭლესა და სხვანი წერილნი, რომელ თვით ბერძენთა მეცნიერნი დიდსა რიტორსა უწოდებდენ, და აქებდენ სიწმინდითა და მონაზონებითაცა, და ამან, რა-ღცა აქუნდა ქართუჭლთა ეკლესიებთა ნაკლუფევაება, შეამკო უოვლითურთ, და გამართნა და მერე უფლისად დაიძინა.

28.

ანტონი მნათისათვის.

მამა ანტონი მნათი ქართველი, ღთის-მეტეველ-ფილოსოფოსი და მთარგმნელი წერილთა, უბნობასა შინა მჭევრ მეთქვი, და მშვენიერი მთხზველი, და მქადაგებელი, რომელიცა იწოდებოდა დიდ მეტნიერად; ამან კეთილად განვლო ცხოვრება თვისი, და მრავალნი ნაუფონი სწავლისანი გამოიღო, და მერე უფლისადმი მიიცვალა.

29.

ვასილი ბაგრატიონისათვის.

ღირსი მამა ვასილი ბაგრატიონი იყო საფილოსოფოსოთა და ღთის-მეტეველებსა შინა ზედ მიწეხილი, მთარგმნელი სხვათა ენათგან ფრიად კეთილი და რიტორ მომთხრობელი, და მალე ირახსა ზედა დამთხზველი, მონოზონებითა სრული, და განმნათლებელი ეკლესიებთა, რომელსა უწოდეს ქართუჭლთა ეკლესიათა სამკაულად.

30.

მამისა გიორგისათვის.

მამა გიორგი ქართველი იყო ჰირველ დრამატიკოს-რიტორი და აზნაურთა ხელოვნებითა სრული, რომელმანც მრავალნი წერილნი განამრავლა ქართველთა და სრულისა მონოზონებითა დაასრულა ცხოვრება თვისი.

31.

ღირსი მამა გიორგისათვის.

ღირსი მამა გიორგი იყო ქართუჭლი, ამან სიერმითგან თვისით დაიცუა სიწმინდე თვისი, დაისწავა აზნაურებითი ხელოვნება და იქმნა ფილოსოფოს და სამღრთოთა წერილთა შინა გამოცდილ. უკანასკნელ იქმნა მონოზონ და წარვიდა და დაეუდა სვიმონ დიდისა მთისა საკვირ-

ველისა შორის, და სცხოვრებდა მუნ შეუდროებით, და მსოფლიურთა შესაწირავთა და ზატყვითა არა რამსა მიიღებდის, და იყო ღუმილით და სმდრთოთა მოქალაქობით ცხოვრება მისი, და ესრეთ მშვიდობით უფლისად მიიძინა, და ამის წერილებთაგან განათლდენ მრავალნი.

31.

მამასა იოანე ზატრიკ-ყოფლისათვის.

ესე იოანე ზატრიკი იყო ქართულთა დიდებულთაგანი, ამან ისწავა დროის-მეტყველ-ფილოსოფია, და ენა ელინთა და სხუთა და იყო კარგი მხედარი და საქმიანი სხუთა დიდებულთა შორის, უკანასკნელ დაუტევა დიდება თვისი და იქმნა მონოზონ, და მრავალნი წერილნი გარდმოიღო ქართულთა ენათა ზედა და შეამკო ეკკლესიანი და განაშუქნა, რომელსა სახელსდევს ქართველთა გვირგვინად ეკკლესიებთა, და მერე მარტობით მიეცა ცხოვრებასა, და ესრეთ კეთილად დაასრულნა წელნი თვისნი.

32.

მამა გიორგი ოლთისელისათვის.

გიორგი მამა ოლთისელი იქმნა მონოზონ და იღვაწა მრავალი და იყო თრიად მეცნიერ და კეთილისა მონოზონებისა განვლო ცხოვრება თვისი.

33.

მამა სტეფანესათვის.

დიდსი მამა სტეფანე იყო ქართულთა, სმდრთოთა წერილთა და საფილოსოფოსოთა შინა ზედ მიწვენილი, ამან მრავალნი წერილნი თარგმნა ქართულსა ენასა ზედა და განანათლნა ერნი და აღზარდა მოწაფენი კეთილად, რომელსა ქართულთა უწოდეს ნაიულ მათველად, და კეთილისა ცხოვრებისა განვლო დღენი თვისნი.

მამის ათანე ფილოსოფოსისა და ზეწოდებით ჰეტრი- წის ზიმჰამელისათვის.

ითანე ზიმჰამელი, ფილოსოფოსი და ზედ წოდებით ჰეტრიწი, ესე იყო გურიით ერთობასა შინა შეუთობისასა და შეუუთავან გაიგზავნა ააინას და მუნ მიიღო აზნაურობითი და გონები-
თი ხელფენება. ისწავა მათემათიკა, ასტრონომია და ასტროლოგია; და ოდეს დაასრულნა სწავლანი, მაშინ მიიყვანეს მოძღვართა მისთა, და უჩვენეს ციხისა კედელთა ზედა დაწერილნი ძმულთა ფილოსო-
ფოსთაგან საქმულნი ჰაზრები, რომელმანცა უკეთეს განმარტნა ავისთა მოძღვართა ზედა და უკეთეს ნათლად აღმოაჩინნა, და ამის მიზეზისათვის სახელ დეეს ჰეტრიწად (რომელ არს ქვის...) და მერე დასვეს სკამ-
სა ზედა, შეუსხდენ მხრითა მოძღვარნი ავისნი და ესრეთ გარემოფ-
ლეს ადგილი იგი; ესე ითანე იყო გონება მაღალი და დიდი ღთის-
მეტყუელი, ფილოსოფოსი, ზედ მიწვენილი ბერძულსა და ქართულსა ენასა ზედა, რომელმანცა თარგმნა სახარებისა თარგმანნი, ლუკასი და მარკოზისა თავნი, კლემენტისი, კავშირი ღთის-მეტყუებლებითი და სხუანი მრავალნი საღმრთო წერილნი. დიონისის არიოპიტეის ღთის-
მეტყუებლბა; მან შეაწყო ბერძენთა გვარზედ იამბიკო ქართულად, და იმე-
ცადინავა შემოკლებად ქართულისა ენისა მზგავსად ელიზურისა ენისა და მრავალნი კეთილნი სწავლანი დათესა ერთა შორის და მრავალნი წმინდათა ცხოვრება გარდმოიღო, და კეთილისა ცხოვრებისა განსულ-
წელნი ავისნი.

მამისა ეფრემისათვის.

ეფრემ იყო ძირით ქართულნი, ფილოსოფოსი, რიტორი მშვე-
ნიერი და დიალიკტიკოსი, დიდი სილოგისმოსი და აქსიომითა დამამ-
ტიცებელი ძნელთა ჰაზრებითა, წერილთა უცხოთა ენათაგან მთარგმნე-
ლი და ღთის-მეტყუებლბაში გამოცდილი, უცხო ჰიოტიკოსი. ამან
აღსწერა ცხოვრება წმინდისა ნინოსი და ქართულთა კერპთა-მისხუ-

რებისაგან მოქცევა. ამან აღზარდა სწავლას შინა ქართულისა ენისას იოანე ფილასოფოსი და ასწავა ბერძული, რომელიცა წარიგზავნა მუფუთაგან ათინას კვლად სწავლისათვის იოანე. ამა ეფრემმან უქადაგა აფხაზთა და მოქცევისა მათისა აღსწერა ისტორია, და ამან ასწავა თავისუფლებისათვის არხიებისკაპოზთა, რომელ ქართუწლნი არა უტოკვიბდენ თავისუფლად არხიებისკაპოზთა. ამან გარდმოიღო ქადაგება დიდის თეოდორიტისი. ამან ქმნა წერილი ავთოკეფალოს წოდებული, რომელ არს თავისუფლებას ებისკაპოსთა, რომელ ესე გუარნი ზატრიარხისს სამართლისა შინა არა მივიღოდნენ, არამედ თვისი აქუნდათ სასამართლო, და სიარგუმს ფილასოფთა და სხუნიცა წერილნი. ამან გარდმოიღო ეთიმონი, რომელ არს დიდმარხვის სამწუხრო მსახურება ეკლესიისა; და აგრეთუწ განსწავლნა მრავალნი მოწაფენი და ესრეთ სიწმინდით და მოღვაწეებით განულო მონოზონება თვისი.

36.

მამა თეოდორესათვის.

ესე მამა თეოდორე იყო ქართუწლი და თანამედროე ძველთა მამისა ქართუწლთა არსენისა, ეფრემისა და იოანე ფილასოფოსისა, სიბრძნისა მოკვარებასა შინა სრული და ღთის მეტეუწლნი, სამღრთოთა წერილთა შინა გამოცდილი, და მთარგმნელი ბერძულისაგან ქართულსა ზედა, რომელ ესეცა დაშრურა ზემოხსენებულთა მთარგმელთა თანა.

37.

ღარსისა მამისა არსენი იუდათოელისათვის კახისა.

მამა არსენი იუდათოელი იყო ღთის-მეტეუელი, ფილასოფოსი და ფიზიკოსი და ანატომიკოსი, აღილორიულთა შეთხუზჭათა შინა ქებული, სამღრთოთა საგალობელთა კეთილად დამთხუზჭლნი, უცხო და მაღალი მესტიხე და სუკლესილთა ტიბიკონთა მეცნიერი. ამან შეთხუზა ერთბუნებანთა წვალებისა ჰირის დასუოთელი წერილი, რომელ ვერა რაისმე ღონითა ძალუდგეს სომეხთა ჰასუხის გუბად.

ამან ქმნა დასდებულნი რომელნიმე ქართულებთ წმინდათანი და მრავალნი მოიუყანნა სწავლასა შინა და უკანასკნელ წარვიდა მღვიმეს მონასტერსა შინა წმინდისა შიოსისა და მუნ სიწმინდით დაასრულა ცხოვრება თვისი.

38.

მამისა ქრისტედული ოსად წოდებულისათვის.

მამა ქრისტედული მონაზონი ესე იყო კეთილშობილთა ძირთაგან აღმოსრული ქართველი და არაბულთა და სპარსულთა წერილთა შინა გამოცდილი, რომელმანც ზედ მიწევნით უწყოდა ენაჲ მათი და ესწავა ურანნიცა, ესე იყო ფილოსოფოსი და სამღრთთა წერილთა შინა გამოცდილი. დროსა ამისა, ოდეს მოვიდა მხედრობითა იამამან სპარსთა კელმწიფე, უომრად შეურიგდენ ქართველნი და შემოვიდა ტფილისსა შინა, ქართველთა მოქცეა კეთილად და მრავალთა მიანიჭა საბოძვარნი. ოდეს ამა ხელმწიფისა წინაშე შეკრულიყუნეს ქართულებნი, იხილა იამამან მათ შორის ბერი ესე დაბეჭულითა მოსილი და მიუწოდა თვისთანა, და ბრძანა ახლისა ტანისამოსისა ბოძება, რომელსა სპარსნი ხალათსა უწოდებენ, და რა მოიღეს ბერის მისდამი, არა მიიღო ბერმან მან. ჰგონებდა იამამან, რომელ ვინაითგან მონაზონი არს, უკეთუ ძალთასა შთავაცვათ ხალათი ესე, იმკაცვრის ბერი ესე ქართველიაგან. და მამინ უბრძანა მსახურთა მათ, რათა გახადონ ბერსა მას სპერო სამოსელი და შთაცონ ხალათი იგი. ოდეს მსახურთა ხელჰყვეს განძარცვად მისა, მამინ ბერმან დადგო სპარსულთა და სიტყვა: „კელმწიფეო, ურანსა შინა სწერია, ხოლო არა არს იძულება სჯულსა შინა“. იამამან [ბრძანა] დატოვებად ბერისა და მიუწოდა თვისთანა და გულსმოდგინედ დაუწო კითხვად სჯულისთვის, და ამა კითხვათა შინა აქუნდათ სხუა და სხუა უბნობა, ვითარცა ერთსა ღმერთსა, ეგრეთუწ განკებულებასაცა და წერათათვის კაცთა, რომელსა აჯალს უწოდებენ თათარნი. ხოლო ბერმან ამან უკელივე დაარღვია, და ურანთაგან თვისთა დაუყო ზირი, ვითარცა უგრცელესად ჰსწერია ამა ბერისა საკუთარსა წიგნსა შინა. და მერე მოუწოდა იამამან თვისსა მოლასა, თვისთა ენასა ზედა მეცნიერსა, და

აქუნდათ ბასი ურთიერთას, და მასცა სძლივა ბერმან, რომელმანცა მოახსენა იამამანს, რომელ ბერისა ამის ეშმაკი მამალი არისო, და ამის გამტყუებება შეუძლებელი არსო, რომელ ბერმან უგო ჰასუხად: „მამა შენი ეშმაკი დედალი იქმნებისო“. ამასედ მრავალი იცინა იამამან და განგრძობდა უბნობა ვიდრე სადილობამდის მათისა; და შემდგომ უბრძანა იამამან ხელმწიფეებ ბერსა: „მცირედ მაკლის, რომელ ქრისტიანე არა მყოფა“, და სთხოვა რადენისამე ოქროსა მიღება, და უბრძანა: „აწ ჰურის ხმევისა დრო არს და დაშეთს კვლად უბნობა სხუა დროისათსათვის“. და ბერი წარმოვიდა მადლობელი ღვთისა, და ამან სიწმინდით განვლო ცხოვრება თვისი, და შერე მშვიდობით დაიძინა.

39.

მამისა იოანე ტაიჭისძისათვის.

იოანე ტაიჭის ძე იყო ქართველთა აზნაურთაგანი. ამან სიყრმესავე შინა ისწავა ფილოსოფია და ღთის-მეტყუებლობა, და ენა ბერძენთა, რომელმანც მრავალნი სამღროთ წერილნი გარდმოიღო ქართულსა ენასა ზედა, იყო ფრიად რიტორი და კვლევისათა შემამკობელი, უცხო ზიიტკოსი და მოშაირე, რომელმანც მრავალნი ქართულნი განასწავლნა სიბრძნის მოყვარებასა შინა, და ესრეთ კეთილად განვლო წელინი თვისნი.

40.

მამისა საბა გარდანის სვინგელისათვის.

მამა საბა სვინგელისი იყო კაცი მეცნიერი უოველსა სწავლასა შინა; ამან ქმნა საგლობელი ანტონის მარტომყოფელისა მოღუბულისა ხელითა უქმნელისა ღთაების ხატისა, მშვენიერ და მადალსა ფრახასა ზედა შეთხუზული; იყო უცხო მწერალი და სტიხთა გამომთქმელი. ამან მრავალნი სწავლანი განთინა ქართლსა, კახეთსა, მესხეთსა, იმერთა, ოდიშთა და აფხაზეთსა შინა და გურიასა, რომელსა სხელსდგეს ქართულთა ქართველთ დიდებად, და ესრეთ კეთილისა მოძღვრებითა განვლო ცხოვრება თვისი.

41.

მამის იეზუკელისთვის.

მამა იეზუკელი¹⁾ იყო ქართველი, დიდი ღთის-მეტეველ-ფილსოფოსი, და რიტორი კეთილი, წერილთა მალალ ფრასზედ დამხზუჭლი და სტიხთა და შაირთა და იამბიკოთა მშეენიერ გამომთქმელი, რომელსა მოძღურებით შეუსწორებდენ იოანე ფილსოფოსსა სწავლასა და სხუათა ხელფინებათა შინა; ამან მრავალნი მოწაუენი განსწავლან და კეთილის ცხოვრებითა გარდავლნო წელნი თვისნი.

42.

მამისა ზეტრესთვის.

მამა ზეტრე იყო ქართველი, ფილსოფიასა შინა ზედ მიწეგნილი და აღძრცვილი ღთის-მეტეველებსა შინა, ამან მრავალნი ზიოტიკონი შეთხზნა სამღრთონი რიტორულისა მშეენიერ უბნობითა, ამას შემზგავსებდენ ჰსწავლითა არსენის, ეფრემის და სხუათა ფილსოფოსთა, ხოლო ქართველნი უწოდებდენ ზეტრეს საკვირველად; ამან განვლო ცხოვრება თვისი კეთილად და ესრეთ დასრულა წელიწადნი თვისნი.

43.

მამისა იოანე შავთელასთვის.

მამა იოანე იყო აღვილით შავთელი, საქართველომს ჭტი, კეთილშობილი და მწერალი თამარ მეფისა. ესე იყო ფილსოფოს-ღთის-მეტეუჭლი, ამან შეთხზნა შაირნი წერილნი, დილარიახად წოდებული ისტორია, და თამარ მეფემსა შესხმანიცა იამბიკოდ, რომელსა შოთა მესტიხე, დიდი ქართველთა შორის, უმჯობესად რაცხდა თვის ზედა ამა შავთელის მიერ ნათქუამთა შაირთა და აქებს თვისსა ქმნილსა ისტორიასა შინა, ვეთხვის-ტეაოსხად წოდებულსა, გარნა ქა-

¹⁾ აქ ღედანში იოზეველი სწერია.

რთველთა დაუკარგავთ ამა შავთელის მიერ თქმულნი წერილნი, და არდასადა სჩინან. ხოლო უკანასკნელ ეს იოანე შავთელი იქმნა მონოზონ, და კეთილის დავაწლითა დაასრულა ცხოვრება თვისი.

44.

მამისა გასილი ათონელისა, ბიძისა ეჭვთივე
კათოლიკოზისათვის.

მამა ბასილი ათონელი იყო ქართულთა თავადთაგანი, ამან სიურმითგანვე თვისით შეიყვარა დიერითი და დაუტევა სოფელი და იქმნა მონოზონ, წარვიდა მთასა ათონისას მონასტერსა შინა ქართველთასა, და მიიღო მუნ სწავლა საძეცნიერთა სამოძღროთთა წერილთა, ისწავა ბერძული და იყო ფრიად მეცნიერი და მოყვარე წერილთა, ხოლო უკანასკნელ ცხოვრებად განმორებით დიდსა დეჲწლსა, და მეფეთაგან აქუნდა და ერთაგან დიდი ზატივი, და უკეთუ იხილოს რაჲმე ნაკულულოვანება შეფეთა შორის, იყო მამხილებელ და განმმართველ უწესობათა მათთა, და ამხანცა სთარკმნა რადენიმე წერილი და ესრეთ დაასრულა ცხოვრება თვისი.

45.

მამისა ზიმენ საღოსისათვის.

მამა ზიმენ საღოსი იყო კახი, კეთილშობილთაგანი, ესე წარვიდა მონასტერსა დავით-გარესჯისას, მიიღო სიბრძნე ხედვითი და დღთის-მეტეულეებითი და იქმნა ქრისტესთვის საღოს. ესე იყო ფრიად მამხილებელ უსამართლოებასა და უწესობასა ზედა მეფეთა და მთავართასა, არა თუ სიტყვით, არამედ წერილებითაცა, ამან იღუწა რადენიმე წელი უდაბნოსა მას შინა და მერე წარვიდა ლეკთა შორის და უქადაგა ქრისტე და მრავალნი მათგანი მოიუწინა ქრისტეს სარწმუნოებად, აგრეთვე ფშავთა და თუშთა უქადაგა, და მრავალნი მოაქცივნა ივინიცა, და მერე მივიდა ბელაქანს და მოაქცივნა ივინიცა და მერე მთასა მასვე ბელაქანისას შევიდა ქუაბსა შინა განმორგებულსა და მარტოებით იღუწა ფრიად, და ესრეთ გარდავლო წელი თვისნი.

46.

მამის ანტონისათვის.

მამა ანტონი ნახრებულისძე მესხეთელი, იყო ესე ფრიად სიწმინდის მოყვარე, კაცი დიდი, ბრძენი და ღმთის-მეტყუელისა შინა გამოცდილი, ზიშენისამებრ მეფეთა მამხილებელი, რომელსა აქუნდა დიდი ჰატივისცემა მეფეთა და მთავართაგან და ერჩდენ მოძღვრებასა ამისას. ამან მრავალნი სწავლანი მიიწინა მესხთა და განანათლნა ერნი მუნებურნი და ქართველთანი და იყო დიდი მოღვაწე და მმარხველობითა სრული; ამას სახელსდევს ქართველთა მზედ, და ესრეთ კეთილისა ცხოვრებითა სული თვისი შეგედრა ხელთა შინა ღმთისათა.

47.

მამის ნიკოლოზ ქართველთ მნათობელისათვის.

მამა ესე ნიკოლოზ ქართველი იყო საფილაროფოსოთა ღმთის-მეტყუელისა შინა გამოცდილი, მონაზონებით სრული და დიდი კრძალული და მოღვაწე. ამან შეთხზნა მრავალნი აკოლოთიანი და ხშირისა წვიმისა საკედრებელი ღმთისადმი აკოლოთია, რომლისა ღოცვითა დასაყენებელი დაუცხრომელი წვიმა დამუდროვდებოდა და სხუნიცა სწავლანი განამრავლნა, და ესრეთ სიწმინდითა და კეთილდობით განვლო წელნი თვისნი.

48.

მამის დიმიტრი მეოთხისა, მეფისა საქართველომასა, ბაგრატიონისათვის.

მეფე დიმიტრი მეოთხე დავითიან-ბაგრატიონი, ამან ისწავა სიერმესავე შინა საფილაროფოსოსა სწავლანი და ღმთის-მეტყუელისა და სხუანი ხელფინებანი. ესე იყო მშვენიერი რიტორი, ზიტიკოსი და შემთხუზელი უცხოდ შაირთა, რომელმანც მრავალნი სწავლანი გამოთქვა, ხოლო უკანასკნელ დაუტევა მეფობა თვისი და იქმნა მო-

ნოზონ, და წარვიდა მონასტერსა გარესჯისასა და იყო მარხუასა და ღუაწლას შინა, რომელ მუნებურნი მცხოვრებნი მოიყვანნა განკვირ-
ვებასა შინა, რომელსა უწოდდენ ქართულთა და მონოზონთა დი-
დებად, და ამან ესრეთ სიწმინდით განვლო წელნი თვისნი და მშვი-
დობით უფლისად მცხოვანებისა ჟამსა განისვენა.

49.

მამასა ჩოლაყაძესა ძისა, ნიკოლაოზ ანხიმანდრი-
ტიისათვის.

მამა ჩოლაყაძისე კახი, ანხიმანდრიტი ნიკოლაოზ, ესე იყო
საფილოზოფოსოთა სწავლათა შინა გამოცდილ და ღთის-მეტეუწლუ-
ბისა სწავლისა ზედ მიწვენილი, მშუტნიერი რიტორი და კარგი
ღრმატიკოსი. ესე წარვიდა წმინდის იერუსალიმად და მოიღოცა
წმინდა ადგილი, და მუნვე ჭუჭარის მონასტერსა შინა განთინა სწავ-
ლანი ქართველთა ბერებთადმი; ამან მოვლო ეურატის გარემონი და
აფრიკა; ამან აღწერა მშვენიერად მიმოხილვად თვისი, და მერე უქა-
დაგა მეგრელთა, იმერთა, ქართველთა და კახთა, განთინა სწავლანი
თვისნი და მერე კეთილისა სათნობითა გარდავლო წელნი თვისნი.

50.

მამასა ზეტრე ჩხატარაძესა ძისა გურიელისათვის.

მამა ზეტრე გურიელი ჩხატარაძისე იქმნა სიერმითგანვე მო-
ნოზონ, მან ისწავა ხედვითი ხელოვნება და იქმნა მეცნიერ, და წე-
რილთა შინა გამოცდილ. ამან შეაწყო ისტორია ალექსანდრე მაკედო-
ნელისა მშვენიერ ენასა ზედა, ამანვე აღსწერნა მრავალნი კარგნი
სტიხნი და შირნი, ეგრეთუწ განსწავლნა მრავალნი მოწაფენი, და
კეთილისა მონოზონობისა წესითა განვლო ცხოვრება თვისი.

51.

მამისა გრიგორი ხუცეს-მონოზონისა დოდორქელისა, გახ-
გახის ძისათვის, რომელი იყო ბაზიერთ უხუცესისა მე.

მამა გრიგორი ვახვანის ძე ბაზიერთ უხუცესისა და მონოზონ-
ნი დოდორქელისა მონასტრისა, ესე იყო სწავლათა შინა გამოცდილი
მონოზონებითა სრული და სიბრძნის მოყვარე, ამან შეთხზნა რე-
მელთაძე ქართველთა წმინდებთა აკოლოთიანი მშვენიერ ენასა ზედა,
და ამანვე აღწერა წმინდისა ქეთევან დედოფლისა ცხოვრება და წა-
შება მისი უღთოსა შააბაზისგან, და ამან იღვაწა დოდოს მონასტერ-
სა შინა მარხვითა და ღოცვითა და ესრეთ განვლო ცხოვრება თვისი.

52.

მამისა კოსმა მწიგნობრისათვის.

მამა კოსმა მწიგნობარი-უხუცესი კახთა მეფისა და ხუცეს-მო-
ნოზონი მრავალმთემისა. ესე იყო ძირთაგან კეთილშობილი, მე-
ფისა უპირველესი მწერალი, ამან დაუტევა ადგილი და სხელი თვისი
და იქმნა მღვდელ-მონოზონ მრავალ-მთემისა მონასტრისა და იღუწა
კეთილად; ამან გამოთქვა შესხმა ქეთევან დედოფლისა; ესე იყო სა-
ეკლესიოსა წერილთა შინა წარკითხვასა თვით უპირველესი და მე-
ფისაღმუნე ქებული; და ესე იღუწიდა მრავალმთემთათვის მცხოვრე-
ბთა, რომელიცა წარმოსრული მუნით, საქმეთა ზედა მათთა, გზასა
მოიკლა უღმრთოთა ბარბაროსთაგან და ესრეთ დაიძინა.

53.

მამა იოსებ ფიტარელიათვის.

მამა იოსებ ფიტარელი (sic) იყო სამღრთოთა წერილთა შინა გამო-
ცდილი, რომელ სხუანი მწიგნობართაგანნი ძვილ ესწორებოდნენ, იყო
უცხო მქადაგებელი და მესათნოე მსმენელთა, მწერლობასა შინა პი-
რველი და მუსიკობითა ქებული, აგრეთჲ მონოზონებითა წესიერ
მქცეველი, და კრძალულებისა მოყვარე, რომელმანცა კეთილისა შრო-
მითა დასრულა ცხოვრება თვისი.

54.

მამა გერმანე ხუცისათვის.

მამა გერმანე ძირითადად საქართველოსით, მღვდელობას შინა ჩინებულის კეთილისა უოფა ქტევითა, მეცნიერებით სრული და მოქადაგე მალაღი. მეუფეთა და მთავართაგან ზატევიტეული; ამან განსწავლნა რადენიმე მოწაფენი; ესე იყო ჩინებული მგალობელი ქართულთა ხმათა ზედა და ახალთა ხმებთა და კილოთა დამთხუზველი, ამან განვლო სიურმითგან ვიდრე სიბერედმდე კეთილად ცხოვრება თვისი და ესრეთ უფლისად განისვენა.

55.

მამისა იაკობ სამებელისათვის

ესე იაკობ სამებელი იყო კახეთით, ეპისკოპოსი სამების ეკლესიისა, ხაშმის თავს მეფეთისა; ესე იყო მეცნიერი, რიტორი; ამან მრავალნი სამღრთონი წერილნი შეთხზნა საამო სტიხებად სასმენელნი, და სხვებტა კეთილად იღვაწა და ესრეთ განვლო წელნი თვისნი.

56.

მამა ევლოგისათვის.

მამა ევლოგი ხუცესი იყო ქართველი დროსა მეფობისა თამარისასა, ესე იყო ქრისტესთვის სულელ ქმნილი და სიწმინდისა ხარისხსა შინა მიწეზნილი, ამა ევლოგიმ მწირველმან იხილა მხედრობა ქართველთა და ნორადინ (მც) სულთანისა, ოდეს ურთიერთს შეებნენ, და ევკს ბრძოლაჲ დიდი, რომელ ქართველთა სძლეს და მადლობა შესწირა ღმრთისა ძლევის შემოსისათვის, ხოლო ესე ჩვენება დაწერეს ქართველთა და შენიშნეს რიცხვი დღისა მის, რომელ შემდგომად რადენისაჲ დღისა მოვიდა მახარებელი გამარჯვებასა ქართველთაგან მას დღეს, რომელსა დღეს იხილა მამამან ევლოგი. ხოლო უგრტელეს იხილეთ ქართლის ისტორიას შინა.

57.

მამა საბასათვის.

მამა საბა ქართველი ესე იყო სწავლათა შინა გამოცდილი და იერსულისა ენისა ზედ მიწევნით მეცნიერი, ესე დროსა კირილე ალექსანდრიელისსა სცხოვრებდა ალექსანდრიას შინა, ამან იღვაწა იოანე თელოსოფოსთან თარგმანებასა ზედა დიონოსი არიოპაგელის ღთის-მეტეუჭლესის წიგნსა ზედა, და კეთილად განვლო მონაზონებაჲ თვისი და ესრეთ აღსრულდა.

58.

მამისა ანტონი ქართველისათვის.

მამა ანტონი და ზემოხსენებული საბა ერთად იმყოფებოდნენ ჟამსა მას კირილე ალექსანდრიელისსა, რომელიცა სწავლობდა ბერთა ამათ და ჰატივს უყოფდა კეთილად ქცევისათვის მათისა, და ესე ანტონიცა შეეწია იოანე თელოსოფოსსა და განამხნო თარგმანებასა ზედა დიონოსის წიგნისსა და სხუათა წერილთ ზედაცა, და ამან სხვებრცა იღვაწა საქართველოს ეკლესიებთათვის და მერე უფლისად დაიძინა.

59.

მამისა მიქაელისა და სხვებისათვის.

ღირსი მამა მიქაელ ჭჭას ძე კახელი, ღირსი მამა იოანე რუსის ძე ქართველი, ღირსი მამა დანიელ აბაშვილი ქართველი, ღირსი ნუნუს ეპისკოპოსი კინდ ქართველი; ღირსი მამა ნიკიფორე ომან ჩოლაყაშვილი კახელი, წინამძღვარი მეტეხის ეკლესიისა, მოძღვართა მოძღვარი, ოდიშის ხოფის კოცხერელთა გამგე და უკანასკნელ ჟვარის მამად დადგინებული, იერუსალიმის და გოლგოთის არხიმანდრიტი; აგრეთვე მასვე დროსა იყო თეოდორე მანგლელი რევისშვილი, და ნეოფიტე ქართველი მმართველი მონასტრებთა ქართველთასა იერუსალიმს შინა, რომელთა კეთილად იღვაწეს და დაშვრენ სამღრთოთა წერილთა ზედა თარგმანებად და კეთილისა ღვაწლითა გარდაუღნეს წელნი თვისნი.

60.

შოთა რუსთაგელისათვის.

შოთა რუსთაველი მწერალთა უხუცესი დროსა თამარ მეფისასა, იყო ფილოსოფოს-დ'თის-მეტეუჭ'ლი, სამღრთოთა და საეროთა წერილთა შინა გამოცდილი, ენათა სპარსელისა და სომხურისა მცოდნე. უცხო ვარსკვლავთ-მრიცხველი და ბუნების ისტორიათა მეცნიერი, პირველი მწერალი და დამთხზველი მაღალსა ენასა ზედა წერილთა; მეშიარეობასა და პიიტეკასა შინა უოველთა ზედა პირველი და უაღმატებულესი. ამან ქმნა წიგნი ვეფხვის-ტეოსნად წოდებული შაირად, რომელ ჯერეთ არავის ქართველთაგანსა უმჯობეს მისა უთქვამსთ ვისმე შაირნი, და ესრეთ სიბრძნის მთავარებასა შინა გარდავლნო წელნი თვისნი.

61.

სარგის თმოგველისათვის.

ესეცა იყო მწერალი თამარ მეფისა, მზგავსი მეცნიერებითი შოთასი, და პირველი რიტორი, მშვენიერი პიიტეოსი, რომელიცა ქებულარს თვით შოთასგანცა მოშიარეთა შორის. ამან ქმნა წიგნი ისტორია, ვისრამიანად წოდებული, და ამანვე აქო დილარკეთ, მეცნიერებითა და პიიტეოსობითა სხუათა ზედა უმეტეს, და ამანაც ესრეთ გარდავლნო წელნი თვისნი.

62.

დილარკეთისათვის.

დილარკეთ იყო კაცი მეცნიერი, ქართულსა ზედა მწერლობითა გამოცდილი, რომელსა სხუათა ზედა ამისგან თქმულთა შაირთა უმჯობეს სდებენ. ამან ქმნა ისტორია დილარიანი, საამო სასმენელი უოველთაგან, და ამანცა დაასრულა ცხოვრება თვისი.

63.

ჩახრუხისძისათვის.

ჩახრუხ ჩახრუხის ძე, კაცი მეცნიერი და ცერემონიუმისტური თამარ მეფისა, მეცნიერებით სრული და რიტორ-მჭევრ-მოუხარი, ამან სხუა გვარად დათხზნა შაირნი, სსმენად საამინი, და ესე იყო, შესხმათ თამარ მეფისათა მომხსენებელი და სხუათა ესე ვითართა წიგნებთა გამკეთებელი, რომელსა უწოდდენ ქართველნი მესტიხეთი გვირგვინად, და ამანაც ესრეთ გარდავლნო წელნი თვისნი.

64.

ძვანკორელის ხემშიას ძისა იასესათვის.

ძვანკორელი ხემშიას ძე იასე, ესე იყო ფრიად მეცნიერ და რიტორი, ამან შეთხზნა შაირნი სხუა გვარად, უფრო უგრძელეს ტრიქონებიითა (sic), ფრიად ტკბილნი და სამო სასმენელნი, რომელსა აწ უწოდებენ ლექსისა მისისა გუართა, ვინმცა შეთხზვის, ძვანკორულად თქმულსა, კარსა ესე ძველადვე იყო უწინარეს შოთასა.

65.

მეფისა თეიმურაზისა პირველისა ბაგრატიონისათვის.

მეფე თეიმურაზ პირველი იყო საღმრთოთა და სამეცნიეროთა სწავლათა შინა გამოცდილი, რომელმანცა უცხოდ შეაწყო სამღრთო და საერო სწავლისა შაირნი და ანბანთ-ქებანი. ესე იყო ფრიად მხნე და შემართებული მტერთა ზედა, რომელმან მრავალნი ძლევენი შეიმოსნა სპარსთა და თურქთა ზედა და თვითცა ეოველთა ბრძოლათა შინა უშირველეს შემოხრად გამოჩნდის, რომელმანცა ჟამსა მირაბდის (sic) ომისასა სპარსთადმი ეოველი საომარი იარაღი ამოქმედა, მშვილდისარი, შუბი, ლახტი, ხმალი, ხანჯალი, და ხანჯალისა დანა, რომელ ეოველთა ამა იარაღთაგან გარდმოჟარსა თვისნი მეომარნი; და იტყვიან აბჟანდითაც მოკლა თათარიო მას ომისა შინა; უკანასკნელ მრავალნი

ვალნი დევნანი და ჭირნი გამოიარა ქრთველითაივის სტამბოლს სულ-
თანთან მისვლითა, რუსეთს და სპარსეთს შინა მიმოსვლით და თა-
ვისათვის ქრთველთა, ხოლო უკანასკნელ იქმნა მონაზონ და სი-
წმინდითა გარდავლნო წელნი თვისნი, და ესრეთ უთელასდ დაიძინა.

66.

არჩილ მეფისა მეორისა ბაგრატიანისათვის.

მეფე არჩილ მეორე ბაგრატიანი, ესე იყო კეთილად სწავლუ-
ლი და თვითმსოფოსი, ამან კეთილად იმეფა საქართველოსა ზედა
და იმერეთსაც, ამან თარგმნა ბერძენთა მეფეთა ისტორია, ხრონო-
ლოგიად წოდებული, და ბიბლია, რომელსა ჩვენ დაბადებად უწო-
დებთ, შემოკრიბნა და სრულყო სადაც დაბნეულ და დახეულ იუენენ
ესე წერილნი, განათელა და შეამოწმა სხუთა ენათა ზედა; ბიბლიის
დასრულებაში მომეყვანმან მოსკოვს გააკეთებინა სტამბა საფრანგეთ-
შია ქართულად და მოატანინა საფასითა თავისითა, და მერე შემდგო-
მად მისა ბაქარ მეფემან დაბეჭდვინა, ვინაჟთგან არჩილსა არდა
დასცალდა სიცოცხლე. დაბეჭდა ათასსა ზედა უმეტეს და წარმოსცა
ქრთველთადმი; სხუბრ არჩილ მეფე იყო უცხო მესტიხე და მრ-
ვალნიცა სტიხნი შეაწყო, ესე იყო უცხო მხედარი და ჩოგან-ისართა
შინა მხმარებლად ქებული, ღვინთა და ჭირთა შინა კეთილ გამგებე-
ლი. ამან აღსწერა კვლად ზნეობითი სწავლა ქრთველთა ქვეულე-
ბისათვის, და ესრეთ გარდავლნო წელნი თვისნი ქალაქსა მოსკოვს,
რომელიცა იყო ესრეთ მოსრული საქრთველთა შესწავლელად მტერ-
თა ზედა; ამან მიიღო მეფეთა რუსთაგან ნატივი და ოცდა-ოთხი ათა-
სი სული ემა რუსეთსა შინა, რომელიცა აწ აქვსთ მეფე ბაქარის
შვილებთა ბაგრატიანთა.

67.

მეთოსა ვახტანგ მესამასა¹⁾ ბაგრატიანისათვის.

მეფე ვახტანგ იყო წერილთა შინა გამოცდილი და მესტიხისი
კეთილი, ამან გამოთქვა ანბანთ-ქებაზედა წერილი, დაუღო სჯული

¹⁾ უნდა იყოს მეექვსისა.

სამართლის ქართველთა, რომელსა ვახტანგ მეფის სამართლის წიგნსა უწოდებენ. ამან ჟამსა სპარსეთსა მეოფობისა თვისსა სთარგმნა ქილილა-დამანნა წოდებული წიგნი ზნეთ სწავლულებისა. ამან მოიუგანა ვლახეთით სტანბის მცოდნე, და დააბეჭდინა სამღრთო-საერო წიგნები და იმეფა კეთილად, და მერე ოსმალთაგან ტოფული გარდმოვიდა რუსეთსა შინა, და გარდაიცვალა ქალაქსა შინა ასტრახანს.

68.

ძეფისა თეიმურაზ მეორისა ბაგრატიონისათვის.

მეფე თეიმურაზ მეორე კეთილმისხური მეფე იყო, წერილთა შინა გამოცდილ, ამან შეაწყო ქართველთა საეოფაქტო წიგნი, თუ ვითარ მეფენი ანუ მთავარნი იქცეოდენ ჟამსა ომობისა, ანუ განსვენებისას; აგრევე დროსა ნადირობისასა და ასპარეზობისას; აგრეთჲ ქორწინებისა და ჟამსა ჭირის-უფლებისასა და სხჲანი ესე ვითარნი. ამან მსახურა ნადირშას, ეგენსა სპარსთასა, რომლისა შეწევნითა განახსნა საქართველოდამ ოსმალნი, ნადირ უწოდდა თეიმურაზს დიდერთგულსა თვისსა და სახელ სლო დოვლათ შარიქად, რომელ არს დიდებულების ამხანაგი, ამას უბოძა არაგვის საერისტო უმად, ოსმალთა ძლევისათვის, ოდეს სძლო არაგვისა პირსა ზედა ოსმალთა, რომელთაც მიაჭუნდათ ხაზინა დაღისტანში, აგრეთჲ მინიჭა მეფობა საქართველოსი. ხოლო კახეთი[ს] მეფედ სახელსლო ირაკლის ძესავე ამა მეფისას. ამან სძლო ავარის მთავარსა, მჭადის ჯვარს მდგომარესა, და სხჲანიცა ძლევანი შეიმოსნა, და კეთილის ცხოვრებითა გარდაიცვალა ჰეტერბურდს მისრული ელისაბედ კელმწიფასთან, მწუხარებითა გარდაცვალებასა ზედა იმპერატრიცას ელისაბედისას; ხოლო გჭამი ამისი წარმოსვენეს ქართველთა მცხეთას დასაფლავლად; გარნა ასტრახანსა იქით ვერდა უძლეს წაღება, და მუნ ასაფლავი დიდსა სობოროსა შინა.

69.

სულხან-საბა ორბელიანისათვის.

საბა ორბელიანი ერის კაცობასა შინა სულხანად წოდებული, ესე იყო ქართულსა შინა ფილოსოფიასა შინა გამოცდილი და სამ-

დრთოთა წერილთა შინა. ესე უცხო ზიტიკოსი და ქებული, ძველთა მოშაირეთა შესადარი, ესე დაშურა ფრიად და შეკრიბა განბნეული და დაკარგული ლექსიკონი და იღუაწა ამაზედ ოცდაათ წელი. ამან ქმნა წიგნი ზნეთ სწავლულების სიბრძნე-სიცრუედ წოდებული; ესე წარვიდა რომისა, მიიღო ზაზამ კეთილად და აწვია ოკის თანა წირვად და დაბანა ფერხიცა, მისცა ნიშნად ძელი ცხოელის ნაწილი და სხუანი წმინდათა ნაწილები, და ზატივითა გამოისტუმრა. ესე ფრიად დაშურა მეფეთა მსახურებისათვის ისპანს ევენთან წარსულით, ამავე მოთხზა წიგნი სამთხის კარად წოდებული, გარნა ამაში არ თანეხმენ ქართველნი მეცნიერნი, ვინაჲთგან მიეკრძა უფრო ლათინთა და ამა იჭვისათვის კალათიებულად აღიარებდენ საბასა.

70.

ძველთა ქართველთა მოშაირეთათვის, სახელდობრ:

1. იაკობ შემოქმედელი, კაცი მეცნიერი და მესტიხე ჰირველი (ამან შემოქმედელმან გალექსა ლეილი-მეჯნუნიანი); 2. მოსე ხონელი, მესტიხე და მეცნიერი, სამო მეშაირე (ამან ქმნა უცხოთა და მშვენიერსა ენას ზედა ისტორია ამირან-დარეჯანის ძისა); 3. თურმანისძე ხოსრო, ამან გალექსა როსტომიანი და გარდმოიღო სპარსთა მეფეთა ანბავი; 4. ნანუჩა მოლექსე და შაირთ მწერალი, ამან დაურთო სხუა ლექსები ვეფხის ტყაოსნს; 5. ჯაგლაგა ფაღვენიშვილი მოლექსე; 6. ქაიხოსრო ქართველმან გალექსა ომანიანი; 7. ფარსადანის ძემ ნოდარ გალექსა სპარსთა მეფისა ბარამ-გურისა ისტორია; 8. ჩოლაყაშვილმან გარსევან გალექსა ნარგიზიანი წიგნი; 9. სულხან თანიაშვილმან გალექსა ამირან-დარეჯანიანი; 10. ბარდიმ ვაჩნაძემ გარდმოიღო სპარსულითგან საამიანი და ბეჟანიანი ლექსად და კარგათ; 11. ფერმანგისშვილს ფაშვი-ბერტუის ძეს გალექსავს ფირმელიანი წიგნი; 12. ბაკაკა დვალაძესაც უთქუაშს მრავალნი შაირნი სხუა და სხუა ჰაზრზედ.

71.

ანტონისათვის კათოლიკოზისა, მეფის ისუს ძისა, დავითან ბატონტონისათვის.

მამა და მწეუმთ-მთავარი ანტონი კათოლიკოზი და ჰატრიარხი სამცხე-საათაბაგოსა და სრულიად საქართველოსა იუო დროსა მო-

რე მეფისა თეიმურაზისა და ძისა მისისა ირაკლისსა, დის წული მეფისავე თეიმურაზისა, კაცი ღზის-მეტეჰშელ-ფილფოსოფოსი, სამღრთოთა წერილთა შინა გამოცდილი და დიდი დიალიკტიკოსი და დოღმატიკოსი, რიტორი მშვენიერი, ვითარ წერასა შინა. ამან სთარგმნა ბაუმესტერის ფილფოსოფია სრულიად; საუნჯის წიგნი კირილე ალექსანდრიელისაგან ქმნილი, ეფესოს წიგნი; ნისტორისად ბასი და სხუანი წერილნი. ამან თვისით შეთხზა საქართველოს წმინდა მოწამეთა ცხოვრება, მარტირეჲდ წოდებული; ქმნა კატეხისმო და მზასიტუტობა გააკეთა, და განავრცო ღრამატიკა, და ქმნა კარგი რიტორება, და სხვანი წერილნი ვიდრე ოცდა-სამი წიგნი, თვისგან ქმნილნი; შემოკლებით გააკეთა ქართლის ცხოვრება; ამანვე თარგმნა კვინტოს კურციოსისგან ქმნილი ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრება, ქართულსა ენას მშვენიერად გარდმოიღო; განმართხა სამღრთო წერილნი ბერძელისა და რუსულისა ენისაგან შემოწმებით; სრულ ეო სყოველდეო სადღესასწაულო და შეასრულა მარხუანი და ბარაკლიტონი (პ.ც) და ზადიკი და სხუანი სამღრთო წერილნი; იყო უცხო მოქადაგე და მრავალნი ქადაგებანი აღწერა; ამან შეთხზა ოთხი ტომი ღვთის-მეტეჲელები და მდალსა ფრანსა ზედა; კეთილად შეამკო ეკლესია თვისი და ცერემონიათა განანთლნა ეკლესიისა წესნი და ესრეთ კეთილად დაშურა სიერმითგან ვიდრე სიბერემდე და შერე უფლისად დაიძინა; ამანვე ასწავლა მრავალთა მოწაფეთა, რომელთაცა მოვიხსენიებ ქვემოთ.

72.

კათალიკოზასა ანტონი მეორისა, მეფის ირაკლისა ძასათვის.

შემდგომთ ამისა მიიღო კათალიკოსობა ანტონი მეორემან, მეფის ირაკლის მეორის ძემან, რომელიც თუთ ანტონიმ აღზარდა სწავლასა შინა და მიიღო ტეორეტიკის და პრაკტიკის ხელოვნება, და ისწავლა კეთილად ფილფოსოფია და ღვთის-მეტეჲელები და ისტორია, ესე არს ფრად მახვილი, წრფელი და უმანკო, მონოზონებაში სრული, ღრმა ღვთის-მეტეჲელი და მოქადაგე კარგი, რომელსა უოველ-

თვის ძალედვა მოუშადადებლად ქადაგებისა თქმა, იყო ფრიად მშვენიერი მწერალი თხზასა შინა, ამან მრავალი იღვაწა საყდარის თვისისათვის, უეიდა სოფლები, აღუშენა ნახარნი ადგილნი, გაუკეთა ბაღები, საფუძველი დაზღო თბილისის შინა, უღათსა აღა-მამად-ხანის ხოჯასაგან დაქცეულის ეკლესიისა, აღაგურდის წმინდის გიორგის ეკლესიისა ჩინურითა დახურა სამხროები და კეთილად იღვაწა. უკანასკნელ ჯილდოთ ამის თქმულს მიერ ექსტორია (sic) იქმნა და მიუყანებულ როსიად.

73.

მამასა გაიოზ თაყაშვილისათვის.

გაიოზ იყო აღზრდილი კათალიკოს ანტონისაგან საფილოსოფოსოთა და საღვთის-მეტყველოს შინა სწავლასა, ზედ მიწვენილი რუსულისა ენისა, იცოდა ლათინური და სომხური წერილი, ამან თარგმნა რუსთა ენისაგან მრავალნი სხუა და სხუა წერილნი ქართულსა ენასა ზედა, რომელ იტყვიან ვიდრე სამასამდინ წიგნსა, გარდმოღებულსა სამღათათა წერილთა და ისტორიათა და სხუათა მეცნიერთა წერილთა. ესე წარმოიგდინა რუსეთსა შინა და მიიღო მუნ არხიერობა ნებითა იმპერატრიცა ეკატერინასათა და დაიდგინა მწვემსთავრათ ჰენზას შინა, რომელმან განაახლა ეკლესია და აღუშენა კარგი სამრეკლო. ამან თვისა უოფასა შინა ასწავა მეფის ძეთა ფილოსოფია, განუმართა თელავსა შინა შკოლაჲ და განასწავა მუნცა მრავალნი და სხუანიცა და ესრეთ აწცა შრომასა შინა არს, ვითარცა ოქუტუნც უწეით საქმენი მისნი.

74

ვარლამ ახტალას ეპისკოპოსისა დაგით ერასთვის მისათვის.

ვარლამ ახტალის ეპისკოპოსი იყო აღზრდილი კათალიკოსის ანტონისაგანვე, საფილოსოფოსოსა და სწავლასა და ღვთის-მეტყველებასა შინა მეცნიერი, უცხო რიტორი და მშვენიერი მქადაგე. ამან ასწავა სხუათა და სხუათა მოწაყეთა საფილოსოფო სწავლანი და

უკანასკნელ წარვიდა როსსიად და ჰავლე იმპერატორმან განაწესა მწვერად სინოდისა. ამან ისწავა რუსული ენა კეთილად და ქმნა სუფლო ზა სხუათა დღესასწაულთა ქადაგების წიგნი, საამო სასმენი და კარკათ დათხზული, და აწ არს აქა თქუწნთანა.

75.

იოანე ოსეშვილისათვის.

იოანე ოსეშვილი, სიონის ეკლესიის დეკანოზი, ესეცა აღზარდა კათალიკოზმა ანტონიმ, ისწავა ფილოსოფიის და ღვთის-მეტყველებს. ამანც ჰქმნა რადენიმე წერილი სასწავლებლად ერმათა, ესე იყო უმეტეს მშვენიერი მწერალი თხზუქასა შინა, ვიდრე უბნობასა შინა.

76.

დავით აღექსიშვილისათვის

დავით აღექსის ძე, ანჩისხატის დეკანოზისა შვილი, ესეცა აღზარდა ანტონი კათალიკოზმან, და მიიღო სწავლა ფილოსოფიისა და ღვთის-მეტყველებისა, ესე არს გონება მკვეთრი და კარგი მენსიერი, მწერალი მშვენიერი ვითარ ხელ-ნაწერობით, აგრეთვე დათხზობათცა. ამან ჰქმნა წიგნი, თვსკან ქმნილი, და უწოდა „ჩემ მიერ ნაღვაწი“. და აგრეთვე შემატა ლექსიკონს. ამან ასწავა სკოლასა შინა თელავს მრავალ მოწაფეთა საფილოსოფოსო სწავლანი, რომელიცა დადგინებულ იყო მეფის ირაკლის, თეიმურაზის ძისკან, რეკტორად და მეცა ვიუავ მასთან, რიცხვთა შორის მოწაფეთასა. ესე არს უცხო ისტორიკოსი ძველთა და ახლთა მოთხრობათა, რომელიცა ჰქებულ არს ერთა ჩვენთაგან, და აწ სცხვრებს მიზეზითა თქუწნითა მკნდოვანებასა შინა. ამა ზემოხსენებულთა მოწაფეთა ანტონი კათალიკოსი, მოძღვარი მათი, მიახემებდა თვითოეულთა ნიჭთა ამათ: გაიბო უწოდდა კარკას მასწავლებელსა და მოძღვარსა და ადგილად ძნელთა განმარტებელსა მოწაფეთადმი თვისთა; ვარლამს უწოდდა მშვენიერს რიტორსა და მოქადაგეთა შორის ჰირველს; იოანე ოსეს ძეს უწოდდა მშვენიერს მთხზველსა წერილთა შორის; ხლო დავით აღექსის ძეს უწოდდა ქართველთა შორის ჰირველს ისტორიკოსად.

77.

ძიხაილ თბილისკლასათვის.

ძიხაილ აბილევი, ეპისკოპოსი, ესეცა იყო ახანაშეზრდილი ანტონი კათალიკოსისა, იყო ფილთხოფისი და სამღრთოთა წერილთა შინა გამოცდილი, დიდი ცერემონიოსი კვლევისა და შემამკობელი, ესე უფრო დაშურა სამღთოთა წერილთა და ისტორიებთა გარდასაწერად, რომელმანც თჯითა ხელითა გარდაწერა წიგნნი დიდნი და მცირენი ვიდრე რვაასამდისინ და უკანასკნელ მცხოვრების ჟამსა გარდაიცვალა.

78.

ტრიფილე არხიმანდრიტისათვის.

ტრიფილე მღვდელ-მონაზონი, ესეცა იყო აღზრდილი ანტონისავე კათალიკოსისა. ესე იყო სწავლული ფილთხოფისის ხელთფეხსა შინა და კარგი ღრამატიკოსი, სამღრთო წერილთა შინა ფრიად მიწეუნილი, მოჟამნეთა და კვლევისათა წიგნთა წამკითხველთა შორის უპირველესი, ვითარცა სიმარჯვითა ენისათა, ეგრეთვე გამოღებითა ლექსთა და განრკვევითა სიტყუათააა სრული, კანანახობასა შინა უპირველესი, მწერალი უცხო და ჩქარი, რომელ ოდეს მოიცაღის კვლევისის მსახურებისგან, არა დაუტეუბდის სამღთოთა წერილთა და ისტორიათა წერასა, რომელმანც გარდაწერა წიგნნი ვიდრე ხუთასსა ზედა უმეტესნი; და უკანასკნელ მიიღო არხიმანდრიტობა, მეორისა კათალიკოსისა ანტონისგან და მოხუცებულობითა იქმნა ბრმა, კანასა უოველთა დღესასწაულებთა შორის თუთ ზეპირ უკანახებდის დაზღებულთა მის დღისათა, ვინაჲდგან აქუნდა ჩვეულება ეს გვარ მსახურებისა კვლევისებთა.

79.

გამალიელა ოს ეოფილასათვის მღვდელ-მონაზონისა და მერე არხიმანდრიტად დარდგინებულისათვის.

გამალიელ ოს ეოფილი არხიმანდრიტი. ესეცა იყო კათალიკოსისა ანტონისგანვე აღზრდილი, წერილთა და გაღობათა შინა გამო-

ცდილი და არიხმატიკოსი და მიხომონებიისა კარგი, მწერალი უცხო, რომელმანც მრავალნი სამღვთონი და სერონი გარდასწერნა ვიდრე სამსამდისინ. ამან კეთილათ იღვაწა იკორთის მონასტრის მთავარ ანკელოზის ეკლესიისათვის და ესრე შრომითა ატარებს დროსა თვისსა.

80.

არხიანდრიტის ნეოფიტე ოს ეოფისათვის.

ესე ნეოფიტე ოს-ეოფილი აღზარდა ერმა მთავარ-ეპისკოპოსმან წერილთა შინა და მერე მიიღო რიცხვთა შინა ბერებთასა ანტონი კათალიკოსმან. ესე არს შესადარი ზემოხსენებულის ტრიფილესი, უითარცა მოჰამნობითა, ეგრეთჲც ეკლესიის წერილთა წარკითხვითა, მწერლობითაცა ქებული და მონომონებიითაცა სრული. ამან მიიღო მერთე ანტონი კათალიკოსისაგან არქიმანდრიტობა, და აწ მსახურებს მას, და ცხოვრებს მისთანა განუშორებულად.

81.

გერასიმე მღვდელ-მონომონისა ტკბილ-მგალობელისათვის.

გერასიმე იმერეთისა ქმნიდა მონომონი მითურთ თავისით თათართი, ესე სცხოვრებდა ჰირველ რაჭის ერისთავებთან და მერე დაშთა ანტონი კათალიკოსთან, რომელმანცა მიიღო რიცხვთა შინა ბერებთა თავისთათა. ესე იუთა ფრიად სწავლული გალობასა შინა, რომელმან უწედა ვიდრე ხუთასი უკმეტი სრული, რომელსა თქმულს უწოდო კონცერტსა. იუთა უცხო მთქმელი და მსმენელთა უურისა მშოველი. ამან აღზარდნა მრავალნი შვირდნი გალობასა შინა, და გაამრავლა ქართულთა შორის გალობა, რომელნიცა იუენენ უფრორე ჩინებულნი მოწათენი მისნი მგალობლობითა სახელდობი: კვალაშვილი სოლომონ, დირაბელი გიორგი, დონტი (sic) სოლუაშვილი, ქარემიძე (sic) იოანე, და ძმისწული მისი და სხუანიცა მრავალნიცა მოწათენი მისნი, და ამა მსწავლებლობასა შინა დაშურა ესე და ძმა მისი თათარა, ვიდრე

ორმოცი წელი და უკანასკნელ დაიდგინა არქიმანდრიტად მეორე კათალიკოსის ანტონისგან.

82.

ღერგასი სამთავნელისათვის.

ღერგასი მაჭავარიანი სამთავნელი, ესეცა იყო აღზრდილი კათალიკოსი ანტონისგან, მთავარ დიაკვნობასა შინა პირველ ქებულ, და უკანასკნელ მიიღო არხიერობაჲ, ესე არს ტიბიკონთა შინა გამოცდილი და მშეენიერი ცერემონისი, უცხოდ რიგზედ შემწირველი, სტუმართ მოუყარე, და კბკლესიათა თვისთა მოღვაწე, და თქმულნი მიერცა პატრივცემული.

83.

გაბრიელ ჯვარის დეკანოზის მამისათვის.

ესე გაბრიელცა იყო კათალიკოზის ანტონის მოწაფეთა რიცხეთაგანი, რომელმანც ზედ მიწეენით ისწავლა ფილოსოფოს-ღთისმეტყველება. არს კარგი მწერალი და მოქადაგე კეთილი, ზნეთ-სწავლულებასა შინაცა გამოცდილი და კეთილი მოღვაწე კბკლესიისათვისისა.

84.

ზაქარია მოძღვარეოფილისა გაბაშვილისათვის.

ზაქარია გაბაშვილი მღვდელი. ესე იყო ძველთა ფილოსოფიის სწავლათა შინა გამოცდილი და ღთის-მეტყველებისცა მიწეენილი, მშეენიერი რიტორი და უცხო მოქადაგე. ამან იღვაწა ქიზიუს შინა ქადაგებითა, რომელთა შორის შევიდა მცირედ ლეკიანობა, და მალე მოაქცევნა იგინი. ესე იყო მშეენიერი მწერალი და მთხუზველი მაღალსა ფრასსა ზედა, უცხო პიტიკოსი და მღვდელობითა სრული, რომელიცა იქმნა მეფეთა მოძღვარიცა. ხოლო უკანასკნელ მცირე რამ სანდურავისთვის ანტონის კათალიკოზისა და თვისგან წარმოვიდა როსიად და მერე მოვიდა იმერეთს, და მუნ განისვენა.

გლახა ნათისშვილისათვის.

ოთხი კვამლი კაცი. ამ ოთხის კვამლის კაცისაგან ერთი კომლი კაცი დემურა, მისი შვილი ბერი თავისის მამულითა, თავისი სახლკართა, შესაფლითა და გასაფლითა, რისაც მქონებულნი არაან უოფლითურთ უნაკლულად, შემოტვირეთ თქვენ, ჩვენს სასოსა და მეოხსა კაბენს ტესმანისა მღთის მშობელსა ჩვენთა და ჩვენ თანა-შეცხედერთა ცოდვათა აღსაკოცლად, პირმშობთა ძეთა ჩვენთა და-ვითის აღსაზრდელთა, ძეთა და ასუღთა ჩვენთა წასამართლებლათ, ასე შ(ა)მოტვირეთ, რომე არაფერი გამოსადები არა ეთხოვებოდეს რა, არა ღალა, არა კულუხი, არა კოდის ზური, არა სამსაშინძლო, არა სამოსელი, არა უღაფი, არა ხარჯის გაღება, ასე გაცვითარხე-ბახარ და ისრე შეგვიწირავს, რომ მზისა და წვიმის მეტი კრს არა მოგადგებოდეს რა, თვინიერ სა(ყდრ)ის სამსახური(საგან კი-დე), და არცა რა გეთხოვებოდეს, არა საჩვენო, არა საკემწიფო, არა საერისთო ბაჟი, არას კაცისაგან არ გეთხოვებოდეს რა. ვინცა და რამხე ჩვენმა სახლის კაცმა, ანუ ხელმწიფემა, ანუ დიდმა, ანუ მცირემ ამისად შლად და გამოკვებად კელ უოს, რისხამცა თვით დთი დაუსაბამო, მამა, ძე და სული წმინდა, გესამანისა მღთის მშობელი და მისი ძე იესო ქრისტე და უოველნი მისნი წმინდანი, ზეცისანი და ქვეყნისანი, კორციელნი და უკორცონი, მასმცა ედების ცეცხლი გენისა, კეთრი გეზისა. შიშთვილი იუდასი, დანთქმა დათან-აბრანისა (sic). შეჩვენებულცი იქნება შემცვალებელი ამისი ოთხთა პატრიარქთაგან, უოკელთა მართალ მადიდებელთა მიტრანო-ლიტაგან, მართალ მადიდებელთა ეფისკოპოსთაგან, მღდელ-მოდ-ღვართაგან, მღელთაგან, მთავარ დიაკონთაგან, ცხრა დასთა ან-გელოზთაგან, უოველთა წინასწარ მეტეველთაგან, მკედარ მოწამე-თაგან, ქალწულ მოწამეთაგან; შვიდი შურის ძიება აბელისა, მესს და რვე ფსალმუნი დავითისა მას ზედამც დაუსრულების, შეჩვენებუ-ლიც იქნების პირისაგან მღთისა, ამ ოთხთაგ მახარებელთაგან. შეი-წირე წმინდაო კაბენისა მღთის მშობელო მცირე ესე შესაწირავი ცოდვათა ჩვენთა მოსატეველად და ძეთა ჩვენთა წარსმართებლათ. ვინ ამისად გამწირვად, ან შლად კელუოს, შერისხდი წმინდაო გე-სამანის მღთის მშობელო თქვენ და თვით ძე თქვენი იესო ქრის-ტე; შემცვალებნი ამისნი ღმერთმან შესცვალენი, სოლო დამტე-

ცბეღნი აძისნი ღბნ აკურთხეს. დაიწერა შეწირულობა ესე კარისა ჩვენისა დეკანოზის ი ა ს ე ს ი თ ა, გიორგობისთვის ოცნსა, ქვს ტყა.

მონა მღთისა ბატონის მვილ
ერეკლეს ებეჭდა

ჰაპუ *

11. მე-11 ფურცელზე სხვა მხედრულის ხელით 1726 წლისა:

ქ. ჩენ მღთისაგან და მადლის კელმწიყისაგან უხვად ზეგარდმო წყალობა მოფლენებულმა და ღირსად პატივცემულმა, ძირმოდგმით იესიანმა და ტომობით აწ ჰაკრატონმა მუხრანის ბატონის, ერეკლეს ძემან ბატონი შვილმა მამუკამ, რაკვარადც კურთხეულს მამა ჩვენს ეს გლეხი თავისის გამოსაღებითა შექეწინა, ჩვენც ისე ჩვენის უმის რატი შვილების სასაფლაოს გესმანის მღთის მშობელისათვის შეგვიწირავს და დაგვიმტკიცებია მამის ჩვენის მოსასხენებლად და ჩვენს გასამარჯვებლად და სადღეგრძელოთ, რამანც მუხრანის ბატონმა და ან რატი შვილმა ამისად შლად კელ ყოს და გამოსწიროს, ნუმცა იხსნება კორცი მასი აქ შერცხვენიისაგან და სული მისი საიქიოს წაწუმენდისაგან, დამატკიცებელი ღბნ აკურთხოს. დაიწერა მკათათვის გასულს ქვს უად. მამუკა მ მუკა (ხელ ჩართულად).

12. მე-75 ფურცელზე მხედრულის ხელით 1705 წლისა:

ნებთა ღუთისათა მე მკვინიბეთ უხუცესმა რატი შვილმა ზურკაბ შემოგწირე გესმანისა ღბას მშობელს ჩუმა მკვიდრი უმანი კაბენს მოსახლენი ჰავლეშვილი შიო, ძაბილა შვილი ბერი, ქურციკაშვილი ივანე თავუთის მამულითა, უოფლს თავის ბეგარასა და კულუსს უკლებლად ეკლესიასა მიაერთმეფდენ, ვერა რატი შვილი ამას ვერ იმსახურებდეს ერთის ძღვნის შეტს. ამათ დაუადეგით ერთი ღიბრა სინთელი, ერთი ჩარეჭი საკმეფი, ერთი თუნგი ზეთი წელიწადშია, ვინც გამოსწიროს, რისხავს ღბი და მისი მშობელი, ამინ. დაიწერა იანკრის ათსა ქვს ტყვ. მე რატი შვილი ოთარი ამ ჩემის ძმის შეწირვის უბუღი მაქ. + + + +

*) სრულად წარწერა არ იკითხება.

13. მე-73 ფურცელზე მხედრულის ხელით 1804 წლისა. ნიშნებათ იხმარება თითო წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ:

ნებითა და შეწყვენითა ღმრისათა და ეოველთა წმინდათა მის-
თათა, სასოსა და მეოხსა ეოველთა ქრისტიანეთასა ღმრის მშობელსა
მარიამს გესამანიისასა უძღვხი მტირესა ძღვენსა მე მონა მისი თა-
ვადი გაბრიელ რატი შვილი, ასე რომ კასაბურჯი ეკკლე-
სიის ეპანი არიან და უმამულად ეოფილან თელთვანს და
ფურცაბიძა ჩემს ერთი ვენახი მიუცია და იმისი გამოსაფლი-
დამ ჩვენ ჩულუხი აგვილია. რადგან დღეს აღარც ვენახად იყო და
ის კასაბურჯიც უმამულად იყვნენ და ხატის ემები, მე ვი-
გულსმოდგინე და ის ნავენახობი ორის დღისა თელთვანს შემოკ-
წირე მოსახსენებულად ბიძის ჩემის ფურცაბისა, მამისა ჩემისა
ბეჭანისა და დღისა ჩემისა ანასთას და სადღეგებულად
ძეთა ჩემთა და რათა მეცა მეოხ მეყო დღესა განკითხვისასა, წელსა
ჩედ. ქვს უგბ, მეფობასა ოსიიასა აღექსნდრეს ჰაელეს ძისასა.
როდესაც მოხნავდენ, იმის დაღას უკლებლად მოგართმევდენ ეს
კასაბურჯი. მე მაიორი გაბრიელ რატის ძე თუთ კელითა ჩე-
მითა ვწერ. რატი ევი (ჩართულად)

14. მე-116—118 ფურცელზე მხედრულის ხელით 1814 წლისა:

ქ. რაც კაბენს მამული აქვს შეწირული სულ ამას ქვევით სწე-
რია, ან ვასაც უჭირავს და ან რამდენის დღისა არის.

ქ. ერედას ვენახი. ქ. ბახუნთ წინ ერთი დღისა ნავენახო-
ბი, ამას მაგიერი მღვდელს უჭირავს, მათეს ვენახის გვერდზე,
გაუცვლია სხვაზედა.

ქ. ბახუნთ ბაღებს ზევით ერთი დღის მიწა ოთარას ბიჭს
უჭირავს.

ქ. ბუღლათ კარს ერთი დღისა გორთამაშვილს უჭირავს

ქ. სარუკაანთ კარს გოგია ჭარმელიშვილს უჭირავს ერ-
თი დღისა. ქ. მათეს ვენახის გვერდზე გოგია ჭარმელიშვილს უჭი-
რავს დღიურია. ქ. ხეხალს (ზეზილს?) ვენახის გვერდზე ერთი დღი-
რი ოთარას ბიჭს უჭირავს.

ქ. ხუხუტის ვენახის თავზე სამი დღის მიწა მათეს უჭირავს.

ქ. ამ ხუხუტს ვენახს აქვს სამი კოკა ტუბილი.

ქ. გეძას ქედზე ორი დღის შასა¹⁾ და ხეხილს უჭირავს.

ქ. ერთი დღისა მღვდელს უჭირავს მათეს წისქვილის გამოღმა, ჰავლეშვილის მიწა არის.

ქ. აქა ერთი დღიური თევდორეს ბიჭს უჭირავს.

ქ. გოგიას ბაღს ზემოთ თათრას ბიჭს უჭირავს ნასეუარ დღიური.

ქ. ასანანთ კეკეში²⁾ ხეხილს უჭირავს ერთი დღისა.

ქ. კაბენს ჰავლეშვილის მიწა გოგია ჭარმელიშვილს უჭირავს ორი დღის.

ქ. ჯიდნასთ კარი სკომლა არის ღუა ტატუნაშვილს და მის ძმას დათუას აქვს.

ქ. თეზიაშვილის მიწის ზირზედ ერთი დღის ნავენახობი მღვდელს უჭირავს.

ქ. შეიღანი და კარშემა სრულად მღვდელს უჭირავს.

ქ. კიდევ მღვდელს უჭირავს შეუქლის სპილენძაურის³⁾ აავზედ დღიური.

ქ. ვაზირაულში ორი დღისა. ქელიანდ⁴⁾ ქედზე კლასა გოგაძეს უჭირავს ერთი დღისა.

ქ. ამასთან გზას ქვევით შეუქლის მიწის აავზე ღუას უჭირავს დღიური.

ქ. ყუდრევისკენ მიწა ახო⁵⁾ გოგია ჭარმელიშვილს უჭირავს, დღიურია.

¹⁾ შეიძლება ამ ობიექტვაში იგულისხმებოდეს „ფშანი“—ქაობნარი.

²⁾ ასანანთ ხევი შით ყანჩაეთის სოფელს ჩაშოულის.

³⁾ სპილენძაურის ხევი ყანჩაეთის დასავლეთით არის.

⁴⁾ ეხლა ქვია გელიანთ ქელი.

⁵⁾ ახლად გაჩეხილი ტყე, სადაც პირველად მოხნავენ.

ქ. ზახოტის კაკბახანთ კარს ერთი დღიურია, რასაც კადოს პირი ჩამოიტანს.

ქ. წიხს ქინგვაძის მიწებს აქეთ გზას ქვევით კვეისაკენ დღიური ორი არის.

ქ კასბურებს უჭირავთ ორი დღის ნავენახობი თელავის შარაფხანებშია.

ქ. ეს ნუსხა მღვდლის თანადანწრებითა და სოფლის კაცთ ჰქიანებით დავსწერეთ, რომ ეკლესიას არ დაკარგოს მამული მე კახბური ელ რატიევმა, ჩუმა ბიძაშვილმა სოლომონ და დავითმა წელსა ჩუიდა. ვინც მოხნას დაღა უკლებლად ეკლესიას უნდა მოატოს, და ვინც მოპაროს, გაუწერეს ღრის მშობელი და ძე მისი იესო ქრისტე, ან, ან.

ქ. დემურანთ აქვეს ორი ღიჭრა სხიული და ერთი ჩარეჭი საკმელი ყოველს წელიწადსა.

ე. თაყაიშვილი.

კორიდეთის ოთხთავი და მისი ქართული წარწერები.

კორიდეთის ბერძნული ოთხთავი დაწერილია ბერძნულ ასომთავურულ ასოებით მაგარ ეტრატზე და ზომით არის 29 X 24 სანტიმეტრი. თითოეულ კვერდზე ორ-ორი სვეტია და თითო სვეტში 28 სტრიქონი.

ხელნაწერი სრული არ არის: პირველი ფურცელი დაზიანებულია მათეს სახარების 1-ლი თავის მე-9 მუხლამდე, რამდენიმე სხვა ფურცელი დაკარგულა, წიგნში დარჩენილა მხოლოდ 249 ფურცელი და მათგან 1-ლის გარდა დაზიანებულია კიდევ ფურცლები 2, 3, 25, 26, 34, 38, 39, 72, 73, 74. 75, 76, 77, 78, 82, 247 და 248.

შეკერილია ხელნაწერი რვეულებად, მაგრამ ეს რვეულები შემდეგი დროის მკაცრად აღაგ-აღაგ აურევია. ეოველ რვეულში, როგორც თვით სიტყვა „რვეული“ გვიჩვენებს (რვა—რვეული) რვა-რვა ფურცელია, მაგრამ ჰირველიდან გადაჩენილია მხოლოდ 2 ფურცელი.

წიგნის კაზში განახლებულია მე-XI საუკუნეში ერისთავთ-ერისთავის ბეშქენის მიერ. უდა გადამტყდარა და მისი ზედა ნახევარი დაკარგულა, ქვედა ნახევარი კი ხისა და გადაკრულია შავი ტყავით და შუაში დამაგრებული აქვს ჭყვარცმის ხატი ვერცხლისა; ხატის კვარცხლბეკზე მოხანს აღმის თავი, ხოლო ჭყვარცმის ზემო ცალკე ფირფიტაზე, რომელიც აკრეთვე ვერცხლისა, არის ასომთავრული წარწერა:

ՃԿ: ԿԿ: ԿԿԹԹ —ისი: ქე მუეფ-
Կ: ԿԹԿԿԿԿԿԿ: ე. კორიათაი.

ხელნაწერში არის ბერძნული და ქართული წარწერები. ბერძნულები მიწერილია შემდეგ კაბადონებზე: 72, 73, 132, 139, 140, 155, 174, 197, 249.

ქართულები მიჭევიან: გვერდებს; 2, 26, 27, 28, 29, 30, 73, 74, 75 (ვილაცას გაუშავებია), 76, 77, 78, 121, 122, 123, 124, 131, 132, 187, 188, 192, 193, 247, 249.

ეს მინაწერები და წარწერები ჩვენი ხელნაწერის ადგილ-სამ-ყოფელად სთვლიან კორიდეოს. სოფელი, რომელსაც ეს სახელი ჰქვია, არსებობს დღესაც. იგი ართვინის მაზრაშია და ეკუთვნის ძნ-სულის სასოფლო საზოგადოებას, რომელშიაც სოფლებია: აღურჩა (27 კომლი ქართველია), ბუჭური (1 კ. ქ.), ძანსული (70 კ. ქ.), დურჩა (23 კ. ქ.), კაბარჯეთი (20 კ. ქ.), კორიდეო (9 კ. ქ.) და ოსმალი (1 კ. ქ.) (იხ. სტატ. კომიტ. გამოც. 1893 წლის, № 13, 332).

კორიდეოთა და მისი ამე-მარე შედიოდა ჭაყვლების სამფლობელოში, ხოლო ეს ჭაყვლები იოვლებოდნენ ქართველ მეფეებს ერისთავთ-ერისთავებად, მერე შეიქმნენ მესხეთის ათაბაგებად და შემდეგ კი ფაშებად. უმეტესი ნაწილი კორიდეთის ოთხთავის ქართულ მი-

ნაწერებისა და წარწერების შესრულებულია ამ სახელაგან გვარის წარმომადგენლების ხელით. ესენი არიან:

იოვანე ჭიასძე (X ს.).

ბეშქენ I ერისთავთ-ერისთავი († დაახლ. 1045 წ.—ქარ. ცხ. I, 224, H. G. I, 318).

მურვან I († დაახლ. 1070 წ., ქართ.—ცხ. 232). მეუღლე მისი აკათა.

ბეშქენ II=ბექა († 1118 წ.).

მურვან II (XII სუგ.). მეუღლე მისი ელი.

ერთდ არსლანი, რომელიც თამარ მეფეს წინადადებას აძლევდა შემოეღო საქართველოში ჰარლამენტისებური მმართველობა.

ბერძნული წარწერები და ქართულების ნაწილი შესრულებულია თხთავის თავდაპირვანდელ მოსაკუთრეთა ხელით. ესენი თავიანთ თავს უწოდებენ კუირიკისძედ და ხუცესის შვილებად და ხუცისძეებად. მათი შთამომავლობა ამ მინაწერებით:

მარკოზ ხუცესიშვილი კუირიკისძე.

ივანე.

მიქელ (მეუღლე სალომე).

შიტირიონ.

ბეტრე.

აქ არ არის მოხსენიებული გიორგი ხუცესისძე (მინაწ. 24) გვ.), რომელიც თავის ვენახის ნახევარს სწირავს ტაძარს(?) და მეორე ნახევარში იღებს 11 ასარს (დინარს) და რომლის შეწირულებას

აბარებს სტეფანე დოღისუანაში ქორიხიკონსა შა (=821 წ.). ეს გიორგი, აღბად, იყო მამა მარკოზისა. თარიღი, რომლითაც თავდება მისი წარწერა, ცხადად გვიჩვენებს, რომ ჩვენი ხელნაწერი გადაწერილია არა უგვიანეს შერვე საუკუნისა. იგივე თარიღი გვიცხობულებს და თვალწინ გვიუქნებს იმავე დროის დიდ მნიშვნელოვან შემთხვევებს: 26 ანვარს 826 წელს, როგორც ვიცით, სარკინოზები შეიპარნენ არტანუჯს და ჰეტრე-ზავლეს ტაძრის საკურთხეველში დაჭკლეს მეფე აშოტ დიდი. მისი ჯარი მაშინ იდგა დოღისუანაში. შუიტიკეს-რა შეფის მოკვლის ამიავი, აღელდნენ, ეცნენ გაქცეულ მტრებს, დაეწივნენ და სულ ერთიან ამოწევიტეს ადგილსა სვანეს. თვით დოღისუანაში დადი საუდარი ააშენა მეფე სუმბატმა, რომელიც კარდაიცვალა 958 წელს.

წარწერებიდამ არა სჩანს, თუ როდის, რა მიზეზით და რა გზით მიადწია ჩვენმა ხელნაწერმა სვანეთამდე. მისი ერთი წარწერა იხსენიებს კ ა ღ ი ს საზოგადოების დადგენილებას იმის შესახებ, რომ, თუ ვისმე ვინ შემთავდა, ჰასუხი უნდა გასცესო კალის საზოგადოების ხატს კვირიკეს. იქ ეს წიგნი ენახა (1853 წელს) გენერალს ბარტოლომეის, რამდენიმე წარწერა გადმოეხატა და ქუთაისის გუბერნატორის ლევანოვისათვის ეცნობებინა—სვანეთში ასეთი და ასეთი შესანიშნავი ხელნაწერი არისო. ამასაც გამოეწერა სვანეთიდან და გაეგზავნა რუსეთს გრაფ ჰინინისათვის და იმასაც გადაეცა ბროსესთვის. შემდეგ დიდის ხეაწნა-მუდართით ისევ დაუბრუნებინათ განსვენებულ კაბრიელ ეპისკოპოსისთვის, რომელსაც გელათში დაესვენებინა. აქედან ეპ. კირიონმა მოიტანა ტფილისს და გადასცა აჭურ ჰასტორ ბერმანს. ამან წაიღო რუსეთს და იქიდან ორი წლის მიწერ-მოწერის შემდეგ დაუბრუნეს საკელესიო მუზეუმს.

კორიდეთის სახარების შესწავლა ჯერაც არ დასრულებულა.

მისი ტექსტი შეისწავლა მეცნიერმა ზოდენმა და ის აზრი გამოასოქვა, რომ ამ სახარების ტექსტი უნათესავდებაო კატობრიგიონსას და ჰოსკიერის ვარიანტების ტექსტს და სამთავე კი ჰანფილისა და ევსევის მიერ 300 წლის ახლო ხანს დადგენილს ტექსტს (Matter. по арх. Іванк, выш. XI, стр. XVI). იმავე საკანზე მუშაობდა აგრეთვე ე. ე. ევსევი, ხოლო მოსკოვის არქეოლო-

გიურ სწავლებლებს ფოტოტიპიურად გამოსცა კორინთის სახარების ერთი თავი, სახელდობრ, მარკოზის სახარება.

მინაწერ-წარწერების შესწავლას ზირველად ხელი მოჰქცა მარი ბროსსემ, მაგრამ უმეტესი და უმოავრესი წარწერები მას ან სრულიად გერ წაუკითხია და არც კი უხსენებია, ან და აურ-დაურევია; თვით ბერძნულ წარწერებიდამ განუხილავს მხოლოდ სამი და ისინიც უთავბოლოდ. მას არა უთქვამს რა, მაგალითად, იმ ბერძნულ წარწერების შესახებ, რომელნიც მიწერილია 132 და 139—140 გვერდებზე და რომელნიც დაწერა ბერძენთა იმპერატორების დროს, ე. ი. იმპერ. ნიკაფორე ფოკასი (970—976) და იმპერ. ანდრონიკე (1185—1194) (იხ. ბროსეს შრომა „Note sur un manuscrit grec des quatre Evangiles, rapporté du Souaneth et appartenant au comte Panin“, რომელიც მან დასწერა 1870 წელს და დაბეჭდა 1872 წელს *Mélanges Asiat.*-ის მე-VI ტომში).

ჩვენ შევეცადეთ ამ ძვირფას ძეგლის ქართულ წარწერების შესწავლას და, ვთქვაობთ, სრულად შევიცნეთ მათი ნამდვილი მნიშვნელობა და აზრი. მოგვეყავს თვით წარწერები ფურცლების ჩვენებიოვე.

1. არა ლამაზ და გაურკვეველ მეთოდსაუკუნის მხედრობით, ამირსპასპლის ამირახორის ივანე ჭიასძეს ხელით.

2. დაწერილი ეს თქვენ ეოლა წმიდასა და მ(შო)ბლას კორინთისასა მე ივანეს ჭიასძეს¹⁾ ამირსპასპლას ამირახორის მ[ას] გამს],

¹⁾ იოანე ჭიას ძე, ჩვენის აზრით, იხსენიება აგრეთვე საეკლესიო მუზეუმის ქვის სვეტზე, რომელიც ყველის ციხიდან არის ჩამოტანილი თავ. მიხ. ხერხეულიძის მიერ. მისი წარწერა წაკითხულია ე. ს. თაყაიშვილის მიერ ასე: „დიდ არი იოანე ერისთავი. სახელითა იოანესითა ესე ჯუარი ჩუენ შვაესძეთა ავაგეთ მრთელითა ქეთა (იხ. *Извѣст. Кавк. Отд. Имп. Моск. Арх. Общ., вып. II, стр. 68*). ამ სანახევროდ გადა-

- 2₂ ოდეს ჰატრონის ჭემის ამირსპასკლისა წყალობით მქონდა ორჭისი მ[ამოლი] ორთავე მეფეთაგან: თით დავით მეფ[ის კნტ]ისაგან და ბრძანებთა შეუის გიორგისაგან ²⁾)
- 26₁ (ჰატრონის ჭემის წყალობით დაგიწეს ³⁾) ღობი[ე]რით ესე კორიდეთა ოდეს ოთხთავი წაიდეს და ეკლესია ოსი...ან გან-გ(ახსლე)
- 26₂ მოგჭვიდე⁴⁾ კელი და ამავე ეკლესიას დავდეუ და შევსწირე შავ-გოლისძე⁵⁾ წმიდას დ'თის მშობელსა კორიდეთისასა ჭემისა სო-
- 27₁ ლისათის და ჭემისა შვილისა ბეშქენის სადღეგრძელოდა გავი-კეთე მარიამობა დღეი სადაზოდა.
- 27₂ რაზომნიც ხუცესნ იუნენ, უამს⁶⁾ წირვიდენ. სხოდ ეკლესიას ჰკაზმიდეს ზეთით, სანთლით და უაგრით
- 28₁ და სატრავუზოს ჭემსა ბეშქენს სიტოცხელსა და გამარჯუებასა ოლოცვიდენ. შემინწირავს უოფლით ფერიო შეოვანდა
- 28₂ და ოცილეობდა. და ვანც მუოცვალოს, შემციცვალების სჯო-ლისაგან ქრისტიანობისაგან, იოდანმც თანა დაისა-
- 29₁ ჯების და მისმც თან არს ნაწილი მისი და თვის არს და ორი-გინესმც თან არს ნაწილი მისი და იგიმც დიაც, რომელმან იოვანე ნათლისმცემ-
- 29₂ ედს თავე მოჭკეთა და დ'რსამან ორათა სინანოლითა ნო შე-ონდენეს ⁷⁾). მე ივანსა ჭემითა კელით დამიწერია

ლეულს და მეტად დაზიანებულს წარწერას ჩვენ ასე ვკითხულობთ: „საყ-დარი იოანე ერისთავისაჲ სტოთა იოანესითაჲ ჯურისაჲ (თუ ჯაყისაჲ?) ჩუენ შუვაი ჰიას ძეთა ავჰმართეთ“.

²⁾ აქამდის ეს შესანიშნავი წარწერა გამოტოვებულია მარი ბროსეს მიერ (იხ. *Mélange Asiatique*, t. VI, გვ. 272).

³⁾ ბროსეთი: „და მეწესლობ რთ“.

⁴⁾ ბროსეთი: გავჭვიდე.

⁵⁾ ბროსეთი: ავგოლისძე.

⁶⁾ იქვე: ამას,

⁷⁾ სიტყვებიდან „და ვინც“ აქამდის ბროსეს გამოტოვებული აქვს, ზემორე წაკითხულებიც უსწორია.

30₁ ნიშნად და ჰაგკელად⁸⁾.

2. ლამაზ მე-XI საუკუნის მხედრულით.

73₂ ქ: გ ერისთავაერისათ (ეზუა) ბეშქენ, ღუთის სწორად მიწამან შენმან ითანე დაფიწ⁹⁾.

3. ლამაზ ძველ ნუსხურ-ხუცურით მე-X—XI საუკუნისა:

73₂ ქ. სახელითა ღთისადათა და მეოხებითა წმლის ღთის მშობღისადათა წმიღისა იოვანე ნათლისმცემღისადათა და შუწეწითა წმსა გიორგისითა და ყოველთა წმიდათადათა მე ცოდვილი ზიტირიონ ღირს ვიქმენ შემოსად ამათა წმიდათა ოთხთავთა საღოცველად თავისა ჩემისა და მშობელთა ჩემთათჳს: მიქელისთს და საღომესთს. წნ.

4. ძველის ლამაზის მხედრულით:

73₂ ქ: ჩუენ მორვანს და აგათასა მოგუიკსენება წმს ღთის მშობელისა კორიდეთისადა თისჩიე იანი ზარტახტი. ღმერთმან გომარჯონ. არა ვინ ოქციოს ესე ჩნგან მკიცე(?) არს; თო ღმერთისა ონდეს.

5. ლამაზ მხედრულ ხელით ბეშქენ 1-სა.

74₁ ქ. სახელითა ღთისადათა მე ბეშქენ ჩემისა სძღისა ხოაშქისა ხოვიშნობითა კორიდელთა ხოცესთა სტანტროი დრამაი, რა-ზომიტა კამოვიდოდა, ადარავინ აოდოს და ჩემისა d(ი)ს წოღისა ბექანისა საღოცვაჳდ და სოღისა... სარებად შეიმოსებო-

⁸⁾ ბროსეს „პველიად“ წაუკითხავს.

⁹⁾ ეს წარწერა ბროსეს არ წაუკითხავს. თუმცა ბეშქენი მოუხსენებია მე-4 წარწერის ქვეშ.

დით რაზომნიტა იუთენ ღთის¹⁰)...

6. ბეშქენ II (=ბექა) ლამაზის მხედრულ ხელით.

74₂ ქ. ამას სორკით რომე ჰაზის ჩემისა კელითა დაწერილი არს, დაძვეებულყო. მე ძისწოდებან მისძან ბეშქენმა განვაცხოველე და მე დამიმტკიცებია, რაიტა სალოტავი თქუენ დააკლოთ... სოლსა თქუენსა დააკლოს მას დღესა განკი... ჩუენ ობრალო-ნა ვართ თქუენ გაცი...¹¹).

7. ბეშქენისავე ხელით.

75₁ ქ. ესე მე ბეშქენ ჩემითა კელითა დაწერე ესე რაიტა ჩემთა მშობელთა და ჩემგან დაწერილი არს განადამც მტკიცე იყო, რომე სატანტროი გამოდებულა ამის... რაიტა ხუტესი კორი-დეთს არს ხარებად... სახლსა შიგან ხუტესი არ იუოს და ვერ წირვიდეს სატანტროს. . (რომე)ღნიც წირვიდენ რადმცა ვინ სთხოვდა, კრულმც არის ღთისმშობლისმიერ(?) და ვინ ღოცვას დააკლოს, იგიმც კრულია ღთისა ჰირითა¹²)...

8. მურვან II-ის მხედრულის ხელით.

76₂ ქ. სახელითა ღთისათა დაგიწერე ესე დაწერილი მე

77₁ მურვან თქუენ სრულად კორიდელთა. თიხჩეთი

¹⁰) ამ წარწერიდამ ბროსეს ამოუკითხავს მხოლოდ შემდეგი: „Moi Bechken et ma fiancée Khouachak nous avons offert à Coridéthi“ (ibid., გვ. 275). ეს სულ შეცდომაა, ვინაიდან ხოაშაქი ბეშქენის სა-პატარძლო (fiancée) კი არ იყო, არამედ რძალი.

¹¹) ამ წარწერიდამ სიტყვაც არ აღუნიშნავს ბროსეს.

¹²) ამ წარწერიდამ ბროსეს მოჰყავს, —ისიც მეხუთე წარწერის გაგ-რძელებად, —მხოლოდ სიტყვები: „J'ai écrit de ma main“ (=წერ ჩემის ხელით).

- 77₂ დედისა ღუთისადა შუქწარა შურვანს და აკათასა და
 78₁ თქუენ ნაკუყუდ(?) ვითა მექონებოდა და ვითა გარდასაკდეველი
 იუა. ამისთჳს არაი გარდაკადგვიანე ფორცელი ამოკოეთილი იუო
 და არ... ვინუ. ავილე თქუენგან სმისხური ორმოცდა... და
 ფორცელის ამოკოეთილიცა გაციშოი და თიხჩეთი მოგეც მა-
 მოლობ(ითა) მამალი თქუენა ეგრევე აც(ი) მამოლი (თქუენ)სა
 კრდგულუბასა შიგან. ვინც შუ(შალოს კროლი)ა შირითა ღთისა-
 ითა:—შემოკადე ზელზელი (ზღი) სამოცი, მაგრა ათი გაციშოი
 და ორმოცდაათისა ბოტინატისაი ავილე ჩემთვის ჩემისა სოლისა
 და საკედისიფლოდ ეოკუად ფურად თიხჩეთს ქ-სისა კაბიწი-
 სა ნიგოზისაი შუქწარა და განადა ჰვარევე იუო და ვინცადა
 რაი...ნას თქუენიმც ბრალნი და ცოდვანი .. მც კორიდუთისა
 ღთისმშობელი ჰრისხავს:—ქ. ესე ვითა (ჩემითა) კელითა
 დამიწერა მე მორვანც ... (ვაშ)ტკიცეო ჩემნიცამც ბრალნი და
 ცოდვანი ოზღვონ, ვინ ამისთუის სცვლიდეს(?), ოზღვიონს
 ღმერთმან¹³⁾.

9. შურვანის მეუღლის ელის ლამაზის ხელით.

- 78₁ ქ. ამა ჰატრონისა ბრძანებასა მე ელცა მამტკიცებელი ვარ¹⁴⁾.

10. ივანე მათეშელის მხედროულ-ხუცურ ხელით.

- 121₂ ქ. სხელითა ღოთისითა და შომდგომლობითა წმიდისა ღთის
 მშობელისაიათა მე ავანუ შაიეშელმან¹⁵⁾ დაგიწერე
 121₁ მიქელ ხოციქისა კორიკეს ძესა მას ჯამსა, ოდეს ჰარსმან გამ-
 კებლად იუო, შიდეღეთი ივან წმიდასა თანა, რომელ მიწა იუო,
 მისი სახეკარა ნიგოზისაი ვიუიდე. გიბედნიერენ ღმერთმან.

¹³⁾ ამ წარწერილამ ბროსეს წაუკითხავს მხოლოდ 20 სიტყვა დასა-
 წყისილამ და შურვანი ბურვანად უხსენებია (იქვე, გვ. 276).

¹⁴⁾ ეს წარწერა ბროსეს ვერც კი შეუნიშნავს.

¹⁵⁾ ბროსეთი — მალეშელმან.

ამას დაწერაღს მოწამენი არიან ვაძახაი და ასე სკორადელი და თადეოი და ხადირბერი¹⁴⁾ და ჰეტრე და სროლად კორადიელი. დაიწერა ხადარისკიის კელათა და ვანტა ესე დაწერილი შადოს, ათი ბოტინათი ზღოს და ესე გავტობლა ქასრევე იუოს¹⁷⁾.

11. მურვან I-ის ხელით მხედრულად¹⁸⁾.

123₂ სხელითა დ'თისათა და შეთხუბითა წდისა დ'თის მშობელისათა ესე დაწერილი შე მორვან დაეიწერე შენ მიქელ [ხუ]ცესს იო[ვან]ქესქსა: მამის მამაი შენი მარკოზ ხოცესისშვალა იუო და მისი კერძი მამოლი შენდავე მომაცემია მკაიდრად შეოცვალებულად შენდა და შეილთა და მომავალთა შენათადა. ესე ჩემგან და შეილთა და მომავალთა ჩემთაგან მტკიცე არს. არ კელი შეუვალს არც კელისოფალს ჩემს შვად და ქცეგად ამასად.

124₁ შენგან სამსახორი ამიღია ერთი ჯორა და ერთი კარი.

12. ბექას ხელით მხედრულად¹⁹⁾.

ქ. ესე ვითა მამას ჩემს მორვანს დაოწერა, შე ბექაი მოწამე და მამტკიცებელი ვარ.

¹⁴⁾ ეს სახელი ბროსეს გაოჯოვებული აქვს და დანარჩენებსაც ასრე კითხულობს: ეყანაი(?) და იანე საკო...ლი და თი.., კოვი და ჰეტრე და სროლად კორიდელი.

¹⁷⁾ ბროსეთი: „...ათი გადანაჯი ზღოს და... გუეშალოს ასევე იყოს“. „გადანაჯი“ კი არა, ბოტინათი გადაიხადოსო გუჯრის მშლელმა ბერძნული ფული „ბოტინათი“ („ბოტინატი“) საბერძნეთში იჭრებოდა იმპერატორის ნიკიფორე ბოტინატის (1078—1081) მიერ. მალე ამის შემდეგ იგი ჩვენშიაც შემოვიდა ხმარებაში.

13. ბურჯან II-ის ხელით მხედრულად ¹¹⁾).

ქ. ამა ჰაზის ჩემის დამტკიცებულსა მე მორჯან ვამტკიცებ¹²⁾.

14. ბეშქენის ხელით მხედრულად ¹³⁾).

132₁ ქ. სხელითა ღთისითა და მეოხებითა და შამდგომელობითა კორიდეთისა ღთის მშობელისათა და გიწერე ესე დაწერილი მე ბეშქენ თქუენ კორიდელთა ერთობ სოფელსა მას ჟამსა, ოდეს ახალი ბეგარი დაგდევე, წინას რამ წრებოდა. ვცან, რომე ბრალი მექნა, მევე გაციშოი. ესე დამედვა: კნჯაი, მკაი, თიბაი, სადეწაფი გამწეობაი, არ გემართლებოდი და მით გაციშო-

131₂ ი. მწირველნი ხართ ჩემნი და მშობელთა ჩემთანი. სხაი, რაიც გწ(ე)რებია, ეგრევე იუოს. ესე ვინმე გიქტოის და გაქნე-ვინოს, კრულმც არს პირითა ღთისითა და დედისა ღთისა მგომობართამცა თანა არს ნაწილი სოლისა მისისაი, კელთამცა მდდეულა-მოძღვართა და მდდეულთა ჯთარითა კროლია. ამინ: —

15. ბურჯან II-ის ხელით ¹⁴⁾).

132₁ ქ ესე ვითა მამსა ჩემსა გაცაია, — რაიცა რა გაცირვებოდა გაცა-შოია, — მე მორჯანც ვამტკიცებ ჩემს ერდგოლობასა შიგან. კრუ-ლია მშელელი: —

16. ყოთლ-არსლანის ხელით მხედრულად ¹⁵⁾).

¹¹⁾ წარწერებს 11, 12 და 13 ბროსე არ იხსენიებს.

¹²⁾ ამ სამ წარწერიდამ ბროსეს მოჰყავს მხოლოდ შემდეგი უმართლოდ წაკითხული სიტყვები (გვ. 277): „ბეშქენ.. კორიდელთა ერთობ სოფელსა მას ჟამსა ოდეს ახალი ბეგარი დაედვა დაბას... და ვცან რომე ბრალი მექნა .“

ქ. ამა ჰატრთისა ჰაპის და მამის ჩემის ბრძანებასა მე
 უთელ-არსდან მამტკიცებელი ვარ:~

17. ულამაზო და უწერთელ მხედრულ ხელით.

- 187₁ კალის და კალის კევი ერთაბილი
 187₂ რაი გინდა საქმე მოყვეს, ვინ და ვინ მოკედეს, ვინ და ვინ
 დაიკოდეს ან და ვის ბოიროტ შემოყვეს და ვითა ჰასოხვისა
 კამეტეში წმიდა კვირიკოს
 188₁ გინდა რა ვინ დიდად სმინელის ოქროპირისა, მტკიცე და
 უძტვეელი რას. ვან დაშლისა შეოსროლობისათჳა შეუცვალებუ-
 ლი ამა ჰირას ზედა რაც ქნასა მათისა საქმესა მოყვეს წმიდი-
 ს კვირიკეს კალასა იასუსდებობითა და შუგამდგომლობითა და-
 უწრეთელი დაფიდევით უოველთა წერილი ესე საერთოდა. სე 2⁰).

18. ლამაზი მრგვალი ხუტურით.

192₂ ქ. სახელითა ღთისათა ესე დაწერილი მე თისჩე 2¹) და-
 გიწერე შენ ითანე და გიორგის ირემეთის ჩემის კერძის ნა-
 ხეგარი. დმურთმან გიბედნიერს აქჴენ და თქჴენტა მომავლთა.
 დაიწერა გამკებლობასა 2²) ითანე ფხუჭლისსა ტანოტრობასა
 კორიდელისსა, დორჩელი ითანე ტახირი (ჭხრი), თავგოგისძე
 ჰეტრე 2³) და სროლად კორიდეთა. და ვინცა ესე დაწერი-
 ლი შაღოს, ო ი ბ დრაჰკანი 2⁴) ზდოს და ესე არცა ეგრე
 იშაღოს:

2⁰) აქედგან ბროსეს წაუკითხავს მხოლოდ ხუთი პირველი სიტყვა
 და ისიც უმართლოდ: ვალისა კალის მაგიერ, ვალისხევი კალისხევის
 მაგიერ და სხ.

2¹) ბროსეთი—თისჩე

2²) ბროსეთი—გამგებულეებასა.

2³) ბროსეთი: „დორჩელი იე ტტრი თავგოგისძე ჰე“.

2⁴) ბროსეთი: „იბდრასი კტ“. სწერია კი ოიბ(==82) დრაჰკანი,

19. ხუცურ-მხედრულით.

247, ქ. სსხელითა დ'თისსითა ოდეს მიქაელ ხოცესს ცოლი მო-
ოკოდა ტეიხოცის ასოლა²¹⁾ მისი 'ხუთევი დაწერეთი ერთი
კარი და ერთი ფორი. ერთი დრაჭკანი ერთი...

248, ერთი თხაი.

20. გიორგი ხუცისძის ხელით ხუცურ-მხედრულად.

249)₂ ქ. სსხელითა (მამისა და ძისა) და (სულისა) წმიდისაათა მე
გიორგი დაფასხი ვესაკი (და)უც და საცახეუროს მე გიორგი ხუ-
ცისძემან შევწირე ნახერი(?); სახეგარისა ფასი ავიდე დასაჯე-
რებულად ჩემად: ია: სა ასარისა... სა... თესავსა, არცა ჩემ-
(სა სახ)ლსა კელესსა კა(ცსა) ქონდეს ესე(?) წმ შობით
ძმისა ჩემ(ისა) კელით აღვაშენე) სადა ხუედრე(ბუელიო ...)
ცხებულისათა და წა..... სტეფანე*) დოლისყა(ნას) ქ'სა მა.

ბროსე ამ წარწერის შესახებ შენიშნავს (გვ. 281): „ამავე გვერ-
დზე არის დიდი წარწერა ხუცურ ასომთავრულით გადაღებული ისე,
რომ ვერც მისი პირი გადმოვიღებ და ვერც წაიკითხებ“.

წარწერა მართლაც ისე დაზიანებულია, რომ ბევრგან ნაწერი გადა-
ღეულა, თუმცა ამ გადაღეულ ასოების კვალი ალაგ ალაგ ცხადად
გამოჩანს. წარწერა შესანიშნავია მით, რომ თარიღიანია და მისგამო ყვე-
ლა დღევანდლამდე ცნობილ ქორონიკონიან სიგელ-გუჯრებზე უძველ-

²¹⁾ ბროსე კითხულობს: „სახელითა ლისათა ოდეს მიხელ ხუ-
ცესსა მოკვდა ტე აუცისა ასოლი“ და თარგმნის კი ასრე: „Au nom
de Dieu, quand mourut la femme du prêtre Mikhael, fille du prê-
tre(?) Théodoré“. ტეიხოციოთგან, არ ვიცით, როგორ შესდგება prê-
tre Théodoré, ე. წ. მღვდელი თეოდორე, ამიტომ რომ „თეოდორე“
არასდროს ქარაგმით არ იწერება ტეი. ჩვენით ტეი უნდა იყოს ნაშთი
ბერძნულ თეოსისა ან და ქართ. სიტყვისა მტეი, რომელიც 1035 წელს
გადაწერილ დავითნის თარგმანში გვხვდება ფორმით ტე (პურის—ტეი).

*) სტეფანე ბერძნულ მინაწერებშიაც იხსენიება, მაგრამ ბერძნულ
მინაწერის სტეფანე მიკელ ხუცის ძმა არის.

ლესია. ამავე კორიდეონის მიხედვით შეგვიძლიან აღვნიშნოთ თვით დრო-საუკუნეც კორიდეთის სახარების დაწერისა: ამიტომ რომ რახან გიორგი ხუცისძის წარწერას აზის კორიდეონი მა (=821 წ.), თვით სახარება ბევრით აღრე დაიწერებოდა, ე. ი. არა უგვიანეს მე-VIII საუკუნისა მიიწი.

21. მრგვალის ხუცურით.

249₂ ქ. ესე ოთხ(თ)ავი და ერთა სახარებაჲ²⁶) განთხსული კორიდეული დაშლილი ვნაჲ ჟამთა სიგრძლეთა. მე ერისთავთ-ერისთავმან ბეშქენ შევკვაზმე: ესე ოთხთავი მოვტყდე ჭჳართა და ცჳართთა, სახარებაჲ მათი სადაგად შევმოსე. აწ ვინცა იგიითხვიდეთ და იმსახურებდეთ წმიდათა ამათ წიგნთა, ღოცჳას მომიქსენეთ ცოდვილი ესე და უღირსი, რამელსა დიდად შეკვაზმის შენდობაჲ დღესა მას განკითხვისასა:~

22. ქართულ-ბერძნულ ასოებით ყდაზე.

თავსა წიგნთასა წერილ არის ჩემთვის ჯაფნებისა²⁷).

ეს სიტყვები ამოღებულია დავითნიდამ (39,7), საცა ვკითხულობთ: „თავსა წიგნთასა წერილ არს ჩემთვის“. „ჯაფნებისა“ კი თავისით მიუმატებია წარწერის ავქსონს.

მ. ჯანაშვილი.

²⁶) ბროსეთი: „ესე ოთხთავი სახარება“. წარწერაში კი ორი ხელნაწერი იხსენიების.

²⁷) ეს ბერძნულ-ქართული ასოებით მინაწერი მოყვანილია ბროსეს შრომაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

ეს ბ-ნი მ. ჯანაშვილის მიერ გადმოწერილი კორიდეთის სხარების ქართული მინაწერები ჩვენ შეუუდარეთ დედანს და მცირედნათ შევასწორეთ. სამწუხარო ვეკლავ უძველესი მე-20 ხუცური მინაწერი ისე გადასულია, რომ მისი სრულათ აღდგენა შეუძლებელია. ხალხი ჩვენც მოსუ ჯანაშვილთან ერთათ გვგონია, რომ უკანანასკნელი ორი ასო ამ წარწერისა „მა“ ქორთნიკონის რიცხვია და უდრის 821 წ. აქამდე ცნობილს ქართულ წყაროებში ქორთნიკონის წელის აღრიცხვა ზირველათ გვისდებოდა სუმბატ დავითის ძის ბაგრატიონების ქორთნიკაში, სადაც მოხსენებულია აშოტ კურაპალატის სიკვდილი „დასაბამითგან წელთა ხვდ, ქორთნიკონსა მეთა-ცამეტედ მოქცეულსა შინა მ ვ (იხ. -ქარ. ცხ.“ მარიაშ დედოფლის ვარიანტი, ჩვენი გამოცემა, გვ. 345). დასაბამიდან 6430 წელი ქართულის სათვალავით და 46 ქორთნიკონი მეცამეტე მოქცევისა უდრის 826 წელს ქრისტეს შემდეგ. მე-20 კორიდეთის სხარების მინაწერი, თუ ჩვენ არ ვცდებით, ხუთი წელით აღრე უჩვენებს ქორთნიკონის ხმარებას ქართულს მწერლობაში. სხვა წარწერების საზოგადო აზრი ეტყობს აღარ იწვევს მართლ-კითხვაში. მხოლოდ უთარილობის გამო გადაჭრით არ შეიძლება თქმა, თუ რომელ დროს ეკუთვნის თითოეული მინაწერი. ხელის მიხედვით უძველესი მხედრული მინაწერები უფრო მეთერთმეტე და მეორემეტე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდენ.

გენეალოგიურ ტაბულაში ბ-ნი მოსუ ჯანაშვილს ბეშქენ II და ბექა ერთ და იმავე ზირათ მიაჩნია, მაგრამ ამის უტყუარ საბუთს მინაწერები არ იძლევა. ჩვენ გვგონია, რომ ბექა და ბეშქენი ერთი და იგივე ზირი არ არის, არამედ ძმებია, მერვან I-ის და ავთას შვილები. ტექსტის მიხედვით აგრეთვე, შვილი სახელით მერვანი ბეშქენსაც უნდა ეწოდეს და ბექასაც.

განუთჳილება

IV

ეთნოგრაფია:

სახალხო სიტყვიერება.

ხალხური ზღაპრები

(შეკრებილი სევასტი გაჩეჩილაძის მიერ სოფ. წვეაში, ზემო იმერეთს).

1. დღით მკედარის დედა.

იყო ერთი დედა-ბერი. ერთი ვაჟის მეტი არა უავდა-რა, და ისიც კარდევდა. ზომა და ანგარიში აღარ ქონდა დედის მწუხარებას. გასვენეს ცხედარი და ერთ მახლობელ გაუქმებულ სახლარში დასაფლავეს. გვიდა დრო და ჟამი.

ერთ ხემწიფეს მზეთუნახავი ქალიშვილი უავდა. ბერი მთხოველი დიდი-კაცის შვილი მიდიოდა, მარამ არავის არ მიუგებოდა, უგელას იწუნებდა. ბოლოსაც ილაჯ-გაწვევით მამას ძალათი უნდოდა დეებვირგვინება თავისი ქალიშვილი. ეს რომ ქალიშვილმა გვიგო, გვიპარა ღამით და დიდი ხეტიალის შემდეგ ამ გაუქმებულ ეკლესიას წაატყდა. კარი ღია იყო. შვიდა შიღ და, რომ მადევრებს ვეღარ მიეგნოთ, კარი მოხურა, თითვან კი აკლდამაში ჩაძვრა. ამ აკლდამაში ესვენა ის დედის-ერთა ვაჟი თავ-ახლილი კუბოთი. ეს ვაჟი უოგელ დამ ადგებოდა, მთელ დამე ეღვინძა; როცა დილა მოახლოვდებოდა, ჩაწვებოდა თავის კუბოში და მოკვდებოდა. ასე ემართებოდა ცის მარად დამე.

როცა ეს მზეთუნახავი ჩვედა აკლდამაში, უმწიფელს ეღვინძა, კაცობსლებული იყო და უელზე შემოესვა მზეთუნახავს.

— შენი ბედი ვოფილვარო, უთხრა მზეთუნახავმა და, თუ გინდა, ქებ¹⁾ მაშალო.

მადევრებმა მზეთუნახავის ავან-ჩავანი ვეღარ გვიგეს და თავი დაანებეს მის ძებნას.

გვიდა დრო და ჟამი.

მზეთუნახავმა იგრძნო, რომ გუღთან რაცხა²⁾ დემძვრა³⁾). ეს ამბავი დამე უთხრა ვაჟს და იმანაც უჩინა: წადი ამა და ამ გზით,

¹⁾ კიდევ; ბარემ.

²⁾ რაღაც.

³⁾ დაენძრა.

აქა და აქ ამისთანა და ამისთანა სახლს ნახავ. მიდი იქ. იქ არის დედა-ჩემი. ჩემ შესახებ არასფერი არ უთხრა. მიდი იმასთანა და ის მოგიყვლისო. მე-კი უფველ ღამ მოვალ იქ და გვევკებ შენს ამბავსაო.

როგორც ვაჟმა უჩინა, მზეთუნახავიც ისე გეისარჯა. მივიდა იმ სახლში, ნახა იმ ვაჟის დედა, შეჩვილა თავისი ფეხ-მძიმობა და შვილის სიყვარულისთვის თხოვა, რომ შეველო მისთვის. დედა-ბერმა დიდი სიხარულით მიიღო, განსაკუთრებით თავისი შვილის სიყვარულის ხსენების გამო.

ამ დღიდან უფველ ღამ მევიდოდა ვინცხა, შევიდოდა სახლის სახურავზე და საფაფურიდან ¹⁾ ჩუმათ ჩამოძახებდა:

იასმან — გულისმან,

შენი საქმე რაყარაო?

მზეთუნახავიც მიასარებდა ჩუმი ხმითვე, რომ დედა-შენი ძალიან მივლის და მეფერებაო და არა მიშავსრაო.

ეს ქალ-ვაჟის ერთმანეთთან გამოღარდილება ²⁾ არ გამოძახავია არც დედაბრის სმენას. იმან გეიგონა, რომ ვინცხა შედის სახლის თავზე და „იასმან-გულისმანს“ იძახის.

ერთჯელ კითხა დედა-ბერმა ამ მზეთუნახავს: ვინ არის, საფაფურიდან რომ ჩამოგძახის ხოლმე, დედა-შვილობას, მითხარო. მზეთუნახავი გადაუიცივდა და არასფერის გულისთვის არ ეტყოდა ხოლმე.

ერთჯელ, როცა ფეხ-აკრეფით სახლის თავზე ასული უძახოდა მზეთუნახავს, წამოდგა ღოგინიდან დედა-ბერი და დოუძახა მზეთუნახავს: თუ შენი ორგული არ ვიყო, ნუ დამითარავ, ვინ გიძახისო. მზეთუნახავი ვერ ბედავდა: ვაი თუ შერე აღარ მევიდეს ჩემი სატოფოო.

ვაჟმა ჩამოძახა: ნუ გეშინია! უთხარო!

— გეტყვიო, უთხრა დედა-ბერს მზეთუნახავმა, მარამ იმ ბირობით კი, რომ წამალი უშინო და მოარჩინოვო;—ის შენი ვა-

¹⁾ სახურავში ბოლის (კვამლის) ასახველი ნახვრეტი.

²⁾ გამოხმაურება, გამოლაპარაკება.

ჟია ჩემი გულის სატრფოვო, — ღამე ცოცხალი და ღღისით მკვდარია.

— ოღონდ კი მასწავლეთ, რა უშველება, რა გააცოცხლებს, თუარა ქვეყნის კიდეს იქითაც წავალო.

— ამა, წადი, გადაუვივო თან და მზის ღელა მანინც ნახეო. შეეხვეწე მას, — ასე და ასეა ჩემი ვაჟი და მიშველე რამე წამალი-თქვა. ის გასწავლის, თუ რა წამალი უშველის შენს ვაჟს. სხვა უოველი ვე ცდა ამათა, სხვა არასფერი უშველის შენს ვაჟსაო.

წვიდა საბრალეო ღელა. იარა, იარა და, რომ გეიხელა, ღეინახა, ოთხი მამა-შვილი მუშაობს უანაში.

— სად მიდინარ, ბუბიაო, კითხეს უმწვილეებმა.

— მზის ღელის სანახავათ მივდივარო, — და მოუყვა თავის გაჭირვებას.

— შენი ჭირიშე, ჩემო ბუბია, — შეეხვეწენ, — თუ ნახო მზის ღელა, კითხე, ჩვენი საქმის უიმედო უოფას რა უშველება? ჩვენ ვართ ოთხი მამა-შვილი, ძარღვები გვაწუდება, კანში ვძვრებით, ისე ვშრომობთ, და ხეირი არა აქვს ჩვენ შრომასაო.

შეპირდათ ბუბერი და წვიდა, გოუდგა თავის გზას. ბუერო იარა თუ ცოტა, ხედავს, რომ გუთნეული გოუბამსთ და ცხრა უღელი ხარ-კამბეჩი ვერ შიათრეუს გუთანს. გუთნის-ღელამ კითხა ღელა-ბერს: სად მიხვალ, ბუბიაო? ღელაბერმა მიუგო: მზის ღელის სანახავათაო, და მოუყვა თავის გასაჭირს. ახლა გუთნის-ღელა შეეხვეწა ღელა-ბერს, — ხომ ხედავ, რავა ვწულებით, რავა ვინოცებით და ფაიდა¹⁾ არა აქვს ჩვენ შრომასაო. კითხე ღელაშვილობას, რა უშველება ჩვენს საქმესაო. ღელა-ბერი შეპირდა და გოუდგა თავის გზას.

იარა და იარა, ხედავს, — ცხერის ფარა დატყეინლა, ძლივსღა იღებს სუელს. თავზე ადგია მწეემსი და ხელ-გულ დაკრეფილი ტირის.

— სად მიხვალ, ბუბიაო? კითხა მწეემსმა.

— მზის ღელის სანახავათაო, მიუგო ბუბერმა და თან მოუყვა თავის გასაჭირს.

1) ნაყოფი, ხეირი.

— ხომ უფურცე, ჩემო ბებია, როგორ უნუგეშო უოფაში ვარ, მთელი ფარა ცხვარი მიწედება; გამიგე, დედაშვილობას, რა ეშველებათ?

შეპირდა ბებური და გოუდგა ცხას.

იარა ბებურმა და იარა... ხედავს, რამ ერთ მიდორში ირემი დგას, ფეხებს ვეღარ სდგამს. ერთი ბორჯდანი რქა მიწაში ჩარტობია წვერებით, მეორე კი ცამდი ასვლია.

— რას შეები, ირემოფო? კითხა ბებურმა.

— ამ რქების წყალობით ისეთია ჩემი გაჭირვება, გეღარ ვიმძრევი.— შენ სად მიდიხარ?

— მე მივდივარ მზის დედანთანო; და მოუყვა ბებური ირემს თავის გაჭირვებას.

— აბა, რაღა შორს მიხვალ, უთხრა ირემმა: აუევი ჩემ რქებს და ახვალ მზის დედანთანო და, დედაშვილობას, არ დეივიწუო ჩემი უსაშველო უოფაც, ჰკითხე, რა მიშველისთქვას?

ირემის რქების ბორჯდებს ისე აუვა ბებური, რავარც კიბეს, და უვიდა მზის დედის ძეღურ¹⁾ ქახში. შინ იყო მზის დედა. გამოდგა განის²⁾ კარზე და შეიხმო შინ დედა-ბერი.

— რა გაჭირვებამ მოგიუყანა ჩემამდო, კითხა აცრემლებულ ღეღაბერს მზის დედამ.

დედა-ბერი ჩამოჯდა ღოგინზე³⁾ და ძიმის⁴⁾ მარცვლივით ჩამოუთვალა, რაც უბედურება ეწია.

— ნუ ტირი, ნუ გეშინიაო, უთხრა მზის დედამ: მზის პირის ნაბანი წეიდე და ის მოგიორჩენს შენს ვაჟსაო. ჩადი ისეგ იმ გზით, რომლითაც ამოხვედი. იქ შეიტადე გათენებამდი. გათენებისას წამოვა ცვარი, ეს არის მზის პირის ნაბანი, მოუყარე თავი, წეიდე, მოასწურე იმით შენი შვილი და დღისითაც ისე ცოცხად იქნება, რავარც დამით არისო.

¹⁾ ძეღური—მრგვალი ძისა.

²⁾ გვერდის კარები.

³⁾ საწოლი ტახტი.

⁴⁾ მძივის.

მადლობა მოახსენა დედა-ბერმა მზის დედას და დოჟოცნა მუხლები.

ახლა კითხა დედა-ბერმა: ასე და ასეა ირმის საქმე და გთხოვს, რა ეშველებაო.

— რომ ჩახვიდე ძიარს, მიუგო მზის დედამ, შეუმძვროე რქები, წაძვრება, გოუმხატვება თავი და იფრენს თავის ნებაზედაო.

— რადა ეშველება დაფოლხვებულ¹⁾ ცხვარსაო?

— გაკრიჭონო.

— რა ეშველება გუთნის-დედის მწუსარებასაო, და მოუყვა გუთნულის ამბავს.

— რკინის უღელი არ ვარცა, ხის უღლები იხმარონ: მხატვა და მსუბუქათ გასწვევენ ხარ-კამბეჩები, ბევრს მოხნავენ და მოსაყადიცი მეტი მოგაო.

— რადა ეშველება მამა-შვილებს, — მუშაობენ და ხეიანი არა აქვს მათ ნამუშევარსაო.

მამას ნუ ამუშავებენ... მოხუცებულნი კაცის მუშაობა საცოდაობის არის და უფაიდო. უთხარი შვილებს, ნუ ამუშავებენ მამას და მეტი დოჯათი ექნება მათ შრომასაო.

— ამ ზსუსების შემდეგ ჩამეიარა ირმის რქის ბორჯღები დედა-ბერმა, ჩამევიდა ძიარს, შეუმძვროა ირემს რქები, წაძვრენ, ეიშვა ირემმა და გაშხა²⁾ შთისაკენ.

მეიდა იქვე გათენებაში დედა-ბერმა. კანთიადისას მოუყარა თავი დიდის ცვარს და წამევიდა შინისკენ.

მიახარა მეცხვარეს: გაკრიჭე ცხვარიო. მანაც გაკრიჭა და წამოდგა ფეხზე ცხვარი.

მიახარა გუთნის-დედას: რკინის უღლით ნუ ტანჯავ ხარ-კამბეჩს — ხის უღლები მხატვა და უფრო მსუბუქათ იმუშავებს ხარ-კამბეჩიო.

ასე მეიქცა გუთნის-დედა და სისწრაფით წვიდა წინ მისი საქმე.

ახლა მიახარა მომუშავე შვილებს: თუ გინდათ დოჯათიანი შრომა, მამას ნუ აწვალბობთ, ნუ ამუშავებთო.

¹⁾ დავარდნილი, დასუსტებული, მოხსლეტილი.

²⁾ გაიქცა, გავარდა.

აღარ ამუშავებს მოხუცებული მამა და მეგობარ მათ შრომას ბარაკა.
ამასობაში მივიდა დედა-ბერი შინა. უსხურა მზის პირის ხა-
ბანი თავის დღისით შველარ შვილს გაუქმებულ სახტარში, და გა-
ცოცხლდა.

— უფუქ! რამდენ ხან მძინებიაო! თქვა მან.

— არა, შვილო, უმადლოდუ მზის დედას და მზის პირის
ხაბანს, თუარა შენთვის საშველი აღარ იუოფო, უთხრა დედამ და
მოუუვა თავის თავ-გადასავალს.

ამის შემდეგ დაავიწრო გვინა თავისი ვაჟი და მზეთუნახავი, „ა-
სამან-გულისამანი“, და კიდევ შეეძინათ საუვარელი შვილი.

ბოლოსაც შეიწვია მზეთუნახავმა თავისი მამა. ეწვია. რომ გე-
ოგო უოველივე ამბავი, ერთოფ გვეხარდა, ჩეიხუტა გულში შვილი-
შვილი და მას დოულოცა თავისი სამეფო.

2. გველ - ვ ა უ ი.

იყო ერთი დედაბერი. ხან-გადასულს გოუჩდა შვილი, მა-
რამ რომ სულ არ გაჩნოდა ის ერჩია—გველი დედადა. დედას მა-
ინც უუვარდა თავისი გველ-შვილი, ძუძუს აწოკებდა, უვლიდა და
ზღიდა. გველიც გვიხარდა, დამსხვილდა—ბუხუნხალა¹⁾ შეიქნა.

ერთხელ ამ გველმა ენა ამეიგნო და უთხრა დედას, — წადი
ჩვენს მეუესთან და მოახსენე: ჩემმა გველმა-ვაჟმა შემოგიტვალა,
შენი მხოლოდ-შობილი მზეთუნახავი ქალი მამათხროვე-თქვა.

დედა შეშოთდა. ის შუაშინა იმან, რომ მისი შვილი და ისიც
გველი უბედავს მეუეს დასიძებს და კიდევ მეტათ იმან, რომ გველ-
მა ენა ამეიგნა და დეაწუო კაცოვით ღაპარაკი. მარამ მეტი ჭანი
არ იყო, ვაჟი არ აძლედა მოსვენებას: წადი და უთხარიო.

— მომკლავს, შვილოფო, ეუბნეოდა დედა-ბერი, მარამ არც
არათერი ამ უარმა გააწუო. ბოლოსაც წევიდა, — გაბედა დედა-ბერმა.

მივიდა დედაბერი მეუესთან სასახლეში. მიიწოდა მეუემ და
კითხა, — რა გნებავს, დედაკაცოფო?

1) ფუნხულა და მსხვილი.

— ჩემმა გველ-ვაჟმა მოსვენება არ მომცა, თქვენს ქალს გთხოვთ სტოლოთაო და მოუყვას უველაფერს. მეფემ არ გეიკვირიაკა¹⁾, გუელ-დასმით მოუსმინა და პასუხათ უბძანა: უველა ჩემმა ხელ-ქვეითმა იცის, რომ მე ვარ ერთი ღარიბი მეფე. მომძალეობია ერთი მოსამზღვრე მეფე და განადგურებას მიქადისო. ახლაც გამოუგზავნია შუა-კატები და სამ კითხვას იძლევა ასახსნელათ; თუ არ აუუხსნი, დამარბევს და დამაქცევს. უთხარი შენს ვაჟ-გველს, თუ მოახერხებს და ახსნის ამ სამ კითხვას, ქალსაც მივითხოვებ, რადგანაც განსაცდელს გადაშორებს თავზე ჩემ ქვეყანასო.

პირველი კითხვა: მე შეავსო, ითვლეკინება ის მეფე, — ცხენის ჯოგი, გამეიციანი, რომელია დედა და რომელია შვილებიო.

მეორე კითხვა: აგზავნის ქვასანაუს²⁾ და ითვლეკინება, ამაზე ამოჭერთ ათასი წყდა³⁾ თასმა და გამამიგზავნეთო.

მესამე კითხვა: ჩემ ქვეყანაში ერთი მხარეა უწელო, წუარო არსაა და გოუჩინეთო.

დედაბერმა თქვა: თუ გადავიკიდე ჭირი, ეს ახლა გადავიკიდეო, და კუნკულ-კუნკულით გამოქანდა შინისკენ.

— რა ქენიო, კითხა გველ-ვაჟმა.

— რაღა რა ვქენიო, მიუგო ნერწევ-გამშრალმა დედამ: სიკვდილი გველის, მეტი არაფერიო. ამ ბოროტებას შენ გადამიკიდეო და დეიწეო ქვითინი.

— რა დაგემართა, რა იუოვო, ჩანცივლა გველი: მე ის ხელ-მწითე ვერ მამერევა, თუ ძალაზეაო.

დედას ამ სიტუების გაგონებაზე სულელივით გვეცინა:

— მეფე ვერ მოგერევა ერთ ღვაფს⁴⁾ გველ-ფეშისაო?

— ვერაო, დარწმუნებით უთხრა გველმა.

— ამა კარქი და ოუხსენი ახლა ეს კითხვებიო და მოუყვას, რა კითხვებიც იყო ასახსნელი.

¹⁾ დიდათ არ გაიკვირვა, არ იუცხოვა.

²⁾ ფილთაქვას.

³⁾ წყრთა.

⁴⁾ ღვაფსი—ძალიან პატარა (ერთი ბეწო).

ბგელი ერთ წუთსაც არ ჩაუთქრებულა და უთხრა დედას:

— წადი ახლავე და მოახსენე მეთვის: გაცხანე შენი ვეზირი იმ მეთვისთან და დააბარე—რამისხო თანა უნდა, მინუში ამოტეხი ამ ქვასანაუზე და მეც იმ ზომას გამოგვტრო. ვერ ატრის ამ ქვასანაუზე მინუშს და შერცხვენილი დარჩებაო. ცხენები დაწურონ სამ დღეს და როცა გამოუშვებენ, რომელიც დეიხვიხვიხებს — ის იქნება დედა. სადაც დამწუკრავლებულია ხაღხი, იმ ქვეყანაში ერთი მუხაა ამა და ამ ადგილას, მოთხარონ ის მუხა და აშეიღონ იქ მადლი ¹⁾ ორმო, სანამ წყალი არ ამევიდეს. ის იქნება ტა და მისი წყალი იხმარონო.

გათრინდა დედა მეთვისთან. მივიდა. მთელი სასასახლე დამწუხრებული და უიმედო იყო. როცა მივიდა დედა-ბერი, ვეკლას სიცილი აუტრუდა ამ გაჭირვების დროსაც, მარამ, როცა ჰასუხი გვიტეს, დიდი მოწინებით მიიღეს, ეს სულ უოგელივე გადაცეს შუა კაცებს, თან გაატანეს ვეზირი და ჰირში ჩაღა გამოვლებული დარჩა შარინი მეფე. ეს-კი გადაჩნა გასაჭირს, და კიდევ გვიწვია თავისთან ჰირობის თანახმად სახელ-გათქმული ბგელი.

შემოზოზდა სახლში ბურუხუნა ²⁾ ბგელი. დიდი თავაზით მიეკება ვეკლა, უფრო უშინათ მისი, ვიდრე მოსწონსთ. შიშის ხათრია, რომ ეალერსებინ. მოუჯინეს ბგელს დედოფალი, მზეთუნახავი ბგერდით და გამართეს ქორწილი.

ისეთია დედოფალი, რომ დანა კბილებს ვეღარ უხსნის. მის მწუხარებას ზომა და ანგარიში არა აქვს, მარამ რა ბეწეობა — ჰიროა შიციმული და ალბათ მისი ბედი უოფილა!

ბეწეუნეს ქორწილის შემდეგ ნეფე-დედოფალი სანთიობოში ³⁾. მიხურა მეფემ სანთიობოს კარები თუ არა, წეივლო თმაში და წვერებში ხელები და ბურჭვა-ბურჭვა ⁴⁾ იბდღვინდა: შეტამს ის წეეული ბგელი ჩემ ქაღსაო!

¹⁾ ღრმა.

²⁾ ბუხუნხულა, ბუნხულა.

³⁾ ახლად ჯვარდაწერილთათვის საკუთარი ოთახი.

⁴⁾ ბლუჯა-ბლუჯა.

მარამ სანთობოში კიდე უფრო ძნელი საქმე ხტებოდა. მზეთუნახავს კისერზე შემოსხვეოდა გველი და ტუბილი ადერსით ორთგაყოფილ ენას უფოფდა ზირში. ქალი სულს ღვედა — აღარც მკვდა-რი იყო და აღარც ცოცხალი; განცივებულიყო და თითქოს აღარ-ფერი აღარ ესმოდა. გველი-კი ეუბნებოდა: ნუ შემოზიზღებ, ნუ დამერიდებო, იქნებ ისევ მოხტეს, რომ შენ მკალერსებოდე და მე-კი აგრე გვეიყინოყო. ამ ადერსში და ეშხში რომ არის, გაძვრა მე-ტის-მეტი სიუვარუდით კანში და, ჭოი, სასწაულთა მზესავით მანათობელი უმაწვილი გამოვიდა. ახლა კი შეაკუსა ¹⁾ თვალეები მას მზეთუნახავმა, გულმა საშინლათ დოწწო ძეგრა და ცეცხლი აენტო სასხეზე; აზრადღა, აზრადღა — მზესავით ანათებდა. ამათ ნახვას აღარასფერი ჯობდა. ვაჟის ოქროს თმა მზის სხივებივით ბრჭყვი-ნავდა და ქალი სინაზით უსვამდა შიდ მარგალიტოვით თითებს. ამ დროს ჭიჭიტაღან ²⁾ შეიხედა სანთობოში ერთმა გადიამ — ეს რა სინათლე მოდის იქიდანაო, ვაი თუ ცეცხლი ამოუშვა გველმა ზირიდან და დასწვა დედოფალიო. მარამ რა დეინას? აღარაფერი ჯობდა სანახავთ ვაჟს, და ორივეს ნეტარება აღარ ითქმოდა.

გამეიქტა გადია მტირალი მეფისთვის ამ ამბის მისახარებლათ. შეიქნა ხმაური, ჟდრიაშული, მითქმა-მოთქმა; გაქანდენ სანთობოსკენ. მეტის-მეტი სინარუდით ჩამტვრიეს კარები და მეფე ეცა გველის ხალთა-კანს.

შეკრთა ვაჟი, შეშინდა.. დააზირა მადლა ახტომა, ჭკერისკენ შენავარდება და.. გადვიქტა სვეტაკ ტრედათ. დეიწო ფრიალ-ფრიალი სანთობოში, ეძებს გამოსაფრენ კარს, სარკმელს. უკან დედეგენება და უნდა მისი დაჭერა მზეთუნახავს და გული მიუდის, ეშინია, აღარ დამეკარგოსო. თან ჩამოდის ცრემლები, თანაც იცინის. ბოლთსაც იშონა ტრედმა ღია კარი და გამოძვრა შიდ, გამოფრინდა. მიფრინავს ტრედი ნელ-ნელა. მზეთუნახავმა თხოვა მამა მეფეს თავისი რაში. იმანაც მაშინვე მიაგება. შეჟდა ზედ მზეთუნახავი და გაჭევა ფრენა-ფრენით თავის ტრედს.

¹⁾ შეაკუსიტა.

²⁾ ჭუპრუტანა, ჯუჯრუტანა, ჭუტრუმალა.

მიფრინავს ტრედი და შიდუღუნობს, მიფრინავს რაში და მისდევს ტრედს კვალ და კვალ მზეთუნახავი. შეჯდება ხეზე ტრედი, მივა მზეთუნახავი, ტრედი აფრინდება და ნელა, აუჩქარებლათ მიფრინავს კიდე იქით. ამნაირი ფრენა-ფრენით მივიდენ ზღვის ზირზე. ზღვაში მანაწა კუნძული იყო კიდის მახლობლათ. კუნძულზე იდგა ერთი კოდალივით ¹⁾ სწორი მაღალი ალვის ხე. ამ ხე ე შეფრინდა ტრედი და დეიწყო დუღუნი. გადააქანებს ნიაფი ალვის ხის წვეროს, თან გადაუვება დუღუნით სპეტაკი ტრედი, კადმოაქანებს, თან კადმოუვება. გააქანა მზეთუნახავმა რაში, ისკუპა რაშია კიდიდან კუნძულზე, მარამ იმდენი ადგილიც ადარ იყო, რომ ოთხივე ფეხით დატუულიყო. მხოლოდ წინა ფეხებით დეკვიდა კუნძულს რაში. ალვის ხემ ქედი იხარა. წატოტინა ტრედისკენ ხელი მზეთუნახავმა. მარამ ტრედმა ისკუპა, შეაჯდა მხარზე მზეთუნახავს და უურებთან დოუწყო დუღუნი. ისკუპა უკანგე რაშია, დახტა ზღვის კიდეზე. ტრედი ხან თავზე ევლება მზეთუნახავს და ხან ფეხებზე აჯდება, მარამ უოველივე ცდა მზეთუნახავის, რომ შეიგდოს ხელში ტრედი—ამათ რჩება. დღესაც ასე დაფრინავს რაშით მზეთუნახავი და ტრედიც თავზე ევლება, ხან მხრებზე აჯდება მზეთუნახავს. იმათი ფოფინი ²⁾ და ფორთქინი დოუსრულებელია.

3. მ ე თ ე ს შ ე ე ლ ი.

იყო ერთი მეფე. უავდა ერთი შველი. ამ შველს სულ რძეში აბანიებდენ და კაკა-ბაბას ³⁾ არ აკლებდენ. მეტათ უუვარდა ხემწითეს და მიჩენილი უავდა კარის კანები: არ დაგეკარკოსთო.

მეფეს უავდა ერთი ერთოფ გამოცთილი და ხანში შესული გეზირი. უიმისოთ მეფე წყალს არ დააქცევდა. დიდი სამსახური გეეწია თავის სიცოცხლეში მეფისა და ქვეყნისათვის, და მეფესაც ძან უუვარდა.

¹⁾ კოდალი—(ისარი) სწორი და თავ-სხვილა, შვილდით სასროლი. ჯოხი.

²⁾ ფოფინი—ტრფიალი, ალერსი.

³⁾ კაკა-ბაბა—ხილეული და პური.

ერთხელ ეს ვეზირი შინიდან მიდიოდა სასახლეში. ეზოში რომ შევიდა, უცბათ უური მოკრა, რომ საჯინბოში მუჯინბე წერებოდა. გეწერა ¹⁾ ვეზირი და მიაურა. მუჯინბე ნიჩით ნაკელს ²⁾ ურიდა განის კარიდან. ეილო ერთი დიდი ნიჩათი ნაკელი და საჩამ ცადმოურიდა, დეიძახა: ეს ერთი ნიჩათი ნეხვი იმის დედ-მამის სასულეში, ვინც თავის ბატონს უერთგულსო. თქვა და გადაურა ნაკელი. ვეზირი შეტეცდა ³⁾. იმას თავისი სინცოცხლე თავისი მეფე-ბატონის ერთგულებაში დეელია და ეს პირველი ნიჩათი ნაკელიც, თუ სხვას ვისმე, მის დედ-მამასც მიდიოდა საკურთხათ. ეილო მეორე ნიჩათი ნაკელი მუჯინბემ და დეიძახა: ეს იმის დედ-მამის სასულეში, ვინც ძველი მოუვარე დეივიწყოს და ახალ მოუვარეს მიენდოსო. თქვა და გადაურა ნაკელი. ვეზირი გათითრდა. ეს მეორე ნიჩათი ნაკელიც სწორეთ მის დედ-მამას მიდიოდა საკურთხათ: მეორე ცოლი ეთხოვა და მეორე მოუვარეც პირველის შედარებით გველმერთებია, მეფესთან კარის კაცათ მეუფანა და პირველი მოუვარის გვერდში ამეუენებია. ეილო მუჯინბემ მესამე ნიჩათი ნაკელი და დეიძახა: ეს მის დედ-მამის სასულეში, ვინც თავის ცოლს გულის ჰასუსხს გოუტუდესო.

ვეზირს თავ-ბრუ დეესხა, ეს მესამე ნიჩათი ნაკელიც მის დედ-მამას მიდიოდა. თურმე ერთ აზრს არ გოუბოდილებია ⁴⁾ ვეზირის თავში და ერთ ძახვას მისი გული არ რუტკერებია, რომ ცოლისთვის არ მიეხარებია.

მძიმეთ ჩათიქრდა ვეზირი და თქვა: მოდი ერთი ვშინჯავ, რამდენათ საგულისხმია მუჯინბის სიბრძნეო. ამა ვეზირს ვინ უთვალთვალებდა და არც არავის შეეძლო იმასავით იმ განძახვის ასრულება, რომელმაც მას გოურბინა გულში, — მან შეიპარა მეფის შველი.

ერთი ურია იყო ამ ქალაქში. კარგათ იცნობდა მას ვეზირი. მივიდა იმ ურიასთან, მიგვარა შველი და უთხრა: ისე შემიანხე ეს

¹⁾ შეიკუმზა, გაინაბა.

²⁾ პატის, ნეხვს.

³⁾ სახტად დარჩა, განცვიფრდა, გაოცდა.

⁴⁾ გაუვლია.

შველი, რაგონი შენი თვალის ჩინიო. არაფინ გინახს, თუ არა ჩემი და შენი ჩამოხრება აუცილებელი რამე იქნებაო. ურამ ჰა-ტიოსანი სიტუვა მიცა და დაარწმუნა, რომ, მთელი დედამიწა რომ გადაბრუნონ, ამ შველის ნახვას ვერაფერს მოახერხებს, ამის კვალსაც გააქრობო.

ვეზირი თითფან წაშვედა, დაკლა თხა, გაატყავებია, მიცა ფურნეში და შეაწვევია; წამეიღო ლახტით ¹⁾ შინ, შეიტანა და მიართვა ცოლს; გეინმეო სიღუმელთ ოთახში და უთხრა: დიდ სახითათო საქმეში გავები, მეუფეს რომ შველი უყვდა, ის მოვხარე, შეგწვი და ეგ ის შველიაო. მეტათ მომინდა მაგის ხორცის დაჭაშინიკება, მარამ თუ შეუფე გეიგო, რომ მე მოვხარე იმას ეგ შველი, უეჭველათ დამახრებსო. არამც და არამც არ წამოგცტეს რამე ამის შესახებო.

დიდი და მძიმე ფიცო მიცა ცოლმა, რაგა ²⁾ გავამხელო და მიუჯდენ შემწვარ თხას. ვეზირის ცოლის ჰირში ის, თხა კი არა, ნამდვილი შველი იყო.

მეორე დღეს ეირია მონასტერი—სასახლე ფეხზე დადგა. მეფე რისხვით კანში აღარ ეტეოდა: ერთი შველი მოგაბარეთ და ისიც ვერ შემინახეთ კარის კაცებმა, სხვა რაღა კაის ³⁾ უნდა ველოდე თქვენგანაო. აკრიჭინებდა კბილებს და კარის კაცებს ემუქრებოდა: ახლავე ნახეთ ჩემი შველი, თუ არა უველას ტყავს გაგადრობო.

კარის კაცების საცოდაობით იწვოდა დიდი და ჰატარა. თხებივით დარბოდენ გზა-კვალ დაბნეულები და ღობე-უორეს ედებოდენ, ამა თუ სადმე მივაგნოთო. მარამ უოკელივე ცთა ამაო შეიქნა. შველის ხსენებაც კი გაქრა.

ამ დროს სიღუმელთ მიიპარა მეუფისთან ვეზირის ცოლი და უთხრა: რისთვის ტანჯავ და ახნობ ამდენ კაცს, როცა ბრალი არ მოუძღვისთ?

— მე ვიცი, რომ მაგათ არ იციან არც ის, ვინ შეიპარა თქვენი შველი და არც ის, სად გაქვრათ.

¹⁾ სპილენძის სინი.

²⁾ როგორ.

³⁾ კარგს.

— მაგათ რომ არ იციან, ეგ შენ რა იციო? გაგიგონია რაშე შენ ჩემ დაკარგულ შველზედა?

— ახა რითი შეცოდინებოდა, ეგ კარის კაცები დანაშაულები არიან თუ არაო!

— ახა მითხარი, ვინ შეიპარაო?

— მაგას ვერ გეტყვი, ავით შეეპყრობი მამპარავსაო.

— ახა, შენ როგორ გინდა, რომ შევეპყროვო?

— ნუ მოკლავ, ახატივეო.

— დეიჭირეთ ეს დედა-კაცი. მოუჭირეთ მუხრუჭები თავზე — მაგას ცოდნია ჩემი შველის ქურდი და არ ამხელსო, დეიდრიალა შეფეშ.

ვეზირის ცოლი გაქაჩეს¹⁾, მოუჭირეს თავზე მუხრუჭი და არ კი წამოატოტულიეს²⁾, რაც ბეგებონა და ენახს!

შეფე ცაცვიფრდა, როცა გვიგო, რომ მისი ერთგული ვეზირი უოფილა მისი შველის ქურდი. მით უფრო კარისხდა და იმ წამსვე დეიბარა ვეზირი.

— შენ ხარ ჩემი შველის ქურდიო?

— ვინ მოგახსენაო?

— ამ შენმა ცოლმაო.

— ქენი, შეფეო, რაც გერჩიოს, რაღა ცოლმაც მიღალატაო.

მაშინ მოეშვათ გულზე კარის კაცებს. იმათ ახლა კი თავისუფლათ ამეისულთქმეს და ერთი შერეს ელესებოდენ³⁾: აი, ეს სასჯელი დავადვათ შველის პარია ვეზირს, აი, ეს სასჯელიო.

ახალმა მოუვარე კარის კაცმა თქვა:— მამეცი ნება, შეფეო, რომ ეს ჩემი სიძე კაცი გვეიყვანო ქუჩაზე, იქ გავადრო ტანისამოსი, დავაწვირო ზირ-დაღმა და ზედ ზურგზე გავაგლო კაჟიანი სალექა კევრიო. ხალხი დეესწრება ამ ამბავს, თავის თვალთ ნახავს ქურდობისთვის სასტიკ სასჯელს და სამერმისოთ ვეღარავინ გაბუდავსო.

1) შებოტეს, მაგრათ შეპკრეს.

2) ათქმევიინეს.

3) ეცილებოდენ, ეკამათებოდენ.

— ეგ უღვთო და სსსტიკი ზომია, ჩემო მეგობარო, წამო-საჩნდა ვეზირს ძველი მოყვარე კარის-კაცი: ერთი შველის გული-სათვის ბატონმა რაჟა უნდა გემეტოს თავისი ერთგული ვეზირი, რომელსაც ამდენი ღვაწლი მიუძღვის მის წინაშე, რომ საბაზროთ და ისიც კვერის ზურგზე გავლებით აწამოსო? თუ რომ მაგისი თავი და გამოცთილება მართლაც აღარ გჭირდებათ და ერთ შველში ცვლით, თუ რომ მეტი საშველაც აღარაა, ბარემ მოკალით და ნუღა აწამებთო.

— ბარაქელა, ჩემო ძველო მოყვარეო! შესძახა გაკავებულმა და გაბაწრულმა ვეზირმა: შენი წრთელი სიტუვა გულზე მამეტხოვო. და შენ, მეჯინიბეუ! შეჭკივლა ვეზირმა: შენ უოფილხარ ბრძენი და ღიხის ვეზირობის, მე კი მეჯინიბეთაც არ ვარგებულვარ. შენთან მეც ვიმეორებ: ნაკელი მის დედ-მამის სულს, ვინც ბატონს უერთგულესი—ერთგულ უმას ჩემი ბატონი ერთ შველში მცვლის! ნაკელი კიდე მის დედ-მამის სულს, ვინც ძველი მოყვარე დეივიწიოს და ახალს ენდოს! — რაჟა გამიმეტა ახალმა მოყვარემ! და რაჟა წამამესაჩნდა, წამამეჭამაგა ძველი მოყვარე! ნაკელი მის დედმამის სულს, ვინც თავის ცოლს ენდოს!

რა თეცი მამცა, არ გიდალატებო, და რაჟა უარუშივით წამოტორტლა, მილალატა, გამცა! აი, მეფეგ! მე თქვენ, სამიგე წეება, გამოგცადე. თქვენი შველი უვნებელია,—ის აბარია ამა და ამ ურისა. დოუძახეთ და მშვენიერათ მოვლილს მოკართმევსთ. ჩემ ცოლს თხის ხორცი მივართვი და შველის კი ეგონაო!

დებიარეთ ის მეჯინიბე, მეფეო, და ის მოკახსენებსო თავის სიბრძნეს—ის დაყენეთ აწი ვეზირათ ჩემ მაგიერთათო. ამასთანავე მოუყვა მეფეს უოველისთერს დალაგებით და ყველა გაატცა. ურისც მევიდა და მოკვარა მეფეს თავისი შველი. ყველა შერცხუნილი და გაწიბილებული დარჩა ვეზირის ხელში, კარდა ძველი მოყვრისა, ურისა და მეჯინიბისა.

ურამ დეინდო ვეზირი და ცოლმა კი არა!

4. ბ რ ი ყ ე ი ო ბ ო ლ ი.

იყო ერთი ობოლი. მართალია ხემწიფის შვილი იყო, მა-
რამ დედას ისე გასულჯელებული ყავდა, ისე თავის ნებაზე იზღე-
ბოდა, რომ კაი ბრეყვი იყო.

როცა წამეინატა ¹⁾ და ახვინიაკდა ²⁾, თუტუდა დედას—ქალი
მინდა და ქალი მინდაც; მამეცი ფული, რომ წევიდე ქალის სათ-
ხრეკათათ.

ამ დროს უცხო ქვეყანაში ერთი ხემწიფე იყო. იმას ყავდა
მზეთუნახავი ქალიშვილი. მთელი დედამწის ურველი კუთხიდან
ხოლიხით ³⁾ მოდიოდნენ იმასთან საცოლო მეფის ვაჟები, მარამ უკე-
ლას ცარავდა ⁴⁾, დეეტდა, დეეეჰდა ⁵⁾ და ცარიელ-ტარიელს უშვებდა
შინ. მამა მეფე ღარიბი იყო და ისე გამდიდრდა ამნაირი წანაგლე-
ჯებით, რომ ტოლი აღარ ყავდა სიძლიდრეში მთელ ქვეყანაზე.

ამ მზეთუნახავის ამბავი მიწდომოდა ბრეყვ ობოლსაც და უნ-
დოდა ბედი ეცადა. მეტათ ატრუგებული იყო და დედას მოსვენე-
ბას აღარ აძლეოდა.

როცა გადოუწედა ⁶⁾ დედას, უთხრა შვილს: ჩადი მამაშენის სარ-
დაფებში და, რაც ფული მიიგნო, წეიდე, მხოლოდ მე ნუ შემა-
წესებო.

გამოართვა დედას კლიტეები ბრეყვმა ობოლმა და ჩევიდა სარ-
დაფებში. რაც ფული კი იყო, დახვია ხელი და გეეშურა მცარავი
მზეთუნახავისაკენ.

დიდი იარა თუ ცოტა, მივიდა ხემწიფის ეზოში. ვინ დე-
ინახავდა მას, ვინ მიაქცევდა ყურადღებას, რომ დიდ ქვაზე არ შე-

1) წამოიხარდა.

2) ატრუვდა.

3) შეჯგუფულათ, გროვათ.

4) ატყუებდა.

5) ყვლეფდა, „ტყავს აძრობდა“.

6) მობეზრდა.

სულიყო. მზეთუნახავმა უურადლება მიაქცია: ალბათ ის დიდი ტუტუცი იქნებაო და მიიწვია თავისთან.

— რა გნებავსო?

— შენი თხოვა მინდაო.

— რა გაქვს მერე, რომ მე შენ შემინახოვო?

— აი, ესა მაქვსო და, რაც ებადა, გადაუჭა მზეთუნახავის წინ.

მოაბრუნეს ბრიყვი-ობოლი, მიუშვეს და მიუშვეს¹⁾ პანდურები და გაშაგდეს კარში. ეს მოტანილი ოქრო და ვერცხლი კი ხეში-ფეშმ ჩოუშვა თავის სულარობში. ქონდა და მიუმატა.

ბრიყვი ობოლი დიდხან იყო თავბრუ დასხმული. აღარ იცოდა, რა ექნა, მეტათ ჩქარა დეცალა სიმდიდრის გუდა, თავისი სკეკალი. იფიქრა, იფიქრა და ისევ შინ მობრუნება გადაწყვიტა.

მევიდა შინ და დეკაიდა ცოდვასავით კისერზე დედა-მისს, გექნება რამე და კიდე მამეცი. ჭკუას ვსწავლობ, ერთი ფიორი²⁾ მაკლია კიდევ და მამეცი ფული სასწავლებელში გასადებიო. დედამ მიუგო:

— თუ რამე მაქვს, ხომ შენთვის მინდა, შენზე უკვეთეს ვიდას მივცემო, მარამ ჩემდა საუბედუროთ აღარაფერი შეგულებო. ეს პირველი ჭკუის სასწავლებელი ერთოფ ძვირათ დაგჯდომიაო. თუ რამეა, სარდაფებშია, სხვაგან არასფერია. სულს იქით არაფერს დაგიკავებ და მის მეტიც აღარაფერი გამაჩნიაო.

ჩევიდა ბიჭი ისევ სარდაფებში; თუმცა იქ აღარაფერი დეკტოვებია, მარამ იმედი მაინც მიიტყუილება იქით.

აჰა, სხვა რადა საიმედო იყო სადმე?

ჩევიდა სარდაფებში. ვერასფერი ვერ ნახა, ერთი გროშიც აღარ დარჩენოდა, ისე გულ-მოდგინეთ გამეკხვეტა პირველათ.

სარდაფებში ბოდილის³⁾ დროს უცნე ფეხს წამოკრა რაცხას. დეხას, ეილო, გეიტანა სინათლეზე—სლამურია, მეტი არაფერი. სლამური რას უშველის მის უბედურობას! ატირებული ჩამოჯდა

1) ჰერეს და ჰერეს.

2) ერთი ბეწო, ცოტა.

3) ფორფორტი, უაზროთ სიარული, ყიალი.

სარდაფების კარებთან და მოწყენილათ დოჟურა სალამური, უნდოდა გული გეერთო. მარამ რაღა იყო მისი გაცვიფრება, რომ უოველი მხრიდან სალამურის ხმაზე მოცვიფრდენ მეომრები, შამეკხვიენ გარშემო აბოლ-ბრიევის და იარაღს იქნევენ, თითქოს ექმამბობოდენ, თითქოს ვინცხაზე იწევენ, ვინცხას ემუქრებოდენ.

აბოლი შეკრთა, შეწევიტა სალამურის დაკვრა და უცეფ გეოფანტა ურიცხვი მეომარი.

მაშინ მიხვთა აბოლი-ბრიევი, რა იყო საქმე. ეიღო სალამური, ბედს მადლობა შეწირა და გეექანა ს:ბედოსკენ. თანაც იმეორებდა გულში: ჩემ მორევის ვინდა შეძლებს!? თუ არ გამამევა ცოლათ ის მზეთუნახავი, ნაცარ-ტუტას ავადენ ზურგზე მის მამა-მეფესაო და მთელ სახემწითოს დოვუმგვრეგო.

იარა, იარა და მივიდა იმ ხემწითოს სასახლის ეზოში, სადაც ისე საშინლათ გაფრქვინეს.

შედა მადალ ქვაზე. აჰა, ისე ვინ დეინახავდა—ურიცხვი ხალხი ირეოდა ეზოში. მოატანა სასახლის საკმელიდან მზეთუნახავმა თვალი და გულში გეეცინა: ეს დუტარა¹⁾ კიდეე მოსულაო, ჭკუა ვერ უსწავლიაო. მიინმო აბოლი ბრიევი და უთხრა: რა გაბადია, რომ ჩამციეებინარ და აღარ მეშეები, რითი უნდა შემინახოვო?

ვაჟმა მიუგო: რაც წეიდე, ისიც ბევრია. განა ის ვერ შეგინახავს შენც და და შენისთანას ათს და ოცსაო? ახლა მე სხვანაირათ მევედი,—ან უნდა გამევეე, ან უნდა ევიკლო მამიშენის საბანებელიო. თქვენ შეურაცხეთ ჩემი დირსება, თქვენ მე უკაცურათ გამესარჯეთ!

— მაგ მუქარისთვის რა ძალ-დონე შეგწეესაო? მიუგო კილით²⁾ მზეთუნახავმა და სიცილი დააჟარა.

— აი, ესა ჩემი ძალა, ეს თილისმური სალამურიო. კმარა, ერთი დავატსტვინო, რომ უოველი მხრიდან მოსკდეს ლაშქარი და გაგანადგურო მამიშენის სახემწითოვო.

¹⁾ ტუტუტო.

²⁾ დაცივით, ნიშნის მოგებით.

ამის თქმა იყო და ელვასავით გამოკლიჯა ხელში მზეთუნა-საჟმა საღამური ვაჟს. მოსცხეს და მოსცხეს ობოლ-ბრიყუს და კინ-წის ტეხით გამოუძახეს კარში.

გაცურვრაგებულმა ¹⁾ ვაჟმა ძურწა თავი ²⁾ და მთას შოუტოვა ³⁾, — მე ბარათ აღარ მეცხვარება ამას შემდეგათ; სჯობს, რომ იქ მო-კვდეთ, უკაცურად აღიდასათ!

დიდ-ხან ედებოდა ღობე-ყორეს, დიდ-ხან დახეტილობდა ვაჟი. შეიქანდა; მოშივდა, მოშივდა, შიმშილით მუცელი ეწვოდა.

ამ დროს ერთ კდეზე ⁴⁾ დეინახა ორი ძირი ლეღვი: ორივე მწიფე იყო და ჩამონახდული ⁵⁾. ერთი ჩიტა ლეღვი იყო და მეორე ბერძული ლეღვი ⁶⁾.

შიმშილისათგან გამწარებული ვაჟი ტყავში გაძვრა და ათოთხდა ლეღვებამდე.

ვეიდა თუ არა, მოწვევითა ბერძული ლეღვი და ჩეიტენა პირ-ში. ჯერ კიდევ არ გადაეკლავა, რომ წამოუვიდა შუბლზე რქები; იზარდა, იზარდა და ერთი რქა მიწაში ჩაერჭო წვერით, მეორე კი მადლა ცაში წვივდა. ისე დოუმიძიდა ემწვიდის თავი, რომ დეიწ-უო კიდევ უანტალი ⁷⁾ — ის-ის იყო, უნდა გადმოგარდნილიყო ლეღ-ვის ხიდან და ძირს ხომ სუღიც აღარ დაუვებოდა, რომ ჩიტა ლეღ-ვი მოწვევითა: მაინც ხომ აღ:რათური მეშველება და ამის შეჭმას და გულის ჩატკობას მაინც მოვასწრეთ. შეჭმა თუ არა ჩიტა ლეღვი, რქები მოუფამფაღდა და ჩამოუცვინდა. ვაჟმა თავი თავისუფლათ იგრძნო — გამწარდა. ამასთანავე გეიგო, თუ რა იყო ამ ლეღვების ძადა, მოკრიფა და ჩეიწუო თავსაფარში ⁸⁾.

¹⁾ გაბახებულმა, შერცხენილმა, გაწბილებულმა.

²⁾ დაღუნა და ჰვრა თავი.

³⁾ მიაშურა.

⁴⁾ კლდეზე.

⁵⁾ ჩამოყურული, დატვირთული, ჩამოშავებული.

⁶⁾ ჩიტა ლეღვი — წვრილი ლეღვი; ბერძული ლეღვი — მსხვილი ლე-ღვი.

⁷⁾ უანტალი — რყევა.

⁸⁾ ქალის თავდასახურავი ჩითისა ან მიტკლისა.

— ახლა კი უნდა გამოვძვრე სიბრყევის ტყეში, ფიქრობდა ვაჟი: მეუღლე ამდენი ჭკუის სწავლა. გულ-ახთილობით მე ვერაფერს გავხვით და თავს-კი წავაგებ. წავალ, ჩვენივემ მეხილის ძონძებს, წვევიღებ ბერძულ ლელვს გასაყიდათ და გოგუელი სასახლეს. მიკვიდი ხემწიფეს და მერე მე ვიცი, რაც მოუწა და რაც საშველი იქნება ჩემთვისაო.

სულ ხტომა-ხტომით წამევიდა სასახლისაკენ.

მართლაც არ იყო, გამეწეო მეხილეთ ისე, რომ ობოლ-ბრყევის მამი ველარავინ იცნობდა. ჩოუარს სასახლეს და თან იძახოდა: კაი ბერძული ლელვებიო!

მადლი კოშკიდან თვალი და უური მოკრა მზეთუნახავმა მეხილეს. მოახსენა მამის: ლელვს უიღის ვინცხა მეხილე და იუიდე, მეტათ კარქი ლელვია და გული შემივიდაო.

იუიღეს ლელვი. ახალი ხილი იყო და მეტათ ღეხარბენ. მეფე და ღედოთაღმა მხირთვეს და მზეთუნახავსაც საკმარისი გოგუზანეს.

ჭამეს თუ არა მეფემ და მისმა ღედოთაღმა, წამოუვიდათ რქები. ერთი რქის წვერი იატაკში ჩეხსო, მეორე კი მერჩში ¹⁾. კეიბლიხენ ²⁾ ღ თავ-მოდრეჯილები ველარც სვამენ, ველარც ჭამენ, ველარც წვებიან, ველარც ღბეიან. ერთ ადგილას არიან მიქვაგებული და თავის სიმძიმით კვნესიან. ასევე ღემართა მზეთუნახავსაც.

მთელ ქვეყანას მეედვა ეს ამბავი. ვინც კი იცოდა რამე ან გულთოჯობის ³⁾, ან შელოცვის, ან მკითხაობის, უველა აქ იყო და თავს არ იზოკავდა. იცოდა, რომ უხვ საზღაულს მიიღებდა, ვინც მათ უშველიდა დასაფეთებელი რქებიდან. დიდი და ჰატარა იძახოდა, ქვეყნის ტაცქლეუის ცოდვით მოუვიდათ ეს უბედურობაო. ბოლოსაც იყო, გამოჩთა ობოლი-ბრყევი. მივიდა მეფესთან კარგათ ჩაცმულ-დახურული და მოახსენა: მე გიხსნით მაგ გასაჭირიდან, თუ თქვენს მზეთუნახავ ქალიშვილს მამათხოვებთო.

— ვინ სულელი დაციკავებს, თუ კი გვიხსნი ამ სამარცხინო გასაჭირიდანაო.

¹⁾ ბერში.

²⁾ გაბლიხვა—გახირება, გაბედვა.

³⁾ გულთმისნობის.

შეჯამა მეფესა და დედოფალს ჩიბა ლეღვი თუ არა, მამინ-
თვე შეემძვრათ რქები და ჩამოცვიინდა.

მზეთუნახავისგან დიდ საუკედურს იღებდა დედ-მამა, რათ
მიღალატეთ ასე და ეს საუბედურო ლეღვი რათ მამიკითხეთო. დედ
მამაც უთუდიდა: ჩვენც მაგ ბეესაბს¹⁾ გადევკვიდეთ და რაღა ვქნათ
ახლაო. ახლა-კი, როცა საშველი მიეცათ, შეესგეწენ ამ ვაჟს მზეთ-
უნახავის რქებიდან კათავისუფლებასაც.

— ძალიან კარჭიო, მოახსენათ უმაწვილმა, მარამ ჯერ დაგ-
ვაჭკოწილეთო; ბევრი ღალატი გაციწევიათ უმაწვილებისათვის
და მეც იმასვე ვედიო; თუ თქვენ მოგარჩინეთ, იმასაც მოვარჩენ და,
თუ ჩემთვის გინდათ მზეთუნახავი, რაღა გაჭკობანებთ? ²⁾ დაგვაგვირ-
გვინეთო.

ძალიან სანახებულში ჩავარდა მეფე, მარამ სხვა ხსნა აღარ
იყო, ვაჟი აღარ ცუბოდა; რაც შეცთა, ისიც სანახებულთ განთომოდა.

დიდი ჭკობანის და ხრიკების მერე დანებდა ბედის-წილს
მეფე, რქებიან მზეთუნახავზე დაგვირგვინა ობოლი ვაჟი. მამინ-
კი გულ-დასმით უაქმა მზეთუნახავს ვაჟმა და უთხრა, როცა რქე-
ბი ჩამოაშორას:

— შენ მე მეტათ მაწამე, მეტათ აბუხათ ამიდეო, მარამ იმ-
დენი ვეცადე, რომ ჩემი საბედო არ დაგვარგეო. მე ვარ ის ვაჟი,
ქვასე რომ შევდგებოდი ხოლმე თქვენს ეზოშიო; მე ვარ ის ვაჟი,
ურიცხვი ოჭკო და ვერცხლი რომ წამართვითო; მე ვარ ის ვაჟი,
საღამური რომ გამამტაცეთ ხელში და მე კი სამარცხვინოთ გა-
მაგდეთ კარშიო. ახლა ჭკუა ვისწავლე — აღარ გამოგიტყდით, რას
და როგორც ჩავდიოდი, და კიდევ დავახწიე თავი სიბრთვეს, კი-
დევ დაგებატრონე, ჩემო თვალის სინათლეო.

მეფემ რომ ეს ამბები გვიგონა, ბედს ქედი მოუხარა, თავისი
სამეფო ვაჟს დოულოცა და კიდევ გამეფა იგი.

მეიხმო ვაჟმა თავისი დედა და ცხვარობდენ ბედნიერათ.

1) ბეესაბი — ხათაბალა, უბედურობა.

2) ჭკობანი — რყევა, ყოყმანი.

5. ნატურის ბეჭედი.

იყო ერთი ქვრივი დედაკაცი. უავდა პატარა ვაჟი. ეს ვაჟი დეიარებოდა ტყეში შეშაზე; მოჰრინდა, დააწყობდა კონათ, მიჰონდა მახლობელ ბაზარზე, ყიდა; იყიდიდა იქ ღაჭყეულს¹⁾ ამ თულებით, და მარტვა ჭადით რჩებოდა დედა-შვილი. რომ წამეიზარდა ბაჭი, უთხრა დედას: დედა, დედაო! სულ მარტვა ჭადის ჭამა დიდა უბედურებაა ჩვენ თავზეო; ერთი წასვლა წავალ უსიერ²⁾ მთაში, ჩავამქვევ³⁾ დიდ ხეებს, ჩავზიდავ ქალაქში, გავეიდი; ნაშოვარი თუელით ხორცს გიყიდი და მოგიტანო.— მაგას რა აჯობებსო, მიუგო დედამ, მარა მეშინავ, შვილო, ვაი თუ უსიერ მთაში ხიფათს გადაეკიდოო. აძღენი ხნის დედა-კაცი ვარ, უხორცოთაც იოლათ წავსულვარ და, თუმც კაი პირის გემო ვის აწეენს, მარამ არ დევუქებ—ახლოს იყავი და არათერი შეიწიო; მე ჭადზედაც კმაყოფილი ვიქნებო.

ვაჟმა არ დეიჯერა. გალესა წალდი, გეირტო წელში და გოუდაღა დაბურული ტუისკენ გზას. მართლაც არ იყო, მოჰრა ხე, კაი კაი ნათელაქები⁴⁾ დააწყო და წეილო ქალაქში. იქ იმედმა უმტუნა: ერთიც არავინ ეკითხებოდა, შეშას როგორ ყიდიო? ბოლოს გასავათებულმა⁵⁾ უკან დაბრუნება დააპირა, რომ ერთი ვიდაცა შეესეჩა და არ კი შეეგატრა! ბიჭმა უთხრა: მხოლოდ ხელი დამიცალე⁶⁾ და, რაც გინდა, მამეციო.

იმანაც ეილო და სამი შური მიცა. ხელ-დაცლილი ვაჟი გამეშურა ქალაქიდან შინისკენ. თან მოჰონდა თავისი სამი შური. ამა, სამ შურათ რამდენი ხორცი უნდა ეყიდა! მოდის შინისკენ

1) ფქვილს.

2) უსიერი—უტეხი და დაბურული, გაუვალი.

3) დავპრი და წავაქვევ, ჩავყრი.

4) ხის ღიდრონი ნახეთქები, ნაგლეჯები.

5) ძლიერ დაქანტულმა.

6) „ხელი დამიცალე“, ე. ი. სავაპრო ნივთი გამისაღე.

ჩაფიქრებული და უცფათ შეეყარა ქალაქში მიმავალ გლეხ კაცს. გლეხს მიუხვდა გასაყიდლათ ახალი ქათამი, ვარია.

— რამდენათ უიდი მაგ ქათამსაო? შეევაჭრა ვაჟი.

— სამ შურათაო, უხასუნა გლეხმა. ამეილო ბიჭმა სამი შურით და, აღარ ეჯანჯლა ¹⁾, მიცა გლეხს ქათამში. თან მიუხვდა ქათამი ბიჭს და თანაც სიხარულით სულ მალდა სტოდა, მიწაზე ფეხი აღარ ედგა, რომ საფერულ დედას ქათამის ხორციით შერევიდა ²⁾. ამ დროს შამეკებია გზაში ერთი ურია.

— რა გუყავსო? შეეკითხა ურია.

— ვარიაო.

— რავა უიდიო?

— გასუიდი არაა, დედაჩემისთვის ვიუიდეო.

— რაც გინდა, დათუასე, მხოლოდ მაშეიდეო.

— არ შემეძლიაო.

— ოც თუმანს მოგცემო. მაგ ქათამისთანას ათასობით იუიდი, ის არ გირჩევენაო?

— აჰა, მაშეცი ჯერ ოცი თუმანი ხელში და შერე მოგცემ ვარასაო.

მიცა მართლაც ურიამ ოცი თუმანი ვაყს. ვაჟი აფრინდა ³⁾: ფულის პატრონი გავხსთი და ვაჭრობასაც დევიწეებო.

მივიდა შინ დედასთან ეს ბიჭი და დოუყარა წინ ოცი თუმანი აი, დედა, რა ვიშინეო! და მოუყვა, რაც შეემთხვა.

— ვაი, შვილო, შენს დედასაო, წამეიძახა დედამ: საწყალო მამაშენი სამოცი წლის კაცი იყო, მარტვა ხმელ ჭადზე ვიდექით, მარამ იმისი ხელი არ გაბრუნდებულა, აღალი ლუკმით ვიკვებებოდიოთ. შენ-კი, — დამსეებია თვალები—და, ეც ფულები მოგიპარავსო.

ბევრი იფიცა და იჯვარა ბიჭმა, მარამ დედა მაინც თავისას გეიძახოდა. რომ აღარასფერი გოუვიდა, ვაჟმა უთხრა დედას: აჰა, წავალ, დედამიწის სვრელს გაუთხრი და გევიფლი და იმ ურიას მა-

¹⁾ ჯანჯლობა—ვაჭრობაში ბევრი ლიტინი, ძნელი მორიგება.

²⁾ ე ი. ქათმის ხორცს აჭმევდა.

³⁾ აღტაცებაში მოვიდა სიხარულისაგან.

ინც მივაგნებ, გამოვართმევ ჩემ ქათამს, მივაყრი მხრში მის ფულებს და მოგიყვან ისევ ვარაისსაო.

თქვა ბიჭმა და გაჰკრა ხელი¹⁾. დიდი იარა თუ ჰატარა, მივიდა ერთ ქალაქში. დიდ ხანს ისეტიდა იქ. ბოლოსაც იყო, წაატყდა თავზე მისი ქათმის შეიდეველ ურას და ეეტუზა გვერდში. ურამ ეს ბიჭი ვეღარ იცნო.

ვინ ხარ, რომ ჩდილივით დამდეკ უკანაო? კითხა ურამ ბიჭს.

— ერთი სოფლის ბიჭი ვარ, დამაღამდა ქალაქში. ჰატარას კაცათ შეგინანი და ვეღარ მოგშორდი—ბინა მამეცი ამალამაო.

ურამ ბინა მიცა, მარამ სანამდი შეისვენებდა ბიჭი, ურამ მიუთითა ქათამზე ამ ბიჭს: დაკალი ეს ქათამი, გაფცქვიანი²⁾, წეილე ფურნეში გამოუკუტავათ³⁾, რგვლათ შემეწვანო⁴⁾. შენ იქ მოუდექი, რომ არამც და არამც შეფურნე არ გამოკუტოსო. შეწვი და მამიტანეო.

ბიჭსაც ამის მეტი რაღა უნდოდა! წატანა ხელი, გამოსრიბნა⁵⁾ კისერი, გაფცქვანა და გოუკუტავი წეილე ღანგრით შეფურნესთან.

გოუკუტავი შეაწვევია, როგორც ურამ ურჩია, და იმიან-იმიანა გაჰკრა ხელი შინისაკენ. სულ ტყე-ტყე მიდიოდა ბიჭი, ურამ არ დამეწიოს და ქათამი აღარ წამართვასო. მარამ ტყე-ტყე სიარულმა გზა ერთოფ გოუტყელა და გზაში დააღამდა. მოშივდა. ამეილე ჰარკიდან ქათამი, მოჰკრა ხელი ფრთებზე, ააკლიჯა ბარკლები, კიბკიბა და მიირთვა.

ანლა მეორე დღეს იძინდალა კლდე-ღრეებში და სადილობამაც მოატანა. ამეილე ქათამი და კუჭის მეტი სულ უგვლათური მიახვია⁶⁾. გატრა ქათმის კუჭინ და გაცვიფრდა: ბეჭედი გამოვარდა კუჭინდან.

1) „გაჰკრა ხელი“—გზას გაუღდა, გასწია.

2) ბუმბული გააცალე, გაპუტე.

3) გამოკუტვა—კუჭისა და შიგნეულის გამოცლა.

4) «რგვლათ შეწვა»—მთლიანათ, დაუტრელათ შეწვა.

5) გამოლადრა, გამოსტრა, გამობასრა.

6) მიახვია—შეკამა.

ვაჟმა ეილო ბეჭედი, წაშეიცვა თითზე, ახა, როგორ დამშვენდესო. „წაშეიცვაო!“ არედა ტეე და მიდროი, შესძახოდენ ამ ვაჟს: „რა გინდა, რას გვიბძანებო?!“

ვაჟი შეშინდა, განცეცდა¹⁾. მეტი გზა აღარ იყო, რამე უნდა ებძანებია: ტეე და ველი არ ცხრებოდა.

— ამსვი, ნატერის ბეჭედი, და ჩემ სხლში, ჩემ დედანთან დამსვიო.

თქმა და სწადელის ასრულება ერთი იყო. ვაჟი გაჩითა თავის ქახში დედა-მისის გვერდში.

დედას ვაჟმა აღარაფერი აღარ გოუმხილა. მხოლოდ ჩააცვიდა: მიდი ჩვენ მეფესთან. ეზოში რომ თეთრი ქვა აქვს, იმაზე დაჯედი. მოცვინდებიან ვეზირები და კკითხავენ: ვინ ხარ, რომ მეფის მზეთუნახავ ქალს თხოულობ რძლათაო. შენც უთხარი შენი ვინაობა და, რა ხასუხი გითხრან, მაცნობო.

დედა-კაცმა იტკვიცა²⁾ თავში ხელეები: არ კი გამწერომია დმერთიო, ჩემი დედის-ერთა ვაჟი ჭკუიდან შეშლილაო! ვინ შენ, დარიბ-ლატაკი, უსახლ-კარო, უჭედო და უფეხსაცმლო ვიკინდარა³⁾ ბიჭი და და ვინ მეფის მზეთუნახავი ქალიშვილიო? რამ გაფიქრა, შე უბედურო, ეკუო? სიკვდილს ხომ არ ოუტრუვებინარო?

— ნუ გეშინია, დედა ჩემოვო, ანუკეშებდა ბიჭი: დმერთი ჩვენი შემწეა და ბედიო. წადი და, რაც გითხარი, ამისრულებო.

— ხომ არ გასუღელებულხარ, ბიჭოვო? კივოდა დედა-ბერი: ცხენის კუდზე გამამბამენ და ისე დამწიწკინან მაკ სულელი შეკითხვისთვისო.

— ხათრი ნურაფრისა გაქვს, წადი და მერე მე ვიციო.

უარი აღარ გოუვიდა დედას. მეტი გზა აღარ იყო, უნდა წასულიყო და კიდევ წავიდა მეფესთან. მივიდა მეფის ეზოში და დაჯდა თეთრ ქვაზე.

თხებივით გამცვინდენ სსახლიდან ვეზირები და მივიდენ თეთრ ქვაზე დამჯდარ დედა-კაცთან.

¹⁾ გაშტერდა, გაოცდა.

²⁾ ჩაირტყა, იკრა.

³⁾ ვინღაც ოხერი, უპატრონო.

— რამ გაგაბედვია, შე საცოდავო დედაბერო, მეფის ქალი-მეილის რძლათ თხოვის საქმეო?

— ჩემი ვაჟი არ მამეშვა და ახლა თქვენ იცით, რასაც მიბძანებთო.

მთასხენეს მეფეს. მეფე გარისხდა: როგორ თუ გადგეხვილ-გაცქლეფილი ¹⁾, ღარიბ-ღატაკი მეშეშია მთხოვს ქალსაო! უოველ დღეს ვუყურებ, რომ გაღმა სერზე დოუჭერია ხელში ჭადი და ღლოკნის ²⁾. ის შეინახავს ჩემ ქალსაო? ააშენოს ოღა-სარაია ³⁾, გარეშემო შამთავლთს ოქროს გალავანი და მერე გამიბედოს სიძობაო. ახლა კი მიაყოლეთ ქინჩში მაგ ბებერს და გოუძახეთ უზოდანაო.

მეფის ბძანება ისე აასრულეს, რომ კიდევ გადააჭარბეს ერთ-გულმა კარის-კაცებმა.

ღამყავებული და დაღილებული დედა-კაცი ძლივს მიჩინდა ქოხში და ტირილით მოუყვა ვაჟს თავის თავ-გადასავალს. თან დასძინა: სანამდი ოღა-სარაია არ ეიშენოს, გარეშემო ოქროს გალავანი არ შამთავლთს, მანამდი სიძობა არ გამიბედოსო. — კარქიო, უთხრა დედას ვაჟმა: ეგ ვეფლათური ადვილი საქმეა, მერეღა კი გამიბედოს უარის თქმა და შე ვიცითო.

ეს მუქარა დედისთვის ვაჟის რაღაც სიგიჟის ნიშანი იყო. ის ნაღვილიანათ აქანქალებდა ⁴⁾ თავს და თან დუღღუნობდა: ვაი ჩემ უბედურ დღეს! სრულ ჭკუაზე აღარ არის ჩემი შვილიო. თავის ტკივილებს კი აღარ გრძნობდა.

გათენდა დილა. დედა-ბერი მართლა ჭკუიდან შეიშალა ღარმე ⁵⁾, როცა ოღა-სარაიაში გვიღვინდა და ოქროს გალავანი მის გარეშემო დინახა. არა ნაკლებ გამონიჭდა ⁶⁾ მეფის გადაიაც; ის გადმოშდგარიუო სსახლის დერეფანზე და იქიდან უკვირდებოდა გაღმა სერ-

1) გაცქლეფილი — გატყავებული.

2) უშნოთ სტამს.

3) ოღა — სახლი; სარაია — სრა, სასახლე.

4) აქნევლა.

5) ღარმე — კინაღამ.

6) გამონიჭება — ჭკუიდან შეშლა.

ში ამართულ მშვენიერ ოღა-სარაიას და მის ოქროს გაღვანს. კაცის თვალი უკეთეს ველერაფერს იხილავდა.

მიხარა ეს ამბავი გადიამ ვეზირებს, ვეზირებმა მეფეს, მეფემ მზეთუნახავს და ამ სანახავით სწორეთ ჭკუიდან იშლებოდნენ. სიზმარში ეკონათ თავისი თავი. ამ დროს მევიდა დედა-კაცი და დაჯდა ისევ თეთრ ქვაზე.

ეს იშას ნიშნავდა: აბა, რას მიბძნებთ? თქვენი ბძანება ავასრულეთ; გვაძლევთ ახლა ქალს, თუ არაო?

მეფეს უარის თქმა აღარ შეეძლო. შეიწვია ობოლი ვაჟი, სასიძო. ისიც ათასნაირ ზიზილ-ზიზილებში და ოქრო-ვერცხლში გამოპრანჭული მევიდა. მზეთუნახავს სიხარულით ხელი ცაში უწვდებოდა.

დაქორწილეს და გაატანეს შინ მისი ცოლი, თან გაუოღეს სამასი მარაი¹⁾.

მივიდნენ ახალ ოღა-სარაიაში. გაცვიფრებული ათვლიერებდნენ მარები ამ სანახაობას, იმათ გაკვირებას ზომა და ანგარიში აღარ ქონდა. მარამ არა ნაკლებ უკვირდათ ის გარემოებაც, რომ არსად ცეცხლი არ ემთო²⁾, არსად არ იყო მზადება ამდენი ხალხის გასამასინოლებლათ³⁾.

როცა დრო მევიდა სადილობის და ღხინისა, ამეიღო, როგორც ჩვეულება ქონდა ბიჭს, ცალკე საიდუმლოთ თავისი ბეჭედი და ინატრა: აჭ, ბეჭედო, შენსა მზესა, ვინც გამოგცა, მისსა მზესა! გამომართე ამ ოღა-სარაიაში სამეფო სუფრა უოველეგვარი სასმელ-საჭმელით, რომელიც კი გაახარებს კაცის გულსაო.

ნატურის ბეჭედი რაღა ნატურის ბეჭედი იქნებოდა, თუ ამას ვერ შეძლებდა. გეიშალა სუფრები და დეეფინა ზედ, რა და რა გინდა, სულო და გულო! ჩიტის რძეც აღარ აკლდათ მარებს.

მთელი დასკვნილი სამი კვირე ქონდათ გამუდმებული ღხინი. სულ ახალ-ახალი სუფრები იშლებოდა და სულ ახალ-ახალი სასმელ-საჭმელი და ხილი მოდიოდა.

¹⁾ მაყრიონი, ქორწილში „ნეფისა“ და „დედოფლის“ მხლებელნი.

²⁾ ენთო.

³⁾ გასამასპინძლებლად.

გვიდა დრო. ერთჯერ ვაჟს შეეგუნება მთაში სანადიროთ გასეირნება. მიიწვია სსსხლიდან სამოცი კარჭი მონადირე და გოუდგა გზას.

ურთის ამ დროს განმამავლობაში არ ეძინა. ის სოფლიდან სოფელში დეკეტებოდა და ათვადთვადებდა, აზა, სად ვიხელთო ¹⁾ ის ვაჟი და რაჟა ვიგლო გვერდზე ნატვრის ბეჭედიო. იმან კარქათ იცოდა, რომ ის ქათამი უბრალო ქათამი არ იყო და კიდევაც მისთვის იყიდა, რომ მის კუჭში ეგ ნატვრის ბეჭედი ეგულებოდა. აზა, რც თუმანს ურთა მისცემდა უბრალო ქათამში?!

ხეტიალის დროს ურთა მიადგა ამ ოქროს გალავნიან ოდასაკაისსაც. ვითამა და თხოველი ვარო, შეეხვეწა მზეთუნახავს: ერთი ძველი ბეჭედი გექნება და მახუქეო.

მზეთუნახავმაც მიძებნა-მოძებნა, მიაგნო თავისი ქრმის სსს-თუმლის ²⁾ ქვეშ დამალული ბეჭედი და აჩუქა ურთას. იმასაც მეტი რაღა უნდოდა: ეს ბეჭედი იყო ნატვრის ბეჭედი; მზეთუნახავმა კი ანათურეო ამისი არ იცოდა. გადაეფარა სერს თუ არა, ურთამ შეთხოვა ბეჭედს: ეს სსსხლე დედოფლიანა, თავის ოქროს გალავნიანა ამა და ამ წითელი ზღვის კუნძულზე გადამიტანე და იქ მაცხროვრეო.

თქმა და ქნა ერთი იყო. უოველისთერი ეიფხვრა, გაქრა ამ სერზე რაჟარც სიზმარი.

გეიხედა სსსხლის დერეფნიდან გადაიამ, გულში ელდა ეცა და გეიწეწა თმები. მიიბრინა ვეზირებთან და მოახსენა უოველისთერი. ვეზირებმა გეიხედეს—ვაი ამ გახედვას! იტკვლიტეს თავში ხელები და დიდი მოწიწებით და გლოვის ზარით მოახსენეს ხემწიფეს უოველისთერი. გეიხედა მეფემ, აღხი ³⁾ ეცა ზე გეიბდღვნა წვერ-ულაში.

მობრუნდა მთიდან ვაჟი და, რომ აღარათური აღარ დახვთა, დახელდა, გეიქნია თავი და ნაღვლიანათ თქვა: ეს მიქნა მე იმ წეულმა ურთამაო.

გოუდგა გზას მის საძებრათ.

¹⁾ ხელში ჩავიგდო.

²⁾ სასთუმალი—მუთაქა-ბალიში, თავქვეშ დასადები.

³⁾ ელდა, მოულოდნელი შიში.

ერთგან შეხვთა ვაჟს ერთი დედაბერი. ვაჟი მივიდა დედაბერთან, მოხატრებით დოჟურა თავი და, „შენ დედა და მე შვილიო“, მოახსენა.

— ვინ ხარ და სადაურიო? კითხა დედაბერმა ვაჟს.

ეგვლაფერს დალატებით მოუყვა ვაჟი. იმასაც შეეკითხა: ხომ არსად გაგიგონია ოქროს გალანინანი ოდა-სარაიის ამბავიო.

— ვინცი, შვილო, ვინცი, სადაც არის ის ოდა-სარაიო. იმ წყეულ ურიას წითელი ზღვის ერთ კუნძულში ჩოუდგამს და მზე-თუნახავს ეზოშიდაც აღარ უშვებსო.

— რაღა მეშველება, ჩემო დედობილოვო? შეეკითხა გულ-მოწვეტილი ვაჟი.

— მე მუავს ერთი კატა. ჩეისხი ის კატა გუდაში და წვიფვანე. იარე აქიდან ამა და ამ მხარეზე: ერთ გაუჭმებულ კოშკს მიადგები. ის კოშკი სამსუა თაგვებით. იქა აქვთ თაგვებს გოთთავებელი ურილთა; უნდათ მეფე ამეირჩინო და, რავარც წვრილ ხელს შეეფერება, ისე იცხოვრონო. მარამ ეგვლა ფეხს აწოკინებს¹⁾ მეფობაზე და აქამდი ვერ შეთანხმებულან, ვინ ეირჩინო. შენ მიდი იმ კოშკში და გამოუმცხადე თაგვებს: აი, თაგვებო, მე მეფიუვანე საშინელი კატა, წყნარა იუავით და ტკვიანათა-თქვა. ვინც წავა ამა და ამ ადგილას, წითელ ზღვაში რომ ოქროს გალანინანი ოდა-სარაიო დგას, და ვინც ნატურის ბეჭედს მამიტანს, ის უნდა დაგვს მეფეთათქვა. ვინც იუარებს მის მეფობას, აი, მას კატა შეიფვანს ტკუაზე-თქვა და ამოაფოფიე კატას გუდიდან თავიო. — თაგვები შიშით ერთი მეორეს მიაწედენ, როცა მართლა დანახვათ კატა ამ ვაჟმა.

მამინ გამევიდა თაგვებიდან ერთი ზატარა თაგვი და მოახსენა ვაჟს: შენ მიშონე ჩაღის დერო, ჩამსვი შიდა, ჩაღის გულით დამადვი თავი, როგორც ქილას, და გადამაგდე წითელ ზღვაში; მამინ მე ვინცი, მევიტან იმ ნატურის ბეჭედს, თუ არაო.

ასე შეიქცა ვაჟი: მარამ, როცა მობრუნდა თაგვი, არაფერი მოუტანია: გადავაკვდი, მთელი ოდა-სარაიო დევირობინე, გადავქექე და იქ კი მაგისი მსგავსი ბეჭედი, შენ რომ ამბოფე, ვერ მივაკენიო.

გამოვარდა ახლა მეორე თაგვი. მე წავალ და მე ვინცი, სადაც იქნება ის ბეჭედი, მე მევიტანო.

¹⁾ აშვერს, იწედის.

ჩაკუჭეს¹⁾ ისიც ჩაღის ღეროში და გადაადგეს წითელ ზღვაში. აქანავა-აქანავა ზღვის ტალღამ და გააგლო ოდა-სარაიის კედლებთან. გახვრიტა თავგმა ჩაღის ღერო და გათხარა მიწა, გოჟარა გაღავანს ძირს და შეძვრა ოდა-სარაიაში. ერთი კუნტული არ დოუტოვებია გადაუქექელი, მარამ ამით! ცარიელი გამობრუნდა უკან.

მაშინ თავგის ჯოგიდან გამოთოხდა ერთი კოჭლი თავუნია. ძლივის-ძლივის ადგამდა ფეხებს და იმან თქვა: გამიშვიო და, თუ ვერ შევიტანო ის ბეჭელი, კატას შემეჭამეთო.

კატასაც ეს უნდოდა და პირველი ხმა ამ კოჭლი თავგის გაგზავნისთვის კატისა იყო. რომელიღა თავგი გაბედავდა უარს!

მოაწვეეს და გაგზავნეს კოჭლი თავგი ნატვრის ბეჭედზე.

მიაწია როიდაცა²⁾ ოდა-სარაიამდი, შეიჭრა შიდ და დაფუთურდა. სულ გადაფურდრიაკა³⁾ იქოურობა. მარამ ვერსად ვერ ნახა და ვერ ნახა.

ერთ დამეს, როცა ურიას ეძინა, მიეპარა და თმები გოუჩინქნა. არაფერი იყო შიდ. გოუშინჯა უღაშები, წვეკრი: ცალი უღაშის წვეკრო ურიას პირში აქვს ჩადებული, და პირიც ძალიან მაგრათა აქვს მოკუმელი. მაშინ კი მიხვთა თავუნია, თუ რა უშმაკი ყოფილა ეს ურია და სად დოუმაღავს ნატვრის ბეჭელი. გეაქანა კოჭლი თავგი საძმრისაკენ; ამოაკლო ძმარში კუდი, მიიარბინა ცახუნ-ცახუნით⁴⁾ გულის ძილში მივარდნილ ურიასთან, შეუჩიკინა ცხვირში ძმრისანი კუდი. დამცხიკვა⁵⁾ ძილში ურიაშ, პირიდან იმ წამსვე წამოვარდა ნატვრის ბეჭელი, უღაშზე იყო დამბული და უღაშზე დეკვიდა. მოჭრა ძირში ურიას ამ კოჭლმა თავგმა ეს უღაშში და ნატვრის ბეჭელი მოაყენა კარზე საბრადო ვაჟს.

ეს კოჭლი თავგი დაყენეს იმ კოშკის თავგების შეფეთ.

ინატრა ვაჟმა საყვარელი ბეჭდის წინაშე: სდაც იყო ჩემი ოქროს გაღავნიანი ოდა-სარაია ჩემი მშეთუნახავით, იქავუ გამიჩადე ახლავეო!

1) ჩატენეს.

2) როიდაცა—როდისდაცა.

3) გადაჩხრიკა, გადაყარ-გადმოყარა.

4) კოჭლობით.

5) ცხვირი დაატემინა.

რვარც ინატრა, ისედაც ახთა.

ურთა სულ ცხენის კუდით დაგლიჯეს. მეტათ დაჯილდოვა ამ ვაჟმა დაუფიქარი ამაცისთვის თვისი დედობილი.

ცხოვრობდა ამიერიდან ბედნიერათ და უზრუნველათ. მარამ სიფრთხილეს თავი არ ტკიოდა და ფთხილათაც ეპურობდა ნატურის ბეჭედს.

ნ. მელორის ცოლი.

იყო ერთი დედაბერ-ბერიკაცი. ბერიკაცს ქონდა მარილის ქონი, დედა-ბერს-კი ანწლის. დადნა ბერი-კაცის მარილის სახლი, ბერი-კაცი მივიდა ანწლის ქონთან და შეესვეწა დედა-ბერს: ჩემი მარილის ქონი დადნა, მცოვა და ცეცხლთან გამათუეო.

— მოდიო, უთხრა დედა-ბერმა. დაწვენი ერთათ და ეყოლათ გოგო. დილას დაბანდენ შირს ამ გოგოს, ოქრო ჩამოცვიოდა, სალამის დაბანდენ, მანც ოქრო ჩამოცვიოდა. გეიზარდა ეს გოგო დიდი. მისი მშვენიერების ამბავმა მიატანა ხემწითვის შვილამდი და ხემწითვის შვილმა შამოუთვალა დედაბერ-ბერიკაცს: თქვენი ქალი მამათხვეთო. — თუ კი იკადრებ ჩვენ შვილს, რავა დაგიკავებთო, უპასუხეს და ცაში ხელი მიუცვდათ. ხემწითვის შვილმა წიუყანა ეს მშვენიერი ქალი შინ. როცა მიუყანა თეთრი და შავ ზღვას შუა, თითუან ხემწითვის ვაჟმა შეინდომა შინ წასვლა, რომ იქიდან ნაზირ-ვეზირი და მხლებლები შეეყანა და დიდი აშბით მისუელიყო სასახლეში.

ქალმა უთხრა, ნუ დამტოვებ, თუარა ინანებო. ვაჟმა არ დეიჯურა და წვივიდა შინ. სანამ ხემწითვის ვაჟი მობრუნდებოდა, სად იყო და სად არა, გაჩთა მელორის ცოლი. მოწინწაღდა მზეთუნახავთან და უთხრა: მამეცი შენი ტანისამოსი, ამა, რავა დამშვენიდესო. მზეთუნახავი ხათრიანი იყო და ვერ დოუკავა ¹⁾). ჩვიცვა მელორის ცოლმა მისი ტანისამოსი და უთხრა მზეთუნახავს: ამა გადავდგეთ

¹⁾ დაუკავა, დაუპირა.

ამ ბრეკზე¹⁾ და ჩავსედოთ მოწმენდილ ზღვის სარკეს—რომელი ვფობივართო. გადადგენ თუ არა დღეუზილზე²⁾ ზღვაზე დასახედვით, უჭიანა³⁾ მელორის ცოლმა ხელი და მზეთუნახავი გადაადო ზღვაში. მობრუნდა ამასობაში ხემწითის შვილიც. უუათში აღარ მოუვიდა⁴⁾ ეს ქალი, მარა რას იზამდა?! დაქორწილდა მანც.

გვიდა ხანი. ზღვაში გადადებულ მზეთუნახავი გადაექცა თევზათ. ეს თევზი წამევიდა წელ-წელ და შამევიდა იმ მდინარეში, სადაც ხემწითის შვილის ცხენებს ასმეგდენ ხოლმე წელს.

რამდენჯერ შიიფუნეს ცხენები წელის დასაღევით, იმდენჯერ შამოუქნია თევზმა ფრთა, დაფთხენ ცხენები და ფრუტუნით უკან გამობრუნდენ.

ეს ამბავი მოახსენეს ხემწითის შვილს. იმან მეიხმო შებადურები და დაავალა იმ თევზის დაჭერა.

ნაზირ-ვეფირებმა დიდი ამბით მოგვარეს დაჭერილი თევზი.

მეთის შვილს თავის ეზოში ქოდა წყარო, ამ წყაროში ჩაადო ეს თევზი და თითვანაც წყაროსთან გეიკეთა ლოგინი. სამკვირას იწვა იქ ხემწითის შვილი.

მელორის ცოლი შევიდა ეტეში, სხვაცან რათ წევს ჩემი ქმარი, რათ უდგია ოქროს თევზსაც.

მეიგონა მელორის ცოლმა ავამოფოფობა და ჩააცივდა ხემწითის შვილს: ჩემი მორჩენა თუ გინდა, ამოუვანიე წყაროდან ის ოქროს თევზი, მოახარშეიე და მის ნახარშ წვენში დამაბანიე ტანიო; სხვა—საშველი ჩემთვის არ არის, მოგვედებო.

საშველი აღარ მიცა და მეტი გზა აღარ იყო,— მოახარშეია და მის ნახარშ წვენში აბანეს ტანი მელორის ცოლს. მელორის ცოლმა თითვან თევზი შეჭამა და ფხები და ძვლები კი ცეცხლში ჩაუარა, დაწვა.

1) ბრეკი—მაღალი კლდე.

2) დღეუზილი—ჩანგრეულ-ჩაგლეჯილი ნაპირი კლდისა.

3) ჰერა, უჯიკავა.

4) «უუათში აღარ მოუვიდა»—აღარ მოეწონა.

გამოხვეტეს მეორე დღეს სახლი. ნახვეტს ერთთ-ერთი გადარჩენილი ფხა ამ ოქროს თევზისა გადაულოდა; ეს ჩაგავი გადაურეს ეზოში და, სადაც ფხა დეცა, ამუვიდა კოდალივით სწორი, მშვენიერი ალვის ხე; ცაში მიეჭირებია თავი.

ამ ალვის ხის ქვეშ გვიკეთა ხემწიფის შვილმა ლოგინი და სამ კვირას აქ იწვა. მეღორის ცოლმა კიდევ შეიგონა ავამყოფობა, ჩავარდა ლოგინში და ეიჩმა: ალვის ხე მოჭერთ, მისი კანი დააღბეთ წყალში და იმ წყალში მბანეთ ტანი, თუ არა. ლაპარაკი აღარ უნდა, მოგვედებო. აღარ უსუსტა ხემწიფის შვილს მეღორის ცოლმა და, რომ აღარაფერი გოუვიდა, იმანაც მოჭრა ალვის ხე, გააძრო კანი, დააღბო წყალში და იმაში აბანა ტანი მეღორის ცოლს. მეღორის ცოლმა მოუყარა თავი ამ ხის მორებს¹⁾, ტოტებს, ნაფოტებს და ცეცხლში ჩაწვა. ერთად-ერთი ნაფოტი გადაგარდნილიყო ალვის ხის ჭრის დროს გზა-შარაზე. ამ გზა-შარაზე დეიარებოდენ თავის საქმეებზე ის ბერი-კაცი და დედაბერი, მეფის ვაჟს რომ ქალი გამოატანეს. ბერიკაცმა ეიღო ნაფოტი, წეიდე შინ და საბარცხალი²⁾ გამოთადა. ეს საბარცხალი შეარჭო ანწლის ქოხის კედელში. საქმიდან რომ მობრუნდებოდენ დედაბერი-კაცი, — სახლი დაგვილი და დაწმინდილი, ჭადები ჩაჯენილები³⁾ დახუთებოდათ. ერთჯერ გაუმარაგინდენ⁴⁾. ის-ის იყო, წვევიდენ საქმეზე, ნაფოტი, საბარცხალი ამ დედაბერ-ბერიკაცის მშვენიერ მზეთუნახავათ იქცა და ის იყო რომ დეიწყო სოხანის⁵⁾ გვა, შე მოცვინდენ ანწლის ქოხში დედა და მამა და მოეხვენ თავის ქალს ეელზე. მათ სიხარულს ბოლო აღარ ქონდა.

გამევიდა ხანი.

ერთჯერ ქალიშვილმა ეიჩმა: წადით და მეფე-დედოფალი დამიპატოეთო: დედაბერ-ბერიკაცი გაცვიფრდენ: სად შეგვიძლია

¹⁾ მორი — ხის მსხვილი ნაჭერი.

²⁾ სავარცხელი.

³⁾ კეცებზე დაკრული.

⁴⁾ ჩაუსაფრდენ, უთვალთვალეს.

⁵⁾ სოხანე—მიწის იატაკი ქოხში.

იმათი ზატვისცემით. ქალიშვილმა არა ქნა და არა. მაშინ გაბედა ბერი-კაცმა და შეიპატოჷა მეუთის ვაჟი და დედოფალი, მედღორის ცოლი. უარი არ უთხრეს.

მევიდენ თავის ნაზირ-ვეზირებით და მსლებლებით და სუფრას¹⁾ მოუსხდენ მოწვეულები. შევიდენ თუარა შუა ჰურის-ჭამაში, დედაბერ-ბერიკაცის ქალმა თქვა: იყო ერთი დედაბერ-ბერიკაცი. უკვდავ ერთი ქალიშვილი. ითხოვა ეს ქალიშვილი ხემწითის შვილმა და წიქვანა შინ. როცა მივიდენ თეთრი და შავი ზღვის შუა... გესმის? კითხა ხემწითის შვილს. — მესმისო! მიუგო მან ზასუხათ. — გესმის? კითხა ქალიშვილმა მედღორის ცოლს. მედღორის ცოლმა მიუგო: მესმის, მარამ თვალ-ბჭუვიალა²⁾ მესმისო.

ამ თეთრი და შავი ზღვის შუა დატოვება დოუპირა ხემწითის შვილმა ქალს.

— ნუ დატოვებო, უთხრა ქალმა, თუარა ინანებ: ჩემ თავს წააგართმევენო. ხემწითის შვილმა არ დეიჯერა და დატოვა ქალი იქ.

— გესმის, ბატონო? შეეკითხა ქალი შვილი ხემწითის შვილს.

— მესმისო, მიუგო იმან. — გესმის, ქალბატონო? შეეკითხა მედღორის ცოლს.

— მესმის, მარამ თავ-რეტი მესმისო, — მიუგო მედღორის ცოლმა.

სად იყო და სად არა, განთა მედღორის ცოლი და უთხრა მზეთუნახას: მოდი შენი კაბა მე ჩამაცვი და ზღვის სარკეში ჩევიხედოთ. რაფა მშვენდისო. ასე ქნეს, და როცა სარკეში გადიხედეს, მედღორის ცოლმა ხელი უჭიანა მზეთუნახავს და გადააგდო ზღვაში. — გესმის, ბატონო? შეეკითხა ქალი ხემწითის ვაჟს. — მესმისო, მიუგო იმან. — გესმის შენ, ქალბატონო? შეეკითხა მედღორის ცოლს.

— მესმის, მარამ თავ-ბრუ მესმისო.

ხემწითის ვაჟი მიხვთა, ვინ იყო მედღორის ცოლი და ვინ იყო მისი საუვარელი მზეთუნახავი. უბძანა ნაზირ-ვეზირებს, რომ ცხენის

¹⁾ იმ სოფელში, სადაც ეს ზღაპარია ჩაწერილი (წევას, ზემო იმერეთს) სუფრა წარმოადგენს გრძელსა და ვიწრო, ერთი მთლიანი ფიცრისაგან გაკეთებულს, დაბალს ოთხფეხიან სტოლს.

²⁾ თავ-ბრუ.

კულზე შეებათ მეღორის ცოლი და დეეგლეჯათ; მზეეთუნსასკი კი შინ წეიუგანა და ცხოვრობდენ ერთათ ბედნიერთათ.

7. ორი ძმა-კაცი.

იყო ორა ძმა-კაცი. უნცროსი რასაც შოულობდა, უმეოროსი მეინმარებდა ხოლმე. ეს უნცროსი ძმის მეტათ წეინდა, ჰირში გერაფერს ეუმბებოდა ძმის და წევიდა სამართლის საქებნელათ დმერთთან. გზაში შემოხვთა მტელი და კითხა მგზავრს: სად მიხვალო?

— დმერთთანაო.

— ერთი საჯახი ¹⁾ საქმე მეძართება, უთხრა მტელმა: რამდენ ხორცს ვთანთქლავ ²⁾ და ჩემ გასუქებას ანაფერი ეშველა—ფერდი ფერდზე მაქვს მამკვდარიო. იკითხე, თუ კაცი ხარ, რიტომ მეძართება ეს და რა მეშველებო?

— კარქიო, მიუგო მგზავრმა და წევიდა თავის გზაზე.

დიდი იარა თუ ჰატარა, მიატანა ერთ ვაშლის ხემდი; გადოუხვია გზიდან და დაჯდა ჩდილში. ეილო ჩამოცვენილი ვაშლები, კაკბიჩა, და ჰირი გოუმწარა.

— გაგიხმეს, მწარე ვაშლო, ძირიო! გაშხამებულმა მგზავრმა წამიძახა და გამოურა ჰირიდან ჰანტა-ვაშლის ნაღეჭი.

ვაშლმა კითხა: სად მიხვალო?

— დმერთთანაო, მიუგო მგზავრმა.

— თუ კაცი ხარ, რა მიზეზია, რომ ასეთი მწარე ნამეოფი მესხმება, კითხე და გამოიკე, რა მიშველის, რომ გემრიელი ნამეოფი მამებასო.

კარქიო, უთხრა მგზავრმა და წევიდა თავის საქმეზე. იარა, იარა და ხედავს: ზღვიდან გამევიდა ნაჰირზე ერთი თევზი; ტრიალობს და იტეხავს კისერს.

— რას შეები, თეკზოფო? კითხა მგზავრმა.

— ვინ ხარ შენ და სად მიდისარო? კითხა თავის მხრით თევზმა.

— მე მივალ დმერთთანაო, და მოუევა, თუ რისთვი ხ რეცლოდა

¹⁾ საჯახი, ცუდი.

²⁾ თანთქლა—ყლაპვა.

— შენს კაი კაცობას, უთხარი, რიტომ მემართება ეს თავის ტკივილი უოველ დილა-სადამოს და რა მიშველის! შენ კი რაღა შორს მიდიხარ, — აგერ, მე კუღზე დაგდები, შენ შევევი ჩემ ტანს და ახვალ მზის-დედასთანაო.

თქვა თუ არა თევზმა, დადგა კუღზე; შეევა ზედ უმაწვილი და ევიდა მზის დედასთან. მზის დედა შინ დახვთა.

— რა გაგიჭირდაო? კითხა მგზავრს მზის დეამ.

— ჩვენ ვართ ორი ძმა-კაცი. მე უნცროსი ვარ. რასაც ვშო-ულობ, სულ ჩემი უფროსი ძმა ხარჯავს და რა მეშველებაო? აქ რომ მოვდიოდი, მგელი შემხვთა და დამაბარა: ხორცს ვსანსლავ და ჩემ გასუქებას არაფერი ეშველა — რისი მიზეზია და რა ეშვე-ლებაო? მერედ ვნახე გზის ჰორას ერთი მწარე ჰანტა-ვაშლი. იმან დამაბარა: ვინც გვიფლის და ვინც გამეფლის, უველა კბეჩს ჩემ ნამუოფს, უმწარებს ჰორს და უველა იძახის: ძირი გაგახმესო. რა მიშველის, რომ ტკბილი ნამუოფი გამევიდოვო? ბოლოსაც ზღვის ჰორზე ვნახე თევზი: ხტოდა, კისერს იტეხავდა. თურმე უოველ დილა-სადამოს საშინელი თავის ტკივილი უტუღება, და დამაბარა: იკითხე, რა მიშველისო?

მზის დეამ მიუგო: თევზს უთხარი — სამჯერ გამეტებით დაჭ-კრას ღიბ ქვანე თავი და თავის ტკივილი გადოუფლისო; ვაშლის ძირში ერთი ჰატარა ქვევრია დაფლული; სულ სამსუა ვერცხლის ფულით, თავზე კი ერთი გროში ადევს; ის გროში წვიდე, შენს ძმას მიუტანე და უთხარი: ამის მეტი ვერაფერი ვიშონე-თქვა, და რაღას დაგიხარჯავს; ვაშლმა ის ქვევრი ამეიდოს და ტკბილი ნამუოფი მეესხმებაო; ბოლოსაც მგელს უთხარი: კაცის ხორცი ჭამე და გასუქ-დები-თქვა. შენც, რასაკვირველია, გზანე შეესწრები ცხოვრებასაო.

გახარებულნი ბიჭი ჩამეიტრა თევზზე ძირს და უთხრა ისე, როგორც მზის დეამ ასწავლა. თევზმა დაკრა ღიბზე თავი და სა-ში ოქრო წავარდა ჰორიდან. უთხრა ბიჭს დიდი მადლობა, რაღა თავი მორუნა და თან უფექაშა ეს ოქროები. მარამ ბიჭმა იუარა: რათ მინდა შენი ოქრო — მე ცხოვრება გზაში შემხვთებაო!

წვიდა ბიჭი და მივიდა ვაშლთან. ამორუნქნა ფესვებთან და, მართლაც არ იყო, ნახა ერთი ქვევრი ვერცხლი, თავზე ედვა გრო-

ში. ამოაგლო ქვევრი მ:ღლა და უთხრა ვაშლს: ახლა ტკბილ ნამ-
უთფს გამოიღებო. ვაშლის ხემ უთხრა: მიიღოთ ფეშქაშათ ეკ ვერ-
ცხლიო.—არაო, მიუგო ბიჭმა და მხოლოდ ერთი გროში ეიღო:
მე ცხორება თავისით დამხვდება წინაო.

წვევიდა და შემოხვთა მგელი.

— რა ქენი, რა მიშველისო?

— კაცის ზორცი ჭამე და გასუქდებო.

— კაციც შენა ხარო! შეუღმეულა მგელმა, დაწიწკნა და შეტკამა.
კაცი ცხორება არ შეხვთა გზაზე საწყალ ბიჭს!

მ. სასწაულ-ძოქმედი მათრახი.

იყო ერთი კაცი. ითხოვა ქალი. გვეიდა რამდენიმე ხანი. იმ
გლეხის ცოლს სხვა კაცი შეეჩვია. იმ ქალს აღარ უნდოდა, რომ
მისი ქმარი სახლში უოლოდა, გადაკრა მათრახი და ვირთ გადა-
აქცია. საწყალ ვირს ხან წუ:ლს აზიდვიებდენ, ხან დაქფულს და
ანასფერს კი არ აჭმევდენ. ვირი იყო შესედულობით, თუარა კა-
ცის აზრი ქონდა და კაცის გული მეტი ჯაფით რომ ზურგი გა-
დატყავდა, მისმა ცოლმა და ცოლის საყვარელმა იფიქრეს, აწი კი
ხელში შემოგვაკვდებაო: ქალმა გადაკრა მათრახი და ვირი გადაეჭ-
ცა ბომბეკაზ¹⁾ ძაღლათ. ძაღლი იყო, თუარა აზრი და გული
კაცის ქონდა. რომ აღარ ასვეს და აღარ აჭამეს ამ ნაგაზს²⁾, წე-
ვიდა მთაში მეცხვარეებთან და შორი-ახლოდან უძძტვრებდა³⁾.
მეცხვარეებმა ჭადი აჭამეს და ისიც მეცხვარეების ფარა-ცხვარს გულით
მეეკიდა, ერთგულათ უარულობდა. ეროხელ მეცხვარეები ძალიან
დათვრენ, გოგუბლათ⁴⁾ დეეძინ:თ; ამ დროს დამეში მევიდენ მგლე-
ბი და ჩეეკენ ცხვრის ფარას, გეოფრინეს ცხვრები. გაჩეედევნა
ძაღლი და ზოგი აქ წაგულა, ზოგი იქ. როცა გაწვიოტა მგლები,
მოუუარა ცხვრის გაფანტულ ფარას თავი და უტრიალებდა გარეშეო.

¹⁾ დიდი, უზარმაზარი.

²⁾ ნაგაზი—დიდი ძაღლი.

³⁾ შეჭყურებდა.

⁴⁾ უგრძნობლათ, ცნობა-დაკარგვით.

გამეიღვინძეს მეცხვარეებმა, მეიხედეს: სადა ¹⁾ არი ცხვრის ფარა? სადა არის ნაგაზი? იცეს თავში ხელი. აქეთ ეცენ, იქით ეცენ. უთავბოლო სირბილში ნახეს, რომ ერთი გაგუდული მგელი აკერ ატდა, ერთი იქ, ერთიც იქით... მოფენილია მთა და გორა დასოცლი მგლებით. იარეს, იარეს მეცხვარეებმა და ნახეს ცხვრის ფარა. ფარას უდგა ნაგაზი. დაათვალიერეს ცხვარი — უჩებულა, დათვადეს — უკლებლივ აქაა უგელა, ერთიც არ აკლია. მაშინ დაკლეს ერთი ცხვარი, მოუხარშეს და შეაჭამეს საკუთრათ ამ ნაგაზს. მოხარშული ხორცი თუ არ იქნებოდა ან ჩაჯენილი ²⁾ ჭადი, ისე არ ჭამდა ეს ძაღლი. დიდ ხანს უავდათ მეცხვარეებს ეს ძაღლი; თავის თავს ურჩვენდათ.

ერთ ხემწიფეს უაკდა თურმე სამი ვაჟი. ჯერ ერთი გამხთარიუო ავათ, არაფერი წამალი არ მიდევომოდა და მომკვდარიუო. მერე მეორეც მოკვდომოდა. მესამეც ავათ გახთომოდა და სიკვდილის შირზე იუო მისული. ხემწიფეს მკითხავს-თვინ ეკითხვიუბია და მკითხავს ერჩია: ამა და ამ ადგილას მეცხვარეების უავს ერთი ბომბერაზი ძაღლი, იმის მეტს მაგის წამლობა არავის შეუძლიაო.

წვიდენ მეუფის ბძანებით ნაზირ-ვეზირები. უთხრეს: გვათხოვეთ ერთი ღამით თქვენი ძაღლიო. მეცხვარეებმა მიუტეს: ჯერ ჩვენი ცხვარი გააწუვეთ და მერე წვიფვანეთ ეკ ნაგაზიო.

— რაც გინდა, გადაგვახთვეიეთ, ჩააცივდენ ნაზირ-ვეზირები: რამდენი ოქრო და ვერცხლიც გინდა, მიიღეთ, ნუ დაგვიკავებთ ძაღლს: ესე და ესეა ჩვენი ხემწიფის ვაჟის საქმეო. და მოუყვენ დაწვრილებით უგელაფერს.

მაშინ კი აღარ დოუკავეს ძაღლი და გაატანეს ხემწიფესთან.

რომ მიიყვანეს ძაღლი სასახლეში, ძაღლმა თქვა: წიფლის ნახარში მამიტანეთო. დაფათურდენ და მოუტანეს. წიფლის ნახარში ნაგაზმა ვაჟს დაბანა ტანი და მერე იმ ღამეს გვერდით მოუსკა: ოფლი უნდა ვადინოყო.

რომ შეიქნა შუა ღამე, მევიდა ერთი დედაბერი და ახჩობს ამ

¹⁾ სად-ლა.

²⁾ კეცზე გამოძხვარი.

ვაჟს. წამოვარდა ძაღლი, წააუღო შირი დედაბერს და, ეს-ეს არის, რომ უნდა დაწიწკნოს, დედაბერმა უთხრა: გამიშვი და ბედსა გწევო.

ეს რომ უთხრა, ძაღლმა შირი გოგუშვა და დედაბერი გაგლიჯინდა ¹⁾ კედელში.

გათენდა დილა. ხემწიფის შვილმა საჭმელი შეითხოვა. მონათვეს და დეიწუო ჭამა. მეტათ გვეხარდა ხემწიფეს და ველზე ოქროს ძეწკვი შეაბა ამ ძაღლს.

ძაღლმა იფიქრა: მოდი წავალ და გვეიგებო, რას შეგვიან ჩემი ცოლი და ჩემი ცოლის საყვარელი, ნეტა რას აკეთებენო. რომ მივიდა შინ, გვეცინათ მის ცოლს და ცოლის საყვარელს!

— უჭ, ჩვენი ძაღლი მოსულაო. გადაკრა მათრახი ცოლმა და აქცია ახლა ჩიტათ. გაფრინდა ჩიტი. იფრინა, იფრინა და ბოლოს მიაწია ერთ დეღეში.

ერთი კაცი წამოსულიყო სანადიროთ და ვერაფერი ვერ შეეკლა, ვერ დეეჭირა. ეს უცხოფერი ²⁾ ჩიტი დეინახა ამ კაცმა; დია, დია ³⁾ და ბოლოს დეიჭირა; წეიფანა და შესვა კალიაში.

კაცმა უთხრა თავის ცოლს: სადილისთვის გამიკეთე ეს ჩიტიო! ეს ჩიტი ქალმა დამალა. იმის მაგიერათ გააკეთა ქელა ⁴⁾ წიწილი და შოუწვა. მივიდა შინ ქმარი და ჭამა სადილი. როცა გაათავა ჭამა, წვიდა სამუშევარში.

მისმა ცოლმა გამოეფანა დამალული ჩიტი, ეაღერსა: შე, უბედურო ჩიტო! მე რომ გითხარი, გამიშვი და ბედსა გწევ-მეთქი, აგისრულებ შენს წადილსო.

გადაკრა ჩიტს მათრახი, გადააქცია ისევ კაცათ; მიტა ხელში მათრახი და უთხრა: მიდი შინ, გადაკარი ეს მათრახი შენს ცოლს და შენი ცოლის საყვარელსაო. იმათმა ⁵⁾ არ მოგასწრონ მათრახის

¹⁾ გავარდა, განტა.

²⁾ საუცხოვეო, უცხო.

³⁾ სდია, სდია.

⁴⁾ ქელა—სულ პატარა, თეთრი ბუმბულით შემოსილი, ნორჩი.

⁵⁾ იმათ.

გადაკვრა, თუ არა, კიდევ გადაგაქცევინ რამეთ და შენი საშველი აღარ იქნება.

მივიდა მათრახიანი კაცი შინ. შინ დახვდნენ ცოლი და ცოლის საყვარელი. შევიდა თუ არა, ერთი ერთს გადაკვრა, მეორე მეორეს და ორივე ვიწყებთ გადაქცია. გათენდებოდა თუ არა, ჰიდაუბანელი ჩვეიდოდა ეს კაცი ვიწყების საბმურში ¹⁾ და იქამდე ურტყამდა, სანამდე არ დეიდალებოდა. ამევიდოდა, ჰიდაუბანდა სახლში, სადილს ჭამდა, ხელ-ახლა ჩვეიდოდა და ურტყამდა და ურტყამდა.

ასე გაატარა ამ კაცმა თავისი დღენი. ვიწყებს არც აჭმევდა და არც ასმევდა. მათრახს კი ქნიდა ხოლმე ქონში ²⁾, რომ არ ელალატებია.

9. უცნაური ძილი.

იყო ერთი გლეხი-კაცი. დეემართა რადიციანი ძილი: აღარც მკვდარი იყო, არც ცოცხალი. დიდ-ხანს იყო ამ მკვდარ-ცოცხლის მდგომარეობაში და ბოლოსაც გამოვიფხიზლა.

კითხეს: სად იყავი და რა ნახეო?

— რაღა რა ვნახეო? უხასუსა ახლათ მოშვინდილებულმა ³⁾: მოვკვდი და წვევდი საიქოს. ანგელოზებმა ამიტატეს ⁴⁾ და წამიყვანეს. მარამ, როცა ბეწვის ხიდთან მივედი, დაგვხვდნენ წინ ეშმაკები და გადაგვედობენ: „ეგ ჩვენიაო!“ და გადმოშალეს ჩემი ცოდვის ავგაროზები.

შეიქნა ეშმაკებსა და ანგელოზებ შუა ანგარიშები ჩემ შესახებ. გული მისკდებოდა შიშით და ბაიას ⁵⁾ ფერი მედგა.

გვეიხედე ბეწვის ხიდისკენ— ვაი იმისთანას დანახვას! ობობიას ქსელები იყო გამზული უფსკრულზე, საიდანაც ამორბოდა აღი და კვამლი ბურჭვან-ბურჭვან ⁶⁾; ისმოდა იქიდან ბაჭა-ბუჭი, აურ-

¹⁾ საბმური—დასაბამი ადგილი, ბოსელი.

²⁾ „ქონში დაქნა“—ქონში დახელა, დაპოხვა, ქონით დარბილება.

³⁾ გამოფხიზლებულმა.

⁴⁾ ატატება—ხელში აყვანა.

⁵⁾ ყვითელი ყვავილი.

⁶⁾ დიდ-დიდ ნაგლეჯებად, გუნდა-გუნდა.

ზაური, კივილ-ზივილი, წვევლა-კრულვა, ლანძღვა-გინება, ერთი სიტყვით. ჯოჯოხეთს რომ იტყვიან — აქ იყო.

ბეგრი ღაღის შემდეგ შემაყუნეს ბეწვის ხიდზე და გამისტუმრეს. აფხანტაღდი ¹⁾, ვერ გვემაცრე ფეხები, თვალი წაშივიდა, ვერ ევმიწატე ტანი და გეიზნიქა ²⁾ ბეწვის ხიდი. შევკრთი, შევშინდი და... გაწუდა ბეწვი, დევეწვი თავ-ღაღმა ორთქლის ბურქვებში, რომელიც ალივით მწვავდა და სულს მიხუთავდა. რომღაც ჩაგარდი ადუღებულ კუბრის ტბაში და იმდენი ვიხვანტარიკე ³⁾, იმდენი ვიბრძოლე, მთლათ კან-გამძვრალი, გავთოთხდი ნაპირზე. დიდხან ვიჯვდი იქ თავ-ბრუ დასხმული და მტირალი. ბოლოს გევიხედე და რა დევიანხე! ორთქლში ძლივს ღანდივით იხედებოდა, გამოჩნდა ერთი კაცის თავი. კაცს ეგონებოდა, მოწვევტილია იგი და მადლა-მადლა დატრპავს ⁴⁾ ამ ადუღებულ კუბრის ტბაზეო. სულ უველაზე უფრო გასაკვირველი და გასაბეცებელი ⁵⁾ ის იყო, რომ თავი იცინოდა. ვეღარ შევითმინე და ვკითხე: რა კაცი ხარ, რომ ასეთ გასაჭიკში ხარ და მაინც იცინი-მეთქი? — ვეღარ მიცანიო?! მითხრა თავმა და სიცილით გადაფიჩინდა ⁶⁾: მე ვარ შენი მეზობელი... დოუკვირდი და მართლაც შევიცანი: ჩემი მეზობელი იყო.

— მერე რას იცინი-მეთქი? შევკითხე: განა ასეთ გაჭირვებაში სიცილი შეგიძლია-მეთქი?

— ჭაი, ჭაი, ჭაი! რა იცი შენ, ჩემი სიცილი რა არიო?! ურთჭამდი ⁷⁾ ადუღებულ კუბრში ვარ, მარამ თავი მაინც მადლა მაქვს ამოუთფილი. ეს თავი რომ დარბის, იმიტომ დარბის, რომ ჩემ ფეხებ ქვეშ ვინც დგას, ის ვერ ისვენებს და ტბის ძროზე ⁸⁾

¹⁾ რყევა დავიწყე.

²⁾ ჩაიღუნა.

³⁾ ვიტრიალე.

⁴⁾ დატურავს.

⁵⁾ გასაშტურებელი.

⁶⁾ გადაყიპყიპდა, ჩაკაკანდა. ჩაბჟირდა.

⁷⁾ ყანყრატომდი.

⁸⁾ ძრო — ძირი, ფსკერი.

აბუზარაიანივით ¹⁾ დარბის. მე-კი ფეხები მიდგია იმ ღობიანს ²⁾ შუბლზე, რომელიც იმ ქვეყანაში ჭკუას მასწავლიდა: ასე და ასე უნდა შეიქცე, თუ გინდა ცხონებაო, და თითვან კი ჩემ ფეხ ქვეშ შეექცაო.—მეც დამამიწყდა ³⁾ ჩემი გასაჭირი და სულელივით გამეცინა, როცა გევიგე, რომ ეს იყო ჩვენი ხუცესი, აწ უკვე განსვენებული და წაწმენდილი.

10. ყუყუნა მიეფე.

იყო ერთი ყუყუნა მეფე. გადაუღილი იყო ამ წუთის-სოფელზე. რა წამსაც გოგონებდა ისე, რომ სიამუნება და ღებნა არ ენახა, დაკარქულათ თვლიდა სულ ღებნაში და განცხრომაში იყო, ათასობით და ათი-ათასობით იმატიყებდა კარის-კაცებს და დიდებულებს მათ-მათი ოჯახობით. თითო ღებნაზე ათასი ჩაფი ღვინო დელიეოდა, ასი ფუთი ფლაგი ალამს ვერ უკლავდა ⁴⁾ ვერავის. რიცხვი არ ქონდა, იქ რომ იხმარდენ დანა-ჭურჭელს. რამდენი ხარი იხოცებოდა, რამდენი ძროხა, რამდენი შკელი და ირემი! ჩიტის რძის შეტი აღარასფერი დააკლდებოდათ ხოლმე. ეს ქვეყანა თავის ს:მთხეთ ქონდა გადაქცეული ყუყუნა მეფეს და მხოლოდ ის ქონდა საფიქრალ-სადარდებელი, რომ „წუთის“ სოფელი იყო იგი.

მარამ სამაგიეროთ შეტათ გულ-ქვა, გაუტანელი, მიუხედავი იყო ქვრივ-ობლების, გლახა-თხოველების და გაჭირვებულებისა. მისი სასახლის კარს რომ თხოველი მიდგომოდა, შოუთკლიდა: მე უშენოთაც დიდი ხარჯი მაქვსო და, ვაი იმ თხოველს: გაჭირვებულ-საწუელს, რომელიც მაშინვე არ გაშორდებოდა: იმ წამსვე ძაღლებს დაახევიებდა უმოწყალოთ. ამხიარათ ისე დაშინებულად უკლავდა (საწუა-

¹⁾ აბუზარა—ერთგვარი მწერია რომელიც საქონელს მუშენს და აგიუებს.

²⁾ მოტვლეპილი, მელოტი.

³⁾ დამამიწყდა.

⁴⁾ „ალამს ვერ უკლავს“—ვერ აკმაყოფილებს.

ლი, ღატაკი და დაცემული ხალხი, რომ სსსსლესთან მისვლასაც ვეღარ ბედავენ.

მარამ, ერთჯელაც იყო, მოუვიდა აღსასრული მეფეს... გახთა ავით, დეკარქა შადა, სინსე თანდის-თან უმატებდა. მეტის-მეტი სინსით გათარანებული ¹⁾ და მოთენთილი ²⁾, ძილათ იყო მივარდნილი. ერთჯელ გამოფხიზლდა. მიიხედ-მიიხედა: დიდებულნი, ერთგული კარის-კაცები უველა ჩამოშორებოდა. მხოლოთ თავით და ფეხ-ტით ³⁾ თითო-თითო ისეთი სმინელი სურეელი უდგა, რომ მათმა დანახვამ გული გოუნეთქა: თვალები გამობრაზული ⁴⁾ ქონდათ და თითოული ბიასე ⁵⁾ მეტი იყო სიდიდით, კბილების მაგიერათ ეჭვები ქონდათ... ესეი იუვენ სულთამხუთავი-ეშმაკები ⁶⁾. ჩოუევეს ჰიჩში მეფეს ჩანგალი და შითი ამოაცალეს სული; წვიდეს თან და წვეიდენ.

მეფე გაასვენეს კარის-კაცებმა და დიდებულებმა დიდი ვალადით, ტეუზა-ცემით, მოთქმით... თმა-გაწეწილი ხალხი, შავებში ჩამჯდარი, მთელი მიღეთი ⁷⁾ მიღევდა მის კუბოს სამარის კარებამი-დი. წინ მიუძღოდა სამღვდელოების კრება... მარამ ვერავინ ვეღარ უშველა შადალი ღვთის განკითხვისაგან.

მიიუვანეს ჟუჟუნა მეფის სული მაცხოვართან.

— რა და რა საქმე ჩაგიდენიათ? კითხა უფალმა.

— მე ვიფავი ჟუჟუნა მეფე .. ჩემი სიცოცხლე დროს-ტარებაში და ღზინში გავატარე... დეიწყო ჟუჟუნა მეფემ და ძიმის მარცვლებივით ჩამოუთავალა ყოლიფერი, რისი მომქმედიც იყო.

უბძანა მაშინ მაცხოვარმა ანგელოზებს, რომ ჟუჟუნა მეფის სული სსსწორზე შეედვათ.

შედვეს სსსწორზე ჟუჟუნა მეფე. მეორე მხრით ეშმაკებმა მისი ცოდვების აგვაროზი შედეკეს. ცოდვებმა სძლიეს ჟუჟუნა მეფის

¹⁾ გატარანებული, გახურებული.

²⁾ მოშლილი, დასუსტებული.

³⁾ ფეხით.

⁴⁾ გამობრაზვა—დაჭყეტვა.

⁵⁾ ბია კომში.

⁶⁾ სიკვდილის ეშმაკები, სიკვდილი.

⁷⁾ ქვეყანა, ხალხი.

სული, და სასწორიდან უკუ-გდებული მეფის სული წევინდა კვიწიალ-კვიწიალით ¹⁾ ჯოჯოხეთისკენ; იქ ჩეცა აღუდებულ კუბრში და უსახო სახით ²⁾ იტანჯება.

II. ბაბარა ბიჭი და ხარები.

იყო ერთი გლეხი-კაცი. მეტათ ურალი ხასიათის კაცი იყო. ყავდა ერთი ჰატარა ბიჭი და ერთი უდელი ხარც. ეს ჰატარა ბიჭი ამ ხარებზე ისე იყო შეჩვეული და შენატუებული ³⁾, რომ იმისა დედა და მამა ეს ხარები იუვენ.

ერთჯერ გლეხი მევიდა შინ სამუშევრიდან, თან მორეკა ხარები. მეტათ გაბრაზებული იყო გლეხი. დაბა ბოსელში ჭერზე ⁴⁾ ბაგასთან ხარები და იქიდან ბუზდუნ-ბუზდუნით შინ ქოხში შამევიდა. უთხრა ცოლს: დედაკაცო! ხვალ დილას ადრინა წიქარა ⁵⁾ უნდა დავკლავ: გადამიტანა მე მაგათმა უკან დევამ და სირბილმა. დღეს სამკმო-საბალახოთ ⁶⁾ გადოგუშვი ეკენი ნაშუადღევს სტეში ⁷⁾, მე კი ხის ქვეშ ჩდილში წამოვწევი თვალის მოსატყუებლათ. სანამღი გამევიდვინძებდი, ხარები გადაკარქულიყვენ. ვეძებ, ვეძებ და მაგათ ძებნაში დავკარქე დღევანდელი დღე. მარტვა-ხელი კაცი ვარ, რათ მიხდა ხარები, ჩემი შრომითაც იოლათ წავად. მე მაგათ მოვლას და უკან დევას ვუნდები. დავკლავ წიქარას და თითო ნაჭრობით დოფურიკებ სოფელს საიმიდზე და დვინოზე. გავახმობ ტყავს და იმასაც დავჭრი საქალამნეებთ და დავარიკებ. თუ ეს ასე მოხერხდა და არ ვიზარადე, მერე ნიკორასაც ⁸⁾ დავკლავო?..

დიდ ხანს იქაქანა ⁹⁾ გლეხმა. ჰატარა ბიჭი უურს უგდებდა მამას და თითო მისი სიტყვა მახათივით ესობოდა გულში: იმას უე-

¹⁾ ტრიალ-ტრიალით.

²⁾ უსახო სახით, ე. ი. გამოუთქმელათ.

³⁾ შეგუებული, შეჩვეული.

⁴⁾ ზემო იმერეთში ბოსლის იატაკს ჭერს ეძახიან.

⁵⁾ ხარის სახელია.

⁶⁾ „სამკმოთ“—საძოვრათ.

⁷⁾ სტე—მალალი ჩირგენარი, ბუჩქნარი.

⁸⁾ ხარის სახელია.

⁹⁾ ხმა-მ-ღლა ილაპარაკა.

ვარდა წიქარა და ნიკორა. მათი¹დაკველის ამბავი რომ გეიგონა, ძილი და მოსვენება დეკარქა, და, როცა დედ-მამას ღრმა ძილით ეძინა, ის გამოძვრა ქვეშაგებლიდან ჰერანგის-ამარა, გაშვვიდა ქობიდან, შეძვრა ბოსელში, მიიპარა ლანდიგით ხარებთან და ბაგასთან დოუწუო ჩუმი ხმით ორივეს ჩურჩული: არიქა, წიქარა და ნიკორა! უშველეთ თავს; მამა ჩემი დაკვლას გიპირებსთ; დანა გალესა და ხვალ აღიონზე უნდა გამოგჭრას უელი შენ, წიქარაო!

წიქარამ ამეიფუშვინა, ამეიოხრა, გეიზმორა და ადგა ზეზე. ასე შეიქცა შიშით აუფანილი ნიკორაც.

პატარა ბიჭი მივარდა ბაწარს და ორივე სისწრაფით ასხნა. დაპირეს კიდევ ხარებმა გაპარვა - კარა ღია იყო. მარამ პატარა ბიჭმა უთხრა: მე ნუ დამტოვებთ, ხარებო! ჯერ უიქვენოთ მე ვერ გაგძლებ და მერე მამა ჩემიც აღარ მაცოცხლებსო: ჩემ გარდა ექვს ვიზე შეიტანს, რომ სხვა ვინმე გოუმხელდა იმას, რაც მე გითხარით, ხარებსაო? წამიფუანეთ მეც და ვიცოცხლებთ — ერთათ ვიცოცხლოთ, და მოგვედებით — ერთათ მოგვედეთო. დაუბუღდენ ხარები: იზნიქა წელი ნიკორამ, შეჯდა ზედ პატარა ბიჭი, ჩაჭიდა მაგრაო ხელეპი რქებში, იქავე ზესხვანში¹) კვიდა პატარა მწვემისის პარკი ხმელი კოკორით²), ჩამეიღო ის, გადეიკიდა, გადეიწერა პირ-ჯვარი და გოუდგენ ფეხ-აკრეთით გზას.

მეტის-მეტი სიჩქარით იარეს. მიადგენ ერთ მდინარეს. უნდა გასულიყვენ, მეტი გზა არ იყო: მადეკრების ხმურით უკვე ისმოდა.

შეტოპეს მდინარეში ხარებმა. მდინარე იყო მეტათ მოდიდე ბული, გადავლილი იყო მისი ტალღებით წელი-პირი. დეკარქა საშინელი ტალღა პატარა ბიჭს და უკუ-აგლო ხარიდან წელში. მდინარემ დაატრიალა უმაწვილი, ერთი-ორი გზობა ამოყოფია თავი და მერე ჩაძირა.

დაუვენ იმედ-დაკარქული პირუტყვები მდინარეს ცურვა-ცურვით და მანამდი აღარ გამოვიდენ ნაპირზე, სანამდი წელმა დამხვავი

¹) უბერო სახლებში შუა ცეცხლის პირდაპირ მაღლა გადებული ხეები, სხენი.

²) მჭადის კვერი.

ჰატარა ბიჭი არ გამოაგდო კიდეზე. მაშინ გაცურეს ხარკებმა, მოუწვიენ იქით-აქეთ გვერდზე ჰატა ბიჭს, თითქოს მისი გათბობა და გაცოცხლება უნდათო, მარამ ჰატარა ბიჭს რაღა გაცოცხლებდა! ის ისე იყო დაჩქვნილ-დანაყილი ქვებზე და კიდეებზე მიჯვებებით, რომ გაღურჯებული იყო და სისხლი კიდევე დიოდა. შეიყარეს ახლო-მან-ლო მიდამოდან ჭილეუკაებმა, უვაგ-უორნება თავი და გამართეს საშინელი ჩხვილი. საშინლათ გულ-მოსაწამლავათ ზმუოდენ და ქმინავდენ ხარები.

შეიმძვრა ცა და დედა-მიწა ჰატარა ბიჭის საცოდლობით. ამ გლოვის ზარმა მიაწია მადალ ღმერთამდი, და უბძანა მან უორანს: წადი და გამიგე, რა ცოდვის კითხვა და ამბავიაო?

გაფრინდა უორანი. გვეიდა ხანი და, როცა მობრუნდა, მოახსენა უფალს: ვინცხა ჰატარა ბიჭი დამხნვალა და უვაგ-უორანი და ჭილეუკავი დატრიალობენ თავზე მის ლეშსაო.

— არაო, ბძანა ღმერთმა: უვაგ-უორნის ჩხვილი ასეთ მწუხარებას ვერ აძრავს, შენ ურალი ენა-პირი გაქვს და სიბრალული არ იცი, შენ თეთრი კი არა, ღამესავით შავი უნდა იყო შენი შავი სულთაო, და ესროლა ამთილი ¹⁾ ნიგუზალი ²⁾. მას აქეთ გამავდა კუპრივით უორანი.

ახლა გაგზანა მადლმა ღმერთმა ტრედი და დაბაკა: უოველისფერი სიმართლით გამაკებიეო.

გაფრინდა ტრედი. გვეიდა დრო და ხანი და, როცა მობრუნდა, მოახსენა: საცოდავი სანახავი ვნახეო: ერთი ჰატარა ბიჭი დამხნვალა; წყლიპირზე გოუგდია მდინარეს; მისულან ხარები და მოწოლიან იქით-აქეთ გვერდზე, თითქო უნდათ გაათბონ და გაცოცხლონო, და საცოდავათ, გულ-საკლავათ ზმუიანო. მთელი დედა-მიწა, თვით უვაგ უორანი და ჭილეუკაებიც კი საზარლათ მოსთქვა მენ მათი ცოდვითაო.

— კურთხეულ იუოს შენი ენა! სპეტაკი იუავი, როგორც უმანკო და სპეტაკია შენი გულიო! მანამდი შავი იყო ტრედი, მერე გათეთრდა.

¹⁾ ანთებული

²⁾ მუგუზალი.

ტრედს წითელი ფეხები იმიტომ აქვს რომ ,იმ ჰატარა ბიჭს დაჯდა წულულზე და მოეცხო მისი სისხლი.

12. ა ბ უ შ ა რ ა.

იყო ორი ძმა-კაცი. უავდათ ერთი უღელი ხარი. როცა გვი ევენ ¹⁾, დათქვეს ²⁾: ორივემ ვხედნოთ ხოლმე სახნავში თუ ურ-მის საბრუნებლათ ეს ხარები, რადგანაც თითო ცალი არაფერში გა-მოგვადგებაო. პირველათ გაზაფხულის პირზე სახედნათ ხარები უმ-ფროსმა ძმამ წიუეფანა. ის ხნავდა, თესავდა უანებს და უნდროსი ძმა ხელ-გულ დაჭდობილი იყო თავის აღოხ ³⁾ მოლოდინში და კანი ეჭმებოდა ⁴⁾, რომ ხენა-თესვისდრო გვიანდებოდა. თუმცა ამდენი სახნავ-სათესი არაფერი ქონდა უმფროს ძმას, მარამ რაცხა ეტუო-ბოდა, რომ განგეფო ოხნობდა, ფეხს იბრუშებდა ⁵⁾, აგვიანებდა ხენა-თესვის გათავებას.

რიტომ? ⁶⁾ და, აი, რიტომ.

თვალსა და თვალ შუა რომ ცხვირი არ იყოს, თვალები ერთ მანეთს შუჭამენო. ასეა ძმა და ძმის საქმეც: ძმა რომ ძმას გვეუო-ფა, მისთვის აღ:რასფერს ფიქრობს; კი არა—თუ არ გუავდეს მტე-რი, ძმას გვეუაფი და მტერი ის იქნებაო. თურმე უმფროს ძმას გულში სხვა ეშმაკობა აქვს: უნდა რომ მიითვისოს, უნდა რომ წაარ-თვას ძმას მისი წილი ხარი!

ბოლოსაც რომ გადაუწედა უნდროს ძმას, რომ დეეკარქა უოვე-ლივე იმედი დროზე უანების დამუშავებისა, უთხრა ძმას:

— ჩემი საშველი აღარ არის, თუ ახლა მაინც არ დამიამე ხარებიო. შენ ხომ ბევრი აღარაფერი დაგრჩენია. დასამუშავებელი.

¹⁾ გაიყარენ.

²⁾ სიტყვა დასდეს.

³⁾ აღო—ჯერი, დრო.

⁴⁾ „კანი ეჭმებოდა“—მეტის მოუთმენლობით იტანჯებოდა.

⁵⁾ „ფეხის დაბრუშება“—ფეხის დაბრუშება ზედ დაწოლისა ან ცუ-დათ დგომისაგან.

⁶⁾ რატომ?

თუ ღმერთმა და შენმა ბედმა იპრიანა, ეგვეტ გეუთფა, რაც დათესე, და შე კი, თუ ცოტაც დაგატვიანე, ცოლ-შვილი მიმშვილით ამაში წყდება.

შერე შე რა ვუყო, რომ შენ ცოლ-შვილი ამოგიწუდეს? გაუთფაში ეტ რომ არ ჩაგვეთქვამსო? გათხოვებ ხარებს—ჩემი ნებაა, არ გათხოვებ—კიდე ჩემი ნებააო. შე ჩემი სამუშეგარი არ გამითავები და ქვეყანა არ ამიგდებს სცინათ, რომ ხარები შენ გათხოვოვო?

— შე სანახოვროს არასფერს გეძალბეო, მიუგო უნცროსმა ძმამ: ეტ ხარები გოუოფელია და, შენ თუ ზრუნავ შენთვის, მეც ჩემთვის უნდა ვიზრუნო - მეც მჭირდებაო.

— არ კი გითხარი, რომ შენ სხვა რამეებსაც შეიგონებ და შენი ცოლ-შვილის რჩენასაც შე მაკისრებ, თითქო გაუთფაში ისიც ჩაგვეთქვას? გაუთფა რაღა გაუთფა, თუ სიზიარო რამე რჩება. ჩვენ როცა გვეიფავით, ხარები შე წვეიფვანე და, რომ არ გაგვეო, რომ არ მრგებოდა, რა ბიჭი ხარ, რას გამატანდი, რას დამანებებდიო? ეს ხარებიც ჩემია, გათხოვებ თუ არა—ეგვეტ ჩემი ნებააო.

— შე და ჩემა ღმერთმა! ეგვიტებოდა უნცროსი: როგორც შენია ეტ ხარები, ისე ჩემიაო...

მარამ, როცა კაცს გულში ეშმაკობა აქვს და ამ ეშმაკობის ასის რულებლათ დრო ხელს უწეობს, იმას ფიცი მოარჯულებს? როცა გვიუვიენ, მოწამე არ დოუსწრათ.

— მამ კარჭი, ძმაო! უთხრა უნცროსმა: რა სიმათლითაც მართმევედე ჩემ წილ ხარს, იმ სიმათლით მოგხმარდესო.

თუ კი ფიცი აღარ ჯერა კაცს, იმას წვევლაც ვეღარ შეაშინებს, და უმფროსმა ძმამ სხვებთან პირის გამოსაწმენდათ „აგრე იყოლო“—უთხრა.

გვეიდა დრო და ხანი.

ერთჯელ საპურშაო წირვა¹⁾ აქვს უნცროს ძმას. შეიწვია დიდი და პატარა, მტერი და მოყვარე: მოდიო და დამლოცეთ, მარ

¹⁾ საპურშაო წირვა-ს ისეთს წირვას ეძახიან, როცა ყველაფერს სუფრაზევე შეკამენ და სამღვდელეობას თან არაფერს გაატანენ შინ.

ტვახელი კაცი ვარო. მეიწვია თავისი სახლი-კაციც ¹⁾, მარამ სახლი-კაცს—ამ ორგულ ძმას—არ მოდიოდა ჭკუაში ძმის დალოცვა. ის, საპურშაო წირვაში მოსულის მაგიერათ, სახნავში წვევიდა მითვი-სებული ხარებით.

გვიდა უმფროსი ძმა უნაში, გააბა სახენელი და ჯერ კიდე პირველი ხტულიც ²⁾ არ გვევლო, რომ საიდანღაც გაჩნა აბუზარა ³⁾, შოუჯდა ხარებს და გადარია. იქით ეცენ ხარები, აქეთ ეცენ: საით მირბიან, აღარ ესმისთ. ოუზრეხიათ ⁴⁾ კუდი, ოუშვერიათ თავი და უგზო-უკვლოთ გარბიან. დიდ-ხანს აკავა გამხეცებული ხარები უმფროსმა ძმამ, დიდ-ხანს იბრძოლა, მარამ ვერ დარია: ამა რა მეკრეოდა გაცოფებულ, ტუჩებზე დობულ მოსულ და თვალებ-დასის ხლიანებულ ხარებს!

ბოლოსაც ილაჯ გაწვეტილი კაცი წააქცეის, უღელზე ხელი შეაშვებებს და ბასრივით სახნისი გვერდში გაკრეს. მირბიან ხარები, თან მიათრევენ სახნისზე თევზივით წამოცმულ უმფროს ძმას. მირბიან კლდე-ღრეში, მირბიან ვაკე მიდლოში, მირბიან ტუბუჩქნარებში ხარები, ახტებან დობე უორეს; ახტებან თხრილებს ერთი სიტყვით, საშინლათ დასახინდა სცოდავი კაცი, და ეს საშინელი სახსარობა პირდაპირ შევარდა იმ უნცროსი ძმის ქოჩის ბაკეში ⁵⁾.

მის დანახვაზე ეიშალა სუფრიდან დიდი და ჰატარა ვისაც სადეთ ეშველებოდა, თავ დავიწეებული იქით მირბოდა, რომ მოსლოდნელი უბედურობისაკან თავი დეეხწია.

ერთათ-ერთი უნცროსი ძმის გული არ შედრკა უბედური ძმის დანახვაზე, ის გამაგრდა, თავი გეიმეტა და ეცა ხარებს. ოფელში გაფლებული ხარებიც შეკრთენ და, თითქო ქარტხელი ⁶⁾ ჩავარდაო, დამშვიდდენ, აკანკალებენ. თურმე აბუზარაც მხოლოდ ახლა მოშორებოდათ. მეტი

1) სახლი-კაცი — ძმა, (შორაპნის მახრაში).

2) ხტული — სახნისით გავლებული კვალი.

3) მწერი, რომელიც საქონელს კბენს და ავიყებს.

4) აპრეხვა — ზემოთ აშვერა.

5) ბაკე — ეზო.

6) ქარიშხალი.

რადღა საშვალეა იყო? უნდრთსმა ძმამ ღირსეული ძმური გრძნობით დასამარა თავისი ორგული ძმა და, არამც თუ ხარები, სხვა უოგელი-ვე მისი საცხოვრებელიც მას დარჩა საკუთრათ.

13. სამი ძმა და მაცხოვარი.

იყო სამი ძმა-კაცი. ერთჯელ წვეიდენ მთაში სანადიროთ. სულ მთლათ ერთიანათ აათუნდრიაკეს უსიერი ტუე, მარამ ერთი მჭლავანი ნადირიც ვერ ნახეს, ვერ მოკლეს. ასე ძანძალში და ამაო შრომაში დაადამეს მთელი დღე. დაქანტულები დღე და ღამის გაურის დრას დეეარენ ერთი ხის ძირში. წამოწინწყლა. შეცვიდათ ნაოფლარებს. კვეს-აბედიც არ წამეღოთ თან, რომ ახლა ცეცხლი ეკეიზინებიათ. ამ დრას შორს მთაში გეიკიაფა¹⁾ რაცხამ და ემითო ცეცხლი. ძმებმა იბჟეს, იფიქრეს, ილამარაკეს და უმფროსს დაავალეს იქ წასვლა და ცეცხლის მოტანა.

წვეიდა უმფროსი ძმა. იარა, იარა და ვიატანა იქ, სადაც ცეცხლი ემითო. ცეცხლს უჯდა ერთი კაცი—დიდება მის სახელს! მაცხოვარი იყო და თფებოდა.

— შენს კაი კაცობას, უთხრა უმფროსმა ძმამ: ერთი ნიკუზალი გვითავაზუე, მთაში შემოფრჩით და კვეს-აბედიც არ დაგვეწრო თანაო.

— ალბათ იმედი გქონიათ თავისი, რომ არ შეგცვიდებოდათ, თუარა კვეს-აბედსაც წამეიღებდითო, მიუგო მაცხოვარმა: შენს კაი კაცობას, რავა ატუოთ, რავარი ამიდა იქნებაო?

უმფროსმა ძმამ მიაფლ-მოაფლო ცას თვალეები და გადაჭრით თქვა:

— თქმა არ უნდა, რომ შეიწმინდებო.

მაცხოვარმა ჩეიციანა ულვაშებში და უმფროსი ძმა სახედრათ აქცია. ეელზე მომბული საბელი ქონდა ამ სახედარს, და იმით იქავე მიაბა ხეზე.

იცადეს, იცადეს ძმებმა, მარამ უმფროსი ძმა აღარ მოუბრუნდათ. იფიქრეს: „ვაი თუ რამე ხითათს გადაეკიდაო“, და გოუდტა

¹⁾ გაკიაფება—განათება.

მას კვალ და კვალ მომტანო ძმა. მიჰყვა და მიჰყვა იქით, სიდიანაც ბჟუტავდა აგიზინებული ¹⁾ ცეცხლი. ბოლოსაც მივიდა და დეინას ცეცხლზე მიცხუნებული კაცი.

— გამარჯობა შენი, კაი კაცოვო! მოახსენა შუათანა ძმამ.

— ღმერთმა შენი თავი ნუ მამიშალოსო, უპასუხა მანცოვარმა.

— შენს კაი კაცობას, ერთი ნიგუზალი მითავაზე, ცეცხლის დამთება გვინდაო, კვეს-აბედი აღარ დაგვესწრო და ვიუივნებითო.

— თუ კაცი ხარ, რავა ატუობ: რავარი ამიდი იქნება ხვალაო? კითხა მანცოვარმა.

შუათანა ძმამ მიაყვ-მოაყვლო თვალეები ცას და დაჯერებით თქვა: ღრუბლები ირეკიან და, რაღა ლაპარაკი უნდა, ავდარი იქნებაო. დასაუღეთის ქარი რომ ქრიტინობს ²⁾, ეს ავდრისაო.

ნიგუზლის მიცემის ნაცვლათ, მანცოვარმა ეს მომტანო ძმაც სახედრათ აქცია და მეორე სახედარს მიუბა საბელით გვერდში.

უცადა, უცადა უნცროსმა ძმამ უმფროს ძმებს, მარამ აღარსა გაჩთენ. გულმა უაზრა: „აქ რაცხა კაი ამბავი არ არისო“ და თითქანაც წვეიდა იქით, სადაც ცეცხლი ემთო. იბოღიდა, იბოღიდა ღამეში და, ბოლოსაც იყო, მივიდა ცეცხლთან. დეინასა, რომ კაცი მოჰდომია ცეცხლს, და შეეკითხა:

— თუ ძმა ხარ, ჩემი ძმები წამევიდენ აქეთ და ხომ არ მოსულან? ცეცხლი უნდოდათო.

— ცეცხლს რავა დაგიკავებთ, მარამ, შენს კაი კაცობას, ერთი ეს მითხარი: რავარი ამიდი იქნება ხვალაო?

— დეილოცა ხეთის განკება! — ეგ იმან იცისო, მე რა ვიცი, გულთმისანი კი არა ვარ და არც კუდიანიო.

— ღრუბლები რომ დაჯოლიგობენ ³⁾ ცაზე და ეს დასაუღეთის ქარი რომ ქრიტინობს, განა არ ნიშნავს, რომ...

— განა არ შეუძლია მამა ზეციერს, — დიდება მის სახელს! — რომ ქარიც ჩავარდეს, ღრუბლებიც გადირეკონ ციდან და ავდრის

1) აგიზინებული, ანთებული.

2) სისინობს.

3) ჯოგათ დადიან.

მაგიერ კაი დარი გაშვიდესო? მე რათი მივხვებები მის საქმესაო?

— კურთხეულ იყოს შენი ენა-პირიო! უთხრა მაცხოვარმა და გადასახა პირ-ფვარი. აი, შენი ძმები, აკერ რომ აბიან, ეს სახედრები არიანო. ამათ შეინდომეს უფლის განგების გაგება, და ვირებათ გაქციეო. აჰა, დიდი ჟვერი ¹⁾, წარეკე ეგენი შინ და იმსახურე, სანამდი შეიძღონ სამსახურიო.

ერთ ხელში ნიგუზალი მიცა, მეორეში ის ჟინჯლიდის ²⁾ ჟვერი, აუხსნა ვირები, გოურეკა წინ და უნცროსი ძმა, მაცხოვრის თაყვანის-ცემის შემდეგ, გაჰყვა თავის ძმა-ვირებს. შირეკავდა და უჟაჟუნებდა, რაც ძალი და ღონე ქონდა. ვირები ამოგონხრის შეტს ველარასფერს ახერხებდენ.

14. კუდიანების თემობა ³⁾).

იყო ერთი კაცი. მგზავრობის დროს გოურა ნათლი-დედას. მეტათ სანატრელი სტუმარი შეიქნა. ნათლიის პატივის ცემის ნიშნათ, მის ცხენსაც კი მეტათ მოუღხინა: თიფა არ დააკლო და ბზე. მოუღხინეს ვახშამს და შეისვენეს.

შუა-ღამე რომ შეიქნა, ადგა ნათლი-დედა, მივიდა კერასთან, — იქ ქონდა მიდგმული ქოთანი, — გადმეიღო ქოთანი, ჩაყო ხელი, დააპკურა ⁴⁾ ცოცხზე, შეჰფადა მერე ამ ცოცხზე და არ-კი აცირციტდა ⁵⁾, ატოკდა! შეუეენა ქარი ფეხებში ამ ცოცხმა, აფრინდა დედა-კაცი და, რავარც მჩატე ნისლი, საფაფურში გაძვრა და გაქრა.

ნათლიას როდი ეძინა. საბნიდან გამოეკუსა თვალები და გულის ბარძგალით უეურებდა ნათლი-დედის ამბავს.

¹⁾ ჟვერი — სახურე, წნელი; გურიაში კი «ვეერს» ეძახიან ხის ფოთლიან ტოტსა.

²⁾ ჟიქნლილი — დაგრეხილი წნელის სანათია, კვარის ნაცვლათ ხმარობენ ქარიან ღამეში, უპეტესათ როცა სათევზაოთ მიდიან.

³⁾ თემობა — კრება, ყრილობა სადღესასწაულოთ.

⁴⁾ დაასხურა, წვეთ-წვეთათ დაასხა.

⁵⁾ ზევით-ზევით წავიდა.

წამოჯდა ლოგინზე ნათლია. მიიხედ-მიიხედა: მთვარისა, შუქი შამოდის ძეღურის საფაფურისა და ნაპრალებიდან¹⁾. არავინ არაა, არც ხმაური ისმის სადმე. ადგა, ჩამევიდა ლოგინიდან, მივიდა კერიასთან. გამოქექა დადარი, გაკაფდა ნაკვერცხლი. ჩახედა ქოთანში: კიდევ შიგ საუცხოვო წამალი. მიიხედ-მიიხედა: აქვე გლია კერიის ძირში ერთი გაკრიჭული²⁾ ძველი ცოცხი. დაასხურა ზედ წამალი ქოთნიდან, გაშვირტო ბაეგებში: ახა, მეც თუ ჩემს ნათლი-დედასავით დამეძარტოსო. არ-კი ასწია ცოცხმა ნათლია! ასწია და აადგეშვია ფეხები, ააცირცოტა, ააფუტა³⁾ და შიგ საფაფურში გააძვრინა. იფრინა, იფრინა ჩვენმა ნათლიამ, რავარც დრუბელმა, და ერთ ტრიაშელ ველში ხეზე ჩადგმულ ზვინს წამედევა. ჩეკტიდა ზვინს ნათლია და შერჩა. მიიხედ-მიიხედა: მთვარის შუქზე კაფობს⁴⁾ მთელი უშველებელი ველი და უოველი მხრიდან მოფრინავენ, მორბიან კივილ-ჟივილით კუდიანები. მოდის და მოდის ურიცხვი და უანგარიშო: ზოგი ჟის ცოცხზე, ზოგი ღორზე, ზოგი მგელზე, ზოგი რაზე და ზოგი რაზე არა.

ბოლოსაც მობანდა დათვით საშინლათ დადაღული⁵⁾, სოჩი-ბიანი⁶⁾ დედა-ბერი როპანი⁷⁾. მის მოსვლაზე გადირია სისარულით მთელი კუდიანობა და ეურთა-სმენა წეიდო მათმა დოუსრულეებელმა ჯღავილმა. გეიუო შუაზე ურდო, გაკეთდა წრე შუაში და შებანდა შიგ კენესით და კრუნცხვით როპანი. ეს იუო ჰატარა, მოკეკული⁸⁾ ბებერი, სახე-ხმელი და ცეცხლ-თვალებიანი. დაჯდა. მის წინ დაამთეს კუდიანებმა ცეცხლი, შემოდგეს ქვაბი და შეუდგენ საჭამადის მზადებას. ვის ჩიტი მიუყვდა როპანთან და ეუმი-

1) ნახეთქებიდან.

2) გაკრიჭილი, გადახეხილი.

3) აამჩატა.

4) ბრწყინავს, ანათებს.

5) კბილები გადმოვდებული.

6) დიდ კბილებიანი.

7) როკაპი, კუდიანების უფროსი.

8) წელში მოხრილი.

ბებოდა: ეს ჩემი შვილი-შვილის სულაო; ვის სისხლი მიქოდა ჰეშვით ¹⁾ და ეუმბებოდა: ეს ჩემი შვილის სისხლაო; ვის ცოცხალი, აწრფოლებული გული მიქონდა და ეუმბებოდა: ეს ჩემი ნათლულის გულიაო... და ვეკლაფერს დიდი მადლობით ჩამოართმევდა როპაპი კუდიანებს, ჩაატკებდა ქვებში და ურევდა თავის ეშმაკურ ჯოხს. ერთი არავინ დარჩენილა, რომ რამე ფეშკაში არ წარმეკვდინა.

ურია, ურია როპაპა და ქვებიდან აშევიდა სისხლის ქათვი.

კუდიანებს საჭამადის ეშვით ტუჩებზე ღორწივი ჩამოდიოდათ. მთელოდნელათ ელოდენ: აპა, როდის გვერეკება ჩვენი ხვედრი ულუფაო ²⁾. სულ ვეკლაზე უფრო ამ კაცის ნათლი-დედა დატრიალობდა. ის იყო, რომ ჩიტო წოუდგინა როპაპს და უთხრა: ეს ჩემი შვილის სულაო.

ბოლოსაც როპაპა პირველათ თითვან მიიართვა კერძი. ჩაუოხელი ადუღებულ სისხლის ქვებში და ჩიტო ამოუვა. შეახრამუნა ხატვებთან ³⁾ როპაპა ეს ბადანას ⁴⁾ სული. ისმოდა კრუსუნის, რაცხა ჩაკუდული, შორეული სხავილი. როცა გაათავა, უთხრა ამ კაცის ნათლი-დედას როპაპა: შენ ერთოფ დიდი რძეგენი მამიტანე და შენ გარკებ ვეკლაზე უწინ კერძაო და, როდისაც ის-ის იყო უნდა ჩეკეო ქვებში ხელი, გავარდა დაშანა. დაშანის გავარდნაზე ეირ-დეირიენ კუდიანები, აუიუინდენ და გეიფანტ-გამეიფანტენ. დარჩა ცარიელი ტრიაშელი ველი.

ამასობაში კიდევაც გათენდა.

ეს დაშანა გეისროლა ნათლიამ. ესროლა როპაპს და, თუ ნათლი-დედას მოხუტებოდა, არც იმას ინაღვლებდა ძალიან.

ჩამევიდა ზვინიდან ძირს ნათლია და მივიდა იქ, საცა როპაპა იჯდა. იქ რაცხა დარჩა, როცა კუდიანები გადაცვინდენ. მივიდა ნათლია და იტკვლიცა თავში, რაც ძალი და ღონე ქონდა, ხელით თითვან თავისი ცხენი შეკვლა თავისი დაშანით საცოდავ კაცს!

¹⁾ პეშვი—ცალი ზელის გული, ნახევარი მუჭი.

²⁾ კერძი.

³⁾ კბილუბიანმა.

⁴⁾ ბადანა—ბალლი.

15. დავით ბერიშვილი.

იყო ერთი ხუცესი. ერთათ-ერთი ვაჟი უავდა, მარამ ხაროს¹⁾ მიუტავდა პირი, ზვინის ხელა იყო.

ერთჯერ ხუცესმა შეიწია მუშა: მკა ქონდა უანაში განურებული. თავისი შვილი შინ დეეტოვებია და დეებარებია: დახოცე ძროხა და ხარი, სადილი დაამზადე და უანაში შეიტანეო.

რაც არ ღოუბარა მამამ შვილს, დავით ბერიშვილს, ამან კიდე მეტი დაამზადა სადილის სკაძალი და წვილო უანაში.

მივიდა, მიიტანა სადილი. დაჯდენ. დატრიალდა დავით ბერიშვილი. სხვა რომ ერთ ჭადს ვერ ათავებდა, ის მთელ-მთელს თითო ლუკმაზე მიასვევდა ხოლმე; სხვა რომ ერთ წვადს ვერ ჭამდა, ის თითო ლუკმაზე თითო ბუჭს გამოივლებდა ხოლმე პირში და ძვალს გადაატვებდა. ღვინოს ხომ ჩაფობით სვამდა. შეღვინიანდა, შეზარხოშდა დავითი და დაატრიალა ცელ-ნამგალი, ცეცხლივით შეედგა უანას და სათიბივით ჩაატო. ერთი ჯოგი შენამტლეებისა შესამთლეებივით მიჩანჩალობდა მკაში მის უკან. ის ასი კაცის საქმეს აკეთებდა.

გავარდა მთელ დედა-მიწაზე დავით ბერიშვილის ქება. ისე ძრიელი და ისეთი სანახავი იყო, რომ თითვან მამა ხუცესსაც კი შეეშინდა მისი და, რამე-ნაირათ რომ თავიდან შეეცილებია შვილი, დავით ბერიშვილი, უთხრა: შენ შვილო, უბრალო კაცს არ გავხარ, სამეფო კაცი ხარ და, ამამავალი ხემწიფის ქალი-შვილი თუ არ გითხოვია, ჩემ სახლში აღარ დაადგა ფეხიო.

დავით ბერიშვილმა თავი შეიწონა. გულიც ერჩოდა და ძალასაც გრძობდა. წვიდა მართლაც ამამავალი ხემწიფის სასახლისკენ.

დიდი იარა თუ ცოტა, შეხვთა ერთ გაშლილ ველზე გუთნის-დედას. გუთანი აბრუნებს ბელტებს²⁾. რამდენ ბელტსაც კი გადააბრუნებს გუთანი, გუთნის-დედა დეებსრება და გადაელაპავს, თანაც იძახის: ვაი, რა მშაოა!

¹⁾ ხარო—ორმო.

²⁾ ბელტი—ბელტო, მოხნული მიწის დიდ-დიდრონი ნაფლეთი.

მივიდა მასთან დავით ბერიშვილი და გაოცებით კითხა: რა სურვილი ხარ, რომ ამდენ ბელტს უღაპავ და მაინც „მშაო“ გეიძახი?
— მე ვისი ბუზი ვარ! კაცი დავით ბერიშვილია. რაღ იმას სჯემე ჩოუდენია, იმას ვინ შეძლებსო?

— აჰა მე ვარ დავით ბერიშვილი; ან მიძმე ან მიუმეო!

— უმობას ვერ შემოგკადრებ და მიძმე, თუ კაცი ხარო.

დაძმობილდენ. ბელტი-უღაპავამ დაანება თავი საქმეს და გაჭყვა დავით ბერიშვილს.

დიდი იარეს თუ ჰატარა, მიადგენ ერთ მდინარეს. ხედავენ, რომ ერთი კაცი წახრილა მდინარისკენ და იძახის: „წრუბი ვქნა, სრუბი აღარ იქნება, და რა ვქნა?— ვკვდები წყურვილითაო!“ დუქსტობა¹⁾ მდინარეს და ააშრობს. სანამდი მდინარე ისევ წამევიდლოდეს, ის მაინც გეიძახის: სრუბი ვქნა, წრუბი აღარააო!

გადადგენ ძმობილები და მიაძახეს: რა სურვილი ხარ, რომ მდინარეს აშრობ და მაინც გეიძახი: „წყურვილით ვკვდებიო!“

— მე რა კაცი ვარ? კაცი დავით ბერიშვილია. იმისმა საქმეებმა მთელი ქვეყანა გადაურუაო.

— აჰა, მე ვარ დავით ბერიშვილიო.

— ან მიუმე, ან მიძმე და გამოგადგებო.

— მეძმე, მე უმა არ მინდაო! და გადაესვიენ ერთმანეთს. საშივე დაძმობილდენ და წვეილენ ამამავალი ხემწიფისაკენ.

იარეს, იარეს და ხედავენ, რომ ერთ ხუცესს მოუკიდა ზურგზე ქვის სასტარი და, სადაც შეეკუნებება, იქ დადგამს, გამოეყვანს წირვას, თუ ლოცვას, ისევ ეიკიდებს თავის სასტარს და მგზავრობს.

— რა კაცი ხარ. რომ სასტარი დაგაქვს ზურგითო?

— მე რა კაცი ვარ? კაცი დავით ბერიშვილიაო, — მიუგო ხუცესმა: მისმა საქმეებმა შეიარა ქვეყანაო.

— აჰა, მე ვარ ის დავით ბერიშვილი და მეძმეო.

დაძმობილდენ ოთხივე და გასწიეს ამამავალი ხემწიფის სასახლისკენ.

¹⁾ მუხლებზე დაჩოქებით დაეზრება სასმელათო.

დიდი იარეს თუ ჰატარა, მიიჭრენ ამამავალი ხემწითის სასახლეს-
თან.

შოუთვალეს ხემწითეს: დავით ბერიშვილს შენი ქალიშვილი
უნდა მიათხოვო.

მეუფემ შამოუთვალა ძმობილებს: ჩემი მოუფრობა რათი შეუძ-
ლია დავით ბერიშვილს? მე ჰურ-გუნვი ხემწითე ვარ, ლხინი მე-
ტათ მიუვარს, მეტათ მიუვარს სმა და ჭამა. დავკლავ ცხრა უღელ ხარ-
კამბეჩს, მოგხთი ათას-ჩაფიან ქვევრას. თუ დაცლის ქვევრას და შეჭამს
ამ ხორცეულს, მაშინ იქნება ჩემი სასიძო კაცი და სახემწითელსაც მას
დოფულოცავ; თუ არა და რაზე შეპოტინება, თავს წავაგადებოეფო.

ძმობილებმა შოუთვალეს მეუფეს: მაგის ჯაფრი ნუ გაქვს — შენ
მხოლოდ ჩვენი დანაურება შეიძელი.

აჰა, მიშველეთ, ძმობილებო, გამამაჩინეთო! შეეხვეწა დავით
ბერიშვილი ძმობილებს და ჩოუჯდენ გამართულ სეფაში ¹⁾ სუფრას.

რა გააძლებდა ბელტი-გულაპიას? წარა-მარა გეიძახოდა: მოგ-
ვკლა შიმშილით მასინძელმა.

მეუფეს შეეშინდა: მეც არ შემეჭამონ, ესენი დორ-მუცელა ხალ-
ხი უოფილა, და ამით რაფა მივითხოვებ ჩემ ქალიშვილსა.

მაშინ უთხრა დავით ბერიშვილმა ხუცესს: ახლა კი შენი საქ-
მეა, მამაო, აჰა, მიშველეთ: ეს სასახლე მეფიანა და მზეთუნახავიანა,
ჩვენიანა წაშეიდვეი ზურგზე და, ჭაიდა, გოუდქეი ჩემკენ გზასაო!

ასე ჩნა ხუცესმა. მისთვის სასახლის აკიდება ბუმბლი ²⁾ იყო,
სახტართან შედარებით. მიხვთა მეუფე, რაც სამარცხვინო საქმე ემართე-
ბოდა, მეითხოვა ბოდიში და, მეტი ძალა არ იყო, დანებდა ბედს: მიათ-
ხოვა თავისი მზნთუნახავი ქალი დავით ბერიშვილს და სამეფოც მას
დოფულოცა. თავისი ძმობილები ვეზირებთ გეიხადა დავით ბერიშვილმა.

ვინ ვერ მიხვთება, რა დღე დაადგებოდა ამით ხელში სახემ-
წითელს: განა ცოტა ხორაგი, ცოტა სამჭმო დაჭირდებოდათ ბელტი-
გულაპიას და „წრუბ-ხრუბის“-ძახიას?

¹⁾ როცა დიდი წვეულობა აქვთ, ეზოში საჩქაროთ გამართავენ სუფ-
რა-სკამებს, შემოდან ფოთლებიან ტოტებიან ტილოთი გადახურავენ; ამას
ეძახიან სეფას.

²⁾ ბუმბლი — ბუმბული.

ხალხური ლექსები.

(შეკრებილი სევასტი გაჩეჩილაძის მიერ სოფ. წვეაში, ზემო იმერეთს).

I

სამირო და საისტორიო ლექსები¹⁾.

1. ა მ ი რ ა ნ ი.

სანადიროთ დადიოდენ
ამირან და ძმანი მისი;
ათი თა²⁾ რო გადაარეს,
მეთერთმეტე არგვეთისი³⁾;
შუა თაზე რო მივიდენ,
კოშკი ნახეს ქვიტიკირისი;

შიდა კვდარი⁴⁾ ასვენია
საწყალი და საბრალისი,
თითებსა და თითებ შუა
წიგნი ქონდა ქაღალდისი;
ამირანმა წეიკითხა:
„დისწყული ვარ უსუბისი“.

2. ბეჟანი და მარჯანი.

ბეჟან, გივი და გოდერძი
ერანელ⁵⁾ თავადებია.

ბეჟანს ტახმა შოუტია,
ჯაჭვის კალთა დოუხია.

¹⁾ ბ. ს. გაჩეჩილაძის მიერ შეკრებილი ხალხური ლექსები მრავალგვარი შინაარსისაა. «საეთნოგრაფიო ზ' საისტორიო საზოგადოების» საბჭომ საჭიროდ დაინახა, საგნების მიხედვით, ყველა ეს ლექსები ჯგუფებად დაეწყო, რაც თავ-თავის ადგილას რომაული ციფრებით იქნება აღნიშნული.

²⁾ მთა.

³⁾ არგვეთი—სოფელია ზესტაფონის მახლობლათ.

⁴⁾ მკვდარი.

⁵⁾ სხვა ვერსიით: «ერევენელ».

მძიმე ლახტი თავში დაკრა,
ტვინი ადგილ დოუმტვრია;
მოკრა თავი, მხარს გვიდო,
ეშვი ადგილ გოუთრია.

აერასინონის ხეშიწიფეს
ქალი უავდა მარიჯანი:
მზე არის ამამავალი,
ხვინჭკაზე ¹⁾ გადამავალი;
რაც კაცი იმას არ ნახავს,
მისი სიტტტხლე რა არი?

ბეჟან იჯდა ციხის ძირსა,
ანათლებდა ²⁾ მზესავითა.

ქალ-მარიჯან გადახედა:
„ვინ ანათლებს მზესავითა?
წადი, ძეძა, აქ მამეგარე;
ტყავ-ტალამას ³⁾ წამოგასხამ,
ოქრო-ვერცხლით მოჭედილსა!“

წევიდა და ამოგვარა.
ბეჟან ღხინათ დააჯინა,
ცხრა დღე და დამე აღხინა,
იმღეროდა წვრილი ხმითა.

მამა თავზე წამეკსწროთ:
„შეხედე კახხა დიაცსა,
ქმარი ამჯობა მამასა?
რისთვინ გაგზარდა მამამა,
რისთვინ გეტუოდა ნანასა?!“

— არც გოუზდივარ მამასა,
არცა მეტუოდა ნანასა:
ადღულებდა ფაფასა,
მითი დამწვამდა ხახასა!...

ბეჟან ხაროში ⁴⁾ ჩაგდეს,
თავს ხარხიმი ⁵⁾ გადაგდეს,
თავს მარიჯან დააუენეს,
ეშმაკებით გატენილი...
— ბეჟან არის ერანელი,
კაცთან არის საუვარელი.
თურანელი რათ ვერ გაძეს
ერანელის სისხლის სმითა?

— „მე რა უეო, ჩემო ძმარ?
შემარცხვინა ჩემა ქალმა...
ეგელგინე გიიტანა ქარმა!...“

3. სოლოლას ლექსი.

სოლოლამ ჩამეიარა
ქალაქში იზინდრითა ⁶⁾.

სამჯელ ცხენი წამეეჭვა,
სამჯელვე მუხლის-ტრითა ⁷⁾.

¹⁾ ხვინჭკა — წვრილი კენჭები, ქვიშა.

²⁾ ანათებდა.

³⁾ ტალამა, ტალმა — ხემოდან ჩასაცემელი ტანისამოსი.

⁴⁾ ხარო — ორმო.

⁵⁾ ხარხიმი — ორმოს თავსახურავი.

⁶⁾ იზინდარი — ვგონებთ, სამუსიკო იარაღია.

⁷⁾ მუხლის-ტარი — მუხლის ქვემოთი ნაწილი ფენისა, წვივი, კანჭი.

შვიდი დღე-ღამე იარა,
ჩაბძანდა ხვანთქრის კარსაო.
რაცხა¹⁾ იმისი ბედას,
გვიბირი დახვთა კარსაო: [ხარ?...²⁾

— „სოლოდა, რაზე დარჯილ
ხვანთქარს ერთი არაბი უავს,
თუ იმას ეჯიროთები,
სიმაგრეს დაგიჯუნ ტახტსაო!“
— წადი, ის ცხენი მამგვარე,
რძეს რომ ასმევენ ტაშტსაო!

შვიდ მეჭინბეს მოუავდა,
შვიდი ძეწკვი აქვს თავსაო.
შეადგეს ოქროს ასალი,
რახტი ამოდგეს თავსაო.
მაზე სოლოდა შებძანდა,
რავარც როდინა³⁾ მტკვარსაო.
ისარა შეიტრიალა
შუაგულ მეედანსაო:
— „აჰა, არაბო, მამდიე,
მამდიე ცხენის კვალსაო!“

ორი ესროლა არაბმა,
ორივე გადივლო თავსაო.
შესამე რე გოუბრუნა,
უხალა ახვანდასაო.
გადმეიწია სოლოდამ,
დადგა ცალ ახვანდასაო:
— „აჰა, არაბო, გამექქეც,
მოგლიო ცხენის კვალსაო!
ჯირითს ერთის შეტს არ გესვრი,
იმ ხეთისა სამართალსაო!“

ერთი ესროლა სოლოდამ
მარჯვენა ბეჭის თვასაო.
დეიდრიალა არაბმა,
დეეცა მეედანსაო.

მოდიან სერდაბეგები,
შეგროვდენ მეედანსაო:
„ვამე, ჩემო არაბო,
ეგ რა კაცი გამოგიჩთა,
გაჯობა კლავის ძალსაო?“

4. მამუკა სავანელი.

მამუკა სავანელია,
ტკბილი და სუვარელია,
ადგა, ცოლშვილს დეეკითხა:
„სინმარი ვნახე ძნელია!
ადე, ბიჭო, შემეკაწმე
ჩემი თამაშა ცხენია,
ზედ იარადი შემიდგი,

წინ ახვანდები გძელია!“
სიბის დელეს რე შეუდგა,
იქ დახვთა მისი მტერია,
თავი მოჭრა და მივიდა;
წიფლისკენ გარბის ცხენია;
ეს რე წიფლებმა გიეგეს,
ადვირში ტაცეს ხელია,

¹⁾ რაცხა — რალაც.

²⁾ გარჯილხარ, მ.ზრძანებულხარ.

³⁾ ამ სიტყვის მნიშვნელობა არ ვიცით.

ბატონს კაცი გოუგზანეს:

„მოგიკლეს სავანელა!“

— „ჩემ სავანელს ვინ მოკლავდა,

ვინ არი ჩემი მტერია?

ვიტირო, რავა ვიტირო?!

ცოლი-ძმა არი ჩემია!

ხვთის მადლს ნურავინ გოუმხელთ

მამუკაშვილის ქალსაო!“

გამოვარდა ¹⁾ და იტირა,

თავი ახლად ქვასაო;

სოფლის ქალი ვერ კაულაბს ²⁾,

იგლეჯდა გიშრის თმასაო:

— „წითელ ტალამას შევიხთი,

ჩევიცვამ ძაძა-შავსაო;

მარშია ³⁾ მე რაღათ მინდა,

ჩევიცვამ ქალამანსაო; [ხამთ,

ხვთის მადლს, ნურავინ დამძრა-

მარჯვეთ ვიტირეჟუ ძმასაო!...“

5. ოთარას ლექსი.

საწყალობელი ოთარა

იყო ნაჭები გვარსაო.

საში ჩერქეზი რო მოკლა,

მეოთხეს მიღვეს კვალსაო.

რომ მიწოდდა მამაძადლს,

აღენდა სისხლის ღვარსაო.

ეს მამაძადლი ჩერქეზი

აბზიადებდა ხმალსაო;

ოთარას თოფი მოარტუა

მარჯვენა თეძოს თავსაო.

— „შენ, ბიჭო ორხელაშვილო,

შენ ნუ წახედავ სხვასაო:

მამხედე, აქ ნუ დამაგდებ

ამ გაჭირვების ჟამსაო!...“

გვიქცა ორხელაშვილი

წამეიკიდა მხარსაო...

დაჯდა და წიგნი დაწერა,

ცოლს გოუგზანას სახლსაო:

„ჩემიქედშიდა თოფი მამხვთა

მარჯვენა თეძოს თავსაო;

ველარ მოგივალ ცოცხალი,

ველარ გეხვევი მკლავსაო.

ეს წერილი წეიკითხე,

იგლეჯდე ღოუის კანსაო;

მოკითხვა და ნახვის ნატვრა

ჩემ კუწასა ⁴⁾ და რძალსაო.

სულა დმერთსა შემივედრეთ,

ნუ შეიწუხებთ თავსაო!“

6. ომან ხანიშვილი

ეს ომანი ხანიშვილი

ტან-წერილი და სუფთა არი.

ბელექანს შამოურა,

ბახჩა ნახს სამაღავო.

¹⁾ გამოვარდა.

²⁾ ვერ იკერს.

³⁾ ამ სიტყვის მნიშვნელობა არ ვიცით.

⁴⁾ კუწა — ქალის საკუთარი სახელია.

შათათს წასული ომანი
კვირეს სადილათ შინ არი.
რას კითხულობთ, გურჯანლებო?

ომანო გაზახი არი:
ასი კამბეჩი ¹⁾ მოასხა—
ოცი ზაქის დედა არი!

7. სოლომან ბუტულაშვილი

სოლომან ბუტულაშვილი
კარგათ ინახამდა ცხენსა.
ქმა იმას ოუმბუბოდა:
რატომ აცემევ მატენ ქერსა?
— ორ ომში გამოსული ვარ,
მესამეში დამწერესა
ჯარში რა გამამაწვიეს,
სამი მასროლი თათარო
დაბაღ ადგილას დამსტყესა...
გააქანეს ტუუშათ თოფი,
ტუუშათ სოლომანს მოხვტესა,
ორი რამ მოხვტა სოლომანს,
ერთი მის საჯდომსა ცხენსა.

გადეწია სოლომან,
ერთ აბუნდაზე დადგესა.
ეფენია, მისი ქალი,
თმა-გაშლილი მივარდესა.
— ნუ გეშინია, სოლომან,
კიდე ნახამ მამაშენსა!
— „მე მამაჩემს ვეღარ ვნახავ,
სამათ უმზერ ²⁾ მაღლა მზესა.
ეფენია წიგუნანეთ,
მუცელი არ წოუხტესა!“
ამ ლექსების გამამთქმელსა
შვიდი კლენი აჩუქესა!

8. გიორგი აფთიაშვილი.

გიორგი აფთიაშვილო,
შეგარდენი ხარ მთისაო,
კარგა მხუნელი და მთესველი
მსახური ერისთვისაო!
ოჯახი კარქი გიღვია,
კოშკი გიღვია ხისაო.
ახვალ შიდა, დეიძინებ,
არ გეშინია მტრისაო.
ტყვია-წამალი ბევრი გაქ,
თოფები ხვარუნისაო.

არ მოგრახა ტყეში ნადირი,
არც ორაგული წყლისაო.
დევესნათ და ჯარს წივიდეთ,
ბძანება არი ხუთისაო.
გამოკვინიშნეს, მოკვიკლეს
გიორგი ალვის ხისაო.
გიორგი მარჯვეთ იუაგი,
ნუ დეეკარკვი შვილსაო!
დმერთი მოგცემს ბარაქასა ³⁾,
ქამანჩასა და შტვირსაო;

¹⁾ კამეჩი.

²⁾ ვუმზერ.

³⁾ ამას ქვემოთ, ალბათ, მესტვირის საკუთარი სიტყვებია.

გინდა დოჟუერაჟ ქამანჩას,
გინდა პატარა შტვირსაო.

მიდღემში ნურა სტკივა-რა
თქვენი დედ-მამის შეიფსაო!

9. მარია-დედოფალი.

ნეტა რა არი მისთანა:
ამაშავალი შიხისთანა,
წყალში რა ფეხი უდგია,
იმ რქრის ჩადახისთანა¹⁾,
გაღმით-გამოღმით ქალაქი,
შუაზედ შეედნისთანა,
დედის მუცლიდან ნაშობი
მარია-დედოფლისთანა?²⁾

მარიაო, რამ გაკავსო, [სო?
თოთხმეტი დღის მთვარის მგზავ-
შიგნით თვალი სამოთხის გაქვს,
გარს წამწამი ხშირი გაქვსო.
მდომიერმა კაცმა ენახოს,
ამას იტყვის: „ეფუა დგასო!“
ერთი შენი შამხედვა
ათას ჯავრსაც დაკარგავსო!

10. რეჟება და არჩილ-გვი.

რეჟება მოდის იმერეთს,
ინთ იღებავს უფაშსა;
ჯარსა იმედს ეუმბება:
„თუ ჩაგიყვანე იმერეთს,
სულ ხინთ³⁾ გასმეგ ღვინოსა!“
ათასი კაციტ რეჟება
დეებარგა ნებოძირში⁴⁾.
ნეფესთან⁵⁾ შორბის ჩათარი:
„მოგვეხმარე გასაჭირში!“
ნეფემ უთხრა: „არჩილ⁶⁾ ძმაო,

არ წევოდეთ, არ იქნება!“
არჩილმა წამეძახა:
„შემიკაზმეთ ბერი-კვიცი⁷⁾!“
შათრახი ერთი ამოკრა,
იქ მოუსწრო ჭარტლის⁸⁾ ძირში.
შექნეს ლეკებმა ფურჩული:
„მოგვეწია არჩილ-გიჟი...
გვეითხაროთ ეველამ მიწა,
რომელსაც გვაქ დანის ღინწი⁹⁾!“
რეჟებამ შამუაგინა

¹⁾ ამ ჩარდახს დღესაც უჩვენებენ ქუთაისში, რიონის პირად, ვაჟების გემნაზიხისთან.

²⁾ სოლომონ II-ის მეუღლე.

³⁾ პინა—დიდი ჯამი.

⁴⁾ ნებოძირი—სოფელია ზემო იმერეთს, ბეჟანთუბნის ახლო.

⁵⁾ მეფე სოლომონ I-ელთან.

⁶⁾ ეს არჩილი სოლომონის ძმა იყო, გამბედაობისთვის «არჩილ-გიჟს» ეძახდენ.

⁷⁾ ხალხის თქმით, ეს «ბერ-კვიცი» ზღვის ცხენი იყო.

⁸⁾ ჭარტალი—სოფელია ნებოძირის ახლოს.

⁹⁾ ღინწი—პატარა დანა.

ბატონიშვილს დედა ჰირში. გეგონა დაგიფთხებოდნი?
ერთი არჩილმა შესძახა: სიბ ქვაზე გეჭენებოი,
„შენი რჯულის საქმეც ვიცი: ჩენ, შუბივით დევესობოდი;
ზოგს მოგკლამ და ზოგს მოგარ- აღმართში ვიყავ მერანი.
ზოგს ღორის ქონს გასხამ ჰირ. დაღმართში დაგოგოვებოდი.
ხოსია ¹⁾ ღ არჩილ-გიუი [ში“ მუჯინიბის ჯაფრი ჩამეყვა,
შუას ქვეით ჩაჯდენ თხრილში. ნეტავი იმას ვრგებოდი:
წამოუჩოქა ხოსიამ, წულის სასმელათ გამიეყანდა,
ლეკას თოფი მისცა ცხვირში. წელს შემოიზულდა ეროთი,
ბერმა-კვიციმა თქვა საწყალმა: ნიტრა ³⁾ ქერს ჰირს ამაკრავდა,
„ამას თქვეჩან არ ველოდი, ისე მაჭმევედა გემოთი.
თუ საფრათ გამიკეთებდი რას ღირს-ხარ, ვუგო-უორანო,
ასი ფთა ჩიგვი ²⁾ მენახა, შენ ჩემი ხორციით ძლებოდი!“

11. კოსტანტილე დათაშკეელიანი.

დათაშკეელიანის ქება თავის საკუთარ ტახტზედა;
გათქმულა ქვეუანაზედა. გაგარენმა გოუმცხადა:
სვანეთიდან წამევიდა „თავადმა და აზნაურმა
გახარებული გზაზედა. ხელი ეიღეთ უმაზედა!“ *)
ხემწიფის ბძანება არი, — იმ დღეს ღმერთმა ნუ შემასწ-
ნახმობია რაცხაზედა: ხელი ამეღოს უმაზედა; [როს,
გაგარენმა ⁴⁾ მიიწვია მისთანა საქმეს კი ვიზამ,

1) ხოსია მაჭავარიანი ცნობილი ვაჟაკობით.

2) ჩირგვი, ბუჩქი.

3) ე, ი. ლიტრა ანუ მ გირვანქა.

4) ქუთაისის გუბერნატორი იყო.

*) როგორც ვიცით, გაგარინისა და დადიშკელიანის შეტაკების მიზეზი სხვა იყო; მაგრამ ხალხის ფანტზიას აქ სხვა-და-სხვა ფაქტი ერთ მანეთზე გადაუბამს.

თავს მევიკლამ მაგაზედა!...
 სატევარს ¹⁾ ხელი გეისვა,
 ოთხი დასტრა ერთ-წამზედა;
 ყველა გაფანტ-გამოფანტა,
 ერთი სტოლ ქვეშ შეუძვრესა.
 კოსტანტილე გამევიდა,
 უნდა რიონს ჩავარდესა:
 „მე რომ ამ წყალში ჩავარდე,
 სირცხვილია ჩემ თავზედა!...“
 გამობრუნდა კოსტანტილე,
 მიღის ბაქრადის სასზედა;
 ბაქრადის სახში შევიდა,
 ლეკურს ²⁾ აკონა ტარზედა:
 „მე შენ აქ არ დამრჩენოდი,
 შეგისრულეობდი ცხრაზედა!..“
 ჯარები შამეესია,

რავარც ბაღანი თავზედა;
 დეიჭირეს კოსტანტილე,
 მოყავსთ ზე ნაობახზედა!...

ეს ალექსანდრემ ³⁾ შეიტყო,
 ცრემლი მოადგა თვალებზედა:
 „ვინ მამიკლა გაგარენი?
 მიყვარდა მამის გვარზედა!...“
 ვეზირებმა მოახსენეს:
 „ვინ იქნება ავი კაცი,
 თქვენ რო გაჯობოს ძალზედა?...
 უოველმა კანმა უყუროს
 სულის-ხორცის გაყრაზედა!...“
 კონსანტილე გეიყვანეს,
 მალლა თოკით შიბესა,
 ძირიდან თოფი ესროლეს,
 ძირს საფლავში ჩავარდესა.

12. ივანე აბაშიძე ⁴⁾.

საწელობელი ივანე
 რა მოსაგონი ენითა!
 ათასში გამოსარჩევი,
 თავადიშვილი ხელითა!

მტერზე ხმაღ-ღა-ხმაღ მიმსვლელი
 რა საშინელი ელფითა!
 ხუთასს ერთ მისვლით მოკლავდა,
 მობრუნებოდა ლხენითა.

13. შაქარა კიკნაძე.

რუსის ჯარი რო მევიდა,
 ჩამეიპანა ვანსაო,

ზურაბ ⁵⁾ დაირა დოუკრა
 დავით ბაქრადის კარსაო.

¹⁾ სატევარი—ხანჯალი.

²⁾ ლეკური—ხმალი.

³⁾ ალექსანდრე II იმპერატორმა.

⁴⁾ ცნობილი იყო, როგორც რუსთა მფლობელობის წინააღმდეგი იმერეთში.

⁵⁾ ზურაბ წერეთელი—მომხრე რუსთა მფლობელობისა იმერეთში.

დავით ბაქრაძის ცოლ-შვილი — ბიჭო რა მოკარბენიებს,
 იქ შოუენეს მთასაო. როგორ მახარებ ქმარსაო?
 მას ხოსია უკან მიღვეს, — ბატონო, რა მოგახსენო?
 მიაჭუნებს მერანსაო; მოასვენებენ კვდარსაო!...
 მას შაქარა უკან მიღვეს, იკიფლა, კარში გაყარდა,
 მიაპრიალებს ხმაღსაო. შულოთ ¹⁾ იგლეჯდა თმასაო.
 შაქარ კიანძე მოგვიკვლეს, გამდელმა ხელი შეაფლო:
 სუუველას ჯობდა ძმასაო. „ბატონო, თავს რაზე იკლავ?
 მახარობელი მორბოდა. კიდევ იშონი ქმარსაო!“
 — „ბიჭო, რა მოკარბენიებს? სუთის მადლს, ნურავინ გოუმხელთ — მე მისთანას ვერ ვიშონი
 მამუკაშვილის ქალსაო!“ შაქარსა და შარბათსაო!

14. ბემტია (ხუმარა) ეუბნება სოლომონ მეფეს:

ერთი ბრეთი, არადეთი, ღმერთმა დაგიწეროს ჯვარი!
 რუისი და შაქარშეთი, გადმაშიგდე იტრიაო,
 გორს წისჭვილი, ატოცს ჯვარი... ვითამ ერთი კიტრიაო!

15. ინგლისი და რუსეთი.

ნეტა რას გადაგვიკიდა რუსები მოწეობილია:
 ეს ან გლია და ხვანთქარი? თოფი და ხმალი მზათ არი!

16. ბატონ-უმობის გაუქმება.

იმპერატორმა-ხემწითემ ახლო-ახლო დასახლეს
 გაგვხადა თანატოლები: ქვიშხეთი და ტაში-კარი.
 მოახლეები დათხოვედენ, ბატონს კაცი ჩამოართვეს,
 ჭადს აცხობს ქალბატონები. ქალბატონებს გულის კარი ²⁾.

17. მცხეთის ტაძარი.

ცხეთა! ისე აგაშენე, ცვარი არ ამაშილია.
 არცა ტყვარი, არც არაგვი ოსტატმა მარჯვენა მამჭრა:
 «კარქი რისთვის აგიგია?»

¹⁾ შულო — ერთი მოხვევა ძაფი. აქ კი ნიშნავს: «ბლუჯა-ბლუჯა» იგლეჯდა თმასაო.

²⁾ გულის-კარი — გულის-პირი, ქართული (ქალის) კაბის ქვეშ გულ-მკერდის დასაფარავი ნაჭერია.

18. ლექსი მზის დაბნელებაზე.

მეცნიერები მევიდენ,
ანგარიშს კრეფენ ცისასა,
სოფელში გამოაცხადეს:
დაღამდეს შუა-ღმისასა.
ზოგ-ზოგი ერთათ მიდიენ ¹⁾,
ზოგი მიდიენ ღვდღისასა:

„ეგებ ღვდღელმა გვიპატიოს,
წიგნებს კითხულობს ხეთისასა“.
რა საღმობას ²⁾ მევესწართ
მთვარისასა და მზისასა!
ერთმანეთსა ჰირის კოცინთ
ამბავს კითხავენ გზისასა.

19. ბაზრის დაწვა სოფ. წვევაში.

ორშაბათ დიღას დეიწვა
საწყალი წვევის ბაზარი:
ძაღლი და ღორი დეიწვა,
თან მათურინგალი ქათამი,

სულ ნამეტურ ტადიბუტა
ნაქალაქები ³⁾ თართალი,
წამლები კაცი ვერ ვნახეთ.
ერთმა არ გვითხრა მართალი.

20 ხოლერას ლექსი.

ხორელას ⁴⁾ ამბავს მოგითხრობ, ხეთიშობელი ⁵⁾ ხორციელი
შიგ ჩავატან გამჩენელსა.
სამი ბერი ერთათ დაჯდა,
ერთი ჰური გასტეხესა:
წვეოდეთ და შევესვეწოთ,
ვევედროთ ჩვენს გამჩენელსა:
ხალხი მთელათ გაურჯუღდა
ბარემ ვველა გათართდესა!
ნათლიობა აღარ არი,
ვიღა იტუვის მეზობელსა?!

სურიალათ გაფრინდეს;
წვეოდეს და იქ მიბძანდეს,
ასე უთხრას ქრისტე-ღმერთსა:
შვილო-ძეო, რას მიპიროფ?
შენ რომ ხალხი გამიწვევით,
ვინ ახსენებს დედა-შენსა?
ან სამთელსა ვინ მამიტანს,
ვინ მამართმევს ზედსუსა?
— „დედა-ჩემო! მათ გულისთვის

¹⁾ მიდიან.

²⁾ ე. ი. საღამოს, ერთმანეთის მოკითხვას.

³⁾ ე. ი. ქალაქიდან (თფილისიდან) მოტანილი.

⁴⁾ ხორელია—ხორველა, ხოლერა.

⁵⁾ ღვთისმშობელი.

თავი მივე სატანჯველსა:
 დამიჭირეს ურებიმა,
 მჩკრათ ხელი გამიკრესა,
 მეიტანეს ძმარ-ნაღველი,
 შენს მეუფეს ის ასვესა“.
 — გვეკრები, შვილო-ძეო,
 მაპატოვე ორი წილი,
 მესამელი შენ დაგრჩესა!
 — „წადი, დედა, და მიბძანდი
 ნება შენი ასრულდესა“.

წამობძანდა ქრისტე-ღმერთი,
 მოწათენი გვერდს უსხდესა:
 — „წავახდინო, როგორც ვქნა,
 როგორ მიჩრევეთ, მოწათენი!
 ცაცხელი მივცე, არ იქნება,
 იქნებ სუვევლა დაწვასო;
 ქარი მივცე არ იქნება,
 ებებ უველა გადაეაროს;
 წყალი მივცე, არ იქნება,
 იქნებ უველა დაახხოსა!“

ცხრა სული იასოული
 უველა ერთათ კამეზავრდესა.
 უმალ რუსეთს გააგზანეს,
 ას როტაში შოუშვესა.
 ასე გაწედა ასი როტა,
 ბავშიც აღარ გოუშვესა.
 ხემწითე ტირილით სკდება,
 თვალბინ ურის ცხარე ცრემლსა.
 პატრები იქ დაიბადენ.
 — დამიძახეთ აჭიმებსა!
 ზოგი გაჭრეს მუცელზედა,

მათი გულ-ღვირძლი ნახესა:
 ხვთის რისხვით წამხდარი არი,
 წამალი არ მოუხდესა.

მანამ უკან წამევიდენ,
 იქ „ხორელა“ დაარქვესა.
 იქიდან რო წამევიდენ,
 „სულ-მეტეველი“ დასძახესა;
 ქალაქს წიგნი გამოგზანეს:
 „მადაც მოვალთ ორ-სამ დღესა!“
 ჩახნის ხიდზე რო მევიდენ,
 სამი ანგარიში ქნესა:
 სამსა ღარჩა ავლაბარი,
 სამსა თათრის მეუღანი,
 სამიც ხიდის უურზე დტესა.
 სამ რიგათ შამოუარეს,
 გარეთ არვინ გოუშვესა;
 ერთ დღეს მოკლეს ცხრა ათასი,
 ანგარიში ველარ ქნესა;
 თათრისა მეუღანზედა
 ტერეხივით დაუარესა.

ქალაქის უსამბაშები ¹⁾
 დაჯდენ, ანგარიში ქნესა:
 „ამისთანა სატკივარი
 არ უნახავს პაპა-ჩვენსა.
 არიქა! უველამ გავასწროთ,
 თვარა ამოვწუდებით დღესა!“
 — „გეურქ-ალა გვემალება,
 სდ ღვესკტება დღესა?“
 რვა სარდაფი ჩეიარა
 და მეცხრეში რომ შევიდა,
 არწევიანეს, ამთხვეიანებს ²⁾,

¹⁾ უსტაბაშები.

²⁾ აღებიანებს ცხვირიდან და პირიდან.

აქცევიანებს დედის ხსენსა.
მეორე დღე რა გათენდა,
ნახეს: ჩვენი გეურქ-ალა

დიდი რუმბივითა ძვესა.
საფლავები ამოთხარეს,
მკვდრები ერთათ ჩაყარესა.

II

ლექსები სხვა-და-სხვა წოდებითა და სოფლის მოხელეთა
შესახებ:

1.

აზნაური ჭადს არა ჭამს;
თუ მოშივდა, ჭირსაც მამჭამს.

ახლა შევდგები, მოვკვდები,
ღმერთო, შენ იცი სულისა!

5.

2.

აზნაურის სტუმრობაო
ნუ გტონია ხუმრობაო.

ავი ბატონის ხელშიო,
ვერ გვეიმართე წელშიო;
დილა-სადამოს მიძახის:
„წაღდი ბეირჭვე წელშიო!“

3.

ღმერთო! კაი დარი ქენი,
დარი დარზე მობიო,
აზნაუშილი გასწევიტე,
კვდარი კვდარზე მობიო!
კლეხი კაცი მოაშენე,
სახლი სახლზე მობიო!

6.

ველეიერში ვეელი ვჭამე,
აღდგომასა დიდი ვაცი.
ღმერთო, შენ გადააშენე
კორდაძე¹⁾ და მისი კაცი!

7.

4.

მიუვარდა აზნაურობა,
გვერდზე დახურვა ქედისა,
ქალაქში გაგლა-გამოულა,
გადაკიდება ხსუბისა.
შემძულდა სახტარ-სამრეკლო,
შიგ წირვა-ლოცვა ხუცისა;

ეო, მეო, ლევან ჩხეიძეო²⁾
შენი გოგო თამარაი
მე მევიტაცეო;
წისქვილს უკან გედვიხედე:
ჭალა იდგა ტყეო,
ძროხა მგელსა შეეჭამა,
ხბო იძახდა „მეო!“

¹⁾ კორდაძეები — აზნაურები ყოფილან.

²⁾ ჩხეიძეები აზნაურები არიან.

8. ბეჟან მიქელაძე და მისი უმა.

თავად ბეჟან ბერის ძეს მიქელაძეს, დავით მაჭავარიანის გერს, ყმამ თოხის ლინგით (მწვეტით) თავი გადააჩეხა. სიკვდილის წინ აი რას მოსთქვამს მიქელაძე:

მოაწია ჟამმა ჩემმა,
 მოგშორდი-უე ბეჟან თქვენი,
 უოფლი კანის თავდაბალი,
 მორჩილი და ფეხთა მტვერი.
 წვეკედი, ამიერიდან
 მე თქვენს ნახკას ველარ ველი.
 ვაი თუ საწყალ დედა-ჩემს
 არ გოუშკეს თვალზე ცრემლი!
 მოგიძულე, დედა-ჩემო,
 სიმწუხრით გაძაღებულა;
 დავტოვე ჩემი სასახლე
 უდროფოთ განივებული,
 ჩემი ღამაზი შეუღლე
 უდროფოთ დამქკრივებული.
 ვიუფ ერთ კვარეს მღებარე,
 აღარ მქონდა მამაცობა;
 ვიძახოდი: მამარჩინე,

ვისაც გწამდეს ჩემი ძმობა!
 დედა თავზე დამტიროდა,
 ვერ მივეცი ჩემ გულს ცნობა.
 ჩემა კაცმა მილალატა,
 არ იკადრა ჩემი უმობა,
 არც ჩემი სამსახურია,
 შევიქენი მე საწყალი
 უდროფოთ დამარხულა.
 დედა ჩემს ენით ნუგეში,
 ვინც რომ ხართ ჩემი გვარია.
 მე ჩემს სიკვდილს აღარ ვწუხვარ,
 ჩამუვა მე გულში ჯავრია.
 ვაჭმე, ჩემო სივაჟაკნე!
 შენ რა გრჯიდა ამის თქმასა?!
 მარამ სოფელს ვუთხოვები,
 გულზე ვიდეთ ლოდის-ქვასა! ¹⁾

9. როსაუ ამირეჯობი.

როსათუი ამირეჯობი
 გამოწკეპილი ტანშია.
 თვალათ და ტანათ კარქია,
 ტოლი არა უავს გვარშია.
 მარამ შედთა ერთ საქმესა:

ქალებს მიდეგდა სახშია.
 დეირჩენ ბიჭი ოსები,
 როსათს დოუხუთენ გზაშია.
 ოსეთის მოურავი მას
 საემოთ არ უავდა მათშია.

1) „ლოდის-ქვა“ — საფლავის ქვა.

ერთი ოსი თოფს ფერავდა,
კარქათ აწობდა ტანშია.

შესედეს: მოდის როსათი,
მეიგრიხება ტანშია.

მარცხენა გვერდის ღლიაში
მუარტეეს ტუვია ცხელია.

იმისმა ცოლმა სოფიომ
სიზმარი ნახა ძნელია.

მეიხმო თავის გამზღელი,
სიზმარი უთხრა ძნელია.

გამდელმა იმედი მიცა:

„ნუ გეშინია, ბატონო,

ახალ-შამოდგომა არი,

სიზმარი არაფერია!“

რომ წამოდგა დილაზედა,

ხელი იბანა, პირია.

მანარობელი მევიდა,

სახელათ ერქვა ბერია.

— „ბერო, შენ გენაცვალეები,
ამბავ რა იცი ჩვენია?“

— რომ მოგახსენეუ, ბატონო,
მისთანა შენი მტერია!

მოგვიკლეს ჩვენი როსათი,
ტუვია მოარტეეს ცხელია!

ამდელი დიდი მიღორი
ფეხშიშველ გოურბენია ¹⁾;

აღარც ეძება ქოშები,

არც შეკაზმული ცხენია.

მივიდა, ცრემლი აუარა,

სულ მდულარება ცხელია:

„ამას სულ გეუმბებოდი:
ეილე მათზე ხელია!“

10. ლექსები ძღვრელ-ღიაკონზე.

ა.

ღიაკონო კეკნებაო,
სებისკვერი ტეკნებაო!

ბ.

ხუცესმა უთხრა ხუცესსა:
აღაპი ¹⁾ არი რუსეთსა.

— ქე კი არ შემორებაო,
მარამ ქე მეპჭორებაო ²⁾.

გ.

— ღიაკონო, ღიაკონო!
აარბე-მოარბე,

ფაში ³⁾ გლახებს დოურიბე,
სხვა ხვირჯინში ჩაარიბე!

დ.

ღეითხოვეთ ეს ხუცესი,
ჩვენსა ნუ ღეიარება!

აღარ გვინდა მისი წირვა,

არცა მისი ზიარება:

ჩვენ რომ სახტარში გვეგონოს,

ქალეებში ღეიარება!

ე.

გადირიენ ეს ხუცეები:

ქალეებს არ ზოგვენ სხვისასა;

¹⁾ როსაფის ცოლს.

²⁾ მიცვალეულს წლის თავზე წირვას გადახდიან და ყველას მი იწვევენ, ვინც განსვენებას დასწრება; სამღვდელთა აღაპიდან ხორაგეულობით დატვირთული ბრუნდებოდა ხოლმე შინ.

³⁾ ე. ი. ჭორი მგონია, თორემ სიშორეს არ მოვერიდებოდით.

⁴⁾ საქონლისა ან ცხვრისა, საკურთხად მოტანილი.

არშეობას დეიწებენ
იმ თავის მოწათისას,
მოწათებს რომ არ ზოგვენ,
ჩვენ რას ვირწმუნებთ მისსა?
ტაბლებით დასუქებულან,
სათბილს 2) ჭამენ ცხვრისსა!

11. მამასახლისი.

ზავლია მამასახლისი
მაღალი ხესავითა;
ბოქაული დეიბარებს,
მაშინ წავა თხლესავითა;
ულაშეში რომ აწიკავს,
ფულს შეიტანს ბზესავითა.

XXX

ლექსები ოჯახის წევრთა, ნათესავთა და სტუმარ-მასპინძლო-
ბის შესახებ:

1. სუფრა, ღვინო ხან-გაშლილი,
ზედაც ღვინო ღალ-წითელი.
დედ-მამის უხატურსა
ცეცხლში უღვეს ენის წვერი.
2. გასათხოვარი ქალი ამბობს:
დედამ კაბა შემოიკერა,
დამიკერა ღილებით,
ლელე-დელე მარბენია,
მკერეთია თხილებით.
3. ახლათ გათხოვილი ქალი ამბობს:
დედამ მამცა ერთი ძიმი 1)
გიშერია, ზედ წერია:
- „ვევლას კარგა შეგეიდე,
შე ველარას გიშველია!“
4. ოდელია — დელა,
რკინის კაკუჭელა!
სამი ძმანი დიაკონი
სახტარს უკან ფლავსო,
ზე კანათი ამოსულა,
ლეღივითა 2) დგასო.
ლეღი გამიშვეტია,
ჭურში ჩამიფენია;
ჭური აღუღებულა,
ქალი აკიფლებულა;
ქალსა ვაჟი უოლებია,
დედას განარბობა;
მამას თოფი დოუცლია,

1) სათბილო — ცხვრის ხორცის ერთ-ერთი (საუკეთესო) ნაჭერია, რომელსაც მღვდელს მიართმევენ ხოლმე თბილათ მოხარულს, ან შემწარს.

2) ძიმი — მძივი.

3) ლელი — მცენარეა.

გულში დატაკებია.

— წადი, შვილო თანდილა,
ჭალა შეინადირე:
ჭალა ეკლიანია,
ხოხობი დამიჭირე.
თას შედექი მაღალსა,
დოჟახე თამარსა:
თამარ კაი ქალა,
ჩვენი პატარაღია,
ნეკს ბეჭედი აცვია,
იმერეთის თვალა!

5.

მართმა გასათხოვარმა ქალმა სიზმარი

ნახა და თავის დედას უთხრა:

წუხელი სიზმარი ვნახე,
ნეტა, დედა, რა არიო?
აღვის ხე წაქცეულიყო,
ნეტა, დედა, რა არიო?
მას შტოები დამტვრეოდა,
ნეტა, დედა, რა არიო?
მას ფურცელი გასცვენოდა,
ნეტა, დედა, რა არიო?
წყაროს თვალი დამსილიყო,
ნეტა, დედა, რა არიო?
წყალს კიდობანი მოქონდა,
ნეტა, დედა, რა არიო?
მას სამოსელი მოქონდა,
ნეტა, დედა, რა არიო?
ბერი ხარი მობღაოდა,
ნეტა დედა რა არიო?

ბოსელში ფური დმუოდა,
ნეტა, დედა, რა არიო?
ორი გვრიტი ღულუნობდა,
ნეტა, დედა, რა არიო?
წვრილ-ჩიტები მოდიოდენ,
ნეტა, დედა, რა არიო?
წინ უოჩანი მოუძღოდა,
ნეტა, დედა, რა არიო?

სამი დღის შემდეგ მოკვდა ქალი და
დედამ დაატირა:

აღვის ხე რომ წაშეიქცა,
შვილო, შენი ტანი არი...
ვაჟ შენს დედასაო!
მას შტოები რომ დეემტვრა.
შვილო, შენი კლავება...
ვაჟ შენს დედასაო!
ფურცელი რომ გასცვენოდა,
შვილო, შენი თმები არი...
ვაჟ შენს დედასაო!
წყაროს თვალი რომ დამსილა,
შვილო, შენი თვალები...
ვაჟ შენს დედასაო!
წყალს კიდობანი მოქონდა,
შვილო, შენი კუბო არი...
ვაჟ შენს დედასაო!
მას სამოსელი მოქონდა,
შვილო, შენი სუღარია¹⁾...
ვაჟ შენს დედასაო!
ბერი ხარი მობღაოდა,
შვილო, შენი მამა არი,
ვაჟ შენს დედასაო!

¹⁾ სუღარი—მკვდრის შესახვევი ტილო.

ბოსელში ფური დმუოდა,
შვილო, შენი დედა არი ..

ვაჟ შენს დედასაო!

ორი გვრიტი დუღუნობდა,
შვილო, შენი დები არი...

ვაჟ შენს დედასაო!

წვრილ-ჩიტები მოდიოდენ,
შვილო, ასაბია ¹⁾ არი...

ვაჟ შენს დედასაო!

წინ უორანი მოუძღოდა,
შვილო, დეკანოზი არი...

ვაჟ შენს დედასაო!

6.

ბოსტანშია გადვიხედე,
გაშლილიყო ბაია ²⁾.

შენ რომ გლახა ქმარი გვაგდეს,
მე რა გიყო დაიაო?

7.

ამევიარე ალიო,
იქ დაშეკარქა ქმარიო;

ვეძებე და ვეღარ ვნახე,—
ამოუარდა გვარიო!

8.

მე ვარ ქალი, ქვეყნის თვალი,
დარო ჭიჭინაძის ქალი.

კვირეს სახტარზე გვევდი,
შამამედვა ქვეყნის ჯარი ³⁾.

უმაწვილებო, ჩამოდექით,
დამანახეთ ჩემი ქმარი!

ხეთიშობელო, შენ მამიკალ
ჩემი ოჩობედა ⁴⁾ ქმარი,—

შემოგწირო თეთრი კრავი,
მასთან დაუღღული ხარი!

9.

კახასი ქალის შაირი
რაფა გამოვთქვა ენითა!

ქმარსა ასე ოუმბება:

„შენ სახლი-კაცსა წელ-კავია ⁵⁾“)

სულ დამტვრია კეცები,

ცოცხლზე დაადვა ხელ-კავი.

არცა უძებნა დაქთული,

არცა უძებნა წისქვილი;

ცოცხალი ბევრი უგინა,

კვდარი ვინც ეავდა, მიცვლილი.

10.

მე გოგია კვანტრეშვილსა
გული მქონდა კდესავითა ⁶⁾:

რძლები კარჭი მეკიუვანე

ამამავალ მზესავითა.

მე საჩუქრებს შეველოდი,

დამაჯინეს ტუვესავითა.

¹⁾ ასაბია—მიცვალბულის პატივ-საცემლად შორიდან წამოსულის ნათესავის მხლებელი, თანამგრძობელი.

²⁾ ბაია—ყვითელი ფერის ყვავილია.

³⁾ ჯარი—ხალხი.

⁴⁾ ოჩობედა—სულელი, უხეირო.

⁵⁾ წელ-კავი—ერთგვარი ავთმყოფობაა წელისა.

⁶⁾ კდე—კლდე.

11.

ბოსტანშიდა გადვიხედე,
ქინძი ყვავა, ქინძარაო.
შენ რომ რძალი შეიყვანე,
გინდ იუოს და გინდ ანაო.

12.

რძალს ასეთსა შეგესწარი—
შავ ყვითელსა, წეროს ფერსა;
მე ვინ მამცემს იმდონ ფერსა ¹⁾,
რომ წოუსვა ყოველ დღესა.

13.

შენი რძალი მე მინახავს
ღამაზი და კვიწინაო ²⁾;
ხარზე ³⁾ დოუკერებია
სათვ:ლე და ღინჭილაო ⁴⁾.

14.

სიმაგრი ეუბნება თავის სიძეებს:
დელე-დელე შევიარე,
სარტუელი ვნახე ორ-კეცი.
რავარიც კაცი იუავი,
მისთანა ქალი მოგეცი.
აჲ შეილო, აჲ შეილო,
ლეტიძე და ზაქსაშეილო!
მე მამეცი გლახა ხარი,
შენ მოგეცი გლახა ქალი.

¹⁾ ფერ-უმარილი.

²⁾ კვიწინა—პატარა და მოხდენილი.

³⁾ მხარზე.

⁴⁾ „სათვალე და ღინჭილა“ - მწარე ბლის პატარა ჩხირია და მძივი, რომელსაც ბავშვს მხარზე აკერებენ: ავმა თვალმა არ გაღალღოსო.

⁵⁾ ჭილო ნიორი—ერთი შეკვრა (კონა) ნიორი.

მე კი დაველაგ გლახა ხარსა,
შენ რას უზამ გლახა ქალსა?!

15.

სიღედრი ეუბნება სიძეს:
სიძეო, ჩემო სიძეო,
მზე და ვარსკვლავის შგვანეო!
მზითვი ბეერი გაგატანე,
ეზო გადაგიფარეო;
დიდხან ნუ დააკვიანებო,
შენ შენი წიეყვანეო!

16.

სიძემ დეიტრებახა სიღედრთან და-
კარქულ ქისახე:
ვაი, ჩემო ქისაო,
ოქროს ქსოვიღისაო!
შიდ ნადები საქონელი—
ფასი სამოთხისაო.

სიღედრმა უპასუხა:

ვნახე შენი ქისაო:
თხისა ციბიკისაო;
შიდ ნადები საქონელი
ჭილო ნიორისაო! ⁵⁾

ოფლში გეიწურა სიძე და გეიპარა.

17.

ვაი, რა ვქნა შავ დღისაო,
ავი დედამთიღისაო?

სახში 1) შევალ, კუნტს მეძახის, — „ღოუძახე! ღოუძახე!“ 2)
 გარეთ გავალ, ძუნძულასა;
 საჭმელს შევჭამ, ღოჯს მეძახის,
 არ შევჭამ და—წუნასა;
 მამიყუნა წიწილებსა,
 გავატანე ძერასაო.
 ღმერთო, მალე მამაშორე
 ღეღამთილის შიყრასაო!

18.

სახანდარზე (სტირიზე) იციან და-
 ღერება:
 — „პატარაღო! პატარაღო!“ — ღმერთო, მალე მამაშორე
 — რაო, ბატონო? რაო, ბატონო? ღეღამთილის შიყრასაო!

19 ქალის მოტაცება.

ამფერუმ, ბიჭო საჩინო,
 რამ აასრულე თქმა ისი:
 ფერაძეს ქალი მოტაცე.
 იყო პირველი მისი.
 შუაღამე რა შეიქნა,
 ჭიშკარს ცხენი შამევიდა.
 შუაღამეა, ბნელაო,
 ცხენმა ღვიწყო ფთქვენაო;
 ბაბუთიძე უელში ეცა,
 კინაღამ გამოწვლათ:
 „შე, რჯულაძღო, არ გაგვიგონ,
 არ ამოგვწვიტონ უგვლათ!“

საჩინო სახლში შევიდა,
 ქალს ეცა ხელდახელათ:
 „მდე, ესმა, და წვევიღეთ
 გორისკენ მე და შენაო!“
 — საჩინო, მე ნუ წამიყვან,
 თუ არ შეგეძლოს რჩენაო!
 — „პური და ღვინო ბევრი მაქ,
 ბედლები გამობერათ;
 შენ საფეროთ შეგინახავ,
 საჩინოსა აქვს შევლათ!“
 ქორის 3) წყალზე რა მევიდენ,
 ღვიწვეს ნელა მღერათ.

1) სახლში.

2) ე. ი. წიწილებსო.

3) ქორის წყალი—ეს წყარო მდებარეობს ულევის ვაკე-გორაზე სოფ. ბოსლევში (შორაპ. მაზრ.).

ფერადები დაძრულან,
 მოდიან ცხენ-და-ცხენაო,
 ერთმანეთს ეუმბეებიან:
 „დავბრუნდეთ ეველა ჩვენაო!“
 მანდეეთში ¹⁾ რა შევიდენ, —
 დეიწუეს ჭვარის წერაო.

21.

მოყვარეს შამოუთვლია:
 მოყვრის მოყვარე კვდებაო.

— მოკვდეს და ჭანი გავარდეს,
 სხვა უკეთესი მრჩებაო.

21.

მოყვარე ვნახე ტან-წვრილი —
 გზა-შარას იყო გაწვდილი.

22.

ზემოთიდან წამეველი,
 წამევიღე დართულიო.
 ღმერთო, შენ გამიძლიერე
 ჩემი ხელით ნათლულიო!

23. ნათლია და ნათლიდედა.

— ჩემო ნათლიდედაო,
 ჩემთვის რასა ბედავო?
 — წინდა-ზაიჭს გიმზადებ,
 ლეკვერთხეებსაც ²⁾ ზედაო.

— ჩემო ნათლიდედაო,
 შენთვის რასა ვბედავო?!
 კაი ქოშებს გიუიდი,
 წვიგ-საცმელსაც ზედაო.

— ჩემო ნათლიდედაო,
 ჩემთვის რასა ბედავო?
 — კაი ჰერანგს გიკერავ,
 ახალუხსაც ზედაო.

— ჩემო ნათლიდედაო,
 შენთვის რასა ვბედავო?!
 კაი კაბას მოგიტან,
 კარქ სარტუელსაც ზედაო.

— ჩემო ნათლიდედაო!
 ჩემთვის რასა ბედავო?!
 — კაი ჩოხას მოგიტან,
 კაი ქამარს ზედაო.

— ჩემო ნათლიდედაო,
 შენთვის რასა ვბედავო?!
 კაი ლაჩაქს მოგიტან,
 კაი ბადღათს ზედაო.

— ჩემო ნათლიდედაო,
 ჩემთვის რასა ბედავო?
 — კაი ქუდსაც მოგიტან,
 ბურსოულსაც ³⁾ ზედავო.

— ჩემო ნათლიდედაო,
 შენთვის რასა ვბედავო?!
 კაი ჩისტსაც მოგიტან,
 კაი კოპსაც ზედაო.

¹⁾ მანდეეთი—სოფელია ზემო იმერეთს, ქოჩოს წყლიდან 4—5 ვერსზე.

²⁾ ლეკვერთხი—პატივის შესაკრავი, წვიგ-საკრავი.

³⁾ ბურსოული — ხელ-მანდილი.

24.

იანვრისა რვასაო
 ნუ გოუღებები გზასაო,
 ნუ ეწვევი სხვასაო,
 ნურცა ცოლი-ძმასაო!
 თუ მიხვიდე დისასაო,
 ფული გქონდეს ქისასაო.

25.

შექვამბეები მოდიან,
 ქვები მოკვამბეობთო.

მასინძელსა გადავძახოთ,
 ღვინო მოვატანიოთო.

26.

ბღიაძისა კარზედაო
 მტერს ნუ დადამდესაო!
 ჭადი ვთხოვე, ვერ მიშონა,
 ქერქი ეღვა ჭამზედაო.
 ცოლი ისე დაბღური ¹⁾ უავს,
 იხუხება კვამლზედაო;
 ვერ გვირეკა ნაცარი,
 ვერ გამოჩნა კარზედაო.

IV

სამეურნეო ლექსები:

1.

„ოდილა“ უთხარ უანასა,
 ნათუზვარსა და ჭალასა!

2.

აღაღმაქო, დაღაღმაქო,
 დიდ მიდორში უანა მაქო;
 მუშა ბევრი შევიწიე,
 საჭამადი აღარ მაქო.

3.

განჯას წყალი შამოფასხი,
 ვარდო-მანანასა!
 დმერთო, წვიმა შეიფანე,
 ვარდო-მანანასა!

4.

ზემოთიდან წამევედით
 მე და ბიჭი ომანაო.
 პურის ქფილისთვინ გუდა ჯობს,
 სიმიდისთვინ ტომარაო.

5.

შენ, ჩემო დომო, რას შვები?
 შენგან ველოდი სარჩოსა.
 ეს უბისლები ²⁾ დორები
 სულ შენში დეიხარჯოსა.
 — დორო, ეს ჩემი სიათა
 მაქვს მხარზე დაკიდებული,
 შამოგიწეო და გესრდო

¹⁾ შეუგნებელი, უხეირო.

²⁾ უბისა — სოფელია შორაპნის მაზრაში.

ის ჩემგნიე შეჭირვებული!
 შენი პატრონი მევიდეს,
 ის ჩემზე აჩივლებული.
 — ეს ჩემი ახლა სიკვდილი
 ჩემი პატრონის ბრალად,
 ჩემი პატრონმა არ იცის
 ჩემი საღორის კარია.

6.

წისქვიდის ამბავს თუ შეითხავ,
 მე მოგახსენე, რა უნდა:
 სათავე ¹⁾ აშენებული,
 დარსა პირამიდი თლა უნდა,
 ქვეშ-ქვეშ ღამაზი ბორბალი ²⁾,
 შიგნი ღამაზი ქვა უნდა,

ხვიმირა ³⁾ და სარეკელა ⁴⁾,
 საკინწიალო სხვა უნდა,
 ზედ რომ პური დაარიგო,
 იმისაც კარქი ქვა უნდა.

7.

ნახშირმა თქვა: მოგახსენებ,
 მეც ვარ სახსენებელი:
 წმინდა რკინა ჩემთან მოდის,
 სახნისი და საკვეთელი.

8.

ჩარიჩამა, ბებიაო!
 აბრეშუმმა გვიდალატა,
 ბამბა შინც ბევრიაო.

V

ლექსები შინაურ და გარეულ ფრინველებსა და ცხოველებზე:

1.

— ყიუდიო მამალო!
 სადა ხარ?—ჭინჭარში.
 — დაკუსხავს.
 — ფაჩუჩები ⁵⁾ მაცვია.

— დაგიკვება.
 — ხარაზი მუავს.
 — მოგიკვდება.
 — ცხვარს დოუკლამ.
 — სად დაკვლენ?
 — ხიდის თაფში.

¹⁾ სათავე—ჯებირი.

²⁾ ბორბალი—წისქვილის თვალი, ფრთებიანი.

³⁾ ხვიმირა—წისქვილის ქვის ზემოდან დაკიდებული ყუთია, რომელშიაც ხორბალს ყრიან.

⁴⁾ სარეკელა—მოკლე და მოკაუქეპული ჯოხია, რომელიც წისქვილის ქვას ხვდება, ხვიმირას ანძრევს და იქიდან ხორბალს ერეკება.

⁵⁾ ფაჩუჩები—პატარა ფეხსაცმელები.

2.

ელენიკის ქათამიო
 ღობის ძირში დავკალიო;
 იმის კურტუმი-ბარკალიო
 ბატონ-მეფეს მივართვიო.
 ბატონ-მეფემ დამიწუნა,
 ბიძა ჩემსა მივართვიო.
 გობ ჭვეჭმე შეინახა,
 კატამ შეუჭამა.

- კატა რე-იქნა? ¹⁾
- ხიდზე გვეიდა.
- ხიდი რე-იქნა?
- წყალმა წვილო.
- წყალი რე-იქნა?
- მზემ დაშრო.
- მზე რე-იქნა?
- გორას შეეფერა.
- გორა რე-იქნა?
- ხორას ²⁾ შეეფერა.
- ხორა რე იქნა?
- ცეცხლში დეიწვა.

3.

ჯაფარა ³⁾ მუავდა, მიუფარდა
 ეშმაკური სიტყვის მთქმელი;
 ხუთი კვირის რა შეიქნა,
 გარეთ ფრენას მიჰყო ხელი;
 ექვსი კვირის რა შეიქნა,
 სულ ეიღო ჩემზე ხელი.
 ავდექი, ბევრი ვეძებე,

ვერ გვეიგი ვერაფერი,
 ვენახები შევაჯერე,
 მარნები და საწნახელი;
 უველა ჯაფარა მეტონა,
 რაც რომ ვნახე მისი ფერი...

ხუთშაფათ დილა გათენდა,
 აგერ მოსტის ჯაფარ-ჭრელი,
 ჯერ სალაში მოფახსენე,
 მეჩე ჩქარა ვტარე ხელი.

— რათ მოგვიძულე, ჯაფარა,
 რათ დამტოვე მარტვა-ხელი?
 მარტვა-ხელი კაცისათვის
 იუავ თავის შესაქცევია»

ერთი სიტყვით, გოუწევი:
 „სადა გინდა, წიკეთერი!“
 გოუტანელი უოფილა
 ეს ჯაფარა გვერდებ-ჭრელი
 თუ ჩვენკენ გვერდი ანა ქნას,
 იოლს ქორის გასაბდღვნილი!

4.

კატამ თავი დაჰატიო
 ას და ხუთი კაციოთაო.
 ადგა თავი და ეწვია
 სულ ცხენოსან ჯარიოთაო.
 საჭამადი ვერ იშონა,
 კატა კვდება ჯაფარიოთაო.
 თხა და ცხვარი ჩამორეკა
 იმ დიდი ოსეთისაო,

1) „რე იქნა“ — რა იქნა, საით წავიდა?

2) ხორა — საენებად დაწყობილი შეშა.

3) ჯაფარა — ჩხიკვი (ფრინველია).

ასიანებში ¹⁾ დახადა
იმ შუში ²⁾ ბეგრებისაო.

ჭერ თავგმა შექნა შილინგრი ³⁾;
კატამ შეიწყო ყვიბრები ⁴⁾).

ერთი თავგი გეიპანა,
ფეინს უკანა შეეფარა.

კატა ცხენ და ცხენ მიეჭრა,
ცალი თვალი წამოთხარა.

„შენი შვილი დამამოყვრე“,
კატამ უთხრა თავგსა:

„თუ ამ სიტყვას არ მიჭერი,
ზე წაკავრეს თავსა“.

თავგი ბატონთან გეიჭრა:
„კატამ არ დამაყენაო“.

კატა შეიხშო ბატონმა:

„კატა, რამ გაცახელაო?
თუ შეტი ჭკუა არ გქონდა,
რამ გაცხარდა მაგ-სელაო?“

— შე თუ რომ ჭკუა არა მაქვს,
კაცო ნუ დამემდურება:

შე თავგის შიშით არ მძინავს,
დაცქვეტილი მაქვს ყურები;
შემოდის, რახუნს ასტეხავს,
რავარც ქართული ⁵⁾ ურემი.
კაკალსაც არას შემარჩენს,

რომ მქონდეს ასი ურემი!...

— მიდი, თავგო, და აკოცე,
აღარ დაგიშლის კაკალსა.

5.

ცხენი იმტომ მოკაბარე,
კარზე გქონდა საბალანო;
ახა იმისთვის კი არა,
გოუშვა და აღარ ნახო.

6.

გელმა თქვა: შეტათ გავსუქდი
ამ უხარშავო ხორციითო,

ავდექ და გამეფიარე
ამ უსიერი ⁶⁾ ტევრითო ⁷⁾);

ჭალაში გადავიხედე,
ცოტა რამ ვნახე თვალითო:
ოცათ კრავი დევიანხე,
დასუქებული ჭალითო.

გვევდი, გამეგესალმე
საუკეთესო ვერძსაო,
ვევლას თავები დაგწევიტე.
რავარც მიმინომ წეერსაო.
ერთი ხატარა თიკანი
აფარებია ბეგსაო.

¹⁾ ას-ჩაფიანი ჭურები.

²⁾ შუში ღვინო — კარგი, მაგარი ღვინო.

³⁾ შილინგრი — შლიგინი, შრიალით რბენა.

⁴⁾ ყვიბარი — ყველის ქილა (ჩუბინაშე.).

⁵⁾ ე. ი. ქართლური.

⁶⁾ უსიერი — გაუვალი, დაბურული.

⁷⁾ ტევრი — ხშირი ტყე.

— გელო, რა ავი უოფილხარ:
 გვემტერებოდი ჩვენდა?
 გუშინ ბურაკი მიგჭონდა,
 ზურგზე აფეჭვნიდი ბეწვსაო.
 ჩენი პატრონი უიღულობს
 სულ ფინთისან თოფსაო,
 დაგიჩქებს და მას გესვრის,
 დაგამტერებს ბეჭის ფეხებსაო.
 ნადგეფას წაშლათ იტყვიან,
 საუკეთესოთ — ქონსაო.

7.

გადმა-გამოდმა უანაო,
 შუაზე გამოგვალაო.
 გადმა ირემი ბღაგაო,
 ნეტამც აქ გამამგვარაო.

8.

დათვი და პავლია.

— ვაი დედაშენს, პავლია!
 რას ჩამიდექი კვალშია?
 რა შეგიჭამე მისთანა,
 არ დამაუენე მთაშია?!
 არ იჭმება ჩემი ხორცი,
 არც ფასს შიჭტემენ ტყავშია.

თუ მაინც თოფი მესროლო,
 შიგ მამახეთერე პაუეშია!...

— თუ გესროლე, თავში გესვრი,
 თვარამ ში წავალ სახშია.

ადგა, წვევიდა დათუნა,
 გზა-წვრილი გადევარა.

საწყალი ჩენი პავლია
 დასაფრუღია, წინ არი.
 ჩახმახი გააციმცმა¹⁾

დათვს გაატანა წინ-ნალი.

— ვაი დედა-შენს, პავლია!
 რა გლახათ მოგეკვლია?!...

ძროხა ბეგრი შეგიჭამე,
 უნი წიქარაც²⁾ ხარია.

— მეც მიტომ გამოგიდექი:

არ შემარჩინე ხარია,
 ნალია³⁾ მთლათ დამიმტერიე,
 ჭიშკარიც აღარ ვარგია.

თითო შესვლაზე არ გეუო⁴⁾

ნაქები კარჭი ძარია⁵⁾.

— ანასუნი ჩემ სიკვდილსა!

გავძელი კარჭა ხანია.

ამეიდე—და მამტერი

როკინა⁶⁾ ჩემი თავია.

¹⁾ გააციმცამა — გაანძრია, დააციმინა.

²⁾ წიქარა — ხარის საკუთარი სახელია.

³⁾ ნალია — მალალ ფეხებზე შემდგარი სასამინდე.

⁴⁾ იგულისხმება სიმინდი

⁵⁾ ძარი — წნელისაგან მოწნული გრძელი, ურემზე დასადგმელი ჯი-
 ნია, რომელშიაც სიმინდის ტარებს ჰყრიან, ან ყურძენს ზიდავენ.

⁶⁾ როკინა — უწმლოთ დიდი და მსხვილი.

VI

ს ა ტ რ უ ი ა ლ ო ლ ე ქ ს ე ბ ი .

ა. ვაჟი ქალს ეუბნება:

1.

ჩიტი ღობეზე შამოჯდა,
ბიბილი ¹⁾ ჩოუშავდაო.
ვინაც რომ შენი ძრახი თქვას,
გვირგვინი გოუშავდაო.

2.

იელშია ²⁾ ქორის ბუდე:
კაჭკაჭს გული დაწვევტია.
ვინაც რომ შენი ძრახი თქვას,
თავზე მესი დატეხას.

3.

ნეტაი, გოგო, დედა-შენს:
შენ გოუზღინხარ შეილათა!
არც გინდა პირის დაბანა,
არც უმარილი სშირათა.

4.

დილი, დილი, დიბანდაო,
გოგო სახეს იბანდაო;
გავხედე და შამამხედა
სამსე³⁾ მთვარეს უგავდაო.

5.

კაი თავსრაჟი ⁴⁾ გარტუია,
შუბლი დაგიშვენებია.

მარგალიტი ძუძუები
გულზე აგისვენებია.

6.

საუვარელო ძვირფასოვო,
ნეტაი, შენთან დამსვიაო.
შენი ბროლის თითებითა
მე ტიქით ღვინო მასვიაო!

7.

წითელ ღვინოს მიგატევანე
ტიქაში მდგომიარესა...
სასუფეველი რათ უნდა
შენს მკლავზე მწოლიარესა!

8.

მიდორშია ⁵⁾ თეთრი ქვაო,
ავკარ ხელი, თან ამევაო.
გოგო, შენი სიუვარული,
სადაც წავეღ, თან წამევაო!

9.

ესე წიგნი ჭრელიაო,
შენთვის მამიწერიაო:
შენ თავს ვერავინ წამართმევს,
ჩემი საუვარეღიაო.

10.

დაბნეულ ფეტვის მარცვალს
რა მობოჭს წიწილის მეტი?

¹⁾ ბიბილო.

²⁾ იელი — ბუჩქოვანი მცენარეა, ყვითელ ყვავილს იხსამს.

³⁾ სავსე.

⁴⁾ თავ-საკრი.

⁵⁾ მინდორშია.

მე და შენს სიუვარულს
რა გაურის სიკვდილის მეტი?

11.

წელ-გაღმა კახა-მბალები ¹⁾,
ზე მოსხედლიან ქალები;
ერთი შეხედვით შევატუოთ,
რომელსაც შევებრალები.

12.

გაღმა ბატები გავღენე,
გამოღმა დევიარებე;
გოგო, რათ არ გებრალები,
უცოლოთ დევიარები?

13.

სადამო ჟამი მევიდა,
შაშუმს დეიწყო გალობა;
რა ქაღმაც არ შემობრალოს,
დეიწვა მისი ქალობა.

14.

იაგუნდო და გიშერო,
მე აქიდან რა გიშეულო?
ახლოს მოვალ, გენაცვალე,
ეგებ მხარი დამიშვენო.

15.

აქიდან და შენამდო
გარდი მასხია უელამდო.

რომ ვინმე გამამიშეებდეს,
თამაშით მოვალ შენამდო!
აქიდან და შენამდო
მთები მიტარებს, წინ არე;
მე შენი სიუვარულითა
დაბნედილი ვარ, შიბინარე;
ასე გამხსდა სურვილმა,
დავჟექ და ველარ ვიარე.

16.

მონაწერს შენსა წიგსა ²⁾
ვაკოცე და მოვკამ ჭირსა,
დაშე სწოლში ჩევიტან,
არ ვადირსეუ თვალსა ძილსა.

17.

გოგომ დამწეეულა ლამაზმა,
ხელ-შედებილმა ინითა;
ნეტამცა წინა შემუარა,
ზალხოშით ³⁾ ვიეო დვინითა.

18.

წისქვილშია სიარულით
გვერდი მამტეხა გუღამა ⁴⁾;
გოგოს ვთხოვე, არ მაკოცა,
ტუჩი მოჭამოს მურამა ⁵⁾.

19.

გოგო, გოგო კვისკვისო,
აქ ჩამოდი, წელის ჰირსაო;

¹⁾ კახა-მბალი—ერთგვარი ჯიშის ბალია (არა ალუბალი).

²⁾ წიგნსა.

³⁾ ზარხოში—ღვინით შექეიფიანებული.

⁴⁾ გუღა—ხალთა, ცხვრის ან თხის ტყავისაგან გაკეთებული.

⁵⁾ მურა, მურია—ძაღლის სახელია.

დვინის განსეუ კუდითაო,
გაგანარებ კუდითაო.

20.

იარე, გოგო, წამოდი,
ჭაღის უანები ვნახოთო;
წვეილოთ პური და დვინო,
დავფედეთ და ღვინი ვნახოთო.

21.

საუვარელო ნინო,
მასვი ცივი დვინო,—
დახე ჩემ ვაჟკაცობას,
რათუათ შევიღვინო!

✓ 22.

მუხას ცუდი შამოვარო,
მე შეგონა წიფელაო;
გოგო, ერთი შაკონიე,
ჩემო ღოუა-წითელაო!

23.

მივალ-მოვალ, მოგნახავ,
მოკვდები და დაგმარხავ;
რწმუნებულ შენს პატრონზე
მე უკეთ შეგინახავ!

24.

მივარე: მევიარე,
ტულფა ¹⁾ ვნახე მწოლიარე;

თავით ედვა თეთრი ვაშლი.
ბოლოს უფრო მისმოიარე;
თავი ვთხოვე, არ მათხოვა:
ქმარზე იყო მგლოვიარე.

25.

პატარა და მშვენიერო,
დვინის ფერო მდინარეო,
სიხლოვეს რომ შეგედი,
თავი შეიმკვდინარეო!

26.

საუვარელსა კძინაო,
გულზე ვარდი ეფინაო.
მივედი და გავაღვინებე,
გავაღვინებე... ეწვინაო.

27.

ვაი, დედა! თავი მტკივა.
სად არი შავ-ბაღასაო? ²⁾
თეთრმა გოგომ დამიჭირა,
შავმა გოგომ გამაღასაო.

28.

პირ:თ მზეო, დაწვით ³⁾ ვარდო,
შუქი მოგივალეობა.
შენთვის აღარ მიკონია,
ვაჭმე, დიდი ხანებია!...
სულო! როდის დაგიკონო
მაგ სამოთხის თვალეობა?

¹⁾ ტულფა—ტურფა, საკუთარ სახელადაც იხმარება.

²⁾ შავ-ბაღასა—ერთგვარი ბაღახეულია, რომელსაც თავის ტკივილის წინააღმდეგ ხმარობენ.

³⁾ დაწვი—ლოყა

სულა! დაბძნდი დოშაკას¹⁾,
 ჩემო ხმელეთის მთვარეო,
 ია ბუმბულათ ღებეკე,
 ვარდი ზედ შეიფარეო,
 უკვდავების წყაროზედაც
 შაქარი შეიფარეო!...
 მე უშენოთ ვეღარ გავძლებ, —
 სული შენ მიიხარეო!

29.

იაგუნდისა წვიმამა
 მოლი-მიდორი დანამა.
 მამკლა და აღარ მაცოცხლა
 იმ ქალმა ლერწამ-ტანამა.
 ან მამეც, ქალო, იმედი,
 ან გამითხარე სამარე;
 სარწმუნოებას გაფიცებ,
 მაგ ძუძუ-მკერდი დამალე:
 მოგჩერებოვარ, მიტულება
 გულის წუხილი მალ-მალე!

თუთხმეტი დღის მთვარის მსგავ-
 მიგვიანს, აგრე რამ გაგავსო?! [სო,
 ერთი შენი შამოხედვა
 ათას ხედვას დაკარგავსო.

ათი თითი ბროლისა გაქვს,
 ზე კალთაზე დაგელაგოს;
 თასით ღვინო ხელთ გეჭიროს,
 შიგაც ვარდი ჩაკეფაროს;

ერთიც კიდევ მაკონიე,
 შენი ჭირი შემეუაროს!
 შირი მიგიგავს მთვარესა,
 ანათებ ბნელსა დამესა.
 აქ მამკლავს შენი სურვილი,
 ჩამატლებს ცივ სამარესა.

30.

თინათი არე-მარე,
 ჩემო მზე, ჩემო მთვარე!
 დმერთია ჩვენი მოწამე,
 შატრას მოგიუფანე:
 სულ ჩემ კალთაში გზარდე.
 ბალიშს არ მიგაკარე;
 ლალისა ღვინო გასვი,
 რკოსი²⁾ არ მოგაკარე;
 დიბა-ატლასი გაცვი,
 ხამი³⁾ არ მოგაკარე...
 გაფრინდი, წამიხვედი,
 ნეტა, რა დამიბარე?!...

31.

ვაი, დედა, გვერდებიო,
 უცოლ-შვილოთ ვებრდებიო!

32.

გოგო, გოგო შავთვალაო!
 ბიჭმა შამოგითვალაო;

¹⁾ დოშაკი—ბუმბულის დიდი ლეიბი.

²⁾ რკო—ერთგვარი ჯიშის ყურძენია, შავი ფერისა.

³⁾ ხამი—უბრალე შინ მოქსოვილი ბამბის სამოსელი.

„ან მაშენ ჩემი დანაო¹⁾,
ან წამიტანე თანაო“.

33.

— ჩიტო ღობეზე შამოჯდა,
კაკალი ჩამოყარაო.

გოგო, შენმა დანიშნულმა
სიტყვა შამოგითვალაო.

— რა სიტყვა შამოთვალაო?

— ის სიტყვა შამოთვალაო:

„თუ არ წამოგუვეს თანაო,
აკოცე ღოყასთანაო“.

34.

საყვარელო, შენი ქება
უცხო თემში გვიამბესო.

გადმოფრენა დავაპირეთ,
მარამ ჭაჭვით დავგაბესო;
არ გვაღირსეს შენი ნახვა,
უგელგან მახე დავგიგესო.

შელი გიგავს არაბულსა
შეკაზმულსა ბედაურსა,
თვალ-წამწამი უორანს გიგავს,
შავი ზღვიდან ამოსულსა,
ენა ბუღბუღ-კაჭკაჭს გიგავს,
ინდოეთიდან მოსულსა.

35.

საყვარელო! ადვის ხე ხარ;
მებრალები, რომ მარტვა ხარ.

36.

მელანო, ჩემო მელანო,
ნუ ხარ ჩემი ორგულიო!
სახლი აგვეშენებოის,
ქვეშ პალატი-ოდურით²⁾.

37.

ფერი მიგიგავს ღვინოსა
ჭიქაში მდგომიარესა.
მზენი არ დეიწდილება
შენსა არესა-მარესა!

38.

ეო, მეო, მაისურაძეო!
მაისურაძის ვენახში
ჩევიგვისკვისეო.
იქ რომ ერთი ქალი იუო,
სამი ვაკოცეო.
სამა ნაკოცმაო
ფერი უცვალაო.
ფერმა-ნაცვალმაო
წიგნი დაწერაო.
— წიგნი ვიდას გოგუნანა?
— დავით მეფესაო.
დავით მეფე შინ არ იუო,
ქალაქს წასულაო.
— ქალაქიდან რას მოგიტანს?
— წითელ ატლასსაო.

¹⁾ დანას ბიჭი ქალს საწინდრად (ნიშნად) აძლევდა, როცა დაი-
ნიშნებოდენ.

²⁾ პალატი—ძირა სართული; ოდა—ფიცრული კარგი სახლი; პალა-
ტი ოდური—ორ-სართულიანი კარგი სახლი.

39.

ტყეში შევალ. შეგცილდები,
გამევიტან ფუტურას;
გოგო, შენთვის დედაშენი
დღე და ღამე ჰუტუნობსა.

40.

იმისთანა დილა წაწუვდეს,
ცხვიანს არ დამაცემიოსო...
რა იქნება, თეთრმა გოგომ
ერთი რამ მაკოცნიოსო?!

41.

ბაღში ქალი შესულყო,
დეგერიფა ქლიავიო,
გულთან უბე შეხეოდა,
შედიოდა ნიავიო.

42.

დილაზე ხდრე ავდექო,
წინ ავასწარი მზესაო.
თქვენც კარგა იცით, ქალებო,
რომ ძაფი უნდა ნემსსაო!...

ბ. ქალი ამბობს:

1.

გოგომ თქვა გასათხოვარმა:
„სახელს ¹⁾ შევიქარგავო;
ღამაში ბიჭის დედასა
გულის-უურს დოუკარგავო!“

2.

გოგომ თქვა გასათხოვარმა:
ნუ გამათხოვეთ დედაო!...
თუ მიმცე, ისეთ კაცს მიმე,
ან იუოს მამასახლისი,
ან იუოს გუთნის დედაო.

3.

ღამაში თქვა: ასეთი ვარ,
მე არ მინდა ფარანიო ²⁾;
მე ისეთი ქმარი მინდა,
პირს არ ქონდეს ბაღანიო.

4.

ასლა დიდიღმე, დიდიღმე!
დამტოვე დაბნედილი მე.
კაბისა ზორტი ³⁾ შემისსენ
და ჰერანგისა დიდი მე.
ნეტაი რადის მედიანსო

¹⁾ სახელო — „სახელი“ (ქართლ-კახეთში); სახელოები — „სახლები“ (ქ.-კახეთში).

²⁾ ფანარიო.

³⁾ ზორტი — კაბის შესაკრავი გრძელი და მსხვილი ძაფი ან წერილი ნაკერი.

შენთან წოლა და ძილი მე?
თვალ-ქონორ გადახატულა,
ტანი-აღვისა ჭირიმე!

5.

რადღა არ მინახავსარ,
დიდი ხანი გამოსულა,
ხეს ფოთოლი გაცვენიას,
ხელახალი გამოსულა,
მე და შენსა სართუმად¹⁾ ქვეშ
თა-ვარდი ამოსულა,
თუ ჩემი ხარ, ჩემთან მოდი,
თვარა სული ამოსულა!..

6.

— „შენი ნანიშნი დანაო
აკერ მაქ ჯიბასთანაო,
ამეკიდებ და დეკიკრამ
შარცხენა ძუძუსთანაო!“
(მართლაც დაიკრა დანა
და მოიკლა თავი).

7.

გაჯალ ხესა, გაგვკრამ ხელსა,
ყავარს გავსდი ფიჭვისასა;

შამოსედვას არ ვიკადრეუ
შენისთანა ბიჭისასა!

8.

დილაზე ადრე ავდექი,
აერია²⁾ არეული;
შენ რავა მამეწონებო —
დაბალი ხარ, დაღეული!

9.

— საევარელა, გიკვ დებო...
— ამ ჩემ ჭირს, თუ მოკვდები!
თავით ავიმთეფ სამთელს,
ფეხტით³⁾ ავიტირდები.

10.

დედამ კაბა შემეიკრა
აბრეშუმის, სრიალაო,
ზედ დოკუმებო დამეიკრა
ჩაბურასტი ჩხრიალაო.

1) სართუმალი — ბალიში და მუთაქა.

2) ჰაერი.

3) ფეხთით, ფეხებთან.

VII

მილოცვა, ლოცვა და შელოცვანი.

ა. სადღეგრძელოები და მილოცვა:

1.

ერთი ძირი ბია ¹⁾ მედგა,
 ვორი ²⁾ ძირი ბრაწოული.
 ღმერთმა ეველა გადინძელოს
 ამ სუფრაზე მოწვეული!

2.

ამიერი, იმიერი ³⁾
 ფხნილი არ წამოგტკენას,
 გაცოცხლოს და გადინძელოს,
 დღე მოქცეს დიდი, გქელას!

3.

ღმერთმა ნუ მოვიშალოს:

ტანი მთელი,
 გული მხიარული,
 ბედელში ჰური,
 ხელში ჭიანური,
 ჯიბეში ფული,
 ქრებით სიარული!

4.

გვირგვინის მილოცვა:
 ზემოთიდან წამევიდა
 წითელი და წითლოსანი.

თაფზე გვირგვინი დაგდგმია
 სუ-მთლათ მარგალიტოსანი.

ღმერთმა მაგ ქალს შეგებეროს,
 მოქცეს ხუთი ვაჟი-შვილი,
 უცვალებელი ამოფოს,
 ნეფეო, შენი გვირგვინი!

5.

შობა-ახალწლის მილოცვა ⁴⁾:
 ჩიტი დობეზე შამოჯდა,
 იძახის ქიმშაშობასა;
 ღმერთმა მრავალ დღეს დაგასწროს,
 ახალ წელს, ქრისტეს შობასა!

6.

გწეალობდეს წმინდა გიორგი,
 მათე, მარკოზ და საბაო;
 ბედნიერი სახისა ხარ,
 ქრისტემ პატივი დაგდვაო!

7.

მთას ურემი გამოგჭერი,
 შინ მევიდა გორებიოთა.
 აქ სიცოცხლით გაჯერდები,
 საიქიოს—ცხოვნებითა!

¹⁾ ბია—კომში.

²⁾ ორი.

³⁾ ე. ი. ამიერიდან და სამუდამოთ.

⁴⁾ შემდეგს ოთხ ლექსს (5—8) ეგრეთ წოდებულ «ალილო»-ში გალობენ შობის წინა ღამეს.

8.

წისქვილს ჰური დავარიტე,
ჩამევიდა მინდობითა¹⁾.
ღმერთმა ისე ავაშენოსთ,
თეთრი²⁾ მოქცესთ კიღობითა.

9.

აღღომის მილოცვა *):
აღათასა, მაღათასა,
ხელი ჩაკარ კაღათასა;
ამეილე ვორი კვერცხი,

ღმერთი მოქცემს ბარაკასა.

კიჭებიო, კიჭებიო,
დაგეზდება ბიჭებიო;
ღობიოვო, ღობიოვო,
გაგეზდება გომბიოვო.

ტყეში მგელი გამოვარდა,
თხა შეტვიტა მინდაო;
მასინძელო, გაგვისტუმრე,
სხვაგანაც გვინდა მისვლაო!

ბ. ლ ო ც ვ ე ბ ი:

1.

ლოცვა ძილის წინ:
დავწვები, დამეძინება,
პირჯვარი დამეწერება;
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი
სართუმალს დამესვენება.
ვერას მაცდენს მაცდური—
ჯვარი მწუალობს, ჯვარ-ცმული.
აქა კარია, კართან ჯვარია,
შიდა ბძანდება მიქელ გაბრიელ,
მთავარ ანგელოზი.

კლიტე მამე ელვარისა,
ბეჭედი სოლომანისა!
დასწეედე, ღმერთო,
მოსიარული ღამისა,
შემკრაჟია,
შემბოჭავია,
მავნე კაცისა!

2.

ლოცვა შხისადმი
მზე შინა და მზე გარეთა,
მზე, შინ შამოდო!
უეივლია მამალსაო,
მზე, შინ შამოდო!
გათენებულაო,
მზე, შინ შამოდო!
გათენდი, თუ გათენდები,
მზე, შინ შამოდო!
გათენებულხარო,
მზე, შინ შამოდო!
ძილო, რასა მეძინებო?
მზე, შინ შამოდო!
მე საბრალოსაო,
მზე, შინ შამოდო!
ტანს ჰერანგი არ მაცვია,
მზე, შინ შამოდო!

¹⁾ მინდი — ფქვილის განიხზღვრული საწყაო, რომელსაც მეწისქვილე ლებულობს დაფქვის სასყიდლად.

²⁾ თეთრი — ე. ი. ფული.

³⁾ ამ სიმღერას „ჰონა“-ს ეძახიან; მომღერლები წითელ კვერცხებს აგროვებენ.

თირისტარო¹⁾, კვირისტავო²⁾,
 მზე, შინ შამოდო!
 ჩქარა დაბრუნდო,
 მზე, შინ შამოდო
 მალე ჰერანგს შევიკრავ,
 მზე, შინ შამოდო!
 წითელ კბას შევიკრავ,
 მზე, შინ შამოდო!
 სანატრელსა, ფრიალსა,

მზე, შინ შამოდო!
 ჩქარა დაბრუნდო,
 მზე, შინ შამოდო!

3.

მზე, შამოდი ბაკესაო,
 ცხუარს დაგიკლავ მაკესაო³⁾,
 შეგიწვამ, დაგიმარილებ,
 დაგიდგამ ხელ-ტობათაო!

კ. შ ე ლ ო ც ვ ა ნ ი:

1.

შაკიკის ლოცვა.
 შაკიკი შამამეჩნია
 სათიბისა ბოლოსაო;
 ასე ჭამდა რკინასაო,
 რავარც ხარი თიფასაო;
 გოუწერა წმინდა გიორგი,
 გვიპარა დიღასაო.
 (შეულოცავენ დაწერილ ქალაღს,
 თავზე შემოადებენ და მორჩება
 შაკიკი).

2.

დამწვრის ლოცვა.
 წითელ ხუცესსაო
 ხარი გეგბაო.
 რას ხნამდაო?
 ზღვას ხნამდაო,
 ქვიშას თესმდაო.
 ვინ გეიგონაო
 ზღვა ხანხავი
 და ქვიშა ნათესაო?
 (მესამე ღღეს იქით დამწვარი გა-
 მონელებულია)

სატკბურის ლოცვა.

ქრისტემ დაკლა თეთრი ფური,
 შეიწვია უოგლი სუდი.
 სატკბურმა უთხრა სატკბურსა:
 „ჩახვალ ემანწვიდის ტანსაო,
 ჭამ მბიღსა და ხრამ ძვალსაო*.
 — არა! მამაი, ძემ და სულმა წმი-
 დამა იცოდეს:
 არცა ვხრამდე ძვალსაო,
 არცა ვჭამდე მბიღსაო!
 გავხმები ჭიქასავითა,
 ჩამოვცვინდები ბრელსავითა“

4.

„თვალის“ ზელოცვა:
 ადისსა, შადისსა,
 შეგილოცავ თვადისსა,
 შინაურისსა, გარეუდისსა.
 ქორი გახტა ქანდარასა,
 დედალი საბუღარსა.
 გულო, მოდი საკუღესა,
 გულო, ნუ შეკეშინდება!

¹⁾ თირისტარი - თითისტარი.

²⁾ კვირისტავი — თიხის პატარა რგოლია, რომელსაც ცარიელ თითისტარს ქვემოდან წამოაცმენ ხოლმე რთვის დროს.

³⁾ ბაკე — ეზო.

⁴⁾ ბრელო — განიევებული ხორბლის ან სიმინდის ანახვეტი ქერტლი.

5.

ნანა («ბატონების» საგალობელი
ლოცვა).

იაფ-ნანა, გარდო-ნანა,
იაფ-ნანინაო!

ბატონებისა დედასა,
იაფ-ნანინაო!

უდგია ოქროს აკვანი,
იაფ-ნანინაო!

შიგ უწევს ბატონიშვილი,
იაფ-ნანინაო!

უსხია ოქროს ქოჩორი,
იაფ-ნანინაო!

ხანდისხან გადაარწებენ,
იაფ-ნანინაო!

ტკბილათ ეტყვიან ნანასა,
იაფ-ნანინაო!

იაფ-ნანა, გარდო-ნანა,
იაფ-ნანინაო!

დატკბით, დატკბით, ბატონებო,
იაფ-ნანინაო?

შაქრათ, შაქრათ დაამდიოთ,
იაფ-ნანინაო!

— თუთრი ზღვიდან გაახელით,
იაფ-ნანინაო!

შვიდი და-ძმანი ბატონი,
იაფ-ნანინაო!

შვიდ სოფელს შევეფინებით,
იაფ-ნანინაო!

ასე დაუდივართ სოფელში,
იაფ-ნანინაო!

არც კაცი დაგვიწვიანია,
იაფ-ნანინაო!

არც რწეილი აგვიფურენია,
იაფ-ნანინაო!
იაფ-ნანა, ბატონებო,
იაფ-ნანინაო!

6.

ღვეისა და ქაჯის ლოცვა.

სახელითა ხეთისათა,
მამისა და ძისათა
და სულისა წმინდისათა!
ელენიენტა დაიღუ შამათუ,
ელენია იაფი ეგრამათუ,
ეგრესემ იოსი ერივანე
და იონა იოსავე¹⁾.

ამათითა სახელითა
შეიკრა ბირი ღვეთა,
ქაჯთა და გველთა
და უოველთა საჩინოთა
და უჩინოთა მანებელთა.
ესო ქრისტე, ძეო და სიტყვაო
ღვთისაო ცხოველისაო!
იხსენი უოველივე ჭირისაგან
და უოვლისა საეშმაკოსაგან
და უოვლისა ცრუსა მავნისა
და საცთურისაგან
მონა ესე ხეთისა!

7.

ალ-დაცემულის ლოცვა.

ჩუენ ვიუავით სამნი ძმანი:
იროხ, მაროხ და კვიარსტინე;
გვევლით მთასა მადალსა სანადი-
როთ
და ვერა ვუოვეთ კვალი ნადირისა;

¹⁾ ამ სიტყვების მნიშვნელობა თვით მთქმელსაც არ სცოდნია.

ვიპოვეთ კვადი ალისა და ეშმა-
კისა:
ისხდენ კლდისა ძირსა;
ხელში ეპურათ ბადე აბრეშუმისა.
და შევიბურათ იგინი ხელთა ჩვენ-
მათ ესხნეს თმანი გიშრისანი, [თა:
კბილნი რვადისანი,
წვიფნი ტიქისანი.
იროს თქვა: მოგვეეთთ ალსა
თმანი გიშრისანი;
მაროს თქვა: შთაგაურევინოთ ალსა
კბილნი რვადისანი;
კვირსტინეუ თქვა: დავუღეწოთ
წვიფნი ტიქისანი! [ალსა
მიუგო აღმან და ეშმაკმან:
თექვენ, სამრო ძმანო, სამებისა
ძადისანო:
იროს, მაროს და კვირსტინე!
ნუ მოგვეეთთ თმათა ჩვენთა
გიშრისათა,
ნურცა შთაგაურევინებთ
კბილთა ჩვენთა რვადისათა,
და ნურცა დავუღეწოთ
წვიფთა ჩვენთა ტიქისათა!
სადაც იხსენებოდეს სახელი ხეთი-
სა,
მაშისა და ძისა და სულისა წმი-
და სახელი თქვენი, — [ღისა
იქ ჩვენ არა მივეახლოთ
და არცა ვაგნოთ მშობიურესა
და არცა ურმასა ჩვილსა,
და არცა ქრისტიანესა ნათელდე-
და თუ შევრიდ ვიყოთ, [ბუღსა.

დაგდნეთ, ვითარცა თოვლი და
კვამლი,
და ვითარცა მარილი, და ვითარ-
ცა ქარი,
ეგრეთ განკჳარდეთ და განგეშო-
და წარვიდეთ ასს მილიონზე [როთ
და არა ვაგნოთ ჩვენ მონასა
ღვთისასა!

8.

საქონლის შელოცვა:

როცა საქონელი ღამე კარში დარ-
ჩება, რომ ნადირომა არ შეკამოს, სა-
კეცეს (მაშას) სარტყლით პირს შე-
უკვრენ, შიგ დაატანებენ სავარცხელ-
სა და მაკრატელს და იტყვიან:

ეკენია, ბეკენია,
ბერსა ხატი სვენებაა.
ოთხი კუთხის მარსკვლავებო,
ნადირს კბილი შეუკარი,
გადაგდე ზღვაში,
ნუ გოუშეეუ გზაში

9.

სისხლის ლოცვა:

მაისისა ჰარასკებსა
იორდანე მოდიოდა,
რკინა მოაქ კინოთისა
და აღმასი სპილენძისა
და ისარი დაეკელისა.

სისხლო, გაბერე?..
ნუდა გაბერავ!
ჭუ-ჭუ, მგელსა!
(უნდა დაჰკრა სისხლით გაბერილ სა-
ქონელს ატმის ჯოხი და გაუშვებს).

VIII

გ ა მ ო ყ ა ნ ე ბ ი :

1.

ერთი რამ არის უსულო,
მუცელ მდებარე ეელითა,
წუურია—წუალსა ვერა სვამს,
სხვანი ასმევენ ხელითა,
თავსა ტეტხლი მიედება,
გულსაც გაამსებს ღხენითა.
(ყალიონი).

2.

ძირი ნედლი, შუა ხმელი,
თავი წითელი.
(აღება, დიდ-მარხვა და აღღვობა).

3.

ერთი სტუმარი მეწვია,
მიდღემში ¹⁾ უსტუმრებელი,
ფორი ²⁾ ულუფა ³⁾ მივართვი,
სუფრასზე დოუდებელი.
(ბავში და ძუძუები).

4.

ცასა მოუწმენდიაო,
მოუკანკრანქებაყო ⁴⁾.

მელას კუდი ცადუგდია,
ცადუჭინჭილებიაყო ⁵⁾.
(თხილი).

5.

ხე გვეიარე ხევნარი,
ხე კა ვერ ვნახე მართალი;
ერთი ხე ვნახე მართალი,
ისიც გვერდ ჩამონათალი.
(?)

6.

ახლახუნ-დახლახუნი,
დოსკაპ დოინჭებანი.
ოხროსი, დოხროსი,
დოინჭი და დოწკაპი.
(ხათანგი).

7.

ერთი წევს და არა დგება,
მეორე ჭამს და არ ძღება,
მესამე მიდის, არ დგება.
(კერია, ცეცხლი, კვამლი)

¹⁾ მისდღეში.

²⁾ ორი.

³⁾ კერძო.

⁴⁾ ძლიერ მოუწმენდია.

⁵⁾ ჯინჯილი—ფოჩები, ბუჩუჩი

8.

დღე ცარიელი,
ღამე ტვირთიანი.
(ლოგინი ანუ ტახტი).

9.

ჭრის და არ აგაკუნებს.
(ცეცხლი).

10.

ჩემი შატრა თინია
ჩემი სუფრა და ღვინია;
სუნთქათ¹⁾ დენატყვალა
ჩემი ცოლი და შვილია.
(ფული).

11.

შიგნი გული გურგუმელი,
გარეთ კანი ატლასისა,
რაც იმაში ჯარი არი,
თუ არ შეტი ათასისა.
(ბროწეული).

12.

უფხო, უძღლო ტყის ნადირი.
(ლოკოინა).

13.

სახლი დაუდგი ხისა,
არა ნაფოტისა,
შედინ და გამოდიან
ანგელოზნი სვთისა.
(სკა და ფუტკარი).

14.

ახლი-ბაბლი, ვერცხლის ტახტი,
მზით ვეილე, მთვარით დაუდგი.
(ყინული).

15.

ქვეყანაზე ოთხი რამე არ არის.
(ხელის გულზე ბალანი, ქათმის ძუ-
ძუ, ზღვის სარკველი და ცის კიბე).

16.

ორი ორენას,
ოთხი კორენას,
თორმეტი ასკუანს,
არცთი ჩიჩილაკს.
იგივე სხვა ვერსიით:
ორი ოლენას,
ოთხი კოკენას,
თორმეტი უანჭუკას,
არცთი კირკიტელს.
(ძუძუები: 2 თხასა, 4 ძროხასა,
12 ლორსა,—და ქათამს არც-
ერთი).

17.

ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე,
მარსკვლავებსაც დევქრახე²⁾.
(თვალი).

18.

კიკლი-კიკლი კიბესაო,
ხვარასანის ციხესაო
კურდღელი გადმომდგარიყო,
ანმატურებს უურებსაო.
(სამრეკლო და ზარები).

19.

ჩემი შატრა ბოსელი
ვხვეტე, ვხვეტე, ვერ დავხვეტე.
(ცხვირი).

¹⁾ სულმთლათ.

²⁾ ე. ი. დავებრახე—გამოველაპარაკე.

20.

ასიანისა მთაზედა
ასი თათარი დგასაო;
ასსა ფეხი მოტეხისა,
ასი ისევე დგასაო.
(დგიმ-საბარცხალი ¹).

21.

აიანური, ბაიანური,
წითელი კაკიანური,
ეიშლებსა, დეიშლებსა,
მოწეუნისა სიარული.
(საათი).

22.

ერთი თხა მუაფდა კრასო,
შუაზე ება ენასო,
მისმა სიტყვა და ჰასუსმა
ჭეკუნსა დაჰკრასო.
(სასწორი).

23.

ქალი იჟდა ტახტაზედა²),
ცრემლს იურიდა კალთაზედა.
(წისქვილი).

24.

თავს ხერხი, ბოლოს ნამგალი;
გამეიფანი რა არი?
(მამალი).

25.

გამოცანას მოგახსენე,
ბეგრი არაფერიაო:
აღაგ შაფი, აღაგ თეთრი,
აღაგ ლადის ფერიაო.
(ხალიჩა).

26.

მამა დაჯღარკული,
დედა—ლამაზი,
შვილი გადარკული.
(ვაზი, ყურძენი და ღვინო).

27.

მიდის-მოდის ქარაფანი,
არ უტყუბსა ქალამანი.
(კარი).

28.

ბოძი, ბოძი, ბოძანკალი,
ზედ ძარი და ზესადგარი.
(მკბენარი).

29.

ებერ-ებერ სერზედაო
ბოსტან უკან კვახიაო³),
დედამიწა გახიაო.
(მუღო).

30.

ორმაგ⁴) ძელშიდ⁵) ამოფეკერი
ძნელათ მოსაბრუნებელი.
(ხმალი).

¹) საფეიქრო., საქსოვი მანქანა.

²) ი. ე. ტახტზედა.

³) კვახი—გოგრა.

⁴) ორმაგი—ორკვეცი.

⁵) ძელი—ხე.

31.

ეს ჩემი კუზგუჯლია ¹⁾
 დღეცა და ღამეც ზეზება.
 (თუნგულაი).
 32.

რა იცი და რა არ გახსოვს.
 (შობა კაცისა).

33.

ერთი სახლი მაქვს ასეთი,
 კახაკუპოთი ნაშენი,
 შიგა ვჟღდოვარ და ვიძღერი,
 გარეთ არსა მაქ საბენი.
 (ენა).

34.

ქორქოლამ დეიქორქოლა,
 გარს შამეისხა შვილები,
 არც იყო მისი შვილები,
 არც მისი შვილიშვილები.
 (ყვერული).

35.

ოქრო ბზინავს, ოქრო ბჭუვი-
 ოქრო მიჭრი-მოჭრიადობს. [ნავს,
 (ციცინათელა).

36.

ჩახტა ჩაჩქანი,
 ჩაევა ღაშქარი.
 (კრუხი და წიწილები).

37.

სირი²⁾, სირი, სირი-გოგდი,
 სირის ფთები მასხიაო;
 რაღა შენ გაგეტალე,
 სულცი აღარ მიდგიაო.
 (თევზი და წყალი).

38.

ერთი რამა სურიელი
 დამე-დამე მავალა,
 საკლავს ისე გაატყავებს,
 არ სჭირდება მამხმარაა.
 (მელა).

39.

ვიხილე კაცი ტასა ბეწვითა
 და შუბის ტარსა დარბაზი ედგა.
 (ობობა, ბაბაქუა).

IX

ანდაზები, ჩქარა-სათქმელი და შმა:

1.

თუმც რა გშია ზაქარია,
 ცივი ჭადი შაქარაა.

2.

ძიდს სართუმალი არ უნდა,
 შიმშილსა —საჭამადიო.

¹⁾ ამ სიტყვის მნიშვნელობა არ ვიცი.

²⁾ სირი — ფრინველია

3.

— მგელო ჭკუას მოდიო!
— სათხებოში შევსტეო?!

4.

მიდის-მოდის გაბრიელი,
არავინ უავს მადრიელი.

5.

გურიტის ნახული კანაფი
მარცვალს ვერ გვიკეთებსო.

6.

კარჭი ცხენი ქერს იმატებს,
ავი ცხენი მათრახსაო.

7.

დათუმა თქვა:
„რასაც ჩემი ტორი ვერ მოვატა-
ტემო ვერ ჩავატანეო. [ნეო,

8.

ქალსა დედა გოშუშინჯე,
სამოსელსა ნაწიბური¹⁾.

9.

— ძაღლო, ვისთვის უეფხ:რო?!
— ვის სანაგვეზედაც ვწევარო!

10.

დედა იკითხო,
კვიცი იუიდეო.

11.

თავის ქებაო —
თავის ტეხაო.

12.

შეილი ჩვენი გვიუვარს
ცოლი კი — სხვისიო.

13.

ახალ ზატარძალს
ღრუბლიანი დღე
დილა ეგონაო.

41.

შინაურ ხარს
მოზვერს²⁾ ეძახიანო.

51.

ცარიელმა თითმაო
პირი გამამქლითაო³⁾.

16.

მედლე-ხვალიე კაცსაო
თოვლი მოუვა კარსაო.

17.

მელასაც თავისი კუდი სჯისო.

18.

უარეუმს რა მოკლავს და ..
თავისი ენაო⁴⁾.

¹⁾ ნაწიბური — კიდურ-ქსოვილი, ნაპირი.

²⁾ მოზვერი — ახალგაზდა ხარი.

³⁾ გამამქლითა — გამ იტყავება

⁴⁾ ხალხი ამბობს: ერთ ქვეყანაში ორი კაცი დეიარება თურმე; ერთს პარი აქვს გაღებლი მხარზე და მეორე უკან მიყვება. ერთი ეუმ.

19.

ქოთანო რომ წიქცევა,
საჭამადი დეიქცევა.
ოთხი ფეხით დაჭედოლო
ცხენი აღარ წიქცევა.

20.

თავის ურგებელი კაცი
სხვისთვის რა სარგებელია?!

21.

ქაღაქი რო შენდებოდეს,
შეასწარიო;
რო იქცეოდეს,
გამოასწარიო.

22.

კვლარი კვლარს ეკიდებოდაო.

23.

სინქართი ძაღლმაო
ბრმა ლეკვები მოყარაო.

24.

ერთმანეთის მზერითაო
სახლი ეივსო მტვერითაო.

25.

შენ გაჭვივრება მანახვეო
და გაქცევას შე გაუურებოეფო.

26.

თვალი თვალის მტერიაო.

27.

თვალი თვალს შეჭამს,
შუაზე რო ცხვირი არ იუოსო.

28.

კახა-მბაღი კენწეროში
გამწარდებოაო.

29.

ძაღლი შინ არ ვარგოეო და...
სანადართი მიუაფათო.

30.

საუღლე მოზვერს
სასკორეზე ¹⁾ შეეჭობოაო.

31.

თუ ღმერთი მწყალაბს,
ეშმაკი რას დამაკლებსო?!

32.

მიძაღებულნი ზური
ძაღლმაც არ შეჭამაო.

33.

ოქრო ზატარა არის,
მარამ რამდენ რკინას
ჯობიაო?

ბება მეორეს: „ყარყუმს რა მოკლავსო?“ მეორე უპასუხებს: «რა და—
თავისი ენაო. თუ ახლო-მანლო სადმეა ყარყუმი, დეიძაბებს: «რომ არა-
ფერს ვიტყვიო?!» დაკრავენ ბარს და ამოაგდებენ მაღლა.

¹⁾ სასკორე—სანეხვე, უკან-ნალი.

34.

რისი ცნობაც არ იყო,
მისი ფასიც არ იყო.

35.

ურემი რო წეიქცევა,
გზა მაშინ გამოჩნდება.

36.

მელამ თქვა:
„ჩემ დამჭერავ ძაღლს
ერთი შესედვით
შევატოფო!“

37.

უვაჟმა უვავს წასძახა „ურინტო“.

38.

მელას შემწვარი ქათამი
ეზმანებოდა.

39.

ბერჯელ ვნახავ ივანესო,
კარზე შამამჩივანესო.

40.

უჭკუო კაცს ცოტაც
გოუკვირდება.

41.

უნახავმა რა ნახაო?
ცხრა მთა გადალახა¹⁾.

42.

თოვლი თეთრია, მარამ
ქვეყანა ზედ აფურთხებსო.

43.

ამევიარე აღევსო:
ფერხული ება ქალებსო...
საქმეს წახსთენს რეგენი,
ფათერაკს დაბრალებსო.

44.

ჩქარა სათქმელები:
ტეეში უაზახი შევიდა,
ტეე გაუაზახებულყო.

45.

შენი ცხვარი რქა-გრესილი
ჩემსა ცხვარსა რქაგრესილსა
რას ერჩოდა, რას ებძოდა,
რას ერქაგრესილებოდა?

46.

ჩიტმა რკო ჭამა, რკო ულაშა,
რკო მუხაზე გეიტანა,
გაარჩია და შეჭამა.

(სამ-სამჯერ უნდა ითქვას).

47.

ზმა:

ახალი ჩაღა დამიგეს,
გვერდი ხუობს²⁾ დაწოლასა.

¹⁾ გაღიარა.

²⁾ უარობს.

X

ნ ა რ ე ე ი :

1.

ანბანის ქება.

ა-ნო ასე შემეფარდი,
რომ გამოვთქვი ქება შენი;
ბ-ანო ბევრი სიუფარულით
მუდამ მინდა ნახვა შენი;
დ-ანო დავეჭექ შენ საქებრათ,
ჩემი თავით გენ:ცვლები.

2.

ერთ კაცს თავი წააგდებიეს; თავი
ბინძარში კოტრილობდა და თან
იძახოდა:

„წმინდა გიორგი ღეიბნა
სამას სამოცდა ხუთათო...
ხეაის აუგს¹⁾ მაინც არ ვიტყვი,
ტუავი გამაძრონ გუდათო!“

3.

სამართალი და წესია:
პური ალაგზე თესია.
არ გეიკითხენ გლახაკსა,—
თურმე ერეგანს წესია.

4.

ურია და ურიკრიკე,
ჩიხანდრიკე ფანდურიკე!

მე რო გოჭი მოგაბარე,
კული რაზე მამიკენიტე?

5.

ურიაშა ხარი დაკლა,
ჩაოკიდა წიბ:წიბითა.
თაკემა ღხინი გაღისდა
ფეხ-დამწვარი წიწილითა;
კატა მაურულს ეუმბება,
თაკვი კვდება სიცილითა.

6.

წევას რო დედაბერია:
მისთანა შენი მტერია:
დოუსტენია²⁾ კბილები,
რავარც აჭილდა ცხენია.

7.

მისთანა შენი მტერია,
წევას რო დედაბერია
ერთი მისთანა მისტინა,
ცივათ მამწევიტა წელია.

8.

სვიმონლების ომიო
ტეემელი და დომიო;
სვირელების „ხაზინაო“
ოდელა და პრასინაო³⁾;

1) აუგი—ძრახი, გმობა.

2) დახტენა—სიცილის დროს კბილების გამოჩენა.

3) ოდელა და პრასინა — ბალახეული (მხალეული) მცენარეა.

წვევლების ღვინო —
ქონდარი ¹⁾ და თხილი;
ისიც რო გამეუღვათ,
დერევათ ჭირიო.

9.

ზესტაფონში რო ჩვევდი,
იქ ვიუიდე არღნიო.
დმერთო შენ გადააშენე
შროშელების ქარხნიო ²⁾.
შროშელების ქარხნშია
ტურა ხოხავს ნადარშია.
იქ ნამზადი არ იჭმევა,
რავარც უველი მარხვაშია.

10.

ამ როსტომა თაბაგარს
თავი გასიუებაო.
ადგილს ³⁾ თავი დაანება;
წიქვილს ჩადიუებაო.

11.

მეგრელების ფაცხაშიო ⁴⁾
ტურა ხოხავს ნადარშიო;
იქ ნამზადი არ იჭმება,
რავარც ხორცი მარხვაშიო.

12.

ზაქარია და კვირია,
რათ დაგიღიათ პირია?

თფილი ჭადი ვერ გიშონე,
ცემს მოგვეთა კბილია.
სამმა ქოთანმა მაწონმა
ვერ გავისოულათ პირია!

13.

დელე-დელე შევიარე,
შაშვი აფაჩუნებდაო;
შენი რძლისა ძუძუ-მკერდსა
რწეილი აკრატუნებდაო.

14.

სასიმღერო:

გააააა, გააააა!
შენმა რძამდა დამზატოყა;
გააააა, გააააა!
ძირს დამიგო ხალიჩაო;
გააააა, გააააა!
ერთი მაგრათ მაკოტნია;
გააააა, გააააა!
მისი თავი დამიჩაო!

15.

ე კვირია კანანაძე
კვირეს შემოდგამს ქვაბსაო ⁵⁾;
თხლეები გამოლევათ,
ღვინოს დოუწეებს ხდასაო.

¹⁾ ქონდარი — პიტნა-ტარხუნის მზგავსი მცენარეა, კლდეებზე იზდება დაუმუშავებლათ.

²⁾ სოფ. შროშა (ზემო იმერეთს, წევის მეზობლათ) ცნობილია თიხის ტურპელის წარმოებით

³⁾ ადგილ-მამულს.

⁴⁾ ფაცხა — წნული კედლებიანი ქონი.

⁵⁾ საარაყე ქვაბი იგულისხმება.

16.

ვისი შვილი ვისა ¹⁾ შვიდსა
აღინძებს და უფთხობს ძილსა?

17.

ქალი მიმეავს ბზიანიო ²⁾,
აბრეშუმის თმანიო...

18.

ბიჭი მიდის ცოლოურსა,
მიითლიდა ატამსაო;
იქიდან რა წაშევიდა,
მეექებდა ნათაღსაო.

19.

წინდაო და ქალამანო,
ბიჭის დამაშვენებელი
ბიჭო, გოგოს დეეთხოვე,
თვარა დაგაშეებენო.

20.

არ კი გითხარი, დათიკა:
ნულა უვარობ მართასაო,
თვარა მართას სიუვარული
დაგაჩეხავს ბარკაღსაო!!..

21.

ყანაში თივას ვთიბამდი,
გამოხტა მწუერი;
ვინც არ გვიცინოს,
გაცვიინდა წვერი!

¹⁾ ვისსა.

²⁾ მზიანიო - მზესავით მანათობელი.

22.

როცა თმა-გაკრებილ ბავშს და-
ინახავენ, ხუმრობით ეტყვიან:

ხოტორ-ხოტორ, ბრიშა,
ყვავი ნიგოზს ყრიდა;
ყვავო, ერთი ჩამომიგდე,
ლობიოსთვინ მინდა
(უკან სენელ სიტყვებთან ერთად
გაკრებილ თავში წკუპურტს ჩაჭკრა-
ვენ, თითქო კაკალი ჩამოვარდაო).

23.

დეღასა დეღასა,
ქმარი უნდა ბეზასა!
პატარა ბიჭის დედაო
შეჯდება კურდღელზედაო;
გააჭენ გამოაჭენებს,
გადმოვარდება ზედაო,
გასკდება მუცელზედაო.

24.

მალულ-აზიას თამაში:

როცა მალულობიას თამაშობენ,
დასამალვ ბავშს ამნაირათ ირჩე-
ვენ: მოთამაშეები წრეს გააკეთე-
ბენ, შუაში გამოვავ უფროსი მო-
თამაშე, ამბობს შემდეგს ლექსს
და ყოველი სიტყვის თქმაზე თითს
ადებს გულზე თვითეულს მოთამა-
შეს:

აღხოს,
მაღხოს,

წვევლების ღვინო —
ქონდარი ¹⁾ და თხილია;
ისინი რა გამეუღვათ,
დევრევით ჭირიო.

9.

ზესტაფონში რა ჩვედი,
იქ ვიუიდე არღანიო.
დმერთო შენ გადააშენე
შროშელების ქარხნიო ²⁾.
შროშელების ქარხანშია
ტურა ხოხავს ნაცარშია.
იქ ნამზადი არ იჭმევა,
რავარც უველი მარხვაშია.

10.

ამ როსტომი თაბაგარსა
თავი გასივებიაო.
ადგილს ³⁾ თავი დაანება:
წიქვილს ჩაციკებიაო.

11.

მეტრელების ფაცხაშიო ⁴⁾
ტურა ხოხავს ნაცარშიო;
იქ ნამზადი არ იჭმება,
რავარც ხორცი მარხვაშიო.

12.

ზაქარია და კვირია,
რათ დაგიღიათ შირია?

თფილი ჭადი ვერ გიშონე,
ცემს მოგკვეთა კბილია.
სამმა ქოთანმა მაწონმა
ვერ გავისოვლათ შირია!

13.

დელე-დელე შევიარე,
შაშვი აფანუნებდაო;
შენი რძლისა ძუძუ-მკერდსა
რწვილი აკრატუნებდაო.

14.

სასიმღერო:

გაააჰა, გაააჰა!
შენმა რძელა დამატიყა;
გაააჰა, გაააჰა!
ძირს დამიგო ხალიჩაო;
გაააჰა, გაააჰა!
ერთი მაგრათ მაკოცნია;
გაააჰა, გაააჰა!
მისი თავი დამიჩაო!

15.

ე კვირია კაპანაძე
კვირეს შემოდგამს ქვაბსაო ⁵⁾;
თხლეები გამოლევა,
ღვინოს დოუწეებს ხდასაო.

¹⁾ ქონდარი — პიტნა-ტარხუნის მზგავსი მცენარეა, კლდეებზე იზღება დაუმუშავებლათ.

²⁾ სოფ. შროშა (ზემო იმერეთს, წვეის მეზობლათ) ცნობილია თიხის ტურბელის წარმოებით

³⁾ ადგილ-მამულს.

⁴⁾ ფაცხა — წნული კვლებიანი ქოხი.

⁵⁾ საარაყე ქვაბი იგულისხმება.

16.

ვისი შვილი ვისა ¹⁾ შვილსა
აღინძებს და უფთხობს ძილსა?

17.

ქალი მიმეყვს ბზიანიო ²⁾,
აბრეშუმის თმანიო...

18.

ბიჭი მიდის ცოლოურსა,
მიითლიდა ატამსაო;
იქიდან რა წაშევიდა,
მეექებდა ნათელსაო.

19.

წინდაო და ქალამანო,
ბიჭის დამაშეენებელო!
ბიჭო, გოგოს დეთხროვე,
თვარა დაგაშავებენო.

20.

არ კი გითხარი, დათიკა:
ნულა ყვარობ მართასაო,
თვარა მართას სიყვარული
დაგაჩეხავს ბარკაღსაო!!..

21.

უნაში თივას ვთბამდი,
გამოხტა მწყერი;
ვინც არ გვიცინოს,
გაცივინდა წვერი!

22.

როცა თმა-გაკრებილ ბავშს და-
ინახავენ, ხუმრობით ეტყვიან:

ხოტორ-ხოტორ, ბრიშა,
ყვავი ნიგოზს ურიდა;
ყვავო, ერთი ჩამამიგდე,
ლობიოსთვინ მინდა
(უკან.სენელ სიტყვებთან ერთად
გაკრებილ თავში წყუპურტს ჩაჭკრა-
ვენ, თიქო კაკალი ჩამოვარდაო).

23.

დეღასა დეღასა,
ქმარი უნდა ბებასა!
პატარა ბიჭის დედაო
შეჟღება კურდღელზედაო;
გასკენ გამოაჭენებს,
გადმოვარდება ზედაო,
გასკდება მუცელზედაო.

24.

მალულობიას თამაში:

როცა მალულობიას თამაშობენ,
დასამალ-ე ბავშს ამნაირათ ირჩე-
ვენ: მოთამაშეები წრეს გააკეთე-
ბენ, შუაში გამოვა უფროსი მო-
თამაშე, ამბობს შემდეგს ლექსს
და ყოველი სიტყვის თქმაზე თითს
აღებს გულზე თვითეულს მოთამა-
შეს:

აღხოს,
მაღხოს,

¹⁾ ვისსა.

²⁾ მზიანიო – მზესავით მანათობელი.

ჩიტვა
გნახოს,
შენი ფეხი,
ფეხ-მანდური,
გადაჯექი,
გათმოჯექი,
სკიბ და
კიკ!

ვისაც შეხედება სიტყვა «რიკ», ის უნდა დაიმალოს; თუ მოთამაშე ბევრია, მაშინ შეიძლება ყოველი სიტყვა მარცხ ებად დაიყოს («ალ-ხოს, მალ-ხოს» და სხვა) და ისე ჩამოურჩიდეს მოთამაშეებს.

25.

იაგუნდის მარანშია
ჭიქა დგას და ლალი ჭვირსა;
შიდ ალვის ხე ამასუდა,
ლორჩქია ¹⁾ და ქარი შლისა:
ზედ ბულბული შეხვევია,
იადონი ²⁾ ხელს უშლისა.
იადონო და ბულბულო,
იაგუნდო და ზურმუხტო
და ამბარო ³⁾ შაქრისაო!
საქრისტიანოს ღრუბულო,
მზე ხარ დასაუღეთისაო!



¹⁾ ლორჩქი—ნორჩი, ახალი.

²⁾ იადონი—იგივე ბულბულია.

³⁾ ამბარ—სურნელება, არომატი.

პირველ ბოძს მიადგა და დაუწყო ნგრევა. ბოძმა ხმა ამაიღო და ფაშას უთხრა:

— მე ტუფილად მანგრევე, აგე იმ მეორე ბოძის ქვეშ არის თამარ დასაფლავებული!

ფაშამ პირველ ბოძს თავი დაანება და მიადგა მეორე ბოძს დასანგრევად. მეორე ბოძმაც ასე უთხრა:

— აქ არ დასაფლავია თამარ მეფე, აგე იმ მესამე ბოძის ქვეშ არისო. მესამე ბოძმაც აგრევე უთხრა და პირველზე ანიშნა.

გაუკვირდა ფაშას, ღმერთს დიდება შესწინა და სთქვა:

— ცოცხალიც დიდებული და ძლიერი იყავ და მიცვალებულიც არა ჰკარგავ შენს დიდებას და ძლიერებასო.

ღმერთს თაყვანი სცა და სთხოვა შეცოდების შენდობა. მერე მთელი ღამის ნამუშევარი და ნაბრძოლი მონასტრიდან გამოვიდა და თავის გზას გაუდგა.

* *

ცნობილი თამარ მეფის ეპიტაფია მართა ბიბლიურმა ასე გადაომცა:

თამარ დედოფალი ვიყავ სახელი დიდი გავიგდე,
ირან-თეირანს ხმალი ვგარ, ხმელეთი შიგნით მოვიგდე,
და ამ საქმისა ჩამდენმა ცხრა ადგილი ტილო წავიდე...

ღმერთს დიდი უფიქროს და მისი მხსოვსო.

* *

ჩემ შენიშვნაზედ რომ, როგორც ზოგიერთ წყაროებიდანა სჩანს, თამარ მეფე გელათის მონასტერშია დასაფლავებული მეთქი, მართა ბიბლიურმა მიზასუხა:

— იმისთანა დიდებულის საფლავი, როგორც თამარ მეფე იყო, ვისაც ემორჩილებოდნენ წეროები, მერცხლები და სხვა ფრინველნი და მისის ბძახებით მოჰქონდათ: მერცხლს ქვეშა და წეროს ქვა, და იმისთანა მიუვალ მთა-კლდეზედ აშენებდა ეკლესიებს, მონასტრებს და ციხეებს; ვისაც წყეული რამადა ჰქუვანდა, პირში ღვთისგან ნაკურთხ ლაკამ ამოდებოდა, და ზედ მჯდომი დაჰქროდა, — ამ წამს რომ აქა უფიქროსო, მეორე წამს ბაღდადს გაჩნდებოდა, — და ვისაც რამდე-

ნიც მთელ საქართველოში მონასტრები, ეკლესიები და ციხეები აუშენებია იმის საფასური ვარძიის მონასტერზედ დაუხარჯავს, და რამდენიც წელიწადში დღეა, იმდენი სუნაკი აუშენებია ვარძიის მონასტრის გარშემო, ის დაკარგული უნდა გვეხანდეს?! სწორეთ არ უნდა იცოდნენ სად ასაფლავია? მე დარწმუნებული ვარ მამიჩემისაგან და მწამს კიდევ, განაგრძო მართამ, რომ თამარ მეფე ვარძიის მონასტერში ასაფლავია. თამარმა იმის ნიშნად, რომ აქ, ვარძიის მონასტერში ვარ დასაფლავებულიო, ტაძარში დაახატვინა თავისი სურათი.

კ. დ. მაღალაშვილი.

1899 წ., ვნკენისთვის 21.

საზოგადო განხილვა¹⁾.

ადგილ-მდებარეობა. ჰავა. მცენარეულობა. პირუტყვი. ფრინველი. მდინარეები. სამკურნალო წყლები. მანეულობა. გზები. მცხოვრებნი. წმ. ნინო. თომა მოციქულის მოწაფის ელისეს მოსვლა გიშს. შაკიხ (შაკი=ნუხი)—წუქეთ-ელისენის სამწყსო. ქრისტიანობა მირიანის დროს. წმ. არჩილ მეფე. კახთა მთავრები და მეფეები. ლეკების ჩამოსახლება და ბატონობა. კარის რესპუბლიკა და მისი წეს-წყობილება. ელისოს სასულთნო. ანტონ კათალიკოზის ნაამბობი ამ ძირობის შესახებ. წამებულნი. თათრობა. ქართველთა კულტურა. ძველი ნაშთები. ცხოვრება—ბრძოლა. ქრისტიანობის აშკარათ აღვიარება. კვლავ გადადგომა. ინგილოთა რიცხვი და სოფლები. უმთავრესი დაბა-ქალაქები. მოღვაწენი. ელისოს სულთნების შთამომავლობა. ზოგიერთ სახელის განმარტება.

საინგილო შიგნით-კახეთის ნაწილია და, მაშასადამე, მდებარებს მდინ. ალაზნის ხეობაში. დღეს მას შეადგენს სიღნაღისა და ნუხის მაზრების და აგრეთვე დაღისტნის მომიჯნავე ზაქათალის მაზრა, რომელსაც ჩრდ.-აღმ. მხრით აჭყულებია კავკასიონი, დას.-სამხ. მხრით კი შემორტყმიან ალაზანი და შავი-მთა, ნაწიეკტი სიღნაღზე

¹⁾ ზაქათალის მაზრის (საინგილოს საზოგადოდ) შესასწავლად საკმაო მასალა მოიპოვება სხვა და სხვა თხზულებებში, რომელთაგან აქ, დიმიტრი ჯანაშვილისა, ი. ს. ელიაშვილისა, ზ. გულისაშვილისა და ზ. ედილაშვილის ფასიან ნაწერებს გარდა, დავასახელებთ კიდევ ზოგიერთს. ესენია: დ. ბაქრაძის „Замѣтки о Заватальскомъ округѣ“ (ადგილობრივს გეოგრ. საზ. მე-XIV წ., გამოც. 1), წერილები ფონპლოტოსი (Сборн. свѣд. о кавк. горцахъ, VI გამოც.), ი. ლინევიჩის (იქვე, მე-VII გამოც.), პასერბსკისა, ზისსერმანისა „Двадцать пять лѣтъ на Кавказѣ“ (ორი წიგნი), აგრეთვე თხზ. ბროსესი, ბუტკოვისა, ბატონიშვილის დავითისა, ანტონი კათალიკოზის მემუარები (ჯერ დაუბეჭდავი სრულად), მასალები არქეოგრ. კომ. ოქმებში, ქართლ. ცხ., ვახუშტის გეოგრაფია და სხ.

მომავალ ცივი-გომბორის კვერნაქისა. სივრცე მისი უდრის 73.78 ოთხკუთხ მელს ანუ 3571.34 ოთხკ. ვერსს. ალაზნიდამ კავკასიონის ძირობამდე ველი ხან იშლება, თართოვდება და ხან ვიწროვდება, ასე რომ ამ მდინართგან ხსენებულ მთის ძირობამდე ზოგან 30—40-ოდე და ზოგან 20—25-ოდე ვერსი ძლივს იქნება. სიმაღლე და სიდაბლე ადგილისა განსაცვიფრებელია: ერთის მხრით, ალაზნის ჩავარდნილ ხრამამდე დაქანებული ველი და, მეორეს მხრით, კავკასიონის წყალთა გამყოფი უმაღლესი მწვერვალი! ამისთანა ადგილ-მდებარეობის გამო ნაირ-ნაირია ჭვავც: იგი ცხელია და ხაშშიანი ალაზნის ხრამის მიდამოს, ხოლო გრილი, ცივი და სადი აღმართ-აღმართ კავკასიონის მწვერვალამდე.

ადგილისა და ჭვავის მიხედვით ირჩევა მცენარეულობაც, პირუტყვეულობაც და თრინველიც. ატამი, ლეღვი, ბროწეული, წაბლი, უურძენი და მათებრი თბილი ქვეუბის მცენარეულობა ზეგანებსა და აღმართებზე ვერ ხარობენ და უფრო მაღლა, მწვერვალებზე ხომ სხვა მცენარეულობაც ვერ უძლებს ზამთრის სუსხს, იქაურ მიმდემ აუღებელს თოვლსა და ეინვას. ამგვარადვე კამეჩეულობა, ხობობი, ფუტკარი, ჰარკის ჭია და სხ., რაც ალაზნის ჰეორდები, ილევა, სწელება.

ალაზნისა და კავკასიონის შორისი მთელი ველი, — სიგანით 20—40 და სიგრძით 80-მდე ვერსი, — წარმოადგენს ერთს განუწყვეტელს მუხისა, რცხილისა, წიფლისა, ნაკენჩისა, წაბლ-თხილ-სხალ ნარეგ ტეესა და ჭალებს, რომელთა შორის აქა-იქ მხოლოდ მოჩანს სოფლები, სათესი მიწდგრები და აგრეთვე რიეები კავკასიონიდან ალაზანში ჩამოდინარე ხეებისა.

უდიდესი მდინარეებია ქურმუხი, მუხანის-წყალი, ჭარის-წყალი, მაწეს-კატეხის წყალი, ბელაქნის წყალი და მაწის-წყალი (მაზიმ-ჩაი). უგულა ამ წყლებს უჭერთ დიდი და დრმა ლეღეები კავკასიონისა, დაქანებულად დაბლა მორბიან, მოშხუვიან, გაზაფხულსა და, საზოგადოდ, დიდი წვიმების დროს მეტად ლეღდებიან, მოხუვიან საზარლად, მოგორებენ უზარმაზარ ქვებს, აზკრევენ არე-მარეს, აფუჭებენ სოფლებს და, ხშირად, რიეად აქცევენ სათესებსა და მობიბინე ნათუძერებს. ამ მხრივ მეტად დიდი ზარალი მოაქვს ქურმუხს — კავში, ჭარის-წყალს — თაღასა და ჭარში და კატეხის-წყალს — მაწეს-კა-

ტუხში. ვერც გოდორ-ურემ და ვერც სხვა ღონისძიებამ ამ წყლები
ბის ლალი ზვირთები ვერ შეიკავა და უოველ წელიც მათი ისეც უშვე-
ლებელად ვრცელი რიუე იზრდება, განიერდება, ფართოვდება. მაგიუ-
რად, უამწებობად აჭური მთის ძირების მოსახლეობა გზას ვერ წა-
ვიდოდა, რადგან სხვა წყაროების უქონლობის გამო ვერც არას მთ-
იწყავდა და ვერც არას დალეოდა. ალაზნის ზირებისკენ კი ბევრია
წყაროები, მაგრამ მათი წყალი მოდის ჭაობებიდან, დამწალ ადგილე-
ბიდან, ჩვეულებრივ—თბილისა, ჭიანის, მოშავო ფერი დაჰკრავს, რის
გამო შავ-წყალს ეძახიან. წყლის ამგვარ თვისების გამო მთელს
ალაზნის-პირა ადგილებსაც ეძახიან უარსავეს (=შავს). უარსაველები
ზაფხულობით სასმელად რჩებენ მთიდგან მომდინარე ხევების წყალს
და არა უათვი-ჩისისს, რომელშიაც წყალი გროვდება ჭაობებიდან გამო-
ნაფონ წყაროებით.

სამკურნალო წყლებიც არ აკლია მაზრას. ქურმუნის ხეობაში ჰა-
მამ-დერას (აბანოს ხეობაში), ელისოდგან 10 ვერსის მანძილზე არის
თბილი წყალი—ჰამამი (აბანო). მის ახლოს მოხ-ბულოდი, ალიბეკ-
ლოს ქვემო ცივი სამკ. აბანო უახანთმა. აქვე იბოვება აკრეთვე მად-
ნები სწილენძის (ბელაქანში), რკინის (იჭვე), ტუვისა (მუნახში),
ვერცხლისა (იჭვე). ამ და სხვა მადნეულობათ უჩვენებენ აკრეთვე
ელისოს, უუმს და სხ.

მაზრას ამ პირით (მაზიმ-ჩაი ლაკოდესსა და ბელაქანს შორის)
იმ პირამდის (უანი-უობი კაკსა და ნუხს შორის) გადასჭრის ფართო
გზატკეცილი, ორივე მხრით შემორკული კაკლის ხეებით. მეტად
სამურია მგზავრობა ამ გზაზე, მეტადრე ზაფხულის ზაზანაქებაში, რომ-
დესაც გზის მთელი მანძილი ერთ უზარმაზარ საჩრდილობელს წარ-
მოადგენს. ეს შვენიერი გზა გაიფანჯეს თვით მცხოვრებლებმა 1870
წლებში მაზრის უფროსის ბ. მ. შელკოვნიკოვის ხელმძღვანელობით.
უწინ საფოსტო გზას სულ სხვა მიმართულება ჰქონდა: ნუკრიანდამ
(სიღნაღის უბანია) მოდიოდა დედოფლის-წყაროს (თუქურშიშს), იჭა-
დან ჩამოდიოდა ალაზნის მარჯვენა კიდზე, კადიოდა ალმალოს ხიდზე
და მიდიოდა ქადაქ ნუხს. ახლა კი ფოსტა სიღნაღის მაზრის სადგურ
წინორ-ჭიურ-ლაკოდენიდან შემოდის სანგილოში და აქ ხვდება მას
სადგურები ბელაქანი, ზაქათალა, გულუგი (=ფარღანი) და კაკი (=კანი).

1886 წელს მზრასში იყო 74.449 მცხოვრები. მათგან 39.948 მამაკაცი (53.60⁰) და 34.501 დედა-კაცი (46.40⁰); გვარტომობით: 40.225 ლეკი. 21,090 თათარი (მულაღი), 12.430 ქართველი, 521 სომეხი, 167 რუსი, 8 ჰოლანდიელი და 8 ურია.

უწინ მთელი ეს ძირობა, მთელი ეს კუთხე ეჭირა ქართველობას. გზა აქეთ ჰქონდა წმ. ნინოს, ვიდრე შეუბრუნდებოდა ქცელდაბას და მიიძინებდა ბოდბეში. წმ. გიორგი, ვით საქართველოს დანაშთენ 365 ადგილების წმ. გიორგი, ნინოს დროებითგანვე შეიქმნა საერო გმირად, მაკალითად უშიშარ რაინდობისა და ბრძოლისა საერთო თავისუფლებისათვის. აქური ეკლესია წმ. ნინოს უნდა დაემყარებინოს ელისეს მიერ განთესილ თესლზე და, ფუთქრობთ, რომ ამ მოციქულის სახელი დღევანდლამდე შერჩენია აქურ ელისენს (ელისენი—აღიბათის სამორავო) და ელისოს (ერთხანს სამთავრო დაბად იყო).

ელისე, როგორც მოწმობს კალანთკატვანო, იყო თომას მოციქულის მოწაფე. მეფე სანატრუკმა რომ აწამა თომას, ელისე დაბრუნდა იერუსალიმს; აქ იგი ეპისკოპოსად აკურთხა უფლის ძმამ იაკობმა, რომელიც იყო პირველი ეპისკოპოსი იერუსალიმისა. იგი სპარსეთით, სომხეთის მიუკარებლათ „ИЗВЪГАН Арменіи“¹⁾, მივიდა მასკუტებში და დაიწყო ქადაგება ჩოღას ანუ ჩოჩას—ჩურულს, ე. ი. დარუბანდის არემარეს, იქიდან ჩამოვიდა უღოს (საუღოს) სამის მოწაფით, რომელთაგან ერთი მოჰკლეს მისმავე ნათესავეებმა და ორნი კი თვითონვე გაეცაღენ მოძღვარს. მარტოდ დარჩენილი ელისე მივიდა გიშს (ნუხიდგან კაკისკენ 8—10 ვერსის მანძილზე), აშენა ეკლესია, დასაბამი უგელა აქურ ეკლესიათა. საურადღებო კიდევ ის არის, რომ ამავე მასკუტების (მასკუტების) სახელი გვხვდება იმ მთიელების სიაში, რომელთა ქვეყანაშიაც შევიდა წმ. ნინო და უქადაგაო ქრისტეს სჯული. მაგრამ ეს სჯული, როგორც წინათაც გვითქვამს, სამოციქულო ხანაში განმტკიცებული ვერ იქნებოდა. ჭერისეუ მირიანი უნდერძებდა თავისს შვილს: კერპობა და კერპ-თაუგანისმცემლობა კავკასიაში მალე არ გადავარდებო, საცა ნახო ასეთი

¹⁾ კალანთკატვანო. *Исторія Агванъ*, გვ. 6.

კერძები, იგინი დასწვი, ნაცრათ აქციე და მათი ნაცარ-ტუტა შეასვი იმათ, რომელნიც ამ კერძების დამზობას იგლოვებენო. შემდეგ მეფე არჩილი რომ მოვიდა წუქეთს (საინგილოს), აქ ააშენა კასრის საუღარო და აგრეთვე ქალაქი ნუხ-ხატისი, აქაურები მაშინ იყვნენ წარმართნი და მხეტის ბუნებისანი და არჩილმა იძულებით მონათლა იგინი. და ამ დროითგან აქ დაწესდა კათედრა გიშელისა, რომელიც მწესიდა შაკინს (შაქს=ნუხს), წუქეთს და ელისენს. ქალკიდონის მსოფლიო კრების დადგენილება გიშელემაც არ მიიღეს და ერი მართლმადიდებლად მოაქცია მხოლოდ დინარ დედოფალმა მკათე საუკუნეში.

ესე იყო მეშვიდე საუკუნის გასულს და ამ დროს წუქეთი, ხუნძანი და თუშეთი ებარა ერთს მმართველს— აბუხვასროს, რომელსაც მეფე არჩილმა წინანდელი თანამდებობა („ერისთაობა თუშთა, ხუნძთა და უოველთა წარმართთა მის მთისათა“) დაუმტკიცია.

მაგრამ არაბების შემოსევამ დაასუსტა საქართველოს მეფის ძალა და აფხაზეთის ერისთავის განდგომის (786 წ.) წლის თავზე განდგა კახეთის ერისთავი გრიგოლიც და მის შემდეგ 1800 წლამდე მხოლოდ დრო-გამომშვებით მოსპობილს დამოუკიდებელი არსებობა კახეთისა, რომლის აღმოსავლეთი მიჯნა ებჭინებოდა საუღარო მთებს (ნუხის მაზრა), სცა იყო სამოსამზღვრე ციხე ყაბალა, მაგარი და ძლიერი. აღაზან გაღმა მხრის (საინგილოს საზოგადოდ) სამმართველო ადგილებად შეიქმნენ ბელაქანი, მაჭი (მაწინი, ჭარი), კაკი (შემდეგ ელისენი (აწ ალიაბათი) და გიში (აწ ქიში და ნუხი). აქაურ მეფეებს ზოგჯერ დიდი ძლიერებაც შეუძენიათ, მეტადრე კვირიკეებს და ახსართანებს. ერთ ახსართაგანის ციხე დღესაც არსებობს მაწინ-წელის ხეობაში ლაგოდეხის თავს, თოღას, და მის ამბავს გადმოგვცემს ციხისავე ქვა-სვეტის ასომთავრული გრძელი წარწერა, სამწუხაროდ, საკმაოდ დაზიანებული.

1117 წელს წუქეთს მთავრობდენ ასამ და შოთა გრიგოლისძენი. ამავე წელს დავით აღმაშენებელი მოვიდა გიშს და განუხს, დაიჭირა ყაბალა. მე-XIII ს. აქ მთავრობდა შოთა კუპრი.

გიორგი ბრწყინვალის (1318—1346) და მის მომდევნო მეფეების დროს აქ ქართველობა და ქრისტიანობა ძლიერი იყო. თეი-

მურაზ ბატონიშვილის ცნობით, ლანგთემურამდე (გამოჩნდა 1384 წ.) მსხლბედი ლეკები ისევ ქრისტიანები იყვნენ და სცვიდნენ ენას ქართულსა. მხოლოდ მან დაუდგინა მოლანი და არაბული წერა შემოიღო, ქართული ენა და წერა კი აღკრძალა. მაგრამ მაინც ენა ქართული კიდევ დაშთაო აწწესელ ლეკებში და ამ ენაზე დღესაც ლაპარაკობენო. ლეკეთში ძველად ნაშენი საყდრები და მონასტრები არიანო, ზოგი თლილის ქვისა. ბუკრი მათგან მეჩითებად გადააკეთესო და სხვები ოხრად შეთინდნანო. მეფე ალექსანდრემ (1414.—1442) მოლანი გარეკაო და ლეკნი ზარგელსავე წესს დაუბრუნაო. ლევან მეფემ (1520—1574) დადისტინის შამხლის ქალი შეირთო ცოლად და ლეკები დასახლა ჭარის უბან ფიფინეთში 1549 წელს (ქ. ცხ., 107). გიორგი მეფემ გაღმამხარში წინანდელ საერისთავობის მაგიერ დაადგინა მოურავები ელისენს, წუჭეთს და ჭაურს. ლეკები მოვალენი იყვნენ კახეთის მეფეებისთვის ზაფხულობით უინული ეზიდნათ. ეს იყო მათზე გაკვეთილი ხარკი.

გარემოება იცვალა: საქართველოს დაუძინებელ მტერმა შაჰ-აბაზმა 1587 წელს კახეთის მეფე ალექსანდრეს ჩამოართო კაკ-ელისენი, წინანდელი მოურავი ვახაჩიშვილი¹⁾ გამაჰმადიანა, სახელად უწოდა ალიბეგი და ეს ალიბეგი დაადგინა აქ სულტანად. ამიტომაც მას ეწოდა აკრეთვე აღისულტანი. ასეა ეს ვახუშტის სიტყვით, მაგრამ იმავე 1587 წლ. ფაენის ბრძანებაში სწერია: კაკის ბატონის ქართველის გურამოდლის შეილების მამული მიფუბოძე საქართველოს მეფე სვიმონს (1558—1600), ხოლო აწ ამავე მამულს ვუბრუნებ გურამოდლის შეილებს. მისი ფირმანი 1620 წლითგან: „ძველი დროითგანვე გურამოდლის კუთვნილ მამულს ამიერთგან ვუბოძებ გურამოდლის შეილებს ზაალბეგს და კისუბეგს. ამათ საბატონოს გლეხნი, საცა უნდა იყვნენ იგინი, ისევ დაბრუნდნენ თავიანთ მამულებში, ემსახურონ მათ და დაემორჩილნენ, ვითარცა ემორჩილებოდნენ თვით გურამიშვილს“.

ქართველთა მშერობელობას დადისტინელთა თვალში სახელი გაუტეხა აკრეთვე იმანაც, რომ გამაჰმადიანებულ კონსტანტინე ბატონი-

1) 1674 წელს დავით ვახაჩიშვილს მეფე არჩილმა დაუმტკიცა სოფ. შალაური (ფურცელაძე. *Груз дворян. грамоты*, გვ. 8).

შვილმა, მოსულმა საინგილოს სოფელ ბაზარს შავ-აბაზის ჯარით, მოიწვია აქ თავისი მამა და ძმა, დალატით დახოცა ივინი (1605 წ.) და თავისი რძლის ქეთევანის შერთვა ცოლად მოინდომა.

ლეკები ცხადად ხელაგდნენ საქართველოს სიძაბუნეს, ქურდულად ჩამოდიოდნენ და იკლავდნენ კახეთს. მათ დასაშინებლად მეფე თეიმურაზმა დაღისტანში შეგზავნა (1612 წ.) თავისი სარდალი ქაიხოსრო ომანიშვილი. ლეკებმა, დანახეს რა ქართველთა ლაშქარი თავიანთ მთებში, შეშინდნენ და დაშოშინდნენ.

მაგრამ შავ-აბაზს არ ეძინა. 1615—1616 წ. მან ლეკებს შეუთვალა: მოვიდვიარ საქართველოს ასაკლებად და თქვენც გიბრძანებთ დაჭკარით მხნდეღანო.

მართლაც უკენი მოვიდა. აიკლო და აფთორიაქა კახეთი, ხალხი ზოგი გაჟლიტა, ზოგი აჭურა და დედაბუდინად სძარსეთს გადასახლდა; ქართველობა მთელს გაღმამხარს ლაგოდებს იქით სოფელ ვართაშენამდე დარჩა მხოლოდ კაკ-ელისენს და თითო-ოროლაც აქა-იქ კიდევ.

დაცარიელებული ქვეყანა გაივსო ლეკობით. ბელაქანი და ჭარი იქცა დედაბუდედ დაღისტნელთა ბელადებისა და ავაზაკებისა. მათ შველოდნენ ყარაღაჯის ხანებიც, რომელთაც უკენი ნიშნავდა კახეთის უწინდელ მეფეების მაგიერ. ქართველებმა ვეღარ მოითმინეს მათი ავაზაკობა, და განიზრახეს (1688 წ.) დარბევა ჭარისა. ეს დაწყობილობა ჩაიშალა თამაზ სპასხეტის დალატით და დუშის მოურავის უკუდგომით. მაგრამ მეტი გზა აღარ იყო, კახელებმა იერიში მიიტანეს ჭარზე (1695 წ.), აიღეს, დაიმორჩილეს, ალაფით აივსნენ, გამარჯვებით კი ვერ ისარგებლეს: იქ გამაგრების მაგიერ ნაწილ-ნაწილ დაბრუნება იწყეს. დანარჩენებს ლეკები მოულოდნელად დაეცნენ, დაამარცხეს და ნატყვენავიც დაურევინეს. (ინგილო ხუციშვილის ხელნაწერის წარწერა ამ დამარცხებას მიაკუთვნებს 1698 წ.).

ინგილოებისთვის მეტად უბედური იყო 1706 წელიწადი. ყარაღაჯში განცხრებოდა კახეთის მეფე იმანუელიხანი და საინგილოს კი არბევდნენ ჭარელები. მერე თვით ალაზან გაღმა ქიზიყსაც რომ დაუწყეს რბევა, იმანუელიმ მოიყვანა კახ-თუშ-თუშავ-ხევსურნი, დადგა ვარდიანს (აწ გულოგი) და ჯარი შეუსია ჩარდახს და ააოხრებინა გა-

რემო ვიდრე კავკასიონის შვევერვალამდე. ვიდრე ჯარი დაუბრუნდებოდა, თვით მეფე იდგა ვარდიანის ბანაკში და ერთობოდა ქოს-დაბდაბუკის დაუვირებით. უდარდელ მეფე იმანუელის მიუხედავად ჭარულთა რაზმი და შეება. მეფის ამაღლა შეშინდა და გამოიქცა. თუშებმა თვით მეფეც გამოიტაცეს და ძლივს მოაბრძინეს უარაღაჟს. ამისთანა მარცხმა მეფის დანარჩენ ჯარსაც თავზარი დასცა. იგინიც ივლტენ და გამოახწიეს ჭარიდამ. გამარჯვებამ ათურთოვანა ლეკობა. იგინი მკვიდრად გაბატონდნენ სანგილოში. მათ შიშით იმანუელისანი უარაღაჟს ველარ დადგა, აიყარა და თელავს წავიდა (იხ. ჩვენი „საქარ. ისტ.“, გვ. 382).

1739 წელს ჭარი მოსწვა და აახრია თეიმურაზ მეფემ, მაგრამ ესეთი მიხილამ-მოხდამა უფრო აბრახებდა ლეკობას.

1750 წ. ჭარელებმა გამოგზავნეს ტფილისში თავისი ქეთხუდები და აგრეთვე ელისოს სულტანი მაჰმად-ხანი და ითხოვეს ერეკლე-თეიმურაზისაგან შერიგება. დათანხმდნენ. მეფეებმა მზევლად დაიტოვეს მაჰმადხანი. ქეთხუდები რომ დაბრუნდნენ, ჭარ-ბელაქნელებმა უგუბდეს თავისივე თხიფის და დიდის დაშქრით შემოებრძოლენ ქიზიუს. მეფეები წავიდნენ, ეცნენ. ლეკები ალაზანს გავიდნენ და კერიზე გამაგრდნენ. ერეკლემ გადავიდა და შეებრძოლა. გაიმარჯვა მეფემ. 700 ლეკი დახოცა და დაატყვევა და 1500 ცხენიც გამოირეკა. თავზარი დაეცათ ლეკებს, მაგრამ ამ მარცხის მაგიერი მიატეს ერეკლეს ჭარელებმა მეორე წელიწადსვე. ერეკლემ განიზრახა თვით ჭარში შესვლა. ნუხის ხანი აჯიხალაბი თავის შვილის ალაქიშის ზირით ერთგულებას უცხადებდა. ერეკლემ ალაზანზე ხიდის გადება რომ იწყეო, აჯიხალაბმა შემოუთვალა მეც ჭარელებთანა და კაკის სულტანთან ერთად დაგიხვდებით. ერეკლემ იწყინა და აჯიხალაბისკენ წავიდა და კერიზე შეება ჭარ-კაკ-ნუხის კავშირს. ერეკლეს ძალიან გაემარჯვა. მაგრამ აჯიხალაბის დამალული ჯარი რომ მოესია, მოკავშირე ხანებმა უღალატეს ერეკლეს. ქართველები გამოიქცნენ და ძლივს გამოასწრეს ალაზანს. ბევრი დაიღუპა წყალსა თუ ბრძოლაში. ლეკებს უფრო შეესხათ ფრთები. ამის შემდეგ 10 და 20 ათასობით ილაშქრებდნენ და ახრებდნენ ჩვენს ქვეყანას. უველა ამას ზედ მოჰყვა ალამაჰმად-

ხანის შემოსევა და ტფილისის ახორება. ჭარ-ბელაქანი სრულიად განმტკიცდა.

საქართველოს ცარცვა-რბევამ ჭარულ ლეკების მიერ 1¹/₂ საუკუნეს გასტანა დაახლოებით. 1803 წელს რუსის ჯარი ციციანოვმა შეუსია ჭარულეს. მაშინ კაკის სულთანად იყო აღი-სულტანი. 17 აპრილს იმავე წელს ჭარის რესპუბლიკამ და აღი-სულტანმა რუსის ქვეშევრდომობა მიიღეს და დანიხარკეს თავი: ჰირობისამებრ, 1-ლ აგვისტოდამ 1 ნოემბრამდის უოველ წლივ ხარკად გაიკვეთეს 1100 ლიტრა აბრეშუმი (მაშინ ლიტრა აბრეშუმი ღირდა 12 მან.). ჰირობა დაუდეს ახალ მთავრობას, რომ დადისტნელ ბელადებსა და მეომრებს ბინას არ მისცემენ და აქედგან არ გაატარებენ საქართველოს დასარბევად და აღიბათის (ელისენის) ინგილოებს არ დაუშლიან თავისუფლად აღასრულონ თვისი საქრისტიანო წეს-ჩვეულებანი. მიუხედავად ამისა, იმავე წელიწადს რესპუბლიკამ თავისი ჰირობა დაარღვია. ციციანოვმა გაგზავნა ჯარი გულაიაკოვის წინამძღოლობით. ლეკები დამარცხდნენ, თუმცა გულაიაკოვი კი მოკლეს თიცხელ ბრძოლის დროს. (მისი სათლავი ზაქათალის ციხეშია, ეკლესიის გვერდით). 1830 წელს ლეკებმა კიდევ სცადეს ურჩობა და ხარკის ძლევა აღკვეთეს. დელჯა იმავე წელს დააცხრო მთავარ-მართებულ ჰასკევიჩმა და მერე შეუდგა ციხის აგებას და უწოდა მას ახალი ზაქათალა (აწინდელი ზაქათალა). იმავე წლის 24 ივნისის თარიღით გამოსულ უმაღლეს ბრძანების თანახმად დაარსდა სადეკოს სკარდონო სამანი (ლეზგინსკაია კორდონნაია ღინია) და აგრეთვე ჭარ-ბელაქნის ოლქი; ამას მიეწერა აგრეთვე ელისოს სასულთანო. დაუტოვეს თვისი სამართალი—შარიათი, მაგრამ იმ ჰირობით, რომ მათი ამორჩეული კაცების გადაწვევტილება დაემტკიცებინა მთავრობის წარმომადგენელს. 1831 წ. ჭარულეები კიდევ აჯახდნენ და ამის გამო მათ ჩამოართვეს მათი კუთვნილი რაიები (ინგილოები და მულალები) და ამ უკანასკნელების თანაწორად იგინიც დახარკეს.

ელისოს სულტანი ჭარულეების მოძრაობა-ამბოხებაში მონაწილეობას არ იღებდა და ამის გამო რუსები მის შინაურ საქმეებში არ ერეოდნენ, თუმცა, როგორც ვთქვით, მისი სასულთანო ჭარ-ბელაქნის საოლქოს მიაკუთვნეს. ამ დროს სულთანად იყო დანიილ-ბეგი, რომ

მელსაც გენერლის ჩინი მიუბოძა. მან ითხოვა მთავრობისაგან თავადის ხარისხი. თხოვნა არ შეიწყინარეს. ამის გამო 1844 წელს ეს დანიელ სულტანი („ბატონი“ ინგილოურად) განუდგა რუსეთს და შამილს მიემხრო და მრავალ სხვა ბეკებითურთ მასთან გაიქცა დაღისტანს. მთავრობამ სასულთნო კაუჭმა და შეუერთა იგი ჭარბულაქნის ოქქს „ელისოს ნაწილი“-ს ზედ წოდებით. სასულთნარის უფლებაში მყოფი ყველა მიწები და აგრეთვე მასთან ერთად გაქცეულ ბეკების მამულები სახაზინოდ გამოაცხადეს. შემდეგში ზოგმა შეინანა და ამისთანებს მამულები ისევ დაუბრუნეს. ზოგი რამ ეწეალობათ აგრეთვე დანიელ ბეკის შთამომავლებს ელისოსა, ალათემურსა და სხ. დღეს სულტანის წარმომადგენლად ითვლება ხალილ-ბეგი, რომელსაც ლამაზი სასახლე აქვს ელისოს და ბლამა შვილები ჭეჯვს. ელისოს სულთნების სრულს სიას მათდამი ბოძებულ თერმანებითურთ ვებჭდვით ქვემოთ, ამ თავის დასასრულს.

1826 წ. კოცებუ ჭარის შესახებ კადმოვცემს შემდეგ სურათდებო ცნობებს: „ქვეყანა, რომელსაც ჭეჯვან ჭარი, კუთუნის 5 საზოგადოებას—ქარისას, ბელაქნისას, თალოსას, მუხახისას და ჯინიხისას. ესენა მფლობელი საზოგადოებანა და სხვანი—ამათ ქვეშევრდომნი. მფლობელი სულ ლეკნია—მპრობელი, ხოლო ქვეშევრდომნი—დაპრობილი სოფლები ინგილოებისა და მულალებისა. ქვეშევრდომი სოფლები ხარკს აძლევენ იმ საზოგადოებას, რომელსაც კუთუნიან. ჭარი, ზაქათალა და გოგამი ერთი მფლობელი საზოგადოება და მასში 1200 კომლი მოსახლეა, ხოლო მას კუთუნის 20 სოფელი. კატეხი და მაწეხი არც ერთ საზოგადოებას არ კუთუნიან და ამათ თვითონ არა ჭეჯვთ ქვეშევრდომი სოფლები. მთის ძირობაზე მოსახლე მფლობელ ლეკებმა, დანიურკს-რა ალაზნის-პირა მიწები, დააარსეს თედერატოულ რესპუბლიკისებრი მმართველობა, რომელშიაც მამასახლისის ღირსებას საკმაო მნიშვნელობა მიენიჭა: ყოველ სოფელში ყოველ წლივ ირჩევენ ერთს მამასახლისს იმ გვარადამ, რომელსაც შემკვიდრობით ამის უფლება აქვს. საქმე, რომელიც შეეხება ყველა საზოგადოებათ, ირჩევა საერთო კრებაზე ცის ქვეშ ადამს, რომელიც მუხახის ახლოა. ყოველ არჩეულ მამასახლისს აძლევა 30 ცხენოსანი (იასული) და ესენი მის განკარგულებას ახარე-

ბენ დანიშნულებისამებრ დაუყოვნებლივ აღსასრულდებად. პოლიტიკურ უფლების მინიჭებას მამასახლისთათვის დროებითი მნიშვნელობა აქვს და დამოკიდებულია ხალხისაკან. მამასახლისთა უფულ წლიურ არჩევით ცხადათ ჩანს ხალხის მშერობელობის სიბრწყინვალე. უმადლესს სამართალში ერთის წლით არჩეული მამასახლისები თანამდებობის აღსრულებას შეუდგებიან ხოლმე ისე არა, თუ არა ხალხის დასტურით.

ინგილოებსა და მულალებს არაფითარი მონაწილეობა არა აქვთ თავისუფალ საზოგადოებათა საქმეებში.

ხუთ საზოგადოებათაგან უველაზე ძლიერი და გავლენიანია ჭარისა. მის დაუდასტურებლად ელისოს სულთნებიც მათდა შემკვიდრობით კუთვნილ სასულთნოს მართვა-გამკეობას ხელს ვერ მოჰკიდებენ ხოლმე. და თვით ნუხის ხანებიც, ხშირად, თავიანთ დამტკიცებას მოელაინ ჭარიდგან.

ჭარელთ თავგასულობა იქამდე მისულიყო; რომ მათ ელისოს სულთნებს წაართვეს მათი კუთვნილი სოფლები უორადანი, შოთავარი და ბაბალო“.

ჯერ ხნობით ვკმაყოფილებით ამ მოკლე ცნობებით. უფრო დაწერილებითი მოთხრობა ცალკე გამოკვლევის საქმეა და მოითხოვს დიდს დროს, ადგილობრივ არქივებისა და სხვ. წყაროების გულდასმით გამოკვლევას. მხოლოდ არ შემოიძლია აქ არ ჩაუერთო ანტონი კათალიკოზის მიერ 1757 წ. შეკრებილი ცნობები შესახებ კაკ-ელისუნისა, ნუხისა, ჭარ-ბელაქნისა, ხუნძახისა და თუშ-ფშავ-ხევსურეთისა.

ანტონი II-ის ნახმობი 1757 წელს¹⁾.

აღწერა შაქისა.

შაქის ხანი, რომლისა შანს ჰქაჱ ჩალაბი ერქვა, და ამ ჰქაჱ ჩალაბის მამა სომხის ხუცესი იყო, და თუთონ ჰქაჱ ჩალაბი გარდაქ-

¹⁾ ხელნაწერი „საქართველოს მეფეთა შთამოება“ გადმოგვცა დიდად პატივცემულმა ნიკოლოზ დავითის ძე ერისთავმა. მასში მრავალი საინტერესო ცნობაა არა თუ საქართველოს. არამედ მაშინდელ ყველა სახანოების და სამელიქოების შესახებაც. იგი დაუწერია ავტორს ყიზილარის კამენდანტის ივან ფროუნდლორფის ბრძანებით. მისი პირველი ნაწილი (საქართ. მეფეების შესახებ) დაბეჭდილია „ივერიაში“ (1880 წ., № 111).

ცუელ იყო მკვამდიანობასა ზედა და ვერაგობითა რამელითამე დაიჭირა ადგილი იგი ჰაჟი ჩაღაბმან. ძველადგან ადგილი ესე კახეთის სა-მეფოს ნაწილი უოფილა და ძალით წართმეუიათ მკვამდიანთაგან დროთა მკვამბაზ ჰირველის სმარსეთის კელმწიფისათა. ამას შინა მსახლობელნი არიან მრავალნი ქრისტიანენი: სომეხნი—ცხადად და ქართულნი—ფარულად მკვამდიანთა შიშითა. ძეს ქვეყანა ესე შირვანისა შემოდევნებით იაღბუზის კალთის ქვეშე და კახეთის დასწორებით მიდევნებითა. მთად იაღბუზი აქვს და ბარცა აქვს, რამელიცა კახეთზედ აღმოსავლით კერძო ძეს. შემძლებელი არის თავისავ ქვეყანაში სამის ათასის მეომრის კაცის გამოყვანისა. დევანდლამდის ჩვენსა და იმათში დიდი მტრობა იყო, ხანდახან და ოდესმე მშჯლობა და შემოკება იყო.

აღწერა ალისულტინისა, ქარელთი და იმ ძირობისა.

აღი-სულტანი, რამელიც ძველად კახეთის მეფის ერთი მთავარი არის და კახის სულტნად სახელდებული და დროთა ჟამთა მკვამბაზ ჰირველისათა გამკვამდიანებულნი და გამდგარი კახეთის სამეფოსკან. და ესეც აღმოსავალით ძეს კახეთზე. ჯინიხის ხეობა, თაღის ხეობა, ჭარის ხეობა, ბელაქნის ხეობა—ესენი უბატონნი არიან და ამით ხალხი კაკის რაითი თარაქამა, რამელშიაც იმათიან მცირენი ქრისტიანენი: ზოგნი მართლ-მადიდებელნი ფარულათ და ზოგნი სომეხნი არიან განცხადებულად. ძველად ეს ადგილები სულ კახეთის სამეფოს ნაწილები არიან და ამ მახლობელს ჟამებში მრავალჯერ უმსახურნათ კახეთის მუხატონეთათვის; და ესე ადგილები, ახრებული მკვამბაზ ჰირველის დროთ და ამ ახრებულს ადგილებზედ ზოგი თათარი თათონ დაუსახლებია მკვამბაზს და ზოგნი ლეკნი თათონ გადმოსახლებულან და დაშენებულან. ამათ დაღისტინის იაღბუზზედ უუდიათ ზურგი და ძალაც იმათგან აქვსთ. შიგა და შიგ ის ქვეყნები ხან შემორიკებულნი არიან საქართველოს მეფესთან და ხან აშლილნი. შამახიიდან ბელაქნამდის მრავალჯერ საქართველოს მტრობაზედ ერთნი უოფილან. დაღისტინის ძალს გარდა შეუძლიათ ამ ძირობასა მეომრის კაცის გამოყვანა ხუთის-ექვსის ათასისა. ესენი სულ კახეთის მიწაში სახლობენ, და ქისიუისა ესრეთ ახლო მეზობელნი არიან, რამე

სოფლითი სოფელამდი ზოგი ოცდა ათი ვერსი არის და ზოგი ოცდა ხუთისა. და არს ქვეყანა ესე ძნელად შესასვლელი, ტვიანი, მრავალ წყლიანი და მაკარი.

აღწერა ხუნძახისა.

კუნძახის მთავარი, რომელიც არის დაღისტანში, და არს ქვეყანა ამისი მთის ადგილი. თავის უმა მეომარი გამოფა ათასხუთასი და როდესაც მობინდომებს, დაღისტანში იშოვნის თხუთმეტს-თექვსმეტს ათასს კაცს. და არს კახეთზედ აღმოსავალსა და ჩრდილოს საშუალ. ძველად კახეთის მეუფის ერისთავი ეოფილას; ჟამთა ვითარებისაგან და მკჷმადიანთ ძალისაგან სხუა ადგილებიც მრავალი ჩამორთმევიათ კახეთსა და ესეც მიღებია. ესენი წინა ხანებში ხან შემორიგებულნი იყო საქართველოს მეფეს ირაკლისთან და ხან არა. მასუკან დიდი მტრობა მობინდომა ჩვენზედა, დაღისტნის ჯარით მოვიდა უეცრათ და ქართლში ერთს ციხეს შემოადგა; შევებებით და დიდად დამარცხდა საქართველოს მეფეს ირაკლი მეორისაგან ძალითა ღუთისათა, და მრავალნი ამოწყდნენ. მეორეს წელიწადზედ კიდევ შური იძია საქართველოზედ და მეფეს ირაკლიზედ, და მეორედ წამოვიდა კიდევ დაღისტნის ოცდა ორი ათასი ლეკით და რაც კახეთის მეზობლები იუვნენ შირვანს ზევით ანუ განჯელნი, ამათაც ძალი მოსცეს, ჭაჭი ჩაღაბის შეიღი და აღის-სულტანი თითონ იუვნენ, ჯარელნი, თაღელნი და სრულად იმ ძირობის კაცნი, — ესენიც იქნებოდნენ ათი ათასი კაცი. და კახეთის ერთს ციხეს¹⁾ შემოადგნენ სანამდის მეფე ირაკლი ჯარს

¹⁾ აქ დედანში (გვ. 45) ავტორი შენიშნავს: „ციხე ესე არს ალაზხანს მდინარეს გაღმა, რომელ არს სახელით ყვარელი“. — ყვარელის ბრძოლა ქართლის ცხოვრებით მოხდა 1755 წელს. ომში მონაწილეობას იღებდნენ დაღისტნის მთავარი ომარ-ხანი, ნუხის ხანი ალაქიში, კაკის სულტანი მკჷმად-ხანი და ჭარ-ბელაქნელი; მთელ ამ კავშირს 20.000 მებრძოლი ჰყვანდა. შემოერთებენ ციხეს. ერთ მუტა მეციხოვნეთ შემოაკლდათ სურსათი და ტყვია-წამალი. 130 ქართველ ვაშაკაძე თავს იღო მეციხოვნეთა მიშველებად. ერეკლეს ნებართვით ესენი გმირულად მიუხტნენ მტერს, გაარღვიეს მისი რაზმები და საჭირო ტყვია-წამლით შეცვიდნენ ციხეში. ერეკლემაც უხერხა მოსულ მტრებს: გაგზავნა თავისი ლაშკარი ჭარს და გადააწვევინა იქაურობა. ბელაქნელ-ჭარელი გაბრუნდნენ თავიანთ საარჩო-საბადლებლის საშველად. მათ მიჰყვნენ დანარჩენებიც.

შემოიყრიდა, მეფის მისვლამდის წინათვე ჯარი მიეშველა მეფის ირაკლისკან, და ცინილამ მრავალი კაცი ამოწუნდათ და სირცხვილუფობნი გაბრუნდნენ. შემდგომად შემორიგება მოინდომა. მეფის ირაკლისკან და შერიგება მოხდა და მტირე რამე ჯამაგირი მიეცა მეფის ირაკლისკან. კახეთის სამზღურადამ ოთხის დღის სვალდი გზა არის. თუმცა თვითონ ეს ხუნძახის მთავარი შემორიგებული არის, მაგრამ იმას რაც კაცი ჭყავს, ისინი კი ქურდულად მტრობენ ქართლსა და კახეთსა.

აღწერა დიდო, ქისტისა, ღლილუისა, ზურზუკისა, ფშავ-ხევსურისა და ხევისა.

კიდევ კახეთის სამეფოს ნაწილი, რომელნიც კახეთზედ ჩრდილოდ კერძო არიან—ოთხი თემი: დიდოეთი, ქისტო, ღლილუი და ზურზუკი ღვეთაკან მიგვხმინან და გაუმაჰმადიანებიათ; ახლა ცდილობენ და სურისთ რომ თუშეთი და ხევსურ-ფშავი და ხევიც, რომელიც რუსეთის სახელმწიფოსა და საქართველოს შემოსავალ-გასავალი გზა არის, ესეც დაიპყრან და თავიანთ სარწმუნოებაზედ მიიზიდონ. და იმათი ჭაზრიც ეს არის: რომელნიც ნათესაფნი არიან ოსნი და ანუ სხვა გვარნი ამ მთებში იმყოფებიან, ესენი უირიმამდის გაამახმადიანონ, და ამ მთასა შინა არა მცირედნი არიან ახლად მიტყუელნი იმათს სარწმუნოებაზედ და ნიადაგცა ატყუებენ; და ეს გზა რომ დაგვიწერია, კვების რუსეთის სახელმწიფოში ასე განცხადებული იუოს, რომ ასეთი რამ იუოს რომ გაკეთებაზედ ბევრი სასჯელი მოუხდეს; ამისი გაკეთება ჩვენგან ადვლად შეიძლება და ამ გზაზედ ჩიმი სოფელი არის, რომელიც საზღვარი არის. აქილამ მოკიდებული რაც მთა არის, ორმოცი ვერსი იქნება და ამ ორმოცს ვერსს იქით და აქეთ სულ ვაკე არის და ამ ორმოცის ვერსის მთის გზაზედ შიგა და შიგ ვაკე უფრო ბევრი არის¹⁾.

1) აქ მოყვანილი აღწერილობა შაქისა, ალისულტისა, ხუნძახისა, დიდო-ქისტისა და სხვა თუმცა ზოგიერთ ხელნაწერებში მისდევს შემოკლებულ ისტორიას ანტონ I-ის კათალიკოსისას, მაგრამ ანტონ I-ს არ ეკუთვნის, არამედ დავით რექტორს მესხიშვილს, როგორც მოწმობენ მრავალნი ხელთნაწერები. ოვადქტორი.

დასასრულ კიდევ ორიოდე მოგანება. საქართველოსკან მოწვევით ერთ მუცა ქართველობის ერთა საინგილოში ფრიად მძიმე იყო: ახალი ბატონები ბუნებით ლად და თავისუფლების მოყვარე ქართველობისკან მოითხოვდნენ სიტყვა-შეუბრუნებელს მორჩილებას, წარბებში შეჭვრეტით იმის გამოცნობას, რაც ესამოყვებოდა გუშინდელ მისს მონას, უმას. და ვაჟ მას, ვინც დროით ვერ გამოიცნობდა და დაიგვიანებდა აესრულებინა მტარვალის მოთხოვნა: წამება, ხვრეტა და სახლობელა მზათ იყო ამისთანებისთვის. აწამებდნენ იმისთვისაც, თუ ქართველთ, რომელთა საუდრები უკვე გაუქმებულ იყო და დვდლებიც ამოწვევითი, გამოქინათ თვისი ქრისტაობა (ფარულად ქრისტაობდნენ და ცხადლევ მავმადიანობდნენ), მარხვის შენახვას თუ სანთლის დანთებაში მოესწროთ. წამებულთკან ინგილოებს ახსოვთ ხუციშვილების წინაპარი და აგრეთვე ზილფი ჯანაშვილი, რომელიც, ლეკების მიერ დატყვევებული, შამფურებით დახვრიტეს ჭარულ დედაკაცებმა; მოწამეთა შორის შეირაცხნენ აგრეთვე ჭარულები-სკან დახოცილი აბელ მორავი და სახლთხუცესი ზურაბ ჩოლაყაშვილი (იხ. ჩვენი საქ. ისტ., გვ. 380).

ლეკები უდიერად ეპურობდნენ არა თუ მარტო აჭურ ქართველობას, არამედ აჭურ თათრობასაც. ეს თათრები (მონგოლები) მაზრაში დამკვიდრდნენ ჯერ ისევ 13—14 სუკ.-ში. ივინი არიან ნაშთნი ბერქაყანის, ალათემურის, ~~ლანგთემურის~~ და მონგოლთა სხვა მპურობელების ლაშქრისა. მათი სახელები დღესაც შერჩენიათ სოფლებს ალათემურს, ემირ-ჯანლას, მუღანლას, თაღდარლას, ალიაბათს და სხ.

ქართველების მტრებმა ჰირქვე დასცეს მათი მფლობელობა, მათი საუდრები, მაგრამ მათი სახელი ვერ ამოგდეს, მათს კულტურას თვითვე დაემორჩილნენ მწირ დაღისტნიდგან ჩამოცვიფრული „წუნკალა ბერკადლები“. ლეკების სოფლებში დღეს ქართველობა აღარ არის, მაგრამ მათს წყლებს, მიწებს, მთებს, სოფლებს, სახნავ იარაღებს და სხ. უწინდელივე სახელები ჰქვიათ. გუთანი—ქოთან, ხევი—ხი, არხი—არხ, წერეთლის-ტასტი (მთა), წერეთლის-წვალი, გურჯიდად, წილბანი, ჭარი, წინდა—წინდა, წაბლი—წაბულ, მუხა—მუჯ და სხ.,—ვევლა ეს ქართულია და ქართველებისკან შეთვისებული ლეკების

მიერ. ქართველების სისხლის გავლენაც კი ცხადად დასტურობია აჭურ ლეკობას: მათი ბუნებრივ ულახათო სახე გამოთაქიზებულა, გალაღებულა. ეს, რასაკვირველია, შედეგია ქართველ ქალებისა და ვაჟების მოტაცებისა და გაღეკებისა.

სიტყვით, უოველ ფეხის გადადგმასზე გზვდებით აქ ქართველობის უწინდელ დიდებულების ნაშთი: ციხეები, საუდრები, ნიშები, სასაფლაოები, ნასოფლარები და სხ. უდრანს ტყეში ნახავთ დიდებულს საუდარს; შედინარ ვითომ დაბურულს ტყეში და იქ კი აქეთ-იქითობამდე სამაროვანი გზვდებათ.

გულსაკლავია ვეგლა ამის ხიფვა არა იმიტომ მარტო, რომ ქართველის ნაშთია, არამედ უფრო იმიტომ, რომ მტარვალს მის გარშემო მჩქეტარე თავისუფალი სული მოუსპია, ცხოვრება დაუვსია. თითქო ჭკერი და მიწა ცოტა იყო, რომ შეშურებია ქართველობისათვის მისი ოფულით მონაკარი, მისი წილი და კუთვნილი ჭკერი, წყალი და ქვეყნა! მაგრამ... ცხოვრება ბრძოლაა და ვაჟ მას, ვინც დროით გამჭრიახობას ვერ გამოიჩენს, ამბობენ ინგილოები. და მართაღნიც არიან: მთელს 3—4 საუკუნის ვაჟ-უშველებულს მათ თავი გმირულაა გამოახწიეს და დაიცვეს არა თუ თავისი ვინაობა, არამედ ქართველობის სახსენებელიც აჭურ ძირობაზე.

ცოტა მოკეთხანთ თუ არა, ინგილოებმა გამოგზავნეს ქალაქს (1849 წ.) თვისი წინამძღოლები (ივან-ბაბა ბულუღაშვილი, გიორგი ჯანაშვილი, კოტე ბულუღაშვილი და კიდევ 4 სხვა) და გამოუცხადეს მთავარ-მართველ ვარანცოვს — ჩვენ ქრისტიანები ვართ და გამოგვიგზავნეთ ქართველი ღვდლები, რომ „მოუნათლავი ქრისტიანები“ მოგვხათლონო. რაღა თქმა უნდა, იმ შამილობის დროს მთავრობას ძლიერ ესამოგნა ინგილოთა მოხსენება, ქართველობა ხომ შეტად გახარებული იყო დიდის ხნის დაკარგულ ძმების ჰოვინის გამო. შესულები მამინათვე მონათლეს სიონის ტაძარში (გ. ჯანაშვილის მიმრქმელად იყო თვით ვარანცოვი, ხოლო ი. ბულუღაშვილისა — მისი მეუღლე). მეორე წელიწადს ამავე ინგილოებმა ქალაქში ჩამოიყვანეს კიდევ 70 კაცი (მათ შორის 9 წლის დიმიტრი ჯანაშვილიც), ესენიც მონათლეს და ქართველ სამღვდლოებით დაბრუნდნენ და კააქრისტიანეს ვეგლა ქართველობა. განისმა ისევ ზარის ხმა. ერის

სისარულს საზღვარი არა ჰქონდა. მაგრამ მალე ისევ მოხდა ლეკების დეფა (აჯი-მურთუხას ამბოხი 1862 წ.), ინგილოებს ემუქრებოდნენ, გაგწვეუტაფთ, თუ არ გამაჰმადიანდითო. მუქარამ ბევრი შეარყია: ალიაბათი, მოსული, ჰენგანი და სხ. გადადგნენ. ქრისტიანობა დარჩა მხოლოდ კაკს, ყორაღანს, ალიბეგლას, ქოთუქლას, მეშაბაშს და თითო-ოროფაც ზოგიერთ სხვა სოფლებში. მაჰმადიანად დარჩენილები დღეს თითქმის უარჰყოფენ თავიანთ ქართველობას, ირთავენ თათრისა და ლეკის ქალებს, რომ რა არის, ენაც მალე დაივიწყონ. მხოლოდ ასეთი უარყოფა თავის-თავის ცოტათი შეაჩერა ეხლახან აჭარადან მოსულმა ქართველმა მოლამ. მან ყველას ჩააცნა, იწერებთან, რომ ჩვენ ქართველები ვართ და მხოლოდ რჯულით მაჰმადიანებიო, ჩვენ ჩვენის ქართველობით და ქართულ ენით კიდევ უნდა ვიამაყოთო.

ინგილოთა რიცხვი ზაქათალის მაზრასში.

	1859 წ. კომ- მული აღწერით.		1871 წლ. აღწერით.		1886 წლ. აღწერით.		1897 წ. ერთ- სახე- დღიურ დამწერით აღწერით.
	კომლი	კომ- ლი	რიცხვი	კომ- ლი	რიცხვი	რიცხვი საზოგად.	
ზაქათალა .				4	15 ქ.	3009	
ითი-თალა .		36	154 ქ. მ.	68	362 ინ.	538 მაჰმ.	
ყანდახი .	97 ქ. მ.	127	599 ქ. მ.	156	871 თ.	778 "	
ცენგიანი .	57 თათ.	74	377 თათ.	94	414 ინ.		
კაპანახჩი .	37 ქ. მ.	53	247 ქ. მ.	65	358 თ.		
მოსული .	193 თათ.	239	1167 თ.	261	1255 ინ.	1330 "	
ალიაბათი (ელისენი)	617 ქ. მ.	688	3805 ქ.მ.	790	4351 ინ	4166 "	
ვერხიანი .	185 თათ.	231	1558 თ.	280	1945 თ.	1808 "	
ზაგანი .	86 ქ. მ.	94	605 ქ. მ.	106	790 ინ.	774 "	
თასმალა	85 "	92	460 "	85	553 "	610 "	
ლალაფაშა .	31 "	32	175 "	35	185 "		
მარსანი .	47 "	60	287 "	63	316 "		
სოსკანი .	20 "	26	110 "	7	34 "		
კაკი-კახი .	180 ქ.ქრ.	249	1944 ქ.ქ.	308	2148 .	2111 ქრ	
მეშაბაში .	16 "	22	113 "	23	129 "		
ყორაღანი	69	115	626	125			
	35 ქ. ქ.		268 ქ. ქ.		320 ქრ.		
	34 ქ. მ.		358 ქ. მ.		434 მაჰმ.	502 მაჰმ.	

	1859 წ. კომ- მლურ ალწერით.	1871 წლ. ალწერით.		1886 წლ. ალწერით.		1897 წ. ერთ- დღიურ სახე- დღიურად აღ- წერილად.
		კომ- ლი	რიცხვი	კომ- ლი	რიცხვი	
შოთაყარი	35 კ. მ.	56	305 კ. მ.	56	350	ავ- მულ
ალიბეგლო	83 კრ.	104	636 კ. კ.	118	857	კარ. 888 202 მაჰმ.
ქოთუქლო ბელაქანი	28 კრ.	30	155 კ. კ.	38	227	კარ. 7629 12 კრ. მაჰმ.
სულ	1846:	2304	13331		15924	
ქართ. მაჰმად.	1089		7113		12750	(ქართვ.)
ქართ. ქრისტ.	322		3116			13
თათარი	435		3102		3174(თ.)	764

ამ ცხრილებით ცხადად ჩანს, თუ რა გვარად არეულია ეს თველ-
რიცხვმა: უნდახში 1859 და 1871 წლ. ანგარიშით სულ ქართველთ-
ბაა, 1886 და 1897 წლ. ანგარიშით კი თათრობა, ამგვარადვე არე-
ულია ჭენგინის თველ-რიცხვა, ალიბეგლოსი, ყორაღანისა, ვერხია-
ნისა, საცა არც ერთი ქართველი არ არის ნაჩვენები. ყორაღანში სულ
ქართველობა და სტატისტიკოსებს კი ამოტან ქრისტიანები ჩათუ-
ვლიათ ქართველებად (ГРУЗИНЫ) და მაჰმადიანები ჭენგალოებად
(ЕНГИЛОИДЫ), ამგვარადვე მოქცეულან სხვაგანაც, მაგ. კაკეი, ალი-
ბეგლოელი, ქოთუქლოელი და სხ. ქრისტიანი ინგილოები ქართვე-
ლებად დაწერიათ, ხოლო ალიაბათისა, მოსულისა და სხ. ინგილო-
ები აღუნიშნავთ პენგილოებად. 1897 წლის აღწერით ზაქათაღის
მაზრაში ქართული ენა მშობლურ ენად ეთვლება 12,394 სულს
(6.602 მაჰაკას და 5987 დედაკას).

შესანიშნავი სოფლები და ქალაქები.

კაკი (კულმუხი=ქურმუხი), რომელშიაც შავაბაზმა 1602 წელს
კახეთის მეფეს შეაძღვია 7000 თუმანი, შეფენილია ქურმუხის ვიწრო ხე-
ობაში, კავკასიონიდან ჩამოწოლილ საკმაოდ მაღალ კალთებ შორის. ხეო-

ბა, რომელიც დასაწეის (სოფლის ბოლო) ერთი მთიდან მეორემდე იქნება სულ 4—5 ვერსი, თანდათან ვიწროვდება ისე, რომ ელისოს ბოლოს, სადამდე კაკილამ არის ათი ვერსის მანძილი, ორივე მთები ერთმანეთს უახლოვდებიან, მათ შორის რჩება მხოლოდ რაღაც 40—50 საუ. სივრცე, საცა ორივე მხრით მაღალი კონცხებია და მათზე გადაკიდულია მაგარი ხიდი, რომლის ქვეშ ღრიალით მიხუვის კავკასიონიდან მობრუნალი მდ. ქურმუხი. ხიდს ცოტა ზევით, ქურმუხის მარცხენა მხრის ფერდობი იზნიქება მარცხნივ, ჩნდება მომრგვალო ტაფობი, საცა გაშენებულია სოფელი ელისო, სატახტო დაბა სასულთნოს უკანასკნელ მთავრებისა (სულთნებისა). დაბა დასახლებულია ღეკებით, რომელნიც თათრულად ლაზარაკობენ. ადგილი ფრიად მწირია და მისახლეობა ღარიბი. მათ ცხოვრება საინგილოდამ აქვთ. უკანასკნელ სულთნის დანიელებეკის შთამომავალს ხალილებეკს ბლომა შვილები ჰყავს, ერთი მათგანი (ჯაფარი) ამ წინაზედ სწავლობდა ტფილ. სათავად-აზნაურთა სასწავლებელში, შეეჩიერად შეითვისა ქართული ენა, მაგრამ უდროოდ დაბრუნეს შინ: გააქრისტიანებენო. მათ ელისოში აქვთ მშვენიერი სასახლე. ელისოს ზევით, ვიწრო ღელეში არის ფრიად ცხელი წყლის აბანო, რომელიც ზაფხულდობით იზიდავს მრავალს ავადმყოფს. აბანო თუმცა მოწყობილია, მაგრამ მაინც ბევრს ჰკურნებს მრავალგვარ სენისგან.

დაბა კაკის სივრცე 5—6 ვერსია, ხოლო სიგანე 2—3. მარცხნივ მთის ძირბაზე ჩამოდის ქურმუხი, რომლის რივე ელისოს ხიდს ქვემო თანდათან ფართოვდება და 1—2 ვერსის სიგანეზე იშლება. მისგან სოფელში შემოდის ორი ხევი—ემირჯანლოსი და თათრისა. მარჯვნივ მთის ძირში ჩამობის ხევი კობალა¹⁾, რომელსაც სათავე აქვს ახჩეის ვიწრო ხეობაში. ამ ხეგების წყალი არა თუ რწყავს მთელის სოფლის მიწებს, არამედ აბრუნებს მრავალ წისქვილებსაც და ჩაღაუქის სატეხვავ დინგებს. ბოლოდამ თავადის დაბას ჰყოფს ორ ნაწილად სწორე შარა, რომელსაც საუდრის ზემო ეერება აგრეთვე

1) მზგავსი სახელები ყველგან არის საქართველოში: კობლიანთკარი, კობლიანთ-ხევი (მესხეთში), კობალთა (აჭარაში), კობლიანიძე. კაბალი (ჭიაურის ახლოს), კაბალა (საუდლოში).

ბაზრის გზა და ბაზრის ბოლოში სახელმწიფო გზა-ტკეცილი, გადაჭიმული ზაქათასა და ნუხს შორის. სოფლის შუაგულში არის საკმაოდ დიდი ბაზარი, საცა ვაჭრობენ სომხები, მკჷმადიანები და თითო-ორი ინგილოები. კაკეღისენში ასრეთი ბაზარი არსად არ არსებობს, ასე რომ ქაური ვაჭრობა აკმაყოფილებს მთელის ამ კუთხის საჭიროებას. ბაზარს გარდა, დანაშენი ადგილი უკავია მკვიდრთა სასლაკარს. მთელი დაბა, საზოგადოდ, კაცს შორილამ ერთ შვენიერ წაღკოტად ეჩვენება: ქაურობა იფლობა ბაღ-ვენახებში. დაბას აქვს ორი სასწავლებელი, ორი საყდარი, სანაიბო, სასამართლო და საფოსტო დაწესებულებანი. ამას გარდა ქაურ თათრებს (მულაებს) აქვთ კიდევ თავიანთი მუხითები, ხოლო ვაჭარ-სომხებსაც თავისი საყდარი. გადმოცემით, უწინ კაკი ეოფილა 1000 კომლოვანი ქალაქი, რომელსაც ჰქმევია თორაღაჲ. ეს გადმოცემა მტკიცდება ისტორიულ ცნობითაც: თორაღას (თორღას) დიდი ციხეები ჰქონია კიდევ ლაგოდების და კახეთის სხვა მთებში და ზოგი მათგანი დღეს იწოდება თორღად, თორღად. თამარ მეფის უამს თორღაისძენი იუვენენ „თავნი კახეთისანი“ (ქ. ცხ., 217).

დაბა საესეა ძველის ნაშთებით, რომელთა შორის შესანიშნავია კასრის-საყდარი, ქურმუხის-საყდარი, ბარბარეს-საყდარი, ჭანდარა-საყდარი და სხ.

კასრის-საყდარი, როგორც უკვე ვთქვით, ააშენა მეფე არჩილმა († 718 წ.). ქართლის-ცხოვრება იტყვის: „და დაჟდა არჩილ მეფე, წუქეთს და აღაშენა კასრი, და ჰოვნა წუქეთს მთავარი, რომელთა მიებოძა ვახტანგ გორგასლას წუქეთი; და იყო მამინ, — რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა (=ხუნძანი) ზედა და ეოველთა წარმართთა მთისათა, — სახელით აბუხვასრო და არა ინება მისგან წადებად წუქეთი. და აღაშენა ქალაქი ნუხზატის (ნუხი). ნუხზატელი იუვენენ წარმართნი და მხეცის ბუნებისანი და იძულებით მონათლნა არჩილ იგინი“. კასრის საყდარი იყო მცირე, მაგრამ დაინგრა. მის ეზოში არის უზარმაზარი ქვევრი, რომელსაც გვერდილამ მღვამე აქვს გაკეთებული. მთელი ეს ეზო წარმოადგენს მცირე ტაფობს საუარეულე-კასრის საყდრის ფერდობზე. დაინგრული ეკლესია განახლდა ადგილობრივ მღვდელმა მიხეილ უულშვილმა. ეკლესია დიდებულად გადმოჭურებს

არა თუ მთელს სოფელს, არამედ მთელს მის წინ მდებარე სანგილოსაც აღაზნამდე და მასაც იქით შავმომამდე და დედოფლის-წყარომდე. განახლებულ ეკლესიის გვერდით გამოჩნდა დიდი აკლდამა, საუსე აღამიანის ძეგლებით. იქვე იმავე დამსახურებულ მღ. ეულოშვილმა იზოგა ქვა ასომთავრულ დაზიანებულ წარწერით, რომელიც გადმოცემის ამას: „ესე . თავღისაშვილ ქრისტესიამ შესანდომ შეილთა დავით და იოანესი და ვინც შენდობა ბრძანოთ, თქუენც მოგიხსენოს ღმერთმან სასუფეველსა შინა. მოიკსენოს უფალმან სასუფეველსა შავროდან-მზე, სასუფეველსა შეუნდეს“. ეს საფლავის ქვის წარწერაა, და საფლავები კი იქ სხვადა ბევრია. თვით სოფლის სასაფლაო კი მთის ძირშია და ჰქვიან „სანების სამარვანი“ (სანება = სამება, რადგან კასრი სამების საუდარი ყოფილა). კასრის-საუდრის ეზოში მყოფ ქვევრის შესახებ ადგილობრივი გადმოცემა ამბობს ამას: ქვევრში 1000 ჩათვი ღვინო ისხმოდაო ყოველ წელი, ე. ი. კომლზე თითო ჩათვი. შემოდგომაზე მოიტანდნენ, გაავსებდნენ და დაკრძალავდნენ. კვირძღობას (=კვირაცხოველობას) კი ყველანი მოვიდოდნენ სალოცავად სანოვავით, ახდიდნენ და იზიარებდნენ ერთად ძმურადო.

ქურმუხის საყდარი დაბა კავის იქით კავასიონის გამოშვირლის ფერდობზეა და დაჭურებს თვალ-უწვდენელ სივრცეს. იგი ერთი უზარმაზარი მთლიანი კლდეა, საუდრის სახით შემოკვერცხილი. მის თავზე რაღაც ნაშენობის ნაშთიც არის: ამბობენ, ზედ კიდევ ნიში იქნებოდაო. ქურმუხის-საუდარი ანუ ქურმუხის წმ. გიორგი მეტად სწამს აქაურ ხალხს, თვით მაჰმადიანებიც კი ხანდახან მოდიან მის სალოცავად. მისი ჰატივი ისე ძლიერაა აქ, რომ ინგილო საკლავს ისე არ დაჰკლავს, რომ ღმერთის შემდეგ არ ახსენოს ქურმუხის-საუდარი: „ღმერთო ჯ ქურმუხის საუდარო, შენ შეტეწეწაღ“, — წარმოსთქვამს ინგილო ჯ დანას გამოუსომს ქურმუხის საუდრისკენ ჰერმიქტეულად წამოქცეულ „სამსტოს“ ანუ თუნდ საკორცეს, ჭათამს და სხ. საკლავს. ქურმუხის საუდრისკენ მიდის მთა-მთა ფართო ბილიკი. მის შესახებ არსებობს მრავალი თქმულება. შიგ საუდარში (კლდეში) არისო მღვიმიე, რომელშიაც იმყოფებაო ოქროს მამალი; ის რომ დაიფუფლებს, მაშინ სხვა მამლებიც გაიგებენ შუაღამეაო და უივილს მორთავენო. მის კარიზირილამ თუთია (წმ. მიწა) რომ იქონიო და წყალში ხალკისი და-

ლო, გარკვესო და სხვა და სხვა სხეულება ვერ შეგაწუხებსო. ბილიკის ქვემო თერდობზე ჰქრია დიდრონი კონცხები; ეს აქლეტები არიანო: ურწმუნო შეაქლეტეს გაუქვავდნენო. დღეობას (10 გიორგ.) დიდებულად გადინდინ ხოლმე ვეკლა სოფლებიდან სამხტო-საკლავებით მოსული ინგილოები.

ბარბარეს საუღარი, ჭანდარა საუღარი (კეჭენს მთაზე) და სხ. მთლად დანგრეულებია. ჰირველი აბრია ქიტიაშვილებს.

მეტის-მეტ სათაყვანოდ ითვლება აგრეთვე ხუციშვილების ოჯახში შენახული საეკლესიო და სამღვდელთ სიწმინდენი „ხუციანთ-ოთხთავი“ და სხ. ნივთები.

როდესაც ამ მშენიერ ქვეყანაში უფლობდნენ ლეკნი და მტარვალობდნენ ელისოს სულთანნი, „ხუციანთ ოთხთავი“ იყო ეთად-ერთი ნაგო-საუღელი აჭარ ქრისტიანების, იგი იყო მათი ხუციშინის მცემელი, მათი სასოება და სულიერი მკურნალი. მის თაყვანის-საცემლად ინგილონი დიდის კრძალვით იკრიბებოდნენ ხუციანთ ოჯახში, აქ ანთებდნენ სანთელს, აკმევდნენ საკმეველს და ღმობიერებით ითხოვდნენ შველასა და შემწეობას. ღირსია უურადღებისა, რომ ამ „ხუციანთ ოთხთავის“ წინაშე დასაკლავად ვეკლავდნენ უკეთეს მსხვერპლად ხალხის თვალში ითვლებოდა ოთხ რქიანი ვერძი, ანუ ოთხ რქიანი ვატი ამგვარ „სამხტოს“ შესაძინად ინგილო არ იშურებდა თავისს ქანებს, რადგან იგი დაიმედებული იყო, რომ ასრეთ მსხვერპლს შეიწირავდა უფალი. „ხუციანთ ოთხთავის“ ბრალია უმთავრესად, რომ ეს განაპირა კუთხე სრულიად არ მოსწედა საქართველოს და დაცვა თავისი ხალხისნობა ქართველობა, თვისი ენა და რჯული; მისივე ბრალია, რომ ლეკთა ძალ-მომრეობამ ვერ დაჩაგრა ეს ერთი მუჭა ხალხი, და ინგილო ისევ დაშთა ქართველად.

ამგვარი დიდი დამსახურება აქვს „ხუციანთ ოთხთავს“ ქართველობის წინაშე და ამიტომაც იგი ღირსია უურადღებისა.

გადმოცემის მიხედვით, ხუციშვილების წინაპარი უოფილა მღვდელი, რომლის შთამომავალნი არიან დღევანდელნი ხუციშვილნი, მცხორებენი სოფ. კაკში. ლეკთა მტარვალობის დროს, როგორც ვეკლავ ინგილოებს, ისე ხუციშვილებსაც გარეგნულად მიუღიანთ მსჯამდიანობა. მიუხედავად ამისა ინგილოთ ქრისტეს საწმინდოება არ დაუტოვებიათ

და ფარულად უსრულებით უოველი ქრისტიანებრივი წეს-რიგი და უღოცნით ქურმუხის წმ. გიორგი და „ხუციათი ოჯახი“, რომელშიაც კრძალვით შეუნახავთ უოველი სამღვდლო ნივთი. აი რა და რას დაცული ხუციშვილების ოჯახში.

1. სახარება ვახტანგ მეფის დროისა და მის მიერ დაბეჭდილი ტფილისში. სახარებას აწერია: „საღთო და საღვდლო სახარება, აწ ახალი და პირველი დაბეჭდილი ქართულს ენაზედ ჟამსა ამღლე-ბულისა და სახელოვანისა საქართველოს მეფისა უფლისა უფლისა გიორგისა იესიან-დავითიან-სოლომონიანისა შრომითა ფრიადითა და წარკებითა საფასეთათა მართლ-მადიდებელისა და განთლებულისა საქართველოს გამგებელისა ბატონიშვილისა და თვით უფალ ვახტანგ ლევანის ძისათა. გაიმართა... ესე ხელითა ნიკოლოზ მღვდელ მონაზონისა ორბელისშვილისათა. კელითა მესტამბე მიხეილ სტეფანეშვილის უნგრო ვლახელისა ქალაქსა ტფილისისისსა, ქორთიკონსა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ცხრასა“.

2. კრებული, რომელიც შეიცავს: ლოცვანს, ჟამნს, ზადიკს, სამოციქულოს. აშიაზე აქვს წარწერანი: „ღმერთო, შეიწუაღე ფრიად ცოდვილი იოსებ დიაკონი, უღირსი“; „უფალო ღმერთო, შეიწუაღე უოვლად უღირსი ამ წიგნის მწიბავი ლავრენტი მონაზონი, ჟვარის-მამას აღზრდილი ბერი“.

ბოლოში ჩამატებულია:

„იწუების ქორთიკონი ესე: ტოზ (=1689 წ.).

„ამავე ქორთიკონსა გამეფდა ერეკლე ქართლს.

„ამავე ქორთიკონსა კახნი ჭარს მოუნდნენ¹⁾ და კატეხეს და მრავალი ზიანი უუკეს; და ჩვენ მოგვიკლეს ენდრონიკაშვილი აბელ მო-

¹⁾ მეფის ერეკლეს ტფილისში შესვლას ვახუშტი უჩვენებს 1688 წელს. კახთა ჭარს მიხტომის შესახებ ქართლის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „შეიკრიბნენ სრულიად კახნი და მივიდნენ ელისენსა შინა. ვე-დრნენ ჭარელნი და აღუთქმიდნენ მორჩილებასა და ხარკსა, რათა არა მოსწყვიტონ. ესე არ ინებეს კახთა და შეუბტნენ. ვერ წინა-აღუდგნენ ჭარელნი და ამათ ამოსწყვიტნენს და შემუსრნენს სიმაგრენი მათნი და ნაა-ლაფენი დადგნენ ჭარსა შინა, რამეთუ განებზახათ სამ ღლე მუნიდამ რბევა და ტყვევა მარად-ღლე. არამედ გლებთა რა იხილეს ალაფი დი-

ურავი, და ჩოლაყაშვილი ზურაბ სახლთხუცის შვილი და იქმნენ მოწამეთა თანაზიარ თვეს მათსა 15, დღეს კვირიაკეს.

„ამავე ქორთნიკონსა დაჯდა ალექსანდრე... ..ქორთნიკონსა ტზზ (1699 წ.) მეფის ერეკლეს უამში.

„ქ: ღმერთმა: ბედნიერის: კელმწიფის: ჭირი: და: სატკივარი: მისცეს: აბრამ მღვდელს: ქ: ა: ბ:... ღმერთთ: მიეც გულის: უური: ისწავოს და გემსახუროს: ამინ: და კირიელეისონ“.

3. კონდაკი, 4. კურთხევანი, 5. კონდაკი, 6. დაუჯდომელი, 7. ფეშხუმი, 8. ბარძიმი მინანქრიანი, 9. ღრუბელი, 10. სამირნეები ჩინური თიხისა, 11. სანაწილე, მსგავსი საათისა, 12. სეფისკერის ბეჭედი მარმარილოს ქვისა, ზედწარწერით: „იესო ქრისტე ძლევა“, 13. ჯვარი ვერცხლისა დროშაზე გასაკეთებლად, ხუთის თვლით, 14. ჯვარი ჰატარა ვეითელის თითბრისა, 15. ჯვარი ჰატარა, გულზედ საიდი და 16. ბარძიმი ვერცხლისა, ზედწარწერით: „ქ: შემომიწირავს: მე: ნაცვალს: ბერუკას: ესე: ბარძიმი-ფეშხუმი: უოვლად წმიდის: ღვთის: მშობლისათვის: ჯიმიტას: სადღეგრძელოდ: და ცოდვათა: ჩვენთა: შესანდობლათა“.

ვინ არიან ბერუკა, ჯიმიტა, აბრამ მღვდელი, ლავრენტი მონაზონი, დიაკონი იოსები, ქართლის ცხოვრებიდამ არა სჩანს. არც ზეპირ გადმოცემას შეუნახავს მათ შესახებ ცნობა.

ამ ნივთების შენახვისათვის ერთი ხუციშვილთაგანი ელისოს სულთანს უწამებია: შარა გზაზე ჩამოუკიდნია.

ბევრია კიდევ აქ ძველი ნაშთები, მაგ. ალავერდის წმ. გიორგი, რომელიც სოფელმა ნგურულობითგან აღადგინა ამ რამდენიმე წლის წინად. იდღესასწაულებას კახეთის განთქმულ ალავერდობა დღეს — 14 სექტემბერს.

კაკის უხნად ითვლება სოფ. აზნაური (იქვე ქურმუხის იქით ნაპირას) და ბინებად კი უარამეშა, ალათემური, ქეშხუთანი და ბახთალა, საცა შეენიერად შენახულა ძველი საუდარი.

დი, აღიტვირთნენ და წამოვიღნენ. აღუძნდათ ესე მთავართა ფრიად, გარანა არღარა უსმინეს. ამის მხილველთა ქარელთა უწყეს თვითოეულმან ცემა თოფთა, მოკლეს ღუშია მოურავი და მრავალნი წარჩინებულნი და ივლტოდნენ კახნი“. ეს ამბავი ქართლის ცხოვრებით მომხდარა 1695 წ.

ყუმი დიდი სოფელია კაკიდან 5—6 ვერსის მანძილზე უუმის-
წელის ხეობაში. ადგილი შეენიერია, მდიდარი მცენარეულობით. აჭ-
არის ნახგრევი დიდებულის საუდრისა. დღეს მასში ლეკები მოსახ-
ლეობენ და იქიდან ცდილობენ ინგილოების ჰატარა სოფ. სოსკან-
შიაც გაატარებინონ. გადმოცემით, უუმის ქვემო ნაწილი უოფილა კუ-
თვნილება ჯანაშვილებისა. შაჰაბაზი რომ მოსულა, 7 ძმა ჯანაშვილი
მას შებრძოლებია ძლიერად. ექვსი დახტვილა ბრძოლაში და მუშვიდე
შერმაზანი კი ტყვედ ჩავარდნია შაჰაბაზს. იგი სიკვდილისაგან გადურჩე-
ნია წახურელს კამაზ-ოღლის. მოუხსენებია მტარველისთვის: მაგის
მეტეი ჯანაშვილი აღარ გადაჩნა, ნუ მოჰკლავო. რა უნარი აქვსო, უკი-
თხავს შაჰს. მთელს შენს ლაშქარს ლავაშითა და თაფლით დააძობს,
ისეთი შემძლებელიაო. მართლაც გამსწინძვლებია. შაჰს აღარ მოუკ-
ლავს, მხოლოდ თავადობის დირსება მოუშლია და უჩუქებია თავად
კამაზაშვილისთვის. შერმაზანის ჩამომავლებს აუშენებიათ კაკში ცი-
ხე მათეს-ყალა ფანცაურის მიდამოს. ციხე დღეს აღარ არის, ხო-
ლო მთელს ველს ისევ მათეს-ყალა ჰქვიათ. აქედან აურილან ზოგი
ჯანაშვილები, წასულან მოსულს და იქ დღესაც მოსახლეობენ მათე-
შვილების სახელწოდებით (იხ. დ. ჯანაშვილის „ქვერეთის აღწერა“,
მოგზაური 1901 წ. № XII, გვ. 1130).

სოსკანი, საცა ცხოვრობენ გამაჰმადიანებული ჯანაშვილები და
სხ. ინგილოები, წინად უოფილა ბინა კაკისა, რომელსაც შორავს 6
ვერსით. 1850 წელს ამ სოფელს თავს დაესხა 500 ავარელი და
უუმელი ლეკი. მაშინ ნაიბად კაკში იყო ზისსერმანი. ეს მღევრად გა-
ვიდა, მაგრამ ნახარა, რომ ლეკები ტყვითა და ნადავლით უკვე მი-
დიან უუმისკენ და ძლიერ შეიარაღებულ არიან, უკანვე დაბრუნდა¹⁾.
ტყვეები და მათ შორის ერთი ჯანაშვილი დედაბერიც შემდეგ გამო-
ისვიდეს მათ გადაჩენილ ჭირისუფლებმა. სოსკანი კი მთლათ გადა-
ეწოთ და მაშინვე გადაიწვია, ამობს გადმოცემა, ჯანაშვილების უწინ-
დელი საკვარეულო სიგელი.

ყორალანი ორპირად გაშენებული სოფელია კაკ-ალბიბეგლას
გზაზედ. მასში 756 მცხოვრებია, მათგან 322 ქრისტიანი ინგილო

¹⁾ А. Зиссерманъ. Двадцать пять лѣтъ на Кавказѣ, в. 1,

და 434 მაჰმადიანი ინგილო. სძირები აქვთ ბლომად, სსსმელი წყალი უფარვისი და ციებ-ცხელება გახშირებულია ზაფხულობით. ყორანბელებს აქვთ ეკლესია და სკოლა.

ალობეგლო კაკ-ყორანდანს შუა მდებარეობს. შესანიშნავია სამკურნალო წყლით, რომელსაც ჰქვია „უაინათმა“. სამკურნალო წყალი ლაკოშია. რამდენიც უნდა ამოიღო, მაინც არ დააკლდება. სპანაოდ მოდიან ყოფლის მხრით. წყალს აცხელებენ გახურებულ ქვით ნაკეპში. არჩენს ბუგრს, ქარებიანს. ამ სოფელში 865 ქრისტიანი ინგილოა. აქვთ ეკლესია და სკოლა.

ქოთუქლო აშენებულია ყორანდანივით ორპირად. მასში 227 ქრ. ინგილოა. აქვთ ეკლესია, სკოლა.

ლექეთი შვენეირს ხეობაშია. იქვეა სოფ. ზარნა. პირველში არის რამდენიმე საყდარი ჭგუფად, ნაშენნი თფილის ქვითა, აკლდაშებიანნი, ლამაზ და ვიწრო სარკმელიანები, მაგრამ საკმაოდ დაზიანებულინი. 1878 წელს უმთავრეს ტაძრის კედელზე კარგად მოჩანდა ღვთის მშობელი და მის წიაღში ქრისტე იესო. საუღრების გზაზე გაგერანებული მარანია. იქვეა ერთი უზარმაზარი ქვა, რომელიც გადმოცემით, ხაზინას პირს ადევსო. ტაძრების ეზოში საფლავებია, და ჩამორბის ანკარა წყარო—არხი. ზარნას საყდარი ისევ მთელია.

ვარდიანი ლექეთს იქითაა. უწინდელი ციხე-ნასახლარები (მიაკუთვნებენ თამარ მეფეს) მდლა მთაზგა, თვით სოფელი კი დაბლა მთის ძირობაზე. 1706 წელს აქ ისევ ქართველობა იყო, ხოლო ამ წელს მუნ დამარცხდა კახეთის მეფე დავითი (იმანუელიანის) და მას აქვთ ქართველობაც ამოვარდა და მათი ადგილი დაიკავეს მულალებმა და თვით სოფელსაც შეუცვალეს სახელი და დაარქვეს გულლუგი (თათრ. გულ-ვარდი, გულლუგ=ვარდიანი). ვარდიანს იქით სოფ. მამრეხია, ჩარდახი, მუხახი და სხ.

თასმალო ბად-ვენახებით შემოვლია. აქაურებს აქვთ ეკლესია და მენითი. ქრისტიანობას ძალიან უჭირს აქაურობაში, მეტადრე ზაგანსა, ალიაბასა და სხვა ამ მისადევრის სოფლებში.

ალოაბათი (ელისენი) დიდი სოფელია (4351 სული). მთლად იფლობა ბად-ვენახებში, აქვს შვენეირი მენითი, ლაშარაკობენ მცხოვრებნი წმინდა ქართულს ენაზე და რჯულით კი მაჰმადიანობენ.

ბაზარი შორავს ზაქათალს 12 ვერსით. მუღანლოს ხიდის გზის გაყოფებზეა. ლეკები მას უწოდებენ თორფაღუას. შენახულა შვენიერი დიდი საუდარი ღვთის-მშობლისა, აგებული ლეონ მეფის მიერ (XVI ს.) ქართულ აგურით. გუმბათიანია, შიგ მოხატული. მის ეზოში აღია-ბათელ ინგილოკებმა ხვნის დროს იპოვნეს ზარი ლეონ მეფის წარწერით. (ზარი ესაა ტფილ. სახემწ. მუზეუმშია). აქ 1605 წელს იდგა გამაჰმადიანებული კოსტანტინე, რომელმაც შაჰაბაზის ჩაგონებით მოიწვია თვისი მამა და ძმა, დახოცა და თავის რძალს ქეთევან დედოფალს შეუთვალა ჩემზე გამოთხოვდით. ქეთევანმა იგი დაამარცხა და მოკლა. თვითონ ფერისხანუმი კი (==ქეთევან დედოფ.) თორფაღუას ჩაიკეტაო. მეტის-მეტად ღამაზი იყო. მისი სიღამაზის ნახვა მოინდომა შაჰაბაზმაო. მკლავს შაგირდათ გამოჰყვაო. ფერისხანუმს ქვაბები დაუკალა და თავის შაგირდითურთ ფულის ძისლებად იახლათ ფერისხანუმს. შაჰაბაზი გადარიაო მისმა სიღამაზემ. დედოფალსაც უთხრეს მკლავთან ერთად თვითონ შაბაზი იყო. გამოუყენა მღევარი. შაბაზმა გაასწრო. მეორე წელიწადს (აღბად 1615-ს) მოვიდაო ლაშქრით, შემოებრძოლა ბაზარს, გატეხა მისი ციხეც. ფერისხანუმ კი ხელთ ვერ იგდო: იგი ციხიდან ძირს გადამოეშვა, მოიკლა თავიო.

თალაში 2838 მცხ. თათარია. სოფელი გავერანებულ დაბას ჰკავს, თუმცა შიგ შეგზვლებათ შვენიერი სასახლეებიც, რომელნიც ადგილობრივ გადატაკებულ ბეგებს ეკუთვნით. ჭარ-თაღის წყალს ბევრი ღამაზი ადგილები გაუთხრებია.

ზაქათალა (ზაქართალა) კოსტა ქალაქია, რომელშიც 1886 წ. ითვლებოდა 1231 მცხოვრები. აშენებულია (1830 წელს) სოფელ ჭარის წინ. აქვე მაგარი და მიუდგომელი ციხეა, რომელშიც არის ღამაზი საუდარი და მზრის უფროსის სადგომი. ციხე ბორცვზეა, ხოლო მის დაბლა ვაკეზე თვით ქალაქი მოზრდილი ბაზრითა, სკოლებითა და უზარმებით. ციხის უკან სახემწიფო ბაღია, შემკული ხილნარით. სახლები სულ ქვეთკირისაა, თეთრი. ქალაქი შვენიერ სანახაობას წარმოადგენს, როდესაც დასცქერი აქაურ მთებიდან, რომელნიც სამის მხრივ მას შემორტემა.

ქარი ზაქათალის თავშია. დასახლებულია ლეკებით და შეს-

დგება 14 უბნიდამ. მასში 4010 მცხოვრებია. აქ მრავალია წაბლი, მსხალი, კაკალი, ზღმარტლი და სხ. ხალხი ამაყია, შრომის უზრუნველნი. მამაკაცობას უყვარს ცხენოსნობა. დედაკაცობა უოველ საქმეს ასრულებს. მათ ხშირად ნახვ ზაქათალაშიაც, სანა ყიდიან ზღმარტლს და სხ. ხიდეულობას. ქალებს აცვიათ ძველ ქართულად. აქაურ ერთს უბანს ჰქვიათ წინუბანი, ანუ წილბანი. 1797 წელს შინაუბებმა ადამაჰმადხანი რომ მოჰკლეს, მისი თავი გამოიტაცეს ჭარს. ჭარელებმა იწვიინეს, როგორ თუ შეეფეს უღალატეთო, მკვლელები დასაჯეს, ხოლო ადამაჰმადხანის თავი დიდებულად დამარხეს თავიანთ სოფელში.

მაწეხი 507 სულისაგან შესდგება. აქ ბევრია ძველი ნანგრევები. მის წინ კორკორაზე (მრგვალ კორაკზე) არის ციხე, რომელშიაც, გადმოცემით, უნდა მსხდარიყვნენ ქართველ მეფეთა მაჰის ერისთავები. ციხე საკმაოდ დიდია და დღეს ტყეს დაუცია.

კატეხი მაწეხს იქითი სოფელია, 1060 მცხოვრები ღვეით. მე-XI საუკუნეში კათალიკოზ მეფეისედეკმა მცხეთის სვეტიცხოველს შესწირა კატეხის საუღარი მისის შემოსავლით და დიდი მონასტერი ჭერეთისა.

ბელაქანში 7629 მცხოვრებია, მათგან მხოლოდ 12-ოდე სული ქრისტიანია (ვაჩნაძე-გაგაულები) და დანაშთენი—სულ ღვეობას. შიგ და გარშემო მრავალი საქრისტიანო ნაშთია: მონასტრები, საუღრები. აქვე და აგრეთვე კატეხის ბოლოს შენახულა აგრედ-წოდებულ დარუბანდის კედლის ნაშთი. იგი ააშენა ნუშირვანმა მეექვსე საუკუნეში და ხალხის გადმოცემა კი მის აგებას მიაწერს ფერი-ფადიჩას (თამარ მეფეს).

1292 წელს ბელაქანს ბრწვიინავდნენ ზიმენ სალოსი და ანტონი ნახრებუღისიძე... ზიმენი გარეჯით წამოვიდა და დამეკვიდრა ბელაქანს ქვაბსა. რასამე და ნათესავი ღვეკთა წარმართობისაგან მოაქცივნა, რომელნი ჰკიან საწმუნებებსა ზედა ქრისტესსა. მასთანვე მოღვაწეობდა ანტონი ნახრებუღისიძე მესხი. დიმიტრი მეფემ (1270—1289) სადუნ მანკაბერდელს ჩააბარა გამგეობა თელავისა და ბელაქნისა (ქ. ცხ., 412). 1604 წ. თინათინ დედოფალმა შუამთას შესწირა ბელაქნის მცხოვრებნი: 6 კომლი ურია და ორი კომლი ქართველი (ფურცელაძე დ. გუჯრები, გვ. 85), სათავად-აზნაურო

სიით, რომელიც შეადგინა ირაკლი მეფემ, წერეთელი იმერეთს გადასახლებულან „ლეკეთიდან“. აღბად ბელაქნიდამ, სცა დღევანდლამდე დაშთენილა სახელები წერეთლის ტახტი, წერეთლის წვალი, დარბაზ-ქილისა. აქვე არის ქვა, რომელზედაც ასომთავრულით სწერია სიტყვები: -ქრისტე, მოიქსენე სული ბირთველისა. ესე ქვაჲ მისი არს“. ბელაქანს, კატენს და სხ. მგზავრი დღესაც ნახავს ეგრედწოდებულ დარუბანდის კედლის ნაშთს. 1263 წელს აჭაურობა ააოხრა მონგოლთა მხედარ ალათემურმა, რომელიც კამბეჩოვანიდამ (ქიზიიეიდამ) წამოვიდა და ბელაქანის გზით გადავიდა ხუნძახს (ქარა. ცხ., 399).

განუხი (=გუმნუგი) კაკსა და ნუხს შორის ჰატარა, მაგრამ ლამაზი ადგილია. მცხეთის სვეტიცხოველს მე-XI სუგ. აქ ჰყვანდა 50 სული გლეხი (Hist. de la Gé, 2 livr., CXIX). 1118 წელს აქ დაიბანაკა დავით აღმაშენებელმა. 1613 წელს აქ მობრძანდა მეფე თეიმურაზი და კულმუხელებს და სხ. დაურიგა 100 ტყავი, მრ. ძვირფასეული, შევნიერი ცხენები და 60 აქლემის საპალნე აბრეშუმი (არჩილიანი, 44—60) 1633 წელს იმავე მეფეს აქ ეჯდა ქვეზად (მამასახლისად) ჯანდიერი (დ. ფურცელაძე. Груз. двор. грамоты, გვ. 5).

ნუხი დღეს საინგილოს ადარ ეკუთვნის, მაგრამ უწინ კი მის ნაწილს შეადგენდა. მასში 1886 წელს 27,000 მცხოვრები იყო. გაშენებულია კავკასიონის ფერდობზე დაბახანის-ხევის გაყოფება. მდებარეობა აქვს შევნიერი. დაჭურვებს ალაზნის ველს და შირაქის მინდვრებს. ადგილი აქვს მთა-გორიანი. უმთავრეს ქუჩას გარდა დაწითლები შუკები ვიწროა, მოუწყობელი. აღმართ-დაღმართების გამო ეტლით სიარული მეტად გასაჭირია. შევნიერ ევროპიულ უაღრესად აშენებულ სახლების გვერდით შეგხვდება მამა-პაპური ქოხ-მანუბიც, ალაჩულა სახლები. ბაზარი დიდია. მანჯანისკები და ქარხნები ბლომად. ამ მანჯანისკებსა და ორთქლით მშობრავ ჩარხებზე ყოველ წლივ იხვევა 20,009 ფუთამდე აბრეშუმი. ყოველს ამისთანა ქარხანაში მუშაობს 160—170 კაცი. ბაზარში მოვაჭრენი არიან სპარსელები და სომხები. სავაჭროს ზოგს ადგილობრივ აკეთებენ და დანარჩენი მოაქვთ რუსეთიდან და სპარსეთიდან. აქვე მუდის ნაკერ

ბაღიშის ჰირებს იუდიით 3—4 მანეთად. აღებ-მიცემობა მეტად გაცხოველებულია. უოველ წელიწადი აქედან გააქვთ დიდძალი აბრეშუმი, მატყელი, თრემლი, თხილი, ხორბალი და სხ. მის უბანს ზიგზიდს და გიშს არის ძველი დროის მონასტრების ნაშთები. გიშში მაკურთხებლობდა გიშელი. ვახუშტი (გვ. 147): „გიშში არს მთის ძირს. რომელი იყო სურისთო წუქეთისა, და ეკლესია დიდი, გუნბათიანი, და იჯდაცა ეპისკოპოსი, მწუქემის ელისენისა, წუქეთისა და შაკიხის, არამედ მიუხუნა შაბაზ კანეთს და ჰყო სსსულთნოდ და ამას ეწოდა წუქეთი და აწ უწოდებენ ალი-სულთნად“. გიშს 1853 წლიდან დაჰპატრონებინა სომხები. დღეს ამ მაცრაში მართლ-მადიდებლად დარჩენილან მხოლოდ უღები ვართაშნის საზოგადოებაში. ძველ ნაშთთა შორის შესანიშნავია ხანთა სსსხლე ქალაქის ზემო ნაწილს. გარშემო არტუია მაგარი ციხე-გალავანი. სსსხლის ეზოში 2—3 ჩინარია, რომლებზედაც ხანები ჩამოახრჩობდნენ ხოლმე დამნაშავეთ. ციხის აკების შესახებ გარდმოცემა ამბობს: ციხის აკება ხანმა რომ განიზრახა, დაეკითხა მკითხავს. უთხრა: „მაგარი ციხე გამოგვივა, ისეთი მაგარი, შენს შთამომავლობას კარს რომ მტერი მოადგება, გაქცევასაც კი ვეღარ მოახერხებსო“. „აღსრულდეს ნება უფლისაო“, ბრძანა ხანმა და ააშენა ციხე. რუსები რომ შემოერტყნენ ციხეს, შეიპყრეს გაქცევის ვერ მომსწრე ხანი და ნუხიც დაიჭირეს.

აქ გვაცხადებს შორეული ამბავი, ევარეყარე († 1500 წ.) ათაბაგის დროისა. მესხი მოვიდა ნუხის აბრეშუმის საუიდად. აჭარის ვაჭარი მას წაეჩხუბა, ეგელაფერი წაართო და სცემა. მესხი დაეშუქრა ათაბაგის სახელით და წავიდა. მიმავალს ვაჭარმა მიაძახა: „არ მიმიბას უერი სამსჭვლითა დუქანსა ჩემსა და მიცეს წინელი დარბაზსა ამას ჩემსა ათაბაგმან შენმან ამისთვის!“ მესხი დაბრუნდა ახალციხეს და შესწივლა ათაბაგს. ევარეყარე 500 ცხენოსნით გაეშურა ნუხისკენ, მივიდა და „უყო უოველნივე თქმულნი ვაჭარსა მას შაქელსა და მისცა მესხსა ქონება თვისი, კარნა სხვა არა რაჲ ავნო ქვეყანათა და მოქალაქეთა“, და მერე ჩამოაიარა შირაქზე, გავლო ქართლი და დაბრუნდა ახალციხეს გამარჯვებული.

შაკისის=შაკის (ნუსის) მფლობელები.

1. მთავრები:

ადარნასე ბრმის ძმისწულები არჩილ მეფის († 718 წ.) ბრძანებით.

გრიგოლი

ასამ შოთა. 1117 წ. ესენი შეიპყრა დავ. აღმაშენებელმა. მისმა ძემ დიმიტრიმ აიღო საუდოს ძლიერი ციხე ქალაქორი (უდურად ქალაჯორი=უმთავრესი ჯვარი), დაიპყრა მთელი შირვანი, შამახია, შირვანის თავადი სახლი გულისტანი, აქაურობაში ჩააყენა ქართველთ (ყერ-კახთ) ლაშქარი (ქ. ცხ. 245, 251). მისი ქალი თამარ აქვე იჯდა დედოფლად (გვ. 245).

ვარდან კოლონკელისძე (გიორგი III მეფობაში, ქ. ცხ. 269).

სალირ კოლონკელისძე (თამარის მეფობაში).

ასათ გრიგოლისძე (ქ. ცხ. 283).

გრიგოლი II თამარის მიერ ერისთავი.

შოთა კუპრი (XIII ს. ქ. ცხ. 362). 1393 წელს შაკის მოვიდა ლანგ-თემური და თან ტყვედ მოიყვანა ბაგრატ მეფე და უბრძანა გამაჰმადიანდი. თუ არა საქართველოს მთლად ავაოზრებო. გამაჰმადიანდა. წამოიყვანა 12,000 მემომარი მულაღი და ტფილისის ახლოს ამოაწყვეტინა თავის შვილის გიორგის ლაშქარს (ქ. ცხ., გვ. 457).

II. ხანები:

1. ყარა-ქეშიში=მონაზონი *) 1444 წლებში.

2. მისი ძე ალიჯან-ხანი (ჯანდარი) † 1454. წ.

3. „ ყუთულხანი † 1958.

4. „ შექი ხანი 1458.


5. „ ასან-სულტანი (ასან-ბეგი). ყენის ბრძანებით ებრძოდა კა-

*) ბერ-მონაზვნის გამთავრება, უეჭველია, ძველს ჩვეულებას მიჰყვებოდა: კახეთ-სერეთის მთავრები ქორიკოზებად ანუ ქორეპისკოპოსებად იწოდებოდნენ. შემდეგშიაც მეფეები რომ დაიპყრობდნენ შირვან-შამახიას, მათში თავიანთ ლაშქარს ჩააყენებდნენ ხოლმე და აქაურობის გამგედ კი ნიშნავდნენ ჰყონდიდებს, ან ბედიელ-ალავერდელ მთავარეპისკოპოსებს. ასრე მოიქცა, მაგ., დავ. აღმაშენებელი 1126 წელს, როდესაც გამგებლად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა შირვან-შემახიისა დაადგინა მწიგნობართ-უხუცესი სვიმონ ჰყონდიდელი მთავარეპისკოპოსი (ქ. ცხ., 252). მეხუთე საუკუნეში სერეთის ერისთავად იყო ქართლის მთავარ-ეპ. გლონოქორ. ამ წეს-ჩვეულების მიხედვით შაკშიაც ადვილად გამთავრდებოდა ყარა-ქეშიში=ბერ-მონაზონი.

ხეთს. ლევან მეფე მიუხტა, შეებრძოლა, მოკლა სოფ. ფადარში, მისი ქვეყანა აიკლო (ვახუშტით 1547 წელს, არქეოგრ. კომ. ოქმებით 1510 წ.).

6. მისი ძე დერვიშ-მაჰმადხანი. ეს არ ემორჩილებოდა ყაენს. შაჰ-თამაზი მოვიდა შირვანს. ლევან მეფე გამოეცხადა. ქართველ სპარსთა ჯარებით მიუხტა დერვიშს და მოკლა 1548 წ. (ქართ. ცხ., 108).

7. მისნი ძენი ბაკი-ბეგი და ჰუსეინ ხანი (1552—1567 წ.).



14. აჯი-ჩალაბი ხან † 1758.

ჰასან-ალა. 15. ალა ქიში. ჯაფარ-ალა. 17. აჯი-აბდულ-ყადირ-ჰეი † 1783.

16. ჰუსეინ-ხან † 1776.

18. მაჰმად ჰასან ხან (თვალი დასთხარა აღამაჰმადხანმა).

მისი ძმები. 19. ფათალიხანი. 20. სალიმ ხანი.

ჰუსეინ-ხან † 1831.

მისი შვილები: აბდულა ალი, აბდურ რაჰიმ, ჰაშიმ, თუთი-ალა, სეკინე-ხანუმ (სცხ. ნუხში).

21. ჯაფარ-ყული-ხანი გენერ.-ლეიტენ. † 22 აგვ. 1814 წ.

22. იზმაილ-ფაშა. ამას და მის მამას რუსეთის ხელმწიფემ მიუბოძა ბრილიანტებით მოჭედილი კალამი ნიშნად სახანო ღირსებისა.

ვართაშენი ნუხს შორავს 30 ვერსით. იგი უღთა უმთავრესი სოფელია. მისვე ახლოს არის შესანიშნავი სიმკერეები ხალხალი (ხილ-ხალი) და ყაბაღა. ამ უკანასკნელს სტრაბონი იხსენიებს ალბანიის დედა ქალაქად (Cabalica). ქართ. ცხოვრება მის სოფლის შირვანის ქალაქად. იგი ამბობს (გვ. 248): „მოვიდეს (1120 წელს) დანუხს (ქართველობა) და მასვე შვიდეულს, ჰირმარხვას დღეს აღიდო (დავ. აღმაშენებელმა) შირვანისა ქალაქი ყაბაღა და აღავსო საშეფო თვისი ოქროთა და ვერცხლითა და ყოვლითა სიმდიდრითა და წარმოვიდა

ქართლს“. არაბულ-სპარსული მწერლები კაბალაში უჩვენებენ ქართველ მთავარს. 1221—1222 წელს კაბალას ქართველ მთავარს შემოებრძოლნენ ეიფხაღნი. დარუბანდის და განჯის მთავრის დახმარებით დაამარცხეს, მაგრამ შერე ქართველებმა დიდი ზიანი მიუყენეს მათ და უგუჟტიეს¹⁾ (Journ. Asiat., 1897 წლ.: „არაბულ და სპარსულ მწერალთა გეოგრაფიული და ისტორიული ცნობანი საქართველოს შესახებ“, თარგმანი მ. დეურემურისა). საქართველოს მიჯნად იწოდება ხალხალი (ხილხალი) არა თუ ქართლის ცხოვრების მიერ (გვ. 272), არამედ სომეხთა ისტორიკოსების ელიშეს (მე-X ს.) და კადანთკატვანის (X ს.) მიერაც (ელიშე, გვ. 124, კადანთ., გვ. 86). აქედან დღევანდელ საქართველოს აღმოსავლეთ მიჯნამდე (კახმდე) 80-დე ვერსია. მთელ ამ მანძილზე ქართველობა აღარ არის. უღთა რიცხვი ნუხის მაზრაში 7000-მდე უწევს. ზოგი მათგან მართლმადიდებელია, ზოგი მკჷმადიანი, ზოგი ურია და ზოგი სომეხი. მათი ენა წაგავს ლეკურს. უმთავრესი მათი სოფლებია ვართაშენი, სცა ცხოვრობენ ბეჟანიშვილები, ჩიკვაიძეები, ჭივრანაშვილები, კოტიაშვილები, ტუკუშაშვილები, ჰაჭიკაშვილები, ნიჟი (შეად. ქართულს ნიჟორი) და სხ. მართლმადიდებელ უღთა შორის 20-მდე საშუალო სწავლა-მიღებული ითვლება. მათი მამა-მთავარი სტეფანე ბეჟანიშვილი მოამბეობდა ცხონებულ ს. მესხის „დროებაში“.

ელისოს და წახურის სულთნებისათვის ბოძებული ფირმნები და მათი შთამომავლობა²⁾.

თამაზ-შაჰს ფირმანი წახურის მელობელ ალიკურკულუ-ბეკისადმი 1562 წ.: ეს მფლობელი ჩვენი ერთგული უმათაგანია. მისდამი ჩვენის მოწყალების გამო მის მიწებს ნურავინ შეეხება საქართველოს სამეფოს მოხელეთაგან, კრიდონ მის ჩივილსა და უგმუოფილებას. საქართველოს მთავარს ლეკენდ-ხანს ევალება, ყური უგდოს, რათა აღსრულებულ იქმნეს ეს ჩვენი ბრძანება.

¹⁾ ნიშნად ქართველების ამ ბრძოლისა ყიფხაღებთან დაშთენილა საინგილოში სოფელი ყიფხაღი. მისი მცხოვრებნი გამარჯვებულ ქართველებმა, ალბად, ტყვედ წამოიყვანეს და აქ დაასახლეს.

²⁾ არქეოგრ. კომ. ოქმები, ტ. II, გვ. 1085—1094.

ოსმალეთის ხონთქრის ფირმანი (1607 წ., ბანაკი კუნეი) ალი-სულტან წახურელიისადმი: თქვენის ერთგულების გამო ჩვენის ტახტისადმი და აგრეთვე თქვენის ღირსებისა ჩვენ გიწყალობებთ სოფლებს მეშაბაშს, კახს, ზერნას, უუმს, ლეკოს და ალაგოხს. დღეიდან ეს სოფლები შემკვიდრებით გვეუფნით თქვენ და სხვათაგან ხელშეუხებლად უნდა დაიცვათ იგინი.

შაჰ-აბაზისგან წახურის მფლობელს ალი სულტანს (1616 წ.): თქვენი ერთგული სამსახური ჩვენის ტახტისადმი კვლავ გვეუწუა. ქება და მადლი თქვენი თქვენ ასრულეთ თქვენი მოვალეობა ერთგულობისა და განაცოცხლეთ სახელი თქვენის წინაპრებისა, რომელნიც ჩვენი მომხრენი იყვნენ. ამით მიიქციეთ ჩვენი უურადლება. განაგრძეთ იკეთივე სამსახური. მოვა შირვანის ბეგლარ-ბეგი იუსუფი და მასთან ერთად განაგრძეთ ჩვენი სამსახური.

შაჰსეფის ფირმანი (1632 წ.) მამედ-ხან-ბეკ წახურელიისადმი. რადგან თეიმურაზმა შეირცხვინა თავი, საქართველოს სამეფო მივეციოთ რუსტემ-ხანს. იქითკენ ჯერ გავისტუმრეთ ეს რუსტემ-ხანი და ჩვენი ბანაკიც დაიძვრება მაღე და მიჭყეება მას. მანამდე თქვენ გვეალებათ წაიუყანოთ სურხაღ-ბეგი და ამირხან-ბეგი და ჩვენის დროების მოწვევამდე გააბროთ და დაქციოთ ქართლი და კახეთი, და იცოდეთ, თქვენი სამსახური ჩვენის მხრივ უმოწყალოდ არ დარჩება.

მისგანვე (1635 წ.): თქვენი თხოვნა ჩვენის კარისადმი მოვიდა. დაიმედებული იყავით ჩვენის მოწყალებით და იცოდეთ, რომ საქართველოს, ქართლის და კახეთის სამეფო ჩავაბარეთ ჩვენს ძმას რუსტემ-ხანს, საქართველოს მეფეს. ისე იმოქმედეთ და მოიქციეთ, რომ იგი კმაყოფილი იყოს.

შაჰ-აბაზისაგან ხალილ-ბეკ მამედ-ხანის ძეს, წახურის მფლობელს ენიშნება (1642) 155 თავრიზული თუმანი და შირვანის მფლობელს ევალება წახურის სამფლობელო მის კუთვნილებად იცნონ და ჯამაგირიც აძლიონ.

შაჰ-სეფისა მისადმივე (1642): რუსტემ-ხანმა, საქართველოს მეფემ მიცნობა, ზაად ერისთავი ყარაყალხანისა და ნუგზარ გაიქცნენ

კახეთს. მიიღებ-რა ამ უმაღლეს ბრძანებას, შეესიე კახეთს და და-
არბიე.

შაჰ სულტან-ჰუსეინისა ალი-სულტან წახურელი-
სადმი (1695 წ.): აწ გიგზავნით სიგელს და ხაღათს—მფლობე-
ლობის ნიშნად—ჩვენის შიკრიკის მურტუზ-ეული ბეკის ხელით. არ-
ხეინად იყავით ჩვენის მოწყალებით.


მისგანვე მისადმი (1701 წ.): 60,000 რუსი ჩამოღვათ
თერგს. დაღისტნის შამხალს მიეშვეკეთ მათ წინააღმდეგ.

ხონთქრის ფირმანი ალი-სულტან შექეღლისადმი
(1722 წ.): გამოცდილს, ახოვანს და კეთილმორწმუნე დაღისტნის
ემირს გნიშნავთ შექის და წახურის სანჯაყის ბეგლარ-ბეკად. იმოქ-
მედეთ თანხმად შირვანის ბეგლარ-ბეგის ჰუჯა დაუთხანისა.

იბრაიმ-შაჰისა აჰმედ-ხანისადმი (1747 წ.): ეცნობება
სულტან აჰმედ-ხანს, რომ იბრეიმი გამეფდა და უბრძანებს იგი მო-
იხსენიონ მეფედ მეჩითებსა და მიზგითებში და აკრეთვე მისი მო-
ჭრილი ფული იხმარონ. ეგზავნება სულტანს ბრწეინვალე ხაღათი.

სულტან აჰმედ-ხანი 27 იან. 1807 წელს თავის 13 წლის შვი-
ლით მოვიდა ტფილისს მორჩილების გამოსაცხადებლად. მას ქვეშე-
ვრდომად ჰყვანდა 2,000 კომლამდე. მას მიეცა ზოლკოვნიკობა (327).

ვურთავ აქვე ამ სულთნების საგვარეულო სიას, რომელიც და-
ბეჭდილია არქეოგრ. კომ. ოქმების მე-1⁰ ტომში (გვ. 1121).



ძველი საქართველო

ყუმუხის სურხაჲ-ხანის და ბიქა).

აჰმად-ხან-ბეკ (სულტან აჰმად ხან)

ემირ ჰამზა-ალა.

ფათ-ალი-ალა. ცოლად ჰყვანდა ფახაჲ-ხან-უმბა, ბიძის აჰმად-ხან-ბეკის ასული. მოჰკლა დანიელ სულტანმა დაღისტანში გაქცევისას.

სალიმ-ხან-ალა პოდპორუჩ. ცოლად სარიჯა-ბიქა, იმრან-ბეკის ქალი.

ფერზ ალი ხან + ლეკებმა.

ალი ჰასან ალა (იმრან ბეკის სიძე).

იბრაიმ-ალა ცოლი ფერი-სულტან-ბიქა, თამიმ-ალას ქალი.

ემირ ჰამზა-ალა.

ა. ალხაზ-ბეკ. + ახალციხის ალექსანდრე ბაში მოიქალა. ფახა-ბიქასაგან ნაშობი, ფერი-ჯეჰან-ხანუმას დისა.

ბ. მურად-სულტან-ბეკ ფერი-ჯან ხან-უმბისაგან. + ყმაწვილობაში.

გ. ალი-ბეკ თუთა-ბიქასაგან. + ყმაწვილობაში.

დ. მურთუზ ალი-ბეკ თუთა-ბიქისაგან. + ყმაწვილობაში.

ე. ჯაფარ-ყული-ბეკ თუთა-ბიქასაგან. + ყმაწვილობაში.

ვ. იმრან-ბეკ. ცოლად ბანუნ-ხანუმ, ხალით-ბეგის ქალი.

ზ. მუსაბეკ. მამის სიკვილიის შემდეგ სულტანად გამოცხადებული ძმათაგან. მოწამლული, გადმოცემით, დანიელ სულტანისაგან. ცოლად ქალები: ასლანხან ყაზიყუმუხელისა და ჰაჯიხან შექელისა.

ს დანიელ ბეკ. თუთა-ბიქასაგან, ასლანხან ყუმუხელის დისა.

თ ხალილ-ბეკ + დანიელ ბეკისაგან. ცოლად შაქარ-ხანუმ.

ი. მაჰმად ბეკ + დანიელ ბეკისაგან. ცოლად ბიქა-აბაჲ, ასული ბალა-ალასი.

ია. ემირხან-ბეკ-მსახურებდა სამეგრელოს პოლკში. დანიელის ჩაგონებით მოწამლა სპარსელ ექიმმა. ცოლად ჰყვანდა ძმების ქვრივები შაქარ-ხანუმი და ბიქა-აბაჲ.

დანიელ სულთანის შვილები:

ემირხან-ბეის შვილები:

მუსა-ბეკ	ნენე-ხა ნუმ.	ბეგუმ ბიქა.	ქერიმეტ- ბიქა.	ნესე- ბიქა.
მაჰმუდ ბეკ და ასული ბიქა.	მურ- თუხალი და უმმი გულსუმ- ბიქა.	ომარ- ბეკ და აბბას- ბეკ და უმაჲ სულტან.		

მაჰმად-ბეკ ბიქა-აბბასა- გან. + ყმაწ.	ხალილ-ბეკ შაქარ-ხა- ნუმისაგან იყო ბელაქ- ნის ნაიბად. ცოლად ა - ნა ხანუმ, პორუჩიკ ალა- ქიში-ბეკ ნუხელის ქა- ლი.
--	--

მაჰმად-ბეგ. სწავლო- ბდა მოსკ. სამხედ. გემნაზ.	მურად- სულტან ბეკ	ჰაჯი- ხან ბეკ.	ემირ- ხან ბეკ	ყაფლან ბეკ	ფაფარ ყუ- ლი ბეკ სწავლობდა ტფილისის სათ.-აზ. სას.	ფერი-ჯან- ხანუმ.
---	-------------------------	-------------------	------------------	---------------	---	---------------------

ზოგიერთ სახელის განმარტება.

ქარი. საქმეში ჩახუნდავ კაცების განმარტებით ჭარი უნდა ნიშნავდეს ჯარს (ჭარი=ჯარი!). ამისთანაებს ავიწყლებათ, რომ ქართულს წყაროებში ჭარი მუდამ ჭარად იხსენიების და მხოლოდ რუსები მას სწერენ ჯარად. ზაქათაღის გარემო დღესაც იწოდება ჭარად და ჭარ-თაღად (ჭარიც და თაღაც დიდი სოფლებია). ამგვარივე სახელებია საქართ. სხვა ნაწილებშიაც: ჭარ-თაღი (დუშეთ. მაზრ.), აჭარა და სხ. ჭარის უბანს ერქვა ფიფინეთი. შეად. ამას გვარი „ფიფინა-შვიდი“. ჭარი=ჭაობანი ადგილი=ქარი რატუნად. ასეთია მართლაც.

ბელაქანი მოსახელთა საქართ. სხვა კუთხეების ადგილებისა, — შეად. ბელაგარი. იყო აგრეთვე ქალაქი ბაღდადის არეზ-მტკვრის შესართავთან. ეს ბაღდადის ქართველთა ლაშკარმა დაიპყრო 1241 წ. მცხოვრებნი ამოწვეტიან. ბაღდადის მეფე უზბეკ ფაქლადინისძე მამინ თავრიზში იყო (იხ. არაბულ და სპარსულ მწერალთა გეოგრაფ. და ისტორ. ცნობანი საქართველოს შესახებ, თარგმ. მ. დეფრემურის Journal Asiatique-ში 1849 წ.). ბაღდადის ხსენებულად

გილას დღეს აღარ არის. ამ შორეულ ბაღლავანს (=ბეღლავანს) ზოგი მგელევი ვერ არჩევს საქართველოს ბელაქისკან და იმის შესახებ ცნობებს ამას აწერენ.

ლაგოდები (ლაგოეთი, ლაკვასტი). ლაკოდები არის ცვლილება მის თავდაპირვანდელ სახელთან ლაკვასტი, ხოლო ლაკვა (ინგ. ლაკო) ნიშნავს წყარო-არმოს, წყალ-საკუბარს, ჭურღმულს, რომელშიც იყონება წყალი. სწორედ ასეთია დღესაც ლაკოდები და მისი არე-მარე: ლაკვებით სავსეა აჭარობა. „ლაკო“, „ლაკვასტი“ უეჭველია, უახლოვდება ლათინურს lacus—ტბა, lacustris—ზატარა ტბა.

მუხახი, მამრები, კატები, მაწები, ქურმუხი, შაკიხი (=შაქი) იმავე დაბოლოების სახელებია, რა დაბოლოებისაც კოლხი, კახი, მესხი (მოსხი), კარდუხი, ტაოხი=ტაო და სხ.

შაქი (შაკიხი), შესძღებელია, იუოს იგივე საკი (ძველად საკა-დ იწოდებოდნენ სკვითები და სკლავები=სლავები). ბერძენ-რომაელთა შწერლები რანის მოსახლე ერს უწოდებდნენ საკაშენ-ად (საკა-შენი, ვით თამარა-შენი, ვარდა-შენი და სხ.). სოფ. კახის გვერდით ხეობაში არის მცირე სოფელი საკანი (საკანი=სკვითები (საკანი) თუ საკანი, მკარი „საკანი“ ადგილი?).

ყუმი შუად. ყუმის-თავს (იმერეთში).

კაკი=კახი. შუად. კაკას-ხიდი (მესხ.), კახათი, კაკაბეთი და სხ. მისი უბანია ფანცაური (შუად. ფანცხვა და სხ.).

ინგილო=ცენგილო. ამ სახელს ჩვენ და ჩვენ შემდეგ სხვებიც ხსნიდნენ თათრ. სიტყვიდამ **ჰენგი**—მერმე, შემდეგ, **ჰენგი**—მერმის, **ჰენგილო**—ხელ-ახლა. ინგილო, ვითომ, ხელ-ახლა მოქცეული, გადარჯულებული. ესრეთი ახსნა, ცოტა არ იუოს, აჩქარებულია. ჯერ ერთი, რომ აჭარ სოფელსაც ჰქვიათ ჭენგანი და არა ჭენგილო და მეორეც, როგორც ზემო ითქვა, ბევრი აჭარის სახელები იკეთივლა, როგორც იმერეთში, უმეტესად სამეგრელო-აფხაზეთში. აქ მარსანი (სოფ.), იქ მარშანია (გვარი), დახლ=დოხო-რე (მეგ.), თოფი, წკინვა, შოფენვა—მაფან (სკ.), ჰუტენა—უტანა, ბი და მრ. სხ. საერთო საინგილოსა და სამერეთოში საზოგადოდ. ეს ცოტა კიდევ. აჭარს უმთავრეს მდინარესა და სამეგრელოს უპირველესს



მღვდ. დიმიტრი ჯანაშვილი

მდინარეს ერთი და იგივე სახელი ჰქვიათ: ეგრის-წყალი ანუ ებრი — აგრი (=იგივე ენგური = ინგური და ინგირი მეგრ. გამოთქმ.).

უველა ამის გამო „ინგილო“ ჩვენ მიგვაჩნია ანუ იმავე ინგირ-ად, ე. ი. ეგრელად და ანუ იმ ხალხად, რომელსაც ბერძნის მწერლები (მე-V ს. ქრ. წ.) იხსენიებენ ფოთ-სამეგრელოს მოსახლედ და უწოდებენ ტენიოხ-ად, ე. ი. „მეტელედ“, „მე-ჭუნეედ“^{*}). შესაძლებელია, ნაბუქედურ-ასარიას და სხ. მტარვალების მიერ მთელის ხალხების ცნობილ აურა-დაურის დროს ეს ტენიოხები გადმოტყორცნილ უოფილიეუზენ დღევანდელს საინგილოში და აქ თვისი თავდაპირვანდელი სახელი მიეკუთვნებინათ დანუხ = განუხისთვის, ნუხისთვის (= ნოხ-ჰატო = ნუხ-ჰატო) და სოფ. ტენგიანისთვის და თვითონაც სახელი ტენიოხი გადასცველოდეთ ტენგილოდ = ინგილოდ. ესეთი ჩვენი მოსაზრება მით უმეტეს ჭკუაზე ახლავს, რომ საინგილოში დღესაც სიტყვა ტენგა ნიშნავს ცხენოსან ქალს, რომელიც მაყრიონით სხვა ტენგებთან ერთად მიდის ჰატარძლის („ჰატას“ სააღერსოდ რომ ვთქვათ) მოსაყვანად. ძველი ჰუნები = ჰუნეთი ადვილად გადაიტეკოდა ნუხად, დანუხად, ტენგელ, ტენგილოდ (შუად. ჰუნე და მერე უნაგრი = უნაგრი = მეგრ. ანაგრი = სვან. ჰუნგირ). ასეთ თუ ისე, ტენგიანი (სოფ.) უნდა ნიშნავდეს სა-ტენგებოს, საამოროდლო = „სამაზონკო“ ქვეყანას.

ინგილოთა მოდგაწენი.

მლ. დიმიტრი ჯანაშვილი. დიმ. იოსების ძე ჯანაშვილი დაიბადა კახში 1840 წ. მამინ ჯერ ისევ სულთნობა იყო და „სულთნობა“ კი ინგილოებისთვის მტარვალობას ნიშნავდა. ცოტადენი შედავითი ჰქონდათ სულთნებისაგან მხოლოდ დიდ, ძლიერ და შეძლებულ გვარეულობებს და ისიც მისთვის, რომ ჰქონდათ მათგან საკმაო გამორჩეობა: წელიწადში ერთხელ-ორჯერ ეწვეოდნენ ხოლმე მთელის სახლობითა და ამალით, სვამდნენ, სვამდნენ, მოფრალობდნენ და

^{*} დიოსკურია (ბიჭვანტა) ააშენეს ზეკასმა და კერკიმ და ამთგან წარმოსდგნენ პენიოხებიო („ВОЗНИЦЫ“), — ირწმუნებიან ბერძენთ მწერლები (განი, გვ. 60, 61, 105, 180, 183, 207).

ძღვენ-საჩუქრებით ბრუნდებოდნენ ელისოს. შემძლებელ და შეძლებულ ოჯახთაგანი იყო აგრეთვე ბაჰრამ-ალი (სოლომონ) ჭანაშვილის სახლობაც. ერთხელ სულთანი დიდს მტარვლობას უპირებდა თურმე ინგილოებს. ბაჰრამ-ალი და სხვა წარჩინებული ინგილოები გამოეცხადნენ მრისხანე სულთანს და მოახსენეს: თუ შვევა არ მოგვეცა შენგან, ჩვენ ავიყრებით დედაბუდიანად, გადავალთ ალაზანზე და შევეურთდებით ჩვენ მოძმე ქართველებსო. სულთანი თურმე მოღბა და დაპირებული ჰატიყი ააცილა საინგილოს.

დიმიტრი ჯერ ცხრა წლისა იყო, რომ ბიძა მისმა გიორგიმ ჩამოიყვანა ტფილისს და მონათლა. შემდეგ იგი, ათიოდე სხვა ინგილო ემწვილეებთან ერთად, ჩაიყვანეს დედოფლის-წყაროს სამხედრო სასწავლებელში, რომელიდამაც მალე გადაიყვანეს ტფილ. სასულ. სემინარიისში. სწავლაში მადალ-ნიჭიერი იყო, ისე—გულადი, გამბედავი, დაურიღებელი, სიმათლის მოყვარე. ამისთანა თვისებამ ერთხელ კინადამ არ დაღუპა იგი. რეკტორ ვიკტორინს რაღაც უკიანობა ეთქვა, მას ვერ მოეთმინა, მივარდნოდა და ეცემნა. არ გამოერიცხნათ მხოლოდ მისთვის, რომ წარჩინებული ქართველები მიშველებოდნენ როგორც საინგილოს ერთადერთ წარმომადგენელს. გულკეთილი რეკტორიც აღარ გამოჰკიდებოდა და ეპატიებინა დიდსულოვნად.

კურსი დაასრულა დიმიტრიმ 1865 წ. სტუდენტად და აკადემიისში სწავლის გასაგრძობად ვერ წავიდა ჯერ ერთი მისთვის, რომ მეტად ღარიბი დედ-მამა ჰყვანდა და მეორედ კიდევ მისთვის, რომ ტფილელ მოწინავე კაცებმა სახრავს საინგილოში ემსახურნა და იქაური ქართველობა დაეანლოკებინა დანარჩენ ქართველობისთვის. იგიც დამორჩილდა. ქიზიუში ცოლად შეირთო ერთი მეოჯახის ქალი ელეენე და მღვდლად ეკურთხა საინგილოს სოფელ უორადანს.

მხნედ მუშაობდა ამ სოფელში ახალგაზდა მღვდელი. აქაური ქართველობა ორად იყო გაყოფილი: ნახევარი სოფლისა ქრისტიანობდა, ნახევარი მაჰმადიანობდა. მას უნდოდა ესენიც მოექცია. უქადაგებდა, ასწავლიდა, ასმენდა, არიგებდა. მის ნათქვამს არ ისმენდნენ ლეკების მოლეების ჩაკრებითა თუ მუქარით. მისი მოწამლვაც კი განიზრახეს. მაგრამ მქადაგებელი მშობისა იღვა ტინივით მაგრა. ერთხელ შეიყარა მაჰმადიანობა ღამე ტუის ზირას და დაიწყო საუბარი

იმაზედ, რომ სრულიად ჩამოშორებოდნენ ქართველობას. დიმიტრი მარტო-მარტო მივიდა, ურილობაში შევიდა და დაუწყო ტკბილი ლაპარაკი. ვიღაც ფანტიკოსმა უკანდამ ჯოხი შემოჭკრა. „დამპარ და იცოდე კი, რომ შენ ქართველი ხარ და ქართველად დარჩებიო“, სათნოიანად უთხრა მას მოძღვარმა.

ამისთანა ბედშობას დაემატა კიდევ უარესიც. მას გარდაეცვალა (19 თებ. 1867 წ.) მუუღლე ელენე, ერთად-ერთი მისი ნუგეში.

ობლად დარჩენილ მღვდელს თავისი მოღვაწეობა გადააქვს ზაქათალას (1870 წ.), იქ მსახურობს საღმთო სჯულის მასწავლებლად და მერე გაბრიელ ეპისკოპოსისა და კალანდარიშვილის მიწვევით მიდის ქუთაისს ქართულ ენის მასწავლებლად სასულიერო სასწავლებელში. იქაც დიდს უნარსა და ნიჭს იჩენს ამ ენის სწავლებაში და იმსახურებს უურადლებას როგორც ნეტარ-ხსენებულ გაბრიელისა, ისე ზედამხედველების კალანდარიშვილისა და მის. ასათიანის და აგრეთვე მთელის საზოგადოების. 1878 წ. დიმიტრი მიდის მოსკოვის სწავლის გასაგრძობად სასულიერო აკადემიაში. იქიდგან ბრუნდება 1880 წ. და მასწავლებლობს სათ.-აზნ. სასწავლებელში, მერე მისიონერად საინგილოში, შემდეგ მღვდლობს ნუხში, ვართაშენში, ალიბეკლოში და ბოღბისხევში, საცა შორდება (7 თებ. 1905 წ.) ამ სოფელს საუკუნოდ 64 წლისა დაბადებიდგან.

ლიტერატურული მისი მოღვაწეობა მრავალნაირია.

საქართველოს ისტორიის სახალხო ენით ხალხისთვის გადაცემაში მას მხოლოდ ეკუთვნის ჰირველობა. ამგვარი წერა მან დაიწყო ს. მესხის გაზ. „დროებაში“, ფრიად საყურადღებო და საკულისხმიერო წერილები დაბეჭდა აგრეთვე „მნათობში“. შემდეგ იგი იყო მუდმივი თანამშრომელი „ივერიისა“, „მოგზაურისა“, „მოამბესი“, ძველ „ციცისკრისა“. კარგად სწერდა რუსულადაც. მის ნაშრომთაგან უფრო თვალსაჩინოა „ქართველ ქალის ისტორია“, „ამბროსი ნეკრესელის ქადაგებანი“, „ჭერეთის აღწერა“ („მოგზაურში“) და სხ.

ტფილისში მუოფობისას იგი მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყოველ საწადმართო ზაქმეში და აგრეთვე ერთხანს წ.-კით. საზოგადოების გამგეობის წევრადაც იყო. საინგილოში ხომ მის მიერ დათესილი ამავი მეტის-მეტად დიდია. იგი იქ ფარივით უდგა ქართვე-

ლობას, მაგრამ ისე კი, რომ სხვა ტომის ხალხს არა სწევენოდა რა. მისი დევნი იეს იყო: „ქართველობას ქართული, დანარჩენ თესლ-მოდგმას ეველას თავიანთი; ნუ შეშეცდილები, არც გეცდილები“. ამის გამო იგი უფარდა ეველას ერთნაირად და აკი ამიტომაც უკვე მკვდარი დიდის ამბით მიასვენეს კაკს, სკერთოდ დაიტირეს ქართველებმა, ლეკებმა, თათრებმა, სომხებმა, დამარხეს კრძალვით და მის საფლავს დაატრქვიეს თბილი და ტკბილი ცრემლები. მისი მახვილი სიტყვები და ანეკდოტები ანდაზად დარჩენიანთ და სსშვილი-შვილო სამკვიდროდ.


სამწუნაროდ, ამდენ მოამბადარ კაცის სამარე ჯერ ისევე ობლად უძეგლოდ გამოიურება. ქართველი საზოგადოება მოფაჯა მოიგონოს თავისი განაზირა კუთხის შვილის საფლავიც.

მღვდ. მიხეილ ყულოშვილი მოლად იყო. მოინათლა 17 აგვ. 1857 წელს. შინაურულად აღზრდილია. სამშობლო ენის გარდა კარგად იცის თათრული, უღური, სომხური და რუსული და წერა-კითხვა ეველა ამ ენებზე. მსახურობდა დიაკვნად ბელაქანში, შემდეგ მსახურობდა მარსნსა და კაკში. მთავრობა მიიღო 1866 წ., მღვდლობა 1870 წ. მეტის-მეტად მშრომელი კაცია, მხნე, ღამაზად მწირველი, შვენიერად მგალობელი, თავმდაბალი და კარგი მქადაგებელი. შინაურობაში მას შეუსწავლია მკურნალობაც და რაოდენიმე სხვა ხელოვნება. ავადმყოფნი, უძღურნი, გაჭირებულნი სსსოებით მიდიან მასთან და იგიც უსსსუილლოდ ეხმარება ეველას. 1865—1870 წლებში უსსსუილლოდ ასწავლიდა ინგილოთა შვილებს და მათ შორის ამ სტრიქონების დამწერსაც.

ესლა ხანს არჩილ მეფის მიერ აგებულ კასრის-საუდრის ნანგრევის სპირაკველზე აგო შვენიერი ტაძარი თავის საკუთარი სოფსით.

ტეშმარიტს მღვდელს უფარს ერი და ერსაც უფარს თავისი კეთილი მწეემსი. ნეტარ არს კაცი, რომელიც შეუფარებით შეიფარების.

მოლუბად იფენენ აგრეთვე მღვდლები ზილოთი (იონანე) გამხარა-შვილი და ალექსანდრე ივანციკი. ეს უკანასკნელი შამილობას იმამის მიურიდიც იყო. კაი ქართველი იყო სიმონ ტობალაშვილიც, მაგრამ უდროოდ გარდაიცვალა.



მღვდ. მიხეილ ყულოშვილი

ბაჯრამაშვილი აბელი იყო კორესპონდენტი ნიკოლაძის „*Обзор*“-ისა და თავის წერილებს ფსევდონიმად „*ზიელი*“-ს აწერდა. ქართულ გაზეთებშიაც შრომობდა. მისი შვილი კოწია, უნივერსიტეტის სტუდენტი, დაიღუპა ადესას 1905 წ., ხოლო თვითონ გარდაიცვალა 1908 წ. მისი ქალიშვილი ასრულებს უმაღლეს სპეციალურ სასწავლებელს ჰეტერბურგში.

ხუციშვილი ბათო ცნობილია მთელს მაზრაში როგორც მეგავრტომეთა ჭირისუფალი, მონე და დამცველი. იგი ცნობილია სახედაგოგო მწერლობაშიაც. შვილები (რაქდენი და სხ.) ეზრდება უნივერსიტეტსა და საშუალო სასწავლებლებში.

დარეჯანაშვილი არჩილ სწავლული მებაღეა და ცნობილია თავის 20-დე სამეურნეო გამოცემებით. შვილები ეზრდება უნივერსიტეტსა და საშუალო სასწავლებლებში.

ტარტარაშვილი კოტე კაკის მნათეს შიოს შვილი, უმაღლეს სწავლა მიღებული, ერთი უკეთესი ანგილოთაგანია, უერთგულესი წინამძღოლი თავის ერისა.

გამხარაშვილი სიმითან კაი ხელმძღვანელობას უწევდა ანგილოთა მოსწავლე უმაწვილებს ზაქათალაში. მისმა შვილმა გიორგიმ დაასრულა უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი მოსკოვს.

უმაღლესს სასწავლებლებში სწავლობენ კიდევ რამდენიმე სხვა ანგილონი, ჯანაშვილები, ივანიცკები, ჰაზიაშვილი და სხ. საშუალო სწავლა-მიღებულთა და ქართულ წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი ხომ მრავალია და ეს სულ რაღაც ერთის-ორის თაობის განმავლობაში და ისიც სულ მთლათ აქაურ გლეხკაცობაში (სანგილო თავადაზნაურობას მოკლებულია).

საზოგადოდ, ანგილოებს ძრეულ ემარჯვებთ სწავლა, მეტადრე კაკელებს, რომელთაგანი არის აგრეთვე უმაღლეს სწავლა-მიღებული მაჰმადიანი ჰამზათ-ბეგ უაბულაოვი. სწავლა-განათლების მხრივ სოფ. კაკი მისაბაძავია საქართველოს ბევრ დაბა-სოფელთათვის.

აქაურ ხალხს კარგად ახსიათებს მათივე მამა-პაპური თქმულება: „ნასწავლ კაც ასლანი (ლომია), არ ნასწავლ კი—ზროხაჟს“. ცუდამშრალობა, მცონარება, ლაუინტრობა, ცუდმედიდურობა სძულს ანგილოს, გამრჯელობა, მხნეობა, ჰომობა (რუდუნება) კი უეგარს.

სახლ-კარ-მამული.

სახლი და მისი მოწყობილება. კერა და მისი სიწმინდავე. აყარი—როგორც ბელელი და საკუჭნაო. კერია და მისი მოწყობილება. დირე და მისი მოწყობილება. დედაბოძი. ნეჭა. ეზო და მისი მოწყობილება. პატარა სახლი (ქოხი). ხერხლები. ქათამი. ვენახი. ბოსტანი. თხილნარი და სხ. სასუქი. სხვადასხვა გვარ ყურძნის სახელი. სთველი. დაწურვა. გადაღება. ჩურჩა ქლიავი. თხილი. მარილზე გაცვლა. ქლიავი. შინდი. თუთის არაყი. ვაშლი. სხალი. ბალი. ატამი. ნიგოზი. საბოსტნე. ლობიო. ბოსტანი ნაფუფრებში. კიტრი. გოგრა. ხახვი.

საინგილოში სახლებს აშენებენ ქეთაკირისს და ხისს, დაქანებულის სარქველით, დახურულს ჩაღითა და ანუ კრამიტით. აქა-იქ იციან აგრეთვე ბანიანი დახალები. სახლები სიგძით 8—20 ადამადეა, სიგანით 5—10-დე, უველა ერთ-სართულიანი, ერთ-ოთახიანი, ხშირად სამ-კარანი, უფანჯრებო, უბუხრო, უიატაკო. სინათლის გულისთვის კარები ზამთარშიაც ღია რჩება. შუა ადგილას ცეცხლი ინთება. ბოლი საკვამლეადმ ადის მადლა და ავსებს აყარს (სხვენს), ზამთრის გრძელ ღამეებში კი ავსებს მთელს სახლს, ახრჩოლებს ისე, რომ კაცს სუნთქვა ეკვრის, თვალების ავადმყოფობას აჩენს.

ცეცხლა-შირი წმინდა ადგილია, მეტადრე სახატია მისი დედაბოძის მხარე. მის კარშემო უველა სახლის-წულობა სხდება დიდწვრილობის მიხედვით: მარჯვნივ მამა-კაცობა და მარცხნივ დედა-კაცობა, სულ ბოლოში კი მოსამსახურენი, მოჯამაგირენი. იგი იმავე დროს საკუჭნაოდაც ითვლება: მასზე ხარშვენ, სწვენ, ახალებენ, აღუდებენ სარეცხის წყალს.

კერაზედ ცეცხლის გაქრობა ცოდვად ითვლება. ცეცხლი მუდამ გუზგუზებს და ღვივის და სწავს დიდალ შიშას (შეშას) და მრავალ ქოთუქებს (ტივებს), რომელსაც მოზიდავენ ხოლმე ადრე შემოდგომითვე შეშას და სანათან ერთად (სანათად იწოდება ქორაფისა და სხ. ხეების ხმელი ტოტების ნამტვრევები).



მღვდ. ზილფი გამხარაშვილი სახლობით.

აუარზე, რომლის იატაკი ტალახით გაფესილია, ინახება ხორბალი, ფეტვი, ქერი, ჩაღთუქი (გამოუბრეკებელი ბრინჯი, კაკალი, თხილი, ხმელი შვინდი, ქლიავი (ჩურჩა-ქლიავი), ხახვი, ნიგორი (ნიორი), სიმინდი, ერბოს ქილები, ყახაჯი (ლორდად გამოსული ცხვრისა და ძროხის ხორცი), სხვა და სხვა ახალი იარაღი. სიტყვით, აუარი არის ამბარიც და სარდაფიც.

ყახასა, ჭიჭნაგურს (ძეხვებს) და ტარბაკებს ამზადებენ შემოდგომასზე სახორცეს ხორციდამა, ნაწლავებიდამა და ფაშ-ფუშიდამ, მერე ჰკიდებენ აუარზე და ბოლი ახმობს. ძნელად იქნება ისეთი ინგილო, რომ საყახაჯეთ ერთი ყოჩი მანინც არ დაეკლას, ან და ისეთი შუათანა შეძლებული, რომ ერთი სახორცე (რქიანი საქონელი) არ დაელორებიან და მის ხორცით აუარი არ გაეყვოს. შეძლებულები კი ამავე მიზნით სახორცეს ხუთიოდე ცხვარსაც ზედ ატანენ ხოლმე. ჭიჭნაგურს და დარბაკებს დიდის ხელოვნებით ახავებენ მრავალნაირ ხურხელოვნებით და შემწვარი ანუ მოხარშული ჭიჭნაგური მეტად გემრიელი და ნოყიერი საჭმელია.

შიგ სახლში, მის აღმოსავლეთის მხრის კედლის გაყოფება მიდგმულია მთლიან ხიდგან გამოჭრილი კორთე (თახჩა), რომლის წინაპირზე ხელოვნურად გამოჭრილია სხვა და სხვა სახეები: ჩონგურისა, ჯამებისა, ნალებისა, ხელისა, თავისა და სხ. კორთეზედ ამწვარიკებენ სუფთად დარეცხილ და მოკაფულ ჭურჭლეულობას: არყისა და საჭმლის ქვაბებს, აბრეშუმის სახვეველ თიანებს (დიდრონ ტაშტებს), ლანგრებს, ჯამებს, ბადიებს, ორუერებს და სხ. აქვე იატაკზე დაინახავთ სადღობლებს, თუნგებს, რძისა და ღოს ქოთნებს და მერე დედა-ბოძის ზურგის მხარეს სავარცლეს და ვარცლს, რომელშიაც ინახვენ ზურს (შოთებს).

დედა-ბოძის მარცხენა კედელს ჩაჭეუება დიდი საკანი (ბეღელი), რომელშიაც ინახვენ ფქვილს, მარილის კასრი და სხვა კასრები, მარჯვენა კედლის ჩანწვრივ დირაზედ აწევა სკივრები, რომელშიაც ინახება ქალების საცმელი, ძაფი და სხ., მერე ლამზად დაკეცილი ყიჟიშები (ჯეჯიშები), ვერდნები (სახნები). ბოლო კედლის ჩაყოფება კი დაინახავთ ხოკრებს სარეცხისას, გორგლებისას, მატყელისას, აგრეთვე საბლებს, თოფებს, იჭვე სხვა და სხვა იარაღს. ქვემო ბოძსა და

აქა-იქ ჩხუბზე ჰკიდია თოფები, ტუჩები, ნაბლები, ჩოხები, ხელსაბანი. წუმწუმის ადგილი ქვემო ბოძთანა, ხოლო ჩონგური სახატაო კუთხეში სკივრებთან და ამის გასწვრივ მარჯვენა კუთხეში კი, მალა, ჭერის ქვეშ „წმინდა კიღბანი“, რომელიც მეტად ჰაწია და საოჯახო სიწმინდეთ ითვლება და, გარდა მამისა და ანუ მის შემკვიდრე ვაჟისა, მას ვერაფერს შეეხება. მასში ინახვენ საქმელს, ბამბას, ცვინს. სახალწლოთა და საადღვამთ მამა ამოიღებს ცვინსა და ბამბას, ცოლს მისცემს, ესეც ჩამოჰქნის სანთლებს, მერე მამა აანთებს. მიაკრავს „კიღბანს“ და უველანი წინ ჩამომწკრივდებიან და დაიწყებენ ლოცვას.

სახლის აივნებში აწევია ან აუღია რკინის ბარები, ხის ნიჩბები (კალის ნიჩბები სადმე აუარზე შენახულია), ნაკები, დიდრონი გოდრები, საბუდრები, დიდრონი კასრები და სხ. წინა-აივანში ხშირად ნახავთ ხის ლოგინს (=კრაოტს), რომელზედაც იძინებს სახლის უფროსი (ხშირად ზამთარშიაც კი).

სახლის უკანა აივანში თითქმის მუდამ ინახვენ ნეჭებს. ნეჭები სქლად დაწნულია ხმელ და გრძელ ნამჯისაგან თუთის ხის ქერქით. ნეჭა ორი კაცის სიგძე მანც იქნება. ქვეშაგების გაშლის დროს ჯერ მას შლიან და ისე, რომ მისი ნახევარი ისევ დაკეცილად რჩება და კაი მუთაქის მაგივრობას ეწევა.

აუარს ორი კარები აქვს: ერთი ზემო მხრიდან და ერთი ბოლო მხრიდან. ერთ-ერთ ამ კარებს მიდგმული აქვს ხის კიბე.

სახლის თავს ეზოში ჩვეულებრივ ჩარგულია ქვევრები, ქოცოები (ჭურები) და მათში იწურება და ინახება ღვინო. ეს „მარანი“ გადაუხურავია. საფსე ქვევრს ზირზე ადებენ თავშავსაგან გაკეთებულ რგოლს საპირეს, მერე სიძს (ქვის ბრტყელ ფიცარს) და ზედ ბლომა მიწას აყრიან. ზამთრის სუსხებში ამას ემატება კიდევ ფიჩხისა ანუ წალმის კონები.

ქვევრების მიდამოშივე თორნუა; მიწაში კი არა, მიწის ზირზე $1\frac{1}{2}$ ალაბის სიმაღლეზე ამოყვანილი, გარშემოწნული. მტკავლის მანძილზე მიწით ამოვსებულია თონესა და ამ ამოწნულს შუა ადგილი. თონეს ხურავენ ფიცრებს. იქვე ნახავთ საჩხრეკელს, ასტამს, სნანტრეს. თონის გვერდზე დალაგებულია ფიჩხისა და, ხშირად,

წაღმის კანები, რომლითაც ახურებენ თონეს. კარგად გამომწვარ თონის გასახურებლად 3 — 4 კონა კმარა. რაღა თქმა უნდა, თონეს თვითონვე დგმენ თონის მიწის გუნდებით.

აქ აცნობენ ხმალივითი გქელ ჰურებს, რომელსაც შოთს უწოდებენ, აგრეთვე ლავაშის და ნახუქის (ნახუქი = ნახუქი, რადგან ერთი ბოთი ნახუქია).

აქვე სადმე ჩაუდებულა მენა, რომელშიაც ღებვენ ანუ ტიტობენ ძაფეულობასა და შაღებსაც.

სახლის შირდაშირ ეზოს მეორე მხარეს „ზატარა სახლი“ ანუ საზროხე ქოხი, რომელიც ისრევე შენდება, როგორც „დიდი სახლი“. მხოლოდ მასში ინახვენ საქონელს და მის აყარზე კი ბზეს, თივას, ქერს. საჭმელი საქონელს ეძლევა დიდრონ ნავებში. საქონლის განავალი ყოველ დღე იხვეტება და იწმინდება.

ეზოს ქვემო მხარეს დაწოებილია შუშა, იქვე გაკეთებულია საქონლის საზაფხულო შესამწვლევი ალილი (=მეგრ. ქართი). იქვე ნახავთ ურძებს, მარხილს, ქოთუქებს, აჩუჩას და სხ.

ეზოს შუაგულში შეძლებულეს აქვთ ცალკე ფარდულები, საცა მალაღი და დიდრონი კასრებია, სავსე ხორბლეულით და სხვა მარცვლეულით.

ეზო თითქმის ყოველთვის თიხკუთხუა, ტურუმულ ღობითა ანუ ქვითკირის კედლებით შემორტუმული და გავსილი მრავალკვარ ხეხილით, რომელთა შორის უეჭველად ხუთიოდ-ათიოდე ნამუენი თუთაა, ამდენივე ვაშლის ხე, სხალი, აღუბალი, ბალი, ჭერამი და სხ. ეზო მუდამ იგვება, სუფთად ინახება, ზაფხულობით ირწყვის და საამურად ბიბინებს. მის ერთ გვერდზე არხი გადის და გაკეთებულია ჩაღარღანა, რომელზედაც წყალი ჩახრიალებს და ატობობს ყურთა სმენას, მეტადრე ზაფხულის წუნარ ღამეობით.

ეზოში შემოსასვლელი კარები ხერხლებით იკეტება: ხერხლებს აუერიან და მერე მარჯვენა მხრის ბოძის ხერხლებში სოლებით მაგრა მისჭედავენ, დილით კი ხერხლებს ისევ ჩამოუერიან ხოლმე. უმეტესობამ ამ ბოლო დროს ხერხლები ფიცრისაგან გაკეთებულ დიდრონ კარებად შესცვალა. ეს კარები შიგნიდან იკეტება ან ურდუღით, ან რაზით.

ეზოს მუდმივ სამკაულს შეადგენენ აგრეთვე ბლამა ქათამი (ზოგს 100—200 ფთამდე ჰქვავს) და ეზოს ძაღლები.

საქათმე აქ არ იციან და ქათმები ზამთარსა და ზაფხულს ეზოს რომელიმე მალად ხეზე ბუდობენ დამ-დამე. ძაღლებს კარგა ინახვენ, ჰატრონობენ, ხშირად საბუნაკედ ნეკასაც უშლიან, მერე უფრო სძროხესა და ეზოს კარების ახლოს: მათ სიფრთხილეზე დამოკიდებულება, ხშირად, ჰატრონის ავლა-დიდებას ხელ-უხლებლობა დამის რაინდთაგან, რომელთა რიცხვი აქ ცოტა არ არის.

ეზოს წინ-უკან მიჰყევიან მენაკი (ვენახი), ბაღჩე (ფურცლის ბაღი ჰარკის ჭიხისთვის), თხილნარი, დილლიგი (ბოსტანი) და ხან-დანან საბაღახე ყორთი (ყორთი) ხბორებისა და შესაბამელ საქონლისა და ცხენებისთვის. ვენახი და ბაღჩე სრულეზად დაყოფილია. სრულეზსა და სრულეზ შუა ნახვით ვარდის ბუჩქებს ან და კიტრისა და ფაყლის (ლობოს) ჭერკებს. თხილის ბუჩქები რიგზედ ჩამწკრივებულია. მთელი ბაღჩე-ვენახი ხეხილებით სავსეა, მათ შორის უმეტესობა ატამია, ქლიავი, ბაღი, მსხალი, შენდი, კაკალი. მთელ მამულს გარემოთ დობე მოსდევს. დობეში ხარობს მრავალი ხე (იფანი, თელა და სხ.), რომელიც სამ წელიწადში ერთხელ ჭიგოდ იკაფება.

ვენახი აქ სულ დაბლარია. აქა-იქ მალღარიც არის, მაგრამ იმის უურძენს საჭმელად ხმარობენ.

ვენახს ადრე გაზაფხულზე სხლავენ და ორს-ოთხს რქას უნარ-ხუნებენ ყოველ ვაზს. ჭიგოს ბუერს ხმარობენ. თითო ვაზს 3—4-ს უყუდებენ, მათგან ერთს შუაში, რომელზედაც აკვრენ თვით ვაზს და დანარჩენებზე მის რქებს. შესარვას ინგილოები აკებას ეძახიან. შუსაყლავად ხმარობენ ლარტის (ხაკათ კაკლის ყლორტების) ქერქს. ლარტას ადრე გაზაფხულზევე სჭრიან, ტყავს ხდიან, ბტყელ და გქელ ძაფად ხევენ, კონებად ჰკვრენ და ახმობენ, შეეყლვის დროს კი წყალში ჰქერიან და ალბობენ. ძირიდან ამოხეთქილ ყლორტებს გადაწვენ ხოლმე ცალკე ვაზად. ფურჩქნა არ იციან, მაგიერად ხორთლავებს (უნაყოფო ყლორტებს) მოგლეჯენ ხოლმე და მალა წასულ რქებსაც წვერებში მოჰკაფვენ, რომ ვაზშივე ძალა დატრიალდეს და მტევნები დასხვილდეს. ყოველი ვენახი ზაფხულობით ერთხელ ან

ორჯულ ირწუვის არხის წყლით. ვენახსა, ბაღასა და ხეხილებსაც უსასუქოდ არ სტოვებენ. ამისთვის იხმარება საქონლის განავალი, რომელიც შემოდგომითვე გოდრებით შემოაქვთ ვენახში და უერაან ეგველა ვაზს. სასუქის დაურას კისრულობენ დაღისტინიდან ჩამოსული ლეკები, რომელნიც ამის გასამრჯულოდ იღებენ ნიორს, საქალამენს, ფუჭვილს ანუ ფუდს.

აჭაურ ვენახებში სხვა და სხვა ნაირი უურძენი ხარობს, სახელადობრ: მელაკულა (კახური რქა-წითელი). მისი მარცვალი მელის კუდივით მოუვანილია, უმთავრეს ჭურის უურძნად ითვლება და უკეთეს ღვინოს იძლევა; თხლათაა—თხელ კანიანი მომრგვალო მარცვალი აქვს, სიმწითისას მეტად ტკბილია; მერანდო—მოწითურ-მოშავოდ მწიფდება, მაგარი კანი აქვს, სხვილი მარცვალი, დიდრონი მტევნები, ღვინოდ არ ვარკა, საჭმელად იხმარება; ქიშიშია—მწითობისასაც მეტად მწვანე ფერი აქვს, მკვანე გეგონება, მაგრამ ჰირში რომ ჩაიდებ, ქიშიშივით ტკბილია; დევის-თვალაა—დიდრონი მტევნები აქვს, მრგვალი დიდრონი მარცვლები, ღვინოდ არ ვარკა; საფერაგი—შავად მწიფდება, შავს ღვინოს იძლევა, თეთრი ღვინის საფერავად იხმარება; საკმელაა—სურნელოვანი გემოს უურძენია, ნაზი, მწყარია; ქეჩი-ემეაგი (იგივე თითა) და გენჟური (კახური უურძენი). ამას გარდა იცის აგრეთვე ბურზლუმი (=კრიკინა), რომელიც კარულ უურძნად ითვლება, რადგან ტეესა და ველს ხარობს და ჰბურავს ლემასს, ბრულს (დაბურულს ბარდანს) და სხვა ხეებსა და ბუჩქებს.

ვენახებს კრეფენ ენკენისთვეში. უურძენი გოდრებით გამოაქვთ ეზოში და ჰურთან „ურუნნი ნავში“. ნავი რომ გაივსება, ერთი მამაკაცთანი იხდის ფეხს, კარკა იხანს და ნავში ჩადის და ჭეღეტავს უურძენს. კარკა რომ დაიჭულიტება და დაიწურება, „ჭეჭს“ ნიჩბით იღებენ და ჰურთან ცალკე ნავში ანუ ქვევრში. ამ ჭაჭისგან მერე არაეს ხდიან. ტკბილით კი ავსებენ ქვევრებს, რომელსაც წინათვე რეცხავენ სარცხით და თუ სადმე გაზარულია, ხიზს (თხის ქონს) ავლეებენ, რომ ღვინო არ გაედინოს. მაჭარის დადულების შემდეგ ქვევრებს ადებენ კარაზანისგან დაწნულს საპირეს, მერე ბრტეულ ქვის სიძს და ზედ აურიან ბლომა მიწას. გაზაფხულზე ღვინო გადააქვთ

სხვა ქვეყრებში, ხოლო თხლისაგან, როგორც ჭაჭისაგან, ხლიან არაყს—თხლი-არაყს.

აქ აღარ განვადრძობ სიტყვას ბაღის შესახებ, რადგან მაზე ღა-ზარაკი გვექნება ცალკე თავში „აბრეშუმის მოყვანა საინგილოში“.

ბალ-ვენახის ხეხილთაგან დიდი გამოჩინება აქვს ინგილოს. ამ ხეხილთა შორის უმთავრესია თხილი, კაკალი, ჩურჩხა-ქლიავი, შვინ-დი, ვაშლი, სხალი.

სამური სანახავია აქური თხილის ბუჩქი, რომლის 10—15-დე ულორტი მალღა წასულა და სამზეუროვით (ქოლგასავით) გადაბრდნილა უოველმხროვ. ამგვარ ბუჩქებს ამწკრივებენ რიგზედ და ისე, რომ მათ შორის დარჩეს საკმაო მანძილი და ერთმა მეორე არ დაჩაგროს. თითქმის ყველა მამულში ამისთანა ბუჩქს ნახავთ. შეძლებულების მამულში ასამდე ძირი (ხან მეტიც) იქნება. ბუჩქი რამდენიც ძველია და დიდი ხნისა, იმდენად მეტს ისხამს. თითო მისწრებულ ძირიღამ 1—2 ფუთი ნაჩურჩი თხილი ჩამოდის და ფუთი ადგილობრივვე ივილება არა ნაკლებ 2 მანათისა.

თხილს აშენებენ მისის ბოლქვებით (ძირებით). სათხილხარო ადგილში ადრე გაზაფხულზე ღრმა ორმოებს აკეთებენ მწკრივ-მწკრივად, მეორე ორმოელიმე თხილის ბუჩქს დასთხრიან, დაშლიან მრავალ ბოლქვებად და უოველს ორმოში თითო ბოლქვს ჩარგავენ, მიწას მოუტკეპნიან და მორწყვენ. ორ-სამ წლამდის, ვიდრე კარგა იხარებს, რამდენიმეჯერ მორწყვა უნდება, აგრეთვე მოვლა, ე. ი. ძირის მობარვა და სასუქად ნაფოტის ნამუსრის დაურა (სხვანაირი სასუქი არ უხდება, სწავს, ახმობს). თუ ბოლქვს დარგვისას დიდი ძირი (ფესვი) და მალაღი ულორტი შერჩა, მოსავალს მეორე წელსვე იძლევა, თუ არა და მე-3—4 წლიღამ.

თხილის მოშენება მით არის კარგი, რომ მას ვერც სეტყვა ვნებს, ვერც გვალვა. 1000 ბუჩქი რომ ქონდეს კაცს, უოველ წლივ, სულ ცოტა, 2000 მანათს აიღებს, მეორე ისიც თითქმის მოუვლელად, რასაკვირველია მოვლად ერთხელ-ორჯულ მორწყვას თუ არ ჩაეთვლით, აგრეთვე ხაფხაგის დატებას გასწვებოდ ცივებისა და დეოდოლებისა, რომელნიც თხილუელობასა და კაკლუელობას ემტეობიან.

ბოლოს ისიც უნდა ვთქვათ, რომ თხილი აქ სამხაირი იცის: ადრეულაჲ—მოწითანო-მოწაბლისფეროა და ადრე შემოდის; კ.რული—სხვილი, მოწითანო; დუდრუნ-თხილი—ცნობილი ბერძნული თხილი და ტყიურაჲ—(გარეული თხილი), რომელიც აქურ ტყეებში ბლომად იცის.

თხილს ფულადაც ჰყვიდინ და მარილშიაც უცვლიან „არაბებს“, რომელთაც შემოდგომაზე აქლემებით მოაქვთ მარილი ბაქოს მხრიდან, სოფელ-სოფელ დაიარებიან ძახილით: „აჲ ტუზ ალან! აჲ ტუზ ალან!“ („აი მარილის შეიღველო! აი მარილის შეიღველო!“) და ამ ძახილით მკვიდრთ ცნობებენ:—ვის გინდათ მარილზე თხილი გაშიცვალათო ან და ქლიავი.

ქლიავი აქ არის: წითელაჲ—მოწითანოა, მოგრძო, მეტად მჟავე; ვაშლაჲ—სხვილი, მოყვითანო; ისფერი—ისფერი, სხვილი, ტკბილი; ცომაჲ—სხვილია, მრგვალი, დამწიფებისას ცომივით რბილი, ტკბილი; ტყიმალაჲ (=ტყემალი ანუ ტყემლის მზგავსი), რომელითაც სავსეა აქური მინდორ-ველი, და ჩურჩაჲ. ეს უკანასკნელი უველაზე მეტად ფასობს. მისი ნაყოფი მოყვითლო-მოგრძოა და იჩურჩება. მას ახმობენ ჩურჩად ან და უჩურჩავად. დიდრონ ქვაბებში სთუთქავენ და უავრის ჩათრებსა და წნელის ღასტებზე ახმობენ და შერე სავსეში ხმარობენ ან და „არაბებს“ მარილში უცვლიან: 12 ბაკან ქლიავში 5—8 ბაკანმდე მარილს იღებენ.

ქლიავზედ არა ნაკლებ ფასობს შვინდის ჩურჩი და შვინდის კერკი. აქ ხარობს: თეთრ-შუნდ, შავ-შუნდ, წითლა-შუნდ, ნელა-შუნდ (გვიან მწიფდება), ადრეულა-შუნდ, ტკბილ-შუნდ. უოველ მოსახლეს რამდენიმე ძირი უდგია მამულში და ამას გარდა ცოტა არ არის შვინდი ტყე-დრეშიაც და იმითიც, ხშირად, სარგებლობენ.

თუთას აქ არა თუ მარტო სჭამენ, მისგან კაი თუთის-არაყსაც ხდიან. ვინც თითონ ვერ ახერხებს გამხხდას, ჰყვიდის თითონის თუთას რამდენიმე მანათად. შეიღველი თითონვე მოდის, „აქანებს“ და მიაქვს.

არაუად აქციზის შემოღებამდე, ხშირად, იხდებოდა აგრეთვე ვაშლი, მსხალი, ატამი, ბალი და სხ.

ვაშლი არის: თათულა-ვაშლი—თეთრ-მოწითანო, მრგვალი, ტკბი-

ლი, სურნელოვანი; ქვა-ვაშლაჲ—მომრგვალო, წითელი, მაგარი, მეტად ტკბილი და გამძლო, —ზაფხულამდე ინახება; წითელ-ვაშლი—სხვილი, წითელი, მძმყავო; თეთრ-ვაშლა—სხვილი, სურნელოვანი და კირკიმიაჲ—მაჟალო.

სხალი ხარობს: უგულოჲ—უფითელი, ტკბილი, სხვილი, უკურო; კალოს-სხალი—ტკბილი, სურნელოვანი; ზამთრულაჲ—ნაგვიანეჲ შემოდგომას მწითლება, მომრგვალოა, მომწვანო, ინახება მთელ ზამთარს; მერახულაჲ—მსხვილი, წყლიანი, მარახოში; მაპარამი—სხვილი, უფლიანი, მეტად ტკბილი, სურნელოვანი; კვირიშტავი—მოგრძო კვირისტავივით, მოყვითალო-მოწითანი, მეტად ტკბილი; ჩიტის-სხალაჲ—წვრილი და ტკბილია; ნარ-არმუტი—სხვილი ბრწყინვალე სხალი, წონით გირვანქამდე, დიდხანს შენახული სურნელოვანად შექრდება და კირკიმიაჲ—ჰანტა.

ბლის ჯიშებია: თეთრი-ბალი, შავი-ბალი, ჟალლა-ბალი (ნაშენი) და გარეული ბალი ანუ ბაღდუნჭი (=ბაღლოჯი).

ატამთავან აქ უმეტეს ჰატივშია საეჩი, ვიდრე სახარავი. თუმცა ატმით აქაურობა სავსეა, მაგრამ მას სწამთროდ არ ახმობენ. არ ახმობენ ლელსაც (ლეღვს), აგრეთვე ჭერამს, აღუბაღს (დიღბაღს); წაბლს ინახვენ ისე საჭმელად, ჭარიდგან კი, საცა წაბლის ტყეპია ზოგიერთ ღელეში, ურმებით გააქვთ გასასყიდად სიღბაღს, თელავს და ტფილისს.

კაკალი იზრდება მდლად დიდ ხედ. მისი ნყოფი მოყვანილობით მრგვალია, მოგრძო, მომრგვალო; სიმაგრით—თხელ-ნაქუქალაჲ, მაგარ-ნაქუქალაჲ და კირკიტაჲ; სიდიდით—სხვილი, შუათანა და წვრილი, ლებნის სინოყურით ზეთიანი და ფშიტი.

მოსავლიან წლებში თითო ხიდან 20—30 ფუთი კაკალი ჩამოდის, დიდრონ ხეებიდან კი 50—60 ფუთამდეც. რომ დაკროლოდება, ხეზე აღის მარდი კაცი გრძელ ალატით (სართხამით) და ხრის (=ბღერტავს) კაკალს, უსხარტულებს ტოტებს და დამწითლებული ნყოფი გრიალით ცვივა ძირს. უმაწვილები და ღელაკაცები აგროვებენ და მერე სხდებიან და წენგოიანს კანს აცლიან, აშრობენ და აურზე ინახვენ, ან გოდრებში საღმე ხმელ ადგილას, რომ არ დაუბაღს.

შემოდგომასზე კაკალს ჩაქურით კერენ (ამტვრევენ), ალებენებენ და

ლებნის ზვინს ღასტზე ათხელებენ, ცეცხლზე მადლა ჰკიდებენ, აკა-
ლებენ, დინგში ნაყვენ ისე. რომ თხლეუდება. ამით ქოთნებისა და ქი-
ლებს ავსებენ და მერე ხმარობენ ღობიოს და ჭინჭრის შესანელებ-
ლად საგირცედ (სახინჯლედ) და ანუ ზეთის გამოსახდელად. ნიგვზის
ზეთი მეტად გემრიელია, სურნელთვანი, ნოყიერი. მთელს დიდმარ-
ხვაში ნიგვზი-ზეთიან ფლავს აკეთებენ. ზეთს რომ გამოხდიან, რჩე-
ბა ჭენჭა, რომელსაც აქ „გაჭინტულს“ ეძახიან. ამას ღობიოს შე-
სახავებ-შესანელებლად ხმარობენ ანუ ჰურს ატანენ.

კაკლის ხეს დაუცია აქაურობა. მის სიმრავლეს, კაცს კარდა,
ხელს უწყობს უმიზნოდ მომუშავე უვაჟ-უორანიც. ამას უუვარს კაკ-
ლის ლებანი. დაჯდება დამწიფებულს კაკლის ხეს, მოსწივეტს მის
ნაყოფს, წაიღებს შორს და მდღეიდგან ჩამოაგდებს ძირს, რომ და-
ეცეს ქვას და გატუდეს, მერე ჩამოვიდეს და შეეძცეს მაგრამ ხში-
რად ჩამოგდებული კაკალი სადმე ბუჩქის ძირას ეკარება, იქვე ფე-
სვებს იკეთებს და იზრდება.

კაკლის ხე, როგორც ვიცით, მრავალია არა თუ მარტო აქ,
არამედ იმერეთშიაც, შავი ზღვის ზირად. რომაელებმა აქედგან გაი-
ტანეს ეს მცენარე და მისი სახელი *nux-pontica* კარგად გვიჩვენ-
ებს მის თავდაპირვანდელ სამშობლოს. ლათინური *nux*-ი, რაღა თქმა
უნდა, არის იგივე მეგრული ნუზი, ქართული ნიგოზი, რომელიც
ინგილოურ ნათეს. ბრ. გამოითქმის ნუგზად (ნუგზი-ზირაჲ, წინკუ-
რენაჲ).

საბოსტნე ადგილს შემოდგომითვე კარკა ბარვენ და, თუ საა-
მისო ადგილი დიდია, ხუნენ აჩეზით. დაახლოებით მაისის 20—25-ს
იწყებენ თესვას. თესვის წინადა დაბარულ ადგილს ასუფთავებენ, გა-
მოუსადეგარ ძირკვებსა და კლერტოებს ძირობენ, ჰუერიან ანუ სწვენ,
თვით ადგილს კი იმდენ თხატად (კვალად) ჰუოფენ, რამდენიც სა-
ჭიროა დასათესად ხახვისა, ჰირზიდისა (წიწაკისა) და სხ. კვლები
(თხატები), ხშირად, 4—15 ალაბის სიგრძისა, სიგანით კი—
1—1 $\frac{1}{2}$ -ისა. კვლებ შორის მომადლებულ თირების ჩყოფება რიგ-
ზე სთესუნ სიმინდს, ხანდახან ფუეის-ღობიოსაც (კუტ ღობიოს) სთე-
სენ აქა-იქ სიმინდებთანავე. ხახვის კვლების გვერდით ჰირზიდის კვა-
ლიც ჩაჰუება, აგრეთვე კიტრისა და სახვევ ღობიოს ჯერკებიც მი-

ჭეუბიან. კიტრსა და ასხვევ ღობიოს გაბორჯდილ ჟაგებს (ჯაგებს) უუედებენ და ამას გარდა ნაზირსაც (ფურცლის ხმელ ტოტებს), რომ ადგილად აეზვიოს, აქეთ-იქით არ გადინიქოს და მალეა დაუბრკოლებლივ წავიდეს. იქვე სადმე უარფუხს, ნესეს და დასტამბოსაც თესენ, აგრეთვე გუგრას (გოგრას), ბოლოკს, ქინძს (ბლომად), ნიანურს, ტორანუტს (კამას), რეძანს, წიწმატს, ცოტადენ კამბოსტოსაც. აქ ნიგოზს აღარ ვინსენიებთ, რადგან იგი აზრიღშივე ითესება ცალკე და მისში უკვე შემოსულს ჰტლეუვენ, ჟინაზე აქვთ და იქ ინახვენ, რომ გამოშრეს.

ბოსტანს ხშირად საჯამათოდაც სთესვენ სოფლის ანლო ნათუძურებზე. სათემოდ გადახნავენ ამისთანა ადგილს, დაიყოფენ და დაითესენ უარფუხს, ნესს (ნესეს), ღესტამბოს (ჰუმშულას), აქეთ-იქით სიმინდის მარცვლებსაც გადააყრიან ხოლმე. ბოსტანი რომ შემოსვლას იწყებს (ივნ.-ივლ.), მის შუაგულ ალაგას მალეა ხეზე აკეთებენ თარვალს (ფარდულს) და იჭერენ მებოსტნეს, ე. ი. ბოსტანის უარულს, რომელიც თარვალზე ბინავდება და იქიდგან თვალ-ურს იჭერს, რომ სხვა სხვის წილში არ შევიდეს და ბოსტანი არ მოსწვივტოს და არ მიითვისოს. მებოსტნეს თოფიც აჭეს და თუ ვინმე გაჯობრდა და სხვის ადგილისკენ იწია, მებოსტნემ სამჯერ უნდა გააფრთხილოს და თუ არ დაუჯერა, უფლება აქვს, ესროლოს. აგვისტოს გასულსა და ენკენისთვის დამდეგს ბოსტანი რომ გამოილევა, მაშინ სათემო ჰურად იმართება: დანიშნულ დღეს უველა გამოვა სბოსტნეში და ვისაც სად ეპრიანება, იქ მოიკრეფს ბოსტანს და თავისს საქონელსაც მოაძოვებს. საზამთრო, ნესვი და ღესტამბოუ სხვა და სხვა ნაირი იცის, ჭებულია უფრო ქერეჭა უარფუხი. ღესტამბობა ფრიად სურნელთან მიდის ხოლმე და უმაწვილების გასართობად იკრიფება.

კიტრი შემოდის ივნისში, თუმცა წილს და ჟუჟუქებს (მასრებს) ადრევე იკეთებს და უმაწვილები არა ერთხელ დასწილავენ ხოლმე მის ჭერგას.

სიმინდს აქ მარტო საჭმელად ხმარობენ და მისი ფქვილი საჭადეთ არ იზილება.

გუგრა (გოგრა) იცის ტრიანი და ბალური. ტრიანს უშვებენ ჯაგებზე ანუ ხესა თუ ღობეზე. იქ იკეთებს გრძელ ტრიან ნაყოფს,

ისეთ გქელს და დიდ თავიანს, რომ, ხშირად, ადღზე მეტი სიგქე აქვს. ტრიან გოგრით სხვა და სხვა ნაირად სარგებლობენ: სჭამენ, როდესაც ჯერ ისევ ნორჩია: ფცქნიან, ჰქუწავენ, ცხვრის ხორცთან ერთად ხარშენ და გემრიელი საჭმელი ბურანიჲ (ბორანი) გამოდის. როდესაც განშება, მისგან აკეთებენ კოტოშებს (ღვინის ამოსავსებად), საღვინეებს, სხვა და სხვა თესლეულობის შესანახავეებს, ფიალებს და სს. ბაღურ გუგრასაც საჭმელში ხმარობენ.

ხახვი, ნიორი, ღობიო და სს. იმდენი მოჰყავთ, რომ თითონაც ჰყოფნით და ნამეტსაც სცვლიან ვუგლზე, საბლებზე, ნიჩბებზე, მატელზე, ფაფხებზე, ან და აძლევენ საფასედ მკაფავეებს, მჭედლებს, ნეხვის ბაღ-ვენახში გამტან მეგოდრე ლეკებს.

ამ ბოლო ხანებში კარტოფილის თესვაც ფეხს იკიდებს ნელა-ნელა.

III

მ ი ნ დ ო რ - ვ ე ლ ი .

მინდვრის მოსაეალი. პური. ჩალთუქი. ქერი. ფეტვი. კალო. დინ-გი. ჰენდი. სარწყავი წყალი. ციებ-ცხელების მიზეზთავანი. თრიმ-ლი. ხობობი. ფუტკარი.

საინგილოში მინდვრად თესვენ ხორბალსა და ქერს შემოდგომით და ფეტვსა და ჩალთუქს—გაზაფხულზე. ზირველისაგან აცნობენ „წმინდა ჰურს“—შოთებს, მესამისაგან ჭადს (=ლეკ. ჭატ), ჩალთუქს ნაყავენ ბრინჯად, ხოლო ქერი იხმარება სატანად. ცხენებისთვის.

ხორბალი არის სამნაირი: სარუბულდა, ყარაბულდა და გურგანა. უფრო მეტად ფასობს ზირველი.

ფეტვი იცის ორნაირი: თეთრი-ფეტვი და შავი-ფეტვი. უკანასკნელი ითესება შთიან ადგილებში და ტანს მადლა ვერ იყრის. მეორე მოდის ბარ ადგილებში, ერთხელ-ორჯელ ირწყევება და მადლა იზრდება. მისი თავთავი სხვილია და გრძელი. ითესება მაისში და შწიფდება აგვისტოში.

ჩალთუქი სამგვარია: თეთრ-წვერა, შავ-წვერა და ყვითელ-წვერა

რა. თეთრ-წვეკას უღვაშები აქვს მოთეთრო და უველაზე ადრე მწიფდება. მისი მარცვალეც თეთრია.

ხორბლისა, ქერისა და ფეტვისთვის ადგილი იხვნება ორჯულ: გარდი + გარდმო. სახალთუკედ კი მოიხვნება-რა ერთხელ, მერე ირწვევა წყლით ისე, რომ კარგად ატალახიანდეს, მერე მოაქვთ ტომრებით აუივებული (ადივებული) ჩაღთუქი, თესვენ ამ ტალახში და ფარცხვენ. კარგი მოსავალი იცის მაშინ, თუ ჩაღთუქს წყალი არ დააკლდა, ძირი მუდამ სველი ექნა ამიტომაც რომ წყალი თანაბრად მოხვდეს ჩაღთუქის უველა ნაბარტე ძირს, ადგილს კვალავენ, ჰუოფენ წვრილ-წვრილ კოხებად (გუბებებად), რომელთა სიგრძე-სიგანე 1—2 საყ. არა უმეტესია. მაგრამ მეტი წყალიც ვნებს ჩაღთუქს: უჩენს სენს „გეზანგუს“, რომლისაგან მალე ჩაღთუქი უვითლდება და ფუჭდება. ამას გარდა ჩაღთუქს ვნებს აგრეთვე მცენარე—ღორმუჯი და რომ არ დააზიანოს, ძირიანად სჭრიან და თავიანთ შესაბამელ საქონელს აჭმევენ. ჩაღთუქმა იცის აგრეთვე გაძლიანება თავთავ ამოდებად. გაძლიანება ის არის, რომ მცენარე სწრაფად იერის ტანს, ღერო არ უსქელდება და მერე თავთავს ვეღარ იმაგრებს, სუსტი ნიჯიც ძირს აწვენს და აფუჭებს. რომ არ წახდეს, დაროსულების წინად ჩაღთუქს აჭრიან წვერებს და მით ანელებენ ზრდას.

ჩაღთუქი, ფეტვი, და ქერიც ხანდახან დიდ მოსავალს იძლევიან: ერთი 15—30 და მეტსაც, ხოლო ხორბალი კი ერთი 4 - 5-ს და ხან მეტ-ნაკლებსაც.

ზურეულს თიბავენ დუღით (კბილებიან ნამკლით), მომკილს ახელეულებენ, ხელეულებს აწეობენ ხუთულებად ან ათეულებად და მერე მოაქვთ ურმებით კალოზე და დემენ ძნად. კალოები სოფლის ჰირას აქვთ სოფელელებს.

საკალოე ადგილს ჰკალავენ საკალავ ბარით და მერე შიგ აყენებენ წყალს, ატალახებენ ფარცხით და ფიცრით ასწორებენ. 2—3 დღეში ხმება კალო, შიგ შლიან ძნას და კევრებით ლეწვენ. კევრში აბმენ კამეჩებსაც, ხარებსაც და ცხენებსაც. ვიდრე გაილეწებოდეს, გაშლილ ძნას ორჯულ უჭმევენ ორთითებით და ორჯულ კალოს-ნიჩბებით. შემდეგ აგროვებენ ორ ხოვად (ხოვ—ხვავი) და ნიჩბებით ანიავებენ, მერე ხორბალს ცალკე ხოვად აგროვებენ და აცხივებენ (აც-

ხავეებზე), რომ ნამკუდი გამოიჩინეს თავ ჰურისკან. ეს ჰური ტომ-რებით იზიდება აურზე ანუ ცალკე კასრებსა და საკნებში, ნამკუდსაც ინახვენ ცალკე; ხოლო ბზეს საბზევეში ჰურთან.

ჩალთუქისა და ფეტვის გასაღწად კვერის მაგიერ იხმარება გრძელი მრგვალი მორი, რომელსაც საუღლით მოუბმენ უღელს და ხარებს აგორებინებენ გაშლილს ჩალთუქსა თუ ფეტვზე, მარცვალს აურევენებენ და ბურღოს ცალკე აგროვებენ და ინახვენ სუზამთრად. საქონელს ძალიან უყვარს ფეტვის ბურღო.

ფეტვის, ქერს და ხორბალს ფქვამენ წისქვილში, ხოლო ჩალ-თუქს ცალკე დინგში. დინგი იციან ორნაირი: ფეკის-დინგი და წელის-დინგი. წელის-დინგი დიდი მანქანაა, რომელსაც ამოძრავებს წელის მადლიდგან გადმოშვებული შადრევანი. მას 4 — 6 მკლავი აქვს ტალის სართხამით ბოლოში. მკლავები გამაგრებულია დიდ და გრძელ ზროში, რომელსაც ატრიალებს უშველებელი ფარი-ჩარხი. სართხამების სისწორივ ხელოვნურად გაკეთებული ორმოკბია, სავსე ჩალთუქით, რომელიც კარგა რომ დაინაება (გაიცეხება), მაშინ მბღერტავი მოიტანს ტაბაკს და გატაბაკავს: ბრე (ზემო კანი) გადავა ცალკე და მარცვალს დარჩება ტაბაკში. ამ ხნიდან ამ მარცვალს უკვე ეწოდება ბრინჯი და არა ჩალთუქი. დასათესად, რაღა თქმა უნდა, ბრინჯი სრულიად გამოუსადეგარია.

საჩალთუქე და საზურე ადგილები, საზოგადოდ, ჰენდებად (მისადგევრებად) დაუფილია და ისე, რომ სათესიც დაითესოს და შინაურ საქონელს საძოვარი ადგილებიც დაშთეს. ხშირად რომელიმე ჰენდი ორ-სამ წელიწადს ზედი-ზედ ითესება ჩალთუქით და მერე მას ხვნიენ საზურედ.

რადგან აქ სარწყავი წყლები ნაკლებადაა, ამიტომ ჩალთუქის ჰენდში წყალს უველა მონაწილენი თანაბრად უნაკადულებენ და რომ არაფინ არ მოიპაროს, არხის თავზე აუენებენ მერუვეს, რომელსაც ნათესების თვალ-ურთის ტერაც დავალებული აქვს ხოლმე.

ურთ-ურთის დახმარება აქ სანაქეო იციან. მკა, ჭიკოს და ფიჩხის მოჭრა-მოტანა, ჭიკოს გაჩხუტვა (გაწკვეტა), გენახის გასხლვა, აგება (შესარვა), სახლის დადგმა და სხ. ნაღით ემარჯვებათ: ხელი ხელს ბანს და ხელი მობრუნდება, ჰირს ბანსო. უოველს სოფელში

არის ამა თუ იმ ხელობის ოსტატი კაცი და რომ მიიწვიონ სას-
ტატოდ, არ შეიძლება, არ წავიდეს და არ უხელმძღვანელოს. სამ-
კლის ნაღში ხშირად ჭოროხუნასაც დააკუტუნებენ ხოლმე.

აქვე უნდა ითქვას, თუ რა ვნება და სარკებლობა მოაქვს ად-
მიანისთვის ჩაღთუქის თესვას.

ჩაღთუქის ნათესებში წყალი გუბდება დიდხანს, ისიც ზაფხულის
სიცხე-პაზანაქებაში, და ამიტომ ეს წყალი შმორდება და უშვეს სი-
მრთელისთვის მანებულ ხაშმს, რომელიც აყვადებს ახლო-მანლო სო-
ფლელებს. ამ მხრით ჩაღთუქის თესვა მანებულა და საზარალო.
მაგრამ, მეორეს მხრით, ჭობიან-ხაშმიანი ადგილი რომ ითესება
ჩაღთუქით და ირწყევა მდინარე წყლით, იგი დროს განმავლობაში
ჭკარავს ხაშმიანობას და სახორბლე ნათუქრადაც გამოიქნება ხოლმე.

თ რ ი მ ლ ი

ზარკზედ არა ნაკლებ კარგ შემოსავალს იძლევა თრიმლი (ფუ-
შელი იმერულად, რუს. раи-дерево, ლათ. Rhus Cotinus). ეს მცე-
ნარე ჩანს ხესვით დაბალი იზრდება. იმის ფოთლებს სდებოვად და
ტყავის მოსაქნელად ხმარობენ. აქ უფრო ფასიანია ათაღრის (ათაღ-
რი დიდი ტყეა ქურმუხის რიუეზედ კაკის ბოლო) თრიმლი. ათაღ-
რი სათემოა. თავის ნებაზე ვერვინ შევა შიგ და ერთ წკირსაც ვერ
მოსჭრის. მარამობისთვის დამდეგ სოფლის საზოგადოების გადა-
წვეტილებით შეკრული ათაღრი გაიხსნება და ყველანი მიესევან და-
ცულ ათაღარს. სჭრიან უწყალოდ თრიმლს, სცა ბუჩქად ამოსულა,
იმას კიდევ ჭკატყენ (სჭრიან ნამგლით), იქვე კალო-კალოდ აკო-
ვებენ, ახობენ, ჭბეკვენ და ტომრებით მოაქვთ და ბაზარში ჭყიდიან.
ფუთი თრიმლი იყიდება 1—1½ მან. ერთი კაცი დღეში 4—5
ფუთს მოჭრის ხოლმე. ამ საქმის დასაწყის-დასასრულამდე (სულ
6—7 დღე) თვითეული კაცი 30—40 მანათის თრიმლს მოჭრის.
ვაჭრები იყიდიან-რა თრიმლს, მერე აქაურსავე წყლის დინგებში
(ბრინჯის სნაე წყლის წისქვილებში) ნავენ, მტვერად ატყვენ და
მერე ჭყიდიან დაბლებზე, რომელნიც მას ხმარობენ ტყავების გამო-
საქნელად.

ხ ო ხ ო ბ ი

ხობობი საინგილოში ბევრია, ამ 20—30 წლ. წინად უფრო მეტი იყო. მას უყვარს თბილი და ჩაღიანი ადგილები. საინგილოში მისი სამეოფი არის ალაზნის პირები, ყარასავი სსზოკადლო. ზაფხულობით და შემოდგომის პირას იგი ცხოვრობს გუნდ-გუნდად, 10—20 ერთად. ზამთრობით საჭმლის გამოლევისა გამო იქსაქსება, გამოზაფხულს დედალ-მამალი ისევე ერთმანეთს ჰოულობენ. ზაფხულს მთის ძირებისკენაც მიდის, მაგრამ სამკალი რომ მოიძებნება, ისევე უბრუნდება ალაზნის და ყარასავის ჭალებს, საცა ზამთარი გაჭყავ ჩალებსა, ბარდებსა და დიჭხარში. ზამთრობით იგი იკვებება კუნელის, დიჭის, აკაის და მისთანათა კურკანტელით, ზაფხულობით კი უხვს საზრდოს ჰოებს უნებში, საცა ამისთანავე იბუდებს მისი დედალი.

ხობის ბუდე ფრიად მარტივია. სადმე უნაში ან ჩალებში, მაგრამ უეჭველად მშრალ და მზის-გულა, მისის ფიქრით, მტრის მიუდგომელ ადგილში, გაქეჭავს მიწას, მობუდავს და დასდებს 10—15 კვერცხს, რომელიც ქათმისაზე მორჩილი არ არის. დებს იწეებს ახრის გასულს და ასრულებს მისის გასულს და მერე კრუნდება. აზის კვერცხებს თითქმის განუწევეტლივ. 21-ს დღეში იჩეკებიან ხობის წიწილები. კაი კრუნობისა გამო არც ერთი კვერცხი არ ლაუდება, ასრეთი უბედურება ეწევა მხოლოდ მაშინ, თუ მეტი-მეტი ავადრიანობაა, თუ ხშირ-ხშირად გამოაფრთხო კრუნი რაიმე შიშმა, ან თუ წყალი შეუდგა ბუდეს და კვერცხები დასველა. გამოჩეკილ ზაწიებს დედა იდებს ფრთებ ქვეშ, შუშავს, აღინიერებს, მერე გამოშლის და ჰურისა და ქერის მარცვლებით ასაეხებს. პირველ ხანს წიწილებს ასხია მოყვითანო გინგლი, რომელიც თანდათან მისხაისფერდება და ხობისფრად ხდება. რა წამს ცოტა მოფერვაზდებიან, დედის მიჭეავს იგინი საეხებად. სასმელად დიდის ცივი ცვარიც ჰყოფნით ხოლმე. გამოშლის დროს დიდს სიფრთხილეს აჩენენ. ფრთებს იკრეფენ, კისრებს აუღლეფაფებენ და დედის უკან მისტიან ცქციტად. ოღნავი ხმაურობა, ჩქამი და შირალი მათ ელეთ-მელეთს გვრის: თუ ხიფათი ახლოა, დედა დაიკრინავს და ეცემა ბარდებს, შვილები იჭკე გადაცვივიან და ისე განახებობან და მიიძალებიან, თითქო აქ არაფერი

უოფილაო, თითქო ხოხობის მთელ ბუღემ კრუხ-წიწილიანად აქეთ არ შედიხაო. ხოხობი სწრაფი ფრინველია. მის გინგლიან ბარტუსაც ვერ დაიჭერ, ისე მარდად კარბის ეს ჯერ ისევ სვლიკი ქმნილება. ხოხობი მეტად ქსუა.

კრუხი არ სტოვებს შეილებს ვიდრე იგინი კარგად არ მოიზრდება, ვარადა არ იქცევიან და ვიდრე მის ბუღეს არ მიაგნებენ მომკლები. მერე კი მათთან ერთად გადაფრინავს ადგილიდამ ადგილას უხვ საზრდოს საშოვნელად. ხოხობი ძალიან მადლა არ მიფრინავს, დედამიწასთან მოკლე მანძილს იჭერს, რომ რაიმე ფათურაკის დროს სწრაფად დაეშვას და ბარდანში ჩავარდეს. იგი მეტად მსუბუქია. მტერი რომ მოულოდნელად თავს წაადგება და დამალვა აღარ შეიძლება, უცბად ტუვიასავით ავარდება მადლა და მერე ტუვიასავითვე მიტრიალდება რომელიმე მხარეს, გაჰკრავს და დგენავს თავს ტუე-ბარდანში. იგი მეტად მშობარი და მიუკარებელია. „ხოხობს, რამდენიც უნდა ჰკეპო, მანც ვერ გააშინაურებო“, ამბობენ აქ. მართლაც, აქ ჯერ არ უოფილა მაგალითი, რომ ხოხობის კვერცხიდან გამოჩეკილი წიწილა ვისმე გაეზღვევინებინოს ქათმის კრუხისთვის: ცოტა წამოიზრდება და გადიკარება. ასეთი ველური ალღო აქვს ხოხობს დაბადებითვე.

მამალი ხოხობი თავის დედლებთან ერთ უოფაშია ხოლმე: დგვრინავს, უივის თავისებურად: უიუღინწ! უიუღინწ!

ხოხობზე ნადირობენ დღისი. დაკეშილი ძაღლი გამოათხზვენს და მონადირე ჰკლავს ჰუერშივე თოფით. ან და ნუახარში გააკეთებენ კაღოს, ზედ გაჰშლიან ძნას და როდესაც დაესევა ხოხობობა, იქვე დამალული მონადირეები მიუტევენ საფანტს და ერთაშად 10—15 გაუინტრავენ. ბეგრი დაჭრილ-დაკოდილი კი იმალება და იხრცება სადმე ჩალებში. იჭერენ ცოცხლივაც: სადმე სახობო ბილიკებზე სთხრიან ორმოებს, ჰირებზე უკეთებენ ფიცრის ხაფანგებს. დაადგამს რა ხოხობი ფეხს ამ ხაფანგს, ორმოში ჩავარდება და ხაფანგის კარები ისევ ამოიხურება. ამისთანა უწყალო წუვეტა-უღეტამ ღამის მთლად ჩვენ შიაც ამოკაღოს ეს ფრინველი. ბერძენ-რომაელთა მწერლების სიტყვით, თვით კოლხიდან დაერქვაო ფაზიანი ხოხობის სიმრავლის გამო, მაგრამ რომაელებმა მალე მთლად ამოხრცეს ეს ფრინველიო. ვახუშტის სიტყვით ხოხობი მთელს საქართველოში იღის, მაგრამ უგელა-

ზე მეტი კი კახეთისა, საინგილოსა და ბორჩალოში. იმერეთსა და ქართლში ძალიან ცოტაა ხოხობი. საჭირო კია ჩვენმა ხალხმა მის გამრავლებას ხელი შეუწყოს, რადგან კაი ფასად იუილება ვეკლგან. ხორციც ხომ ფრად გემრიელი აქვს: ვის არ გაუგონია „ჩახოხობილი“!

სილამაზე ხოხობისა, მეტადრე მამლისა, ხომ ჩვენში შვენიერების ნასახად გამხდარა: „სილამაზისათვის ხოხობი თავსა წამოისვინა-ნო, მოგვეყვას ოქროს ხოხობი და მოგვიხარინაო“.

ფ უ ტ კ ა რ ი

ფუტკარი კარგულადც ბევრი იცის და თაფლს აკეთებს ტუის მუდრო ადგილას გამოფულურულს ხეში. ვინც მიაგნებს ამისთანა საფუტკრე ხეს, დაუცდის: ფუტკარი რომ შელაგდება, ფულურის ხერხელს გასჭედავს, მერე ხეს მოსჭრის, თავსაც გადაუგვეთს, ტუტებსაც წააჭრის და შინ წაიღებს და ღერეთანში, ან სადმე ღობის ძირას დასდებს, თავ-ბოლქს ამოუღებს ქვეს, რომ მიწას არ მიეხლას და არ დაღუეს მადე. მერე, ჩვეულებრივ ღამე—საცობს გამოადრობს და ფუტკარი იწეებს მუშაობას და გაძინაურდება.

ნაბარტე ფუტკარისთვის აკეთებენ გუჯებს, ერთს სდებენ გულანდ (გულ-ადმა = პირადმა) და მეორეს ზედ ასარქლებენ და შუაში-კი ფუტკარის საფულე კარს უხერტენ. ეს გუჯები (სკები) ზამთარშიაც კარეთ რჩება.

რომ უწინ თაფლი უფრო მეტი ყოფილა, სჩანს იქიდგან, რომ ზოგიერთ ღელეებს ჭჭვიან თაფლის-ღელე და აკრეთვე არის თქმულება, რომ სპარსეთის ერთი ეყენი, რომელიც აქ შემოვიდა, ისტუმრად ჯანაშვილების წინაპარმა და მას და მის დიდძალ ლაშქარს თითო ჯამი თაფლი და ოროლი შოთი მიართო, და ამისთანა სტუმრობით იხსნაო თავისი მამული დარბევა-აოხრებისაგან (იხ. ზემო კვ. 75).

თაფლით განთქმულია სოფლები ყუმი, ჭარი, ბელაქანი და სხ. აჭარის თაფლი ტუილისის ბაზარზე ცნობილია „ჭარულ“ თაფლად.

აბრეშუმის მოყვანა-მრეწველობა.

აბრეშუმის მოყვანა წინად აქ და საქართველოს სხვა კუთხეებში. პარკის ტიის არ მოყვანის მიზეზთაგანი. ტიის მომწვლენი. თესლი. მურის გამოსვლა და მისი ჰასაკები. ტოლები. კუტი. პეპლა. ფასები. ძველი და ახალი ჯიშის თესლი. ნუგანი. მანჯანიკი და მემანჯანიკე. აბრეშუმი. ყაჭი. ძაფი. განაწილება ოჯახის წულთა შორის.

წინად მთელს საქართველოში სტოდნიათ ტიის ყოფა და ამ კეთილშობილ მწერისაგან გაკეთებულ ყაჭ-ძაფის და აბრეშუმის მოხმარება. ტიის ავადმყოფობისა და სხვა და სხვა მიზეზების გამო საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში თანდათან გადავიწყნიათ ამ მწერის გაჩენა. ერთი ამ მიზეზთაგანი აღუნიშნავს ვახუშტის. იგი სწერს: ქართველები „ჭყოფენ აბრეშუმს, არამედ ქუხილის გამო ვერა მრავალს: რამეთუ სასტიკად მჭეხარებს და მის გამო მოსწყდების ტიანი“ (გეოგრ., გვ. 32). ეს ცრუ-მორწმუნება დღესაც არ გადავარდნილა: საქართველოს ზოგიერთ სოფლებში ტიას არ აჩენენ, ღმერთი ვენახებს დაგვისეტყვავსო. დღეს მარტო აქა-იქ კახეთსა, სამეგრელო-გურია-აჭარასა და საინგილოში დაშთენილა გულ-მოდგინე და ბეჯითი მრეწველობა აბრეშუმისა. მართალია, გარდა ამ ადგილებისა, კიდევ შიგა-და-შიგ საქართველოს ზოგიერთ სოფლებში მისდევენ ამ ხელობას (აბრეშუმის), მაგრამ მისდევენ არა იმიტომ, რომ კარგის თვისებისა და ბლომს გააჩინონ ყაჭ-პარკი, რომ საშინაო სახმარადაც ეუთ და გასასყიდათაც, არამედ იმიტომ, რომ საშინაოდ სახმარი ძაფი მაინც ჭჭონდეთ... შესაკერ-დასაკერავად.

მთელს საქართველოში ამ 30—40 წლის წინად იყო გავრცელებული უწინდელ დროიდგან შემოდებული პარკი. ნახვენებ წლებს აქედ კი სამეგრელოსა და საინგილოში შემოვიდა ახლის ჯიშის თესლი.

1848 წ. სამეგრელოს მთავარმა დავითმა გამოიწერა პიემონტიდამ (იტალიაში) ახალი, მთელს ევროპაში განთქმულის ტიის თე-

სლი. ამასთანავე მოიწვია შესანიშნავი მცოდნე ჭიის ხელობისა—
 გრაფი როზმარდიუკი და მისცა მას სახსარი ამ თესლის გასაგრძე-
 ლებლად მიუღეს სამთავროში. ზ. როზმარდიუკი გულმოდგინედ შე-
 უდგა ამ საქმეს. მალე ახალმა ჯურის ჭიამ სრულიად განდევნა ძვე-
 ლი ჯიშის ჭია. ~~სამეგრელოში დიამრთა მრავალი ქარხნები აბრეშუ-~~
 მის ამოსახვევად. ამ ქარხნებში მუშაობა დაიწვეს თავით მეგრულ ქა-
 ლებმა, რომელთაც მაგალითი უჩვენეს როზმარდიუკისაგან საფრან-
 კეთიდან მოყვანილ ქალებმა—მარამ და სიუზეტმა. ეს ქალები ძრიელ
 დახელოვნებულნი იყვნენ აბრეშუმის ხვევაში და მეგრულ ქალებსაც
 მათ ასწავლეს ეს საქებური საქმე. ზიემონტურის ჯიშის თესლიდამ
 ისეთი კარგი თვისების ზარკი გამოდის, რომ ერთი-ორად სჭობია
 ძველებურ ჯიშისა და ამიტომაც კარგ ფასად იუიდება. წინად სტამ-
 ბოლის ბაზარში მეგრულის აბრეშუმის ფუთი 30—40 მანათ ზევით
 არ იუილებოდა, ესლა კი, ზიემონტური თესლის შემოღების შემდეგ,
 ფუთი 90—100 მან. გადის.

ზედ-მიწვევით არაჟინ იცის, რა შემოსავალი ჰქონდა სამეგრე-
 ლოს წინად აბრეშუმიდამ. ხოლო ზიემონტურ ზარკის განხილვამ კი
 აბრეშუმეულის მრეწველობამ იმატა და ზოგიერთ წლებში მთელს სა-
 მეგრელოში 600,000 მან. აბრეშუმი გამოდიოდა, ხან მეტისაც. ბო-
 ლოს ჟამს ამ ჭიას ავადმყოფობა გაუჩნდა და ეს სასარგებლო მრე-
 წველობა, ცოტა არ იყოს, შეფერხდა და შეცოტავდა.

საინგილოში აგრეთვე უხსოვარ დროიდგან მოკიდებული აქამომ-
 დე მისდევენ ამ ხელობას. სულ 40 წელიწადი არ არის, რაც „ქარ-
 თულის“ ანუ მამა-ზაზურის ზარკის მაგიერ შემოიღეს ახალი ჯიშის
 ზარკი — იაზონურის თესლისა, რომელიც ადგილობრივ „ჯაზუნად“
 იწოდება.

მამა-ზაზურის ჭიის ზარკი იყო მსხვილი, თეთრისა და ყვითე-
 ლის ფერისა, მორგვის მსგავსი, კანი ჰქონდა ნაზი და ფომოლო,
 უხვად მოდიოდა და ჭიას ავადმყოფობაც იშვიათად ეწვეოდა ხოლმე,
 მაგრამ მის ზარკისაგან ამოხვეული აბრეშუმი იაფ ფასად იუიდე-
 ბოდა და ევროპის ბაზრებზედ სახელი გატეხილი ჰქონდა. ეს იყო
 მიზეზი, რომ „ჯაზუნმა“ სულ ორ-სამ წელიწადს სრულიად ამოაგდო
 „მამა-ზაზური“ ზარკი საინგილოდამ და მისი ადგილი თავათ დაიჭირა.

„ჯაშუნი“ წვრილი ზარკია, მწვანე ფერისა, მეტად მაგარი, რადგან სქელი კანი აქვს. მისი აბრეშუმი გამოდის სუფთა და კარგი. იუიდება უველგან კაი ფასად. ადგილობრივ ფუთი ზარკი (ნედლი) 7—20 მანათამდეა, ხმელი კი 30—70 მანათამდე იუიდება. სიძვირე და სიიაფე დამოკიდებულია სხვა და სხვა გარემოებაზედ. ხანდახან ევროპელი ფულანნი მოვაჭრენი არ მოდიან და ამის გამო ადგილობრივი ვაჭრები ჩაღის ფასად უიდულობენ ხალხის ნაჭირნახულებს: ზარკს ახმობენ ორთქლის საშრობში და ასრე ინახვენ იმ ჟამამდე, მინამ ზარკის მუშტარი არ გაჩნდება, შემდეგ თვითონ ერთი-ორად-სამად მეტად ასადებენ.

ამ ქვეყანაში, საცა დაბა და სოფლებში ბაზრებია, ვაჭრები ზარკის შემოსვლის დროს ჰქვრენ ჰირაბას ერთმანეთში, რომ უველამ მათგანმა უველგან ხალხში ილახაზარაკოს ზარკის უმაზანდობაზე, უფასობაზე, ავრცელოს ხალხში ცუდი ხმები ზარკის ნიხრზე და ამგვარ, გლეხისათვის გულსაწყუფ აშბებს, შეაჩვიონ „ხალხის უური“ იმ დრომდე, მინამ ზარკი შემოვა და მერე „ზარკის ჩამოვარდნის“ (ფასის გატეხა—შემცირება) შიშით ზარ-დაცემულ ხალხისაგან, თითქმის, მუქთად ჰხვეტონ ზარკი. ამგვარ ხრიკებითა წურბელები ზარკს ინადლებენ ფუთს (ნედლს) 7—9 მანათად. როგორც ვხედავთ, ერთი ფუთი ზარკი ერთი წყვილი საშუალო ღირსების ლაფინის ფასად ძლივს ღირებულა!!

ხალხს თვითონ სახსარი არა აქვს გაახმოს ზარკი და შეინახოს. ამას კარდა ფული ეჭირვება. ოღონდ ერთი-ორი თუმანი აიღოს ვალისა და ვახშის მოსაშორებლად, თორემ იგი იმას კი არ დაგიდევს, რომ შეინახოს ზარკი და ჰირიან მუშტარის მოსვლას შეჰუეროს.

ეს უფულობა, უილაჯობაც რომ არ იუოს, მაინც გლეხი ვერ შეინახავს ზარკს: შეიძლება შენახული ზარკი ან სინესტემ გააფუჭოს, ან თავგმა დასჭრა-დახვრიტოს, ან ქურდმა მოიპაროს. ზარკს ფაქიზად შენახვა და სათუთად მოვლა ეჭირვება და რომელ გლეხს აქვს იმდენი დრო და ისეთი მოწუბილება, რომ უველა ამას გაუძღვს. ამ მიზეზთა გამო, გლეხი არჩევს დაბალ ფასად გაჭვიდოს და ერთი ორი გროში ამ თავითვე აიღოს, მინამ შეინახოს, უცადოს ჰირიან მუშტარს,—რომელიც ხშირად წლით-წლობამდე არ ჩნდება—და ამ

მოდინში აბრეშუმის შემოსავალი სათუო, სახიფათო საგნად გახდეს...

ჯანუხს ხალხი იმიტომ უფრო დახარბდა და იმიტომ უფრო გამოემშვიდობა მამა-პაპურს ზარკსა, რომ იგი (ჯანუხი) პირველ წლებში ორს შემოსავალს იძლეოდა: ერთს აზრილ-მანისში და მეორეს— ივლისს-ავგვისტოში. მაგრამ ამ გარემოებამ კინაღამ მთელი საფურცლე ბაღები არ გადაახმო.

აჭური ბაღის არის უთუთო ფურცლის ბაღი. ამ ბაღში ფურცლის ხეები ჯარის-კაცებივით რიგ-რიგად ჩამომწკრივებულა. უფველი ხე ორ ადღზე მალაღი არ არის, უფველ ხეს განათხულის პირზე თავზე გამოტომის 10—15 ქითილა და ხრალი (წვრილი და მომსხვილო ტოტები). აზრილ-მანისის ჭიისთვის ამ ქითილებს და ხრალს გადაჭკაფვენ და ბაღის სრულიად გაშიშვლდება. ივნისში ბაღის ხელ-ახლა შემოსება ნაზისა და ნორჩის ქითილებით. ივლის-ავგვისტოს ჭიისთვის ამ ტოტებს რომ მოჭკაფვენ, ბაღის შემოდგომის სუსხებისა გამო ვეღარ ასწრობს ტოტების გამოშვებას და იარებ გაუმთელეებელი ხე ხშირად იუნიება ზამთარში და ხმება. ეს მოვლენა დროიანად შეამჩნიეს აჭურებმა და მალე მოსპეს მეორედ გაჩენა ჭიის ივლის-ავგვისტოში.

გარდა ამისა, ჯანუხს თუმცა კარგი გასავალი აქვს უფველგან, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი ძირიელ ნაზია და ავადმყოფობის ადვილად მიმდები. ზოგიერთ წლებში ისრე წუდება ეს ჭია, რომ მთელი შემოსავალი სათესლედ ძლივს ჰკმარობს. საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ჯანუხისთვის ჩვენ ხალხს ხელი ჯერ ვერ შეუწყვია. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ აქნობამდე მრავალი ინგილო თუმცა ბევრ ჭიას აჩენს, მაგრამ შემოსავალი საიმისო არ გამოდის. ზარკის გაკეთებამდის ჭია ეხოცება. ეს გარემოება ჭიის ავადმყოფობით კი არ აიხსნება, არამედ ხელ-შეუწყობლობისა გამო, რადგან იმავე წელიწადს იმისვე მეზობელს და მრავალს სხვებს ჭია არ ეხოცებათ და კარგი ზარკი მოსდით.

ამიტომაც ჯანუხის ავადმყოფობიანობისა, მისი ხელობის უცოდინარობისა და რთულის მოვლისა გამო, ბევრნი ინატრინან ისევ მამა-პაპურ ჯიშის ჭიას, რომლის გადავარდნის შემდეგ შიგადა-

შიგ ხალხში შემცირდა უკ-პარკი და აბრეშუმეული. მრავალნი დაექებენ ისევ ძველ თესვს და ვერ მოუზოგნიათ, თუმცა ამგვარი თესლი ისევ არსებობს აჭა-იქ ქართლ-კახეთში და, შეიძლება, იმერეთშიაც იყოს.

აბრეშუმის ჭიის მოვლა, ძიძობა და, თუ გნებავთ, ლალაობაც საინგილოში დედაკაცების ხელობაა, მათი აუცილებელი მოვალეობა. მთელს საქართველოშიაც, იმ თავით ამ თავამდე, საცა კი დაშთენილა ეს კეთილ-შობილური ნუკნობა (ჭიის მოყვანა), იგი უველგან დედათა სქესის ხელობათ უოფილა და არის კიდევაც. მრავალ გვარნი საქმენი გარეშე სახლის ანუ საოჯახო ბინისა: ხუნა-თესვა, საქონლის მწეესვა, ნადირობა, მტრის მოსაგერებლად ლაშქრად გასვლა და სხ. და სხ. მამაკაცს ნებას არ აძლედა შინ დარჩენილიყო დიდხანს და შინაური, საოჯახო საქმისათვის ბეჭითად მოეელო, პირ-იქით, დედანი, შინ დაშთენილნი, ზნეობითად მოვალენი იყვნენ გასძლოლოდნენ უოველგვარ საშინაო საოჯახო საქმეებს: უმწვილებისათვის უნდა მოეელოთ, თავდაპირველი სწავლა ჩუკონებინათ, ლოცვები და ხანდახან წიგნიც ესწავლებინათ, სჯემელ-სსმელსა და ჩასაცემელ-დასახურისათვის ეზრუნათ და მებრვე სხვა საქმე გაეკეთებინათ. მაშასადამე, აბრეშუმის ჭიის მეურნეობაც, რომელიც აძლედა ხალხს დიდს შეღავათს ცხოვრებისას, უნდა უოფილიყო დედათა ზრუნვის და მოღვაწეობის საგანი. ასრეც იყო და არის ეხლაც საინგილოში.

მართალია, ახლმა ცხოვრებამ მამაკაცები განთავისუფლა ერთ დიდ გარეშე საქმისაგან—ლაშქრობისაგან და მისცა შეძლება, რომ დრო, რომელსაც ჰკარგაუდნენ ბრძოლათა სარბიელზე, მოეხმარათ თავიანთ სახლ-კარ-ოჯახის მოსავლელად, მაგრამ, რადგან შინაურის საქმეების ხელი არ იცოდნენ, ეს თავისუფალი დრო ჯერ-ჯერობით სასურველად ვერ მოუხმარებიათ; შინაური საოჯახო საქმე ისევ დედაკაცებს აწევს და მათ მოვალეობად ითვლება.

რიგიანი შესწავლა ჭიის მოვლის ხელობისა შესამჩნევად ადამაღლებდა ჩვენის ქვეყნის მეურნეობას და ერსაც დიდად გაუადვილებდა ცხოვრებას. ამიტომ აქ აწერთ, თუ ინგილოები როგორ უგლიან ჭიას და როგორ მოჰყავთ აბრეშუმი.

გადის გაზაფხული, ბუნება იმოსება ათას ფერად, ჰუერი თბება.

ინგილოს დედაკაცი შეუდგნენ ჭიისთვის ზრუნვას. აზრილიდგანვე დაიწიეს სინჯვა თესლისა, რომლის ერთი მარცვალე ღამის მარცვალზე უფრო ზატარაა. ზამთარში ანუ ცივს ჰეარში ჭიის კვერცხებს უფრო ცის ფერი აქვს, თბილში კი ლურჯდება და ეს ნიშნავს, რომ ჭიის გამოსვლის დრო დადგა. ამიტომაც დედაკაცი ხშირად სინჯავენ თესლს, რომ უცბად არ გამოვიდეს მური და საზრდოს მიუცემლობისა გამო არ დაიხრცოს.

ზამთარში თესლს ინახვენ გრილს ადგილს, სხვენში, ან დერეფანში, რადგან დიდი სითბოც და დიდი უინჯაც მავნებელია მისთვის. თუ თბილა, ჭია გამოვა და თუ ცივა—გაიყინება და შიგვე თესლში მოკვდება. ხეხილი კვირტსა და კუკურს რომ გამოიტანს, მაშინ თესლს შეიტანენ სახლებში, დასდებენ ხის ხონჩებზე და სახლის ერთ კუთხეში აბოლებენ ნელ ცეცხლს და კარებსაც გამოჰქუტვენ, ხვრელებსა და სახლის ჭუჭრუტანებს გასჭედვენ, რომ ცივი ქარი არ შევიდეს. თესლის შეტანის დღიდან, სახლში ცხოვრება აღარ შეიძლება, არც ბევრი ფეხი უნდა ირეოდეს შიგ, უმაწვილებსაც ხომ სულ არ შეესვლებათ. შედის ხოლმე მარტო უფროსი დედაკაცი, რომელიც ყველაზედ შეტად დახელოვნებულია ჭიის მოვლაში და ზედმიწევნით იცის ჭიის ცხოვრება. იგი დედაბერი ხელს უწყობს ცეცხლსა, რომ მეტი ან ნაკლები არ მოუვიდეს*). ამას გარდა უოველ ცის ამარა დღეს, მზე რომ აღმოსავლეთიდან აიაშუქებს (თუ მზიანი დღეა), დედაბერი თესლს გამოიტანს გარეთ მზისთვის „ზირ საჩვენებლად“; თავის კალთაში გაშლის თესლსა, თითოეულ აურეეს სამჯერ, დაუწრუწუნებს (ვითომ, გაიღვიძეთო) და ინატრებს კარგ მოსავალს; შემდეგ ისევ სახლში შეიტანს...

ორ-სამ დღეზე მარცვლების ერთი მხარე ანუ გვერდი გაუომრალდება. ეს ჭინიშნავს, რომ მეორე დღემდე ჭია გახვრეტავს თესლის კანს და გამოვა იმ გაუომრალებულ ადგილიდან. ასრეც ხდება. მეორე დღეს დედაბერი ძლივ-ძლივობით თესლის ადგილას ამჩვენებს

*) დიდს შემწეობას მისცემდა მათ ამ შემთხვევაში თერმომეტრი, მაგრამ რადგანაც ამისი ცოდნა არა აქვთ, ჰავას ვარაუდით, გამოცდილებით ტყობულობენ და, რასაკვირველია, ხშირად სცდებიან და ზარალობენ.

ფრიად ზაწია შავ ცხოველებს, ესენი არიან ნემსის წვერის ოდენი, „ბუსუსიანი“ (ბანჯგვლიანი) მატლები, სუსტნი და უჯანთ მურები, რომელნიც დაბადების დღეს უღონობისა და უძღურობის გამო ვერას სჭამენ. მეორე დღეს კი დედაბერი ბაღჩაში მოჭკრეფავს კუკურს, ნორჩ ფოთლებს, მოიტანს, საბაღჩე საუწყავით (წაღდი) დაჭკრეფავს და ამ დარბილებულ-დაწვრილებულ საჭმელს ჭიას ფრთხილად მოაყრის. ამ დღიდან იწყობა ჭმა და ზრდა ჭიისა. დაბადების დღიდან ზარკის შექმნამდის უნდება 30—35 დღე. და ამ დროს განმავლობაში მეჭიეს უნდა ჭჭონდეს დიდი გამოცდილება, ხელფენება, რომ ჭია არ დასზარალოს ან უზომოდ მიცემულ საჭმლით, ან ჭავის მეტ-ნაკლებობით, ან და სხვა რამ მიზეზებით

მოკლე სიცოცხლე ჭიისა იყოფება ხუთ ხანად: ა) 1—7 დღე. ამ დროს ჭია შავის ფერისაა, ნაზი და სუსტი. საჭმელად ეძლევა კუკურის დაკეპილი ნორჩი ფოთლები. ხუთის ან ეჭვის დღის თავზე ჭია ძიღს მიეცემა, ესე იგი ცოტა წამოიწევეს თავს და აღარას სჭამს. ამ მდგომარეობაშია იგი ერთი ან ორი დღე, ბ) 7—14 დღეს ფერი მოფერადო უნდება. სჭამს მსხვილად დაკეპილს ფოთლებს. იძინებს; გ) 14—21 დღის განმავლობაში ფერი გაუთეთრდება. სჭამს ქითილებს, ესე იგი ჭიას დაუდებენ საჭმელად ფოთლებიანს ნორჩს ტოტებს ბაღჩისა. იძინებს; დ) 21—28 ჭია ნათელ-ფერს იღებს. აძლევენ საჭმელად ხრალებს, ფოთლიან ტოტებს. იძინებს; ე) 28—35 ჭიის კანი თხელდება, მჭვირვალ-ნარჩარი, მოყვითალო ხდება; სჭამს ხრალებს, ბოლოს ჭამს თავს ანებებს და „ჭჭმინს“ ზარკს.

ზირველ ძიღს რომ მოჩნება ჭია, ინგილოები იტყვიან „ჭია ერთისთუნ (ერთისთვინ) ამოვიდაო“; მეორეს—ორისთუნ (ორისთვინ), სამისთუნ, ოთხისთუნ, ხუთისთუნ.

ხანებად დაყოფა ჭიის მოკლე საუკუნისა ინგილოებისაგან მოგონილი არ არის. თვით მეცნიერებაში აღიარებულია ეს ხუთი ხანა, იმ განსხვავებით, რომ ზირველ ხანასთვის დადებულია 5 დღე, მეორესთვის 4, მესამე და მეოთხესთვის ეჭს-ეჭსი და მეხუთესთვის 9 დღე.

ფერის ცვლებას მეცნიერება ასრე ჭხნის: ჭიას დაბადებიდან ზარკის შექმნამდის ტანზედ აქვს ნაირნაირი კანი: შავი ეცვლება ყომა-

რალად, უომრალი თეთრად, თეთრი ნათელად, ნათელი მჭკვირვალად. ხუთ გზის ძილი აგრეთვე აღიარებულია მეცნიერებისაგან.

მაგრამ ჩვენ ისევ იმას დავუბრუნდეთ, თუ როგორ უფლიან ინგილონი ჭიას. საქმის უკეთ გასაცნობად შევიდეთ ჭიის სახლში, რომელშიაც საზოგადოდ დიდი სისუფთავე და სიფაქიზეა. რაც-კი რამ ავეჩუელობა, ჭურჭელი, ღოგინი და სხ. იყო სახლში, ესლასრულიად გამოტანილია კარეთ ან და, თუ მეჭიეს მეორე სახლიცა აქვს, ეველაფერი იქ არის გადატანილი.

ზირველ ორ ხანას სახლში ვნახავთ ჭერზე ჩამოკიდებულ ღლასტებს და ჩაფრებს, რომლებზედაც გადაშლილია საფენი და ზედ ჭიის მატლები დაცოცავენ, სჭამენ, ან ისვენებენ გამაძლარნი, — შემდეგს სამ ხანაში ვნახავთ, რომ ჩაფარ-ღლასტები აღარ არის სახლში, მათ მაგიერ ჩარიკებულან „ტოლები“, ესე იგი სახლის მიწის იატაკზე*) ჩამწკრივებულია ჭიის კვლები — ტოლ-ტოლად. ტოლების შუა მატარა ბილიკია დაშთენილი სავალ გზად, რომელიც საჭიროა ჭიის დასახედავად და მისთვის ხრალების დასაურელად. დღეში სამჯერ ხრალების დაურისა გამო ტოლები ამაღლებულია და ჭიანი მასზე თეთრად ანათებენ. აი დაუწვეს ჭიებს ფოთლიანი ხრალები. ჭიანი აცოცდნენ ფოთლებზე და ხარბად დაუწვეს ჭამა. მოელს სახლში გაისმა შრიალი და ზღვა ჭიათა შეუდგა თავის საქმეს: ჰკვრეტენ ფოთლებს გაფაცვიცებითა და გაჩქარებით, თითქო ერთმანეთს ეჯობებოიან — აბა ვინ უფრო ბევრს შესჭამსო.

ამანირად ხუთ კვირაზედ ჰაწია მატლი ხდება სისქე-სიკძით თითქმის კაცის ნეკის ოდენი და ხან უფრო გრძელიცა. ახლა იწეებს იგი ჰარკის შექმნას, მაგრამ, რომ შიგ „ნაზირში“ (ნაზირი = ნაძირალი, ე. ი. უფოთლოდ დაშთენილი ბაღის ტოტები — ხრალები) არ შექმნას ჰარკი, ტოლებს სცახვენ, ზედ ტოლებზე ცახკეს ჩაურჭობენ კარგების მსგავსად. ჭიები აღიან ცახზე, ამბენ ქსელს (ბუდეს) და შიგ ამ ბუდეში აკეთებენ ჰარკებს. ქსელი ჭიას გამოსდის მატარა ხორთუმიდამ. ქსლის ქსელზე მისაკრავად ჰირიდგან ჭიას გამოსდის წე-

*) სახლები საინგილოში მიწის პირად არის აშენებული და, რასაკვირველია, იატაკიც ბუნებრივია — დალოცვილის შავის მიწისა.

ბოს მსგავსი წვენი. სამ დღეზედ ჰარკი მზადა აქვს. უფრო ადრე დაამზადებდა, რომ წებოს გაშრობა არ იყოს საჭირო. ამიტომ ეს საკვირველი მწერი ჰარკის დასრულებამდის სამჯერ ანუ ოთხჯერ ისვენებს. ჰარკს ჰქმნის შიგნიდან, ასე რომ მუშაობას დასრულებს და თვითონაც შიგ ჰარკში მოჭეუება და კუტად იქცევა.

კუტი ერთ კვირაზედ უჭმელ-უსმელია. მერმე ტანიდან გამოუშვებს ბაღღამს (მხამიან წვეს), რომელიც სწვავს და ხვრეტავს ჰარკს და კუტი, ჰეზელად ქცეული, გამოძვრება თვის მიერვე გაკეთებულ სატუსაღოდად. მას აქვს ფეხები, ორი რქა (სქელი უღვაში) და ფრთები, აქვს თვალ-პირის ნიშნებიც. გამოსვლისასვე უმაღლესი დაცემის დედალსა შესაერთებლად უკანა ტანიდან. შერაე-ბუღნი რჩებიან ერთ ადგილას მთელი დღე და ხან მეტიც.

განშორების შემდეგ მამალ ჰეზელებს გადაჭერიან ხოლმე, დედლები კი უკანა ტანიდან სდებენ კვერცხებს (2,000—3,000-მდე მარცვალს უოველი) და დაიხრცებიან. კვერცხები ჯერ უკითელი ფერისაა, მერმე კი გაცისფერდება. აი ეს კვერცხები არის აბრეშუმის ჭიის თესლი.

ასრე გადახალისდება ხოლმე უოველი მწერი და, მამასადამე, აბრეშუმის ჭიაც: მატლი იქცევა ჭიად, ჭია--კუტად (ჰარკში), კუტი--პეპელად, ჰეზელა დაჭურის 2,000—3,000 მარცვალ თესლს (კვერცხს) და თვითონ მოკვდება.

5,000—6,000 მარცვალი ჭიის თესლი იწონს ერთ მისხალს, მამასადამე, უოველი ორი ან სამი ჰეზელა იძლევა ერთ მისხალ თესლს. და 192—288 ჰეზელა კი დაჭურის 96 მისხალს, ანუ ერთ გირვანჯა თესლს. საშუალო რიცხვით, ერთი მისხალი თესლი იძლევა 4,000 ჰარკსა. ერთი გირვანჯა კი 384,000 ჰარკსა. და რადგან სადი, მაგარი ჰარკი იწონს $\frac{1}{2}$ მისხალსა, ამიტომ ერთის მისხლის წონის თესლი აძლევს მრეწველს თითქმის 21 გირვანჯა ჰარკსა და ერთის გირვანჯის წონისა კი 2,016 გირვანჯასა ანუ 50 ფუტსა. ფუთი ჰარკი სულ უკანასკნელი რომ თუმანი ჩავაგდოთ, გამოვა, რომ ერთი გირვანჯა თესლი გააკეთებს 500 მანათის საღირაფ ჰარკს.

სამწუხაროდ, საინგილოში ისრე უხეიროდ არის დაუენებული ამ სსარკებლო მწერის მოვლის საქმე, რომ ხშირად გლეხებს სრული

ერთი გირვანქა თესლი ძლივ-ძლივობით აძლეეს 10--12 ფუტს ჰარკსა. ხანდახან კი ბევრით ამაზებდაც ნაკლებსა, მაგალითად 2—3 ფუტსა.

წინანდელი, მამა-პაპური თესლი, თურმე, უფრო მადლიანად ას-ჩუქრებდა ხალხსა, მინამ ახალი თესლი, ჯაპუნი. ეს უფრო აიხსნება იმ გარემოებით, რომ ამ თესლის შემომღებლებმა ხალხს სრულიად არ შეასწავლეს ხელობა და მოვლის წესი და რიგი, საჭირო ამ მწერის განიხა-აღზრდისათვის.

ესენი, ვითამ-და კეთილის-მოფელნი, იყვნენ ნუხელი მაჭმადიანები. ამ 30 — 40 წლის წინად მ. ი. უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ნება-დართვით ნუხში ვიღაც ფრანგებმა მოიტანეს ჯაპუნის თესლი, დაურიგეს ხალხს „სანახუროდ“, ესე იგი, მსურველს თესლი ეძლეოდა უფასოდ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ თესლის „შექმნილი“ ჰარკი შუაზედ უნდა გაეყოთ თესლის ჰატირანსა და მწარმოებელ-მომფელსა. პირველ წელიწადს ჯაპუნმა ნუხის მაზრაში კარგად დაასახუქრა ხალხიცა და, რასაკვირველია, ის ფრანგებიც. მეორე წელიწადს რამდენამე შექელმა ეს თესლი გადმოიტანეს ზაქათალის მაზრაშიცა და აქ აგრეთვე „სანახუროდ“ დაურიგეს. ესენი ძრიელ აქებდნენ ამ თესლსა და ხალხს არწმუნებდნენ, „ჯაპუნი“ დიდს სარგებლობას მოგცემთ და დღეიდგან შეიქმნება ერთ უმთავრესს წყაროდ ცხოვრებისაო.

ამისთანა იმედებმა და გაზვიადებულმა დაპირებამ საგრძობელად შეარყია მამა-პაპურის თესლის სარგებლობის აზრი. როგორც ამერიკის აღმოსავლეთის დროს მთელი ევროპა—ოქროს შოვნის იმედით წახალისებული და მადა-გაღვიძებული, მიაწვდა ამ ახალსა და უცნობს ქვეყანას და დაეძებდა ოქროთი სავსე კალიფორნიას, ისრე მოუვიდათ ინგილოებსაც. ვუვლანი მიაწვდნენ ჯაპუნის შემომღებლებს: ზოგი მამა-სისხლად ჰქვიდულობდა, ზოგი სანახუროდ იღებდა თესლსა. შექელნი ორი-სამი წლის განმავლობაში ამტკიცებდნენ, რომ მხოლოდ მათგან ნაუდი თესლი არის ნამდვილი „ჯაპუნი“ და მხოლოდ მათ მიერ გამოყვანილ ჰეველას შეუძლიან კარგი თესლი დაჭეროს. უმეტარი ხალხიც უჯერებდა მათ, და ამიტომ, წარმოსადგე-

ნია, თუ რამდენ ზედმეტ ზარკს გაიტანდნენ ეს წურბელანი ამ ქვე-
ყნიდან

მაგრამ, მადლობა ღმერთს, ამ დროიდან აქამომდე სკოლებისა,
თუ ნასწავლ კაცების გამრავლების გამო ჩვენი ხალხი ცოტა არ იყოს
გამოფხიზლდა და ისეთი ამაღლარი (ზოლიტიკოსი) შეიქმნა, რომ
ყოველი მანქანა, კეთილის-მოთქმის ქურქით გამოცხადებული,
ეგრე რიგად ვეღარ ატუეუბსთ. მართალია, ესლაც მრავალი გაიძვერა
ჩარჩები დაწინააღმდეგენ, მაგრამ ისე ვეღარ ატუეუბენ ხალხს, როგორც
წინაა. თუ დიდმა გაჭირვებამ არ აძულა, გლეხი ვერ გაიჩქერებს (გა-
იმეტებს) თავის ნაშრომი იაფ-ფასად გაუიდოს.

მაგრამ ამ ჟამად ჩვენ არ გავაგრძელებთ საუბარს ვაჭრობაზედ,
ამის ჩვენ მოგახმართ სხვა დროს. ესლა ისევე დაგუბრუნდებით ზემო-
აღნიშნულს სასაგნოს—აბრეშუმის მრეწველობას საინგილოში.

— როგო ხართა, დე-კაცო?

— კარგა.

— ნუგან აგილია?

— ჭოგ, ოგილი.

— ადრ არ არისა, ჟან გო! *) ხეს ჟერ კუკურ კარგა არ გო-
მოჟი, სიცივეიც არის.

— რაუმ (რა) უოთ! შარსაც (შარშან) გუან ოილით. აიმი-
ბეით (იმისთვის, იმიტომ) ნუგან მოგუცდა წელს ახლა ადრ ოი-
ლით. ნონოთ (ვნახოთ) რაჲ იქნებ. ღმერთი კარის ჭირიმიე! ღმერ-
თის სახელზე, ქურმუხის საუდრისა და ჩონ (ჩვენ) კურჩუხლისა თი-
თო თარაქალ აიმიდი და სამსტოჲ დავზირებევარ.

— მადლობაჲ ღმერთს! იმის კარის ჭირიმიე, შეეწვეის ჩონე-
ბურ გაჭირებულს...

აი ნიმუში ინგილოს დედაკაცების მოკითხვა-მისაღმების ერთ-
მანერთის შესვედრის დროს ადრე გაზაფხულზე. მართალია, დედა-

*) ჟან გო, ესე იგი ჯან გოგო. გოგო უდრის ქალოს, მაგალი-
თად, დიდს დედაკაცს რომ მიჰმართავენ ხოლმე და ეტყვიან: ქალო, რო-
გორა ხარო, ქა+ჯან, ეგრე არ იქნებისო და სხ.

კაცებს სხვა მრავალი საქმეც აქვთ ამ დროს, მაგ. ბოსტნეულის თესვა, შინაურ მეწველ საქონლის წველა და დღევანდელი მრავალი სხვა, მაგრამ უოველთა სხვა საქმეთა შორის ერთ უმთავრესს საქმეთ ითვლება ნუგნობა, ამიტომ რომ ოჯახი უბოსტნეულოდაც, ურძეოდაც გზას წავა, მაგრამ ნუგანი კი თუ მოუცდა, რაღა გაისტუმრებს სახელმწიფო ხარჯსა, სასკოლოსა, რილათი იუიდიან სამოსელსა, ანუ უძაფოთ რილათი შეჭკერ-დაჭკერვენ ტან-საცმელსა, რილათი მოიქსოვენ საბნებსა და სხ. და სხ.

ნუგანი, ნუგნის აღება ჭინწხავს ჭიის მოვლას თესლის თბილს სახელში შეტანის დღიდგან მოკიდებული ვიდრე ზარკის შექმნამდის. მამასადაშე, ნუგნობა, როგორც ითქვა, გრძელდება 1—35—40 დღემდის. ჭიის თესლს რომ შეიტანს სახელში დედაბერი, ანუ ჭიის მოვლაში დაოსტატებული დედაკაცი, მაშინ ცოტაოდენს თესლს ცალკე დასდებს და დმერთს შესწირავს და თანაც შეევედრება ამ სიტყვებით: „დიდებულო დმერთო, კელ მოგუმართ (მოგვიმართ) ჭკაი ნუგან მოგეცე რაიც გაჩნდება ამ თესლით (ცალკე გადადებულის), იმ ფასით სამსტოს ვიუიდი და შენ დაგიკლავ“. ამისთანა თესლს და მისგან გამოსულს ჭიას ჭჭვიან ფარაქალი. ფარაქლებს აიღებენ ხოლმე გათხროვილ ქალების და ოჯახის წულების სახელზედაც. ქალებისა და სახლის წულების ფარაქლის ერთ-ერთ ნაწილს აჩუქებენ ხოლმე იმათ, ვის სახელზედაც იყო აღებული ფარაქალი. თუ ფარაქალის ჭია არ დაიხობა და კარგი ზარკი შეჭქმნა, მაშინ დარწმუნდებიან, რომ მისი (ფარაქალის) მოსახელე იღბლიანი უოფილა.

ნუგნის ავ-კარგიანობა დამოკიდებულია დროზედაც. საზოგადოდ მიდებულის, რომ ჭია გააღვიძო მაშინ, როდესაც მცენარე კუკურს იბამს და იჩენს, რადგან ნორჩ მატლ-ჭიას ძალიან უუვარს ნორჩი ფოთლები. თუ ფოთლები დამსხვილდა, მაშინ იგი მაგრდება და ახლად გამოსული ჭია ძნელად ჭკვრეცავს და კუჭს ვერ იძღობს და, ხშირად, ამის გამო კვდება.

საინგილოში ხშირად მცენარის დაკუერებასთან ერთად არ აჩენენ ჭიას, რადგან ზირველ სითბოს შემდეგ ხანდისხან დგება უინვა—სიტყვები და ეს ძრეულ მავნებელია ჭიისთვის. შეიძლება უინვამ სრულიად გასწვიტოს ნორჩი მწერი. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ

ზოგიერთს სრულიად შემოუა ხოლმე ჰარკი და სხვებს კი ჯერ დასაცხადი არ შეჰქმნიათ.

შევიდეთ, მკითხველო, დაცხადს სახლში, ვინაშთ იქ 2 არშინის სიმაღლე ცახის კარვები ტოლებზე. თეთრის მატლების და იმათგან დაეხებულ შრიალის მაგიერ ეხლა საჭიე სახლში დიდი სიჩუმეა. ცახები ბოლოდამ თავამდის შეჭრელებულია მწვანე, ვვითელ და თუთ ჰარკებით, რომელნიც, თუ კარკი მოსავალია, გადამულია მშენიერის კელ-მანდილებით, ესე იგი ბევრ ქსლიან ჭიებს ცახზე ჯერ გადაუბამთ ბრტყლად მრავალი ქსელი, ანუ მოუქსოვით ხელის ტოლა ხელ-სახოცი და მერმე იქვე ახლას „შეუქმნიათ“ ჰარკი, ან და ზოგიერთნი კიდევ ჰქმნიან. აი, ამ უკანასკნელთ ჯერ ვერ გაუმარებიათ ჰარკი, რომელშიც მუშა-ჭია მოკაკულა და ბეჭით ქარგალსავით განქარებით მუშაობს; ვხედავთ ჩვენ, როგორ იგი მუშაკი თავის ჰატარა ხორთუმიდამ უშვებს ქსელს და აკრავს ჰარკის ბაღს შიგნიდამ, როგორ საცოდავი საათის ენასავით განუწყვეტლივ იქნევს თავის ლამაზ თავს ეოვლის მხრისკენ და აწარმოვებს თავის ბრწინვალე საქმეს.

მესამე დღეს დაცხადის შემდეგ ნაზირა (ნაძირალს—ხრალბს) გადაჭერან, ესე იგი ცახებს ტოლებიდან დაძრობენ, ცალკე დასდგენ, ნაზირს კი გამოიტანენ გარეთ და ან ურმებით წაიღებენ და სადმე ხევში ჩაჭერან, და ან შეინახვენ ცალკე და მერმე თონეს გასახურებლად იხმარებენ. ნაზირის ქვემოთ რჩება წკლუნტი (ჭიათა განავალი, შავი ფერისა), რომელსაც აგროვებენ და ინახვენ, რადგან იგი მშენიერი სასუქია ხახვისა და სხვა ბოსტნეულისათვის. მეოთხე ან მეხუთე დღეს, თუ კარკი მოსავალია, ჰარკის საჩევი ნადი ანუ მამითადი იმართება. ნადში მოიწვევენ ხოლმე კაცებსა, დედაკაცებსა და უმარცილებს. მონადენი ძრობენ ცახებიდამ ჰარკებს, პუქას (ხეხებულ კელმანდილებს და ქსელს) აცლიან, ასუფთავებენ და ჰარკს ცალკე ინახვენ, ჰუქას ცალკე. მონადენი ლამარაკობენ, მხიარულებენ, ხანდისხან შურს უგდებენ სიმღერას რომელისამე მოხუცებულის კაცი-სას, რომელიც მღერის თათრულად, რადგან ქართული სიმღერა მაჰმადიანთა მთელთბელობის დროს სრულიად დაჭვიწვებიათ ამ ქვეუ-

ნის ქართველებს. მონადეთ უმასპინძლებიან ცხვრითა, ჰურიითა, ფლავითა და ღვინით.

ჯაზუნის გაგრძელების წინადაპირად ჰარკი ჰარკად კი არ ისუილებოდა, როგორც ეხლა, არამედ ჰარკი იხვეოდა აბრეშუმად და მხოლოდ აბრეშუმში გაჭქონდათ ბაზარზედ გასასუიდად. ეხლა კი მრავალნი ჩარჩნი არა თუ ადროვებენ ხალხს, რომ ჰარკი აბრეშუმად ახვიონ, არამედ ჰარკის შექმნამდე ბეს ურიგებენ და ჰირობას ართმევენ წინაღვე, ჰარკი ნისრზე დაგვიითეთო.

იმ მიზეზისა გამო, რომ ეხლა ჰარკი ჰარკად ისუილება და სს-ჭირთ აღარ არის აბრეშუმის ხვევა, თითქმის ყველგან მოიშალა მანჯანისკი — ის სსხილველად ფრიად სსსამოყნო შენობა, სსცა ჰარკისაგან იხვეოდა ხოლმე აბრეშუმში. იქნება ბეგრმა არ იცოდეს, რა არის მანჯანისკი. ამიტომ უადგილო არ იქნება მოფიქვანთ მოკლე აღწერა მისი.

მანჯანისკს ჰმართავენ დერეფნებში, ან და ცალკე ფარდულში, რომელიც დანიშნულია მხოლოდ აბრეშუმის სსხვევად. ამ შენობას გარშემო კედლები არა აქვს, აღბად სიგრძისა და ნიავის გულისათვის; შენობის ერთ მხარეს დადგმულია დიდი ქურა ქვისა და თიხისაგან გაკეთებული. ქურა ოთხ-კუთხიანია, სიმაღლით 1¹/₂ ალაბი, სიგანით 1 ალაბი და სიგრძით 2 ალაბი. ზემო ჰირი დარგვალებული აქვს და იქ ჩადგმულია თიანი (ქართული სპილენძის დიდი ტაშტი). თიანის ქვემოდამ ქურასა აქვს სსამი ხვრელი: სიგრძეზედ მუთფ დიდი ხვრელიდამ ხურდება ქურა შეშითა, ჰატარიდამ კი გამოდის ბოლი; გვერდზედ მუთფ ხვრელიდამ იცლება ნცარი და ნაღვერდალი. თიანის ჰირები მაგრად გალესილია, რომ ბოლი არ გამოვიდეს ქურიდამ. ქურის თავის მხრიდამ, თიანის ახლოს გაკეთებულია მემანჯანისკის დასაჯდომი. ამის მარჯვნივ, ქურისაგან 1¹/₂ ალაბის მანძილზედ, მიწაში ჩარჭობილია მაგრად ორი ბოძი, რომლებზედაც ჩამოკიდებულია სსხვევი ჩარჩნი. იგი წაავს ქართულის ურმის თვალს, იმ განსხვავებით, რომ მორგვი აქვს უფრო წვრილი და გრძელი; მორგვზედ გრძელ-გრძელი სოლები ორ რიგობად არის ჩამორიგებული მწყობრად; უფველ წვეილზედ გამაგრებულია თითო ფერსო. სოლი სულ ექვსი წვეილია. მამსადამე, ფერსოც ექვსი ცალი აქვს. მემანჯანისკის

მხრით ჩარხის მორგვზედ მიკრულია მოკუჭებულნი რკინა; ამ რკინაზედ ერთის წვერით დანდობილია გრძელი საფეხური (კეტი), რომელიც მეორე წვერით გადის შემანჯანიკეს დასაჯდომ ქვევით. ამ ხეს ოსტატურად ფეხი რომ დააჭირო, ჩარხი დაიწეებს ტრიალს, ჩარხის ზირდაპირ ქერის თავზე, მალლა ჭერში გამკგრებულა უფარ გაურილი ორი მასრა (სასაფო კოჭი), უფარზედ კარაქია წასმული, რომ კოჭებმა სწრაფად და თავისუფლად იტრიალონ. ეს არის შენებულება მანჯანიკისა. ესლა ვთქვით თვით ხევეაზედ.

აი შემანჯანიკეს ამხანაგმა დილის რიჟაყზედვე თიანში ნახეურამდის სუფთა წყალი ჩაასხა, ქერა გამოწმინდა და შიგ ცეცხლი გააჩინა. მერე დაგვა და დასუფთავა იქაურობა. დასახლისმა ან იმავე შემანჯანიკეს ამხანაგმა მოიტანა ერთი ცხრილი ჰარკი, რომელიდამაც გამოვა ნახევარი ნობათი აბრეშუმი. ცხრილი ჰარკით დასდო მანჯანიკეზე, თიანის ახლოს. ამასობაში ავიდა შემანჯანიკე და დაჯდა თავის ადგილას. გასინჯა წულის ჰავა, შეატეო რომ წყალი ჯერ ისევე გრილია და ჩაურა თიანში მოტანილი ჰარკის ნახევარი. მარჯვენა ხელში უჭირავს ნამგალივით მოკაკული კაკლის ტოტისაგან გაკეთებული მრგვალი ყაში (მოსასმელი), რომელიც მარჯვენა ხელში უჭერია შემანჯანიკეს და ხშირ-ხშირად და მსუბუქად უსამს და სცემს ჰარკებს, რომ იგინი კარგა დასველდნენ და ძაფი გამოეშვან. აი ხუთიოდე წამს ატრიალა, უსვა ჰარკებს შემანჯანიკემ მოსასმელი, ამასობაში წყალიც ადუღდა. შემანჯანიკემ მარდად წაუსო ყაში ჰარკებს, ამოსწია და მარდად მარცხენა ხელით ჩაჭკრა ყაშისა, უცბად ყაშიზედ ქსელით გადახლართულნი ჰარკნი ჩეკიდნენ და ჩაცვივდნენ თიანში. შემანჯანიკესაც ეს უნდოდა. ჰარკის ქსლის წვერები მარდად გამოაძრო შემანჯანიკემ ყაშიდამ, ასწია, გადახლართა უფარ-გაურილ მასრაზე, მერე გადიტანა და ქსლის წვერი მოაბა ჩარხის ერთ ფერსოსა, დააჭირა მარჯვენა ფეხი აღნიშნულს საფეხურს (კეტს) და სწრაფად დაატრიალა ჩარხი. წრრ... წრრ, წრრ... წრრ! ტრიალებენ მასრები, ქსელ გამოშვებული ჰარკები დასტიან წულში; რამდენიმე ჰარკის ქსელი, ძაფად ქცეული, მასრებიდამ გადადის ჩარხზედ და ეხვევა ზედ. შემანჯანიკე კი უსამს ყაშისა, ატრიალებს ჰარკებს და აბამს ძაფს მეორე მასრაზედაც და

ჩარხზედ ორ შუალედ ახვევს სუფთა, ნაზს, ევითელს და თეთრს აბრეშუმსა. მემანჯანიკეს ბევრი შრომა უნდა, რომ ერთბაშად ბევრმა ჰარკმა ქსელი არ ამოუშვას, რომ აბრეშუმის ძაფი სქელი არ გამთვიდეს და არც ცოტა, რომ წვრილი არ იყოს. რომელი ჰარკიც ამოიხვევს და ქსელს აღარ უშვებს, იმას მემანჯანიკე ამოურევს უამჩს, ამოიტანს და გადაადგებს ძირს, ან ჩაადგებს სადმე ჭურჭელში. ამისთანა ამოხვეულ ჰარკის გროვას ჰქვიან ყამჩი-ბაში (უამჩხედ გამთსული).

ორ ცხრილ ჰარკს რომ ამოხვევს, მემანჯანიკე ჩამოვა დასასვენებლად და სასაშხროდ. მაგრამ ვიდრე დაისვენებდეს და ისმხრებდეს, ნახვევ აბრეშუმს გადმოიტანს ჩარხიდან, სიგრძეზედ დაჰკეცავს, წვერებს ძუძუებად შეუკრავს და ორსავე შუალეს ერთად, ერთ ნობათად გამოჰკვიანძავს. დახელაფნებულ მემანჯანიკეს უოველ დღე შეუძლიან ამოახვიოს ორი ნობათი აბრეშუმი, ანუ ერთის გირვანქა წონისა.

წინად, როგორც ვთქვით, თიაქმის უოველ მრეწველს ჰქონდა თავისი მანჯანიკი. მემანჯანიკეთ იწვევდენ ხოლმე ნუხის მაზრიდან, საცა მანჯანიკობა მრავალთა ხელობად ითვლებოდა. თუ ხსოვნა არ მდალარტობს: ექვსის თავი ერგებოდა თვით მემანჯანიკესა. ამას გარდა მემანჯანიკეინი ძრიელ ჰატიფცემულნი იყვნენ. მათ კარგად აჭმევასმევდნენ და ეფერებოდნენ, როგორც ოსტატს კაცს. მანჯანიკის მოსწობამ მემანჯანიკობაც სრულიად გააუქმა ხალხში. წვრილ მანჯანიკეობის მოსწობაზედ დიდი გავლენა ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ კაკსა, ნუხსა და ზაქათალაში ზოგიერთ ვაჭრებმა გამართეს ევროპიული სახის სახვევი მანქანები, რომელნიც ახვევენ უფრო უკეთესს აბრეშუმსა, ვიდრე სოფლის მანჯანიკი და ამიტომ სოფელში ხვეულ აბრეშუმს ისეთი გასავალი აღარ აქვს, როგორც ხსენებულს ადგილებში. და ამიტომ გლეხნი იძულებულ არიან, ხშირად, დაბალ ფასად დაუთმონ ჰარკი ჩარხებს.

ახლა ვთქვათ, თუ, რა ნაირად, საზოგადოდ, სარკებლობენ მრეწველნი აბრეშუმეულითა. ჰარკი ან აბრეშუმი ხომ ფასად ეყიდებათ, ამას გარდა ხალხს რჩება კიდევ: დომთალი, ყაჭი, პუქა და ხაიათი.

ზარკი, რომელიდამაც გამოვიდნენ სათესლე ზეზელები, გამოიხარება საზნში, გათეთრდება თოვლივით—და ეს არის ღომთალი. ამას გასწეწვენ და დართავენ წმინდა კელად (ძაფი). ამ ძაფს მრავალ-ფერად შეღებვენ და მერმე დაჭქსოვენ ფერად-ფერად, ჭრელ-ჭრელ საზნიკებს საზნისას, აგრეთვე ტოლალებს (პაჭის მავიერ წვივებზედ შემოსაკრავი), აბკებს, და ხან საშარველ-საჩხებებსაც. აგრეთვე ღომთლის კელი იხმარება ძაფდაც. ესე ღომთალზედ მდარე ღირსებით, რადგან ცუდი, დამზალ-გაფუჭებულ ზარკებისა და უამრბისისგან არის გამოხარშული. ხმარობენ იმავე საგნებისათვის, რა საგნებისათვისაც ღომთალსა. ზუჭას ხმარობენ გამოუხარშავად. მისგან აკეთებენ თოკებსა, აპურებსა, ქსოვენ ხონჯრებსა, ზორტებსა და სხ.

აბრეშუმის შემდეგ პირველი ადგილი ღირსებით უჭირავს ხაითსა. ხაითი იხვევა მანჯანიკზე, როგორც აბრეშუმი, იმ განსხვავებით, რომ მისი ძაფი უფრო სქელია. ხაითს ახვევენ არა დაოსტატებული შემანჯანიკენი, არამედ თვით სახლის წულნიც. ხვევის შემდეგ ხაითს დასჭრიან შულოებად, რამდენსამე წვერს ხაითის ძაფს ერთმანერთზედ გადააგრებენ და მერე იხმარებენ ძაფად. ხაითს ხმარობენ შემდეგს შემთხვევამაც: ოჯახის წვერი, მეტადრე დავაშაკებული რომ კარდაიცვლება, ერთი კვანძი ხაითი მინც უნდა გაიტანონ მკვლარზედ.

ჩვენში დიდრონი, მრავალ-წვეროვანი ოჯახნი ისევ ხშირია. ყოველი წვერი მამათ სქესისა: ძმები, ბიძები, ბიძაშვილები და სხ. თანაწორად მონაწილენი და მოსაკუთრენი არიან ოჯახის მთელის წლიურის შემოსავლისა. თუ ქვრივი დედაკაცია ოჯახში, შვილიანი ან უშვილო—სულ ერთია, იმასაც ისეთივე წილი აქვს საერთო შემოსავალში, როგორც ყოველ წვერს მამათ სქესისას. ამ კანონს ემორჩილება აბრეშუმის შემოსავლიც. განუყოფელად რჩება მხოლოდ ზარკისა ან აბრეშუმის გაუიდვისგან შექნილი ფული, ხაითი, ღომთალი, ესე კი იყოფება ასრე: უფროსი დიასახლისი, რომლის გამგეობასა და მორჩილებასში იყოფება მთელი ოჯახის შინაური საქმეები, მთიწვევს სახლის წვერთა ცოლებს და მათთან ერთად თანაწორად, წვერთა რიცხვის მიხედვით, გაჭყოფს ყოველივეს, რომ მიდგომილება, ან სინარბე არ შესწამონ უმცროსებმა, უფროსი დიასახლისი ყველა

ნაწილს ასწონს, გაათანასწორებს და უგუელს ჩაბარებს ხვედრს. თუ რომელიმე წვერი უცოლოა, იმის ნაწილს აიღებს თვითონ დიასახლისი, როგორც მზრუნველი და მომვლელი იმ უცოლო წვერისაც, ან ჩაბარებს იმ დიასახლისს, რომელსაც უკისრნია აღნიშნულის ჰირის მზრუნველობა: საცმელ-საცვეთის შუკერ-დაკერვა, სუფთად შენახვა. კამა ქალ კაცს დაამშენებს, აწვარავ—გაათესებელიებსო.

უ

შინაური ყოფა-ცხოვრება

(დაბადებიდგან სიკვდილამდე).

1. შობა და აღზრდა.

შობა. მშობიარე. ორმოცის გაყვანა. ბებიის სარგო. ნანა. მარილის შემოვლება. აკვანი და ლალუე. ბერობა. „ზეათი ქნა“. სახელი. გვარები. სავაზირო. საგარეო მუშაობის დაწყობა.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს.

— შენ ცოლ დაწოდილავ ჭუა?*)

— ჭოე.

— შულ ჭყავავ, მართალია?

— მართალი.

— მაშ მოგილოცავ, ღმერთმა გაზარდოს...

ამ სიტყვებით მიეგუებიან ხოლმე ტოლ-ამხანაგები ვაჟის მამას. შულს (შვილს) საინგილოში მხოლოდ ვაჟს უწოდებენ და ქალი-შვილს კი ქალს. ცოლი რომ ლოცინად დაწვევა, ქმარი იმ დროს შინ არ უნდა დაესწროს. თუ როგორმე შინ მოჭნდა, უნდა წაკიდეს სხვაგან, გაეტადოს ოჯახს. ადამი და ჩვეულება ნებას არ აძლევს,

*) შენს ცოლს მოულოცინიაო, ჰო?

რომ დედ-მამას დაენახოს: სირცხვილიაო. ახალგაზდა კაცს ჰირველად რომ დაუწევს ცოლი ღოგინად, უფრო მაშინ უნდა მოერიდოს დედ-მამას, იმორცხვოს, და თუ როგორმე დაესწრო ოჯახში ახალ დაბადებულზე ლაპარაკს, ან უნდა ადგეს, გაეცალოს იჭურობას, ან თავი ჩაჰკლუნოს, შეუღლი შეიკრას და უური მთარიდოს ამგვარ საუბარს. უწინ ცოლისა და შვილის ნახვა ხომ დღიდაგან მშობიარობისა „ორმოც კასვლამდე“ არ შეიძლებოდა. ორმოცის კასვლის შემდეგაც შვილსა და ცოლს მხოლოდ ღამ-ღამობით მიუალერსებდა მამა, დღისით-კი, დედ-მამასა და უფროს და-ძმასთან, მამა ვერ გამოელაპარაკებოდა და ვერ მიუალერსებოდა თავის ახალგაზდა ცოლსა და ხორჩ შვილს.

ფეხმძიმე დედა-კაცს მუცელი რომ წამოსტეივა, ცალკე ქოხში დააბინავებენ, „დიდს სახლს“ (ოჯახის საცხოვრებელს) გააშორებენ. ვისაც ქოხი არ აქვს და მარტო „დიდი სახლი“ აქვს, ამ სახლის ერთ კუნჭულში მოამშობიარებენ, ხოლო ამ დროს მამათ სქესი უნდა გავიდეს გარეთ, რაიმე საქმეზე წავიდ-წამოვიდეს. ქოხში საქონელს ინახვენ. ერთი კუთხე ამ სახლისა ხარხივებით გაღობილი და გაუოთილია. ამ კუთხეში ორსული დედაკაცი მიწურს იატაკზე გაიშლის ჯეჯიმს და მოილოცინებს. მოსალოცინებლად მოუწოდებენ ხოლმე ბებიას, რომელიც ყველა სოფელში მოაპოვება. მოლოცინების დღიდაგან ორმოცის კასვლამდე არც ოჯახის დიასახლისი, არც სხვა ვინმე სახლის წულთაგანი და არც ნაცნობი ქოხში არ შევა, რომ არ გაუწმინდურდეს. თუ ვინცობაა დიასახლისი, ან სხვა ვინმე შევიდა მელოცინესთან, ვეღარც „ცომს მოზულავს“, ვეღარც „საკემელს ჩაჭურის“, ვეღარც „საედრებს ინახულებს“. ამიტომ ტოლ-ამხანაგი და ნათესავი დედაკაცები, რძლები და გასათხოვარი ქალები ავადმყოფის სანახულა (სანახავად) რომ მოვლენ, ქოხის კარზე ჩამოსხდებიან, მოტანილ ხორაკს კარზედგე დასდებენ, რომ მელოცინემ თავის ჯამჭურჭელში გადაიტანოს. მელოცინეს თავის სახმარი ერთი-ორი ჭურჭელი აქვს. სხვა ჭურჭლებს ქოხში არ შეიტანენ: გაუწმინდურდებაო. გაუწმინდურებულ ჭურჭელს სხვა ჭურჭელში ორმოც კასვლამდე ვერ შეურევენ და საერთო კორთხე (თარხზე) ვერ დააწობენ. აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ თუ მშობიარობა გაძნელდა და მშობიარე შეწუნდა, დიასახლისი მოიწვევს მამაკაცს, მისცემს თოფს და დააცდევინ-

ნებს: მოუშვებს მშობიარეს და გაუადვილებს შობასაო. უმაწვილი რომ იშვება, იმავე წამს ნელ-თბილის წყლით აბანებენ, ჩვრებში შესხვევენ და იქვე ნაბადზე დაწვევენ. ახალ-დაბადებულს ხშირ-ხშირად აბანებენ. წყალი უმაწვილს ძალიან რკებსო და სწრაფად ზრდისო. ორ კვირამდე ბაღლი ჩვრებსაი გახვეული, მერე აკვანში ჩაწვევენ ხოლმე.

მშობიარობიდან მოკიდებული ორმოცი დღე მშობიარემ ქახში უნდა გაატაროს. დამ-დამე უარუფს უეებებენ მას. ეს ორმოცი დღე „ორმოცეუფს“ შეადგენს და ამ დროს განმავლობაში ალი ფრად მტრობსო მელოგინეს: სულ იმის ცდაშია, რომ ავნოს დედას, დაარჩოს, ან მოჰკლას. უარუფისა კი, ვინც უნდა იუოს იგი, დიდი თუ ზატარა, აფს ძალიან ეშინიან. ამიტომაც მელოგინეს უარუფებად ხშირად უმაწვილი ქალები ან ვაჟები არიან. უუარუფოდ კი, რაც უნდა იუოს, მელოგინეს არ დასტოვებენ. ორმოცის გასვლაშიც რაც კი რამ წესია საჭირო მელოგინესთვის: ქახის დაკვადწმენდა, რეცხვა-ბანვა და სხ., უველა თითონ უნდა გააკეთოს და შეასრულოს. თუ დედაკაცი ოჯახში მარტოკაა, ხშირად ორმოცის გასვლაშიც ადარ იცდის. თუ ავად არ არის და დონე შესწევს, მესამე-მეოთხე დღესვე სტოვებს ქახს, გამოდის და სახლის უოველეგარ საქმეს თითონვე აკეთებს. ორმოცი კი ასე გაჰყავთ: მეორმოცე დღეს მელოგინე დარეცხავს თავის უველა სარეცხს, ლოგინს, იბანებს და საცმეულს გამოიცვლის. მერე გეჰაში ორმოც კოვზს წყალს ჩასხამს, შემდეგ ბლომა თბილ წყალს მიუმატებს და ჩვილს აბანებს. ამის შემდეგ ადგება და უმაწვილიანად დიდს სახლში გადასახლდება. ამ დღიდან მისთვის ხსნილია უოველი კუთხე სახლისა (ადმოსავლეთი კუთხე საოჯახო სახლისა წმინდად ითვლება და უწმინდური დედაკაცი გერ მიეკარება), ცომის მოჭედა, ჰურის გამოცხობა და სხვა უოველივე შეუძლიან. ბებიას შრომისთვის ორი ბაკანი (ჰინა) ხორბალი, ან ერთი მანეთი ეძლევა. აჭურბი ბებიები შინაურობაშივე გამოცდალნი არიან: ზოგი საკმაოდ დახელოვნებულია, ზოგი კი თუმცა ბებიასს, მაგრამ უოვლად უეიცია და არა-იშვიათად მშობიარეს წუთი-სოთუელს ასალმებს. ბოლო დროს ხასწავლი ბებიებიც გამოჩნდნენ და მათ იწვევენ.

ორსულს დედაკაცს საინგილოში არ ასვენებენ, საქმეს არ უმცირებენ, ჰირ-იქით, ბევრს ამუშავენ: ადვილად შობსო. ძუძუ-მაწო-

ვინებულ დედაკაცს კი უფრო ნაკლებ ამუშავებენ, საზოგადოდ ხელს უწყობენ, რომ შეიღიფ ადვილად გაზარდოს და საქმესაც არ მოსცდეს.

ჩვილს უგელა სახლის წულნი, ხაზა, ბებრა (დიდედა), ბიძები და სხ., უფლოლიავებენ, უაღურსებენ, ასე რომ ჩნვილი ხელით-ხელ საკოგმანებული ჰხდება. გახვინებულსა და გაანჩხლებულს უმაწვიდს ხანდახან აშინებენ: დააზინ, თუარ ტურაჲ მოგ! (დაიძინე, თორე ტურა მოვა), ხშირად კი ნანას ეუბნებიან. აქაურ ნანას ფრიად გულ-მოსაკლავი და მწუხარებით სავსე კილო აქვს. ბევრჯეჲლ მომისმენას ინგოლოური ნანა და უოგელთვის ამ ქვეუნიხს ბედშვიი წარსული თვალ-წინ წარმომდგომია: მომგონებია დრო შაჰ-ახაზისა, მთულობელობა და ბატონობა ჭარ-ბეღაქნელებისა, ელისოს სულთნისა, ლეკებისა და სხ. და სხ., ერთის სიტყვით, ის დრონი, როდესაც ძლიერსა და ხალხით სავსე ჰქრეთს მტრები სისხლის წვიმას აწვიმებდნენ, ხალხს სტეგენვიდნენ და ჟლეტავდნენ. მართალია, აქაური ნანა სიტყვებითა და შინაარსით ფრიად მარტივი და დარბილა, მაგრამ მაგიერად კილო-სა და ჰანგის მიხედვით კი თავზარ დამცემია და, როგორც ვსთქვით, მწუხარებით სავსე. ამ მცირე ლექსის ჰანგით კი ხალხს გამოუხატავს თავისი ბედშვიი უოფა-მდგომარეობა, სიმძიმე თვისის უღლისა. აი თვით სიტყვები აქაურის ნანასი, რომელსაც უფრო ბებრები დამღერაინ:

დაა-დაა, შულო, დაა!

კახტა ჟანი, დაა!

ჩემო გულო, დაა!

დააზინ, შულო, დაა!

დაა ქენ, თოლო, დაა!

შენამ შემგეველებ,

ტებილად დააზინ, დაა!

ჟანიჰ ჭირიმენ,

ვაშკაც გაკად, დაა!

ღუშინ ბევრ გეჟ, დაა!

საქმეჲ ბოლ გოქ, დაა!

შენ რუმ გააზღებ, დაა!

ხანჟალს მოგცემ, დაა!

მამულს მოუარ,

შემოამაგრ, დაა!

დაა-დაა, დაა, დაა-დაა!!!

თუ ბავშვი ნანამაც და დაშინებამაც ვერ დააძინა და უმაწვილმა ტირილს უფრო მოუმატა, ძუძუც ადარ მიიკარა, მაშინ იტყვიან „თოლ მოჰხტომი“, თვალი სცემიან და აიღებენ მცირეოდენს მარინს, ურმას თავზე შემოაფლებენ სამჯერ და ცეცხლში ჩაჭურაინ. მარინი ძლიერს ტაცანს რომ მოიღებს, იტყვიან, სწორედ თვალ-ცემული

უოფილაო. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ სინამდვილე ამ ცრუ-მარ-
წმუნეობის ბეგრს აღარა სჯერა. ბავშვი რომ ცოტათი წამოიზრდება,
ბლუნვას (ჩოჩვას) დაიწეებს, იმის შემდეგ ცოტ-ცოტაობით ვეკლავ-
ფერს ატყევენ. ღვინოსაც კი აკემებენ ხოლმე. ზაფხულში ემაწვილს
ხანდახან აკვინის მაგიერ ლაღლუში (ჭოჭინაში) აწვიენ. ჯალუს რომ
არწებენ და აქანებენ, დაა-დაა-ს მაგიერ იმავე სიტყვებით დაა-დაა-ს
დამღერაინ ზედ. შობიღვან ორმოც დღემდე ჩვილს უოფელ დღე თი-
თოჯერ აბანებენ, შემდეგ კი წლის კასვლამდე ორ დღეში ერთხელ
ემაწვილს რომ თვალი არ ეცეს, ზედ მოლის მიერ დაწერილ წიგნ-
სა—ავგაროზს, მძივსა და ღვინჭილას ჰკვიდებენ. აკვანში, ან ჯალუ-
სა და ფართადში (ლოგინში) ჩაწვინილს ბავშვს, თუ მარტო უნდა
დასტოვონ ცოტა ხნით, თავით ხაღსა ან რკინის იარაღს დაუდებენ:
მაგნე ვერ მიეკარებაო. თუ დედას შვილები არა რჩება და ეხოცება,
ღმერთს შეუთქვამს შვილის ბერობას. ბერობა მდგომარეობს იმაში,
რომ ბერად შეეენებულს ვაჟსა თუ ქალს დაბადებიდანვე თმას არ
უკრეჭენ, თეთრსა და კრძელ საცმელს აცმევენ 5—10 წლის შე-
სრულებამდე. შეიძლება მეტი ხნითაც ბერად შეთქმული ბერად დარ-
ჩეს. ეს დამოკიდებულია დედის სურვილსა და შეთქმულთაზე. ბერო-
ბა აინსნება საღმთთი. საღმთოდ სწირავენ ვერძს ანუ ეონს. საღ-
მთოს მიიუყანენ ქურმუხის წმინდა გიორგის (10 გიორგობისთვეს),
შესწირვენ ღმერთს, ვაჟსა თუ ქალს თმებს გაუკრეჭენ, და ჩითეულ-
სა თუ ფარჩეულს ჩააცმევენ. ამ დღიდან ბერად შეეენებული ბერო-
ბიდან გადამდგარია. ბავშვს როგორც რომ რაიმე ავადმყოფობა ეწვე-
ვა, ან დასუსტდება, ან თვალების ჭეუტასა და ხელების ფათურს და-
იწეებს, ინგილონი ამას ღვთის ნებას მიაწერენ: „ემაწულ ზეღთი
(ზენას ძალით) იქნაო“, „ზეღთი დაკრულაო“, ან ბასმა იქნაო.
პირველ შემთხვევაში ღმერთს საღმთოს შეჰპირდებიან, ან მოლას მო-
იყვანენ, რომ „დუვას“ დაუწეროს (ავადმყოფობა შეკრას), ან „კი-
თხავს“ აკითხვინებენ. დუვას დაწერა ერთი აბაზიდან ერთ-
თორსამ მანათამდე ღირს, ხოლო მკითხავს კი ორ-სამ შურსა
ანუ ერთ ბლუჯა ეატ-ღმთაფალს მიართმევენ ხოლმე. ბასმა ემაწვილს
ბეგრის ჭამისა და სიცივისაგან მოუვა. ბასმა ის არის, რომ ემაწვი-
ლი ტანში შეიკვრის, ფეხზე გულარ დადგება. მაშინ გულ-ადმა და-

წებენ, მოიწვევენ იმისთანა დედაკაცს, რომელსაც მარჩბივად (ერთად-
არი) უშობია, და ფეხს სამჯერ სუბუქად დაადგმევინებენ მუცელზედ.
დედაკაცი უოველ ფეხის დადგმაზე მოუწროუწუნებს, კარგა განდებო.
ბავშვი თუ დიდხანს ავადმყოფობამ არ დააგდო, წაიყვანენ ხანჯლით
მოკლეულ კაცის სამარეზედ, ახანებენ წყალში ზედ სამარეზედვე და
იქვე წელის ჭურჭელს გასტევენ: კარგა განდებო. კიდევ ბევრ გვა-
რი თავისებური წამლობა იციან. რასაკვირველია, აქ ჩვენ ყველას ვერ
ჩამოვთვლით.

რაღა თქმა უნდა, ესღა ბავშვს ქრისტიანი ინგილოები ნათლა-
ვენ და ქართულ სახელს არქმევენ. ამ რამდენიმე წლის წინად ქრი-
სტიანი ინგილოებში ისეთი ბაღდებიც იყო, რომ სამ-ოთხს წელი-
წადს გაუნათლავები იყვნენ. ემაწვილს რომ მონათლავენ, ქრისტიანე-
რივ სახელს დაარქმევენ, მაგრამ შინაობაში, ხშირად, ნათლობის სა-
ხელს ივიწებენ და ლაყაზ სახელს უწოდებენ. მაგალითად ქალებს:
სარა, ჩინაქა, დარიჯანა, ჯავარა და სხ., ვაჟებს: რუსტამა, წიკრი,
წუნკ, ყურა, ზორბა, ზურაბა და სხ. აქური გვარები კი წმინდა ქარ-
თულთა: შიოშვილი, ხუციშვილი, ბეროშვილი, თათლოშვილი, ოთა-
რაშვილი, ოქროჯანაშვილი, როსტიაშვილი, საენელაშვილი და სხ.
ფეხის ადგმა რომ გაუადვილდეს ბავშვს, სამფეხიან ურემს გაუკეთე-
ბენ. უკან ურემს ხელით დასაჭერი მოკაკელი ხე აქვს მომაკრებული.
ურემთან ბაღდს დაყენებენ, ხეს დაჭერინებენ და ურემი ნელა რო-
ნისს დაწეებს, ბავშვიც მისდევს და სიამოვნებით მიაგორებს. ამ
საკორებელის შემწეობით ბავშვი მალე ფეხს იდგამს.

შვიდი-რვა წლისა რომ შეიქმნება შვილი, დედ-მამას უკვე სკა-
მაოდ ჰშეუელის. ჯერ ამ დრომდისაც ხუთი-ექვსი წლის ბავშვი კარგ
„სავაზიროდ“ ითვლება. სავაზირო ის არის, ვინც ნაბრძნებს აღა-
სრულებს. საზოგადოდ, სახლში სავაზირონი ჰატარებენ, რძლები,
უმცროსი ძმები არიან, დამვაზირებულნი კი დედ-მამაა, უფროსი ძმე-
ბი. მკვირცხლი, მალხაზი და დედ-მამის სუეარული ბავშვი იცია,
რომელიც ნავაზირეუს მსწრაფელ შეასრულებს. ამისთანა ბავშვს არც
ცუდს სიტყვას ეტყვიან, არც აწეენინებენ. ხოლო „დავაზირებული“
თუ ნავაზირებს ნელა, უნდომლად ასრულებს, ან სრულიად არ მიდის
ნაბრძნების შესასრულებლად, დედისაგან მკვახე-მკვახე სიტყვებსა, წუე-

ვასა და ხშირად სილევისაც აიკიდებს ხოლმე. შვიდი-რვა წლის ვაჟს სწვრიონის მამა, ქალს კი — დედა. მამას შვილი ხშირად თან დაჰყავს ურემზედ, სხვა და სხვა სამუშაოზე, ან შინ ასწავლის სავაშკაცო ხე-ლობას. ბაღლი ბავშობიდანვე ეჩვევა ურმის, აჩინის და სხ. გაკეთებას. ქალს კი დედა ასწავლის ძაფის დართვას, წინდის ქსოვას, ნემსის ხმარებას და სხ. აქ, რასაკვირველია, მე იმას არ ვამბობ, რომ ვაჟი თუ ქალი შვიდი-რვა წლიდან მოკიდებული განუწყვეტილად სავაზიროს ასრულებას უნდებიან, ან სამუშაოზედ დადიან. არა, განუწყვეტილად კი არა, არამედ ხანდახან და ხშირად მაშინ, თუ ბავშვი ათათონ მოწადინებულა მუშაობას. ბევრჯერ უოფილა მაგალითი, რომ რვა-ცხრა წლის ბავშვი „ზროხის ნაბათზე“ წასულა და ასიოდე სავაშკაცი დილით საღამომდე უმწყისა. „ზროხის ნაბათი“, ანუ ნაბათი უოკელ მეკომურს დრო-გამოშვებით შეხვდება ხოლმე. ისეთი სოფლები არის, რომ მენახირე-მეძროხე არა ჰყავს. ამ შემთხვევაში მთელას სოფლის, ან, თუ სოფელი დიდა, ერთის უბნის საქონელი ერთ ნახირად გადის საძოვარზე და ამ შემთხვევაში ნახირის მწყესვა მეკომურთა შორის ჯერობით მოდის. ამ ჯერობას „ზროხის ნაბათი“ ჰქვია. ძროხის ჯერს, თუ საქონელი ნახირში ბევრია, თორთი მეკომური ხდილობს, ე. ი. ორის სახლიდან თითო კაცი მიდის საქონლის სამწყსოდ, და თუ ნახირი მცირეა — თითო მეკომური, მენობათე მოვალეა თხიზლად იუოს, ნახირს კარგად მოუაროს და დააძღოს, მაგრამ თუ საქონელი დაეკარგა, ან მოჰპარეს, მოვალე არ არის გადაიხადოს. „ზროხის ნაბათის“ ხდილობის გარდა, ურმას „უღაუებიც“ (შესამბელი საქონელი) აბარია, მამა რომ ურემს მინდვრიდან მოიტანს, ან სახნავიდან დაბრუნდება, მაშინ ურმამ უღაუები უნდა გალალოს (გარეკოს) საძოვარზედ. მკასა, სახნავის ხენასა და სხ. მძიმე საქმეს ვაჟს 13—15-ის წლიდან დააწყებინებენ ხოლმე. ამ დროსვე ვაჟსაცა და ქალსაც ნიშნავენ. იშვიათად მოჰხდება, რომ ამაზე მცირე-წლოვანები, ამ ხანზედ გადაცილებულები დანიშნონ. აკვანშივე დანიშნულთა რიცხვი ხომ თითო-ორიოდე ძლივს მოიპოვება.

2. ნიშნობა და დაქორწინების სამზადისი.

ნიშნობის წეს-ჩვეულება. მაქანკალი. მზითვეი და სხვა ხარჯები, რომელიც უნდა გადაიხადოს სანეთოს მამამ სასძლოს ოჯახის სასარგებლოდ. პატარა და დიდ ნიშნობის ხარჯები. ფარჩის ნიშანი. ქალის ქამარი. ნაზუქის შემზადება და გამოცხობა. ალვა. ჯეჯიმების მოქსოვა. ძაფის დართვა, დაფერადება-წენახვა. მატყლისა და აბრეშუმის ჯეჯიმები. ტრელები: კიჭკიჭაჟ, კიდბანა ტრელი, სავალაჟ, ექეს-ტრელიანი და სხ. საქსოვის ნაწილები: ხმალი, ქუეო, ტარი და სხ.

ოცნოდე წლის წინად არც დასანიშნს ვაჟს და არც გასათხოვარს ქალს დანიშნის შესახებ დედ-მამა არას ჰკითხავდა. დედ-მამა თავის შვილების საბედოს თვითონვე ირჩევდა. ვაჟ-ქალნი წინად, ხშირად, რამდენიმე ხნის განმავლობაში ვერც კი იტუებდნენ თავის დანიშნულის ამბავს. ხოლო ესღა და ესღა დედ-მამანი ქალისა და ვაჟის უცნობლად აღარ ჰნიშნავენ თავის შვილებს. თუ შვილის ნება არ იქნება, დედ-მამა ვერც ქალს გაათხოვებს და ვერც ვაჟს დანიშნავს. თუმცა იმის მაგალითებიც არის, რომ დედ-მამა ისევე ძველებურს წესს მისდევს და თავის უფლებას არა ჰკარგავს.

ქალის გათხოვება და ვაჟის დანიშვნა მსკეკლის (მაჭანკლის) საქმეა. უმაჭანკლოდ იშვიათად თუ საქმე გარიგდება. ქალის მაჭანკლობა ეკუთვნის ოჯახის სიძეს. ვაჟის მამა და დედა დასანიშნავ ქალის ოჯახის სიძეს წარგზავნიან ქალის დედ-მამასთან და ქალს სთხოვენ. თუ ვაჟის ოჯახი ღარიბი არ არის, საქმე მალე რიგდება, მაგრამ ისეთი შემთხვევაც არის, რომ მდიდარი მამა თავის ქალიშვილს ღარიბსაც მიათხოვებს ხოლმე. დანიშვნა ქალ-ვაჟის დიდ ხარჯს არ ითხოვს. ვაჟის მამა ქალის მამას გაუგზავნის: ერთ მანათ ფულს, ერთ კელმანდილს, ხუთ ჩაფ ღვინოს, ერთ გონს, ხილეულობას, ერთ „უკაბ ჭადვას“ (ერთ ღანგარ ალვას). ხანდახან კი დანიშვნა მარტო ხელსახოცითა და ერთი მანათით თავდება. დანიშვნა თუმცა ბევრ ხარჯს არ მოითხოვს, მაგრამ ამ დანიშვნას სხვა ხარჯები მოსდევს საქმროს მამის მხრივ. საქართველოს სხვა კუთხეებში უველეჯან ქალის ოჯახს მოკლდის დიდი ხარჯი; ხოლო აქ კი ვაჟისა. უოველი მზითვეი ქალისა, ქრთამი (ფულად) და წვრილმანი ხარჯი ვაჟის მამამ უნდა გა-

დანიხადოს და არა ქალისამ, რადგან რძლის მოყვანით ოჯახს ემატება ახალი შვილები—შუშა. ამ ხარჯს აქვე ჩამოთვლით და, როგორც მკითხველი დანიხავს, ფრიად საგრძნობელია და მძიმე გლეხისათვის.

დანიშუნას ნიშანი მოსდევს. ნიშნისათვის საქმროს მამამ უნდა დაამზადოს: ერთი კელმანდილი (ღირს 1—2—3 მანათი), ბუჭკელი (ღირს 1—2 მან.), 25 ნახუქი (ღირს 5—6 მან.), 25 შოთი (2—3 მან.), 1 უოჩი (2—3 მან.), 2 მან. ფუელი, 20 კვერცხი წითლად შეღებილი (ორი შური), 1 ხურჯინი ვაშლი (1—2 აბაზი), 1 ბაკანი წაბლი (1 აბაზი), 1 ბაკანი (მანა) თხილი (20 - 30 კან.), 1 თაფტა (2—3 მან.). ვაჟის ნათესავებისაგან დანიშნულის წილი: 20—50 კანკიამდე ფუელი. უოველსავე ამ სამზადისს ვაჟის მამა ქალის მამისას მაჭანკალს წარატანს. იქ ქალის მამა მიიწვევს თავის ახლო ნათესავებს და კარგ დროს გაატარებენ, იმ ხურჯინში, რომელითაც მაჭანკალმა ნიშნის ხორაგეული წაიღო, დაბრუნებისას საქმროს უველა ნათესავებისათვის დანიშნულ ქალმა თითო წვეილი მატულის წინდა უნდა ჩააწეოს და საქმროსას წარმოგზავნის. ამით თავდება ზირველი ნიშანი, რომელიც, უკანასკნელი რომ ვთქვათ, ღირს 25—30 მან. ამ ჰატარა ნიშნობას, რამდენისამე თვის ან წლის შემდეგ, დიდი ნიშნობა მოსდევს.

სადიდ-ნიშნოდ ქალის მამისას ვაჟის მამა წარგზავნის: ორ უბაღვას, 2 უოჩს, 20 ჩაფე ღვინოს, 50 ნახუქს, 50 შოთს, ხურჯინ ვაშლს, 1 ბაკან წაბლსა და თხილს, 50 კვერცხს, 2 მან. ფუელს, 1 თაფტას, 1 ჟუნას (კისია), 1 თავ შაქარს, ცოტაოდენ კამფეტს და აგრეთვე ნათესავებისაგან ქალს საჩუქრად მისდის: ვისგან აბაზი, ვისგან ექვსი შური, ვისგან ორი აბაზი და სხვ. დანიშნული ქალი კი იმავე ნიშნის ხურჯინში ჩააწეობს და გამოუგზავნის: საქმროს წინდება და ქალამნის შესაკრავ ბაღებს (ბაწრებს), აგრეთვე თითო წვეილ წინდას ან ბაღებს საქმროს სახლი-კაცებისთვის. დიდი ნიშანი ფუელად რომ ჩავგადოთ, უკანასკნელი ეღირება 50—60 მან. სამწუხაროდ, ხარჯი ამით არ თავდება. დიდ ნიშნის შემდეგ, ქორწილის წინა დღეებში, საქმროს მამეული ქალის მამას კიდევ უგზავნის ფარხის ნიშნს.

ფარხის ნიშნში იმის გარდა, რაც ჩამოთვლილია დიდ ნიშნში,

კიდე ეგზავნება: ჩარდათი, კელმანდილი, 7 უნაჲ (კისია), 5 ნაჭერი ფარჩაჲ*), ერთი წყვილი ბაშმაყი (მალაქ ქუსლიანი ქოშები), ვერცხლის ქამარი, ჩათრასტი, დილები, ილგა. უგელა ამ ნივთებით დანიშნულს საცემელი და სამკაული უმზადდება. ამას გარდა იმავე ფარჩის ნიშნის ნაწილს ჩაჭბაკანიც შეადგენს. ჩაჭბაკანია: 25 ბაკანი (ზინა) ხორბალი, 1 მსუქანი ხარი ან ფური, 25 ჩაფი დვინო. ჩაჭბაკანით ქალის მამა თავის ქალს გათხოვების დღეს მსუბუქ ქორწილს გადაუხდის.

აქედან ვხედავთ, რომ სინგილოში დიდს გავლენას იმარტოვავის მამა; ქალის მამა, პირიქით, სრულიად უზრუნველ-ყოფილია: იგი არა თუ ქალისთვის მზიივისა და ქრთამის შესაძენად ჩალიშობს, არამედ უოველივეს საქმროსაგან მოელის, თავის ქალის საქორწილო ხარჯსაც კი.

ზემოთ „ნიშნობის“ აღწერის დროს ჩვენ არ დავასახელებთ კიდევ მატელისა და უაჭის ძაფი, რომელიც დრო-გამომშვებით ეგზავნება დანიშნულს თავისთვის ჭეჭიშებისა, საბნებისა, წინდებისა, ტოლადებისა, აბგებისა, უოლანებისა (ცხენის გარ-საკრავი) და სხ. დასაქსოვად, ანუ დასაწნავად ქალმნის ბადებისა, მარაზისა (გრძელი და თოჩებისანი თოკი, რომელსაც სახლში გააბმენ ხოლმე და ზედ ზოგი აბგებს ჭკიდებს, ზოგი რასა და ზოგი რას) და სხ. ქალს დანიშნის დღიდან უოველ წლივ ეგზავნება ხვედრი წილი: უაჭი, დომთაღი, ხაიათი. ამ აბრეშუმეულის ძაფიდან ქალი იქსოვს ვერდნებს (საბნებს) აბგებს, ქმრისთვის ჭქსოვს ტოლადებს, ჭეჭიშებს, მარაზს და სხ.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ურიგო არ იქნება ცოტა ხანს შევჩერდეთ და ავწეროთ ზოგიერთი დასახელებული საგანთაგანი, მაგალითად, დანიშნულისათვის წარგზავნილი ქამარი, ჭეჭიშების სახეები, მათი ქსოვა, ნაზუქის ცხოზა, ალგა და სხ. და სხ.

ქალის ქამარი ფრიად განიერია, თითქმის ორი გოჯის სიგანისა. ქამარს კარკად მოქნილ ტუავისას აკეთებენ. ტუავს ზემო პირზე ორ რიგად ვერცხლის აბზიანებსა და ვერცხლისავე დუგებს უკეთე-

*) ფარჩას ინგილოები საერთოდ ჩითეულსა და ფარჩეულს უწოდებენ.

ბენ. ხანდახან კი ქამარზე აბაზიანების მაგიერ ხუთშურიანებს ჩაარიტებენ ხოლმე (უწინ ქართულს იუფლს ჰხმარობდნენ). ქამრის ბოლოებზე ხელის გულის სიგანე და სიშისხო ვერცხლისავე უაშებს (შესაკრავებს) აკეთებენ. მდიდარი კაცი თავის რძლის ქამრის უაშებს თქროთი აფერიანებს. ასეთი ქამარი ადგილობრივ ფასობს 15 მან. მოკიდებული ვიდრე 6(0) — 8(0) მანეთამდე. ქალს ქამრის გარდა ეტყავება კიდევ დილები, ილგა, უინჭირი (ტუწკვი), თუნგები, ჩაფრასტი, უოჩ ბოღნუზი. ეველა ამ ვერცხლეულს აკეთებს ზარგარი (თქრომჭედელი) თქრომჭედლებად ლეკები არიან. თუ სჯირო ნივთები ბაზარში ვერ იშოვა საქმროს მამამ, მიიწვევს თავისას ზარგარს, გააკეთებინებს ეველაფერს და ქალს გაუტყავინს. ამ დროს, ვისაც შეძლება აქვს, ვაჟსაც გაუკეთებინებს აშურმას (ვერცხლის ქამარს). ჩაფრასტი, ქამარი, ჯინჯილი, აშურმა და მათებრ ფასიანი სამკაული გადის ხმარებიდამ, რადგან ხალხის შეძლებამ იკლო ბოლო ხანებში.

ნახუქებისთვის მაგარ ცომს მოჭუელენ. ბლომა ერბოში ხახვს მოხრაკავენ, მერე ცომს დაკუნდავენ, კეტ-კეტად დააბტუელებენ და ეოგელ კეტს მოხრაკულ ხახვიან ერბოს ბლომად წაუსმენ. შემდეგ მრავალ კეტებით შემდგარ გუნდას ასტამით დააბტუელებენ და თონეში ჩაავრენ. ნახუქი (=ნახუქი) თონეში იბრაწება და შვინიერ სუნს უშვებს. საჭმელად ფრიად კემრიელია, ნოყიერი და კაცს გულს მალე უსუეებს. შოთებს ისევე აცხობენ, როგორც ეველგან საქართველოში. ამას გარდა აქ აცხობენ აგრეთვე თეთრსა და წითელ (კვერცხის გულ წასმულ) ლავაშებს.

აღვა დაფუფილ ბრინჯისა იცინან. ბრინჯს ფეხის დინგში (სანაუაშა) დანაუავენ, მერე სუფთად გარეცხავენ, თიანში ჩაჭურნიან, თაფლსაც ჩაასხმენ და მოშუშვენ, მერე ერბოსაც დაასხმენ, ისე რომ მოშუშული ბრინჯი გასქედდება, შემდეგ თიანს გადმოიდებენ და აღვა მზად არის. დამზადებულ აღვას ლანგრებსა და სინებზე გადიდებენ, ზემოდან დასტკეპნიან, რომ სახე მიეტყოს. ერთ სინს ანუ ერთ ლანგარ აღვას „უბი აღვა“ ჰქვინან.

ჭეჭიშებსა და უაჭ-დომიფალ ძაფს უაჭრაზედ (ჭარაზედ) და თიითის-ტარაზედ ართვენ (ასტვენ). ჭერ მატულს საჩიქელზე დასჩიქენ, დაჩიქილს მატულს ფაროებად დააწეობენ, მერე ამ ფაროებს ჭარაზედ,

ანუ ტარზედ დართვენ, დართულ ძაფს ორ-სამ-ათხ წვერად (ტოტად) ჭარაზედვე დაჭდახვენ, მერე დაჭხვეწენ, დაჭკიფვენ, შეჭლებვენ და ძაფი საქსოვად მომზადდება.

ძაფს თითონვე ღებვენ წითლად, მწვანედ, ყვითლად, შავად, ცის-ფერად და იის-ფერად.

წითლად ღებვა ძაფისა: ბლამა შვინდს მოჭხარშავ და იმ წონის შაბსაც დაატან შვინდს, რა წონისაც არის ძაფი. მერე ქვამში ძაფს ჩაჭერი და ბლამად ადუღებ. ძაფს ისევ ამოიღებ, მზეზედ დაჭვენავ, გააშრობ, შემდეგ იმავე ქვამში ბლამა ენდროსაც დაუმატებ და წყალში გარეცხილ ძაფს ისევ ქვამში ჩააცლებ, ადუღებ შვიდ-რვა საათის განმავლობაში. შემდეგ ქვამს გადმოიღებ, ძაფს ამოიღებ, გააშრობ და გარეცხავ, მერე ქვამში ძროხის შარდს*) ჩასხამ და იმაში ძაფს დაჭტიტბავ (ჩაჭერი და აადუღებ). ქვამი რომ წამოადუღდება, ძაფს ამოიღებ, გარეცხავ, გააშრობ და მოიხმარ.

მწვანედ: მოიღებ „სამწონე ბალახს“ (ქართულად რა ჭჭვიან, არ გიცა. ამ ბალახის სხელი არც რ. ერისთავის საბოტანიკო ლექსიკონშია მოხსენებული და არც ქართულ სხვა ლექსიკონებში). სამწონეს ჩაჭერი ქვამში და ადუღებ. ჩაჭერი აგრეთვე ძაფსაც. მთელი დღე უნდა იდუღოს. მერე დღეს ქვამიდგან ამოიღებ და ძროხის აუღუდას შარდში ამოაუღებ, მერე გაუთლილ ანწლს გაჭმლი, შიგ ძაფს ჩაწვენ და ზემოდგანაც ბლამადვე ანწლს დააური. ასე უნდა მოიქცე სამის დღის განმავლობაში, ისე კი, რომ ყოველდღე ახალ-ახალი შარდი და ანწლი უნდა იყოს.

ყვითლად: თრიმლის ღეროებს იმდენად გასთლი, რომ მარტო ყვითელი გუელი-და დარჩეს. ამ გულს წვრილად დასტკრი და დააშობ. რამდენსაც ბლამად დამზადებ თრიმლის გულს, იმდენად კარგა შეიღებება ძაფი. დამზადებულ ჩხირებს კარგა მოჭხარშავ, მერე ძაფსა და ძაფის 1/4 წონა შაბს ერთად თრიმლიან ქვამში ჩაჭერი, ცოტას ადუღებ, ისევ ძაფს ამოიღებ და ძროხის ადუღებულ შარდში დაჭტიტბავ. შემდეგ ძაფს ამოიღებ, ცივ წყალში გაჭრეცხავ და გააშრობ და ძაფი

*) ამ შემთხვევისთვის ძროხის შარდი დილა ადრეიან უნდა დაამზადონ, სხვა დროისა არ გამოადგება.

შეიღებება. ამნაირის ღებვისაგან ძათს სრული უვითელი ფერი არ ეძლევა, არამედ მოყვითალო, ამიტომაც ინგილონი ამ ფერს უვითაულს კი არ ეძახიან, არამედ კაპრაშს. სრული უვითელი ფერი ძათს ეძლევა სვიისაგან. ბლომა სვიას წყალში მოჭხარშავ, შაბსაც შეურევ, ძათსაც ქვაბში ჩაჭყერი და ადუღებ კარგა ხანს, მერე ძათს ამოიღებ და ძროხის შარდში ერთ დღის განმავლობაში დაჭტიობავ, შემდეგ დაჭრეცხავ და კარგი უვითელი ძათი დადგება.

შავად შეღებვა: თავშავას დაჭკლეჯავ ფესვიანად, ძირებს დაურეცხავ, მერე ქვაბში ბლომად ადუღებ ჟანგაროიანად, გაშავდება სრულიად, შემდეგ ძათებსაც იმავე ქვაბში ჩაჭყერი და ბლომად ადუღებ, მერე წვეს ჟანგაროიანად ცალკე მენაში ჩაასხამ, შიგ ძათსაც ჩააწვენ და ზე დაჭხურავ. ძათს მთვარემ არ უნდა დაჭკრას ფერი წაუვაო. ორ კვირაზე ძათი მენაში სრულიად გაშავდება. ამ ორის კვირის განმავლობაში ისე უნდა მოიქცე, რომ დღე-გამომშვებით ძათი მუნადამ ამოიღო, გასწურო, მზეზე გააშრო და ისევ მენაში ჩააწვინო. ასე იმიტომ შერებთან, რომ ძათი არ დაღვეს; ორის კვირის შემდეგ იმავე მენაში მეოფ წვეს აადუღებ, ძათებსაც შიგ ცოტა ხანს ჩაჭყერი, შემდეგ ამოიღებ, გაჭრეცხავ ცივ წყალში, კარგა გასწურავ და მზეზე გააშრობ. ამით დასრულდება ძათის შავად შეღებვა.

იისფერად (ისფერად) შეღებვა: კაკლის კაწახს ანუ კარწახს (წინგოს) ბლომად მოჭხარშავ და ძათსაც შიგ ჩაჭყერი. კარგა ხანს ადუღებ, მერე ქვაბს ძათიანად გადმოიღებ და ბლომად სუფთა ნაცარს შიგ ჩაჭყერი და ჯოხით დაუწეებ რევას. ნაცარი იმდენი უნდა ჩაჭყარო, რომ სულ მთლად ფათად იქცეს. ბურის რევის შემდეგ ძათს შიგ ქვაბშივე მეორე დღემდის დასტოვებ, მეორე დღეს ძათს ამოიღებ, ცივ წყალში გაჭრეცხავ, გააშრობ და ძათი მზათაა.

ამნაირად, მომეტებულად, მატყლის ძათს (ბაწარს ჩვენებურად) ჭლებავენ და უაჭ-დომფალის ძათსა და ხაიათებს კი უფრო მეტად ბაწარში ადებობენ.

სიტყვით, ძათს სულ ეჭვს ფერად ღებვენ. შეღებილს მაჭანკლის ხელით დანიშნულს უგზავნიან და სხელში თითონაც ინარჩუნებენ შინაურ საჭიროებისათვის, შესაკერ-დასაკერად. მიტანილის ძათი დანიშნული, რაგორცა ვთქვით, ჯეჯიმებსა და საბნებს იქსოვს. სულ

უნდა მოქსოვოს 8—12 ჯეჯიმი, უაჭის ორი ან სამი საბანი, 6—8 აბგა, ერთი ან ორი მარაზი, რამდენიმე წყვილი ტოლადი, წინდა, ყოლანი, ჯეჯიმების საპირე (ჭიჭიმი-პირ), ქალამნის ბადები და სხ.

ჯეჯიმებსა და საბნებს ჭრელ-ჭრელებს ჰქვსოვენ. სიჭრელისა და ფერადის მიხედვით ჯეჯიმი არის: თორჭამიანი (ბადე-ბადე, ანუ უჭრა-უჭრა), ექვს ჭრელიანი, უირს-ყინყირი (ორმოც ძეწკოვანი), ზარბაბ-ჭამიანი, ალღუი, ბეშ-ყარდაში (ხუთ-ძმოვანი), ბუღა-ბოღნუზი, გეგ-ჭამიანი (ცის-ფერი), კიდბანა-ჭრელი, თექ-ყინყირი (ერთ-ძეწკოვანი), ალაყურთი, სავალაჲ, კიჭკიჭაჲ, წონე-თანტაჲ და თეთრ-თანტაჲ, სულ 14 ნირი.

ჰქვსოვენ კმელითა. ძაფს ჯერ გააბმენ ზაღოებზე და ქუფოში გააძვრენენ, გასჭიმვენ მაგრა და საქსოვის მხრით ქუფოს სამფეხა ტატიკელაზე საბლით ჩამაბმენ. ქუფოს უკანიდგან ვარანგელა აქვს გატარებულად, წინიდგან კი კმელი მუშაობს. იქვე ზედ გაბმულ ხანაზე (საქსოვზე) ზის მქსოველი და ჰქვსოვს. მქსოველს იქვე უდევს ჩხირი ან თითის-ტარი, რომლის მოსმითაც აწეწილი ძაფი ისევ თავის ადგილას ჩადგება ხოლმე; აგრეთვე იქვეა ერთი გორგალი „შიგ-სავალაჲ“ ძაფი. მქსოველი რომ ჩაჭბუჭავს, მერე კმელს გაატარებს, უირაზე დააუენებს, რის გამო გაბმულ ხანას ზემო კეცი ძაფი მადლა წაუგა, ამ დროს „სავალაჲ“ გორგალს გაატარებს, მაგრა გასწევს და ძაფი რომ გასწორდება, მერე კმელს გადაწვენს და მაგრა ჩაჭკრავს. შემდეგ შეორედ და მესამედაც. ასე მუშაობს მქსოველი და ერთის დღის განმავლობაში ჯეჯიმს ერთ ან ერთ-ნახევარ კმლის სიგრძისა ჰქვსოვს (კმელი ერთის ადღის სიგრძისა არის), ვერღანსა და შალს ორის კმლის სიგრძისა. ჯეჯიმსა, ვერღანსა და შალს სიგანე ორ მტკაველზე მომეტებული არა აქვს, უფრო კი ნაკლებია. ყოველ ვერღნი-სა და ჯეჯიმის სიგრძე კაცზე გრძელი არ არის ხოლმე, ამიტომაც ხანას (საქსოვს) რვა „განის“ სიგრძისა აბმენ. ოთხის „განის“ ერთმანეთზე გადაკერებით ერთი ჯეჯიმი ანუ ერთი ვერღანი დგება. მაშასადამე, 12 ჯეჯიმისათვის საქსოვი ხანა უნდა გააბან ექვსჯერ და ერთხელაც ვერღნებისათვის. ჯეჯიმები რომ დაქსოვება, ახლა მათი ნაბადზე გადაკვრას სჭირრო. ნაბდებს ფეხქრებს აკებინებენ. 12 ჯეჯიმისთვის სჭირროა 12 ნაბადი და ამდენივე ცალკე დაქსოვილი „ჭი-

ჟიზი-პირები“. ჭეჭიშვიტის ნაბეჭებზე რომ გადააკვრენ, ახლა ჟიზიში-პირებს ჭეჭიშვიტის ნაბეჭებზე მიაკერებენ. მერე უოყველს ჭეჭიშვიტის ოთხად გადაჭკეტებენ და ჰქუქად (წეობად) ღამაზად დააწეობენ. ვერღანებ-საც სქელ ნაბეჭებს (ჩიგლამას) დაუდებენ, ჩიგლამას კიდევ ქვემოთდგან მთლად ჩითის პირებს მიაკერებენ.

პ. ქ ო რ წ ი ლ ი.

ქორწილი და მისთვის მზადება. ქორწილში მოპატივება. მემზანა-გობა. შემკმაზლები. საკლავები. ნუფის გამოყვანა. გატანებულები. გამოტანებულები. ფართლის მოტანა. მეკურტნე და მისი სარგო. პატარძლის მოყვანა და დახვედრა. თხილის თავზე გადაყრა. პატარძლის სახლში შეყვანა და სამ-გზის კერიის გარშემო შემოტარება. დიდი ქორწილის დღე. „შახი“. ფეხზე-დგომელი. შაბაშის დღე.

ამგვარად, დანიშნულს ქალს მზითევი ორის-სამის წლის განმავლობაში უმზადდება. მზითევი რომ დასმზადდება, ვაჟის მამა მატანკლის ზირით ზახალს (მძახალს) ეკითხება, წლეულს ქალს მძლევე, თუ არაო. მძახალიც ან ჰოს შემოუთვლის, ან არას. ხშირად ქალის მამა კიდევ ინახება, ქალს ადვილად არა სთმობს. იგი უურადლებასაც არ აქცევს საქმროს მამის ხარჯ-ხაჯალათს. მკვახე უვარზედა დგება. რატომაც არა! საქმროდამ ამდენი სჯულებ-სასმედი მოსდის და უო-ველი მზითევი ქალისა, მოიმედება, რომ ბლომა ქრთამსაც აიღებს, ქალის საქმროწინო ხარჯსაც გამოართმევს და ამას გარდა ერთის წლის განმავლობაში ქალს კიდევ თავის სახლში აშუშავებს თავის სასარკებ-ლოდ. ჩვენში ხომ კაციცა და ქალიც ძვირფას მუშად ითვლებიან. და მამა რომ უარზე დგება, უფრო ამ მუშა ხელის დათმობა ენახება. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ გვარ უღმერთო დედ-მამას, ხშირად ქალები სასტიკად სჯიან: ჩუმად გაიპარებიან საქმროსას და ჭვარს გადაიწერენ ხოლმე.

ასეა თუ ისე, ამასობაში ქორწინების დროც მოდის, დრო სავსებისა და ღვინისა, ე. ი. შემოდგომა. რთველის შემდეგ აქ ქორწინებები იმართება. ქორწინებისთვის წინა დღითვე საქმროს ოჯახი დიდ ფატა-ფუტს შეუდგება. ქორწინების ერთის კვირის წინად სახლის ჰა-

ტრონი მთიწვევს ორ-სამს ნათესავ დედაკაცებს ჰურის საცხოვრებლად. ისინი შეუდგებიან თეთრის ლაგაშის ცხობას. ქორწილის დღემდის დღეში 5—6 ცომს აცხობენ. თითონ ოჯახის ჰატრონიც სხვა თავდარიგს შეუდგება: ორსა ან სამ საქონელს იუიღის ქორწილის ხალხის სამაძინებლად, ექვსიოდუ ბათმან უველს (ბათმანში 33 გირვანქა), დაამზადებს $\frac{1}{2}$ თადარ (15 ჩათ) არაყს, ათიოდუ თადარ ღვინოს, ორმო ვაშლსა (აქ ვაშლს ორმოში ინახვენ, ორმო ვაშლი ორ-სამ ფუტს იწონს), უურძენსა, თაფლსა და ერბოც უნდა ჰქონდეს შენახული.

უველაფერს რომ დაამზადებს საქმროს მამა, წინ-დღითვე სოფელში სწადო კაცებს (ორს) გაჰგზავნის ნაცნობთა და ნათესავთა ქორწილში დასაძახებლად (მოსაწვევად). „დამზახნელები“ კარდაკარ დადიან, უველას ეზოში შევლენ, ჰირდაპირ სახლისაკენ გაეშურებიან, ხმა-ამოუღებელივ სახლში შევლენ, ცეცხლა ჰირზე (კერას ჰირში) ნაბაღზე ჩამოსხდებიან და სახლის ჰატრონს მიჰმართავენ ამ სიტყვებით:

„მავანმა (სახელი) გამოგვგზავნა, ხუალ ქორწილ აქოუ, ჟურ შენ გეზახით, სახლი ჰატრონო, მემღან შენ ზალა (თუ სახლის ჰატრონის ცოლი ძალუათ არ მოუხდება, მის სახელს იტყვიან ხოლმე), თქვენ ქუღათას, ერ მინამ (არავინ) შინ არ დარჩეს, მალაჲთ, თუ უონად (სტუმარი) უვაუ, ისიც მაჟოხით“.

სახლის ჰატრონი „დამზახნელებს“ ჰასუნად ეტყვის:

„ჰუმბარაკ (ბედნიერი იქნეს, გეზი აჲდინ (თვალ-ბედინ) იქნეს, თალაიან (იღბლიანი) იქნეს, ღმერთმა კელ-მოგომართასუ“.

ამის შემდეგ დამზახნელები ახლა სხვისას გაემართებიან და იმავე სიტყვებით მიიწვევენ უველას. ბოლო სახლში მისაწვევად რომ მივლენ, იქვე დარჩებიან ვანშმაღ.

ქორწილის წინა დღეს, საღამოს, საქმროს სახლში ნათესავებისთვის იმართება „მემზანაკეს საღამო“ ანუ „მემზანაკობა“. იურებიან ნათესავნი და სუვარელი მეკობრები და საქმროს ტოლ-ამხანაგები, შუალამედის ღვინობენ, ქეითობენ და მერე თავიანთ სახლებში მიდიან. მემზანაკობის მერე დღიდან იწება ნამდვილი ქორწილი. ამ 15—20-ის წლის წინად ქორწილი 4 - 5 დღე იცოდნენ. დღეს კი ორიოდ-სამიოდ დღესაც ქორწილი აქ მხოლოდ აქა-იქ იმარ-

აეხება და უფრო სშირად კი ერთ-ორ დღეს ღზინობენ და ამით ათავებენ ქორწილს. ჩვენ ისევე იმ ძველის დროის ქორწილს ავწერთ. ნამდვილს ქორწილს სამი სახელი ჰქვია: ჰატრა ქორწილ, დიდ ქორწილ და ფეფუე-დგომელი ქორწილ. ჰატრა ქორწილი იტან პირველს დღეს, დიდი ქორწილი—მეორეს და მესამე დღეს, ხოლო ფეფუე მდგომელთა ქორწილი—მეოთხე დღეს.

ჰატრა ქორწილის დღეს დიდიდგანვე საქმრო ცალკე ჩაიკეტება თავის „შემკამაგებით“ (მომრთველებით) და საცოლო აგრეთვე ცალკე დაბინავდება მამის რამეფსამე სახლში, ან ოთახში. ვაჟის შემკამაგად ერთს ან ორს კაცს ირჩევენ ტოლ-ამხანაგ-ნათესავთაგან, ქალის შესაკამად კი ამ გვარადვე ქალებს ირჩევენ. ქალისა და ვაჟის შემკამაგეებს ორ-ორ აბაზს აძლევენ.

ნეფუ-ჰატრადღს დილა-ადრიან წაიუვანენ ეკლესიაში და ჭვარს გადასწერენ. მაჰმადიანი ინგილოები კი რძალს სახლში მოიუვანენ და ნიქას გაუჭრიან. ჭვარ-დაწერილები თავ-თავიანთს სახლებშივე ბრუნდებიან: ნეფუ მამის სახლში და დედოფალიც თავის მამისავე სახლში. წავლენ სახლში და ისევე ცალკე ჩაიკეტებიან. ჰატრა ქორწილის სადამოსვე ერთ სახორცე საკლავს დაჰკლავენ და დილითვე საჭმლის მზადებას შეუდგებიან; ამზადებენ ხორცის წვეწვს საარაყე ქვაბებში, ცივად მოხარშულ ხორცს, კილანებში (თიხის ჰაწია ჭამია) უველს და სხ. ვინც მოფა სტუმარი, იმას არაყს დააღვეინებენ და ვაშლს, ან უურსენს მართმევენ. შემდეგ ნადარა-ზურნით ნეფუს ქოხიდგან გამოსაყვანად წავლენ. კარი გაიღება და ნეფუ, სულ მთლად ნაბადში გახვეული, მორცხვობით და ნელ-ნელა გამოვა. ნეფუ ნაბადში ისე გახვეული, რომ თვალების მეტი აღარა უჩანს რა. რაწამს ნეფუ გარეთ გამობრძანდება, მისი დედ-მამა მოვალეა შვილის წინ იშუფროს (იცუკვოს), გადაჰკოცნოს და კისერზედ კელ-მანდილი მოახვიოს. აქედგან ნადარა-ზურნის კერით ნეფუს დიდ სახლში მიიუვანენ, სუფრას გაშლიან, უველანი ჩამოსხდებიან და ღზინი გაჩადება. სტუმრებს მოართმევენ ბლამა ხორცს, წვეწვს, ლავაშს, ღვინოს კელადებით და ორსამ კაცს ერთად თითო ნაჭერ სამწვადეს, რომელიც „ხორაკის ამხანაგობამ“ თითონვე უნდა შეიწვას და შეეძტეს. მწვადის შესწვავად ხის შამფურებია დამზადებული და გარეთ ცუცხლი ანთია. სახლ-

ში იმართება დიდი ლაპარაკი, დიდი „მაშეუღათი“, სიმღერა, უყანი, ღვინის სმა, თამაშობა და სხ. სახლის პატრონი იქვე ზის, ან სტუმრებს დასტრიალებს და ვეელას აქეზებს, ვეელას სთხოვს: „ზმებო, ღუნე დაღვიოთ, ნუ გშურსე, გაიხარით“. ამასობაში გარეთ „ქენკებისთვის“ (მაურიონი ქალები) ცხენებს ამზადებენ ნეუეს ნათესავები. მაურიონში მონაწილეობას იღებს ოციოდე ქალი და შვიდი კაცი „კატანებუღი“. კატანებუღებში ერთი მაჭანკალია და ერთი კაციც ვინმე წარჩინებულთაგანი. კატანებუღებს მიაქვთ: ორი მონარული ქათამი, ერთი ჩაფი ღვინო, ორი სატუნე (ბარკლის ხორციანი ძვლები), ერთი „კლავი“ (მხარი), უახუი (ცხვრის ღორი). ამას გარდა მაურიონში მონაწილე დედაკაცებს სხვა კაცებიც მიჰყვებიან, (ყოფადრები) ცხენების ჩამოსარომევად. მაურიონში ცხენოსანნი მხოლოდ ქალებია, კაცები კი ქვეითად მიდიან. მაურიონს მიუძღვება ნაღარა-ზურნა. მამაკაცი თოფ-იარაღით არიან. აი მაურიონმაც მოატანა და დედუფლის ეზოს კარებს მოადგა. კარები დაკეტილია და იქვე მალაღ ხეზე (ალატზე) მამხალაა გაკეთებული. გრძელი ალატი მიწაში დაურჭვიათ და მის წვერზე ვაშლი გაუკეთებიათ. მაურიონს კარები გაუღება მხოლოდ მაშინ, როდესაც თოფით ვაშლს ჩამოაგდებენ. კარებს რომ გაუღებენ, ვეელანი შევლენ ეზოში, მიუღოცვენ ქორწილს დედუფლის მამას, რომელიც ვეელას მიიწვევს სუფრაზე და გამოკატანებულებს „კაცის მარაქაში“ დასხამს და ქალებს „ქალების მარაქაში“ (სუფრაზე), მცირეოდე ხანს სჭამენ-სმენ, მერე აიშლებიან, პატარძლს ცხენზე შესმენ და წამოვლენ ნაღარა-ზურნის კვრით. პატარძლის გამოსტუმრებამდე ნეფიონისას, ნეფიონის ურმითვე, მიაქვთ ქალის ფართალი (ჭეჭიშები, ვერდნები, კიდობანი და სხ.). ურემს მიჰყვება „მეკურტნე“, ქალის ნათესავი ყრმა. იმისი მოვალეობა ის არის, რომ ნეფიონისას მოტანილს პატარძლის ფართალს, ქორწილის გათავებამდე, ხელი არაფინ ახლოს. ამიტომაც იგი, სცა ფართალს დალაგებენ, იქ ახლოს უნდა იჯდეს და ყური უკლოს. კარჯისათვის იმას ერთი ახაზი უნდა მისცენ ნეფიონის სახლიდამ. პატარძლის მოსაყვანად ნეფიონის სახლიდგან იგზავნება კარგი ულაყი ცხენი, რომელსაც დედუფალმა უფრო მარაზი უნდა შეაბას. თითონ პატარძალი შემოსილია ისე, რომ სრულიად ჰირი არ უჩანს. იმას

აცვია ფარჩეულის ტანისამოსი, ახალთხედ აკერია ვერცხლის მოსართავეები, არტუია ქაშარი ილგაკი (ფართო და განიერი ძეწკვი) გულზედ ჭკილია და სხ. თავზედ ჭხურავს აბრეშუმის შავი კელმანდილი, კეც-კეცად დაკეცილი და შუბლისკენ ცხვირივით გრძლად გადმოშეერილი. ამგვარად მორთულ ჰატარძლს ზემოდგან ჩამოხურული აქვს აბრეშუმის დიდი ქალაღა. მამა ან ბიძა მორთულ ჰატარძლს შესვამს ცხენზე და გამოისტუმრებს. ჰატარძლის ცხენი მოჭყავს ჯილავდარს. ჰატარძლს იმისივე ოჯახიდან მოჭყეება მდადე (დად) და შვიდი გამოტანებული იმ გვარისავე სანოვაგით, რა გვართაც ნეფიონის გატანებულები წავიდნენ; ჰატარძლს მოიყვანენ ეზოს კარებზე. აქც მამხალაა, ხოლო ვაშლი კი არა, არამედ ცეცხლი, რომელიც მალაღ ჰალის წვერზე ანთია. გამოტანებულები ცეცხლს თათს მიარტემენ, კარები გაიღება და უველანი შევლენ ეზოში და ცხენებიდან ჩამოხტებიან. ჰატარძლს კი ჯილავდარი საოჯახო სახლის კარებზე მიიყვანს. აქ სახლის სახურავზე კიბე აუღია, რომელზედაც ნეფა ასული. ჰატარძლს რომ კიბის ძირში ჯილავდარი მიიყვანს, მეთუ ერთ ჯამ თხილს თავზე გადმოაყრის. რას ნიშნავს თხილის გადმოყრა ჰატარძალზე, არავინ იცის. შემდეგ მამამთილი მივა ცხენთან და ჰატარძლს გადმოსვამს. ჰატარძლს მხარში ამოუდგებიან მდადე ერთის მხრით და ნათესავი ქალი მეორეს მხრით და შინ შეიყვანენ. კარებზე დაუხვდება დედამთილი, აუწევს ქალაღას და ზირზე თათლს წასცხებს. მარჯვენა ხელშია ცომის ჩაუღებს და კარის თავზე მიაკვრევიანებს. მერე წაიყვანს და ფქვილის კასრებში ხელს ჩაყოფინებს. ზირზედ თათლის წაცხება ქალის სიტკბილეს, სიტკბობით დროს გატარებას ჭინიშნავს, კასრებში ხელის ჩაყოფინება—ახალ-მოსულ ჰატარძლის ხელის ბარაქას მოასწავებს. ფქვილის კასრში რომ ჰატარძალი ხელს ჩაყოფინებს, შიგ ჩაგდებს „კოკოს“ (კვერს), რომელიც მამის სახლიდან გამოატანეს. შემდეგ ჰატარძლს მიიყვანენ და კორთეში (სახლის ჩრდილოეთი კუთხე) დასმენ და მუხლებზე მცირე წლოვან ვაჟს ჩაუსმენ—ვაჟიშვილები მოგუცესო. რძლი ამ უმაწვილს ერთ წვეილ წინდას აჩუქებს. რძლის დასასვენებელი კორთე ჩარჩავით (ფარდით) გალობილია. რძლთან ახალგაზნა ქალები და მდადე სხდებიან. ფარდას ქვემოთ, კერას მარცხნივ, დედაკაცების მარჯა გამოწკრივებული, კერის

მარჯვნივ კი კაცებისა. ნუფე კაცების მარაქაში ზის. იმასთან ერთად მარჯვნივ და მარცხნივ იმისი შემკმაზელები სხედან, ლხინი, თამაში და სიმღერა კარგა შუალამედის არა სწყდება. შემდეგ კი მეზობლად მოსახლე ხალხი თავიანთ სახლებში მიდიან დასაძინებლად, შორეულები კი იქვე რჩებიან. ჰატარძალი ჰირველ ღამეს ქმართან არ იძინებს. ამ ღამეს იგი სახლის სტუმარია და ცალკე უნდა მოისვენოს ქალებთან. ხოლო მეორე და მესამე დღე დიდი ქორწილის დღეებია.

ნამდვილი ქორწილი ამ დღეებში იმართება. დიდიდანვე ეზოში გრძელ სუფრას გაშლიან, სუფრის მიუღლებაზედ ორივე მხრივ ნეჭებს დალაგებენ. მამაკაცების და დედაკაცების მარაქისთვის სუფრა ცალცალკე იშლება. სუფრას რომ დაამზადებენ, ჰატარძალს თამაშობითა და ნაღარა-ზურნით გამოიუფანენ და დედაკაცების მარაქაში ბალიშებზე დასმენ. შემდეგ ნუფესაც მამაკაცების მარაქაში დასმენ და უგელა ხალხი დალაგდება. ნუფის წინ სამს ჩხირზედ სამფეხად, „შახს“ აკეთებენ. „შახსის“ ჩხირებზე წითელი ვაშლებია ჩამორიგებული. „შახსი“ სინზედ არის დაურდნობილი. იმავე სინზედ აწყვია: შაქრის ნატყები, კვერცხები, შოთები, ლავაშები, ხორცი, ქაყამი და სხ. ნუფე ზის სუფრის შუა ადგილს. მენადარე და მეზურნე სუფრის ბოლოში სხედან. წარჩინებული და ხანში შესული ხალხი სუფრის თავს მოქცევვიან, ხოლო ახალგაზრდა და „ღარიბ-ღურბათნი“ კი სუფრის ბოლოს. ამგვარადვე სხდებიან დედაკაცები. მათი მარაქა კაცების მარაქაზე მოშორებით არის და იქ არც მენადარე-მეზურნეა. ხალხი რომ დალაგდება, მოართმევენ შაჭმელს. „ვარცლზე დგომელ“ ხალხს ჰურს „ჩამოურის“ (შიართმევს), „ქობებზე დგომელ“ კორცს, შწვადს, უგელს, „ქვერზე დგომელ“ ჩაფებითა და კოტოშებით ღვიწხოს. ქვერზე, ქობზე, ვარცლზე დგომელებს ბევრი თანაშემწენი ჰყავთ. იგინი სტუმრებთან დგანან, ზოგი ხალხს ღვინოს ასმევს, ზოგი ჰურს აძლევს, ზოგი ურს უგდებს, ვის რა აკლია, ან ვინ რას მოითხოვს, რომ მიუტანოს. სტუმრები შექცევვიან ნელ-ნელა. დრო-გამოშვებით ნაღარა-ზურნას აკვრევიანებენ და ხალხს ნუფის წინ ათამაშებენ. დრო-გამოშვებითვე ვაჟის ნათესავი ქალები მოდიან და ნუფის წინ შუფრობენ. ნუფე ამ დროს ფეხზე ადგება. ქალი შუფრობას რომ მორჩება, მივა ნუფესთან და კისერზე ორ-სამ შურთან ხელსახოცს შემოაკრავს,

აკაცებს შუბლში და ისევ ქალების მარაქაში წავა. ამნაირად ნეთეს მრავალი ხელსახოცი უგრძობდება. სტუმრების გასართობად კარგ მძღვრელებს მოიწვევენ ხოლმე და ერთს ვისმე ხუმარად (ოინხილ) ამოირჩევენ. ხუმარას საქმე, როგორც იმის სახელწოდებიდანვე სჩანს, სტუმრების გართობა და გამხიარულება არის. ამიტომაც ხუმარა ტკბობებს სხვა და სხვა ცხოველების სახეს, დათვისას, ტურისას და სხ., და დაჯდება სუფრის ბოლოზე. დაიწეებს ოხუნჯობას, ღმეჭვა-გრეხვას, თამაშობს და ასე ართობს ხალხს, ხშირად კი იტყვის რასმე მახვილავი სიტყვას და მიიტყვეს მთელის ხალხის უურადლებას. თუ ვინმემ გამოჰფარება დაუწეო, ადგება და ,,დაჰსრქმავს“ (წაქტევეს და ბღუჰავს). ამ სეირის მსურებელი ხალხი იცინის, იცინის, კგდება სიცილითა. ხუმარას გამოტანებულად ჰქმედას. ვინმე ნეთეს ნათესავთაგანს რაზედმე შარს აუტეხავს და დაჰჯარიმებს ერთის ჩათვის ღვინითა, ცხვრის ღვინითა და სხ. დაჰჯარიმებულმა განაზვა თუ დაიწეო, გამოტანებული უბრძანებს ბიჭებს, რომ იგი ,,დააბან“ (ხელფეხი შეუკრან და ხეზედ მიაბან). ხეზედ მიბმულს ფეხებში ჯიხით ცემას დაუწეებენ, სტემენ, რასაკვირველია, ხუმრობით, იმ დრომდე, მინამ დაჰჯარიმებული თვითონვე არ შეეხეწება, ,,ოღონდ გამიშვით და უგელაფერს მოგიტანთო“. აუშეებენ და მართლაც მოაქვს ღვინო, ქათამი და სხ. ამნაირად ნეთის სტუმრებს ნათესავებიდამ დიდძალი ხორაკი მისდით. ქარწილშივე ახადგაზდა თოფოსანნი მიზანში სროლას იწეებენ, თამაშობენ, მღერაინ და ღვინობენ. ქარწილში მოწყენა დიდი სირცხვილია, ვინც მოვა უტეველად უნდა იმხიარულდეს.

მესამე დღე შაბათის დღეა. ნეთის ოჯახი ერთ სანდო კაცს ამოირჩევენ ხოლმე. მეშაბათე აიღებს ერთ ვაშლს, შიგ დაურჭობს აბაზიანს, შევა კაცების მარაქაში და დაიძახებს:

— აჲ ჯამათო, უურ დამიკდით, ახალ ხაბარ მოსულ!

— ხეჯრ იქნეს! — ერთხმად დაიძახებენ სტუმრები.

— ხეჯრი, მადლობაჲ ღმერთს! მავანმა (სახელი რქვი) ერთი მანათი ბეგისთვის (ვითომ ნეთისთვისაო) ხალათის საფასურად გამოგზავნა!

— აჲშენოს, აჲშენოს, ჰურაჲ, ჰურაჲ! — გრილებს ხალხი და ნაღარა-ზურნაც უკრავს. ამგვარ სიტყვებით მეშაბათეს ეკებებიან უოველ შაბათის შემდეგ. შაბათს სწირავს უგელა, ვინც კი ქარწილში

დაესწრება. შაბაშად იწირება ზოგის ოჯახისკან მანათი, ზოგისკან $1/2$ მან., ორი აბაზი და სხ., ასე რომ ზოგიერთ ბედნიერ ნეფეს რამდენიმე თუმანი უგროვდება.

მეოთხე დღის ქორწილი ფეხზე მდგომების ქორწილია, ამიტომაც „ფეხზე დგომელი ქორწილი“-ი ჰქვია. ამ დღეს, ფეხზე-მდგომელებს გარდა, ნათესავებიც მოვლენ და სადამომდის იღვნიენ. მერე სსხლი-პატრონს გამოემშვიდობებიან და წავ-წამოვლენ თავ-თავიანთს.

4. ქორწილის ბოლო.

ნეფე-დედოფლის პირველი შეხვედრა მდადეს დასწრებით. ფეხის-ბანა. მუშაობის დაწყება პატარძლისაგან. ქალის ჩაცმა-დახურვა. პელმანდილი. საქორწილო ხარჯების ჯამი. დავალიანება. უდიერი სარგებელი და ვაჭრების ალაგმვა. „სიზის დაზახება“. ტკბილეულის მოტანა. დასიება და მისი „წამალი“.

ზევით თავის დროზე ვერ აღვნიშნეთ ქორწილის შესახები ზოგიერთი წერილობითი გარემოება, რომელიც ასურათებს ხალხის ყოფა-ცხოვრებას. ქორწილის მეორე დამეს, სტურები რომ სახლში კერას გარშემო დალაგებიან და ჭამა-სმასა და სიმღერა-ლაპარაკს გააჩაღებენ, ნეფეს გააპარებენ სახლიდან და „აურზე“ (სახლის სხვენზე) აიყვანენ. იქ იმისთვის გაშლილია ღოგინი. შემკმაზელები ღოგინში ჩააწვენენ და ჩამოვლენ. მცირე ხნის შემდეგ დედოფალსაც გააპარებენ და იქვე აურზე აიყვანენ ქმართან. დედოფლის გაპარება რომ სტუმრებმა ვერ შენიშნონ ოჯახის მამა (ან უფროსი) ფეხზე წამოდგება, სხვებიც აიძლებიან და შუთრობას სთხოვენ, იგიც ნება-უნებელიდ იწეებს შუთრობას. ეგვლანი ტაშს უგვრენ. ამ არეულობაში პატარძალი ადვილად და შეუმჩნეველად გაჭყავთ. პატარძალს ღოგინამდე მდადე მიუძღვის. მდადე მიიყვანს და პატარძალს ქმარს „ჩააბარებს“.

— „ჟანი“, ეუბნება იგი ნეფეს, „ე ქალ ეკვლა შენი, ექამდინ ჩონ გოგოზდი, მოგუვლუ, ხათირ (ხათრი) არ დოგიკლი, ეხლა კი შენ იც, როგორც შეიძინახავ“.

ნეფეც, რასაგვირველია, ჰპირდება, რომ კარგა შეინახავს. შემ-

დეგ მდადეც ჩარდახიდამ ჩამოვა. ამ წუთამდე ნეფე-დედოფალს არა-სოდეს ერთმანეთი არ უნახავთ. არც ერთმა არ იცის არაფერი შესახებ თვისის მუუღლისა: ან როგორი ხასიათისაა, ან როგორი ჰიროსახე აქვს, როგორი ტანისაა, ან გამრჯეა და გამკონი, თუ კერძი, ზარმაცი, ანწხლი და სხ. აქ ჰირველად გაიცნობენ ერთმანეთს და ისიც არა დიდხანს: დილა-ადრინანდ ორივე ჩამოჰყავთ და ისევ სანეფოსადელოფლად ჰქრთვენ და მარაქაში სხმენ.

მესამე დღეს, საღამო ჟამის შექცევის წინად, „ფევის ბანა“ იმართება. ხალხი რომ ჩამოსხლება კერის გარშემო, ახალგაზდა ქალები გადმოვლენ მარაქაში და უფროსადგან მოკიდებული უმცროსამდე „ფევის გაჭხლიან“: ესე იგი ვეველა კაცს შემოხსნიან და გააძრობენ ფეხიდამ ტოლადებს, ქალამნებსა და წინდებს. ამავე დროს გადმოივყანენ ჰატარძლს და იგი ვეველას ფეხს დაჭბანს. ფეხს ჰატარძლი ლაგანში ჰჭბანს თბილის წყლით, რომელიც წუმწუმათი (სპილენძის მალა-ყელიანი და ლუღუკიანი ჭურჭელია) ჰატარძლის მოახლე ქალს მოუტანია და საჭირაობისამებრ ჰატარძლს უსხამს წყალს, დაბანილს ფეხებს სუფთა ტილოთი ჰატარძლივე ამშრადებს. ფეხის ბანისთვის ვეველანი ჰატარძლს აჩუქებენ: ზოგი აბაზს, ზოგი 30, 40 და 50 კაპის. საღამო-საღამოობით ფეხის ბანა გრძელდება ქორწილის გათავებამდე და შემდეგაც ორი-სამის წლის განმავლობამდე. ჰირველ ხანში, თუ გაურილი ბიძა ახლო მისახლეობს, იქაც უნდა წავიდეს ჰატარძლი და ფეხი დაჭბანოს, ვეველას თუ არა, უფროსებს მაინც.

რამდენისამე დღის შემდეგ, დღისით, ჰატარძლი ისევ „ჩარჩავს უკან“ (გაფარდულში) ზის და საქმეს არ აკეთებს. შემდეგ კი ჰატარძლურადვე კელმანდილით მორთული და ჰირ-აფარებული მუშაობას შეუდგება. ჰირზედ, ცხვირს ქკემოდ, აფარია თეთრი ყუნა (კისია), თავზედ კელმანდილი ისე აქვს გაკეთებული, რომ შუბლის სისწერივ მადლა ამართულია კელმანდილისავე ცხვირი. ეს მორთულობა ზოგიერთს ძლიერ უხდება, მაგრამ ქართულ ბუნებრივ ჩაცმა-დახურვას ვერ უდრის. უფრო ის აუშნოებს აქურ ქალის ჩაცმა-დახურვას, რომ აქ ქალებს ჩითისა და ფარჩის ფრიად განიერი ორ-ტოტიანი ნიფხები აცვიათ. ჰერანგი მუხლამდე ძლივს სწვდებათ. ჰერანგის ზემოდგან იცმენ მოკლე ახალხს, ან ჩაფკან-ლაბადას. ჩაფკანი და ლა-

ბადა ახლომხზე ბევრით მოკლეა და მოკლე სახელოებიცა აქვს. ჰერანგის გულის-პირზედ მძივის „იხა“ აკერია, ახლომხის და ლაბადის სახელოების ქვემო მხრივ აკერია ვერცხლის „სარმა-ღუგმა“ და აბაზიანები ან ორ-შურიანები. წინიდან ჩაფანნი და ლაბადა ვერცხლის ჩაფრასტით იკვრის. წინ, გულის-პირზედ, კოჭებამდე განიერ „მაღზარს“ (ფიშტამას) იფარებენ. მაღზრის ნაპირებზედაც, უფრო კი ბოლოზე, „სარმა ღუგმას“ და აბაზიანებს აკერებენ. მაღზრის ზემო პირზე, გულის სისწვრივ, ფარხით დააჯვარედინებენ ხოლმე და ჯვრის შუა გულში ხანდახან აბაზიანს ჩააკერებენ. ტანად რომ ჩაიბეჭდონ, ახლა ზემო აღწერილ ქამარს შემოირტყევენ.

პატარძალი წლის თავზე კელმანდილს იხდის და „პირსაც ჩამოიხდის“, ე. ი. პირს აღარ აიხვევს. მაშინ იგი ჩვეულებრივად თავს დაიხურავს. დედაკაცებს 14—15-ის წლიდან ჩიქილა და ლეჩქი ჰხურავთ. აქური ლეჩქი ქართულს არა ჰგავს, იგი უფრო მოკვავონებს იმერულ ფაფანას. ლეჩქი ჩითისაა, იგი ვიწროა ზოლად, ერთის შურიდან მეორემდის იკვრის და უკან კეთვამდე ვიწროდ გადადის. ზედ შუბლის მიუღლებსზედ, საფეთქლიდან საფეთქლამდე, მძივი აკერია. ამას გარდა საფეთქელზე ჰკიდია უჩ-ბოღნუზი. ეს უჩ-ბოღნუზი მცირე ხალსა ჰგავს, ვერცხლისა და ზედ ვერცხლის წვრილი ფული აკერია, რიცხვით სულ ექვსი. ლეჩქის რომ თავზე გაიკეთებენ, უჩ-ბოღნუზი თითქმის წარბებამდე ეკიდება. ლეჩქის ზემოდან თავზე ჩიქილას იხურავენ. ჩიქილა სამკუთხიანია, რომლის ერთი წვერი უკან ჩამოშვებულია. ზოგიერთნი ჩიქილის მოხვევის შემდეგ თავს იკვრენ ჭრელის კელმანდილით, რომელსაც სიმკრისთვის თავის გარშემო ვერცხლის ჰტეულ ჟინჟირს (ძეწავს) შემოახვევენ ხოლმე; ფეხზე იცმენ წინდებს და ქომებს. პატარძლებს წულებს ან ლაფინებს უვიდნან. შეძლებულები თავიანთს ცოლებს ლაფინებიერთად ატარებენ, ხოლო ღარიბთა დედაკაცთ ხშირად ქადამებიც ენატრებათ. აქური დედაკაცი, თუ სიღარიბემ არ აიძულა, ფეხ-შიშველა იშვიათად ივლის. გასათხოვარ ქალებსაც ასეთივე ტანისამოსი აცვიათ, ხოლო თავზედ მარტო ლეჩქი არა ჰხურავთ. ყველა ეს ტანისამოსი ჩითისადაც კეთდება და ფარჩისაც. თითო ხელი ფარჩეული, თითქმის უველასა აქვს, ღარიბსაცა და მოვალესაც. მდიდარ გლეხების ცოლ-შვილს

ნომ ორი-სამი ხელი საცმელიც აბადა. საურეებს აჭური ქალები სრულად არ ატარებენ, ხოლო საღტეები (სამაჭური) აქვს ზოგოერთს. ბეჭედს მარტო ზატარძლა ატარებს, ისიც ორიოდ წელს, ნეფე კი ქორწილას შემდეგვე წაიძრობს და შეინახავს.

ამით თავდება დაქორწინების ამბავი. ეხლა ვინგარიშოთ ამ დაქორწინების ხარჯი.

ქალის მამს ვაჟის მამისკან ეგზავნება: 1) ქრთამი ფულად გასათხარ ქალში: ეხლა 30—120 მანეთამდე, უწინ—200—300 მ.; 2) ქვრივში ეგზავნება: ეხლა 50 მან., უწინ—100—200 მ.; ა) სახორცე (ხარი ან ფური) ქორწილში დასაკლავად 10—15 მ., ბ) სამისავე ნიშნის ხარჯი 50—100 მ., გ) მაჭანკალი 1 მ., დ) მღადეს 2 მ., ე) ქალის დედას „სადელო“ 1 მ., ვ) გატანებულებს ორი შური, სულ 70 კ., ზ) ვაჟის შემკამაზელს 40 კ., ლ) მენაღრე-მეზურნეს 3 მ., თ) მეკურტნეს 10 კ., ი) საძმო (საძმო) 10 კ., ჟ) ეკლესიას 2—3 მ., ლ) ქეხას (მამასხლისს) 1 მ., მღადეს ხელის დასაბანებლად 20 კ., ნ) ქალის წილი 12 მან. სულ: ეხლა 273—450 მან., უწინ—500—800 მან.

ვაჟის მამა საძლოს მამს მზითუვის მოსამზადებლად უგზავნის: ა) 10 ჭეჭიშის ძაფს, ან დაქსოვილ ჭეჭიშებს (ჭეჭიში დირს 3—4 მან.) სულ კი 30—40 მ., ბ) ორი საბანი 15—20 მ., გ) 1—2 სასტული (ბალიში) 1 მ., დ) 6—2 აბგა 2—5 მ., ე) წინდები, ტოლალები და სხ. 3—4 მ., ვ) ქალისთვის „ფარხა“ (ჩითეულობა და ფარჩეული) 50—60 მ., ზ) ქამარი 20—50 მ., ლ) ილგა 20—30 მ., თ) სამა-დუგმა 12 მ., ი) ჩაფრასტი 6—7 მ., კ) ჟინჯირი (პტეული ძეწევი) 10—20 მ., ლ) ქოშები 1 მ. 20 კ., მ) კიდევ წვრილად ნივთები 3—4 მ. სულ 173—254 მან.

ვაჟის მამს თავის შვილის ქორწილში ეხარჯება: ა) ორი ან სამი სახორცე 30—40 მ., ბ) ორიოდე თადარი ჰური 8—10 მან., გ) ორი ბათმანი უველი 2—3 მ., დ) ღვინო 4—5—6 თადარი 16—30 მ., ე) წვრილმანი ხარჯი, ვითარცა: შუა, სანათი (ჭრაქე-ბი-ჩირადი), ხახვი, ხილი და სხვ. 10—12 მ., ვ) არაუი 10 მან., ზ) შვიდი ქათამი, ერთი უახჯი, ბრინჯი, ერბო და სხვ. 10 მან. სულ 88—127 მან.

სამივე ხარჯი ერთად შეადგენს: ეხლა 594—901 მ.-მდე, ხოლო უწინ 700--1000 მანათამდე.

ამ ანგარიშში ვაჟის მამისთვის ჰირველი და უკანასკნელი ხარჯი დაკარგულია, ხოლო მეორე კი უკუ მოსაბრუნებელი, რადგან მზითვეი ვერცხლის იმართიანად (მოსართავი) უკანვე მამის ოჯახში შემოდის, ჰატარძლს მოჰქევა. ამას გარდა „ილგას“ ეხლა რძლისთვის ბევრნი აღარა ჰქედიდულობენ. ყველა ეს ხარჯები რომ გამოვიდეთ საზოგადო ჯამიდამ, წმინდა ხარჯი ვაჟის დასაქორწინებლად დარჩება: უწინდელ დროსთვის 600—700 მან.-მდე, აწინდელ დროსთვის 380—570 მან.-მდე.

შიგა-და-შიგ მოიზოვება სანიგილოში ისეთი ოჯახი, რომელსაც თავისუფალი ფული აქვს და უოველსავე შვილის დასაქორწინებლად ნაღდ ფულზედ ჰქედიდულობს. სხვები კი საქორწილო ჩით-ჩეთსა, ფარჩასა და სხვ. ბაზრიდამ ნისიად ეზიდებიან. უოველ ინგილოს ბაზარში თავისი „ეონადი“ ჰქევა, ე. ი. რომელიმე ვაჭარი. ეონადი თითქმის შინაურ კაცად ითვლება. როდესაც უნდა, მაშინ მივა ეონადი ინგილოსას, მიივლ-მოივლის, საცა სურს, ჰურს შეჰჭამს, ღვინოს დალეგს, დაბრუნებისას მწვანილეულსა და სხვ. წაიღებს და წავა. ინგილო თავის მონაგარს არავის მიჰქედიდის, თუ არა ეონადს. მაგალითად, ჰარკს, ღვინოს, თუ ჰური აქვს, ჰურს, ბრინჯს და სხვას. ეონადსვე ინგილო უოველ წლივ ფეშქაშად მიუტანს ერთს ურემ ბზეს, ხანდახან შემასაც და სხვ. მაგიურად ინგილოს ეონადისაგან ნისიად მიაქვს „ფარჩა“ და როდესაც დასჭირდება, ფულსაც სესხულობს. აჭური ვაჭრები ერევნის გუბერნიდამ არიან. უმეტესი ნაწილი მათგან მოსვლის ჟამს ღუგმა ჰურის მონატრულია, მაგრამ მალე დაეონადების შემწეობით მდიდარი და შეძლებული გამხდარა. როგორც, იკითხავთ. უოველ ვაჭარს რამდენიმე ეონადი ჰქევა. ამ ეონადებისაგან თითქმის უოველ დღიური საზრდო მოსდის, აგრეთვე რამდენიმე ურემი ბზე, შემა და სხ. თითონ კი სულ მცირე ფასად შეიძენს დამზალ-დამზალ ჩით-ჩეთს და მამა-სისხლად აძლეგს თავის ეონადებს. თანაც ეონადს უუბნება: „ოჰ, რა ჩითუბია, რა ამირიკოა, რა ნაშური! იცი ჰირდა-ჰირ მაკარიდამ დავიბარე, ეხლასან მომივიდა. ამ ჩითის ადლი თავის ადგილზე ექვსი შური ღირს, მაგრამ შენ ეონადი ხარ, მაგ ფასად

როგორ მოგცემ, ხუთ შაურად მიირთვი, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს. დეე, მე ვიყო წაგებაში, ოღონდაც კი თქვენ ხასიათვნებთ დამრჩეთ. ამას გარდა ჩემი ხათრი და უადრი გქონდეთ, თუმცა დიდი ზარალი მომდის, მაგრამ მაინც ნისიად გითმობთ ჰარკობამდე (ან სთველამდე). სრულიად გამოუცდელ და გულ-უბრუვილო გლეხს ეს მაცდური სიტყვები სჯერა. თავის უზაკველ გულში როგორ გაიტარებს უონადის დალატს, მეტადრე მაშინ, როდესაც ეს სიეშპაკით გატენილ-გაბერელი სულიერი ჯვარსა და ხატს ჰფიცულობს, სამას სამოცდა სამ წმინდანს იმეწმებს, რომ მისი ნათქვამი უოვლად მართალია. უონადი, რასაც მისცემს გლეხს, იმას თავის დაფთარში სწერს (ხშირად წაღებულზე მომეტებულსა სწერენ). შემდეგ გამოიანგარიშებს წაღებულ ნივთების ფასს, წლის სარკებულსაც ზედ დააკეცავს და ერთ ჯამად ჩასწერს. სარკებელიც უონადის საკადრისი იცოდნენ, ე. ი. 20—30 მანეთამდე და მეტიც. მეტი იმიტომ, რომ ვაჭარი, თუმცა წლის სარკებულს მაშინათვე თავნს ზედ აკეცავს: მაგრამ გლეხი წლამდის არ იცდის და როცა კი რამ შემოუვა, უონადს აძლევს, მაგალითად ჰარკს ივნისში, თხილს ენკენისთვეში, ღვინოს ღვინობისთვეში, ხილს და სხვ. და სხვ. ამას გარდა, რასაც ვაჭარი წაიღებს, იმას თითქმის უფასოდ ანგარიშობს, მაგალითად ჰარკის ფუთს 7—8 მან., როდესაც თითონ შემდეგ 12—15—24 მან. ჰყიდის. აგრეთვე ნაკლებად აფასებს ღვინოს და სხვ. ერთხელ თუ გაება გლეხი უონადის ქსელში, ძნელად-და იხსნის თავს. უწინ ქორწილის ხარჯი თურმე სრულიად ჰელუზავდა აჭაურ ხალხს. ესლა ეს ხარჯები, თუმცა შემცირებულა, მაგრამ მაინც გლეხისათვის ფრად სამძიმოა. უწინ ხარჯიც თუმცა დიდი მოსდიოდათ, ბარაქაც დიდი იყო. მანდორი, ჭია, საქონელი დიდ შემოსავალს იძლეოდა, ხალხი დიდს ოჯახებად სცხოვრობდა, ათთქმის არა ესარჯობდათ-რა გზებისა, სკოლისა, მწერლის და სხვ. შესახახად. ესლა კი მინდორიც დალატობს, ოჯახებიც ნამცეც-ნამცეცად იყოფებიან და ათას გვარი ხარჯ-ხჯაჯათიც აწევს კისერზე. ამიტომაც მცირეოდენი ხარჯიც, თუნდაც ისეთ აუცილებელ საქმისათვის, როგორიც ვაჟის დაქორწინება, გლეხს წელსა სწვეუტს და ვაღში აკლებს. აჭაურ ვერაგ და უდმურთო ვაჭრების წყალობით გლეხი ყოველ წელიც უონადს აძლევს თავის მონაგარს, მაგრამ

წლის ბოლოში რომ იანგარიშებენ, თავის ვაღს არა თუ არაფერი აკლდება, ჰირ-იქით, კიდევ ემატება. ამ 20-ადე წლის წინად ინგილოს მამულები ცბიერ ვაჭრებს თითქმის სულ მთლად დაესაკუთრებინათ. უონადი გლეხები სრულად განედევნათ მამა-პაპეულ ნაშენ-ნადგაწ მამულ-დედუღიდავ და ან იქვე მამულში დაენარჩუნებინათ და მოსავლის სანახევროდ ამუშავებდნენ. მაგრამ მათი უკანონო საქციელი ადგილობრივმა მთავრობამ შენიშნა. მაზრის უფროსმა სერაფიმოვიჩმა ვაჭრებს გლეხების მამულები ჩამოართო და ისევ გლეხებს დაუბრუნა, ზოგი სრულად უფასოდ, რადგანაც ვაჭარს უკვე ერთი-ათად თავისი ფული ამოკო და ზოგი კი თავნი ვაღის წვრილ-წვრილად მიბრუნებოთ. სერაფიმოვიჩის წყალობით მრავალმა ინგილომ დაიბრუნა მამული და ვალიდამაც გამოვიდა. მაშინ დაშინებულნი ხალხი ეხლა უფრო ფეხზედ იქცევა და უონადს დიდის ეჭვით ეპურება. .

დაქორწინებისა და ჟორ-დაწერის (ჯვარის-წერის) შემდეგ, ორიოდ-სამიოდე თვე რომ გავა, სიმამრი „სიზეს დაუზახებს“, თავის სახლში მიიპატიჟებს თავის ქალითურთ. „დაზახებადის“ არც გათხოვილი ქალი და არც სიძე სიმამრისას ერთხელაც არ წავლენ: წესი არ არის თავის ნებოთ, მიუპატიჟებლად ესტუმრნენ. მიწვევის დღისთვის სიმამრი შეჭერის თავისას თავის მეკვარეულებს, კარკს სადილს, ანუ ვახშამს გაჰმართავს და ქალისა და სიძის მისვლის შემდეგ ღვინი დაიწება: სიძემ თან უნდა მიიტანოს ქიშმიში, ყანდი და სხ. ტკბილეული უმაწვილებს თავის. ღვინობენ თითქმის მთელი დღე, ანუ მთელი ღამე. აქაც კაც-ქალნი ცალ-ცალკე სხედან, სიძეს მარაქას ბოლოში ჭისმენ და თუ ჩონგური იცის, ჩონგურს აკვრევიანებენ, თუ სიმღერა იცის, სიმღერას ათქმევიანებენ. ჩონგური ამგვარ ღვინის აუცილებელი კუთვნილებაა. ღვინის დროს უსათუოდ კარკს მეჩონგურეს მოიწვევენ ხოლმე, აკრეთვე კარკ მომღერალსაც. სიძის სტუმრობა შუთრობით თავდება. ამ დღიდან ქალისთვის, მამისა და სიძისთვის სიმამრის სახლის კარი დაა და როდესაც უნდათ, მაშინ ეწვევიან.

როდესაც შვილი ეუფლებათ, მაშინ ქალი დედავ უსათუოდ უნდა ინახულოს და თან ხორაკი მიართვას, უფრო კი ფლავი. თუ დედამ არ ინახუდა, სისიძონი მძახლებიას ადარ გაიფლავს, შემოსწვრებიან. ხშირად მშობიარე დედის მოლოდინში „დასივდება“ ხალ-

მე და იყავდმოყოფეს. „დასიება“ ტანის დასიება კი ნუ გეგონებათ. ამ შემთხვევაში დასიება ის არის, რომ კაცი რამე საჭმელს, ან ვისამე მომზადებულს ხორაკს მოინდობებს და მოილოდინებს, მაგრამ მოლოდინი კი არ შეუსრულდება. ეს მოლოდინის შეუსრულებლობა „დასიებას“ გამოიწვევს. ქართულად რომ იტყვიან: „კაცს საჭმლისთვის თვალის წვალი წაუვიდაო“, დასიებაც ეს არის. „ჭექე ემაწუღს ჭე სხალ მეტე, თუარ დასივდებ“ და ქართულად „მაგ ემაწვიღს ეგ მსხალი მიე, თორემ თვალის-წვალი წაუვაო“, ერთი და იგივეა. ამიტომაც, თუ მშობიარე ქალი დედამ დროზედ არ ინახულა და ქალი დასივდა, შეატყობინებენ და დედაც გააკეთებს კარგ ხორაკს, ჭამში ამოიდებს ფლავს და ზედ ცხენის კორკალს (განავალს) დაადებს. ქალი განსნის სუფრას, ფლავს ზემოდკან დაფარებულ ჭამს აჭხდის და კორკალს ხელში აიდებს-რა, იქ მდგომარეთ ხარხარი აუტყდებათ. კორკალს შორს გადააგდებს და ფლავს შესჭამს. ამით დასიების მიერ გამოწვეული სნეულება გადაივლისო. დასიება უველამ იცის. დასიებულისთვის ხანდახან ვახშმის დროს შვიდ კარს მოიფლიან, ვისაც რა აქვს ვახშმად. ითხოვენ ეველა ხორაკს, ზედ კორკალს დაადებენ და ავადმოფეს მიაართმევენ. აქაც იგივე ხარხარი იციან. დედ-მამა, თუ არა ხორაკს, სხვა საჩუქრებს არ მიაართმევენ თავის ქალს. იშვიათად მოხდება, რომ მდიდარმა დედ-მამამ ღარიბ სიძეს ან ქალს აჩუქოს შესაბამელი საქონელი, საწველი, საცმელი და ჰური.

5. გარდაცვალების წესები.

სიკვდილი. შვილის მოვალეობა. პირისუფალი. ტირილი. მკვდრის ბანება. შესუღრვა. საკაცე. მისი მორთულობა. გასვენება. ქვის უკუგდება და „მკვდრის გაცილება“. საფლავის მთხრელები. ქელები. ტაბლობაჲ და მისი წესები. სულის პური და მისი წესები. სამარობზე ვასელაჲ. საკმელ ჩაყრაჲ.

ინგილო იმიტომ ესწრაფის თავის შვილი თხუთმეტის წლისა დაქორწილოს, რომ „სუკდულ-სიცოცხლეჲს, შულ მალე მეესწრას, დროზე ქომაგ იქნეს მამბიგეთ“. შვილებიან (ვაყებიან) მამას ის უხარის, რომ საქმიდგან განთავისუფლდება, შვილები იმის მაგიერობას იზამენ.

ოჯახის თავის გარდაცვალება თავზარს სცემს სახლის-წულთ, მეტადრე ვაჟიშვილს, რომელსაც ოჯახის მოვლა კისერზე აწევს. შვილი თავის ავადმყოფ მამას მუდამ თავს დასტრიალებს, არას იზოგავს, აღონდ რამე ეშველოს მშობელს, ანუ თუ სულთ-მობრძავია, იქვე მამის საკრელოთან გაშეშებული დგას და ჰირში შეჭურვებს, რომ მამის უკანასკნელი სიტყვები აჭკრიფოს, მისგან დარიგება რამ მიიღოს. აი მოხუცმა სული დაღია. იმავე წამს შვილი მშობლის თბილს გვამს „ასწორებს“, ჰირადმა აწვენს, გულზე ჯვარედინად მკლავებს უწეობს, თეებს ერთმანეთზე უკრავს, რომ აქეთ-იქით არ გადახინიჭნენ, თვალებს „უხუჭავს“, რომ ღია არ დარჩეს, თავით ერთ არაწ დვინოს, ერთ ჯამ ხორბალს, ერთ ჯამ წყალს და ტანთ-საცმელს უღაკებს და ამ ჯამზე ერთსა თუ სამს სახთელს უნთებს. სულთ-მობრძავ დედაკაცს კი ხელში ერთ კიფე კედს (ძაფს) უდებენ. სულის ამოსვლისთვის იტყვიან, რომ კაცის სული ჰეჰელას მიაქვსო. ყოველსავე ამას რომ შეასრულებენ, სახლის-წულნი მკვდარს მტირედ დაიტირებენ და კაცს გაგზავნიან სოფლად, რომ უველას აუწეონ გარდაცვალების ამბავი. ვინც შეიტყობს, ესა და ეს კაცი მოკვდაო, იტყვის: „დმერთმა აცხონოს, კაჟ კაც ეყო“. თუ მოსაწონი კაცი არ იყო, მარტო „დმერთმა აცხონოს“ იტყვიან. კაცის გარდაცვალების ამბავს სახლში ხმა მადლა არ იტყვიან, არამედ ცოლ-ქმარნი მარტო ერთმანეთს შეატყობინებენ: მავანი (სახელი რქვი) დახარჯაო. იმავე დღეს ჭირისუფლებისას ხალხი შეიურება. ჭირისუფლად უნდა იყოს გორში (გვარში) წლოვანებით უხუცესი კაცი. დედაკაცები რომ შემოდინ ეზოში, ჰირდაჰირ სახლში შედიან. იქ დედაკაცები მკვდარს გარს არტყიან და დასტირიან. ახლო ნათესავები, კაცი თუ ქალი, ჭირისუფალთან არ მივლენ, არამედ სახლში შეკლენ და მკვდარს დაიტირებენ. ძმები და დები ხანდახან ალაუთის კარებიდგანვე დატირებას მოჭეუებიან. მკვდარს უველა დედაკაცი და ნათესავი და ხანობი დაიტირებს, ხოლო კაცთაგან მარტო ნათესავები. ტირილის დროს ნათესავი დედაკაცები ხამუშ-ხამუშ გულში ზედი-ზედ მუშტს ჩიკვრენ ხოლმე. ახლად დაქორწინებულ გარდაცვალებულ ვაჟს ასე დასტირის დედა: „ნეთე შულო, საწეთოებ ვერ გაჭნოთ, დაგჩხა ჰატარზად დეშმინიბოეთ, ერ სასტული ჰირ ვერ დაჭკლიო, ერ ვერ-

ღანი ზირ ვერ გამოდგებულ; შენ წილ დაგრჩა, ვერ შკამ, ვერ დაჭ-
ლიფ... ვამ, ჰარამ ჰემ, ვამ, ჰარამ ჰემ!.. შენ ზატარზალს ვერ
მოჰბრუნდ ორჟელ ვერ შეჰზრახ, გიტირას შენ ნეფე წილ მამულმა,
გიტირას შენ ზატარძალმა, ვამ, ჰარამ, ჰემ! ვამ, ჰარამ, ეემ! დამ-
ტირებულს ეველა დედაკაცები ბანს აძლევენ: „ჰემ“-ზედ ხმას აგრძე-
ლებენ დიდხანს. დედა ვაჟიშვილს დასტირის: „ამ შულო, ჟან შუ-
ლო, ჩემ სახლი იბტიარ შულო! კამ მოგიგი, კამ მამულ აგიშენე-
ბი, კამ შეჰმელ-დალეველ დროზე ვერ გიჭამი, ვერ დაგილევი;
გზამ საფარ დაგვარდნი, დაგრჩამი შენ ცოლ-შუელზე თაოლ, მიჰდი-
ხარ, შულო ჟან... ვამ ჰარამ ჰემ!“ და სხ. გათხროვილი ჭალიშვი-
ლი მამაზედ მოსთქვამს: „მამაო, ემ ჩემო სარჭარ მამაო! ჩემ ოჟა-
ლი დიდ ხარ, როგორ-და ჰუმ მოვდე მე აქ, რაღა ზატივ მექნება მე.
ზმებ უავ (შუავს), მართალი,—ზმებიც თელ იქნენ თავიანთ ადგილ-
ზე: სხოთა (სხვების) ჭალებ დედ-მამის ზატივს ჩონ არ დოგადებენ
(ე. ი. რძლები, სხვათა ჭალები ჩვენ ისეთის ზატივით არ მიგვიდე-
ბენ, როგორც შენაო, მამაჟ), ვამ ჰარამ ჰემ!..“

დასაფლავების დღეს, ადრიანად, დედაკაცები გარდაცვალებულ
დედაკაცს და მამაკაცნი—მამაკაცს აბანებენ. გაბანილს სუდარაში ახვე-
ვენ და კერას ზირას გაშლილ ჟეჟიმიზე აწვიუნენ, თავითაც ბალიშს
უდებენ. სუდარა ჟერ შეკრული არ არის. კვდარს სუდარის შეკვრამ-
დე მუშაშას დაადებენ. მუშაშა სანთელ-წასმული ამირიკოს ნაჭერია.
ერთს ადებენ ზირზე, ერთს გულზე, ცხვირში საკმეველს დაუტობენ,
მარცხენა ხელში ჩაუდებენ ორ შურს, მარჯვენაში ორად გადაკეტილ
სანთელს დააჭერინებენ, მოჟვიდებენ, ცოტას მოსწვამენ და გააქრო-
ბენ... და ორ-კეც ამირიკოს სუდარას თავ-ბოლოს ამირიკოთივე შუე-
კრავენ. შესუდვრის შემდეგ მღვდელს (ქრისტიანები) და მოლას (მაჰ-
მადიანები) ანდერძს აკვებინებენ და მერე ტირილით გამოიტანენ და
სალაჟზე დასვენებენ. აქ კუბოს მაგიერ სალაჟას ჰუმარობენ. სალაჟას
კიბუს მსგავსად აკეთებენ ტირიფის ხისას მომეტებულად. კუბო ეხლა
და ეხლა შემოდის. მკვდარს ზედ გადაათარებენ ორ-სამ ადლიან თათ-
ტას, ერთ ნაშირს და ორიოდ ადღ ჩითს. ეველა მამაზედ სალაჟიანად
ხიათის გრეხილს გადაუჭირებენ. აქვე უკანასკნელად ნათესავნი დაი-
ტირებენ მკვდარს და სასაფლაოზე (სამარიებზე) წასვენებენ. წასვე-

ნებაში დედაკაცები მონაწილეობას არ იღებენ. სადაჟას რომ ასწევენ და ალაჟათის კარებიდგან გასვებებენ, ერთ დედ-მამიან ბიჭს ზურგს შეაქცევენებენ, მკვდრისკენ წინიდგან უკან ქვას გაასროლინებენ და თანაც ათქმევიანებენ: „შენ წილ რაჟმ აქ ადარა, შენ წილ მიგიდი, წაჟ, ჩონ ეემას იქი დქეკუნსენ“. ამას გარდა, შესუდრის ჟამს ერთის მტკაჟლის ტოლჟ ამირიკოს სუდარიდამ მოჭნევენ და ხელ-უგუდამ კორ-თეს (ჭურჭლის საწეობი თახჩა) მიჟკვრენ. მესამე დღეს მიმკვრელიჟე ამ ამირიკოს მოჭკლეჟჟას და მდინარე წეჟალში ჩაგდებს, მკვდარზე გა-უოლილ ნაშირს მესუფლჟეანი იუოთენ, ჩითი და თათუტა ქრისტიანებ-ში მღვდლისჟა, მჟჟმადიანებში მოლისჟ. მკვდარ დედაკაცის ხელში ჩა-დებულ ძათს კი შესუდრის დროს დედაკაცები იუოთენ, სამარეს ორ-სა ანუ სამ კაცს ათხრევიანებენ. საუფლჟის მთხრეჟები მკვდარს მთლიან ჟაჟრით გაზომჟვენ და ამ ზომჟზედ საუფლჟს ამოსთხრიან. საუფლჟის ზემო ჰირს ადღ-ნახეჟრამდე თართოს აკეთებენ, ხოლო შემდეგ კი ავიწროებენ. ამ ვიწროში მკვდარს ჩასვებენ; ზოგნი ჟეჟჟიმს გაუ-შლიან ქეჟე, თაჟით ბაღიშს დაუდებენ და შიგ მისსაჟე საცმეჟს ჩა-ატანენ. დედაკაცებს წინად ვერცხლის სამკაულით ჟჟმარხავდნენ. ესლჟა კი ამისთანა შემთხეჟჟა იშეჟათიჟ. ჩასვებების შემდეგ განიერად ჩათ-ხრილ საუფლჟის ჰირებზე სიჟ ქეჟებს დაწეობენ და მიწას მიჟურიან. სა-ლაჟას ხეებს — ტირიფებს*) იქეჟე დაჟეურიან. მერე „ღმერთჟა აცხონოსო“ იტეჟეიან და ჟირისუფლისს დაბრუნდებიან. აქ ქეჟლანის (ქეჟეხის) დღეს ზოგნი ჟჟეჟლჟს ერთ მოზეჟერს, ან ერთს უოჩს, ეს შეძლეებზე ჟჟეჟე-დია. აკეთებენ ფლჟას, ხორცის წეჟენს, აცხობენ ჟაჟაშებს, სატანად ეჟეჟს ჟჟეჟილუოებენ, აჟეჟვენ ხაღხს, ასმეჟვენ და ისტემრებენ. დეჟ-

*) ტირიფის ხით საკაცეს გაკეთება ფრიად საყურადღებოჟა. ამ ხის შერჩეჟა საკაცედ უნდა იყოს ნაშთი იმ დროისჟა, როდესაც კოლხნი, რო-გორც გადმოგეჟემენ აპოლონ როდოსელი (მე-III ს. ქრ. წ.), ნიმფადორ სირაკუზელი (IV ს. ქრ. წ.) და სხ., მკვდრებს კი არ მარხავდნენ, არა-მედ ტირიფის ხეებზე ჟჟილდნენ ტყავებში შეხეჟულებს. ვა-ხუშტის დროსაც აფხაზები მკვდრებს კი არ მარხავდნენ, ხეებზე ჟჟილდ-დნენ თურმე. დღეს კი, როგორც გადმოგეჟემს პეტრე ჟარაია, აფხაზეთ-ში ხეებზედ ჟჟილდებენ არა ყველა მკვდრებს, აოამედ მხოლოდ მეხისაგან მოკლულებს.

ნის სმის დროს, მსმელი ჭიქიდან ღვინოს ცოტათი გადმონაქრევს ღვინოებზე, იტყვის „ღმერთმა აცხონოსო“ და დაღვეს. ხალხის გასტუმრების დროს ორ-ორ შურისსაც შრიგებენ ზოგიერთნი. მეორე დღესაც დედაკაცები იურებიან ჭირისუფლის სახლში, მკვდრის საცმელს გამოშლიან, გარეშემო მოუსხდებიან და ტირიან. ამ დღეს მკვდარს საკლავი არ უფარდება“ (ერკება), მოსულ ხალხს უველითა, ზურითა და სხ. ისტუმრებენ.

ტაბლობაჲ. ტაბლობა იცინა მესამე დღეს. გამოაცხობენ ღვინოს, გააკეთებენ თფავს, რძის შეჭმადს, მობრანენ ხილს, ამოიღებენ ღვინოს, ხოლო ამ დღესაც საკლავი არ ერკება მკვდარს. ტაბლობაზე მოსულ დედაკაცებს მოაქვთ ზური, თფავი, კუჭულა ღვინო (თუ აქვს), ან კვერცხი, ხილი, ცარიელი კი ვერ მოვა. უველანი რომ შურადღებინ და უთვლიდეს დამზადებენ, მერე კერას ერთ ნაპირზედ გრძელს სუფრას გაშლიან, სუფრაზე დააღვებენ: ვარცლით ზურს, ქვაბებით თფავს, შინ გაკეთებულს, თუ მოტანილს თფავს აგრეთვე ბადებით იმავე სუფრაზე ჩამოარიგებენ, დააღვებენ ხილსაც (უთველ გვარს), მოხარულად სიმინდს, ჯამით წყალს, ჩაფარაწყებით ღვინოს, ხილებში (ერთ-ორში) დანას დაურჭობენ, თუ ხესვია—ხესვში, თუ საზამთროა—საზამთროში. ამას შემდეგ ჭირისუფალი (დასახლისი, ან გვარში უფროსი დედაკაცი) ღვინის-ჩაფის, ჰარაწისა და წყლის ჯამის პირზედ ხუთს სანთელს მოუკიდებს, ჩამჩითა თუ ქათქირით ნაღვერდალს მოატანინებს, შიგ საკმელს ორის თითით ჩაჭურის და ასე წაიბურტებურტებს თავისთვის: „ღმერთმა აცხონას, ღმერთმა ჟანნათში (სასულეთში ანუ სამოთხეში) შაფონას“. შემდეგ სხვა დედაკაცებიც ჩაჭურინ და ამ ქათქირით სამ გზის ტაბლას უკმევენ, გარეშემო შეატრიალებენ. სუფრას ორი დედაკაცი უკმევს. ერთი მათგანი ადმოსავლეთის მხარეს დგას და მეორე დასავლეთისას. კმევა იწყება ადმოსავლეთის მხრის ქვემო კუთხიდან მარცხენიდან მარჯვნივ. ამ მხარეს რომ უკმევს, ახლა მეორე დედაკაცს გადასცემს და ისიც კმევით ისევე აქვთ გადმოსცემს. ბოლოს ქათქირი დასაწებულად ისევე ადმოსავლეთის მხრივ კუთხეში უნდა დასდონ. საკმევლის განებულებამდე დედაკაცების მარაჟა გაიმართება. ჩამომხდარ დედაკაცებს სულზე სამ ზურს ჩამოუყრიან: ორს მეტაბლის შობანილს და ერთს სახლისას.

აგრეთვე მომზადებულ ხორაკსა და ღვინოს მიაერთებენ. რასაც შე-
შვამენ, შეშვამენ, რასაც არა, იმას ჭურჭლებში ჩაიურიან. თავიანთ
ღვინის ჭურჭლებსაც სახლის ღვინით გაივსებენ და შან დაბრუნდუ-
ბიან. არც ტაბლობაზე და არც მეორე დღეს კაცები არ დაესწრებიან.
კვირის თავმდის უოველ დღე მკვდრის დატირება იცინა.

თაკ-საპარსი. კვირის თავზე თავ-საპარსი იცინა. ამ დღეს ნა-
თესვები და მეზობლები—კაცი თუ ქალი—შეიურებიან ჭირისუფლი-
სას. დაღაქსაც მოიწვევენ. თავ-საპარსი დაიწება მას შემდეგ, როდუ-
საც პირველად თავ-პირს მოიპარსავს სახლის უფროსი. მერე უველა-
ნი მოიპარსვენ ან წვერსა და ან თავს. აქ მავშადიანობაში თითქმის
უველანი (რასაკვირველია, დედაკაცებს გარდა) თავს იპარსვენ, ხოლო
ზოგიერთნი სპარსულად წიწილებს (გრძელ თმებს) კეფიდან მო-
კიდებული საფეთქლებამდე ინარჩუნებდნენ. ბოლოს ეს ჩვეულე-
ბა გადავიდა და უველამ თავის სრულად გაპარსვა იწყო. ხო-
ლო ამ ოციოდე წლის წინად ქრისტიან ინგილოებში თმის შე-
ნახვა შემოვიდა. იპარსვენ მარტო კისერსა და წვერს. თავ-საპარსის
ახრი მკვდარზე გლოვიანობა უნდა იყოს. ამ დღემდის მამაკაცი თავ-
პირზე სამართებელს არ იპარებს. საკვირველი ის არის, რომ დედა-
კაცები არც ერთ სამგლოვიანრო ნიშანს არ ატარებენ: თუნდა ქმარი
გარდაეცვალოს, ან ძმა, ან მამა და სხ. დედაკაცი სამგლოვიანროდ არ
შეიმოსება არც ერთ დღეს, პირ-იქით რაც ახალ-ახალი და წითელ-
წითელი საცმელი აქვს, იმაში გამოეწება, თითქო ქორწილში წას-
ვლას ემზადებოდ, ისე ირთება. მძიმე მგლოვიანობითა და მეტის-
მეტ ტირილით ჩვენის მკვდრის სულს შევაწუხებთო. თავ-საპარსით
მგლოვიანობა თავდება და უქმდება. მოსულ სტუმრებს ფლავითა,
რძის შეჭამაღითა, ღვინითა და სხ. ისტუმრებენ. საქვევლსაც ხო-
რაკზედ უურიან, სანთელსაც ანთებენ, აქაც სწორედ ისე იტყვიან,
როგორც ტაბლობაზე.

სულობურ. სულის-პურის დრო განსაზღვრული არ არის, ზო-
გმა თავსაპარსისავე დღეს იცინა, ზოგმა უფრო გვიან. სულის-პური
მკვდარს ჩაუვარდება (მიერგება) მხოლოდ სამშაბათს, ხუთშაბათს, ან
შაბათს. სულის-პურში, როგორც ქორწილში, წინა დღითვე იწვევენ
იმ ოჯახს, რომლის წევრ დედაკაცმა ტაბლობაში მონაწილეობა მიი-

ლო. ნათესავები ხომ აუცილებლად უნდა მოვიდნენ. სულის-პურში ოჯახები ეველა სხლის წუღიანად უნდა შეიკრიბნენ. ამოიჩვენებ და დაუენებენ ფეუზდგომლებს პურის (ლავაშის) საცხობად, საკლავის დასაკლავად, ხორაგის მოსამზადებლად და სხვ. ამ დღეს სამი საკლავი უნდა დაჰკლავს უსათუოდ, ან სამივე უოჩი, ან ორი უოჩი და ერთი ქათამი (მამალი), ან ჭმუელი მოზვერი და ორი უოჩი, ან ერთი უოჩი და ორი ქათამი. სულს რქოსანი პირუტყვი არ ერკება, ხოლო ქათამი და უოჩი—კი. მოზვერი სულისთვის კი არ იკვლის, არამედ ხორცისთვის. სულისა მხოლოდ უოჩი და ქათამები, ან უოჩები და ქათამი. დაკვლის წინადად უოჩის ნაკურთხის მარილს მოალოკებენ (ხოლო მჰჰმადიანობაში უკურთხებულსაც ალოკინებენ); ქათამსაც სანთლით თავის ბუმბულებს მოუტუსვენ. დანის გამოსმის დროს დამკვლელი იტყვის: „დმერთმა აცხონას (სახედი) სულ“. შემდეგ საჭმელებს გააკეთებენ: დიდ-ქვაბებში (არაყისაში) ფლავს, წვენს და სხვ. მერე ხორაგს ქვაბებიანად შინ მიიტანენ, ლავაშსაც ვარცლიანად. სუფრაზე დააწყობენ ეველაფერს და საკმეველს ჩაჰყრიან. აქ ჩაყრამდე, საკმეველს ჯერ კორთეში ჩაჰყრიან მცირე ხონჩაზე, რომელზედაც ალაგებენ: ერთ მკლავ ხორცს, სამ ლავაშს და ერთ არაწ დვინოს. ეს ხონჩა აქვე დარჩება მეორე დღემდის და მერე სახლის-წუღნივე შეჰჭამენ. ქრისტეანი ინგილოები საჭმელს ნაკურთხის მარილით ამზადებენ და ტაბლსაც მღვდელს აკურთხინებენ. სულის პური სამჯერაც იცინა. პირველ სულის-პურზე მკვდარს საფლავზე დაიტირებენ, ხოლო მეორე-მესამეზე—შინ. საფლავზე რასაც სანთვარს წაიდებენ, შინ ადარ დაბრუნებენ: გამეველსა და გამომეველს აჭმევენ. დამტირებელნი შინ რომ დაბრუნდებიან, ჯამათი ჩამოსხდება—დედაკაცნი ცალკე და მამაკაცნი ცალკე. სტუმრებს მიართმევენ: ორ-ორ ლავაშს, ჯამით წვენს, რამდენსამე ნაჭერ ხორცს, ღვიძლის ნაჭერს, „ბარს“ (ფურცლ-ფილტვის წვრილად დაშვრიან, ნაწლეუბს მოახვევენ და მოჰხარშვენ. ამის ბარი ჰქვიათ). ამის შემდეგ სტუმრებს ფლავს მიართმევენ ორ-სამ კაცზე თითო ლანგარს. ფლავს აურია ხიწიწი (ხონოზიკი). დედაკაცები ამის გარდა კორკოტსაც შვამენ. ჭამა-სმის შემდეგ ეველა სტუმარს ორ-ორ ლავაშს, თითო ლუკმა ხორცს ჩამოურიკებენ. ხალხი რომ აიშლება, ეს ლავაშები და ხორცი ეველამ თან უნდა წაიღოს.

დედაკაცებს კი მიაქვთ ფლაგიც, ღვინოც, კორკოტიც, ხილიც და სხ. საზოგადოდ იმ ჭურჭლებს ივსებენ, რომლითაც სულის-პურში ხორაკი ან სასმელი მოიტანეს. პირველი სულის-პური წლის თავზე ადრე იცინან, ხოლო მეორე წლის თავზე და შესამე—მეორე წლის თავზე.

ამითი არ თავდება მკვდრის ხსენება და რიგები. ორმოც გაუსვლელ მკვდარს (მინამ ორმოცი დღე შესრულდება დღიდან გარდაცვალების) მეოთხე დღიდან მოკიდებული 40 დღემდის საკმეველს უკმევენ, მარხვა დღეს მარხულზედ, ხსნილ დღეს ხსნილზედ. ამას გარდა, წითელ პარსკევეს, სამარხო საჭმელებს გააკეთებენ: ჭინჭრისა ანუ არჭაკლის გირცსა, ნიკვზითა და ხახვით შენელებულ ჭინჭარსა და არჭაკელს, ლობიოს, წითელ კვერცხებს. უველა ამას უოველ ოჯახიდან კაცები წაიღებენ სასაფლაოზე და თავ-თავიანთ მკვდრების საფლავზე დასდებენ. თუ სამარე ახალის მკვდრისა, საფლავის ზემო-პირს გაასწორებენ. სამარეზე წაურილ მიწას გაშლიან, ოთხ-კუთხიან სახეს მისცემენ და ზედ ბალახიან ჭიმებს დაადებენ. თავ-ბოლოში კი ჰტეელსა და მალა ქვას და ხილის ხეებს ჩუდგმენ, მერე ხორაკს სამარეზედვე გაჭმლიან, საკმეველს დააკმევენ და სანთელსაც ანთებენ. ქრისტიანები მღვდლებსაც აკურთხებიანებენ საფლავებს. ამ დღეს ძველს მკვდრებსაც არ დაიწვიებენ და თავის წილს ხორაკს მიუტანენ. შემდეგ ამისა ხორაკს ისევ ჩაალატებენ ხურჯინებში და ფართო ველობზე გაულენ. ჩამოლაგდებიან უველანი და წინდაწინვე არჩეული ფეხზედგომლები ხორაკს ხურჯინებიდან ამოალატებენ, გაანაწილებენ და ჯამათს მთართმევენ. ჭამა-სმა დიდხანს გრძელდება. ხალხი რომ აიშლება, დიდები, მოხუცებულები შინ წავლენ, ხოლო უმცროსები ბურთაობას დაიწვიებენ. თამშობენ დიდხანს და ნასიამოვნებნი შინ ბრუნდებიან. საფლავზე მოტანილს წითელ კვერცხებს არა შჭამენ. სალგაზდანი აჭიდავებენ კვერცხებს (კვერცხს კვერცხზე უკვრენ), ვისიც გატუდება, იმის კვერცხი წაკებულაია. ამ კვერცხებს შინვე აბრუნებენ და გახსნილებისთვის ინახვენ. ასე იქცეოდნენ ინგილოები მამადიანობაშიაც. გახსნილების დღეს ძველ მკვდრებს საკმეველი არ ჩაუვარდებათ, ხოლო ახლებს კი.

სამარცხებზე გასვლა. საფლავებზე გასვლა მარიამობის მარხვის—გახსნილების მეორე ან მეოთხე დღეს იცინან. ამ დღეს მთელი სო-

ფელი სსსაფლაოზე იკრიფება. ახალ მკვდრებს (ერთის ან ორის წლისას) დაუკვლენ უოჩს და ვინც ვერ შესძლებს უოჩის დაკვლას, ქათამს დაუკლავს, ხორცს კი ბაზარში იყიდის. გააკეთებენ რძის შეჭამადს, ფლავს, ტოლმას, მოხრაკულ ქათამს, მწვანე ლობიოს, მოაჭურებენ ხილსა და ნესკ-საზამთროს. შინვე სუფრაზე ეგვლა მკვდრისთვის ცალ-ცალკე ჭამებში წილს ამოიღებენ, სუფრაზე დააწებენ და საკმეველს ჩაუერიათ. ახლის მკვდრის წილზედ კი საკმეველი სსსაფლაოზე იყრება. საკმეველს რომ ჩაჭურიათ, ჩამოსხდებიან და დანაურდებიან. მერე ცხენებს აჭკიდებენ სანოფაკეს და სსსაფლაოზე წავლენ. იქ ევკლანი თავ-თავიანთ მკვდრების საფლავებზედ ჩამორიგდებიან. სოფლის სამარხი თუმცა ერთადაა, მაგრამ საფლავები გვარეულობაზეა ჩამორიგებული. საფლავებზე მკვდრების წილს ხორაკსა და ხილს დააწებენ. ახლის მკვდრის საფლავებს ნაცნობნი და ნათესავნი დედაკაცი ჩამოიტირებენ, საკმეველს ჩაჭურიათ. ამ დროს მამაკაცი გვარეულობის მინდვით იქვე ხილის ხეების ჩრდილში სხედან, ნესკ-საზამთროს მიირთმევენ, ღვინო-არაუსა სმენ და მკვდრების ამბავს მოუთხრობენ ერთმანეთს. ქრისტიან ინგილოების საფლავებს რომ მღვდელი აკურთხებს, ხალხი იქვე ველობზე გავა, დედაკაცი და მამაკაცი ცალკე-ცალკე ჩამოსხდებიან და „ფეუზე მდგომელები“ ხორაკს განაწილებენ და ჩამოურიგებენ. შექცევა დიდის უიუინითა და სიცილხუმრობით იცაიან, თუმცა უოველ ღვინის დალევის დროს „დმერთმა აცხონა“-საც არ ივიწყებენ.

6. გორი (საიქიო).

საიქიო. საგვარეულო სამარხავის საქიროება. ცხოვრების წეს-ადათები საიქიოში (=გორში). „გორში“ მინასულ-მონასულთა ნაამბობი. რძის ტბაში ამოსულ ხეზე მცხოვრები ბავშვობა საიქიოში. მამპაღიანების ყოფა საიქიოში. იქაური ველები. მკვდართ გაცოცხლება. მეტამორფოზა. მარვა.

უოველი გვარი თავის მკვდარს ცალკე საგვარეულოში იმიტომ ჭმარხავს საზოგადო სსსაფლაოზე, რომ საიქიო თავისებურადა აქვს წარმოდგენილი. იქაური მოსახლენი, როგორც აქ, გორებად (გვარებად) დაუთფილნი არიანო. უოველი გორი ერთ ოჯახს წარმოდგენ-

სო. ამიტომაც კაცის შორს, უცხო ქვეყანაში გარდაცვალება და და-
მარხვა ინგილოს დიდ უბედურებად მიიჩნია. უოველ გორს იქ თავისი
უფროსი ჰყავს, ეოველ ოჯახს აგრეთვე—თავისი. იქ მკვდრები სა-
დილ-ფანშიმზე გვარ-გვარეულად დალაგდებიან. ეველა გვარის წინ სუ-
ფრასე ისა ჰქვია, რითაც ცოცხლები იხსენიებენ. ის ხალხი იქ გა-
ხარებულა, რომელსაც აქურები არ იფიწყებენ, ხშირ-ხშირად იგო-
ნებენ. უბედურად, მოწიქნით და უელ-გადაგდებულად ისინი არიან, რო-
მელთაც აქური ნათესავები სიღარიბისა გამო ვერ იხსენიებენ. ამის-
თანა კაცი საზოგადო მარაქში ვერ ერევა. ერთმანეთისთვის ლუკმის
მიწოდება და განაწილება იქ არ არის. ქვის უკან განმარტობით ზის
ამისთანა კაცი, ეელი გადაუგდია და ჩივის: მშვიერი ვარ, ნათესავებმა
არა გამომიგზავნეს რა (არ მომიხსენიეს). სანოვავე მკვდრების წინ
თუმიც ბევრი ჰქვია, მაგრამ ისინი არ შტამენ, მხოლოდ ჭვრეტით
(ხილვით) ძლებიან და იმით გზას მიდიან.

ინგილონი ამბობენ, რომ საგორეულთს ნანახიც ქნილათ, ე. ი.
საკვარეულთს მნახველი და დაბრუნებული კაცი ეოფილათ. ამგვარ კა-
ციებს რამდენიმეს ასახელებენ. ქიტანთ წუნკი დიად ავად განდაო.
ჰკუ და გონება ერთხანად დაჰკარგათ. მერე გონს მოვიდა და ასრე
ილაზარაკაო: „გორში წვევლ. იქ გორი-პირში ერ დიდ წყალ ეუო.
მითხრეს: „გოდმოხტ“. ჩემ ბებრამ (ბებია) კი დამარიგა: „წყალ-
ში ფეე არ ჩასცე“. გადავტენ, გედველ, გორში შეველ. ნოხ, რუმი
სხედან, დიდ მარაქამს. ჩონებიც იხსდნენ. სუფრასე ამთონ რამე
ეუო, კაც პირი ვერ მოჰტლუს. ღერობენ, ნაღრა-ზურნას ჰუკრენ,
შუფრობენ...“

ერთს ქალს კიდე ელაზარაკან: „იმ ღუნიამი წაველო. ეველანი
ტობილ მასლათ-საუბარში იფუნენო. ვნახე ჰაჰა, ბებია, ბიძები, ძმები,
ძმისწულნი, ჩემი ჰატარა ძმა ჰაჰას გულში ჩაეკრა და ეთამაშებოდა.
უცბად სამხიარულო ნაღრა დაუკრეს. უფროდნენ: ჰატარადი მოჰყავ-
თო. მთელი ხალხი გავიდა სეირის საუერებლად. მეც წაველ; ვნა-
ხეთ, ციჰკუებიანთ (გვარია საინგილოში) ქალი მოჰყავთ. მაშინ ჩემმა
ბებია მითხრა: „შენ რამე გინდა აქ, ვერ შენ დროე არ არის, წამ,
წამ აქამთია? ეელ მერა, გამშავდა. იქ კამ ლამაზა დახატულ სახლებ-
ოთადებ არის, ზეე მუღამ ანათებს...“

ამასაც ამბობენ, რომ სამოთხის კარზედ კუპრის ტბა არისო, ზედ ხილია გადებული, მართალი მარდად გადიან და სამოთხეში შედიან, ცოდვილნი შიგ ცვივიან და სუკუნო ცეცხლში იტანჯებიან. ცოდვილისა და კეთილის გამოსაცნობად მიჯნაზედ სსსწორია გამართული, სამოთხისა და ჯოჯოხეთის პატრანი სწინავეს. რომელი თვალდღე დაიწვეს, ის ჯოჯოხეთში წავა, რომელიც დაიწვეს, ის სამოთხეში. მართლებს იქ უორულები აქვთ. იქ შუკანედ ბიბინებს ეახა, იქვე სძოვენ უორები. ვენახები და ხილი ბევრია. ეახა იმ ჰურისა ამოსდით, რომელსაც კარდაცვალების ჟამს თავით დაუდგემენ. უორები ისინი არიან, რომელთაც ცოცხლები უკვლენ.

ერთი-ორის წლის ემაწვილს საკუეული არ ერკება. საიქიოს ერთი რძის ტბა არის. იმის შუაში თეორად გაფოთილი ხე დგას. ამ ხეზედ სხედან ეს ნორჩი ბაღლები, ეფეფიფობენ, იცინიან, როცა კი მტკშივათ, ხე ჩაწეება ტბის პირამდე, ემაწვილები დაეწაფებიან, რძით გაძლებიან და ხე ისევ აიბართება. ასე ატარებენ დროს ეოველ დღე. ისინი უცოდონი არიან და სამოთხეში ნეტარებენ*.

ღეკები იქ ტანტალიკონი (შიშველნი) არიან, რადგან შიშველად იმარხებიან. ერთი ჩვარი წინა სსსირცხოზედ უფარიათ, ერთი — უკანა სსსირცხოზედ. არც საჭმელი აქვთ, არც სასმელი. დადიან აქეთ-იქით, დატანტალებენ, შიმშილით გული მისდით, მოვლენ ქრისტი-

*) ამ საიქიოს წარმოდგენას შეადარეთ საზოგადო ქართული:

მიველ და ვნახე სამოთხის სახე,
 ედემსა გარე შემოვუარე:
 ოთხი წყარო დის, ოთხის მხრით მოდის,
 მითი მოირწყვის ყოველი არე.—

სიზმრითა ვნახე ედემი აღმოსავლეთის თავშიო:
 არის მზე, არის მთოვარე, მრვალ ვარსკვლავი ცაშიო.
 მივდივარ სანუკვარადა წმინდა ედემის ბაღშიო;
 მიველ და ხეხილთ გაღვხედე: ჩარიგებულა რიგშიო;
 ზოგი მწიფს, ზოგი ყვავილობს, ზოგსა მკუბენი ასხია;
 ერთი რამ კუპრის ტბა არის აქედგან მისავალშია:
 ზედ წვრილი ბეწვის ხილი ძვეს, ვინ გადაზომავს თვალშია!
 მართალი მარდად გადიან და მკვიდრდებიან ბაღშია,
 ცოდვილნი ძირსა ცვივიან, იღუპებიან ტბაშია.

ანებთან უელ-გადაღებულნი და მათხორთობენ, მაგრამ იქ ქონების გაღება და მიცემა არ არის. ქრისტიანებიც არ აძლევენ. ამიტომაც მაჰმადიანები ქრისტიანებს სანოვაცეს ჰპარავენ. თუ შეამჩნიეს, გამოეკიდებიან, სანოვაცეს წაარიმევენ და შორს გასდევნიან.

ცუდი კაცი, ბევრის „ფინთობის“ ჩამდენი მკვლარი დასთულავების შემდეგ განორთუებდება (განხორციელებს, გაცოცხლებს) ხოლმე და ან გაღორდება, ან გაქაფტრდება (ათთარი). გაღორება ასე მტკიცდება: ალიაბათელი მოლა რამაზანა ამბობდა, რომ ერთი ღორი მოგვალით და წინა თუხის მაწაზედ ქალის საღტა ქონდაო. განორთუებდება ხოლმე მხოლოდ ლეკი (მაჰმადიანი) და არა ქრისტიანი. ასეთი რაიმე სულიერად გადაიქცევა და ტყე-ღრეში გადავარდება, ან სოფელში დაეტარება. მუხტარ-აღა გაცოცხლებულიყო, შინ მისულიყო, ცოლს ეცნა და ეგირილი დაეწყო. შეერილიყვნენ მოლეები და სოფელელები და ისევ სასთულაოზე გაუცილებიანთ და ეთქვათ: „შენ აღგილ ჰქეცი, აღარ გომოხუდე“. ერთი ბილაჟუგელი გაცოცხლებულია. მისულა სახლში, ასულა აუარზედ და რაც ნაშრომი უოთილა საკომლედგან სულ ძირს ჩაუერია. ჯამათს ესეც სასთულაოზე გაუცილებია. გაცოცხლებული ცოცხალ კაცს არ ერჩის. პირველად რომ გამოვა სათულავიდან, კაცსა ჰკავს, მცირე ბაღანი აქვს, მერე კი ბანჯკვლიანი განდება და რასმე ცხოველს დაეკვანება. რომელ სოფელშიაც კაცი გაცოცხლებს, იმ სოფელში ბევრი ხალხი დაიხორცება. ზოგჯერ კაცი გაცოცხლებს, მაგრამ სამარიდგან ვერ ამოვა. იმის დასარწმუნებლად, რომ კაცი მართლა გაცოცხლებულია, თუ არა, ჯამათი იუილის შავ ულაყ ცხენს, წაიუყანს და სამარეზედ გადახტუნებს. თუ მკვლარი გაცოცხლებულია, ცხენი გადახტომის უმაღლე მოკვდება, თუ არა, არა დაუშავდება რა. თუ ცხენი მოკვდა, სათულავს ახლიან და მკვლარს იქვე ჩაჰკვლევენ. მოჭრილი თაფი შიგვე არ უნდა დასტოვონ, თორემ მკვდრის ტანს რომელ ადგილსაც მიეხლება, მიეკვრის და კაცი გაცოცხლებს. ამიტომაც თავს ამოიღებენ და ცალკე დამარხებენ. გაცოცხლებული კაცი მარტო დამ-დამე ამოდის, ხოლო დღისით ისევ თავის სათულავში ძვრებაო.

ვეელა ეს აღწერილობა საიქიოსი და რწმენა, რომ გარდაცვალებულის სული ზეზელად იქცევაო, რომ მკვლარი რაიმე ცხოველად გა-

ხორთკებაო, ცხადად მოგვაცონებს სხვა და სხვა უწინდელ ხალხების რწმენას შესახებ მკვდართა სულის მეტამორფოზისა და მთსავე ცდას გარდაცვალებულთა გვაშები უხრწნელად (მუშიად) შეენახათ, რომ მათში სული ისევ დაბრუნებულ იყო თვისის სხვა და სხვა ცხოველად გარდაქმნის შემდეგ. რომ ქართველებსაც თავდაპირველად ჰქონიათ ასეთივე რწმენა და მკვდართა გვაშების უხრწნელად შენახვაც სცოდნიათ, ამას ცხად ჰყოფენ არა იყო მარტო ზემო აღნიშნული ზენიერ-ხალხური გადმოცემანი, არამედ თვით ქართულს ენაში დარჩენილი სიტყვებიც: „განსვენება“ (გან-სვენება), „გარდაცვალება“ (გარდა-ცვალება), „მიძინება“ (მი-ძინება). ეს სიტყვები გვიჩვენებენ, რომ, — თანხმად ინგილოების წარმოდგენისა, — მკვდრები საიქიოს სასეტარო სვენებასა და მიძინებაში არიან და სააქაო ჭირ-ვარამი საიქიო სამარადისო ნეტარება-განცხრომად გარდასცვლიათ. ასეთი წარმოდგენა ჩვენშიაც დაბადვდა მკვდართა გვაშების შენახვა-დაკრძალვის საჭიროებას, და მართლაც ამას ცხად ჰყოფს სიტყვა დამარხვა ანუ, უკედ ვთქვათ, დამარეა, რომელიც ნიშნავს შენახვას, დაფარვას, დაკრძალვა-დაცვას. „მარვა“ დღესაც ისმას ხალხის ენაში: „სუდარი დვთის ამარად დარჩა“*), „პერანგის ამარ იყო“, „ცის-მარე დღეს“ და სხ. მისგან წარმოებულა სიტყვები: მარხვა (погеть), მარხვა = შენახვა (хоронить = хранить), მარანი (погребу — ზმინდამ погребать — დამარხვა), სამარე (სა-მარე), სამარიები (ინგ.) = სამარეები, სამარვანი (ინგ.) = სამაროვანი. „მარვის“ მიმდებარე მიგვაჩნია თვით მკვდართ დაკრძალვის მოსაგონებელი მარული = მარულა. ამავე ძირის სიტყვაა მალვა და ორთავეს (მარვა-მალვა) მნიშვნელობისა კი ფარვა = ფალვა (შენახვა; დაცვა, დაფარვა), რომელსაც უდრის მეგრ. ფულუა (მალვა, ფლვა) და მისგან წარმოებულ იოთულარი = სამალავი, ოთულე = საფლავი.

*) იხ. ვახუშტის გეოგრაფიაში.

7. ც რ უ მ ო რ წ მ უ ნ ე ო ბ ა ნ ი .

ცრუმორწმუნეობა. მკითხავეები და ავგაროზების დაწერილება. ალი. მაჯლაჯუნა. თელის ხეები. ავი თვალი, შელოცვა და შეკვრა. დაპეჩა (დაძლევა) სხვა და სხვა ფრინვლისა, პირუტყვისა და მნათობისა. მნათობთა მოძრაობაზე დამოკიდებული შედეგები. ყვავილი წმინდაა. შაკიკი.

ამგვარის ცრუმორწმუნეობის ნაშთი საინგილოში ბევრია. თუმცა თანდათან ხალხს უოველივე ეს მაგდენად აღარა სწამს. ცრუმორწმუნეობათაგან კადევ უნდა აღვნიშნოთ: მკითხაობა, ღუვა, სუდრები, ბებრების სამარები, ალი, მაჯლაჯუნა, ღევი (არღევა), თვალის-კვრა, მოჯადოება, შელოცვა და სხ. მაგრამ კადევ ვიმეორებთ, ყველა ეს ცრუმორწმუნეობანი ისე გატაცებით არა სჯერათ ინგილოებს, როგორც საქართველოს ზოგიერთ კუთხეში. ჩვენში მაგალითი არ უფილა, რომ კუდიანობისთვის ვინმე დაეწვათ, ან წყალში ჩაეგდოთ. ღუვა რომ ერთსა სწამს, მეორეს აინუნშიაც არ მოსდის მისი სიჭეშმარიტე; იღებს და ფხრეწავს. ანდა ვინმე ძრეულ რომ ავად გახდეს, ბებრები დაიყინებენ სამოლე გამხდარაო, ესე იგი მოლის წიგნი (ღუვა) უნდა დაეწეროსო. სახლის ჰატრანს არა სჯერა არც მოლისა და არც მისის ღუვასი, მაგრამ რომ დააწმუნოს ყველანი რა სისუფელეს ამბობენ, გაჭირებულნი წავა და მოლას მოიყვანს. მოლამ, რასაკვირველია, ავადმეოფისა არაფერი იცის. ზოგმა მოლამ წიგნი სრულიად არ იცის. რომელსამე საკალობელს დაჰბლაჯნის ერთ ფარატინა ქაღალდზე და, თუ ქრისტიანია ავადმეოფი, ხშირად წეევა-კრულვასაც დაუწერს და მისცემს გლეხს, თანაც ეტყვის: ისეთი ღუვა დაწერე, რომ ემაწვილი თუ კუდიანს ძრეულ არ შეუპურია, ღმერთთა მოწუაღე, მაღე მორჩებაო. აიღებს თავის სასუიდელს ერთ-ორ აბაზს, ან მანათს და წავა.

მაგდენად არც მკითხავეებისა სწამთ-რა. მკითხაობა ერთი რამ განსაზღვრული ხელობა არ არის, მკითხავი კადევც მკითხაობს, უოველგვარ სხვა საქმესაც აკეთებს. აქაურ მკითხავეებს იმის შესამედი გაუღენც არა აქვთ ხალხზედ, რამდენიც ქალაქში კოდელ ნინოს ჰქონდა. განთქმული მკითხავი კაკში იყო ქ. მარიაშა, გულ-კეთილი, ალაღ-

მართალი და სათნოიანი ადამიანი. ხალხს ჯერ გამოათქმევინებდა უოველიყეს: ან რას დაჰპირებიან ღმერთს, ან რა აღუთქვამთ საუდრე-ბისთვის, ან რა მიზეზით და როგორ ავად გამხდარა ავადმყოფი, და შერე ისე დასდებდა თავის განაჩენს. ხშირი მისი სიტყვა იყო: საღმთოს დაჰპირებიხართ, არ დაგიკლავთ. საკითხავისა ორ შაურსა და ერთს სანთელს, ერთ ნაკლექს ამირიკოს და ხან კი ერთ ნაკლექს დამოფალსაც მიუტანდნენ. უგულაზე დიდი მკითხავი (ე. ი. განთქმული) უოფილა ნახლე-ხანუმა სარდარაშვილი. მკითხავებს უფრო დიდი მნიშვნელობა იმიტომ ჰქონიათ, რომ იგინი წმინდად იქცეოდნენ. ცუდ სიტყვას არ იტეოდნენ, ცუდ საქმეს არ ჩაიდენდნენ. დაქვრივების შემდეგ ადარ თხოვდებოდნენ. იგინი უფრო მოხუცებული დედაბერები იყვნენ. ამიტომაც ინგილეებს ბებერ დედაცაცებისა დიდი ხათრი ჰქონდათ და აქვთ კიდევ.

აღსა და მაჭლაჯუნაზედ ისეთივე მოთხრობებია აქ, როგორც დანარჩენს საქართველოში. აღი გრძელ-თმიანი, ფრიად კოხტა ქალაო, მინდორსა და ველებში, წყლის ზირებში იმყოფებო. ცხენზედ ჯდომა და ჯენება უეგარსო. შეჰდება ცხენზედ და ფაფარს ისე აუწეწავს, რომ კაცი ვეღარაფრით დაუფარცხნის. ცხენზედ ჰირ-უგულმა ჯდებო. ცხენზედ აღი ბეგრს უნახავსო. აღი თუ როგორმე კაცმა დაიჭირა და ერთი თმა გამოაკლიჯა, თავის სიცოცხლეში მისი ემა იქნებო და, რასაც მოისურვებს, აუსრულებსო. მაჭლაჯუნას კაცის სახე აქვსო. ვინც ჰირ-აღმა დაწვეა, იმას ისე დააწვეა, რომ უოველი მისი ასო კაცის ტანის ნაწილებს მოეწეოსო. ამხირად დააწვეა, სულს შეუკუბებს და დაარჩობსო. მაჭლაჯუნასაც და აღსაც ღვთისა ემი-ნიანთ, და კაცმა წმიდა გიორგი, ან ღმერთი უნდა ახსენოს და მაგნე მაშინათვე გადაიკარგებო.

გზის ჰირას, საღმე განმარტობით თელის დიდი ხეებია, ეს ხეები საღმთოდ მიაჩნიათ და ჰქონიათ, რომ იგი ჰეგურებს სხვა და სხვა ავადმყოფობასაო. მაკალითად, კბილის ტკივილს და სხვ. ამიტომ გზად გავლის დროს მგზავრი რამე ნიშნს მიაკრავს ამ ხეს, ან კალთიდგან მოჰხევეს კარკატანს (ჩვარს) და ზედ მიაკრავს. ან ჩხირს დაურჭობს ხის ქერქში, ქვას დაჰკიდებს და სხვ. საქონლის ჯირის დროს ჰირუტყვის ნახირს ფირზე (ხის საუდარზე) წასხამენ ხოლმე.

იმ ხეების ქვეშ ვინმე მაჰმადიანი წმინდანი მარხია, ან-და იგი ადგილი ნაკელსიარია. ფირზე საქონელს მარღს მოალოკებენ; შესაწირავად ერბო-კვერცხიანი ფლავი მიაქვთ. მაჰმადიანები კი სადმთოსაც ჰკვლენ.

ზოგი ისეთი ადამიანია, რომელმაც თუ ავის თვალთა და გულთ შეჭხელა სხვის ულავს (შესაბამ ჰირუტევის), სხვის ცხენსა და შვილსაც, თოლ მოხტებაუ (თვალთ ეცემა). რომ თვალის ცემა აიცილონ, ძაღლის განავალს ჰირუტევის წაუსმენ, ძაღლისა ან ცხენის თავის ძვლებს სახლის თავებზედა და ეზოს ღობებზე ჩამოაცემენ, ან ღვინჭილასა და თვალის მზივს დაჰკიდებენ.

შელოცვა და შეკვრა შეიძლება ნეთესი, ჰატარძლის შეილიერებისა და სხ. და სხ. ნეთეს ნაბდის ბეწვეებს მოუგრეხენ ჭვარის წერის დროს, ან უზანტს გადაუტრიალებენ. ამით შეიკვრის ნეთეს კაცობა და ჰატარძლის შეილიერება. შეკრულის გასახსნელად მოლას იწვევენ, მაგრამ ამაოდ: ზოგნი ისე იხტებიან, რომ კაცობა არ ეხსნებათ! შელოცვა და შეკვრა ცოცხლის მძივითაც იცან. ეს მძივი მრგვალი და გრძელია. ერთი ჰირი მწვანე აქვს და ერთი წითელი. მტერი მიიტანს ვისიმე მამულში, კარს შემოატრიალებს და ისურვებს, რომ მამულის ჰატარძლი ვერ აშენდეს, გაოხრდეს და გავერანდესო. ამის შემდეგ იქვე მამულში დაჰმარხავს. შეკრულის კაცის მამულში არაფერი აშენდება, აშენებულაც გაოხრდებაო. ჰარკის ჭია, საქონელი, შვილები დაეხტება. ჭიას, ავადმუოფს, მელოგინეს და სხ. ვნებს აღმასი, თვალთ და ოქრო. ამიტომ ჭიისა და კაცის ავადმუოფობის დროს ამგვარ ნივთებით უცხო კაცს სახლში არ შეუშვებენ. თუ ვინცობაა შევიდა, მის ნივთებზე წყალს გადაავლებენ და ავადმუოფს დააღვინებენ, ხოლო ჭიას კი წყალს აჰკურებენ. მელოგინესთან შეტანილი ძვირფასი თვალთ, აღმასი, ოქრო და სხ. ჩხვილს ჰკლავსო. თუ თითონ მელოგინეს აქვს იგივე თვლები და ოქრო, კარედამ შემოტანილი ვეღარას დააკლებსო.

გაზაფხულზე სამხრეთიდან გადმოფრენილ ფრინველებისა და ახლად დაბადებულ ჰირუტეუების დაკეზვა (დაძლევა), აგრეთვე ღებებისა ამგვარად იცან.

კუპკუა (გუგული) რომ დაჰკეჩო, უნაწილო არ უნდა იყო, ერ-

თი ლეკმა ჰური შინც უნდა ინაწილო. მის „კუჭკუს“ შირველად რამ გაიკებე, უნდა მიაძახო: „კუჭკუ, დატეპ!“

მერცხალს დასძლევე, თუ ღვინო შეგისვამ, ან ძმარი და ძმრის წნილი გიკემნის დაძლევის დღეს.

წყალ-წყალას დასაძლევედ ორი კაცი ერთად უნდა იყოს. თუ ორი წუალ-წუალას და ერთი კაცი, მაშინ კაცი დაკეჩილია (დაძლეულია).

ყაპ-ყაპის დასაძლევედ შირში წუალი უნდა გამოადურდნო (გამოიფლო).

კურკურაჲ (გერიტი, დოია) დაძლევეა, თუ ფეტვის ამოსული ჭეჭილი გინახავს.

თუთა-ბალიას (ბიჭო-გოგია) დაძლევეა ახლის ყველით უნდა. თუთა-ბალია ჰატარძლი უოფილა. ერთხელ ტანი უბანია. ამ დროს მამამთილი მოულოდნელად და უცაბუად ჰატარძლის საბანებულთან მისწრებია. ჰატარძლს შერცხვებია და ღვთისთვის უთხოვნია: დმერთო, მამამთილს რაგორღა ვეჩვენო, ფრინველად მაინც მაქციეო. დმერთსაც შეუსმენია და თუთა-ბალიად უქცევია. ამიტომაც თუთა-ბალიას ყვითელი ბუმბული ასხიაო, რადგან ჰატარძლები ყვითელ ჰურანგს იცმენო. თუთა-ბალია იმიტომ ქჭვანს, რამ, რადესაც მოფრინდება, იძახის: თუთა-ბალო, მაჲწიო! (მოიწიე, დამწითედი).

ჰოპოპის დასაძლევედ თავის დაბანას სატრო. თუ თავ-დაუბანავ-დაუფარცხნელი ჰნახე, დაძლეული ხარ. ეს ჰატარძლი უოფილა და ბანების დროს მაზღს მიუსწვრია. ჰატარძლს ფრინველობა უთხოვნია და ჰტაპზად ქცეულა. საწყალს თავშივე სავარცხელიც ისევე დარჩენია.

კოტის დასაძლევედ რაზეღმე ხელით უნდა ჩამოკედიო. თუ ფეხზე დასდექი, ფეხის საცმელი მაღე გაგიცვდება.

ლეკის დასაძლევედ ადგომის საღამოს დორის ხორცი უნდა დაჭდეჭო და გააფურთხო. დორის ხორცი დაუღეჭავი რამ ლეკმა გნახოს, დაძლეული ხარ. ხორცის დამღეჭავები ლეკს რამ შირველად დაინახვენ, მიაძახებენ: „ლეკო, დატეპ!“

ტანას (ხბოს), ჭუჭუღს (წიწილას), კუტს (კვიცი) და ზაქს ჰურით დასძლევე.

ბუნების მოვლენათა დაძლევეა:

 რებით იმგურგლიჲ კაც დაწოლეჲ, ფართალ დააკეცლა, ჩხებით ჰა-
 რად დააკიდებულა. წინ ჰატრა კარიზირ (==ქეჲ) აქ. აჲ კარიზირამ-
 დინ თი კალთაჲ აუუდებულ. თუ იქიდგან კაცს ფეჲ დაწეორდა, და-
 ჴსნლტა, ფრიალ-ფრიალ მოგ, ზირს ღეეცემ, ჟიჴნაჲდ იქცემ.

მანდ უწინ თორდას ჰეცხოვრიაჲ.

ღიან ვაშკაც კაც უოფილ, ბატონიბეჲ თავ არ ჰედრეკი, ჰემანდ
 თავიბეჲ სახლ გომოგერქტი, შიგ დამდგარ, ერ ლამაზ ქალ ჰეთხოვ-
 ნი, აჲმასთან ჰეცხოვრი.

ე ქალიც დიდ ვაშკაც უოფილ. თორდაჲ სანადირო წასულაში
 აჲს აქ აჲასლქელ გზაჲ ჰეცავ, საუარეჲლეზე დგომილ.

ბეგრ ტერ ჰეოლი თორდას ბატონიზგნი. აჲს თავი დუდრუა-
 ნებიბეჲ ჰეჴაზირები: თორდაჲ შე არ მიჴერებსავ, თავს არ მიდრეკ-
 სავ, ღარიბ-ღურბათ ხაღდს ექომბაგებისავ; დამიჭირით, მამიუთნით,
 თოლეჲ დოგწოდოავ, თავ გაწხეთქო, ტუნ უმუაზრო, ზადლებს გა-
 დაჴუარო, შევაჭამუავ.

ბეგრს ჰუნდოდა თორდაჲ მოკლეჲ, თავი თავ გომოჩენაჲ, აჲმა
 მინც აჲ გზაზე წაჲდა, ერთიც ცოცხლ აღარ დაბრუნდა: თორდაჲს
 და იმი ცოლი ნასროგნ ერ მინამს არ სტებოდა³⁾, ზირს გზაშავ
 ხდებოდა, კლავდა.

1) არაკმა. 2) მთის. 3) სცდებოდა.

თორაღაჲ დამზღუვევლ კაც რუმ არ გომოჩნდა, ბატონ დაჲდა შეწონდა, გაჟაჟრდა; დაუხანა ღუდრუხანებს, იმათთან დაჟდა მასლასთ-ზე. ებნებოდაუ:

— ჰე კაც ვერც დოჲჭირით, ვერც მოჲგალით, რაჲ ქნოთა, რაჲ მოჲგონოთა, რუმ ჰე ხალღი ამსტენელ¹⁾ დავლუპოთ.

მინამმა არ იცოდა, რაჲ ეთქო, რაჲ ერჩიჲ. ემ დროს ეწუქოთი უწრუელი კმაჲ შეესმათ: ბატონი მუვირეჲ ბატონი ნახუას ამბოვდა. ბატონმა ესიც დაუხანა, ჰკითხა:

— რაჲსა, რაჲბე, მოსულხანა?

ჰუთხრა:

— ბატონო, შენ ვირები დამტქლი სიტუქუჲც მახსმინ. ჩონში თორაღაჲ მამკელქ კაც არ იქნებ, იმისთუნ, რუმ ის ხალღს იცავს, ხალღიც იმისუენა, იმი კარეზუდა. ვაშკაცობით იმას ერ მინამიც ვერაჲფერს ვერ დააკლებს, კერკით კი იმი დავლუპუჲ ჰადუელი²⁾; თუ ჩემ უჭკო ჭკუ განატერს დაიჟერებოთ.

— ჰაბა, როგორა?

— ამაგერ, რუმ ქალიციხეჲ ზირში, კევი ჰირზე არის წრუ-ლუხან, იმი შუაში კაჲ საბალახეჲს. თორაღას ჰუჟვარს აქ ჩომოსუ-ლაჲ, ხადირობაჲ, უურდღლები, ხადირები კოცაჲ. იმი მანტუქებელა ემაგერ ქნოთ: ვირს ირში ქებებ გაუკეთოთ, ირში ტუჲვ გოდვაცოთ, სამ დღე მოგამშიოთ, მემდან დამი წოჲეონოთ, აჲმ წრულუქანში სა-ბალახეზე გოქოთ, ერ კაჲ მეთოფეჲ აქ დავმალოთ. დილღითაჲ იმას თორაღაჲ დახანახანს, ირემ ეკონებ, ჩომოგ მანკელქა, ჩონ მე-თოფეჲც ნავაზირებს შასრულეებს.

ბატონს, ღუდრუხანებს დიად მეეწონა მევირეჲ ნათქომ. ამაში-ნაჲ საქმეს შეუდგენ.

მესამე დღი დილღაჲ თენდებოდა, რუმ ბატონი მეთოფემ ირ-მად გადაცმულ ჰურ წრულუქანი საბალახეზე გამაგდა, თუთან კი ხეებს უკან დაჲმაღა.

ამაშინსუკან თორაღამაც აღარ დაჲგუხანა, ჰატა ხანს უკან სახლი-კარ გააღა, კარიზირზე გომოვდა, იქავრობაჲ დაათორილა. ირემს

1) ამცდენელი. 2) ადვილია.

რუმ ბაღასებში თოვლ მთებში, სინქარით სახლში შებრუნდა, თოვლ ადლა, გარეთაგ გომოვდა, ცაღფეჟა გზას დადგა, ვაშკაცურა გად-
მაბიჭა, ქომოფთეჟ დეჟეო. ირემსაც თოვლს არ ამორებდა.

აქ ექსიც ჰუმ თქოთ, რუმ ამაშინ თორადას თავი ცოლიზგან
ერ შულ ჰეონდა, ჟერ ჰატრამ ეჟო, აკუნში იწო, ლამაზ, ბაღი-
მარცოღ რამე ეჟო. თორადა რუმ გომოვდა, ცოლიც გომოჰქო,
ემაწულცი კარი-პირზე გამაჟეონა ჰენთაჟ. დედა აკუნსაც არწებდა,
თაჟქე მანსულ თორდასაც ჰუჭრქტა, თოვლსაც არ ამორებდა დიდ
ირემს, რემენიც ქემ წრულქანში ზოვდა-კატკავდა ცრუნ ბაღასს.

ის ეჟო გომოზაფხული ზეჟ რმოდოდა, თი წერქებს წითლა
ანათებდა, ჩენ ქეჟანას აღუზებდა, რუმ წრულქანი აქათინა წარა-
ფით თორდას თოვლ გაჰვარდა... იმი კმა კობაღამს და ქურმუ-
ხი მიწრო დეღეებში კეჟიღაღ წაჟდა. ირემ წაჟქა. თორდა იმის-
კენ გომოჰვარდა. ცოღ მდღით აქებდა თავი ვაშკაც კაცს. ესიც
აქათი ჰუჭრქტა, ჰუჟეებდა თავი ნანდომ სუოთრეღ დეღაკაცს. ამ
დროს ჰანაჟ! აქათინა წარაფით თოვლს დაჟქენა. თორდაჟ უსულოდ
მიწაზე დეჟცა.

— გულაღატკასჟ! გაუჰეღჟა თავში ქალს, აკუნში ეოთ ემაწულს
აკოცა, აკუნ არტანებით ზედ მიიბა, მდღიღამ ემაწულ-აკუნანა გოდ-
მოჟეო დაქანებულში სიტეჟთ:

— ვაშკაც მოკდქს—ქალ დარჩეს!

14. კახეთი დერაჟ (ზღუჟე).

უწინ თელ კახეთ, ამპირ-იმპირ, თუშეთით ნქხიმდის წყალს
შქერი, ერ დიდ ზღუჟე ეოთიღ აქ. კაცს მაშინ თებში ჰუცხოვრი,
ამა წყალს იქაც არ მოუსუნები, მდღა-მდღა რმოსულ, თებში სა-
ცხოვრებელსაც მოჰწოდომი. ცხოვრებაჟ გაჰჭირებიაჟ; აღარ დარჩომიღ
მაკენელ, აღარც საზუებელ. ხაღდს ჰუფიქირნი: ემაგრ როგო იქნე-
ბისა! ემაგრ თუ წაჟდა საქმეჟ, წყალ მდღაღ თებსაც დაჰთარაჟს, დოგ-
დუზაჟს, ცხოვრებაც აღარ იქნებ. შეგრუებულან ერთა, ერთმერთიბეჟ
თაჟი დერდ ჰუთქომე, თაჟი ჰირ გოჭირებიაჟ, ჰუწუხნიაჟ. ეემ წუხი-

ლი, ვამბუნაი დროზე ერ მენახშირეა წინ წამამდგარ, ხალღიბეა ჰუთქომ:

— ჟამათს გამარყობა! მალა თებში ნახშირ რუმ მიწოვა, ბერეველ ზღუბეა გადმისედნი, შემომხნევი, რუმ იში წყალ არ დგას, არანისუენ მიიწვევის, იქითუენ იწურების, თავი გასლქელ კაწს ეხებს. ჩემ ჭკუთ, სკიროდას ე კაწ ჰუბოვნოთ, გზაა გოგჭროთ, წყალ გოდოშოთ.

— ჰუმბერ ჩონტ გუთვიქირნი. საქმედ ჰეგი, რუმ კაწ ჰოვნუა მინამს არ მეუზლიან! ეს თელ ჟამათი სიტუქა ეუო.

— მე აი რას გირჩევე, კიდემ დაიწყო მენახშირეა. ერ გოდორ კარგა გავხიზოთ, ნახშირით ავავსოთ, წყალში ჩავაგდოთ. სამთუენატ წყალი სავალ არის, იქითუენ წაძლებს, კაწს მიაუენებს, აა ადგილ გოდოგჭროთ, გოეთხაროთ, წყალ თუთანავ სავლქელ კაწს ჩაძღრიმიებს.

ხალღს მეწონა მენახშირი ნათქომ.

ნახშირით სავსე გოდორ წყალში ჩაგდეს.

გოდორ წყალმა ჰირზე მაგდა, ატარა-ატარა, წაძლა იქ, სდაც დღეს ალაზნი გადნაშობ არის. იქ თუშეთით სიღნაღზე მანასულ თაა შეკრულ ეოფილ ნეხიძესენ მინასულ თასთან. მოგრუბულ თელ კახეთი ხალღ, გაუჭრიაუ თაა, წყლიბეა კაწ ჰუქნიაუ, გადაჟეშუაუ. წყალ დაზრულ, წასულ, გაწურულ აგე, რუმ ალაზანში ჩაწურულ. მემდან ღამაზ შენიერ კახეთიც აშენებულ, აქავრ ქართქლები ცხოვრებაა აუქებულ¹⁾.

15. ბეზვის ბუჩქი ორ სამარეს შუა.

გაჭირდა წყლის გაუგანა მდინ. ქერმუნდამ ქერმუნის მალღ თერდობზე, სდა თვით წმ. გიორგის ქერმუნის სუდარია. ძრაველ კი სკირო იუო წყალს ედინა იქნობამდე, რადგან უწულოდ არა ხეირობდა-რა ერის წმ. სალოცავის ეზო-კარმიდამოში და თვით მლოცველებსაც აწუხებდა უწულობა. სდადეს ბერეველ რუგის გაუგანა, მაგრამ

¹⁾ აყვავებულა.

ვერა მოახერხეს—რა და მიატოვეს მუშაობა. სწორეთ ამ დროს, მოგვითხრობს გადმოცემა, „კაკში ცხოვრობდა დღეულ ხუცნიშულ: დიად ლამაზ გასათხოვარ ქალ ჰქონდა. იმი სილამაზეა გააგო ერ შორეულ თათრმა, მოვლა, დღელს შეეხეწა: „მაგი სიყვარულით ვიწებ, მე მამათხოვი“. დღელმა ჰუთხრა: „მაჰმადიანს როგო მოგათხოება ქრისტიანს, წაა, დააკარვი“. თათრიც ლამაზ ვაჰკაც კაც ეო, დღლიქალს მეეწონა, იმაზე გათხოება მაინდომა. დღელმა რუმ თავიდგან მაჰმოდოს, შეუზღებელ საქმის გაკეთებაა დაავალა, ჰუთხრა: „თუ ჰურმუხი საუდარზე წყალს გააფონავ, ქალს მოგათხოვებ, თუარ თოლქემ აღარ მეჩენო, წაა სადთაც მოსულხარ“. თათარ შეუდგა საქმეს. გაჭრა თაა, დღელა, დღეს თუ ხუალ წყალსაც გადაუშობდა. დღელ დაღონდა, ეგონა არახს ვერ გააფონავსავ, ჩემ ქალსაც ვერ ითხოვსავ. დღელ რუმ წუხდა, ერ კუდიან ბებერმა ჰუთხრა: „თუ ქალი დასწნაა გინ, ცხორს მამორ ბატონებ, ზროხას ტანებ, სამ დღეს ცალკ-ცალკ შეახახ, ხურც აღათს აჭებ. რუმ კარგა და.მშევიანა, მე წავალ თათრთან, შენც საქონელ გამოაუშ, ერთმერთმი დარივ, დაჰყებენ ბღავილს: დედაა შულუ შებნას დაჰწეობს, შულ დედის. აუბღავლდებიან ერთმეთს. თათარს ტირილით ვეტუე: „ჩონ დღლი სახლში ხედავა რა ვაჰმუხი, ტირილ-ჟრიაშული: დღლი ქალ შენმა მოლოდინმა მაღონო, დღეს დაახარა¹⁾, აჰმაზე არის ემგე ციცხლ, ემგე ვაჰჰარაჰ, ტირილ, ბოდრიად“! დღელს მეეწონა ბებრი ქართულ: ეგრე ქნა. თათრმა რუმ გააგო დღლი ქალი დახარჰვაჰ, არხი თხრას კელ გაანება, ერ ამაჰკნუსა, ქლუნგ²⁾ დაჰკარ თავში, არხშიავ დეეცა, სულ დალივა. დღლი ქალმა ეს რუმ ჰურმუხის აქეთა ჰირით დაახახა, მუკლეუბ აჰქავ ჩეეეცა: იმ ვაჰკაცი სიყვარულით ესიც მოკდო. ორნივ დამარხეს ჰურმუხი თაზე: ერთ თათრი განათხარ არხის აქეთა ჰირს, მეერეჰ იქითა ჰირს. ამათ სამარიებზე ომოდა ვარდ-უოვილ. თელ ხაღღს აგე შეეცოდა ეს ჟუნებ³⁾, რუმ იწოდნენ იმათ უდროვო სიკღულუთ და ემუქებოდნენ კუდიან ბებერს—შენ ქენ ე უდმერთო საქმიეგ. ბებერსაც შიშით გულ გაუტერო. წაიღეს, იმ ქალ-ვაჟი სამარიებ შუა არხში ჩაფლეს, ზედ მიწაა წაყარეს. ბებრი სამარეზე

1) გარდაიცვალა. 2) წერაკვი. 3) უცოდვო დასაქორწინებულნი.

ზქზ-ეკალ ომოვდა, გააზარდა, შეუვარებულეები ვარდ-ყოფილებ შუვა ჩადგა. გომოზაფხულს ე უოფილებ ერთმერთს წვდებოდნენ, იკოც-ნებოდნენ. ახლა კი ზქზ გეეჩინრა შუვაში, ერთმერთის გადახვევხა-კოცნაჲ მოეშალა. წოორ თქმულ: ფინ ინსან აქაც ფინთი, იქაცაჲ ¹⁾).

15. მოლა მასრადინა.

მოლა მასრადინაზე ანუ ჩასრედინზე ხალხში დაშთენილა მრავალი გადმოცემა და იგავი. თუმცა თვითონ მასრადინი მასხარად, სულელოდ ეჩვენებოდა ხალხს, მაგრამ ამბობენ ფრიად განათლებული და ბრძენი კაცი იყოფო. რამდენად მართალია ეს თქმულება, ღმერთმა უწყის. მოლა მასრადინას ავ-კარგიანობა ცხადად გამოიხატვის იგავებით, რომელსაც მრავლად მოგვითხრობენ ინგილოები, ლექვები, თათრები და, საზოგადოდ, საქართველოს მკვიდრნი.

ჩვენ შევეკრიბეთ ბლომა გადმოცემები ამ ფრიად თავისებურს კაცზე. ამ გადმოცემიდან, სხვათა შორის, ვტყუობულობთ ზოგიერთს ცნობას მოლა მასრადინას სამშობლოს შესახებ. იგავებში მასრადინა მოქმედებს, მოგზაურობს, ან ვაჭრობს აღმოსავლეთ დაღისტანში. მაგალითებრ, იგი რამდენჯერმე მიდის დარუბანჯს, რომლის ახლო-საც მდებარეობდა მოლას სამშობლო სოფელი და ქვეყანაო. ვისი შვილი იყო, ან როდის, რამდენი ხანი ცხოვრობდა, ვერც ეს შევიტყუეთ დაბეჭდით. აი თვით იგავები მასრადინას შესახებ, რომლის სახელიც საზოგადო სახელად გარდაიქმნა იმათთვის, ვისაც უუვართ ტყუილი, ბაქი-ბუქი და მასხარაობა. ამისთანა კაცს ეტყვიან ხოლმე: „აი, შე მოლა მასრადინა, შენა!“ მოგვყავს რამდენიმე.

ა. მასრადინა და ეშმაკი.

1. უველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მოლა მასრადინას ვერაჲინ მოატყუებსო. მაცდურმა ეშმაკმა თავი გამოიღო, შე მოვატყუებო მასრადინასო. სატანა გაეშურა მოლას სახლისაკენ. მასრადინამ დაინახა-რა მომავალი მაცდური, მიუხვდა განზრახვას, მიირობინა კლდესთან, რომელიც იქვე მის სახლს მდებარეობდა და დაჭურებდა და მიეჭინა მხრებით.

¹⁾ საიქიოს.

ეშმაკი მივიდა და ეუბნება:

— მასრადინ, მე შენ გამოსაცდელად მოვედი, თუ გსურს, გავი-
ჯობინებ, ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს!

— ხომ ხედავ, ესლას მე არა მცალიან. ამას გარდა, ჩემი ტო-
მარაც აქ არა მაქვს, უიმილოდ კი მე გაჯობრება არ შემიძლიან, აუუ-
დე ამ კლდეს, მინამ წავაღ და ტომარას მოვიტან, — უთხრა ეშმაკს
მასრადინამ.

— კლდეს რა ამოუღება უნდა?!

— ისა, რომ თუ არ მივეუდეთ, ჩამოვარდება და სახლს და-
მინგრევს.

სატანა დათანხმდა და მიეხრინა კლდეს. მოლა მასრადინა წავი-
და შინ. სატანამ იფიქრა: „ის არა სჯობია, რომ კლდეს გამოვეცა-
ლო, ჩამოწვება და დაანგრევს მოლას სახლსო, ამითვე მოლა და-
ძლეული და მოტყუებული იქმნება, რადგან კლდის დაჭერას დავპირ-
დი და ახლას კი გამოვეცდებიო. გამოეცალა, მაგრამ კლდე არ ჩამოწვა.

— მოტყუებული და დაძლეული ხარ, სატანავ, უთხრა მასრა-
დინამ. ათასი წელიწადია, ეკ კლდე მანდა ჰკივია და არ დაგორე-
ბულა!

2. მასრადინა გამარჯვებული და მხიარული წავიდა სალაუბოზედ.
აქ ბეგრი ხალხი იყო და ულტყავდნენ გამარჯვებულს. ეშმაკიც მივიდა
მათთან.

მასრადინამ დაცინვით უთხრა ეშმაკს:

— შე საწყალო, შენა, ჩემთან გაჯობრება როგორ შეგიძლიან!
უმაწვილიც კი გაჯობებს. გნებავს, მდინარეზე ისე წავიყვანო და მო-
ვიყვანო, რომ წყალიც კი არ დაგალეგინო!

— სცადეო, უთხრა ეშმაკმა.

წავსდნენ. მივიდნენ მდინარეზე. მოლამ მიიხედა სახლისაკენ და
გაკვირვებით უთხრა ეშმაკს:

— რა იქმნენ მოწმები?

— რომელი მოწმები?

— როგორ თუ რომელი მოწმები! უმოწმებოდ როგორ იქნება.
ვინ გვიმოწმებს, რომ შენ მართლას წყალი დალიე. შენ იტყვი, დაფ-
ლიეო, მე ვიტყვი, არაო. აქედგან არ გამოვა-რა.

- მაშ წავიდეთ, მოწმები მოვიყვანოთ!
- მივიდნენ სალაუბოზე. მასრადინამ დაიძახა:
- ეშმაკო, მდინარესთან ვიუავით?
- დიაღ!
- წყალი დალიე?
- ანა!
- მაშ დაძლეული ხარ!

ბ. მასრადინა და ქურდები.

ბნელი დამე იყო. მოლას თავის სახლში ტანტზე ეძინა. ქურდებმა გამოუნგრეს სახლის კედელი და შეიპარნენ. მოლამ ეს გაიგო, მაგრამ სული გაიტრუნა და ხმა არ ამოიღო. ქურდებმა უოველივე მოხვეტეს, რაც კი რამ მოლას ებადა და სახლიდამ გამოპარვას აპირებდნენ. ამ დროს მოლა ტანტიდამ გადმოგორდა და ძირს იატაკზე დაეცა. ქურდები გაქცევას აპირებდნენ, მაგრამ ნახეს, რომ სახლის პატრონი ხმას არ იღებდა და იფიქრეს, სძინავსო წავიდნენ. ქვეშაგებიც აიღეს და გაიპარნენ. ქურდები შეიდანზე მიდიოდნენ. მოიხედაეს, ნახეს ვიღაცა კაცი მოსდევთ. მიაძახეს:

ვინა ხარ, ან სად მიდიხარო?

— მე ვარ მაგ ნივთების პატრონი, მიუგო მასრადინამ. სად მივდივარ?! მუშებს ჩემი ბარკი სხვა ბინაზედ გადაქვთ და მეც თქვენ მოგდევთ, სად არის ახალი ჩემი სადგური, ჰა!

ქურდებს შეეშინდათ, ნივთები იქვე დაუარეს და გაიქცნენ.

გ. მასრადინა და ნალი.

მასრადინამ ცხენის ნალი იპოვნა. ძლიერ გაუხარდა, სთქვა: სამსაც ვიპოვნი, ცხენს ვიყიდი, დავაჭედინებ და ქაბას წავაღ, მოვილოცავო.

— შენ რომ ქაბიღვან დაბრუნდები, უთხრა ცოლმა, მეც შეგჯდება ცხენზე და დედასთან წავალო.

— აი, შე უგუნურო დიაცო, შენა, ცოდო არ არის მაშურალი ცხენი, შეჯდე და შეაწახო! დაუწყო მასრადინამ ევადრება ცოლს და ერთი-ორი მუჟღუგუნიც წაჰკრა.

დ. ქ ვ ა ბ ი.

მეზობლისაგან მასრადინამ ქვაბი ითხოვა და მოიხმარა. შემდეგ კარცს სუთთად, შიგ სხვა ჰატარა ქვაბი ჩანდო, მიაწოდა მეზობელს და თანაც მადლობა გადაუხადა.

— მოლა, შენ ხო ერთი ქვაბი გამოგვართვი, ეს მეორე ქვაბი რაღათ მოგიტანიაო? უთხრა მეზობელმა.

— როგორ რაღად! შენმა ქვაბმა ჩემთან მეოთხობის დროს მოიგო ეგ ქვაბი და შენ გვეუთვნისო, უხასუხა მეზობელს მასრადინამ. გაუხარდა მეზობელს და გამოართვა.

მეორედამ მოლამ იმავე მეზობლისაგან ისევ ქვაბი ითხოვა და ახლა კი აღარ დაუბრუნა. უცადა, უცადა ჰატრონმა, ნახა, რომ მოლას ქვაბი აღარ მოაქვს, მივიდა თითონ და ჰკითხა: მოლა, ჩვენი ქვაბი რა უყაფიო?

— თქვენმა ქვაბმა, შეკობარო, თქვენი ჭირი წაიდო, გარდაიცვალა.

— რას ამბობ, კაცო, ქვაბი როგორ გარდაიცვალა?

— თუ შეიღეს მოიკებდა, გარდაცვალებას რაღა დაუშლიდაო, — უხასუხა მოლამ.

ე. ვ ი რ ი.

მოლას კარგი ულასი ვირი ჰქონდა. ერთი კაცი მივიდა და შეეხვეწა:

— მოლა, ვირი მათხოვე, წინსწეილში ხორბალი მაქვს წასაღებიო.

— შინ არა მუყავსო, მიუგო მოლამ.

გამოეთხოვა ის კაცი მოლასა და წავიდა. ჯერ ორდობეც არ გაეგლო, რომ ვირმა ძლიერად დაიურთუნა.

— აკი ვირი შინ არა მუყავსო, დაუეგდრა მოლას მთხოვნელმა.

— აი შე მართლაც ვირო, ვირის სიტყვა გჭერა და ჩემი კი არაო?!

ვ. პ უ რ ი.

მასრადინამ აჩქით მთელი რიუე გადახრა. მერე ხორბალი დათესა და დაუარცხა.

— შენ, ოჯახ-ქორო, მანდ ხო არაფერი მოვაო, ჰკითხეს გამ-
ვლელებმა.

— ალლაჰს თუ კუჭი არ ეტკინა, აქაც მშვენიერი ყანა გაჩნდ-
ბაო, უმასუხა მოლამ.

ზ. ს ტ უ მ რ ე ბ ი.

ერთმა კაცმა მოლა მასრადინა მეჯლისში მიიზატია. მოლა და-
ძონძილ-დაკონკილი ტანისამოსით ეველაზე ადრე მივიდა და საპატოო
ალაგზე, ცეცხლის პირას ჩამოჯდა. რამდენიც ახალი სტუმარი მო-
ვიდა, იმდენჯერ მოლა წამოაყენეს, ადგილი დააცლევიინეს და ქვემოდ
დააწვიინეს. ასე, მოლა თანდათან სუფრის ბოლოს მოექცა. ეს და-
ინსომა.

კავიდა რამდენიმე ხანი. მასრადინა მეორედ იმავე კაცმა დაიზა-
ტია. მოლამ მდიდრულად ჩაიცვა და ეწვია მასპინძელს. წარმოიდგი-
ნეთ იმისი განცვიფრება: იგი დიდის თავაზით მიიღეს, მიიწვიეს და
პირველს ალაგას დასვეს. ხელზე წყალიც პირველად მიართვეს. მო-
ლამ წყლის მომტანს თავისს ძვირფასის საცმელის კალთები მიუშვი-
რა და უთხრა:

— აი, გარეცხეთო!

— რას ბძანებთ, ბატონო, როგორ შეიძლებაო!

— თქვე სულელებო! ძველის ტანისამოსით მოველი, სუფრის
ბოლოში მომაქციეთო და ახლა მე კი არ შემსახურებით და პატვისა
მცემთ, ამ ჩემს ძვირფასს საცმელსაო.

ც. ქ ე ლ ე ხ ი.

გარდაიცვალა ერთი დიდებული ბეგი. ჭირისუფლებმა ქელებში
დიდალი ხალხი მიიწვიეს. შეიყარა ხალხი და ბეგის ეზოში ჩამო-
სხდა. ეველა დადრეჯილია, დაღონებული. ბეგრნი ტირიან. მოლა
მასრადინაც ამ დროს ბეგის კარებზე მივიდა. ხალხმა იფიქრა: ეს მა-
სხარა რასმე იტყვის, გაკვანინებსო და სირცხვილს გვაჭმევსო. მას-
რადინას უთხრეს: ოღონდაც აქედგან დაბრუნდი და კომლზე თითო
პინა ხორბალსა და ბრინჯს მოგცემთო.

— კარგი, წავალო და პირობა კი შემისრულეთო.

წავიდა შინ მოლა. იფიქრა: თუ ზირობა არ შემიხრულეს, ხომ ქეღეხსაც დაგვარგავ, ზურსა და ბრინჯსაც.

მოლამ გამოიყვანა თავისი მწევარი და აბრეშუმის მშენებელი მოსართავით და უნაგირით შეკმაზა. აბრეშუმის ხურჯინიც გადაჰკიდა. ერთი კურდღელი სადღაც იძოვა, უბეში ჩაისო, მწევარს ღაგამი ზირში ამოსდო, გასწია და წავიდა. ქეღეხის ხალხი ის იყო სუფრასზე დამჯდარიყო. მოლა მარდად შევიდა ალყათის კარებში და თავისი რაშაც შეიყვანა. დაინახა თუ არა ხალხმა ეს მოჩვენება, დაიწყო ხარხარი. რამდენიმე კაცი მივიდა მასრადინასთან და უთხრა:

— კაცო, ხომ არ გაგიჟებულხარ, რასა შერები?!
— თქვე სულელებო, კერე აღვიღად ვერ მომატეუბთო, უნასუნხა მასრადინამ.

გაიგო ეს ამბავი სახლის ჰატრონმა, ფქვილითა და ბრინჯით მასრადინას ხურჯინი გაუვსო. მასრადინამ მადლობა გადაუხადა და დაბრუნდა. ალყათის კარებთან რომ მიაწია, მოლამ მწევარს კურდღელი დაანახვა. შეხტა მწევარი, წამუტუნნი და სტუნვა დაიწყო.

— აი, შენ გიჟო რაშო, რა დაგემართა, ამ მათრახს ხედავ! უუგირის ძაღლს მოლა. ამ დროს უბიღვან ძაღლის წინ კურდღელი გადმოახტუნა. გაიქცა კურდღელი, მწევარიც გამოეკიდა. მწევარს რომ ფქვილი ეკიდა, სულ განიავდა.

მოლა მასრადინა კი დგას და იძახის:

— ერთი შეხედეთ ამ ჩემს რაშს, ბუქი და კორიანტელი არ დააუენაო!

ხალხი იცინის, კვდება სიცილითა.

თ. ხ ბ ო.

მოლას ორი ხბო სახბორეში ება. ერთი აეშვა და გაექცა. შევიდა სახბორეში და დაბმულს ხბოს ცემა დაუწყო.

— კაცო, მაგას რათა სცემ, მაგისი რა ბრალაო! ჰკითხეს მეზობლებმა.

— ესეც რომ აეშვას, გაქცეულზედ უფრო ჩქარა გაიქცევაო, მიუგო მოლამ.

ი. ს ა ხ ბ ო რ ე.

მოლას საწველი ძროხა არ გააჩნდა, მაგრამ სახბორე კი გააკეთა. მოლას ცოლს როგორღაც მოუხდა და სახბორისკენ მუგუზადი გაისროლა. მასრადინამ ცოლს ცემა დაუწყო, — შენ ოჯახ-დაქცეულს, ხბოს ხომ თვალი გამოსთხარე!

ია. ფ ე ტ ვ ი.

მოლამ ფეტვი დაითესა. ღვთის სახელზედაც ფარაქალი (წილი) დათესა. შემოვიდა ფეტვი. მომკო და გალეწა. ღვთის წილი მეტი გამოვიდა. იქიდან მოიპარა ფეტვი და თავის წილს დააყარა. ამ დროს იჭუნა. კოკიბირული წვიმა მოვიდა და ნიაღვარმა გალეწილი ფეტვი სულ მთლად წააგვია.

— დიდო ალლაჰო, შენი სახელიც დაღუპე და ჩემიცაო! დაიძახა მასრადინამ.

იბ. მასრადინას სიკვდილი.

ერთხელ მოლა მასრადინა შეშის მოსატანად თავისის ვირით ტუეში წავიდა. ავიდა ერთს ხეზედ და იმ ტოტზედ დაჯდა, რომელსაც ძირში შჭრიდა.

მგზავრმა დაინახა და ეუბნება მასრადინას:

— მოლაჲ, უსათუოდ ძირს ჩამოვარდებიო!

მოლა მასრადინამ უური არ ათხოვა, ალბად მეხუმრებო და ხეს ისევ ჭრა დაუწყო. მართლაც ტოტი მალე მოსტედა და მასრადინანად ძირს ჩამოვარდა. გაკვირვებული მასრადინა გაიქცა, დაეწია მგზავრს და უთხრა:

— ჩემი ხილამ ჩამოვარდნა შენ იწინასწარმეტყველე და კიდევ აღსრულდა. ჩემის სიკვდილის დღეც გეტოდინება, გაფიცებ გამჩენს, მიწინასწარმეტყველე სიკვდილის დღეცა.

მგზავრს სულელის თავიდან მოშორება უნდოდა და ხუმრობით უთხრა:

— მოკვდები მაშინ, როდესაც შენი ვირი სამჯერ დაიურთუნიებსო.

უფრო გაკვირვებული მასრადინა დაბრუნდა ვირთან, აჭკიდა შეშა და შინ წავიდა.

გზა-და-გზა ერთი აღმართი უნდა აეგლოთ. რაწამს შეუდგენ შედმართს, ვირმა, ალბად სპაზლზე იმძიმა, ერთი დაიურთინა:

-- ეს ერთი! დაიუვირა მასრადინამ. ჩემი სულის მესამედი კიდევ გაფრინდა.

შედმართის შუაზედ ვირმა მეორედ დაიურთინა.

— ეს ორი! სულის მესამედი-და შემრჩა.

აღმართის თავს ვირმა მესამედაც დასძახა.

— ესეც სამი და მე მოკვდი! წარმოსთქვა მოლამ, გავიდა გზის ბირას და დაწვა მიწაზედ. ვირიც შორი-ანლო გაჩერდა და ძოვნა დაიწყო.

ამ დროს საიდგანდაც გაჩნდნენ მკლეები და ვირს მისცვივდნენ.

— ეჰ, ეჰ! ნეტავი ცოცხალი ვიყო, ამბობდა მიწაზე მწოლარე მასრადინა: მაგ მკლებს ვაჩვენებდი სეირს! ეხლა კი რა გქნა! მკვლარი ვარ! როგორღა გამოვადგები ჩემს საწყალს სახედარსა. შტამეთ, შტამეთ, მკლებო, ეგ ვირი! ღმერთმა შეგარგო!

16. თამარ დედაფალი და ალექსანდრე მაკედონელი*).

თამარის მეტი შვილი იმის მშობლებს არა ჰყავდათ. თამარი ჯერ ისევ ათი-თორმეტი წლისა იყო, როდესაც იმისმა დედამ საკვირველი სიზმარი ნახა. მეორე დღეს დედამ შვილს უამბო: „წუხელ, საუვარელო ჩემო შვილო, მეზმანა, რომ ვითომ შენ მამიშენის ტახტზე იჯექი, მეფურად შემოსილი იუავ და ხელში სამეფო გვირგვინი და სფერო გეპურა. მჯერა, მალე გახელმწიფდები. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ უფალმა შენს გარდა სხვა შვილი არ მოგვცა. ღმერთმა მაჩვენოს, შვილო, შენი ბედნიერება და დიდება. იუავ, ჩემო თვალის სინათლე, მოწყალე, წუნარი, მართლ-მოფარე, ღარიბ-ღატაკთა ნუკეშინის მცემელი“. სიზმარი გამართლდა. სიკვდილის წინად მამამ თავისი ქალი სამეფო ტახტზე დასვა და მეფობა დაულოცა. ამას შე-

* ჩაუწერეთ სოფ. ალიბეგლოში მოსიკო თამაზაშვილის სიტყვით. პირველი ცოტა მეტ-ნაკლებობით ჩაუწერია აგრეთვე ნიკო ჯანაშიას სამეგრელოს სოფ. ამკოლოს, ხოლო მეორე პ. პრიხნის გორის მაზრის სოფ. ქიწნისში. ალექსანდრე მაკედონელი ისკანდარად იწოდება აღმოსავლეთში.

მდეგ ბევრი ხანი არ გავიდა, რომ თამარს დედ-მამა დაეხრცა. თამარი გახელმწიფდა და მთელი მსოფლიო დაიპყრა. თამარს ისა სწეინდა მხოლოდ, რომ მარტო კასპიის ზღვა იმის წინაშე ქედს არ იხრდა. ამის გამო თამარი ძალიან განრისხდა და თავის ლაშქარს უბრძანა, მთელი კასპიის ზღვა ნამჭით მოეფინათ, ზედ ნავთი დაესხათ და ცეცხლი მოკვდიდებინათ. ახა ლაშქარი როგორ არ გაუგონებდა თავის საუვარულ ჰატრონს. თამარის ბრძანება მალე სისრულეში მოიყვანეს. შეწუხდა კასპიის ზღვა, გალაღებული ქედი თამარის წინაშე მოიხარა და, ვითარცა მონა, ისე შემოეხვეწა ურჩობა ეპატეობინა. თამარი მოწყალე იყო, დანაშაული შეუნდო, ზღვამ მადლობა გადაუხადა და დიდი ხარკი თავს იღვა. კასპიის ზღვა თამარს ხარკად უოველწლივ აძლედა დიდძალ რქროსა, ვერცხლსა, გიშქრსა, მარგალიტ-იაგუნდსა და ცხენ-კამბეჩს. ამის შემდეგ თამარი მოსვენებით იყო თავის ტახტზე და განაკებდა მთელს ქვეყანას, მადრუბიდან მამრუ-ყამდის.

ეს გადმოცემა უნებლიედ გვაგონებს ხალხშივე დარჩენილ ამგვარ-სავე ლეგენდას ალექსანდრე მაკედონელზე.

ალექსანდრე მაკედონელმა მთელი ქვეყანა დაიპყრო: აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი. დაუპურობელი დარჩა მარტო ერთი ზღვა. ეს ზღვა შავი ზღვა იყო. ერთ დღეს ძლიერის ჯარით ალექსანდრე ამ ზღვასაც მოადგა და დამორჩილება შეუთვალა. მაგრამ ზღვამ წარბიც არ შეიხარა. ალექსანდრე სიბრახისაკან გაცეცხლდა და თავის ლაშქარს უბრძანა, შავი ზღვა ნავთით გაეგსოთ, ზედ თივა მოეფინათ და ცეცხლი მოკვდიდებინათ. დაუხანებლივ შეასრულეს ხელმწიფის ბრძანება. შავი ზღვა კიდი-კიდეზე გადაიქცა ერთ დიდ თორნედ. შეწუხდნენ შავის ზღვის მკვიდრნი და მეფეს მოციქულად ერთი ციდა კაცი გაუტყავნეს და მოახსენეს: დიდო ხელმწიფე, რას გვემართლები, დაგვეხსენ და დიდს ხარკს მოცემთო.

— რას მომცემთ, ბრძანა ალექსანდრემ.

— ციდა კაცმა ხორბლის სამი მარცვალი მიართვა და უთხრა: „ეს არის ჩვენი ხარკი. თუ ზირველ მარცვალს მიირთმევ, ახალგაზ-და ჭახუკად იტყვი, თუ მეორეს— დიდი ბრძენი იქნები, თუ მესა-

შეს—ყოველის ავადმყოფობის წამალი გეცოდინება და ამასთანავე შენის სიკვდილის დღეცაო.

აღექსანდრემ ხარკი არ იცოტავა. სამი მარცვალი ციდა კაცს გამოართვა, ცუცხლი ჩააქრო და თავის სამეფოში დაბრუნდა.

გავიდა კარგა ხანი, აღექსანდრე კიდევ მოხუცდა. ერთ დღეს მოაკონდა ის სამი მარცვალი და სთქვა: „აბა, ვცდი, რა ღირსებისაც არის შავის ზღვის მოცემული ხარკიო“. სტუმრად მიიწვია დიდძალი ხალხი. ის სამი მარცვალი კი თავის ხაზახს გადასცა და უთხრა: „სამი კარგი ქადა გამოაცხეო“. სტუმრები შეიფარნენ. როცა კარგად სვეს და ჭამეს, აღექსანდრემ ქალები მოიკითხა, ყველანი უნდა გაეკვირვებინა სასწაულით. მიიჩნევდა ერთი ქადა და ცვლილება არა დაეტყუო—რა, მეორეც ჭამა, მანც არა შეუმჩნია—რა, მესამე ქადამაც აღექსანდრე ვერ გადაახალისა. აღექსანდრემ მუცელი გაიძლო ქალებით, მაგრამ ვერც ახალგაზდა განდა, ვერც ბრძენი და ვერც ექიმი. გაუკვირდა და დანადგლიანდა. იფიქრა, ალბად ზღვამ მომატუეუაო.

სტუმრები რომ წავიდ-წამოვიდნენ, დაიბარა ხაზახი და ჰკითხა:

მონაჲ, მართალი მითხარ, ქალები სწორედ იმ მარცვლებისა გამომიცხე, რომელიც მე შენ მოგეტოო?

გულუბრევილო მონა-ხაზახმა ყოველივე აღიარა მეფის წინაშე და ასე მოუთხრო ქალების ამბავი:

— სამის მარცვლის ქადა რომ გამოფაცხე, ნაცარში ჩამიცვივდა. აბა ამისთანა ჰურებს როგორ გაკადრებდი, ხელმწიფეო. იმათ მაგიერ სხვები გამოფაცხე. წინანდლები კი ერთ საწაულ ბებერ გლახას მივეცი შენ სადღეგრძელოდ.

შეწუხდა აღექსანდრე. უბრძანა შეეყარათ იმის სახელმწიფოს ყველა გლახები. ყველანი რომ მივიდნენ, ხაზახს უბრძანა, აბა იცანი ის კაცი, რომელსაც ქალები გადაეციო. ბევრი ათვალიერა ხაზახმა, მაგრამ ვერც ერთს ხელი ვერ დაადო. მაშინ აღექსანდრემ იქ შეკრებილ გლახებს ჰკითხა:

— სხვა გლახა ხომ არავინ დარჩენილა მოუსვლელო.

— როგორ არა, ბატონო, შეჭდადადეს ერთ ხმად გლახებმა: ამა და ამ სოფელში ერთი მოხუცი გლახა იყო. ძლივს დადიოდა.

მაგრამ ამ ბოლოს დროს რაღაც სასწაულის გამო უცებ სრულიად ახალგაზდა შეიქნა და ამასთანავე დიდი ბრძენი და ექიმიცა.

ალექსანდრემ მიაყვანინა და თავის შინაურ ექიმბაშად გაამწესა. გავიდა კარგა ხანი და ალექსანდრემ ჰკითხა:

— რა დღეს მოგვედები?

— იმ დღეს, რა დღესაც ცა და დედამიწა სზილენძად იქცევაო, უზასუნა გლახად ნამეოფთა ექიმიცა.

ამის შემდეგ კარგა ხანი გავიდა. ალექსანდრე ავად გახდა და თავის სზილენძის ტახტზე დაწვა. ფიქრებმა გადიტანა, აიხელა ზევით და სზილენძის ჭერი სზილენძის ცად მოეჩვენა, დაიხელა ქვეით და სზილენძის იატაკი სზილენძის დედამიწად დასახა. ამოიხსრა და წამოიძახა:

— ახლა კი მოვიდა ჩემი აღსასრული!

მართლაც იმავე დღეს სული განუტევა.

VII

ი ნ გ ი ლ ო თ ა ლ ო ლ ა თ ი .

I. წინასიტყვაობის მაგიერ.

ჯერ ისევ 1895 წელს ვწერდით „ივერიაში“ (№ 200): „უველანი იმას ვამბობთ, რომ ქართული ენა მეტად მდიდარი ენააო, მდიდარიო არა თუ მარტო თავისის საგრამატიკო ფორმებით, არამედ ლექსთა სიმრავლითაც. ეს მართალი თქმაა. ხოლო, ჩვენდა სამწუხაროდ, თითქმის არავინ არა ზრუნავს მშობლიური ენა საფუძვლიანად შეისწავლოს და გვაცნობოს მისი შეენიერება, თვალწინ გადაგვიშალოს ის საუნჯე მეტყველებისა, რომელიც მრავალ საუკუნოების განმავლობაში დაიმუშავა და შეიძინა ქართველთა გონებაში და ჭკუაში. უეჭველია, ასეთი შრომა თვალსაჩინო სამსახურს გაუწევს ქართველთა წარმატებისა და წინსვლის საქმეს. რომელიმე ენის სულისა და გულის შემეცნება დიდი ღვაწლია, ვინაიდან ამ შემეცნებისათვის საჭიროა ხანგრძლივი და მუყაითი შრომა, ფიქრი, განუწვევებელი ჩხრეკა-ძიება, ბეჯითი შესწავლა ძველის ხელთნაწერებისა, შედარება და შე-

თანხმება სხვა და სხვა კუთხის სიტუაციების და ამავე კუთხეებში დაშ-
თენილ სიტუაცია-ფრაზების გამომწვევა.

არ არის ისეთი ენა, რომ მას, თვისის წინმსწავლეობის დროს, მრავალი სიტუაცია არ გაქვეყნებოდეს და ამ გაქვეყნებულ-გაუქმებულ სი-
ტუაციათა მაგიერ სხვა ახალი (ხშირად უცხო ენის) სიტუაცია არ შემოე-
დოს ხმარებაში. ხოლო შემწეულია, რომ მრავალი სიტუაცია, რომე-
ლიც შემდეგს თაობას აღარ ესმის, წინანდელ თაობისათვის უველა
ესეთი სიტუაციები გასაკლები უოფილა და მაშინ არც ერთი სიტუაცია,
აღმნიშვნელი რომელიმე ცნებისა, გაუგებარი და ანუ გაქვეყნებული არ
უოფილა. თუ ეს ითქმის საზოგადოდ რომელიმე ენის შესახებ, მით
უმეტეს ითქმის იმისთანა ენის შესახებაც, როგორც ქართული ენაა,
რომელსაც აქვს თავისი, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, 2300 წლის
ისტორია.

სიტუაციების გაქვეყნება და კილო-კავების გაჩენა დამოკიდებულია
მრავალ გარემოებაზე; უადრესი ამ გარემოებათაგანი არის: ერთისა
და იმავე ტომ-მოდგმის წარმომადგენელთა შორის მისვლა-მოსვლის
სიძნელე და მწერლობის უქონლობა. მისვლა-მოსვლის სიძნელე და-
მოკიდებულია გვარ-ტომის ადგილ-სამყოფელის გეოგრაფიულ შენო-
ბაზე: მაკარი და შუგალი ხეები, ღელეები, დიდი მთები, უზო-
ბობა, ზოლიტიკური დამოუკიდებლობა დიდად-აბრკალეებენ ცივილიზა-
ცია-კულტურის მოყენას ქვეყანაში და აყენებენ აგრეთვე ენის ძლე-
ვა-მოსილობით გავრცელებასაც ერთისა და იმავე ერის მამულ-დედულ-
ში. ამისთანა უოფაში სიტუაციების გაქვეყნება, ენის კილო-კავებად და-
უოფა, მით უფრო აუცილებელია, თუ ერს ვერ შეუქმნია თავისი აზ-
რისა, ფიქრისა და მისწრაფების გამოსახატველი ნიშნები—ანბანი და
გერ დაუარსებია მწერლობა მშობლიურს ენაზე. ამ უოფაში არის დღეს
ლეკური ენა, რომელიც მისვლა-მოსვლის სიძნელისა და მწერლობის
უქონლობის გამო გადაშლილა მრავალ შტო-კილო-კავებად და ელის
დადისტინის ახალს ჰომირისს თუ ჰეროდოტეს, რომ ეს ლეკური
კილო-კავები ისევ შეიკრას, დაზავდეს, შეილიოს და აღქმედეს სა-
ერთო ლეკურ ენის წყაროდ.

ენათა მეცნიერები იმასაც ამბობენ, რომ სიმრავლე გაქვეყნებულ
სიტუაციათა და კილო-კავებისა არის დიდი სიმდიდრე ამა თუ იმ საერ-

თო ენისაო; როგორც რომელიმე მდინარე დიდდება თავისი ნაკადუ-
ლების შემწობით, ისე ენაც, თავისის წინ სვლის დროს, უნდა
მრავლად იღებდეს საზრდოს თვისის კილო-კავებიდამ; უამისოდ იგი
დიდ მანძილს ვეღარ გაივლის, საფანელი შემოაკვდება, გალატაკდება
და სწორედ ის დაემართება, რაც ქვიშრობში მიმდინარე მდინარეს,
რომელიც, სათავეებში წყარო-ნაკადულების სიცოტავისა გამო, ზღვაში-
დის ვეღარ უწევს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მამა-პაპას ადრითგანვე ჰქო-
ნია წერის ნიშნები და მერე დაუარსებია თავისს ენაზედ უმდი-
დრესი ლიტერატურა, მაინც, ვიმეორებთ, მიუხედავად ამისა, ჩვე-
ნის სამშობლოს ზოგიერთ კუთხეში ამირანისებურად და ხელ-
უხლებლად მაგრობს აუარებელი სიმიდირე ჩვენის ენისა, აუარებელი
საუნჯე, შეძენილი ჩვენთა ღვაწლით-შემოსილ მამა-პაპათა მიერ. ამ-
გვარი კუთხეებია ხვესურეთი, ფშავი, თუშეთი, მთიულეთი, რაჭა,
სვანეთი, სამეგრელო, წებელდა, აფხაზეთი, აჭარა, ლაზისტანი, სა-
მცხე, ქიზიუი, და კაკ-ელისენ-ჭარი (საინგილო) და არა თუ ამ კუთ-
ხეებში, არამედ თვით საკუთარს კახეთსა, ქართლსა და იმერეთშიაც
კაცი მონახავს მრავალს სიტყვა-ფრაზას, რომელიც ადგილობრივ იშმა-
რება და საერთოდ კი აღრა. საჭიროა ეს აუარებელი მასალა შემოგ-
კრიბოთ, შეკისწყალოთ, ავნუსხოთ და ეს შრომა რომ შესრულდება,
მამინ ჩვენი, ისეც მდიდარი, ლექსიკონი ერთი-ორად გადიდდება,
ხოლო ენა-მზებობაც ჩვენის ენისა იმატებს, და უფრო გაბრწყინდება
და შარავანდოსანი შეიქნება.

თუ როგორ უნდა შესრულებულიყო და ჭიხ უნდა ეთავა ეს დიდი
საქმე, ამის შესახებ ჩვენ იქვე ვწერდით:

როგორც ვიცით, ჩუბინაშვილის ლექსიკონი დღეს წერა-კითხვის
საზოგადოების კუთვნილებაა და თაოსნობაც ამ საქმეში უნდა ეკუთ-
ვნოდეს ამ საზოგადოებას. იტყვიან: წერა-კითხვის საზოგადოებას არ
ექნება არც შეძლება და არც მატერიალური ძალა გაუძღვეს ამ ძნელად
შესასრულებელ საქმესო. მართალია, არ ექნება არც ძალა და არც შე-
ძლება, რასაკვირველია, თუ დავივივიწუეთ, რომ ამ საქველმოქმედო
საფუძველზედ დამყარებულ საზოგადოებას დამხმარებელნიც ქველ-
მოქმედნი უნდა ჰყავდეს. განა ცოტანი არიან საქართველოს კუთხე-

ებში განათლებულნი და საზოგადო საქმისთვის თავდადებულნი, რომელთაც შეუძლიანთ შეიძინონ ჩუბინაშვილის ლექსიკონი და მასში ჩასწერონ ის, რაც დაშთენილა მათს სამშობლოში და საყოველთაო ლექსიკონში კი არ არის! უველგან საქართველოში გვეგულებიან მრავალნი, რომელთაც შეუძლიანთ ამ საქმეს გული დაუღონ და ნება-ნება, ახალ-ახალ სიტყვა-ფრაზების მოგონების დაგვარად ჩასწერონ თავიანთებური სიტყვები ცალკე რეკულებში და მერე გამოუგზავნონ წერა-კითხვის საზოგადოებას, რომელიც მისდამი გამოგზავნილ მასალას შესაფერად გიგანს მიუჩენს ლექსიკონის დასტამების დროს. თუ რა ფასი აქვს ამგვარს შრომას, ეს სჩანს თუნდა იქიდან, რომ რუსეთის სამეცნიერო აკადემიამ ჰროგინციალურ სიტყვების ჩამწერლებს ყოველ ახალ სიტყვის აღმოჩენისათვის შეაძლია ორ-ორი შაური! მაგრამ ჩვენ გვეგონია, რომ — თუნდაც წერა-კითხვის საზოგადოებას შეძლება ჰქონდეს, — აღნიშნული ღვაწლი ისეთი წმინდაა, რომ ყოველი შეგნებულნი ქართველი მოვალეა უსასუილოდ დაეხმაროს სამშობლო სიტყვიერებას და მიჰბაძოს ფუტკარს, რომელიც უვავილების სუნნელებას თავლად აქცევს და მერე თავისს ნყოფით თითონც სარგებლობს, კაცსაც უმტკბარუნებს ჰირს და ღმერთსაც სანთელს უნთებს . .

კერძოდ, მით უფრო საჭირთა განზრახულ სიტყვათა შემოკრება, რომ დღეს მეტად გამრავლდა რიცხვი განდგეილთა და გარეწართა. ეს წინდაუხედავნი, იზოგნიან რა თავის კუნტულში ასიოდ ადგილობრივ სიტყვას, რომელიც საერთო ლექსიკონში არ არის, უვირინ: „არიქათ! აი სად ყოფილა ახალი ენა! ჩვენ თურმე სხვა ენა გვექონია“!

დიად, ასრე ვწერდით 15 წლის წინად. დღეს კი ამ საზატოო საქმეს ხელი მოჰკაიდა ჩვენმა „საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ“ და, იმედია, კიდევ დააკვირგვინებს მას. ჩემის მხრით საზოგადოებას შე აქ გავაცნობ ინგილთათა კილო-კავს ანუ, ინგილოურადვე რომ ვთქვათ, ლოდათს*), და ლექსიკონს იმ სიტყვებისას, რომელიც ადგილობრივ ინმარებთან და საზოგადო ენაში კი — აღარა.

*) ლოდათი არის იგივე ბერძნული λῆγος — სიტყვა, ლაპარაკი, საუბარი და იმავე ძირისაა. ვფიქრობთ, ქართული რქუმა = მეგრ. რავადი = სვან. (ლი) - რავადი (= ქართ. რქუადი, რქმადი). შეად. რქუა = ჰრქო.

მ=ნ, ვ: ნეფელ, ანბოვს, მასკულად, მენაჟ (გენახი), მინ (ვინ), სანუოფ (სამუოფი), კმენა (კბენა).

ნ=ლ, რ, მ: ბლენ (ბნელი), ეერეანტუმ (ენერატო), იმამ (იმან), ჰემგამ (ე მაგან), ცხენმამ (ცხენმან) (შუად.: იმამუელი=იმან-უელი, სამდვილი=სანდვილი).

ჟ=ი, ვი: ალ (აი), ალს (აის), დალ, წაღკითხ, მაღტან, მაღმუნ, მაღეონ (მოიყვანე), მოღეონ (მოვიყვანე), გოღკ (გავიკე).

ჩამატება: არაღფერ, რაღმ (რამე, რამე).

ო=უ, უ, ვე, ე, ვ, ვა: თოლ (თული, მეგრ. თოლი), ტუმარაღ, ხუკერ, სონილ (სუნელი, სურნელი), გუგოღ (გოგო), სეველ (სოველი), ჟუნვად, გუგრაღ, ქუქურდ (გოგირდი), დედუთაღ, წუწ-ღუტ (წოწოლა), დუდრუან (დიდრანი), ქომოღთ (ქვემოთ), კოფხაღ. ზომოღთ (ზემოთ), დუწერიაღ (დაუწერიათ), შომოღდა (შემოვიდა). წოდ (წვადი), გორ (გვარი), ხოდ (ხვადი), მოხოდ (მოხვალ), მოღ-ეონ (მოვიყვანე), გაღეონ (გაიყვანე), ლოკმაღ (ლეკმა). სხოდ (სხუა), გაცორება (გაცურება), ცორ (ცურარი), კოლა (კვალად, მაგიერ), ხუღ (ხვალ*).

შ=ფ: ჰობობ, ოფოფი, ჰობობი.

ჟ=ჩ, შ, ძ, ს, ჯ, ჯ: დაბუნებაღ (დაბუება), ვაშკაც, შაკაღ (ძეკვა, ცემა), ჟუნტაღ (სურდო), ჟინჭოლაღ (ჭინჭველა, ჟინჭველა), ჟინჭარ, ჟინჭარი (ზაქარია ბანელის შრომაში, მე-XI სუკ., № 1, გვ. 657 ჟინჭარი), გადაბიჭებაღ (გადაბიჭება).

რ=ჰ, ს, ლ: რემენ=ჰემენ (რომელი), რაღს=ჰაღს (ხვეს. რაღს=რა არის), რუმ=ჰუმ (რომ), ასტაღს (ართავს); არღის (არ არის), ფურტ (ფირტი, ფილტი).

ს=ზ, მ, ჰ, ჩ, წ: სუკდუღუზგან (სიკვილისგან), ქუმბზა-ქუმბზა (სკუნ-სკუნ), ეესსომოზ (ეესსომოსი), ტანსომოზ (ტანისს-მოსი), დაჰწლო=დასწლო, სტვაღ (როვა), წკინტლ (სკინტლი), ამ-სტენელ (ამცდენი), შარს (შარჰან).

ტ=დ, თ, შ, ხ: დახტო (დახვდა), ასტა (ასცდა), დასტა

* შუად. საზოგადო: ზომალდი=ხუამალდი=ხვამალდი, ხორბალი =ხუარბალი=ხვარბალი.

(დასცდა), სასტრულ (სასთაული, სასთუმადი), ტიტქლამ=შიშქლამ, კურტ (კრუხი).

უ=ო, ა, უ, ვ, ქ: გუგრამ, გუგომ, მუშუობს (მუშაობს), გუშინ=გუშინ, ვუნავს, კუკურ, გუგუნ (გუგუნი), ხუალ (ხვალ), ხუალზეთ (ხვალზეთი), მუალ (მოვალ), წუხელი წუხელი.

ჟ=ვ, უ: მოჟდა=მოვდა (მოვიდა), წაჟდა=წავდა, წავიდა, მოჟ=მოვ (მოვა), წაჟ (=წავა), მიჟ=მივ (მივის=მიდის), შეჟ (შევა), გაჟ (გავა), ჩაჟ (ჩავა), გამოჟ (გამოვა), დაჟდექ (დავდექი), ჩაჟგდო (ჩავუგდო), ჩაჟნთა (ჩაუნთო), დაჟთორიალები (დაუთავადიერები), დაჟღები (დაუღვია).

ფ=ბ, ჰ: ნიჩფ (ნიჩბი), შუფრობამ (შუშარი), ფანფალ=ჰანჰალი, ფაულამ (ბაკლა, ღობიო).

ქ=გ, ღ, კ: დაღექ (დაღეკ), ჩირად (ჭრაქი), გასქლა (გასკდა), ქუქურდ (გოგირდი).

ღ=უ, ხ, ტ: ეიკ (ღივ), ავივდა (ღივდა), ღიად (ღიახ), ხაღ (ხაღნი), ტოლახ=ტოლად, ფულურომ=ფუტურომ, დაჭომ (ხაჭო).

უ=ხ, კ: ფეუ (ფეხი), უურდელ (ფს. 103,18: უურდელი; ჯობისძის 1035 წლ. დავითნში (№ 135): უორუდელი (ქართ. შწერ., გვ. 219), აქათეუნ, დარეევა (დარხევა), ჩომაუ=ტომაუ (ჩომბახი), ჩუჩაუ (ჩინჩაუვი).

შ=ჩ, ტ: შუღმეტ (ჩვიღმეტი), შიშქლამ=ტიტქლამ.

ჩ=ჭ, კ, ს: ფუჩ (ფუჭი), გაფუჩება (გაფუჭება), ჩუჰე (ჭიჰი), კრენჩხა (კრეჭა), კირკილ (=ჩრჩილი), ჩარჩავ (ჩარსავი).

ც=ს, წ, თ, დს: სტებოდა (ცდებოდა), ცშეტქულ=წინეტქულ, წიკომ (ციკანი), ციკან (თიკანი), კერც*) (კვერდს, ახლოს).

წ=ც, ს: წშეტქულ=ცშეტქულ (წისქვილი), გაწდომამ - გასტომამ.

ჭ=წ, ჩ, ხ, ც: ფუჩ (ფუჭი), გაფუჩდა (გაფუჭდა), ჩუჰე (ჭიჰი), გაკრინჩხ (გაკრეჭე), ჩირად (ჭრაქი), ხიწიწ (ხოხობიკი), ხუხუნ (ჭიხინი), ფაფაჩხაღამ=ფაფაჭყაღამ (ფლავის ძირი), ჭულუკ (ცელქი).

*) მესხურ დავითნში: „გუტრც იახლა“. ე. თაყაიშვილის სამი ქრონ., გვ. 89.

დღვწ (ღაღწევი), ზუზ (ძუძვი), თაგ (თაგვი), ფაშ (ფაშვი), მარწე (სვ. ბასე)—მარწევი.

თ: ერ=ერთ (ერთი), ათხუთმეტ=ხუთმეტ, ფინ=ფინთ (ფინთი).

ა: სმინდ (სიმინდი), შუღ, ღმერთ, ისფერ (ისფერი), სა-თვეა (სათივე).

კ: კახხაჲ=ჩხაჲ (კრჩხა), ცხილა (კრცხილა).

ღ: ბიღ (ღბიღი, რბიღი).

ძ: სხაღ, ტრეღ, ღღეღ (მე-რ-მ--XI სსუკ.: მღღელი), ჭაღ=ჭატ, წვერ, შუღ, წერაღ, ჭლეჲ, წონეჲ (მწვანე).

ნ: ნეპერ=პერ (პერი, ქაფი), ქაღმეზ (ქალამეზი).

ო: მაურყელეზ=მაგრყელეზ.

რ: ღაგრ (ღაგრჩი), ჭიჭინა (ჭრიჭინა), რეჲ (რძე), კინაჲ (რკინა), როგო (როგორ), ქაღ (რქა), წეიღ, ჟუღ (რჯუღი).

ს: წოთრ (სწოთრი, სწორე), დაჭერეღა (დასაჭერად), მაკადო-მეღ (მოსაკადომელი), მაზოგნეღა (მოსაძოვად).

ტ: (ჩქარ თვლაში): აერთმე, თორმე, ცამე...

უ: მოკადო (მოკუდა, მოკკდა), მსკან (მსუკან).

ფ: ჩიღ (ფჩიღი).

ღ: ღმეტ=მეტ (მეტი).

შ: შარანღელ (შარშანღელი).

ჩ: ჩუღ (ჩვიღი):

ც: მამ (მამეც), მიე (მიეც).

წ: ჰაწაწაჲ=ჰაწა, ჰიწაწაჲ, ჰაწია, ბეწო.

ჭ: ჰაჭი=ჰაჭიჭი.

ხ: ფხრეწა=ფრეწა.

4. ჩ ა მ ა ტ ე ბ ა

გ: გროშა (როშა), ნიგორ (ნიორი).

ვ: ბლეგ (ბლე), ცრუგ, ბუგ, ზუგ (ძუ), ღრუგ, ერუგ, შუგაჲ (ღავითნში 974 წლ., ფს. 21,14: შუგა), ტუგვიღ (№ 1, გვ. 555: ტუგვიღი).

ა: ღმერთიმა (ღმერთმანი), ბრიმაჲ, ღრიმეჲ, ღირღა.

კ: ჭორტელ (ჭვარტლი), კახხაჲ=ჩხაჲ.

ღ: წკიზარტელ (წკიზურტი, წკიზარტი).

ნ: ჩხუნკ (ჩხიკვი), თურმენი (თურმე), კმანზაჲ (კჰმანზა, კაზმა).

ო: წორ (სწორე, სწორი), ოორ (ორი).

ჰ: ჰაბა (აბა), ჰუნდ (უნდა), ჰუთქომ (უთქომ), ჰაგუბაჲ (აბგა), ჰარაკიჲ (არაკი), ჰაკაჲ (აკავი), ჰეგ (ეგე), ჰემაგრ (ე მაგრე).

5. გადასმა და სხ. ცვლილება.

ღურბელ (ღრუბელი), კმანზაჲ (კაზმა), დევაგუნ (დიაკვანი). დამბულ (დაბმული), ჰაგუბაჲ (აბგა), თორიაღებაჲ (თვალღიერება), ქმუზხაჲ (სკუზი), ბღენ (ბნელი*), მაჭეკალ (მაჭანკალი), გულანდ (გულანდმა), პირანდ (პირანდმა), დამდა (დიად), აჟანკერ (არჯაკელი), ნაღელ (ნაღელი. ურბნისის სახარ. X სუგ.: ნაღელი (მათე, 27, 34), სხვა ძველს წიგნებშიაც ასრეკვა.

მიძლეობაში თითქმის მუდამ გამოიტოვება ს: დაწერელ, დადგმელ, მაკადომელ, მაცემელ, მაღებელ (დასწერილი, დასადგმელი...).

ზმნისწედამი ხშირად აკლდება დ: დაწერელა, დაკლქელა, დათლქელა, ტკბილა, ადრიანა.

ურყოფით მიძლეობაში მეორე უარყოფითი ნაწილაკიც ებმის:

უდაუწერელ=დაუწერელი.

უდაუბანელ=დაუბანელი.

უდაუთლქელ=დაუთლქელი.

იგივე რჩება ზმნისწედებშიაც:

უდაუწერელა.

უდაუბანელა.

უდაუთლქელა.

ბრუნვებში ჩნდებიან დაბოლოებანი:

1) თუნ = თუინ = თვინ: ჩემთუნ, მამისთუნ (=მამის-თუინ).

2) ბეღთ (=ბეთ =ბე) = თვინ, თვის: ჩემბეღთ, მამიბეღთ.

3) თი = დგან: აქაღთი, წინაღთი.

4) ეენ = კენ, ხევს. კენ = კ: კახეთისეენ, კატისეენ (ხევს. კატისა-კ).

*) შეად. კრცხილვანი=ან ცხინვალი.

- 5) ზგნი (=ზგან) = სკან, ისკან: მამიზგნი, დედიზგნი.
- 6) ინ=ის: ებამდინ (პირამდის), მინამდინ.
- 7) სს=სსს: ჩონსა, თქუნსა, ჰაჰანთსა, დედაანთსსა.
- 8) ინჟა=დე, ნდე, მდე: გაზღომინჟა, მესუჯინჟა.

ნათესაობით ბრუნვას სშირად აკლდება ს: მამიშულ (მამის შვილი), ბიზიშულ, ჩიტობახადა, ხიზირში (ხის ძირში), ცხენი-მკულ; ივანია ცხენ (ივანეს ცხენი), მამი მინდორ, ტახი კბილ (ტახის კბილი) (შეადარე სსზოგადო: მამილა (მამის და), დედა (დელის და). მაგრამ ზედსართავის გადასმა მოითხოვს დაბოლებას სი:

მამა შულ	შულ მამისი, მამაღსი.
ცხენი თავ	თავ ცხენისი.
კაცი შულ	შულ კაციღსი.
მუნადირე თოფ	თოფ მუნადირეღსი.
სოკო წენ	წენ სოკოღსი.

ვით = ვითა მოკლდება გი — დ: კდარვი, ჩემსვი, ტურასვი, ზადღვი, ზრასვი (ძრასვით).

ზედსართავი განსამარტებელთან არ იბრუნვის:

ს. 1 კაჲ კაც	კაჲ კაცებ.
ს. 2 „ კაც-მა	„ -მა.
მ. „ კაც-ს	„ -ს.
შ. კაც-ით	„ -ით.
ზმზ „ კაც-ად	„ -ად.
წ. „ კაც-ო	„ -ო.

პირიდან ნაცვალსახელი მე მოთხრობაში იღებს ნ-ს მაშინ, როდესაც შეხვდება მეორე პირის ნაცვალსახელს: მენ და შენ ერთა წაჟღეთ...

მესამე პირის ნაცვალსახელები:

ჩემთან ახლო:	შენთან ახლო:	მასთან ახლო:
ემ	ჰემ	იმ, აემ
ემამ	ჰემამ, ჰემტამ	აემამ, იმამ, იმან *)
ეს	ჰეგ	აღს, ის

*) იმან, ე-მაგან, იმან.

აქს	აქეს	აქს
ესი	ქეტი (გეტი)	აქსი
		ოტი, ოტი (ატი, იტი)

პირველი და სხ. პირები შემნათა მიმოხრისში:

ჭუჭრი, იჭრი, იჭრი-ს.	ჭუჭრით, იჭრით, იჭრის.
ჭუჭრიდი	ჭუჭრიდით.
ღმეჭერ, დამ-ჭერ, დამ-ჭრა.	ღმეჭერით.
ღმე-ც, დამ-ც, დამ-ცა.	ღმე-ცით.
მუალ, მოხალ, მოვ.	მუალთ, მოხალთ.
მოვდ, მოჭდ, მოდის.	
მუქელ, მუხუქელ, მოვდა.	

მოვდ, გაფდ, შევდ. მივდ. მოა? წაა?

არ მოხუქდე? არ წახუქდე? ნუ მოხალ? ნუ წახალ?

შენახულა ძველებურ მწიგნობრული ბრძან. დახრის დაბოლოება
ა: შჭამა? ღამარიკობა? ღამარიკობსა? მოდისა? რამასა?*) კამასა? აკა-
კამასა? ილიამასა? კაცდამსია? ღოცობა? ვიღოცი (ვიღოცი?). იღოცი?
(=ე?) იღოცა? ვიღოცითა? იღოციითა? იღოციესა? (ხმის ამაღლება
მე-2-ე ხმოვანზე ბოლოდგან).

წარსულ შესრულებულის მაჩვენებელი ნაწილაკი წაუ:

ვჭამ წაუ (ვჭამე-ეე. ძვე. შამე).

შჭამ

ჭამა

გაქეჩა-წაუ, ჩაუღამა-წაუ.

მოძაგალ აუცილებულის მაჩვენებელი ჰუმ:

ჰუმ ვთქო, ჰუმ მოატანო.

მესამე ზირის მაჩვენებელი ნაცვალსახ. ჰუ(=სვან. ხო==ხუ):

1. მიხარინ, 2. გიხარინ, 3. ჰუ-ხარინ, 3. ჰუხარინ-ე.
- მითქომ, გითქომ, ჰუ-თქომ, ჰუ-თქომ-ე.

*) მარკ. 1,8 (№ 98 IX საუკ. ხელნაწ.): „რამასა მაგას ზრა-
ხავთ“=ინგ.: „რამასა მაგას ზრახავთ“?

მეორე და მესამე ზირის მახვებეული ყ (თ-ს შაკიერად):

მინ(და), გინ(და), ჰუნ*(და), ვუნდ(ა), გინდა-ყ, ჰუნდა-ყ.
 მწერს, გწერს, სწერს, გწერს, გწერს-ყ, სწერს-ყ.

შენიშნ. აქ ყ ნიშნავს სიმრავლეს, ყველას. სხვა ფორმებში კი ისევე თ იხმარება (მე-2-ე ზირში):

ვწერ, წერ, წერს, ვწერთ, წერთ, წერენ.
 ვჭამ, ჭამ, ჭამს, ვჭამთ, შჭამთ, შჭამენ.

მრ. რიც. მესამე ზირის დაბოლოების (—ნენ) ხმარება მიჰყვება ჭანურ არსებით ზმნის მე-3 ზირის (ორენან) დაბოლოებას, ხან მეტრულისას (ორენა) და ხან საზოგადოს (არიან).

ჭანურ.:	მეგრ.:	საზოგ.:
შჭამდ-ნენ	შჭამდ-ენ	შჭამდი-ან
სწერდ-ნენ	სწერდ-ენ	სწერდი-ან
იტყოდ-ნენ	იტყოდ-ენ	იტყოდი-ან

ძიმდ.: თქმულ, ანულ, თროლ, ეროლ, ფშუნავ, ბღუნავ.
 აქმულ, ნათქმ, სათქმულ.
 მოკნულ, ნახნავ, საკნავ, მოსაკნულ=მაკნულ.
 მოსაჭრელ=მაჭრელ.
 მოსადებულ=მადებულ.
 დასაღუგულ=დაღუგულ.



ნიობა (ფესვიდამ ენობა, ენოფნება (ენა=მეგ. ნინა=სგ. ნინ):

ვონბოვ=იმერ.	ვუნობ=ინგ.	ვომბობ	(ვომბოვ)=ქ.	მდაბ.	ვამობ
ანბოვ	უნობ	ამობ	(ამბოვ)		ამობ
ანბოვს	უნობს	ამობს	(ამბოვს)		ამობს
ვონბოვთ	ვუნობთ	ვომბობთ	(ვომბოვთ)		ვამობთ
ანბოვთ	უნობთ	ამობთ	(ამბოვთ)		ამობთ
ანბოვენ	უნობენ	ამობენ	(ამბოვენ)		ამობენ.

*) „დილარიანსა“ და ბევრ სხვა ძველ წიგნებში იხმარება ესევე: მინა, გინა, უნა.

6. შემწეობითი ზმნა.

მომკაცს შემოკლებული ფორმა არსებით ზმნისა ა=ს==ს შედარებით მათ ქართულ-მეგრულ-სვანურ-ხევსურულ-უღურ იგივეობათა¹⁾.

სახელბითი	არსებ.	სახელბითი	არსებ.
ფორმა:	ზმნით:	ფორმა:	ზმნით:
ინგ. კაც (მინაა?)	კაც-ი	ინგილ. კამ	კამ-ს
საზოგ. კაცი (ვინ არი?)	კაცი-ა	ხევს. კამ	კა-(ა)ს
მეგრ. კაჩი	კაჩი-(რ)ე	საზ. კამ } კარგი }	კაი-ა კარგი-ა
სვან. მარე	მარე-ლი	მეგრ. ჭგირი	ჭგირი-რე
სომხ. მარდ	მარდ-ე	სვ. ეზარდ	ეზარდ-ლი
ოსურ. ლაგ	ლაგ-უ	უღურ. შელ	შელ-ლე ²⁾
—	—	სომხ. ლაგ	} ლაგ-ე } ლაგ-ნე
ინგ. დედა	დედა-ს	ოსურ. ხორზ	
საზოგ. დედა	დედა-ა		
ხევს. დედა	დედა-ას		
მეგრ. დიდა	დიდა-(რ)ე		
სვ. დი	დი-ლი		

შეადარე კიდევ:

ინგ.:	საზოგ.:	ინგ.:	საზოგ.:
სოკოა-ს	სოკოა-ა	ორმოა-ს	ორმოა-ა
დაა-ს	და-ა	სიტყა-ს	სიტყვა-ა
კუმბკუა-ს	გუმბული-ა	ზური-ი	ზური-ა
ჭრეა-ს	მჭრეა-ა	გული-ი	გული-ა
ჭლეა-ს	მჭლეა-ა		

¹⁾ ლეკურ ენებშიაც ჩნდება ი, ს, ა. ახტურ ლეკური მსანი-ა (კარგია), ჰიხი-ა (დიდი-ა), ფისი-ა (ფინთი-ა), ჰიხი ქასი-ა (დიდი კაცი-ა); შირინი-ა (ტბილი-ა), ბარა შირინი-ა (ბევრად ტბილია, უტბილესია).

²⁾ კიდევ უღური: ქალა-ნე (დიდი-ა), ალალუ-ნე (მალალი-ა), ფის-ნე (ფინთი-ა), ჰოჰა-ნე (წითელი-ა).

იგივე რამ საზოგადო ქართულში უოფილა, ცხადა შემდეგი მატალითებიდამ:

1 (რ)ე:	ქვემო-რე	მძინა-რე
	ზემო-რე	მწა-რე
	წინამდება-რე	შდუმა-რე
	უწინა-რე	ქვემდება-რე
	უფრო-რე	ხვალ-ე

2) ლი:	გუ-ლი	სვან. გუ, მეგრ. გური
	მამა-ლი	მეგრ. მუმული, სვ. მუ=მამა
	დედა-ლი	სვ. დად, მეგრ. დადული
	მატუ-ლი	სვ. მატუ, მეგრ. მუნტური
	მად-ლი	მადმა=მადლმა
	ღვაწ-ლი	მოღვაწე, ღვაწა
	წვი-ლი	სვან. ზისე

3) რი:	მამ-რი	
	ფუტუ-რო	მეგრ. ფუტუ-რე, სვან. ფუტუ
	შდედ-რი	
	ბოგი-რი	სვ. ბოგ, მეგრ. ბოგა
	მწუხ-რი	(მწუხ-არე=მწუხ-არი).

5 და ლი ზმნების დასაწყისში:

საზოგ.:	სვან.:
ა-წონა	ლი-წვეენ
ა-შლა	ლი-შალ
ა-გორება	ლი-გვრანი
ა-შენება	ლი-შნავი
ა-ფეთქება	ლი-ფეთქ
ა-ნბობა	ლი-ნბავალ

ამის შესახებ აქ აღარ განვსჯით სიტყვას, შევნიშნავთ კი, რომ უველა ეს ნაწილაკები არსებითი ზმნის შესამე ჰირის ფორმებს წარმოადგენენ: :(რი), (არ)ს, (არ)ი, (ა)რი, ლი(სვ.)=ა.

7. ყვავის ენა.

ინგილოებმა ჩვეულებრივ კილოს გარდა იციან აგრეთვე აგრედ-წოდებული ყვავის-ენა. ეს ენა იხმარება ზოგიერთთაგან მხოლოდ და ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც სურთ თავისი აზრი გადასცენ სხნდო ჰირს სხვათა ფარულად. ეს იგივე ჩვეულებრივი ენაა უოველი ხმოვანის შემდეგ ახალი მარცვალის ჩასმით ფ-ს შემწეობით. ასე:

- ა: ძაძა: უვ. ენაზედ: მათამათა; ძძა—ძძათა; და—დათა.
- ე: დედა: " დედედათა; ხე—ხეთე; ძერე—მეფერეფე.
- ი: მინდა: " მითინდათა; ტირილი—ტიფირიფილიფი.
- ო: სოკო: " სოფოკოფო; სოლი—სოფოლიფი.
- უ: კუკური: " კუფუკუფურიფი; კურკა—კუფურკაფა.

არაკვის ხეობის „ქაჯურ ენაში“ ფ-ს მაგიერობას ეწევა წ. კა-ფატიფი = კაწატიწი = კატი.

ფ:		წ:
ათათათათათად	= ათასად =	აწათაწასაწად
გვატარიფი	გვარი	გვაწარიწი
დათათათათათად	დათასდა	დაწათაწასდაწა
ათათიფი ათათათათათად	ათი ათასად	აწათიწი აწათაწასაწად
ზრდიფილოფობათა,	ზრდილობა	ზრდიწილოწობაწა,
თუფუ კაფატიფი	თუ კატი	თუწუ კაწატიწი
თვიფითოფონ აფარიფის,	თვითონ არ არის	თვიწითოწონ აწარიწის
ცუფუდიფიაფა	ცუდია	ცუწუდიწიაწა
გვატარიფი შვიფილოფობათა.	გვარი შვილობა	გვაწარიწი შვიწილოწობაწა.

აფარცათა კაფატიფი ვაფარგათა თეფელოფონ სოფოფეფეფიფიფი დათა სოფოფეფეფესკიფიფი აფარათა აფარგოფონ = აწარცაწა კაწატიწი ვაწარგაწა თეწელოწონ სოწოფეწეწიწი დაწა სოწოფეწეწესკიწი აწარაწა აწარგოწონ.

III. ლ ე ქ ს ა კ ა ნ ა .

(აქ აღნიშნულია არა ყველა სიტყვა, არამედ მხოლოდ ისეთები, რომელნიც საზოგადო ქართულში ან აღარ ან და ცვლილებით იმარებიან).

ბღაყ, უფერული ცხენი, ქათამი ჳ სხ. (საბას ლექს.: „აღლაკი, ჳრე-
 აბრაშუმ, აბრეშუმი. [ღი ცხენი“).

აბურთუნაგდა, იფეთქა, აენთო უცბად, **воспламенилось**.

აბუეტ, აბუეტი, ეეუეზ.

აკება.ი, გება; მენაჟ აგა, ვენახი შესარა.

აკრაბან, აქეთკენ. ეპირისპირება სიტყვას აკრაბან, იქითკენ. შუა-
 დარე: აგრე—იგრე, მაგრე=გგრე. [იანცეს.

აკანცება, აკლება; აივანცეს, აიკლეს, აიფორიაქეს. შუად.: ანცი, აკლანცვა=კლანცვა, დამკლავება; აიკლანცა, დამკლავა ანუ დაიკარ-
 აღ, (ნ. ჳაღაფ). [წახა; გურ. აკაპაწება.

აღაფ, საქონლის საკვებავი (ბზე, ბურდო, თივა და სხ.).

აკაღვა, კაღოს-ბართ მიწის ჳირიღამ ბაღახის ძირიანად შუკრა.

ამზარება, დამურაღება, მზორის სუნის აშუება. ამზორდა, ამურაღ-
 და; გურ. ამძორება.

აკაღანებს, სტანჯავს, აწვავებს, ცხვირში ძმარს ადენს (წარმო-
 სდგება ჳმნიდამ კოღვა—ქვის გლა, თღა).

ამაწვეკელ, შეღმართი გზაზედ (ამოსასწვეკელი .

ამოგდინგავ, ამოგავღებ ძირიან-ფესვიანად.

ამომურვა, კაღთაჲ ამოჭურა, კაღთა ამოუხეია.

აჲ=(აღს), ის=აის; აღს მინაა? აის ვინ არი? აღს თაღს, აის მოაა.

აჲღ	}	აიღე;		აჲღ	}	აიღე;		აჲღ	}	აიღე;
აჲღან		აიღე;		აჲღან		აიღე;		აჲღან		აიღე;
	}	გაჲღ		გაჲღ	}	გაჲღ		გაჲღ	}	გაჲღ
		გაჲღან		გაჲღანე;		გაჲღან		გაჲღანე.		

აჲყონ, აიყანე; აჲყონ, აიყანე; მჲყონ, მჲყანე; მჲყონ, მჲყანე; მჲყონ, მჲ-
 იყანე; მჲყონა, მჲყანა. აჲყონ აჲყონ აჲყონა აჲყონ-
 ით აჲყონით აჲყონეს.